ეპისკოპოსი

ილია მინიატისი

მე გიხმობთ დღეს!

ქადაგებანი

თბილისი 2007

უაკ (UDC) 27

მ 691

იბედება ბათუმისა და სხალთის

მთავარეპისკოპოსის

მეუფე დიმიტრის (შიოლაშვილი)

ლოცვა – კურთხევით

რედაქტორიები: მარიამ ყიფიანი

გულისა ჩხაიძე

© ნინო გულიაშვილი

მთარგმნელ – გამომცემელი, 2007

© ლელა ასკურავა, გარეკანის ფოტო

ISBN 978-99940-68-60-9

მთარგმნელისაგან

მე-17 საუკუნის სასულიერო მოღვაწის, ეპისკოპოს ილია მინიატისის პიროვნება და შემოქმედებითი მემკვიდრეობა ცოტა ხნის წინ ნაკლებ ცნობილი იყო ქართველი მართლმადიდებლებისთვის. მინიატისის შრომებიდან ძალზე ცოტა რამ არის შემონახული. (უდიდესი ნაწილი მისი გარდაცვალებისთანავე განადგურდა). ჩვენამდე მოაღწია ორმა: პოლემიკურმა თხზულებამ _ «შებრკოლების ქვა» და ქადაგებებმა, რომლებსაც წინამდებარე წიგნში ვთავაზობთ მკითხველს. ჩვენ არ შევუდგებით ამ ქადაგებების განხილვას, მათი მაღალმხატვრული თუ სულიერი ღირსებების წარმოჩენას, მათი მნიშვნელობის ხაზგასმას მართლმადიდებელ ქრისტიანთა ცხოვრებაში, ამას თავად მკითხველი განსაზღვრავს. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ ქადაგებების ერთგვარი ემოციური მუხტი. ის იმდენად ძლიერია, რომ უნებურად გაიფიქრებ: ამ ადამიანმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, ღვთისა და ადამიანებისადმი განუზომელი სიყვარული თითოეულ ქადაგებაში ჩატია, თითოეულ მათგანში თითქოსდა თავისი გული შემოგვინახა. მისი სიტყვები, ასე ძლიერ რომ ზემოქმედებენ მკითხველზე, იოლი წარმოსადგენია, როგორ ზემოქმედებდნენ მსმენელზე. ამიტომაც უწოდეს მას თანამედროვეებმა ახალი ოქროპირი...

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის, რომ ილია მინიატისის წინამდებარე ქადაგებების დიდი ნაწილი ქართულ ენაზე მკითხველს ჟურნალმა «მრევლმა» გააცნო. ამ თარგმანის წიგნად გამოცემის ინიციატივაც «მრევლს» ეკუთვნის.

ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი შემწყნარებელი იქნება ჩვენს მიერ შესრულებული თარგმანის მიმართ.

ცნობები ეპისკოპოს ილია მინიატისის შესახებ

ილია მინიატისი დაიბადა კეფალონიის ქალაქ ლიქსურიონში (საბერძნეთი) დაახლოებით 1669 წ. ადგილობრივი მართლმადიდებელი პროტოპრესვიტერის ფრანცისკ მინიატისისა და მისი მეუღლის _ მორეზიას ოჯახში. როდესაც ათი წელი შეუსრულდა, მა-მამ იგი ვენეციის ბერძნულ ფლანგინიურ სასწავლებელში მიაბარა, როგორც მოსწავლე და პანსიონერი. აქ ილიამ საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური მეცნიერებების შესწავლაში, ახალი და ძველი ენების ცოდნაში ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობამ მას, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, დანარჩენი პანსიონერებისათვის ელინურ მეცნიერებათა სწავლება დაავალა. მინიატისი სამი წლის მანძილზე სახელოვნად და წარმატებით ასწავლიდა არა მხოლოდ სასწავლებელში, ბერძნულ ტაძარშიც. იმდროინდელი ქადაგებებიდან შემორჩა მხოლოდ ექვსი და ისიც ფრაგმენტული.

ვენეციიდან მინიატისი თანამემამულეებმა თავიანთი ჭაბუკების განსასწავლად კეფალონიაში იხმეს. ის ხალისით წავიდა მათთან და შვიდი წლის განმავლობაში მათ სკოლაში ფილოსოფიასა და სხვა მეცნიერებებს ასწავლიდა; ამავე დროს წმ. ნიკოლოზის სახ. ლიქსურიონის ტაძარში დამრიგებლურ საუბრებს ატარებდა, რომელთაგანაც ერთ-ერთია ქადაგება სიყვარულზე. ეს სიტყვა ღირსშესანიშნავია იმდენად, რამდენადაც ერთის მხრივ, ნათლად ასახავს იმ უთანხმოებებსა და სავალალო ზნეობრივ მდგომარეობას,

რომელშიც იმყოფებოდა მისი უბედური სამშობლო; მეორე მხრივ, უჩვენებს, თუ როგორ იღვწოდა თანამოქალაქეთა გულების გასაერთიანებლად ენამჭევრი, ღვთის სიტყვის ჭეშმარიტი მქადაგებელი და კაცთმოყვარე მინიატისი, როდესაც ამ შფოთისა და წინააღმდეგობის შედეგებს აღწერდა და მათ სახარებისეულ სიყვარულს ჩააგონებდა. ამ ახალგაზრდის განსწავლულობა და მჭევრმეტყველება მთელ იონიის კუნძულებზე მცხოვ-რები ბერძნებისთვის გახდა ცნობილი. ამან აღძრა კუნძულ ზაკინტოსის მცხოვრებნი, რათა იგი თავიანთი შვილების აღსაზრდელად მიეწვიათ. მინიატისი მათთან ჩავიდა და ოთხი წლის მანძილზე ასწავლიდა. იქიდან მას კერკირაში კუნძულის მმართველმა ანტონიუს მოლინუსმა უხმო და თავისი ძმისშვილების აღზრდა-განათლება დაავალა. ამ მმართველთან კეთილდღეობით აღსავსე ცხოვრების მიუხედავად მინიატისი არ ივიწყებდა თავის საყვარელ მოვალეობას _ ხშირად ადიოდა წმინდა კათედრაზე და კერკირელებს ისეთი წარმატებით ასწავლიდა, რომ მათ მადლიერების ნიშნად ნება დართეს, ერთ-ერთი მდიდარი მონასტრის შემოსავლით ესარგებლა. იმ ხანებში 1698 წ. მოლინუსი ვენეციაში გაიწვიეს. მან მინიატისიც თან წაიყვანა. ვენეციაში ბერძნებმა კვლავ შესთავაზეს მას ფლანგინიური სასწავლებლის მასწავლებლობა. ის დათანხმდა, თუმცა ერთი წელიწადი ასწავლიდა, რადგან კონსტანტინოპოლში ელჩად დანიშნულმა რაინდმა ლავრენტი სორანცომ იგი მრჩევლად წაიყვანა. 1703 წ. მოლდაველმა თავადმა დიმიტრი კანტემირმა ვენეციელი ელჩისგან გამოითხოვა ის და იმპერატორთან პოლიტიკური მოლაპარაკების-თვის ვენაში გაგზავნა. იმპერატორმა პატივით მიიღო მინიატისი და ორდენიც უბოძა. ის ვენიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. აქ მსოფლიო პატრიარქმა, გაბრიელმა, თავისი სინოდის სიგელით დიდი ტაძრის მღვდელმქადაგებლად და ბერძნული სახალხო სკოლის მასწავლებლად დანიშნა. მინიატისი შესანიშნავად ასრულებდა თავის საქმეს. მაგრამ იმ მრავალი ქადაგებიდან, რომელიც მან ზემოთხსენებულ ტაძარში წარმოთქვა, შემორჩა მხოლოდ ერთი _ ქადაგება ლუკას სახარებაზე, დღესასწაულთა თაყვანისცემის შესახებ.

შვიდი წლის შემდეგ მინიატისმა კონსტანტინოპოლი დატოვა და მშობლიურ ქალაქში გადასახლდა, რათა დამქანცველი შრომისაგან დედ-მამასთან დაესვენა. კერკირელებმა ის ისევ მიიწვიეს, და ილია მინიატისიც ისევ ასწავლიდა მათ შვილებს, ისევ ქადაგებდა ეკლესიაში. კერკირიული ქადაგებებიდან არც ერთი არ შემორჩა.

მინიატისი ხალხის მხრიდან დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ისინი მის ქადაგებებზე იკრიბებოდნენ, მას ასევე პატივს სცემდნენ ვენეციელი დოჟებიც, რომლებიც შემთხვევას ეძებდნენ, რათა იგი სათანადოდ აღემაღლებინათ, თუმცა მინიატისი, როგორც ამას ქვევით შევიტყობთ, უსამართლობისა და სიკეთის ბოროტად გამოყენების სასტიკი წინააღმდეგი იყო. კერკირაში ქადაგებების დროს პელოპონესის მმართველმა ის ქრისტიანოპოლის თავისუფალ კათედრაზე მიიწვია, მაგრამ მინიატისმა მოკრძალებისა თუ თავისი საქმისადმი ერთგულების გამო უარი თქვა ამ პატივზე. რამდენადაც გულგრილი იყო იგი მის მიმართ, მით უფრო მოშურნედ ცდილობდნენ სამხრეთ ელადის მმართველები მის ამაღლებას. როცა მინიატისის სასულიერო სარბიელი კერკირაში ამოიწურა, ჭაბუკთა განსასწავლად და ეკლესიაში საქადაგებლად ფრანცისკ გრიმანიმ იგი ნავპალიაში მიიწვია. მინიატისმა საქმეს ისე წარმატებულად გაართვა თავი, რომ იქ მცხოვრები იტალიელებიც კი მოდიოდნენ მის მოსასმენად. ეს ქადაგებები შემორჩა.

გრიმანის ნაცვლად მარკუს ლორედანი დაინიშნა. მან დაარწმუნა მინიატისი, რომ პელოპონესის ქალაქ კერნიკში მას ეპისკოპოსის ხარისხი მიეღო. ეს მოხდა 1711 წელს.

ლორედანი ავგუსტინ საგრედომ შეცვალა და მინიატისი ნავპლიაში გამოიხმო. მაგრამ კერნიკელ ეპისკოპოსს აქ დიდხანს აღარ უმოძღვრია: 45 წლის მინიატისი საკუთარი მამის ხელებში გარდაიცვალა. მამამ ის ნავპლიიდან კეფალონიაში გადმოასვენა და ლიქსურიონში, მინიატების წმ. ნიკოლოზის სახელობის საგვარეულო ეკლესიაში დაკრძალა.

ილია მინიატისის უდროო სიკვდილი მისი მრავალი თზულების დაკარგვის მიზეზი გახდა. მრავალი წლის მანძილზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან შემორჩა მცირე ნაწილი ახალბერძნულად, რამდენიმე ქადაგება იტალიურ ენაზე და პოლემიკური თხზულება სათაურით: «ლოდი საცდურისა, ანუ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების განყოფის დაწყებისა და მიზეზის განმარტება და მათ შორის ხუთი სხვაობის განხილვა». მისი ქადაგებები და ორატორული სიტყვები მის ისტორიულ განსწავლულობაზე, ღვთისმეტყველების ღრმა ცოდნაზე, ორატორული და ბუნებრივი მჭევრმეტყველების დიდ ნიჭზე მიუთითებენ. ჩვენამდე მოღწეული ქადაგებები ყურადღებიან მკითხველს საშუალებას აძლევს, დაინახოს, რომ მინიატისი იყო ნამდვილი შოლტი მანკიერებისათვის. ამაქვეყნის ძლიერთაგან, ეპისკოპოსთა და მღვდელთაგან დაწყებული, საზოგადოების ყველა ფენას ამხელდა და მათში ფესვგამდგარ მანკიერებებს ამათრახებდა.

ყოველი მისი ქადაგება სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი და თემის ორმხრივი გაშუქება. მინიატისს ჰქონდა სასიამოვნო და მოღიმარი სახე, ცოცხალი თვალები, მიმზიდველი მზერა. მის სახეზე სიკეთე, გულის სინაზე და მახვილგონიერება იყო აღბეჭდილი. ჰქონდა გამაოგნებელი მახსოვრობის უნარი: ერთხელ ვენეციური პოლკის მეთაურს, რომელმაც ილირიის ჯარისკაცთა სახელობითი გადაძახილი მოისმინა, მინიატისმა უთხრა, რომ სიის მიხედვით გაიმეორებდა ჯარისკაცთა სახელებს. გენერალი გაოცდა, როცა მან ისინი იმ თანმიმდევრობით გაიმეორა, როგორითაც სია იყო შედგენილი.

მისი იტალიური ქადაგებები 1698 წელს გამოიცა, 1717 წ. კი საგანგებოდ გამოიცა მისი ორი ქადაგება სარწმუნოებასა და სიყვარულზე.

სიტყვა მარხვის პირველ კვირას

განჩინების შესახებ

«ხვალისაგან უნდა იესოს განსლვად
გალილეად და პოვა ფილიპე და
ჰრქუა მას იესო: მომდევდი მე»

(ინ. 1, 43)

არაფერია ისე ამაყი და ცნობისმოყვარე, როგორც ადამიანის გონება. თუმც ცოდვამ მნიშვნელოვნად დაასუსტა ის, თუმც რწმენა მისგან ბრმა მორჩილებას მოითხოვს, მაინც ასობით თვალს ახელს, რათა ყველაზე დაფარული გამოიძიოს. კარგი იქნებოდა, ასეთი ძალისხმევით ბუნების გასაოცარი საქმენი გამოეკვლია, რამეთუ ეს ადამიანის ბუნებითი სწრაფვაა, რომელსაც ის მთელი ყოფიერების შემეცნებასთან მიჰყავს. მაგრამ ადამიანი

ცდილობს შეაღწიოს ღვთაებრივ განგებულებათა მიუწვდომელ უხილავ სიღრმეებში, რათა დარწმუნდეს: ნამდვილად გონივრულად განაგებს თუ არა ყოველივეს უმაღლესი განგებულება ღვთისა, ის განსაზღვრავს კი წინასწარ ადამიანურ საქმეებს? განა ეს არნახული კადნიერება არ არის? ღვთაებრივი განჩინება ერთ-ერთი იმ უმეტესად მიუწვდომელ საიდუმლოთაგანია, რომლებიც ღვთაებრივი გონებისა და ყოვლადბრძნობის უფსკრულშია დამარხული. არცთუ შორს მხედველმა, აღქმაში შეზღუდულმა ადამიანურმა გონებამ თუნდაც შეისწავლოს და იკვლიოს ეს საიდუმლო _ მაინც ვერასდროს ჩასწვდება მას. მეცნიერო ღვთისმეტყველნო, ვიცი როგორ მსჯელობთ ღვთაებრივი განჩინების შესახებ. თქვენ ამბობთ, რომ განჩინება, ეს წინასწარხედვა და წინასწარი განმზადებაა ღვთის კეთილ საქმეთა, რომლებითაც უცილობლად ცხონდებიან ყველანი, ვისაც ცხონება სურს; რომ ის გონიერი ქმნილების აღსვლაა საუკუნო ცხოვრებისაკენ, არის აღრჩეულობა მადლისა და დიდებისათვის. მაგრამ არ გესმით, რომ ღმერთი დასაბამიდან ითვალისწინებს ყოველივეს, რასაც ადამიანები დროში აკეთებენ, რომ ღვთის ეს წინასწარი განჭვრეტა მტკიცეა, ხოლო ადამიანური საქმეები დროში _ თავისუფალი. რანაირად შეიძლება შევათავსოთ ღვთის ზრახვის უცვლელობა და გონიერ ქმნილებათა თავისუფალი თვითგანსაზღვრულობა? ღვთის გადაწყვეტილების უცვლელობას რის გამო არ მივყავართ აუცილებლობასთან? რატომაა ის უეჭველი და არ ექვემდებარება შემთხვევითობას? _ შორს, შორს გავიდეთ ამ კითხვებისგან და მეცნიერთა შეცბუნებისაგან, კითხვებისგან, რომლებიც არ ასწავლიან, არამედ მხოლოდ აბნელებენ გონებას. ამ გაუგებარ ნაწილში ჩვენ, ძმებო, მხოლოდ ერთი რამ გვესმის: სახელდობრ, ის, რომ განჩინება არის შეხამება ღვთაებრივი მადლისა და ადამიანის ნებისა, ღვთის მადლის, რომელიც უხმობს, და ადამიანის ნების, რომელიც ხმობას მისდევს.

გალილეისაკენ მიმავალ გზაზე ქრისტე ფილიპეს პოულობს და უხმობს მას: *«მომდევდი მე»* (იხ. 1, 43). ფილიპემ ირწმუნა და გაჰყვა *«რომელი-იგი დაწერა მოსე სჯულსა და წინაჲსწარმეტყველთა, ვპოვეთ: იესო, ძე იოსებისი ნაზარეთით»* (იხ. 1, 45). ამგვარად ფილიპე წინასწარ განისაზღვრება სამოციქულო ღირსებისთვისა და ცათა სასუფევლის დიდებისათვის. დღეს სწორედ ამაზე გესაუბრებით. შევეცდები, დავამტკიცო ორი მდგომარეობა: პირველ რიგში _ ღმერთს სრულად აქვს სურვილი _ აცხონოს ყოველი ადამიანი; მეორე _ ადამიანს აქვს სრული თავისუფლება _ ცხონდეს ღვთაებრივი მადლის შემწეობით. ღმერთს ნებავს, და თუ ეს ნებავს ადამიანსაც, მაშინ ის უკვე განჩინებულია.

I

განჩინების შესახებ სწავლება სარწმუნოების დოგმატია, ის წმინდა წერილზეა დაფუძნებული და მასში მართლმადიდებელთაგან ეჭვი არავის ეპარება. *«რომელნი-იგი ... განაჩინნა ... მსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა, რაჲთა იყოს იგი პირმშო მრავალთა შორის ძმათა; ხოლო რომელნი-იგი განაჩინნა, მათცა უწოდა; და რომელთა-იგი უწოდა, იგინიცა განამართლა ... იგინიცა ადიდნა»* (ჰრომ. 8, 29-30). ღვთაებრივ, საიდუმლო წინასწარჭვრეტის გონმიუწვდომელ წიგნში ღმერთი სასიცოცხლოდ ჩაწერს იმათ, ვინც შეიყვარა, ხოლო სასიკვდილოდ _ ვინც შეიძულა. *«იაკობი შევიყუარე, ხოლო ესავი მოვიძულე»* (ჰრომ. 9, 13) ამბობს თავად ღმერთი. როგორც მექოთნე ერთი და იგივე თიხისაგან ამზადებს ერთ ჭურჭელს საპატიოს, მეორეს კი _ არასაპატიოს, ასევე ყოვლადძლიერი ღმერთი თავის ქმნილებათაგან ერთს განადიდებს, როგორც ფასეულს, მეორეს განაგდებს, როგორც უსარგებლოს *«რომელი ჰნებავს შეიწყალებს; და რომელი*

ჰნებავს, განაფიცხებს» (ჰრომ. 9, 18) ღმერთი თავისი ნებით მოქმედებს; ვის შეუძლია შეეწინააღმდეგოს მას? *«ნებასა მისსა ვინ-მე წინააღუდგა?»* (ჰრომ. 9, 19). მაგრამ ამის გამო ღმერთს რაიმე უსამართლობა ხომ არა აქვს? ნუ იყოფინ! აი სწავლება პავლე მოციქულისა, სწავლება დაფარული და ამაღლებული, რომელსაც რაც მეტად ვუღრმავდებით, მით ნაკლებად გვესმის. მერედა აქედან რა? დაე ყველაფერი, რასაც წმინდა წერილი განჩინების საკითხის შესახებ ამბობს, გაუგებარი იყოს ჩვენთვის, რამეთუ ის მიუწვდომელია, რასაც წმინდა მამათა განმარტებები ამბობენ, საძნელო; სწავლულ ღვთისმეტყველთა აზრები, შეუმეცნებელია, რადგან ბუნდოვანია ისინი. დაე ეს დანაშაულად შეერაცხოს ჩვენს გონებას, სუსტსა და ბრმას, რომელსაც არ ძალუძს აღსვლა სიმაღლეზე და უხილავის განხილვა, ეს თვით მესამე ცამდე ასულ პავლესაც არ ესმოდა. ღვთაებრივ გამოცხადებათა ამ სიმაღლეზე ის მხოლოდ გონებაზე აღმატებული ღვთაებრივი ყოვლადბრძნობის გამოუკვლეველ სიღრმეს ხედავდა. ამიტომაც შესძახა განცვიფრებულმა: *«ჰოი სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა»* (ჰრომ. 11, 33) «შესაძლებელიც რომ ყოფილიყო ამის ახსნა, ცოდვა იქნებოდა ამის მოსურვება» ამბობს ოქროპირი. საკმარისია იცოდე ეს ორი ნათელი, მსუბუქი და მტკიცე მდგომარეობა: პირველი, რომ ღმერთს უნდა ჩვენი ცხონება, რამეთუ კაცთმოყვარეა; მეორე, ჩვენ შეგვიძლია ვცხონდეთ, რამეთუ თავისუფალი ვართ. ღვთის ნება და ადამიანური ნება განაჩინებენ. ღმერთს უნდა; თუკი უნდა ადამიანსაც, მაშასადამე ის განჩინებულია.

დიახ, კაცთმოყვარე ღმერთს უნდა, რომ ჩვენ ყველანი ვცხონდეთ და ეს მტკიცდება მისი იმ სამი თვისებით, რომელიც ურთიერთს არ ეწინააღმდეგება _ ღვთაებრივი მართლმსაჯულებით, მოწყალებით და განგებულებით. ღმერთმა მოგვმადლა სჯული განურჩევლად ყველას და უნდა, რომ ის ყველამ აღასრულოს: არ არის კაცი, რომ მოვალე არ იყოს ღვთის სჯულის აღსრულებისა. ბერძნები და ბარბაროსები, უსჯულონი და მართლმადიდებელნი, იუდეველნი და ქრისტიანები მოვალენი არიან ეს ვალი აღასრულონ. ამით რა ჯილდოს მოელიან ადამიანები? _ ცხონებასა და ცათა სასუფეველს. *«და უკუეთუ გინდესთ, და ისმინოთ ჩემი, კეთილნი ქუეყანისანი შჭამნეთ»* (ეს. 1, 19), ესაიას პირით ასე აღგვითქვამს უფალი. უდიდესი უსამართლობა ხომ არ იქნებოდა ის, რომ ღმერთს ერთი მხრივ სდომებოდა მისი სჯულის აღსრულება ხალხის მიერ, მეორე მხრივ საყოველთაო ცხონება არ სდომებოდა? ერთი ნაწილი საცხოვნებლად განეჩინებინა, ხოლო მეორე ნაწილისთვის ტანჯვა წინასწარ განესაზღვრა? როგორ? ყველას ღვაწლისკენ მოუწოდებს და ჯილდოსკენ მხოლოდ ზოგიერთს? მოითხოვს, რომ ყველა ერთნაირად ემსახუროს, მაგრამ ერთნაირი საზღაურის მიგება არ სურს? არა, მართლმსაჯულია ღმერთი, ის თვით მართლმსაჯულებაა: ყველასათვის სჯულის მიცემით მას ყველას ცხონება სურს. *«ყოველთა კაცთად ჰნებავს ცხოვრებად»* (1 ტიმ. 2, 4) ამბობს მოციქული; «რამეთუ ყველასათვის სჯულის მომცემი, თავისი სასუფევლიდან არავის აძევებს» _ განგვიმარტავს წმ. ამბროსი; შემდგომ, ვინ აიძულა უფალი ზეციდან ჩამოსულიყო და განკაცებულიყო? მისმა უკიდურესმა გულმოწყალებამ! *«რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას»* (ინ. 3, 16) აქ, დედამიწაზე გატარებული ოცდაცამეტი წლის მანძილზე რამდენი იღვაწა ღმერთკაცმა იესომ, რამდენი იტანჯა, როგორ მოკვდა! ეკლესიის მამები ამბობენ, რომ ქრისტეში ღვთაებასთან კაცობრიობის იპოსტასური ერთობის შედეგად ქრისტეს ყოველი საქმე უსასრულო პატივისა და დიდების ღირსია, ასე რომ ქრისტეს სულ მცირე ტანჯვასაც

შეუძლია მსოფლიო ცოდვა გამოისყიდოს. მისი ყოვლადწმინდა სისხლის ერთ წვეთსაც შეუძლია ჩააქროს ყველა ალი საუკუნო ტანჯვისა; ერთ სიკვდილს, ბუნებრივს, უმტკივნეულოს შეეძლო ეხსნა კაცთა მთელი მოდგმა. მაგრამ როცა იტანჯა, ასე არავის უტანჯია, _ როცა თავისი სისხლი უკანასკნელ წვეთამდე დათხია, როცა ასეთი წამებითა და სირცხვილით მოკვდა ჯვარზე, _ ნუთუ ფიქრობთ, რომ ეს ყოველივე მხოლოდ იმისათვის გადაიტანა, რომ ადამიანთა ერთი ნაწილი ეხსნა, მეორე კი წარსაწყმედელში დაეტოვებინა? ისე მსუბუქად შეეძლო ყველას ცხონება და ასეთი ძალისხმევით ისურვა მცირედთა ხსნა? მან უსაზღვრო საგანძური მხოლოდ იმისათვის დახარჯა, რომ პატარა გამოსასყიდი გაეკეთებინა _ თავისი ღვთაებრივი მოწყალების მთელი სიმდიდრე გადმოღვარა, რათა ასე მცირედთათვის ეყო სიკეთე? არა, ყველაზე, ყველაზე მოიფინება სიმდიდრე ღვთაებრივი ძღვენისა! იესო ქრისტეს ჭრილობა ყველასათვის იყო კურნება. იესო ქრისტეს სისხლი ყველასათვის სასწაულებრივი კიბეა, რომლითაც ყველანი აღვდივართ სამოთხეში. *«ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელი ღმრთისა და კაცთაჲ, კაცი იესო ქრისტე; რომელმან მისცა თავი თჳსი საჴსრად ყოველთა»* (1 ტიმ. 5-6); *«ერთი იგი ყოველთათჳს მოკუდა»* (2 კორ. 5, 14), და თუკი მოკვდა ყველასათვის, ეს ნიშნავს, რომ ყველას ცხონება სურს. «მზე სიმართლისა ყველასათვის აღმობრწყინდა, ყველასათვის იცხოვრა, მოკვდა, ყველასათვის აღდგა» _ დაამოწმებს გრიგოლ ღვთისმეტყველი. ამასთან უეჭველი და უცილობელი ჭეშმარიტება ის არის, რომ ღვთის უმაღლესი განგებულება ყველა ქმნილებაზე ვრცელდება. «ღმერთი ყოველივეს ითვალისწინებს და ყოველივეზე ზრუნავს» _ ამბობს ბასილი დიდი; ეს განგებულება განსაკუთრებულად მთელ კაცთა მოდგმაზე ვრცელდება. სწორედ ეს არის ის ღვთაებრივი მამობრივი მზრუნველობა, რომელზედაც მთელი ჩვენი საზრუნავის მინდობას გვიწესებს ნეტარი პეტრე *«ყოველივე ზრუნვაჲ თქუენნი მიუტევეთ მას, რამეთუ იგი იღუწის თქუენთჳს»* (1 პეტ. 5, 7). ღვთის ბრძანებით ისევე ამოდის მზე მორწმუნეთათვის, როგორც ურწმუნოთათვის. ღმერთმა ნავსაყუდელი მოაწყო როგორც კეთილმსახურთათვის, ასევე უღირსთათვის, ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და პატივს ყველა ტომს ისევე მიჰმადლის, როგორც მათ, ვინც მას ეთაყვანება, ასევე მის არმცნობლებს. თუკი ღმერთს სურს და ყველას ურიგებს იმას, რისთვისაც არ შევქმნილვართ, ანუ მიწიერს, დროებითს, მითუმეტეს ინდომებს და მისცემს ყველას იმას, რისთვისაც ვართ შექმნილი _ ზეციურსა და მარადიულს. თუკი ზეციური მამა ყველაზე ფიქრობს, ე.ი. ყველასათვის სურს ცხონება. ღმერთს სურს, რომ ყველა ცხონდეს. ამიტომაც უბრძანებს მზეს ამოვიდეს ბოროტებისთვისაც და კეთილებისთვისაც; უბრძანებს წვიმას ეპკურონ ცოდვილებსაც და მართლებსაც. მაშ ასე, ღმერთს, თავისი მართლობით, მოწყალებითა და განგებულებით ყველასათვის სურს ცხონება და რამდენადაც ეს მასზეა დამოკიდებული, არავისი წარწყმედა არ უნდა, უმცირესისაც. ამას ამტკიცებს ძე ღვთისა წმინდა სახარებაში: *«ესრეთ არა არს ნებაჲ მამისა თქუენისა ზეცათაჲსაჲ, რაჲთა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი» (მთ. 18, 14)* ის ყველას თავისკენ უხმობს და ამიტომ *«ღმერთი ღმერთთაჲ უფალი იტყოდა და უწოდა ქუეყანასა»* (ფს. 49, 1) მაღლითგან და დასაბამიდან ღაღადებდა წინასწარმეტყველთა პირით; ღაღადებდა ბოლო ჟამს ძეში, განხორციელებულ სიტყვაში, და მთელ დედამიწას ცხონებისაკენ მოუწოდა. ამიტომ ზეციურ იერუსალიმს, სახელგანთქმულ ქალაქს ღვთისას, სამოთხეს, როგორც იხილა იოანემ აპოკალიფსში, თორმეტი კარიბჭე ჰქონდა, სამ-სამი კარი ქვეყნიერების ოთხივე მხარეს იყო მიმართული, რათა ვიცოდეთ, რომ ღმერთმა სამოთხე მთელი

სამყაროსათვის განახვნა. *«ღმერთი ღმერთთაჲ უფალი იტყოდა და უწოდა ქუეყანასა, რამეთუ ყოველი ადამიანის ცხონება სურს»* ეს მართლაცდა ისეთი სურვილია, რომელსაც წმინდა იოანე დამასკელთან ერთად ღვთისმეტყველთა მთელი დასი საწინაპირობოს უწოდებს; ის თავისთავად არ არის საკმარისი ადამიანის ცხონებისათვის. ის არის თითქოსდა ცეცხლოვანი სვეტი, ღამით გზას რომ უჩვენებდა ებრაელებს უდაბნოში _ გიჩვენებს გზას, მაგრამ ცხონების გზაზე არ გიწვევს. ეს არის ღვთის მადლი, წინაპირობა, მაგრამ ადამიანი მას თავისი ნებით უნდა გაყვეს. ღმერთი უხმობს, მაგრამ ადამიანმა აუცილებლად უნდა ისმინოს მისი. ღვთის ნება მხოლოდ ერთი ფრთაა, აუცილებელია მეორე ფრთა, ჩვენი ნება, რათა ზეცაში ავფრინდეთ. ნება ღვთისა და ადამიანის ნება შეადგენენ განჩინებას. ღმერთს უნდა, ხოლო თუკი უნდა ადამიანსაც, ის უკვე განჩინებულია. თავდაპირველად ღმერთმა ადამიანი თავისუფალი შექმნა, მის საკუთარ ნებასვე მიანდო, არ სურს მის თავისუფლებაზე რაიმე ზეწოლა. ყოვლადძლიერია უფალი თავისი ხელისუფლებით. ყოვლადძლიერია ადამიანიც საკუთარ თავისუფლებაში. სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთი ყველაფერს აკეთებს, რაც სურს და ამაში მას ვერანაირი ძალა აღუდგება, ადამიანი კი არ აკეთებს იმას, რაც არ სურს და ვერც ვერაფერი აიძულებს. შეუძლებელია, რომ ღმერთმა არ აღასრულოს ის, რაც სურს; ასევე შეუძლებელია, რომ ადამიანმა ქმნას მისთვის არასასურველი, ამიტომ, ისევე, როგორც ადამიანს არ ძალუძს ცხონება ღვთის მადლის გარეშე, ასევე არ ძალუძს ღმერთს აცხონოს ადამიანი მისი თავისუფალი ნების გარეშე.

«მადლი, თუმცა ის მადლია, მხოლოდ მსურველებს აცხონებს» _ ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი. ღვთისმეტყველის სიტყვით, ცხონება, ჩვენი და ღვთის საქმე უნდა იყოს. დედამიწას აწვიმს, მაგრამ მიწა ნაყოფს არ მოიწევს, თუ მასზე მიწათმოქმედმა არ იმუშავა. მზე ყველგან ანათებს, მაგრამ ვისაც მისი დანახვა უნდა, თვალი უნდა გაახილოს. მაშასადამე ღმერთი მადლსა და შეწევნას მოგვმადლის, მაგრამ ამ მადლს უნდა ახლდეს, ხოლო ღვთაებრივ შეწევნასთან ერთად უნდა თანაიქმოდეს ნება კაცისა. უფალს ნოეს გადარჩენა უნდა წარღვნისაგან, რომელშიც მთელი მსოფლიო დაიღუპა, მაგრამ მოითხოვს, რომ მან კიდობანი თავისი ხელით ააშენოს. უნდა ნეემანის განკურნება კეთრისაგან, მაგრამ მოითხოვს, რომ ნეემანი წავიდეს და იორდანეში თავად განიბანოს; უნდა უსინათლოსთვის თვალის ახელა, მაგრამ მოითხოვს, რომ ის თვითონ წავიდეს სილოამის საბანელთან და განიბანოს. ღმერთს ყველა ადამიანის ცხონება სურს, მაგრამ მოითხოვს, თავის ცხონებას თითოეულმა ხელი შეუწყოს. ადამიანი თავისუფალია და თვალწინ არჩევანი აქვს: წყალი და ცეცხლი, სიცოცხლე და სიკვდილი. ადამიანი გონიერია, მას გონება მართავს: მას შეუძლია განასხვაოს სიკეთე ბოროტებისაგან, ნათელი ბნელისაგან. თითოეულ ადამიანს გულზე ბუნებითი სჯული აქვს დაწერილი, რომელიც ცხონებისაკენ მიმავალ ჭეშმარიტ გზას უჩვენებს. მაშ ასე, რა არის საჭირო წინასწარ განსაზღვრისათვის (განჩინებისათვის), თუ არა ღვთის მადლი, სრულად მოწვდილი, და თავისუფალი ნება ადამიანისა? უნდა ღმერთს; თუკი უნდა ადამიანსაც, მაშასადამე ის ცხონდა.

ვიცი, როგორ შეცბუნებას გამოიწვევს ადამიანში ეს საკითხი. შეუძლიათ მითხრან: ღმერთმა, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე ესავი და იაკობი რაიმე კარგს ან ცუდს გააკეთებდნენ, იქამდეც კი, ვიდრე იშვებოდნენ, იაკობი შეიყვარა, ესავი კი მოიძულა. *ჰნებავს ღმერთსა, შეიწყალებს, და რომელი ჰნებავს, განაფიცხებს»* (ჰრომ. 9, 18). ღმერთმა ერთი და იგივე თიხისაგან სხვადასხვა ჭურჭელი შექმნა, ერთი საპატიო, მეორე _ უპატიო. ეს ნიშნავს _

უფალი ერთს უხვად მიჰმადლის წყალობას, მეორეს _ არა. ღმერთი სრულიად თავისუფალია თავის ქმედებებში *«რამეთუ ნებასა მისსა ვინ-მე წინაღუდგეს?»* (ჰრომ. 9, 19). ამის შემდეგ როგორღა შეიძლება სურდეს მას საყოველთაო ცხონება, თუკი ერთ მხარეს მთელ თავის სიყვარულს აფრქვევს, მეორეს კი მთელ თავის რისხვას? ღმერთს ჯერ კიდევ ჩემს გაჩენამდე რომ ესავივით შევძულებოდი, რომ გასასტიკებულიყო ფარაონივით ან უღირსების ჭურჭლად შევექმენი გარყვნილი ხასიათით, სადღა იქნებოდა ჩემი თავისუფალი ნება სიკეთის კეთების ან საკუთარი ცხონების უზრუნველყოფისა? ქრისტიანენო, ვაღიარებ, რომ წმინდა წერილის ზემოთ მოყვანილი ტექსტი ამგვარ გაკვირვებასაც ბადებს, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობა აქვს. საიდუმლო კურთხევა, რომელიც პატრიარქმა ისააკმა თავის შვილებს მისცა, მართლაც ღვთაებრივი განგებულებით აღსრულდა; ადამიანური განსჯით ის სრულიად მცდარი ჩანს. ესავი და იაკობი _ ისააკის შვილები არიან: ესავი _ უფროსი იყო, იაკობი _ უმცროსი. ბუნებითი კანონით ესავს პირველს უნდა მიეღო მამის კურთხევა, მაგრამ ის პირველმა იაკობმა მიიღო. ეს განაპირობა სამმა გარემოებამ, რომლებიც სამ დიდ შეცდომას წარმოადგენს. პირველი: *«და შემდგომად სიბერისა მის ისაკისა დაუბრყჳლდეს თუალნი მისნი ხედვად»* (დაბ. 27, 1). და ის სიბრმავის მიზეზით, ისე, რომ წინასწარ არ გამოიძიებს, თუ ვინ ასაღებდა თავს უმრწმესად, კურთხევას აძლევს. მეორე: ვიდრე კურთხევას მისცემდა, ისააკმა თავის ძეს ძღვენი მოსთხოვა _ ნანადირევის ჭამა ინდომა: *«განვედ ველად და მინადირე მე ნადირი; და მომართუ მე და ვჭამო»* (დაბ. 27, 3-4). ასე ყიდის თავის კურთხევას მაშინ, როცა ეს უსასყიდლოდ უნდა გაეკეთებინა. მესამე: ისააკი მოტყუებულ იქნა თავისი ცოლის რებეკას მიერ, რომელსაც იაკობი ესავზე მეტად უყვარდა. მან იაკობს ესავის სამოსი ჩააცვა; ამგვარად ისააკმა აკურთხა იაკობი, რადგან ეგონა, რომ ესავი იყო. მოგვიანებით, როცა ეს შეიტყო, შეძრწუნდა მოხუცი ისააკი _ *«განცჳფრდა ისაკ განცჳფრებითა დიდითა»* (დაბ. 27, 33). ამ ერთობ დიად საქმეში პატრიარქი ასე ადვილად იქნა მოტყუებული ცოლისაგან. უსინათლო, საჭმლის საშუალებით მოტყუებული ისააკი ესავის კუთვნილ კურთხევას იაკობს აძლევს. მაგრამ ვინ იყო ისააკი? _ უბრალო ადამიანი. საზოგადოდ ადამიანი ხომ იძლევა კურთხევას, მიაგებს პატივს, უცოდინრობით დაბნელებული, ანგარებით ძლეული, ან უბრალოდ მოტყუებული აკეთებს არჩევანს. მაგრამ ღვთის გადაწყვეტილება კაცის გადაწყვეტილებას არ ჰგავს. *«არა არიან განზრახვანი ჩემნი, ვითარცა განზრახვანი თქუენნი»* (ეს. 55, 8) რამდენადაც შორსაა დედამიწა ზეცისაგან, იმდენად განსხვავდება ადამიანური სვე-ბედი ღვთაებრივისაგან. ღმერთი სხვაგვარად განაჩინებს, თავის მადლს სხვაგვარად უბოძებს, თავის დიდებას სხვაგვარად მიჰმადლის, სხვაგვარად აღირჩევს. ღმერთი ყოველივეს თვალს ადევნებს და თავისი ყოვლისმხედველი თვალით ყველაფერს უმცირესსა და დაფარულს ხედავს. ღმერთი მართალია და თითოეულს ღირსეულად განსჯის. ის არ უმზერს სახეებს, არ უყურებს ძღვენს *«არა თუალ-ახუნის, არცა შეიღის ქრთამი»* (2 სჯ. 10, 17), ღმერთი ყოვლადბრძენია და გაიძვერობით არ ტყუვდება, ვნებით არ იძლევა, სისუსტის გამო არ ღალატობს. მაშ ასე, ყოვლადბრძენმა, მართლმსაჯულმა და ყოვლისმხედველმა ღმერთმა შეიყვარა იაკობი, რამეთუ მისი ღვთივსათნო განწყობა განჭვრიტა, ხოლო ესავი მოიძულა, რამეთუ მისი ბოროტი ზნე წინასწარ უწყოდა. ის იწყალებს, როცა სურს, რამეთუ განჭვრეტს, რომ ის კაცი იქნება კარგი და მორჩილი ნებისა; ხოლო იმას განაგდებს, ვის ბოროტ და მოუნანიებელ გულსაც წინასწარ იხილავს. ერთს კურთხევის ჭურჭლად ხდის, როგორც პავლეს, მეორეს

კი უღირსების ჭურჭლად, როგორც ფარაონს, რამეთუ წინასწარ უწყის, რომ ის ნამდვილად ჭურჭელია დასაღუპად განწირული მრისხანებისა. ასე უნდა გავიგოთ ზემოთ მოყვანილი ტექსტი, ასე განმარტავენ მას წმინდა მამები, განსაკუთრებით ოქროპირი რომაელთა მიმართ მე-16 სიტყვის მე-9 თავში. ამგვარად, ხსენებული ტექსტი არ ამტკიცებს იმას, თითქოსდა ღმერთს არა აქვს შენი ცხონების სურვილი, ან შენ არა გაქვს თავისუფლება ცხონებისა. კაცთმოყვარე ღმერთი ყოველთვის გიხმობს, შენც ისურვე და ყოველთვის წინასწარგანჩინებული იქნები. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთი იმას აკეთებს, რაც სურს, რამეთუ ყოვლისშემძლეა. მაგრამ ასევე ვიცით, რომ ღმერთი მხოლოდ აუცილებელს აღასრულებს, რამეთუ _ მართლმსაჯულია. და თუმცა ღვთაებრივი განგებულება არ ვუწყით, რადგან ეს ღრმა უფსკრულია, ყოველ შემთხვევაში, გვწამს, რომ ღმერთში არ არის პირმოთნეობა.

როცა იესო ქრისტე იერუსალიმში ადიოდა, იაკობი და იოანე, ძენი ზებედესნი, მის წინაშე თავიანთ დედასთან, სალომესთან, ერთად წარდგნენ. თაყვანს სცემენ მას და სთხოვს სალომე: *«დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სასუფეველსა შენსა»* (მთ. 20, 21). შეაშფოთა ქრისტე ამ უცნაურმა თხოვნამ და მიუგო: *«არა იცით, რასა ითხოვთ ... არა არს ჩემი მიცემად»* (მრკ. 10, 38-40). რატომ? განა ის ყოვლადძლიერი ღმერთი არ არის? განა არ შეუძლია ის აკეთოს, რაც სურს? ვის შეუძლია მას წინ აღუდგეს? *«ნებასა მისსა ვინ-მე წინააღუდგა»* (ჰრომ. 9, 19). იაკობი და იოანე ისევე, როგორც სხვები, მართლაც მოციქულები იყვნენ. მაგრამ ყველა მოციქულიდან მხოლოდ მათ ჰქონდათ ქრისტესთან ნათესაობა მიმადლებული. კეთილი! მაგრამ ღმერთს პირმოთნეობა არა აქვს; ღმერთი არ უყურებს არც შუამდგომლობას, არც ნათესაობას. რებეკას შეეძლო, მოტყუებით იძულებული გაეხადა ისაკი, რომ მას უსამართლობა ჩაედინა, რადგან ისაკი ადამიანი იყო. მაგრამ სალომემ ვერ შეძლო ქრისტე პირმოთნეობაზე დაეყოლიებინა. *«არა იცით, რასა ითხოვთ ... არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა განმზადებულ არს»* (მრკ. 10, 38-40). ანუ თქვა: მე ჩემი მხრივ არავის განვაგდებ ჩემი დიდებისაგან, არავის გამოვარჩევ. უპირატესობას ღირსეული მიიღებს. სიტყვა *«ვიეთა განმზადებულ არს»* ნიშნავს «შესთავაზე ღირსეულთ, რომლებმაც არა მხოლოდ მიიღეს ღვთისაგან ეს თვისებები, არამედ თავადაც განივითარეს ისინი» გვიხსნის ღვთისმეტყველი. მაშ ასე, ღმერთი პირმოთნე არ არის. ის თავის სასუფეველში ყველას უხმობს, არავის გამოყოფს, არამედ უპირატესობას ღირსეულთ ანიჭებს. შენც იქენი ღირსეული და წინასწარ განიჩინები.

«მე ვიყო ღირსეული? ეს როგორ? განა ღმერთმა წინასწარ არ უწყის სამოთხისთვის ვარ განწესებული თუ ტანჯვისთვის განწირული? თუ სამოთხისთვის ვარ განწესებული, მის მისაღწევად დიდი შრომა არ მჭირდება; ხოლო თუ ტანჯვა მაქვს მოსჯილი, მცდელობა ამის თავიდან აცილებისა ასევე ამაოა. არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში თავისუფალი არა ვარ. ხოლო თუკი თავისუფალი ვარ იმის კეთებაში, რასაც ღმერთი არ ჭვრეტს. გამოდის, რომ ღმერთი ცდება, ეს კი შეუძლებელია».

რას ამბობ ადამიანო?! თუკი თავისუფალი ხარ, ცდება ღმერთი? მე კი ვამტკიცებ, რომ თუკი მე თავისუფალი არა ვარ, ღმერთი მატყუებს, რამეთუ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა პირით, ასევე თავისი საკუთარი პირით სინანულისაკენ მიხმობს, თუმცა თავადაც კარგად იცის, რომ სინანულის თავისუფლება არ მაქვს. მატყუებს, როცა ჯვარს იღებს და მომიწოდებს, რათა გავყვე, თვითონ კი ჩემგან ნება აქვს წაღებული. მატყუებს,

როცა მცნებების შესრულებას მიბრძანებს, თავისი წინასწარი ჭვრეტით კი ძალა მთლიანად აღმიკვეთა. მაშ ასე, თუკი თავისუფალი არა ვარ, ხომ არ არის ჩვენი რწმენა სიცრუე, სახარება კი _ მხოლოდ ხუმრობა? არა! ღმერთი არ ცდება, რამეთუ ის თავად ყოვლადბრძნობაა, არავის ატყუებს, რამეთუ თავად ჭეშმარიტებაა. შენ არ გესმის, რა არის ღვთაებრივი განჭვრეტა და რას აღასრულებს ის. მაშ ისმინე. ის ჭეშმარიტად შებრკოლების ქვაა, რომელსაც მრავალნი ფეხს კრავენ და ეცემიან. მაგრამ ვინც მის შესახებ იმასვე ფიქრობს, რასაც შენ, ძალიან ცდება და შორსაა ჭეშმარიტებისაგან. თუკი ჯანმრთელი არა ხარ, ღმერთი განჭვრეტს გამოჯანმრთელდები თუ მოკვდები. განა ამის გამო ექიმი არ უნდა მოიყვანო, წამალი არ უნდა მიიღო, იჯდე და გამოჯანმრთელებას ან სიკვდილს ელოდო? ასეთ შემთხვევაში ძალზე უგონო და სულელი იქნებოდი. ერთია, როცა ღმერთი შენს გამოჯანმრთელებას ან სიკვდილს წინასწარ განჭვრეტს (ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა) და სულ სხვაა, თითქოსდა ღვთიური ჭვრეტა ჯანმრთელობას ან სიკვდილს გიგზავნიდეს; საკუთარ თავს რომ მოუარო, გამოჯანმრთელდები, წინააღმდეგ შემთხვევაში _ მოკვდები. ღმერთი ერთსაც და მეორესაც წინასწარ განჭვრეტს, მაგრამ არც ერთი არ მოჰყავს სისრულეში. თუ გამოჯანმრთელდები, ან მოკვდები, ორიდან ერთი იქნება სწორი, მაგრამ არა განსაზღვრული. შეეცადე მიხვდე. ღმერთი ნამდვილად წინასწარ განჭვრეტს, თუ სად იქნები _ სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში, მაგრამ შეიტყე თუ რა მოსდევს ამას. სარკეში ისეთები ვჩანვართ, როგორებიც სინამდვილეში ვართ. ღვთაებრივ ჭვრეტაშიც ისეთივე წარმოვდგებით, როგორებიც ვართ: ან ნათელი ასოებით სიცოცხლის წიგნში ჩაწერილები, ან სიკვდილის საბედისწერო წიგნში მონიშნულები: თუ მართალნი ვართ, _ ცხონებულ მართალთა შორის, ხოლო თუ ცოდვილნი _ განსჯილ ცოდვილთა სიაში. სარკე ჩვენს გარეგნობას ირეკლავს, ხოლო ღვთის ჭვრეტა _ ჩვენს ნებას. აი გრიგოლ ნოსელის აზრი: «ღვთის მართალი სამსჯავრო ჩვენი განწყობილებისდა მიხედვით მოიაზრება, როგორიც არის ჩვენი შინაგანი გრძნობა, მასვე მოგვაგებს თავისი თავისაგან». და როგორც სარკე არ ხდის ადამიანს ლამაზს ან უსახურს, ასევე ღვთის წინასწარჭვრეტა, რომლითაც ერთნი სამოთხისთვის არიან განწესებულნი, მეორენი კი _ სატანჯველისთვის, სინამდვილეში არც პირველს ეწევა საცხოვნებლად და არც მეორეს წარსაწყმედლად.

«უფლის წინასწარი ჭვრეტა მხოლოდ ხედვითია და არა ქმედითი» _ ამბობენ ღვთისმეტყველნი. ეს კი ნიშნავს, რომ ცხონდები ან წარწყდები არა იმიტომ, რომ ღმერთმა ეს წინასწარ განჭვრიტა, არამედ იმიტომ, რომ შენი კეთილი საქმეებით ღვთის მადლთან თანაიმოქმედე, ამით უნდა გადარჩე და ღმერთიც ჭვრეტს შენს ცხონებას; ან იმის გამო წარწყდი, რომ შენი ბოროტი საქმეებით ღვთის მადლს გაექეცი და ღმერთმა ესეც განჭვრიტა. ამგვარად, იუდამ იმიტომ კი არ გასცა ქრისტე, რომ ქრისტემ ეს წინასწარ განჭვრიტა, არამედ პირიქით _ ქრისტემ განჭვრიტა იუდას ღალატი იმიტომ, რომ მას განზრახული ჰქონდა ქრისტეს გაცემა. ამის შესახებ ფილოსოფოსი და მოწამე, ბრძენი იუსტინე ამბობს: «წინასწარი ჭვრეტა არ არის მომავლის მოვლენათა მიზეზი, არამედ მომავლის მოვლენებია მიზეზი წინასწარი ჭვრეტისა. მომავალი არ მომდინარეობს წინასწარი ჭვრეტიდან, არამედ მომავლისაგან გამომდინარეობს წინასწარი ჭვრეტა; გაცემის მიზეზი არ არის ქრისტე, არამედ თვით გაცემაა მიზეზი ღვთის წინასწარი ჭვრეტისა». თუკი ღვთივსათნოდ იცხოვრებ, ცხონდები, ხოლო თუ აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევი _ დაიღუპები. ღმერთი ერთსაც და მეორესაც წინასწარ განჭვრეტს, მაგრამ არც ერთს და არც

მეორეს ის წინასწარ არ წყვეტს. ან ცხონდები, ან წარწყდები _ ეს უეჭველია, მაგრამ წინასწარ გადაწყვეტილი არ არის.

რომ გითხრა, უკვე გადაწყვეტილია ცხონდები თუ წარწყდები-მეთქი, განა ამის გამო ეკლესიაში არ უნდა იარო, მოძღვარს აღარ უნდა მიმართო, არ ისწრაფო ქრისტიანული სათნოებებისკენ, შეწყვიტო სინანული, შენი მხრივ არაფერი აკეთო და შენს ცხონებას ან განსასჯელს დაელოდო? ასეთ შემთხვევაში შეშლილი და სულელი ადამიანი იქნებოდი. კიდევ ერთხელ ჩაიხედე სარკეში, გთხოვ. დღეს ჯანმრთელი ხარ და სარკეც ამასვე გიჩვენებს, ხვალ ავად იქნები და სარკე შენს სახეს ასეთივეს აირეკლავს, რომ მომჯობინდები _ ისევ ძველ სახეს გიჩვენებს. როგორც იცვლება შენი სახე, სარკეც ისევე ცვლის მას. ახლა, როცა ღვთივსათნოდ ცხოვრობ, ღმერთი სამოთხეში წინასწარ განგამწესებს. ხვალ შესცოდავ და ღმერთიც სატანჯველს მოგიმზადებს. კვლავ მოინანიე და ისევ ცხონება გელის. როგორც შენ ცვლი შენს ცხოვრებას, ასევე ცვლის გადაწყვეტილებას ღმერთი. ღვთის სამსჯავრო ჩვენს ნებასთან და «ჩვენს განწყობასთან ერთად მოიაზრება». წმინდა წერილიდან ორ პატარა მაგალითს მოვიყვან და ამით დავასრულებ. ნეტარი პავლე ერთი ალექსანდრიული გემით შებორკილი მიცურავდა იტალიაში, რათა იმპერატორის წინაშე წარმდგარიყო. შუაღამისას ქარიშხალი ამოვარდა, ძლიერი ქარი ქრის, ზღვა საშინლად ღელავს, ხსნა არსაიდანაა. მაგრამ ღმერთი, რომელსაც თავისი მონის ხსნა უნდა, მასთან ანგელოზს აგზავნის ასეთი სიტყვებით: *«ნუ გეშინინ, პავლე! ... მიგმადლნა შენ ღმერთმან ყოველნი, რომელნი არიან შენ თანა ნავსა მაგას»* (საქ. 27, 24) ამ ღვთაებრივი აღთქმის შემდეგ მენავენი გამხნევდნენ. თავიანთ გადარჩენაში დარწმუნებულებს ხომალდის დატოვება და ნავში ჩაჯდომა უნდოდათ, რათა ნაპირამდე იმით მიეცურათ. არა, უთხრა მათ პავლემ, *«უკუეთუ ესენი არა იყვნენ ნავსა შინა, თქუენ განჩინებად ვერ ჴელ-გეწიფების»* (საქ. 27, 31). რას ამბობ პავლე? განა ღმერთმა ყველას გადარჩენა არ განსაზღვრა? განა სულ ერთი არ არის გემზე დარჩებიან თუ არა ისინი? არა, ღმერთმა მათი გადარჩენა განსაზღვრა, მაგრამ მოითხოვს, რომ ამას მათაც შეუწყონ ხელი. თუკი ისინი გემზე არ დარჩებიან და თავიანთ საქმეს არ გააკეთებენ, დაიღუპებიან. ვინ დაიღუპება? ისინი, ვისაც უფალმა გადარჩენა განუსაზღვრა? განა ღვთის განგებულება იცვლება? დიახ, სხვაგვარად არც შეიძლება რომ იყოს *«ესერა მიგმადლნა შენ ღმერთმან ყოველნი, რომელნი არიან შენ თანა ნავსა მაგას».* _ სხვა მაგალითი: ავად გახდა მეფე ეზეკია, ღმერთმა მას სიკვდილი განუსაზღვრა და წინასწარმეტყველი ესაია გაუგზავნა, რათა ეთქვა მისთვის: *«ბრძანე სახლისა შენისა, რამეთუ მოჰკუდე შენ და არა განერე»* (4 მეფ. 20, 1). უბედური ეზეკია კედლისკენ ბრუნდება, ოხრავს, ტირის, ევედრება. უბედურო მეფევ, რას აკეთებ?! განა ღმერთმა არ განგისაზღვრა სიკვდილი? განა იცვლება ღვთის განჩინება? ძმანო! ეს განჩინებაც შეიცვალა! ღმერთმა შეიწყალა ეზეკია და სიცოცხლე განუსაზღვრა, წარმოიდგინეთ, თხუთმეტი წელიც კი მისცა სიცოცხლისათვის *«იტყჳს უფალი ღმერთი ... აჰა, მე განგკურნო შენ ... და შევძინო დღეთა შენთა ათხუთმეტ ჭელ»* (4 მეფ. 20, 5-6).

ძმაო, მინდა, რომ შენი ცხონება შედგეს. მაგრამ ამასთანავე ვამბობ, რომ თუკი ამას შენდა თავად ხელს არ შეუწყობ, თუკი ღვთისადმი სიყვარულში და მადლში მტკიცე, ბოლომდე ღვთივსათნოდ არ იცხოვრებ, ცხონების გადაწყვეტილების მიუხედავად, წარწყდები; და პირიქით: წინასწარ განსაზღვრულიც რომ იყოს შენი წარწყმედა, გეუბნები: თუ მოექცევი და შეინანებ, ცხონდები, მსგავსად იმისა, თუ როგორ გადადის შენი ნება კარგიდან ცუდზე, ან პირიქით. «ღვთის გადაწყვეტილება ჩვენს განწყობასთან კავშირში მოიაზრება:

როგორიცაა ჩვენი შინაგანი მდგომარეობა, იმასვე მოგვაგებს იგი თავისი თავისაგან». ამგვარად, ღვთის წინასწარი ჭვრეტა და წინასწარი განჩინება არ აბრკოლებს არც ღმერთს შენი ცხონების სურვილში და არც შენ _ ცხონების თავისუფლებაში.

მაგრამ, როგორც დასაწყისში ვთქვი, სჯობდა, წინასწარგანჩინების შესახებ ამ საკითხზე არაფერი გაგეგო, რათა რაიმე გაუგებრობას არ შეეშფოთებინე. მტკიცედ გახსოვდეს ორი რამ: ღმერთს შენი ცხონება ყოველთვის სურს, რამეთუ კაცთმოყვარეა; შენ ყოველთვის შეგიძლია ცხონდე, რამეთუ თავისუფალი ხარ. მისი მადლი და შენი ნება ამას წინასწარ განსაზღვრიან. ღმერთს უნდა, შენც ისურვე და განჩინებული იქნები.

II

ყოველივე თქმულის დასტურად გთხოვთ ისმინოთ, თუ რას ეუბნება ღმერთი იერემია წინასწარმეტყველს: *«აღდეგ და შთაველ სახლსა მეკეცისა, და მუნ გესმნენ სიტყუანი ჩემნი»* (იერ. 18, 2). იერემია მექოთნის სახლში იმ დროს შევიდა, როცა ის ქოთანს ამზადებდა. მექოთნეს ჭურჭელი ხელიდან გაუვარდა და ქოთანი მოიგრიხა, მაგრამ მან აიღო და კვლავ სასურველი ფორმა მისცა. მაშინ ეუბნება ღმერთი იერემიას: «იერემია, ხომ ხედავ ქოთანს მექოთნის ხელში? ჩემს ხელში თქვენც იგივენი ხართ». მსგავსად ამისა, როგორც გაფუჭდა ძირს დავარდნილი ქოთანი, მაგრამ ოსტატის ხელმა ის გაასწორა, ასევე შენც, ადამიანო! ცოდვებში თავად ვარდები და მონანიებული, ღვთის მადლის შემწეობით კვლავ სწორდები. თუ ღირსების ჭურჭელი გახდი, უღირსების ჭურჭლად გადაქცევა შეგიძლია, და პირიქით. მაგრამ ღმერთი განაგრძობს და წინასწარმეტყველის პირით გეუბნება: მე ამ ერზე მრავალი სიკეთე წარმოვგზავნე, მაგრამ *«ბოროტი ქმნენ წინაშე ჩემსა არსმენად ჴმისა ჩემისა, და შევინანო კეთილთათჳს, რომელნი ვთქუენ ქმნად მათდა»* (იერ. 18, 10). ასევე გადავწყვიტე მრავალი უბედურება მოვუვლინო, მაგრამ *«მოაქციოს ნათესავმან უკეთურებათაგან მათთა და შევინანო ბოროტთათჳს, რომელთა ვსიტყუევდ ყოფად მათდა»* (იერ. 18, 8).

ხომ ხედავ, როგორ ცვლის გადაწყვეტილებას ღმერთი იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლის ადამიანი ხასიათს? ღმერთმა მართალთა ცხონება და ცოდვილთა დასჯა გადაწყვიტა. მართალი ხარ? გაფრთხილდი, ვინძლო არ დაეცე, რათა შენი ცხონების განჩინება სასჯელის განჩინებად არ იქცეს. თუ ცოდვილი ხარ, ეცადე მოინანიო და მაშინ შენი დასჯის გადაწყვეტილება ცხონების გადაწყვეტილებად გადაიქცევა. «ღვთის მართალი სამსჯავრო ჩვენი განწყობისდა მიხედვით მოიაზრება; როგორიც არის ჩვენი შინაგანი გრძნობა, ისეთივეა ის, რასაც მოგვაგებს თავისი თავისაგან». ამიტომ არ გეხება, თუ რა გადაგიწყვიტა მან, რა განჭვრიტა შენზე წინასწარ; ეს არც სასარგებლოა და არც საზიანო. გინდა რომ იცოდე რა არის წინასწარი განჩინება? ეს ღვთის მადლი და ადამიანის ნებაა ერთად. ღმერთს უნდა, რამეთუ კაცთმოყვარეა; თუ ადამიანსაც უნდა, რამეთუ თავისუფალია, ისიც განჩინებულია.

მაგრამ სულო ჩემო, ჩემთვის რა არის გამზადებული? სამოთხე გელის თუ ჯოჯოხეთი? ვინ მეტყვის ამას? ვინ დამარწმუნებს ამაში? ძმანო, ჩვენ ხომ ამ სევდით აღსავსე ცხოვრებაში მოგზაურნი ვართ; ამიტომ არავის შეუძლია იცოდეს, რა შეიძლება მოხდეს მომავალში. ეს დასასრულს გაცხადდება იმისდა მიხედვით, მართალნი აღმოვჩნდებით თუ ცოდვილნი, დიდების გვირგვინს მივიღებთ მართალი მსაჯულისაგან თუ სატანჯველს *«გამოვიდოდიან კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა»* (ინ. 5, 29).

დასასრულს ერთ რამეს მოგიყვები: ერთხელ ერთი ცუდი კაცი აპოლონ დელფოსელთან მივიდა მუჭში დამალული ბეღურით და გამოსაცდელად ჰკითხა ცოცხალი იყო თუ არა ჩიტი. ეს კაცი გაიძვერა იყო და ფიქრობდა: თუ აპოლონი ეტყოდა, რომ ბეღურა მკვდარია, მას ცოცხალ ჩიტს უჩვენებდა, ხოლო თუ უპასუხებდა, რომ ცოცხალია, მოახრჩობდა და მკვდარს ანახებდა. მაგრამ განზრახვას მიუხვდნენ და მან ასეთი პასუხი მიიღო: «შენზეა არჩევანი _ რისი ჩვენება გინდა». ქრისტიანო, კითხულობ, რა ელის შენს სულს: საუკუნო ცხოვრება, თუ საუკუნო სიკვდილი? «ამის გადაწყვეტა შენზეა დამოკიდებული» ღვთისაგან შენი განჩინება შენს ნებაზეა დამოკიდებული. ღმერთს სურს, თუ შენც გსურს, მაშინ განჩინებული ხარ საუკუნო სიცოცხლისათვის.

სიტყვა მარხვის მეორე კვირას

შურის შესახებ

«ხოლო იყვნეს ვინმე მუნ მსხდომარენი
მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა შინა
მათთა და იტყოდეს, ვითარმედ: ესე გმობასა იტყჳს!»

(მრკ. 2, 6-7)

ჩვენ, ცოდვილნი, მომთმენნი უნდა ვიყოთ, როცა ვხედავთ, რომ თვით უცოდველი ძე ღვთისა განიკითხება. სულთა და ხორცთა ღვთაებრივი მკურნალი, იესო ქრისტე, გალილეის ქვეყნიდან კაპერნაუმში დაბრუნდა. დღევანდელ სახარებაში ნათქვამია, რომ თავისი მოსვლის დღეს მან სამი უდიდესი სიკეთე აღასრულა. პირველი _ იქაურ მცხოვრებთა წინაშე წარმოთქვა ქადაგება, რომელშიც ღვთაებრივი სწავლება ისეთი ძალითა და სიტკბოებით გადმოსცა, რომ თითქმის მთელი ქალაქი მოიზიდა; სახლი, რომელშიც ქადაგებდა, ხალხით სავსე იყო და გარეთაც ურიცხვი ადამიანი ეხვია. სახარება ამბობს: *«და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს, და მეყსეულად შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუასა»* (მრკ. 2, 1-2). მეორე _ თავისი ერთი ყოვლადძლიერი სიტყვით გაამრთელა უბედური განრღვეული, რომელიც ოთხმა ადამიანმა მოიყვანა: *«აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!»* (ინ. 5, 8); მესამე _ სხეულის სიმრთელესთან ერთად მას სულიერი სიმრთელეც მიმადლა, თავისი ღვთაებრივი მეუფებით ცოდვები მიუტევა: *«შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!»* (მთ. 9, 2). ხოლო მწიგნობარნი, სჯულის დამცველნი, სინაგოგის სამღვდელონი, იესოს განიკითხავენ, როგორც მგმობელს: *«ხოლო იყვნეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს, ვითარმედ: ესე გმობასა იტყჳს!».* თქვენ, მწიგნობარნო, თვალთმაქცნო და ცილისმწამებელნო, ეს თქვენ იტყვით გმობას! ქრისტეს კი, თქვენს მიერ გაკიცხულს, როგორც ღმერთს, აქვს ხელმწიფება ცოდვათა მიტევებისა, როგორც ღმერთს, აქვს ძალა სნეულებისგან განრღვეულის განკურნებისა, ის გმობასა იტყვის, იმიტომ რომ მიუტევებს და კურნავს? აი, ეს გაცდუნებთ? ეს წამლავს თქვენს გულებს? ეს აქეზებს თქვენს ენას განკითხვისათვის? გთხოვთ, ძმანო, იფიქროთ: რაა მიზეზი იმისა, რომ მწიგნობრებმა ასე ვნებით ილაპარაკონ სასწაულთმოქმედი მეუფის წინააღმდეგ? ქრისტე ასწავლის, ქრისტე სასწაულებს ახდენს;

მწიგნობარნი ხედავენ, რომ მის მოსასმენად ურიცხვი ადამიანი იკრიბება; ხედავენ, რომ ერი გაოცებულია მისი სასწაულებით, რომ ზოგს სწამს ის, როგორც დიდი წინასწარ-მეტყველი, სხვებს ჭეშმარიტ ღმერთადაც მიაჩნიათ იგი. ცდუნდებიან მწიგნობარნი, განიკითხავენ და ხმამაღლა ამბობენ, რომ ის იტყვის გმობას. რა არის ეს? მხოლოდ _ შური. ეს არის შური, რომელიც ყოველივე კარგს ებრძვის, ხოლო განკაცებული ღმერთის სიტყვებსა და სასწაულებს კიცხავს, როგორც ბოროტად გმობას.

ვსარგებლობ ასეთი საბაბით და მინდა იმაში დაგარწმუნოთ, რომ ამ კაცისა და ღვთის მოძულე ვნებას რამდენადაც შესაძლებელია, თავი აარიდოთ; პირველ რიგში მინდა გიჩვენოთ, რა არის შური, შემდეგ კი _ რასთან მივყავართ მას.

I

შური _ ეს პირველსაწყისი თესლია ყოველივე ბოროტისა, ყოველგვარი ცოდვის პირველი წარმონაშობი, ცისა და მიწის განმრყვნელი, პირველი შხამიანი სიბილწე, პირველი განმხრწნელი ქვა, რომელმაც საუკუნო ტანჯვის ცეცხლი დაანთო; პირველი, ვინც ზეცაში სიამაყით შესცოდა, მთიები იყო; პირველი, ვინც ურჩობით სამოთხეში შესცოდა, ადამი იყო; პირველი შურით შემცოდე კი კაენი იყო, მაგრამ უპირველესი მიზეზი მთიების, ადამისა და კაენის ცოდვებისა მაინც შური იყო.

შურით დაბნელდა დიდი მთავარი ანგელოზთა, მხედართმთავარი სერაფიმთა, როცა მან სამბრწყინვალე ღვთაების ენით გამოუთქმელი სიკეთე და დიდება პირველად იხილა, შეშურდა და დამწუხრდა; შემდეგ სული მისი სიამაყით აღზევდა და თავი ღვთის სწორად წარმოისახა... *«შენ სთქუ გულსა შინა შენსა; ზეცად მიმართ აღვიდე; აღვიდე... და ვიყო მსგავს მაღლისა»* (ეს. 14, 13-14). გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, შურმა დააბნელა სიამაყით დაცემული მთიები; მან, ღვთაებრივმა, ვერ აიტანა, რომ ღმერთად არ თვლიდნენ (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვა 27). მშვენიერი ნათლის ანგელოზი წყვდიადის საშინელ დემონად იქცა; უმაღლესი ღირსება საუკუნო სატანჯველზე გაცვალა და მადლის ბრწყინვალე ღვთივქსოვილი სამოსის აღკვეთით, იმ სამოსისა, რომლითაც იგი ღმერთმა შემოსა, შიშველი დარჩა, თუმცა შეინარჩუნა ძირითადი თვისებები თავისი არსებისა _ შეურყეველისა, ჯიუტისა, ბოროტებაში უცვალებულისა. ღვთისმბრძოლმა განდგომილმა თავის თავში კიდევ უფრო დიდი სიძულვილი და მტრობა აღაგზნო ღვთისადმი და აღარ ძალუძს ამ ბრძოლას თავი ანებოს. როცა ღვთის წინაშე თავის სრულ უძლურებაში დარწმუნდა, იარაღი ადამიანის წინააღმდეგ მიმართა და მასთან იწყო ბრძოლა. როგორც საშინელმა მხეცმა, ლეოპარდმა, რომელსაც იმდენად სძულს ადამიანი, რომ როცა თავად მას ვერ ვნებს, მის გამოსახულებებზე იოკებს მძვინვარებას. ასევე მტერმა ყოველი სიკეთისამ, ეშმაკმა, ღვთის წინაშე უძლურმა, როცა განსულიერებული ხატი ღვთისა _ ადამიანი დაინახა, შხამიანი გველის სახით ეკვეთა. დაინახა ადამიანი, დიდებისა და ღირსების გვირგვინით მოსილი, სიტკბოების სამოთხეში, ყოველი ხილული ქმნილების მეუფედ და შურით მოიწყლა. დაიწყო ჩაგონება, ცდუნება, პირველ მამათა მიდრეკა ურჩობისაკენ; ძლიერ გაიხარა, როცა ნახა, რომ ისინი გამოიდევნენ სამოთხიდან. განსაკუთრებით, როცა გაიგო, რომ მოკვდავნი გახდნენ _ *«სიკუდილითა მოსწყდეთ»* (დაბ. 2, 17). ღვთისადმი მტრობითა და ადამიანის ცდუნებით ის აშკარა ღვთისმბრძოლი შეიქნა, მაგრამ როცა დაინახა, რომ გადაწყვეტილება მაშინვე არ იქნა სისრულეში მოყვანილი, რომ ღვთისაგან სიკვდილმისჯილი ადამი და ევა მაშინვე არ დაიხოცნენ, არ დაელოდა დროს და მთელი ძალებით შეეცადა, ცხოვრებაში სიკვდილი რაც შეიძლება სწრაფად შემოეტანა:

მან კაენის გულს შურის შხამი შეასვა და მისი ხელი თავისი ძმის, აბელის მოსაკლავად აღჭურვა; ამგვარად დაიწყო დედამიწის შებილწვა ადამიანის სისხლით.

სოლომონის სიბრძნის წიგნის მეორე თავში ნათქვამია: *«რამეთუ ღმერთმან დაჰბადა კაცი უხრწნელებისათჳს და ხატი თავისა თჳსობისათჳს შექმნა იგი; შურითა ეშმაკისათა სიკუდილი სოფელსა შემოჴდა»* (სოლ. თავი 2, 23-24).

წმიდა ოქროპირი ამას შემდეგნაირად განმარტავს: ეშმაკმა გაიგონა, რომ ადამიანი მიწად მიიქცევა და სწყუროდა დანახვა, თუ როგორ მოდიოდა გადაწყვეტილება სისრულეში, მეტიც, მოინდომა, მამის სიკვდილამდე შვილის სიკვდილი ენახა, ძმის მიერ კვლა ძმისა, სიკვდილი უდროო და მოძალადური.

ხედავ, ერთი ბოროტებიდან რამდენი ბოროტება წარმოიშვა? ხედავ, შურს რისი გაკეთება შეუძლია! ხედავ, როგორ იკმაყოფილებდა თავის გაუმაძღარ სურვილს ეშმაკი? ხედავ, შური როგორ დაეხმარა მას ამაში, ეშმაკის წყურვილი როგორ დააკმაყოფილა? შურის გამო ზეცაში ომმა და განდგომილებამ იფეთქა; ანგელოზთა სიმშვიდე და ნეტარი სამყარო აიმღვრა; მთიები უფსკრულში შთავარდა და როგორც ურჩხულმა, თავისი კუდით გონიერ ვარსკვლავთა მესამედი თან გაიყოლა. დედამიწის წიაღში შურმა საუკუნო სატანჯველის ჩაუქრობელი ცეცხლი აღაგზნო. შურის გამო პირველმა მამებმა მცნებიდან გადაუხვიეს, სიტკბოების სამოთხიდან ეკალსა და კუროსთავში განიდევნენ (დაბ. 3,18) _ ადამი, რათა მას ოფლით მოეპოვებინა საკვები, ევას კი შვილები ტანჯვით ეშვა. უკვდავნი მოკვდავები შეიქნენ, მათთან ერთად კი ჩვენც, მათი უბედური შთამომავალნი. ჩვენი პირველი მშობლე-ბისგან მემკვიდრეობად ცოდვა, ღვთის წყევლა და სასჯელი გვერგო. შურის გამო ძმამ ძმა უსამართლოდ შეიძულა და არაადამიანურად მოკლა; სუფთა მიწა უდანაშაულო სისხლით შეიბილწა და განიხვნა საშინელი კარი აღთქმისა, რომლიდანაც ქვეყნად სიკვდილი შემოვიდა. ეს ყოველივე შურის გამო მოხდა, ის წარმოდგა როგორც ღვთისმბრძოლობის მეთაური, ურჩობის მასწავლებელი, ძმათაკვლის დედა, სიკვდილის მიზეზი. მასშია ფესვი ყოველივე ბოროტებისა. შური სულის სევდაა, რომელიც მოყვასის კეთილდღეობიდან წარმოიშობა _ ასე განსაზღვრავს მას ბასილი დიდი.

პოეტ მითოლოგების აღწერით შხამიანი ჰიდრა შვიდთავიანი იყო; ის თავისი შვიდი თავიდან მომაკვდინებელ შხამს აფრქვევდა. ცოდვაც ასევე შვიდთავიანია: პირველი თავი სიამაყეა, მეორე _ ვერცხლისმოყვარება, მესამე _ გემოთმოყვარება, მეოთხე _ უდებება, უზრუნველობა, ღორმუცელობა, მეხუთე _ მრუშობა, მეექვსე _ მრისხანება, მეშვიდე _ შური. და თუმცა შვიდივე თავიდან სულის მომაკვდინებელი შხამი ამოიფრქვევა, ყველაზე დამღუპველი მაინც შურის შხამია. ყველა დანარჩენ ცოდვას მიზნად თავიანთი საკუთარი გამორჩენა აქვთ; მაგალითად, ამაყი განდიდებას ესწრაფვის, ვერცხლისმოყვარე სიმდიდრეს ეძიებს, ღორმუცელას გაძღომა უნდა, უზრუნველს სიმშვიდე სურს, მრუში ავხორცობას მიელტვის, მრისხანეს შურისძიება სწყურია. მაგრამ შური თავისთვის კი არ ეძებს სიკეთეს, არამედ ბოროტებას _ მოყვასისთვის. შურიანი ისურვებდა სახელოვანი უღირსი ეხილა, მდიდარი _ ღატაკი, ბედნიერი _ უბედური. აი, მიზანი შურისა _ ხედავდეს, ბედნიერნი უბედურებაში როგორ ცვივიან, მეორე მხრივ ყველა სხვა მომაკვდინებელი ცოდვა რაღაც სიამოვნებას, რაღაც სიხარულს აგრძნობინებს იმას, ვინც მათ სჩადის. მაგალითად, ამაყი თავისი დიდებით ხარობს, ვერცხლისმოყვარე _ სიმდიდრით; მსუნაგს გემრიელი საჭმლის დანახვა უხარია, ზარმაცს უდებება ახარებს, მრუში ავხორცობით იქცევს თავს, ღვარძლიანი მტერზე შურისძიებით კმაყოფილდება.

შურს კი არავითარი სიამოვნება, არანაირი სიხარული არ მოაქვს იმისთვის, ვისაც ის მოიცავს, არამედ _ დაუძლეველი სევდა და ნაღველი. მაშ ასე, შური არის დანაღვლიანება მოყვასის კეთილდღეობის მიზეზით.

იმის გამო, რომ დავითმა გოლიათი მოკლა, უცხოტომელებს სძლია და ისრაელელთა დიდება აღამაღლა, უმადური და შურიანი მეფე საული წუხილს იწყებს და ყოველნაირად ცდილობს, მოკლას იგი. ხან შუბს ესვრის არაერთგზის, ხანაც დევნის, ღვთის საფარველს სასწაულებრივად რომ არ დაეფარა იგი, ალბათ მოკლავდა კიდეც მას საული და დააცხრობდა სიცოფეს შურისას.

იმის გამო, რომ ღმერთკაცი იესო ჭეშმარიტებას ქადაგებს, ავადმყოფთ კურნავს, ცოდვილთ მიუტევებს, მჭმუნვარებენ ქრისტესმოძულენი, იუდეველი მწიგნობარნი და კიცხავენ მას, როგორც მგმობელს: *«ესე გმობასა იტყჳს»* (მრკ. 2, 7). ერთ შაბათ დღეს იესომ მისკენ მომავალი დედაკაცი დაინახა, რომელიც თვრამეტი წელი სნეულებისგან ისე იტანჯებოდა, რომ თავის აწევა არ შეეძლო და სული ძლივსღა ედგა. იესომ დაინახა, შეებრალა და განკურნა: *«დედაკაცო, განტევებულ ხარ უძლურებისგან შენისა»* (ლკ. 13, 12) და რამდენადაც მადლიერებით იხარებდა მთელი ერი ქრისტეს სასწაულთა გამო: *«უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა მისთა»* (ლკ. 13, 17), იმდენად სინაგოგის უფროსმა დაიწყო დრტვინვა, მრისხანება, აკრძალვა, ხალხში შფოთის დათესვა, რათა აღეკვეთა ხალხის მოწიწება და რწმენა მაცხოვრისადმი: *«ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ, მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ და ნუ დღესა შაბათსა»* (ლკ. 13, 14). მერედა იყო კი შაბათის დღისათვის რაიმე მცნება, რომ ამ დღეს სასწაულნი არ ყოფილიყო? განა ამ დღეს სჯული უკრძალავდა ავადმყოფებს კურნებას? _ არა. სინაგოგის მთავარი სჯულისადმი მოშურნეობით არ ლაპარაკობს, არამედ _ ქრისტესადმი შურის გამო. ის კიცხავს ძალას, სასწაულის მოქმედებას, რადგან სასწაულთმოქმედის ძალა შურს. სატანა ქალიდან სინაგოგის მთავრის სულში გადავიდა. თეოფილაქტე ამბობს: «სატანა ჯერ დედაკაცს კრავს, შემდგომ კი სინაგოგის მთავარს კრავს შურით და მისი პირით ღვთაებრივ სასწაულს გმობს».

განა იოსების ბედნიერება საერთო კეთილდღეობა არ იყო მისი ძმებისათვის, როგორც ეს დრომ დაამტკიცა? დავითის მიერ მოპოვებული დიდება განა დიდება არ იყო საულისა, რომლის სამეფოსაც მისი მტრების ძლევით განამტკიცებდა იგი? იესო ქრისტეს სასწაულები განა ყველა იუდეველისათვის სიკეთის მომტანი არ იყო? რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ შურიანი თავის სიკეთეს ყურადღებას არ აქცევს: «შურს არა აქვს უნარი სასარგებლო ამჯობინოს», მას მხოლოდ მოყვასის სიკეთის დანახვა და ამის გამო დამწუხრება შეუძლია; «შური _ ეს მწუხარებაა მოყვასის კეთილდღეობისა გამო»; ის ცდილობს მისი კეთილდღეობა უბედურებად აქციოს და თავისი მწუხარების ნუგეშს ამაში პოულობს. შურის მიზანია დანახვა იმისა, თუ როგორ ვარდება ადამიანი ბედნიერებიდან უბედურებაში.

ჩაუქრობელი ცეცხლის ალში იწვოდა უმოწყალო და კაცთმოძულე მდიდარი, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ლუკა მახარობელი. და როცა მან თვალნი ზეცისკენ აღაპყრო და აბრაამის წიაღში ღატაკი ლაზარე დაინახა, საცოდავად შესძახა: *«მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე, რაითა დააწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგ-რილოს ენაჲ ჩემი»* (ლკ. 16, 24).

ძმანო, ეს თხოვნა მდიდრისა უცნაურად მეჩვენება. ნუთუ იმისთვის, ვინც ასეთ მხურვალე ღუმელში იწვოდა, ცეცხლის ალით იყო მოცული და ალითვე სუნთქავდა, ვინც სხეულითა და სულით მთლად ალი იყო, ნუთუ ასეთი ადამიანისთვის ნათელი არ იყო, რომ ლაზარეს წყალში დასველებულ თითს მისთვის რაიმე სარგებლობის მოტანა არ შეეძლო? წყაროების, მდინარეებისა და ზღვების წყალიც არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ცოტათი მაინც გაეგრილებინა იგი. ასეთ ძლიერ ცეცხლშია და ასე ცოტა წყალს ითხოვს! აშკარაა, რომ რაღაც სხვა უნდა და ამას წმიდა ოქროპირი ასე ხსნის: «ხედავს მდიდარი ოდესღაც ღარიბ, ღატაკ ლაზარეს ნეტარებასა და დიდებაში; მას უწინ ის შიშველი და იარებით დაფარული უნახავს, ახლა კი ღვთაებრივი ნათელის ღვთივქსოვილი სამოსით მოსილს, საუკუნო ცხოვრებით დამტკბარს ხედავს. ერთ დროს მშიერსა და ნამცეცებით დაპურების მსურველს, სწორედ იმ ნამცეცებით, მისი სუფრიდან რომ იყრებოდა, ახლა ღვთაებრივი დიდებით გამამღარს უმზერს. ხედავს ყოველივე ამას მდიდარი და შური უფრო ალაპარაკებს, ვიდრე ცეცხლი გეენიისა». აი, რატომ ითხოვს, რომ ლაზარე მასთან მივიდეს. თუნდაც მცირე ხნით, რათა მისი ტანჯვა გაიზიაროს, რათა წიაღს აბრაამისას დაშორდეს. და რომ გამოსვლოდა ეს, ალბათ უდიდეს სიხარულს იგრძნობდა. ამაში დასარწმუნებლად ყურადღება მიაქციეთ შემდეგს: როცა მდიდარმა გაიგონა აბრაამისგან, რომ ლაზარესათვის არ შეიძლება მასთან ჯოჯოხეთში მისვლა, ვინაიდან მათ შორის უდიდესი უფსკრულია, მან თქვა: *«გლოცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა»* (ლკ. 16, 27). ამ სიტყვებით თითქოსდა უნდოდა ეთქვა: თუკი არ შეიძლება მისი გამოგზავნა აქ, რათა ჩემი ტანჯვის მონაწილე გახდეს, ჩემს სახლში მაინც გაუშვი, ანუ ქვეყანაში, უწინდელ ცხოვრებაში, უწინდელ უბედურებაში, ოღონდაც შენს ნეტარ წიაღს მოაშორე. დიახ, ის შურით უფრო იწვის, ვიდრე გეენიით. მდიდარს თითქოსდა თვითონ უნდა ეთხოვა აბრაამის წიაღში მოხვედრა და სატანჯველად ლაზარე არ ჩამოეტყუებინა. მაგრამ შურიანი თავისთვის სიკეთეს არ ეძიებს, ტანჯვიდან ნეტარებას არ მიელტვის. «შურს არ ძალუძს სასარგებლო ირჩიოს». ის სხვისთვის ეძიებს ბოროტებას, რათა მოყვასი ტანჯვაში დაინახოს. «შურის მიზანია, ნახოს, როგორ ვარდება ადამიანი ბედნიერებიდან უბედურებაში». მდიდარს ჯოჯოხეთში ლაზარეს დანახვა მეტად უნდა, ვიდრე თავისი თავისა სამოთხეში. რატომ? იმიტომ, რომ «შური _ ეს არის მწუხარება მოყვასის კეთილდღეობისა გამო». ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ, რომ ჯოჯოხეთში მყოფთათვის გაცილებით დიდი ტანჯვა იქნება იმის შეგნება, რომ ეს ყოველივე მათივე მიზეზითაა დაკარგული, წმიდანები კი საუკუნოდ ნეტარებენ. აქედან წარმოიშობა ტირილი და კბილთა ღრჭენა, ტაჯვათა შორის ყველაზე დიდ ტანჯვას ისინი სწორედ აქ იპოვიან.

აი, როგორია შურიანის ვნება, ვნება, რომელიც ყველა დანარჩენ ცოდვათაგან უფრო სევდიანი და უსიხარულოა, რადგან ის ერთდროულად დანაშაულიცაა და სასჯელიც იმისთვის, ვისაც ის აქვს. ამიტომ სამართლიანად ამბობს ღვთისმეტყველი: «ყველა ვნებათაგან შური ყველაზე მეტად უსამართლო და ამავდროულად სამართლიანია. უსამართლოა იმიტომ, რომ დევნის ყველას, ვინც კარგია, და სამართლიანია იმისათვის, რომ მის მქონეს წვავს; გრდემლი ისე ძლიერ არ ჭედავს რკინას, რომელზედაც ის დევს, ისე არ ფლეთს კლანჭებით დედის მუცელს იქედნე, როგორც შურიანის გული იჭმევა შურით, როგორც იტანჯება და იფლითება ის ამქვეყნიურ და მომავალ ცხოვრებაში». ამიტომ ვამტკიცებ, რომ არ არის საჭირო უსურვო შურიანს არც მთელი ცხოვრების გამოსწორება, არც მომავალი სასჯელი. თვით შურია მისთვის საკმარისი სასჯელი: ის წვალობს, როცა

მოყვასის ღირსებასა და ბედნიერებას ხედავს; ის იტანჯება, როცა მართალთა ნეტარებას უცქერს, როგორც მდიდარი უცქერდა ლაზარეს დიდებას აბრაამის წიაღში. აქამომდე ეს ცოდვა სამართლიანია, რამეთუ ტანჯავს იმას, ვისაც ეუფლება. მაგრამ როცა შური მოყვასისათვის ზიანის მიყენებას იწყებს, მაშინ მას ადამიანებისთვის დიდი უბედურება მოაქვს. ამის მაგალითები მრავლადაა. მსმენელნო, თქვენს ყურადღებას ერთ ამბავზე შევაჩერებ: სახელოვან ქალაქ ათენში ცხოვრობდა ვინმე ფილოსოფოსი, სახელად ლეონტი. წარჩინებული გვარის, რწმენით წარმართი, იგი ასტროლოგიას მისდევდა და ფრიად პატიოსნად ცხოვრობდა. სიკვდილის წინ მთელი თავისი ქონება ვაჟიშვილს უანდერძა, ქალიშვილი კი ცარიელი დატოვა. როცა ჰკითხეს, სუსტ არსებას რატომ მოექცა ასე, თითქოსდა სიძულვილით და სამზითვოდ არაფერი დაუტოვა, ლეონტიმ მიუგო: «მისთვის თავისი ბედნიერებაც იკმარებსო». შესაძლოა, ასე იმიტომ უპასუხა, რომ როგორც წარმართი და ასტროლოგი, მის თანამედროვე, უცნაურ შეხედულებასა და ვარსკვლავს დაეყრდნო, რომლის ქვეშაც მისი ასული იყო დაბადებული. მაგრამ როგორც დაინახავთ, ქალიშვილის მომავალი ბედნიერება იყო შედეგი გულმოდგინე აღზრდისა, სათნოებებისა, გამორჩეული ნიჭიერებისა; როცა სათანადო გარემოებები შეიქმნა, მან მართლაცდა ბრწყინვალე მდგომარეობას მიაღწია. მაგრამ ათენაიდა (ასე ერქვა მას) მამის ანდერძმა არ დააკმაყოფილა და მისი გარდაცვალების შემდეგ ძმისთვის მშობლების ქონების გაყოფა მოინდომა. ათენიდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, რათა მეფესთან ეპოვა სამართალი. იმ დროს მეფე იყო თეოდოსი უმცროსი. როცა ათენაიდა მეფეს წარუდგა, იგი მეფის დამ, სახელოვანმა პულქერიამ, დაინახა; მან შენიშნა მისი მშვენიერი სახე, საოცარი მზერა, საუბრებში გონიერება; ყველაფერში იგრძნობოდა, რომ იგი ფილოსოფოსის შვილი იყო და ამასთან თავადაც ფილოსოფოსი. პულქერიამ შეიყვარა იგი, მოწყალედ მიიღო, ქრისტიანობაზე მოაქცია და წარმართული სახელის _ ათენაიდას მაგივრად ქრისტიანული სახელი _ ევდოკია დაარქვა. გაქრისტიანებული ევდოკია თავის ძმას თეოდოსი უმცროსს შერთო. ასე ასრულდა გარეგნულად საფუძველს მოკლებული სიტყვები მამისა: «მისთვის თავისი ბედნიერებაც იკმარებსო». უბრალო ათენელი წარმართიდან იგი კონს-ტანტინოპოლის ქრისტიან დედოფლად იქცა. მას მშობლების ქონება არ ერგო, მაგრამ სკიპტრა და გვირგვინი უბოძა ღმერთმა.

ხომ არ თრთის თქვენი გული, ძმანო, როცა ქალწულის ასეთი ბედნიერების შესახებ გესმით? მაგრამ მოემზადეთ ცრემლისთვის, რათა მისი უბედურება დაიტიროთ. ოჰ, შურო, შურო, რარიგ მწარე ხარ და რამდენი უბედურება მოგაქვს კაცთათვის!

შეშურდათ ევდოკიასი, მეფისა და ქმრის წინაშე უსამართლოდ ცილი დასწამეს. ვითომდა, არ ჰქონდა მისდამი სიყვარული და მოწიწება, ვითომდა საიდუმლოდ ეტრფოდა პავლინიანეს, რომელიც ფრიად განათლებული და შესანიშნავი ადამიანი იყო, რომელთანაც მეცნიერების მოყვარე დედოფალი მართლაცდა ხშირად საუბრობდა. მეფემ ეს არ დაიჯერა, მაგრამ დაეჭვდა. ევდოკიას არაფერი უთხრა და ამაში დასარწმუნებლად შემთხვევას დაელოდა. შემთხვევითობა მოხდა და თანაც საბედისწერო. ერთხელ მეფეს უჩვეულოდ დიდი ვაშლი მიართვეს; მეფემ ვაშლი ევდოკიას გაუგზავნა. მან კი ცილისწამებაზე არაფერი იცოდა და ვაშლი აჩუქა პავლინიანეს, რომელიც იმ დროს ავად იყო. პავლინიანესთან მოსანახულებლად მისულმა მეფემ თავისი ვაშლი დაინახა, სახე ეცვალა, გული აემღვრა და ავადმყოფისგან ნაღვლიანი და მრისხანე წამოვიდა, ხოლო როცა

დედოფალთან მივიდა, პირველ რიგში ვაშლი მოჰკითხა. ქალმა, ეშმაკის მოქმედებით, თუ ღვთის დაშვებით, ქმარს სიმართლე არ გაუმხილა, თქვა, რომ ვაშლი თვითონ შეჭამა და მეფის სიცოცხლეც დაიფიცა. ეს საკმარისი იყო; მეფემ ფიცი არ დაიჯერა და მაშინვე ლოგინში მწოლიარე, უდანაშაულო პავლინიანესთვის თავის მოკვეთა ბრძანა. მეფე გასცილდა ევდოკიას და იერუსალიმში გადაასახლა. სასახლე, სადაც ადრე სიხარული და მშვიდობა სუფევდა, მწუხარებითა და განგაშით აიმღვრა. ამ მაგალითიდან ხედავ, რამდენი ბოროტების ჩადენა შეუძლია შურს, ცილისწამებასთან შერეულს. შურის გამო მოკვდინებულ იქნა უდანაშაულო პავლინიანე, დედოფალი ქმარს დაშორდა; შეიბღალა სათნოება ერთგული ცოლისა, მრავალთა სიხარული დაინგრა და ამისგან სიამოვნება არავის მიუღია. შეუძლია კი ამის შემდეგ შურიანს, რომელიც დემონებს ბოროტ სიხარულს ჰგვრის, შეუძლია ან აქვს კი უფლება ქრისტიანად იწოდებოდეს?

II

ერთხელ ერთ ბრძენს ჰკითხეს: როგორი თვალები ხედავენ უკეთ: შავი თუ ნაცრისფერი, კაცისა თუ ქალისა, ადამიანისა თუ ცხოველისა? მან უპასუხა: ყველაზე უკეთ შურიანის თვალები ხედავენ. ისინი ხედავენ ყველაფერს: სულ ახლოს, უმცირესს და იმასაც, რაც შორსაა; მხოლოდ ერთს ვერ ხედავენ _ სიკეთეს და თუკი მაინც დაინახავენ, ცრემლით ივსებიან და თითქოსდა უნებურად იხუჭებიანო, ცდილობენ არ დაინახონ ის. რამდენიც გინდა დაიმალე, ჩაიკეტე, მოშორდი, იყავ მდუმარედ შენს საცხოვრებელში, განმარტოვდი, უდაბნოში გადი _ შურიანის თვალები მოაღწევენ შენამდე და ნახავენ, რას აკეთებ. შურიანს ერთგვარი მხედველობითი მილაკები აქვს, რომელთა მეშვეობითაც ის ძალზე შორს ხედავს. სად იპოვი ისეთ ადამიანს, ყველაზე სათნოსა და წმინდასაც კი, რაიმე მანკიერება რომ არ ჰქონდეს? მხოლოდ ღმერთია უცოდველი და უმწიკვლო. «მქირდავი არა მხოლოდ მრავალთ ეხება, არამედ რჩეულთაც, რამეთუ სრულიად უდანაშაულო და ვნებათათვის მიუწვდომელი მხოლოდ ღმერთია», _ ამბობს ღვთისმეტყველი. მაგრამ შურიანის თვალები ადამიანებში უმცირეს ნაკლსაც ხედავენ, ისეთსაც კი, როგორიც მათში არასდროს ყოფილა.

დასასრულს, გავიხსენოთ პავლე მოციქულის სწავლება: *«ნუმცა ვართ მზუაობარ, ურთიერთას მაბრალობელ, ურთიერთას მოშურნე»* (გალ. 5, 26). ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი; ყველამ მხოლოდ საკუთარი ვიცოდეთ; ერთმანეთს ნუ განვიკითხავთ; ერთმანეთის ნუ შეგვშურდება. თუკი სჭამთ ერთურთს, იფრთხილეთ, რათა ყველანი არ დაიღუპოთ: *«ხოლო უკუეთუ ურთიერთას იკბინებოდით და შეიჭამებოდით, იხილეთ, ნუუკუე ურთიერთას განილინეთ»* (გალ. 5, 15). ეს ჩვენზედ აღსრულებული წინასწარმეტყველებაა (მქადაგებელი თავის სამშობლოზე _ საბერძნეთზე საუბრობს). თქვენ იცით, როგორ დაიღუპა დიდება ჩვენი ერისა და სამეფოსი. ნახეთ მისი ისტორია. ვერც სპარსთა ძალა, ვერც აგარიანთა მახვილი მოუტანდა ამ სამეფოს ამდენ ბოროტებას, რომ არა მოქალაქეთა შური ურთიერთს შორის. როცა ოჯახში, საზოგადოებაში, ქალაქში ან სახელმწიფოში შური ინერგება და ადამიანები ერთმანეთისთვის სამაგიეროს გადახდას იწყებენ, მაშინ გარეშე მტრები დამარცხებისთვის საჭირონი არ არიან. «როცა ერთმანეთის შურს ვიწყებთ და ვიარაღდებით, მაშინ ჩვენი წარწყმედისთვის ეშმაკიც კი აღარ არის საჭირო» _ ამბობს ოქროპირი.

ღვთის გულისთვის, რომელიც გვწამს და რომელიც არის ღმერთი მშვიდობისა, მამა სახიერებისა, სახარების გულისათვის, რომელიც აღთქმაა სიყვარულისა, ეკლესიის გულისათვის, რომელიც უნდა იყოს ადგილი თანხმობისა და ერთობისა, ჩვენს თავში

მცირედი შურიც არ დავუშვათ! მტრებს სიხარულისთვის საბაბს ნუ მივცემთ! ფილისტიმელებმა ისრაელელებს სძლიეს, იმავე დღეს საულიც მოკვდა შვილებთან ერთად. ისრაელელებს არასდროს განუცდიათ ამაზე დიდი დანაკარგი. თავისი ხალხის უბედურების შესახებ დავითმა შეიტყო და თავის ამალას მიმართა: *«ნუ მიუთხრობთ მაგას გეთად, ნუცა ახარებთ შესავალთა ასკალონისათა»*, რათა მტერმა ჩვენი უბედურება არ შეიტყოს და არ გაიხაროს, *«რათა არა სცინან, და უხაროდის ასულთა მათ უცხოთესლთასა»* (2 მეფ. 1, 20).

ძმანო და თანამოძმენო ქრისტიანენო! უბედურებას, ტანჯვას, სხვათა დანაშაულსა და ცოდვებს აღმოჩენას ნუ დავუწყებთ განსაკითხავად. *«ნუმცა ვართ მზუაობარ, ურთიერთას მაბრალობელ, ურთიერთას მოშურნე».* რათა უცხოტომელებმა, ჩვენმა ხილულმა და უხილავმა მტრებმა არ იხარონ; მხოლოდ მდუმარება, თანაგრძნობა, მეგობრობა! მაგრამ გამკიცხავი შური, მაბრალობელი, მოყვასის განმკითხავი, ის უნდა განიდევნოს ქრისტიანობიდან. ის, ვისაც ასეთი ვნება აქვს, არ არის ღირსი ადამიანად იწოდებოდეს და მით უმეტეს, არ არის ღირსი ერქვას ქრისტიანი.

სიტყვა მარხვის მესამე კვირას

მომავალ სამსჯავროზე

«რამეთუ რომელსა-იგი სირცხვილ უჩნდეს ჩემი
და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას
მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან
არცხვინოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა
მამისა თჳსისაჲთა ანგელოზთა თანა წმიდათა»

(მრკ. 8, 38)

მოდგმა ამ ცრუ და წარმავალი სოფლისა არის სიძვის მოდგმა, ხოლო საქმენი მისნი _ ბნელი და უსჯულო! მოდგმა ცოდვიანი, მამა ცოდვილ ძეთა, და როგორც ძველად უთქვამს წინასწარმეტყველს: *«თესლი გულარძნილ და განმამჭარებელ, თესლმან რომელმან არა ჭარიმართა გული თვისი და არცა სარწმუნო ყო ღმრთისა თანა სული თვისი».* (ფს. 77,8)

ჰოი დროებავ, ჰოი ზნევ! ჭეშმარიტებას სიცრუე ფარავს, სამართლიანობას წყენინება ჯაბნის, მანკიერება სათნოებას თელავს, კანონი ვნებას აქეზებს, სახარება ქვეყანამ დაიმონა, ადამიანებს აღარ ეშინიათ ღმერთის, ქრისტიანებს ქრისტეს გამო რცხვენიათ, ცოდვა მეფობს, მოკვდა რწმენა, ყოველივე გაირყვნა! "*ყოველთავე მიაქციეს ერთბამად თუ უხმარ იქმნნეს"* (ფს. 13, 3). მაგრამ ადამიანები ამადროისანი ასეთ ცოდვებში რატომ ცხოვრობენ? როგორ, განა ზეცაში არ არის ყოვლისმხედველი და მართალი ღმერთი, რომელიც ყველაფერს ხედავს და ოდესმე სიზუსტით განსჯის? დიახ, მსმენელნო ძმანო, არის მსაჯული ღმერთი, არის მომავალი სამსჯავრო. დადგება დრო, როცა ეს მემრუშე და ცოდვიანი მოდგმა განისჯება და თავის საქმეთა მიხედვით მიეგება. ამის შესახებ შემაძრწუნებელი გამომსახველობით ლაპარაკობს ძე ღვთისა დღევანდელ სახარებაში: *«რამეთუ რომელსა-იგი სირცხვილ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას*

მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხვინოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისადთა ანგელოზთა თანა წმიდათა» (მრკ. 8, 38) ამბობს ის და წარმომგზავნის, რათა დღევანდელ ქადაგებაში ეს დაწვრილებით განგიმარტოთ. მაგრამ როგორ იმოქმედებს თქვენს გულებზე ჩემი ქადაგება? როცა ადამიანებმა ელვა პირველად დაინახეს და ცის ქუხილი გაიგონეს, ისე შეძრწუნდნენ, რომ კინაღამ შიშისაგან დაიხოცნენ. ისინი ალბათ გარბოდნენ, რათა ყველაზე ბნელ და ღრმა ადგილებში დამალულიყვნენ, ოღონდაც ასეთი საშინელი რამ არ ეხილათ და არ გაეგონათ. ახლა კიდეც ხედავენ და კიდეც ესმით, მაგრამ ან სრულიად არ ეშინიათ, ან ოდნავ ეშინიათ, რამეთუ ასეთ სანახაობას თვალი და სმენა შეაჩვიეს. მრავალთ მაშინაც კი ღრმა ძილით სძინავთ, როცა ისე ელავს, თითქოსდა ჰაერს ცეცხლი ედება, საშინელი ქუხილისგან კი მთებიც დრკებიან, თითქოს ზეცა დედამიწას ებრძვის. ვფიქრობ, ადამიანებმა მომავალ სამსჯავროს შესახებ პირველი სიტყვა ასევე თრთოლვით მოისმინეს, ახლა კი მის შესახებ ლაპარაკს შიშის გარეშე მიეჩვივნენ. აი, ამის აშკარა ნიშანი: ესმით, რომ იქნება მომავალი სამსჯავრო და მაინც უზრუნველად, ღრმა უგრძნობელობაში ჩაძირულებს სძინავთ, არ იღვიძებენ, არ ინანიებენ. რას უნდა მოველოდე, როცა მომავალ სამსჯავროს შესახებ ქადაგებით გამოვდივარ? თქვენ ხომ ამის მოსმენას მიეჩვიეთ და აღარ გეშინიათ. და მაინც, ვისაუბრებ, რათა იქ წარმდგარს მქონდეს უფლება ვთქვა, რომ მის შესახებ გაუწყეთ.

I

როცა ქვეყნად რაიმე ღირსშესანიშნავი უნდა მოხდეს, ღმერთი ამაზე ჩვეულებრივ კარგა ხნით ადრე მიანიშნებს. იოსებ ფლავიუსი მოგვითხრობს: ვიდრე რომაელთა ჯარი იუდეაში შეიჭრებოდა, რათა იერუსალიმი დაენგრია და იუდეველი ხალხი ამოეწყვიტა, იყო ნიშნები: პირველი _ კომეტა მახვილის სახით თავს დაადგა პალესტინას; მეორე _ დეკეულმა, რომელიც შესაწირად მიჰყავდათ, ხბო დაბადა; აღმოსავლეთის ბრინჯაოს კარი, რომელსაც ოცი კაცი გაჭირვებით აღებდა, თავისით გაიღო, ცაზე თითქოსდა შეიარაღებულ მებრძოლთა მწკრივი გამოჩნდა, ხოლო მრავალი დღის მანძილზე ტაძრიდან ისმოდა შესაბრალისი ხმა, რომელიც იძახდა: «გავიქცეთ აქედან, გავიქცეთ აქედან!» ეს ყველაფერი საშინელი წინასწარი მინიშნებაა ომზე, დაპყრობებზე, ტყვეობასა და ღვთისმკვლელი ერის საბოლოო განადგურებაზე.

თავისი მეორედ მოსვლის წინ ღმერთი შეუდარებლად უფრო საშინელ ნიშნებსა და სასწაულებს გააცხადებს. ასე ამბობს ის წინასწარმეტყველ იოველის პირით: *«და ვსცე ნიშები ცასა შინა ზე და სასწაულებ ქუეყანასა ზედა ქუე»* (იოველი, 2, 30). ამის მსგავსს ასახავს იესო ქრისტეც მათეს სახარებაში. *სასწაულები ცაზე:* მზე ცივ, ბნელ სხეულად იქცევა; მთვარე სისხლის მუქ მეწამულ წრედ; საკუთარ ალში ჩამწვარი ვარსკვლავები ჩამქრალი ნახშირივით ჩამოცვივიან; მთელი ცა შეიცვლება, აღარ გვიჩვენებს თავის ლაჟვარდოვან სახეს, რომელსაც ახლა ვხედავთ _ მას ღრმა და ბნელი ღამე დაფარავს. *ნიშნები დედამიწაზე:* ომები ადამიანთა და მხეცთა შორის, ურთიერთშორის ისეთი, რომ მიწის პირი სისხლით დაიფარება და მდინარეები მეწამული გახდება. ვისაც ომი ვერ მოკლავს, შიმშილი დაღუპავს, ვინც შიმშილს გადაურჩება, შავი ჭირი იმსხვერპლებს. ერთი მხრივ, ქარიშხლით აღელვებული ზღვა, მეორე მხრივ, მიწისძვრით შეძრული დედამიწა იქნება უკანასკნელი ნიშანი სამყაროს აღსასრულისა; ნაპირებიდან გადმოსული ზღვა ხმელეთს დაფარავს, ხოლო ფუძიდან მომწყდარი ხმელეთი ზღვაში დაინთქმება და ხმელეთისა და ზღვის ამ აღრევისაგან საზარელი ქაოსი წარმოიქმნება, ის სამარე გახდება

სამყაროსათვის და მასზედ მცხოვრებთათვის. ასეთი იქნება უკანასკნელი მდგომარეობა ამ ამაო ქვეყნისა. როცა საყვირების ხმა გაისმება, მკვდრეთით აღდგებიან ყველანი, ვინც მიწამ თავის წიაღში დამარხა, ზღვამ შთანთქა, ვინც მხეცთაგან, ფრინველთაგან და ზღვის ურჩხულთაგან დაიფლითა. ყველანი, ადამისაგან შობილნი, მამანი, დედანი, ყრმანი, ჭაბუკნი, მხცოვანნი, მართალნი და ცოდვილნი, ყველანი ერთი ასაკითა და მდგომარეობით აღდგებიან, მხოლოდ ერთი განსხვავებით _ ეს არის მათი საქმეები. ყველანი უწინდელი ხორცით შეიმოსებიან, ყველანი საშინელ, დიად მსაჯულთან იქნებიან ხმობილნი. იოანე ამბობს: *«და ვიხილენ მკუდარნი, ... და სიკუდილმან და ჯოჯოხეთმან მოსცნეს მკუდარნი; და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ თჳსთა* (გამოც. 20, 12-13). პავლე მოციქული ამბობს: *«... ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაჲთა მოიღოს კაცად-კაცადმან ჴორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი»* (2 კორ. 5, 10). და როცა ყველანი აღდგებიან, თვალს აღაპყრობენ და ცას ვეღარ იხილავენ; დაიხედებიან და მიწის პირს ვეღარ დაინახავენ; მოკლედ, როცა ვერც ცაზე და ვერც მიწაზე ვეღარაფერს ნახავენ, *«მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა»* (მთ. 24, 30). კმარა, არც ძალა გამაჩნია და არც დრო იმისათვის, რომ იმ საშინელი დღის გარემოებები აღვწერო, რომლის გახსენებისას ყველა წმინდანი თრთის. მე ვდუმვარ, არაფერს ვამბობ მათზე და ჩემს სიტყვას მხოლოდ ორი საგნით შემოვფარგლავ.

ძმაო, როგორღაც წარმოიდგინე, რომ ეს დრო დადგა, რომ დგახარ ღვთის სამსჯავროს წინაშე. ნუ აიხედავ ზევით, სადაც ათასობით ანგელოზი და მთავარანგელოზი შიშითა და თრთოლვით დგას. ნუ დახრი მზერას ქვევით, სადაც ცეცხლოვანი ტახტის ქვემოდან ცეცხლის მდინარე მოედინება; ნურც მარჯვნივ გაიხედავ, ნურც მარცხნივ, სადაც ურიცხვი მართალი და ცოდვილი დგას და თრთოლვით, თვინიერად და მდუმარედ საბოლოო გადაწყვეტილებას ელის. შენი მზერა პირდაპირ მიმართე, უყურე ვინ განგსჯის. შემდეგ შენს თავს შეხედე და ნახე, ვინ არის მსჯავრდებული. მსაჯული არის ღმერთი, მსჯავრ-დებული _ ცოდვილი ადამიანი. ღმერთი მსაჯული _ მთლად მრისხანება, შეუწყალებელი; ცოდვილი _ მსჯავრდებული, გაუმართლებელი დამნაშავე. მხოლოდ ამ ორ რამეზე იფიქრე!

დავიწყოთ პირველით. იმისათვის, რომ მიხვდე, თუ რას ნიშნავს მსაჯული ღმერთი, თაბორის მწვერვალზე ადი. იქ ნახავ, როგორ იცვლის ფერს ღმერთკაცი იესო. მისი სახე მზესავით ბრწყინავს, მისი შესამოსელი თოვლივით გასპეტაკდა. მაგრამ ამავე დროს ხედავ, რომ სამი მოწაფე, პეტრე, იაკობი და იოანე, მისი ღვთაებრივი ნათლის კაშკაშა სხივებით დაბრმავებულნი, შეშინდნენ და ქვე დაემხნენ. და მაინც, ეს არ იყო სრული ნათელი ღვთაებრივი დიდებისა, იმ ნათლის პატარა სხივი იყო მხოლოდ. წმინდა თეოფილაქტე ამბობს: «ღვთაებამ თავისი სხივების უმცირესი ნაწილი გამოაჩინა». თაბორიდან სინაჲზე გადადი. ამ მთაზე ღმერთი ჩამოვიდა და, როგორც წმინდა წერილი ამბობს, უეცრად ეს მთა ფრიად საშინელი ადგილი შეიქნა. იქ ცეცხლის ალია ქურასავით დანთებული, იქ კვამლია ზეცამდე ასული, იქ ღრუბლებია, ელვა, ქუხილი, მსგავსი საყვირის ხმისა, რომლისაგანაც მთანი და ბორცვნი იძრნენ, მთელი ისრაელი ათრთოლდა, თუმცა ყოველივეს შორიდან უმზერდა. იქ ხომ ღმერთი არ ჩამოსულა როგორც მსაჯული, მაგრამ ჩამოვიდა, როგორც კანონმდებელი და გაცხადდა არა ღვთაებრივი სახით, არამედ _ დაფარულად, იგავსა და

სიმბოლოში. ახლა ყურადღება მიაქციე: ღმერთი თაბორზე თავისი ნეტარების ერთ სხივს აცხადებს, სინაᲘზე ჩამოდის, რათა თავისი სᲭული მოგვცეს, მაგრამ არც იქ და არც აქ ის მთელი თავისი დიდებით არ გაცხადებულა და მაინც, მისი გამოცხადება იმდენად საშინელი იყო, რომ მოწაფეები და მთელი ისრაელი გაოცებული დარჩნენ. მაგრამ როცა ღმერთი მომავალ სამსᲭავროს დროს მოვა, რათა არა თავისი ნეტარება, არამედ მართლმსაᲭულება გააცხადოს, მოვა არა იმისათვის, რომ სᲭული მოგვცეს, არამედ იმი-სათვის, რომ ამ სᲭულის დამრღვევნი განსაᲭოს, *«მოვიდეს ძე კაცისაᲘ დიდებითა თჳსითა»* (მთ. 25, 31); არა იდუმალებით დაფარული, როგორც გამოეცხადა მოსეს, არამედ მოვა აშკარად და ცხადად თავისი საკუთარი ბუნებითი სიდიადით. ჰოი ქრისტიანო! როგორი იქნება ეს გამოცხადება?

ღმერთი ამქვეყნად მთელი თავისი სიდიადით არასდროს ცხადდება და ამიტომაც ასე ურცხვად შეურაცხყოფენ მას ადამიანები თავიანთი ცოდვებით, შეურაცხყოფენ ღმერთს, რომელიც თავისი დიდებით არ უხილავთ. ის მხოლოდ მეორედ მოსვლისას გაცხადდება, მხოლოდ მაშინ იხილავენ პირველად და შეიცნობენ. და როგორც კი შეიცნობენ სახეს, რომელიც შეურაცხყვეს, მიხვდებიან, თუ რა დიდი ბოროტება ჩაიდინეს. დიახ, როგორც ამბობს პავლე მოციქული: «ერთი მზაკვრული ზრახვა უკვე მეორე ეკლის გვირგვინია მეუფის წმინდა თავზე, ერთი უხმარი სიტყვა უკვე შეფურთხებაა მის წმინდა სახეში, ერთი ხორციელი ვნებაც მის წმინდა ფერდში მიყენებული მეორე ჭრილობაა, ყოველი მომაკვდინებელი ცოდვა კიდევ ერთხელ მიამსჭვალავს მას Ჯვარზე». ახლა ცოდვილები ვერ ხედავენ და ვერ ხვდებიან, რას სჩადიან. ბრმებივით ისვრიან ისრებს და ვერ ხედავენ, ვის ჭრიან, რამეთუ ღმერთი ერთგვარად დაფარულია რწმენის საფარით. მაგრამ როცა მოვა და თავისი სიდიადით გაცხადდება, მაშინ დაინახავენ, ვის გმირავდნენ და როგორი ჭრილობა მიაყენეს _ *«იხილონ, რომელსა იგი უგმირეს»* (ინ. 19, 37) ცოდვილო! ეს სანახაობა როგორი მოგეჩვენება?

ჩავიდეთ ეგვიპტეში და იოსების სახლში შევიდეთ. იქ არიან მისი უმადური ძმები, რომლებმაც მისი სიკვდილი განიზრახეს, შურის გამო გაყიდეს, ოღონდაც კი თავიანთი წრიდან ამოეძირკვათ. თავდაპირველად იგი ვერ იცნეს. როცა უთხრა მათ იოსებმა *«მე ვარ იოსებ»* (დაბ. 45, 3), აღელდნენ, შეძრწუნდნენ, სირცხვილისა და შიშისაგან *«ვერ მიუგეს... სიტყუაᲘ»* (იქვე). მაგრამ ის არ ამხელს, არ აშინებს, არ აძევებს, არამედ იღებს, გულში იკრავს, ხელისუფლებით და ეგვიპტური სიკეთით მასთან ერთად ტკბობას სთავაზობს და მაინც *«ვერ მიუგეს... სიტყუაᲘ»* ასე დიდია სირცხვილი და შიში, როცა ჩვენგან ნაწყენი კაცის სახეს დავინახავთ. მაგრამ უმზირო ღვთის სახეს, ისმინო მისი სიტყვები: «მე ვარ _ ღმერთი, რომელსაც შენი ბილწსიტყვაობით შეურაცხყოფდი, რომელიც მოგებისათვის გაყიდე, შენი მრუშობით წყლავდი, ცოდვით Ჯვარს აცვამდი. მე ვარ ის, ვინც შენ ათრიე, მე ვარ ის, ვისი სახელიც გაკილე, სისხლი გათელე, მე ვარ ის, ვინც Ჯვარს იმდენᲯერ მაცვი, რამდენᲯერაც უღირსად მემსახურე...» და ახლა უცქირო და შეიცნო ღმერთი, რომელიც არასდროს გინახავს და არ უწყოდი. უცქირო პირისპირ! ხედავდე შენს ცოდვას, როგორც იარას მის ღვთაებრივ სახეზე! მითხარი, რა თვალით დაინახავ? რა გულით გადაიტან ამ სანახაობას?» _ გეუბნება ღვთაებრივი ოქროპირი.

მეტიც, როცა ასე საშინელია ღმერთი _ მსაᲘული, როცა ის მთელი დიდებით ცხადდება, რამდენად საშინელი იქნება, როცა გაცხადდება მრისხანებით? ამას ნამდვილად ვერც გონება მიხვდება და ვერც ენა იტყვის: *«ვინ-მე უწყის სიმტკიცე რისხვისა შენისაᲘ და*

შიშითა შენითა გულის-ჩყრომისა შენისა აღრაცხვად » (ფს. 89, 11) ადამიანებმა ღვთაებრივი მრისხანების ძალა ნახეს წარღვნაში, რომელმაც მთელი სამყარო დაფარა; ცეცხლში, ზეციდან რომ ჩამოვიდა და სოდომი დანაცრა; სასჯელში, რომლითაც დასაჯა გულსასტიკი ფარაონი, და მაინც, უფალს ამქვეყნად მთელი თავისი მრისხანება ჯერ არ უჩვენებია _ *«არა აღაგზებდა ყოველსა რისხვასა მისსა»* (ფს. 77, 38), რამეთუ აქ მთელ თავის მართლმსაჯულებას არ ავლენს; აქ, ამწუთს, მართალია მრისხანებს, მაგრამ ითმენს კიდეც. ის თავის წყალობას მართლმსაჯულებასთან აერთებს. ამიტომ, როგორც ამბობს მოციქული, ამჟამად დროა ხელსაყრელი და ჩვენ იოლად შეგვიძლია, ღმერთს წყალობა ლოცვით, ცრემლით, სინანულით, წმინდანთა მეოხებით გამოვთხოვოთ. აწ *«იგი ... არს მოწყალე და ულხინოს ცოდვათა მათთა»* (იქვე). მაგრამ ჟამი მისი მეორედ მოსვლისა არის სამსჯავროს ჟამი. მას თვით მოციქული უწოდებს რისხვისა და გამოცხადების დღეს, როცა ღმერთი მთელ თავის ღვთაებრივ მრისხანებას გამოავლენს. იოანე ამბობს, რომ უბედური ცოდვილნი, ოღონდაც ეს რისხვა არ ნახონ, მთებსა და კლდეებს შეჰვედრებენ, რათა ისინი თავს დაექცნენ და დაფარონ. *«და ეტყოდეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩუენ ზედა და დაგუფარენით»* (გამოც. 6, 16). მართალ იობსაც ძლიერ უნდოდა ამ რისხვას გაქეოდა და ჯოჯოხეთში ცოცხლად დამალულიყო: *«უკუეთუმცა ჯოჯოხეთს შიდა დამმარხე და დამიფარე მე, ვიდრემდე წარჴდეს რისხვაჲ შენი და განმიჩინო მე ჟამი, ოდეს მოჴსენებაჲ ჩემი ჰყო»* (იობი, 14, 13). ღვთაებრივ ოქროპირს ჯოჯოხეთურ ტანჯვაზე მეტად ეშინია მისი: «გეენიაც და ტანჯვაც აუტანელია, მაგრამ ამაზე აუტანელი ის არის, რომ ამ თვინიერ სახეს მიქცეულს, მოწყალე მზერას კი ჩვენი დანახვის არმოსურნეს ხედავდე». რატომ? იმიტომ, რომ ის არის მთლად მრისხანება, რომელიც დავითმა სუფთა ღვინით სავსე თასს შეადარა. უფალს ის ხელთ უპყრია და ყველა ცოდვილს არწყულებს _ «*სასუმელი ხელთა შინა უფლისათა ღვინისა ურწყოჲსა სავსე არს სხმულითა; ... სუან იგი ყოველთა ცოდვილთა»* (ფს. 74, 8). გაუზავებელი, სუფთა ღვინო ნიშნავს მხოლოდ მრისხანებას მრავლისმოთმინების გარეშე, მთლად მართლმსაჯულებას შეწყალების გარეშე. იქ შუამდგომლობა და ლოცვები უძლურნი არიან შეარბილონ ღვთის რისხვა; სინანულის ცრემლები უძლურნი არიან, მოწყალე ჰყონ ღვთის მართლმსაჯულება *«ღრუბელი და ნისლი გარემო არს მისსა»* (ფს. 92, 2). მაშინ ღმერთი აღარ შეხედავს სახეებს, რათა მოწყალე იქმნას. *«სიმართლე და განკითხვაჲ წარმართებაჲ საყდრისა მისისაჲ»* (იქვე). მაშინ ის განსჯის და საქმეებს გამოიძიებს. ის უკვე აღარ არის ღმერთი წყალობისა და სიუხვისა, არამედ _ ღმერთი შურისგებისა. როგორ შურისგებას მოგვაგებს ჩვენ? _ გეტყვი! მოაბელთა ველებისაკენ გამომყევი, რათა იქ მომხდარი საშინელი ამბავი იხილო (იხ. 4 მეფ. თ. 3): სამმა მეფემ _ იორამ სამარიელმა, იოსაფატ იუდეველმა და ედომის მეფემ პირი შეკრეს. მათ დიდი ლაშქრით მოაბელთა მეფე დაამარცხეს, მის ქვეყანაში შეიჭრნენ და ყველგან სიკვდილი, უბედურება დათესეს, ყველაფერი მოაოხრეს. ყველა წყარო ამოავსეს, ხეები გაკაფეს, ბალახი გადათელეს, სოფლები გადაწვეს, მცხოვრებლები აჩეხეს, და ბოლოს მეფის ქალაქი ყოველი მხრიდან ალყაში მოაქციეს. გარედან მტრისაგან, შიგნიდან კი მარაგის უკმარისობისაგან შევიწროებული მეფე სამეფოს, თავისუფლებისა და სიცოცხლის დაკარგვის საფრთხის წინ დადგა. რა ექნა? დაინახა, რომ ადამიანის ძალებზე დაყრდნობა აღარ შეიძლებოდა და მზის ძალას მიმართა, რომელსაც ის, როგორც ღმერთს, თაყვანს სცემდა. იმისათვის, რომ თავისი ხალხი გადაერჩინა და სამეფო შეენარჩუნებინა, სამეფო კარის ბრძენთა რჩევით გადაწყვიტა მზისათვის შეეწირა საკუთარი უმრწმესი შვილი,

რომელიც მემკვიდრედ ჰყავდა არჩეული. ყველას თვალწინ შვილს ხელი ჩაჰკიდა და შესაწირი ცხვარივით წაიყვანა. მის კვალდაკვალ ტირილით მიმავალი ქვეშევრდომები და ასევე მტრებიც ამ ყოველივეს გაოცებულნი შეჰყურებდნენ. ის ციხის კედელზე ავიდა, ერთ ხელში დანა ეჭირა, მეორეთი შვილი. ო, მზეო, ვგონებ ასე შესძახა, ნუ შეძრწუნდები იმით, რასაც ახლა ნახავ, რაც არასდროს, არავის უნახავს დედამიწაზე. უყურე და უფრო მეტად იკაშკაშე, რათა ეს ყველაფერი ჩემმა მტრებმაც დაინახონ! არ შემიძლია შემოგწირო იმაზე ძვირფასი მსხვერპლი, ვიდრე ჩემი საკუთარი ძეა, ჩემი პირველი შვილი, ჩემი სამეფოს მემკვიდრე: აქამდე მიმიყვანა სიძულვილმა, რომელსაც ჩემს მიმართ მტრები განიცდიან, და ასევე სიყვარულმა ჩემი ხალხისადმი. ეს უდანაშაულო მეფური სისხლი ჩემი ხელიდან მიიღე, შენი ძალა წარმომიგზავნე, რათა მტერზე შური ვიძიო და ხალხი ვიხსნა. ჩემო ძევ, მიიღე სიკვდილი საკუთარი მამისაგან და გწამდეს, რომ დღეს ჩვენ ორივე ერთი ზვარაკი და ერთი მსხვერპლი ვართ: შენ _ ჩემი ხელით დაკლული, ხოლო მე _ წუხილით განგმირული. შეუბრალებელმა აუცილებლობამ ეს უდროო სიკვდილი გაწია, მე კი _ სასტიკი მკვლელობა შვილისა. შენი სიკვდილი _ ჩემი ხალხის სიცოცხლე და თავისუფლებაა, ჩემი სამეფოს დაცვა და ღირსებაა. მეფენო, სამარიელებო, ისრაელიტელნო, რომლებმაც ჩემს წინააღმდეგ პირი შეკარით და უსამართლოდ მებრძვით, შეხედეთ, როგორია თქვენი მტერი! შემხედეთ, თუკი მყოფნის გამზედაობა დავკლა საკუთარი შვილი, ამდენივე მრისხანებაც მექნება, რათა მისთვის შური ვიძიო. ამ დანით, რომელსაც შვილის სისხლით შევღებავ, ჩემი მტრების სისხლის დაღვრასაც შევძლებ. მზეო, შეიწირე ძე და ისმინე მამისა! ამ სიტყვებით შვილს ყელი გამოღადრა და საყოველთაო გადარჩენისთვის მსხვერპლად შეწირა. მტერმა ასეთი საშინელი რამ დაინახა, შეინანა რაც ჩაიდინა, ალყა სასწრაფოდ მოხსნა და გაიქცა. *«და მოიყვანა ძე იგი თჳსი პირმშო მეფემან, რომელ დაედგინა მეფედ თავისი თჳსსა წილ, და შეწირა იგი მსხუერპლად ზღუდესა მას ზედა. და იყო სინანულ დიდ შორის ისრაელსა და წარმოვიდეს მიერ და მივიდეს ქუეყანად თჳსად»* (4 მეფ. 3, 26). რატომ გარბის ეს სამი მეფე? მაშ რა უნდა ექნათ? გთხოვთ, უბედური მამისა და მეფის მდგომარეობა წარმოიდგინოთ: ვინ შეავიწროვა ისე ძლიერ, რომ მან მსხვერპლად საკუთარი შვილი შესწირა? _ იმ სამმა მეფემ, რომლებმაც უსამართლო ომი წამოიწყეს და ის ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ სამეფოსა და ტახტის დაკარგვა დაემუქრა. ბრძოლის ბედი მის სასარგებლოდ რომ შემობრუნებულიყო, რომ გასულიყო, დაემარცხებინა ისინი, უკუეგდო, ან ხელთ ეგდო, გეკითხებით, რას უზამდა მათ გამწარებული მამა? რამდენადაც დიდი იყო მისი წუხილი, იმდენად დიდი იქნებოდა მისი რისხვა და შვილისათვის შურისძიება. მრისხანება მის ძალას გაზრდიდა; ის მათ მძვინვარე ლომივით თავს დააცხრებოდა და მათ სისხლს შესვამდა. ჰოი, რა რისხვაა! ადამიანი, რომელმაც თავისი ძე არ დაინდო, მტერს დაინდობდა განა? იფიქრეთ. იმ სამმა მეფემ კარგი ქნა, რომ გაიქცა, რადგანაც ისინი უსაზღვროდ სამართლიან რისხვას გაექცნენ.

თავი ვანებოთ მოაბელთა მეფის მაგალითს და ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ. დაუსაბამო ღმერთმა მამამ გოლგოთაზე თავისი მხოლოდშობილი ძე, ეკლის გვირგვინდადგმული, ორ ავაზაკს შორის ჯვარზე მიმსჭვალული, იარებში, მთლად სისხლიანი, როგორც ბოროტმოქმედი, მსხვერპლად შეწირა; საშინელი სანახაობაა! ამის შემხედვარე მზე დაბნელდა, მიწა და კრეტსაბმელი გაიპო, საფლავები გაიხსნა. საამისოდ რამ აღძრა ის? _ ჩვენმა ცოდვებმა. მოდი, ნუ გამოისყიდი სინანულით შენს ცოდვებს ამ ცხოვრებაში, ცოდვებით წარსდექი მამა ღმერთის პირისპირ, რათა განისაჯო მეორედ მოსვლისას. იქ

მისი მხოლოდშობილი ძეც იქნება ჯერ ისევ მოუშუშებელი იარებით; იქნება ძელი ჯვრისა, რომელზედაც ის იყო გაკრული. მაშ ასე, ერთის მხრივ ის დაინახავს საყვარელ ძეს, რომელიც დაკლა, მეორე მხრივ _ შენს ცოდვებს, რომლებმაც ის საამისოდ აღძრეს. ნუთუ იმედოვნებ, რომ უფალი რაიმე წყალობას გიყოფს? უმადურო, გეტყვის ის, ჩემი ძის სიცოცხლე, ყველა ანგელოზზე და ყველა ადამიანზე უძვირფასესი, სასიკვდილოდ გავიმეტე. მისი სისხლი, სამოთხის ყველა მარგალიტზე ძვირფასი, მთლიანად მიწაზე დავთხიე. ჩემი სიყვარული ძისადმი სერაფიმების გულებში აგზნებულ ალზე მხურვალეა; არაფერი მქონდა იმაზე ძვირფასი, იმაზე საყვარელი, ვიდრე ჩემი ძე _ მე ის მსხვერპლად შევწირე. ნუთუ ამანაც ვერ მიგახვედრა, რა სიძულვილს განვიცდი ცოდვის მიმართ? და შენ ჩემს წინაშე ცოდვებით წარდექი? მაიძულე, შენი ცოდვების გამო შვილი მომეკლა. ახლა ის აღმძრავს, რათა მისი სიკვდილისათვის განგსაჯო. მისი სისხლი, ტანჯვა, იარები შენზე შურისძიებას ღაღადებენ. მე ვარ _ მსაჯული, მე ვარ _ მამა. როგორც მსაჯული _ ჩემი სიმართლით განგსჯი; როგორც მამა _ განგსჯი ჩემი ძის სიკვდილისათვის. ცოდვილო! ასეთი მსაჯულისა და მამისაგან წყალობას ელი? არა, არა, უბედურო! იფიქრე, თუკი *«ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა»* (ჰრომ. 8, 32), ის არც შენ, თავის მტერს დაგინდობს. იფიქრე, ეს მისი სიმართლე განიკითხავს შენს ცოდვებს და ამავდროულად სიყვარული იძიებს შურს ძის სიკვდილისათვის. ამგვარად შენს წინააღმდეგ ღვთის სიმართლე და სიყვარული იბრძვიან, შენზე ერთდროულად აღესრულება სამსჯავრო და შურისგება. გაზომე სიყვარული, რომელსაც ის თავისი ძის მიმართ განიცდის _ ის უსაზღვროა! გაზომე ცოდვისადმი მისი სიძულვილი, რომელმაც იგი ეგზომ საყვარელი ძის მსხვერპლად გაღებისათვის აღძრა _ ისიც ასევე უსაზღვროა! ასეთი სიყვარულისა და სიძულვილის მიხედვით მიხვდი, თუ როგორი მრისხანებით განგსჯის; და ეს მრისხანებაც უსაზღვროა, მრისხანება შეწყალების გარეშე, მხოლოდ მრისხანება! რას შეუძლია ის შეაკავოს? ვის შეუძლია ის აიტანოს? ამის შესახებ თრთოლვით ვლაპარაკობ; ვძრწუნდები, ძალა და სიტყვა მებნევა, მეტის თქმა აღარ ძალმიძს. ცოტათი გონს მოსვლა მაცალეთ. ჰოი, ცოდვილო სულო! ჰოი მომავალო სამსჯავროვ!

II

მსაჯული ღმერთი _ მთლად მრისხანება, შეწყალების გარეშე! და ბრალდებული _ ცოდვილი, გაუმართლებელი დამნაშავე! ყველა დანაშაული, რომლისთვისაც სამსჯავროზე ყოველი ადამიანი პასუხს აგებს ღვთის წინაშე, ოთხ სახეობად იყოფა. ცოდვების პირველი სახეობა ის ცოდვებია, რომლებიც თავად ჩვენ ჩავიდინეთ. მეორე ისინია _ რომლებიც ჩვენი მიზეზით სხვებმა ჩაიდინეს; მესამე _ ჩვენს მიერ არგაკეთებული სიკეთე; მეოთხე _ ის სიკეთე, რომლის გაკეთების საშუალებაც სხვებს არ მივეცით. ეს ყველა ცოდვა, დიდიც და მცირეც, გამოკვლეულ იქნება. «ყველაზე მცირედი დანაშაული, ყველა ცოდვა, მყისიერი გაფიქრებაც კი კი გამოკვლეულ იქნება» ამბობს გრიგოლ ნოსელი. რაც ბაგით შევცოდეთ _ ფუჭი სიტყვა, რაც საქმით შევცოდეთ _ უმსუბუქესი შეცდომა; ყველაფერი, პირველიდან უკანასკნელამდე. მაშინ ვეღარაფერს დავფარავთ, როგორც ახლა ვფარავთ ადამიანის თვალისაგან, მოძღვრისაგან. ყოველივე იმ სახით და იმ ვითარებაში გაცხადდება, როგორშიც ის სინამდვილეში მოხდა. და ჩვენ ვერაფრის შეცვლას შევძლებთ, როგორც ამას ახლა, ადამიანების მოტყუებით ვაკეთებთ _ როცა ერთს მეორედ ვასაღებთ და სათნოების ნაცვლად პირფერობას ვავლენთ. «უეცრად დავინახავთ ყველა საქმეს, თითქოსდა ჩვენი გონების წინაშე წარდგენილს იმ სახით, როგორც თითოეული იყო ჩადენილი». ახლა, ამ

ცხოვრებაში, ზოგიერთი რამ სრულიად საიდუმლოდ ხდება; თუკი არის კიდეც გაცხადებული, მისი ჩამდენი უცნობია ჩვენთვის. რამდენ რამეს ფარავს ღამე, რამდენს უდაბურობა, რამდენს იდუმალება! აი საიდუმლო ვითარებაში ნაპოვნი წერილი, არ ვიცით ვინ დაწერა ის, _ მოტყუებულია უმწიკვლო ქალწული, ვინაა ბავშვის მამა _ არ ვიცით; ცილისწამება გავრცელდა, ვინ გაავრცელა _ არ ვიცით. რომელიმე სახლში ძვირფასი ნივთი დაიკარგა, ვინ მოიპარა _ არ ვიცით; და რაც ყველაზე ცუდია, უდანაშაულო ისჯება, დამნაშავე კი იცინის. ესა თუ ის სიყვარული წრფელია თუ არა? იქნება ეს შური ან ეჭვია? ქებაა ეს თუ მლიქვნელობა? სათნოებაა თუ პირფერობა? ჩვენ არაფერი ვიცით. აქ ღრმა ბუნდოვანებაა. მაგრამ იქ ყველაფერი გაცხადდება «ყველაფერი, თავისი საკუთარი სახით, როგორც იყო ნათქვამი და გაკეთებული»:

ყოველივეს ღმერთი განსჯის _ მთლად შეუწყალებელი მრისხანება! ახლა იფიქრე ცოდვილო: გაქვს რაიმე გამართლება? უპირველეს ყოვლისა, იფიქრე ბოროტებაზე, რომელიც ჩაიდინე. ამ ცხოვრებაში ღმერთმა უადვილესი საშუალება მოგცა _ ყველა შენი უსჯულებისათვის, უმართლობისთვის, მრუშობისათვის, ყველა დიდი და საშინელი ცოდვისთვის მიტევება მიგეღო. საკმარისი იყო მხოლოდ მოგენანიებინა სულიერ მოძღვართან, რომელსაც შენი მიტევების მთელი ხელისუფლება უბოძა ღმერთმა და შენ მიტევებულ იქნებოდი, მაგრამ შენ ეს არ გაგიკეთებია. შენ ეს იცოდი, მაგრამ არ გააკეთე. ამაზე გელაპარაკებოდნენ მქადაგებლები და სულიერი მოძღვრები, მაგრამ ეს არ გააკეთე. ამდენი წელი იცხოვრე, საკმარისი დრო გქონდა, რათა ეს გაგეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთე. მე გეკითხები: გაქვს კი რაიმე გამართლება ღვთის წინაშე?

მეორე _ ბოროტება, რომელიც სხვამ შენი მიზეზით ჩაიდინა. მას არ უნდოდა ცრუმოწმეობა, მას არ უნდოდა მოკვლა; შენ ისინი წააქეზე. ის საწყალი ქალწული შეძლებისდაგვარად თავს იკრძალავდა, შენ ტყუილით ან ძალით წარწყმედის გზაზე დააყენე, ცოდვაში ჩააგდე; ჭაბუკმა ჯერ არანაირი ბოროტება უწყოდა. ყვავილი იყო ასაკითაც და უმწიკვლოებითაც, შენ შეეხე და იგი დაჭკნა _ შენმა სიტყვებმა, შენმა საუბრებმა მისი სმენა და კეთილი ზნე გახრწნეს; შენ მღვდელი იყავი და ცდუნებაში ყველა ერისკაცს აღემატებოდი. შენ ცოლიანი იყავი და ცოლის თვალწინ მეძავი გყავდა; შენ მამა იყავი და შენი შვილებისთვის ბოროტების მასწავლებელი შეიქენი; შენ ადამიანებისათვის წარწყმედის მაგალითი იყავი. ძმაო, რომ გდომებოდა, მარტო დასჯილიყავი, დაე, ყოფილიყო ასე, შენ გაქვს მეუფება შენს სულზე, მაგრამ შენი რჩევით, ცდუნებით, მაგალითით ბევრი გაიყოლე. გეკითხები: გაქვს კი რაიმე გამართლება ღვთის წინაშე?

მესამე _ კარგი საქმე, რომელიც არ გააკეთე. მრავალი ძღვენი გიბოძა ღმერთმა _ ბუნებრივი, ნივთიერი და სულიერი. შენ ყველა სიკეთით აღსავსე იყავი, შეგეძლო სათნოებისა და სიბრძნის მაგალითი ყოფილიყავი, მაგრამ წარწყმედისაკენ მიიდრიკე; შენ მდიდარი იყავი, ქვრივ-ობლებისთვის იმდენი სიკეთის მოტანა შეგეძლო, მაგრამ შენმა ვერცხლისმოყვარეობამ ეს არ დაუშვა; შეგეძლო, ეკლესიაში კეთილმოწესედ გემსახურა _ ხორცმა, ქვეყანამ და ეშმაკმა გძლიეს და ეს მაშინ, როცა სათნოება და სიწმინდე არ იყო მიუწვდომელი შენთვის. შენ იქ ნახავ წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, მოწამეებს, ქალწულებს და მოღვაწეებს, რომლებიც ღვთაებრივმა მადლმა განწმინდა. კეთილ ნებას რომ არ მიეტოვებინე, ეს ღვთაებრივი მადლიც არასდროს მიგატოვებდა, და შენც ისეთივე იქმნებოდი, როგორიც ისინი. რამდენი ძვირფასი დროა უგონოდ გახარჯული ან ამაოდ

დაკარგული, რომლის მანძილზეც ამდენი სიკეთის გაკეთება შეგეძლო, მაგრამ არაფერი გაგიკეთებია. გეკითხები: გაქვს კი რაიმე გამართლება ღვთის წინაშე?

მეოთხე _ სიკეთე, რომლის გაკეთების საშუალებაც სხვას არ მიეცი. ერთს ეკლესიაში წასვლა უნდოდა ქადაგებაზე დასასწრებად ან აღსარების სათქმელად, თავისი სულისთვის რაიმე სასარგებლოს გაკეთება, მაგრამ შენმა ბოროტებამ ეს არ დაუშვა. სხვას რაღაც საზოგადო სიკეთე ჰქონდა განზრახული, მრავალი ადამიანისთვის სარგებლობის მოტანა, მაგრამ ამას შენი შური გადაეღობა. გეკითხები: გაქვს კი რაიმე გამართლება ღვთის წინაშე?

დავხუროთ წიგნი, რომელშიც შენი ცოდვები წერია. გადავშალოთ მეორე, სადაც შენი სათნოებებია ჩამოთვლილი. შენ თვლი, რომ შენს ცხოვრებაში რაღაც სიკეთე გაქვს გაკეთებული. ვნახოთ, რა სიკეთეა ეს. შენ ილოცე, მაგრამ როცა შენი ბაგე ლოცვას ამოთქვამდა, სად დაეხეტებოდა შენი გონება? მოწყალება გაეცი, მაგრამ რამდენი? ფრიად მცირე, და ისიც იმისათვის, რომ ადამიანებისაგან ქება უფრო მიგეღო, ვიდრო ღვთისაგან ჯილდო. შენ იმარხულე (ვტირი ქრისტიანთა მარხვის გამო, ქრისტიანთა სუფრებზე ღორმუცელობა და ლოთობა სწორედ მარხვის დროს მეფობს); იმ დროს, როცა თევზისა და ხორცისგან თავს იკავებდი, იკავებდი კი თავს ვნებებისა და ხორციელი ტკბობისაგან? შენ აღსარება თქვი, მაგრამ ამის შემდეგ ხშირად შეგიკავებია თავი? შენ მოინანიე. მაგრამ გამოსწორდი? ასეთია ის კარგი, რომელიც შენ გააკეთე? და ამით ფიქრობ დაიმსახურო გამართლება ღვთისაგან? მიმითითე თუნდაც ერთ, ნამდვილ სიკეთეზე! შენს მიერ განვლილი ხუთი, ექვსი, ათი და ასი წლიდან ღვთისადმი მიძღვნილ ერთ დღეზე, ერთ საათზე მიმითითე! სად არის გაკეთებული სიკეთე? ასეთი დღე სადაა?

მაშ ასე, თუკი მსაჯულია ღმერთი, მთლად მრისხანება, შეუწყალებელი, შენ კი _ ცოდვილი, გაუმართლებელი დამნაშავე, საბოლოო გადაწყვეტილებას როგორს მოელი? მე ამის თქმა მზარავს: *«წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთა»* (მთ. 25, 41). ჰოი, საშინელია სამსჯავრო ღვთისა! კიდევ უფრო საშინელია გადაწყვეტილება! საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ ასეთი გამართლებით, საცოდავო, უბედურო, ღატაკო ცოდვილო? სამოთხიდან _ ჯოჯოხეთში, დიდების ნათლიდან _ მარადიულ ცეცხლში, უსასრულო დიდებიდან _ დაუსრულებელი ტანჯვისკენ, ღმერთისაგან _ ეშმაკთან! ჰოი, საშინელია სამსჯავრო ღვთისა! ჰოი უფრო მეტად საშინელია გადაწყვეტილება _ *წარვედით ჩემგან!*

ახლა არ შემიძლია გითხრათ, თუ რა იგულისხმება ამ საშინელ სიტყვებში. ამას სხვა დროს გეტყვით. ახლა კი გირჩევ, გთხოვ, გევედრები: ასეთ სამსჯავროსა და გადაწყვეტილებას გაექეცი. არის კი ეს შესაძლებელი? მისმინე. ყველა ადამიანური ცოდვისთვის ღმერთმა ორი სამსჯავრო დაადგინა. ერთი აქ, დედამიწაზე, ამ ცხოვრებაში; მეორე _ ზეცაში, თავისი მეორედ მოსვლით. იქ მსაჯულია ღმერთი _ მთლად მრისხანება, შეუწყალებელი; აქ მსაჯულია _ მღვდელი, ადამიანი, მთლად მოწყალება, მრისხანების გარეშე. იქ დამნაშავეს არა აქვს მიტევება. აქ ის მიტევებას იღებს. ვინც აქ განისჯება და მიტევებას მიიღებს, იქაც განისჯება ღვთისაგან და ღებულობს მიტევებას. ვინც აქ ინანიებს, იქ მართლდება. «თუკი ამ ცხოვრებაში შევძლებთ, განვიბანოთ შეცოდებისგან, იმქვეყნად სუფთანი გავალთ ცოდვათაგან» ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი. ქრისტიანო, მრავალგზის მითქვამს შენთვის, თუ როგორი ადვილია აღსარების მეშვეობით ცოდვათა მიტევების მიღება, დღეს გითხარი, რაოდენ საშინელია ცოდვის განსაცდელი მომავალ სამსჯავროზე. მე შენ ცეცხლი და წყალი შემოგთავაზე, აირჩიე, რომელიც გენებოს.

სიტყვა მარხვის მეოთხე კვირას

საუკუნო ტანჯვაზე

«მოძღუარ! მოვიყვანე ძე ჩემი შენდა,
რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ;
და სადაცა დააპყრის იგი, დააკუეთის,
და პეროვინ და იღრჭენნ კბილთა და განჴმებინ»

(მრკ. 9, 17-18)

ის, ვინც მანკიერების გზით მიდის, საბოლოოდ აუცილებლად წარსაწყმედლის უფსკრულში შთავარდება. ბოროტ საქმეებს ყოველთვის უბედურებები მოსდევს და საერთოდ, მანკიერი ცხოვრება საშინელი უბედურებებით სრულდება. ბოროტი ცხოვრებისათვის სიკვდილიც ბოროტია. შეხედეთ ურჩი ჭაბუკის გარყვნილ აზრთა სახეებს, უმადური ძის სისასტიკეს _ მე ვლაპარაკობ უღირს აბესალომზე, რომელიც, ამაყი სულის თანდაყოლილ ქედმაღლობასა და დამღუპველ რჩევებს დამორჩილებული, იარაღს იღებს და ტახტსა და თავისი მამის, უწყინარი დავითის სიკვდილს ეძიებს. ახლა ასეთი კადნიერი შფოთის ბოლო იხილეთ, ბოლო, როგორის ღირსიცაა ეს უსჯულოება. გააფთრებით შეპყრობილმა, მამის წინააღმდეგ მომაკვდინებელი ბოროტებით ანთებულმა მეამბოხე შვილმა, სახედარზე ამხედრებულმა ხის ქვეშ დაუდევრად გაიარა; გრძელი თმა ხის ტოტებში აეხლართა და უბედური ჰაერში დაეკიდა. შწორედ ამ დროს მას დავითის ერთგულმა მხედართმთავარმა იოაბმა მიატანა, და აბესალომს გულში სამი მახვილი აძგერა *«მოიღო იოაბ სამი ლიბანდაკი ჴელთა მისთა და განწონნა გულსა აბესალომისასა, ვიდრე ცოცხალ ეკიდა ხესა მას რკოსასა»* (2 მეფ. 18, 14). ვინ დაიჯერებს, რომ მიუხედავად სამი საშინელი სასიკვდილო ჭრილობისა და ტანჯვისა, იგი არ კვდება?!

რა სამწუხარო სანახაობაა! უბედური საკუთარი თმით საბედისწერო ხეზე ჰკიდია. სამმა შუბმა მკერდი განუგმირა და ღია ჭრილობების მიუხედავად ტანჯული სული მაინც არ გადის მისგან. ის ფართხალებს, ტრიალებს, ფეხებს იქნევს, ხელებს ხან თმებზე ივლებს, ხან ჭრილობებზე, თვალებს ველურივით აბრიალებს, საცოდავად კვნესის, უკანასკნელ ძალებს იკრებს, მაგრამ არც კვდება და არც რაიმე საშველი აქვს. ათას სიკვდილს განიცდის ისე, რომ ერთითაც არ კვდება.

ჰოი სამსჯავროვ, ჰოი სულო! ასე შევძახოდი გასულ კვირადღეს. ახლა კი ვამბობ: ჰოი წამებავ, ჰოი სულო! გასულ კვირას ჯოჯოხეთის კარებამდე ვახლდი უბედურ ცოდვილს; საშინელი სამსჯავროს დღეს იგი თრთოლვითა და ოხვრით წარმოვადგინე და ის განსჯილი იყო ღვთის მიერ, რომელიც არის მთლად მრისხანება, შეუბრალებელი; ის განისაჯა როგორც ბოროტმოქმედი და თავისი განაჩენიც მოისმინა: *«წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთა»* (მთ. 25, 41). მინდა, დღეს იგივე ცოდვილის სახე საუკუნო სატანჯველში გიჩვენოთ. ამ ცოცხალი გამოსახულებისთვის საღებავებს დღევანდელი სახარებისეული ჭაბუკი მაწვდის: მას, როგორც უტყვი სულის ცოცხალ საბუდარს, ქაფი

ამოსდის, კბილებს აკრაჭუნებს, ქვავდება, გადამეტებული ტანჯვისაგან მკვდარივით ეცემა _ ეს ყოველივე საუკუნო ტანჯვის სახეა. მაგრამ მე უბედური აბესალომის სახეს გამოვიყენებ. იოაბმა მას გული სამი შუბით განუგმირა; მე კი სხვა სამ შუბს გიჩვენებთ, ეს არის *«ისარნი ძლიერისანი ლესულ»* (ფს. 119, 4), რომლებითაც ღვთის სიმართლე სატანჯველად განწირული ცოდვილის გულს გმირავს. პირველი ისარი არის მწარე, მაგრამ უსარგებლო სინანული: ის ხსოვნას წარსული დღეების მოგონებებით წყლავს. მეორე _ უზომო და მოუშუშებელი ტკივილი: ის გონებას იმჟამინდელი მდგომარეობის შეგნებით გმირავს. მესამე _ ეს არის უკიდურესი, მაგრამ უიმედო წადილი: ის ნებას მომავალი ნეტარი ცხოვრების აღკვეთით ადამბლავებს. აბესალომი თავისი ჭრილობით ცოცხალი დარჩა იმისათვის, რათა უფრო მეტი ტანჯვა განეცადა. ასევე სამივე ისრით დატანჯული ცოდვილი საბოლოო სიკვდილს ვერ იღებს, რამეთუ საუკუნო სიკვდილს განიცდის. სწორედ ამაშია არსი იმ ტანჯვისა, რომლის შესახებაც დღეს ვისაუბრებ.

I

წარმოიდგინეთ, ჩემო მსმენელნო, შემზარავი მიწისქვეშა საპყრობილე, საშინელი სიბნელე, უღრმესი უფსკრული, აყროლებული კუბო, უსიხარულო ადგილი ტირილისა და სიმწარისა, ან შავი ცეცხლის უსაშინლესი ქურა ჩაუქრობელი ალით _ უზომო სიფართოვის, ენითუთქმელი სიღრმისა და მასში დატუსაღებული, ჩამარხული, ალმოდებული უბედური ტუსაღი. უზენაესის მპყრობელი მარჯვენა უწყვეტლივ გმირავს თავისი სამი ისრით მის სამ საშინელ იარას: უსარგებლო მწარე სინანულს, განუზომელ და გამოუნათებელ ტანჯვას, უკიდურეს და უიმედო წადილს _ ასე რომ, ეს უბედური ხსოვნით მიწაზეა მიმსჭვალული, გონებით ჯოჯოხეთზე, წადილით კი ზეცაზე, რამეთუ ყოველთვის, მაგრამ უიმედოდ სწადია ზეციური დიდება. რა არის ჯვარი ამ წამებასთან შედარებით? კბილთა ღრჭენა, მატლი დაუძინებელი, საშინელი სიბნელე, ცეცხლი ჩაუქრობელი, დემონებთან ერთად ტანჯვა და ყველაფერი ის, რაც ვიცით წმინდა წერილიდან, მხოლოდ უმცირესი ნაწილია ტანჯვისა, _ ყველა ეს ტანჯვა სხეულებრივია, ისინი სრულიად უმნიშვნელონი არიან იმ სულიერ ტანჯვასთან შედარებით, რომლებზეც მე მიგითითებთ.

ღვთისმეტყველთა საერთო აზრით დამტკიცებული უდავო ჭეშმარიტება ის არის, რომ ყველას, ჯოჯოხეთში ჩასულს, რომლებსაც ღვთაებრივი მადლის ყველა ზებუნებრივი ნიჭი აქვს აღკვეთილი, შენარჩუნებული აქვთ ბუნებითი ნიჭები. მათ ხუთივე სხეულებრივი გრძნობა მრთელი აქვთ; მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეგრძნება; ასევე მრთელი აქვთ სამი სულიერი ძალაც: გონება, ნება და ხსოვნა. მეტიც _ გარეგანი სხეულებრივი გრძნობები და შინაგანი სულიერი ძალები უფრო მეტად მგრძნობიარენი ხდებიან, რათა მეტად იტანჯონ და თავიანთი ტანჯვა უფრო ღრმად გაიაზრონ. ჭეშმარიტად საუკუნო ტანჯვა სწორედ აქედან წარმოდგება.

მაშ ასე, პირველი ისარი, რომელიც ცოდვილის მახსოვრობას წყლავს, არის ცოცხალი მოგონება წარსული ცხოვრებისა. მოგონება _ ვაგლახ! _ მწარე, რომელსაც ის კიდევ უფრო ღრმა სინანულთან მიჰყავს. ჰოი, ეს ჩვენი ხანმოკლე ცხოვრება, ყვავილივით წარმავალი, ელვასავით წამიერი, ჩვენი მოგონებებიდან ისევე ჩქარა რომ ქრებოდეს, როგორ სწრაფადაც გაირბენს ჩვენს თვალწინ! მიწიერ ტკბობას ისევე სწრაფად რომ ვივიწყებდეთ, როგორც მათ განცდას! მაგრამ ის რაც იყო, აღარ შეიცვლება, რაც იყო, იყო დროში და გაიარა, დროში დასრულდა. აღსრულებული დროის საზღვრებიდან გადის და სამუდამოდ მის მიღმა რჩება. ყველა მიწიერი სიამე იმ ტკბილ, მაგრამ მავნე საჭმელს ჰგავს, მცირე ხანს

პირისგემოს რომ ატკბობს, მაგრამ კუჭში მტკივნეული და მოუნელებელი რჩება; ისინიც ასევე _ წამიერად მოდიან, გრძნობას ატკბობენ, მაგრამ სამუდამოდ რჩებიან და ხსოვნას ტანჯავენ. «ისინი დამგემოვნებელს დროებით ატკბობენ, შემდგომ კი მათი შედეგები ნაღველზე მეტად მწარდება» _ ამბობს ბასილი დიდი. წარსული ცხოვრება ცოდვილის მოგონებებში მთლიანად რჩება და ორი ურთიერთსაპირისპირო მხარე აქვს: ერთი მხრივ ძალზე ხანმოკლე გვეჩვენება, მეორე მხრივ _ ძალზე ხანგრძლივი. და როგორც ტელესკოპი ერთი მხრიდან ადიდებს, მეორედან კი აპატარავებს, ასევე ტანჯულის ხსოვნა, ერთი მხრივ ცხოვრებას ჯოჯოხეთის მარადიულ ყოფას ადარებს და ხვდება, რამდენად ხანმოკლე, წამიერია ის, არარაობად, გუშინდელ დღედ აღიქვამს, რომელმაც ჩაიარა (იხ. ფს. 89, 4) _ რამდენი სიმწარეა მხოლოდ იმის გააზრებაში, რომ ასე ხანმოკლე სიცოცხლეში სულმა მარადიული ტანჯვა მოიხვეჭა! _ მეორეს მხრივ, ხსოვნა ცხოვრებას ადარებს დროს, ის ხანგრძლივი ეჩვენება. ამაშიც რამდენი სიმწარეა _ აღიარო, რომ ამდენი წლის მანძილზე სინანული ათასჯერ შეეძლო, მაგრამ მუდამ სატანჯველს ირჩევდა! ჭრილობა, რომლითაც ცოდვილის ხსოვნას ეს ისარი წყლავს, მწარე, თუმცა უშედეგო სინანულია. ის ჩადენილს მხოლოდ ახლა ინანიებს, მაგრამ მიტევების დრომ გაიარა; მხოლოდ ახლა დასტირის თავის ცოდვებს, მაგრამ ცრემლები მათ აღარ ჩამორეცხავენ, არამედ მისი ტანჯვის ცეცხლს უფრო მეტად აღაგზნებენ. «ჯოჯოხეთში სინანული არ არის. იქ შთავარდნილთათვის აღსარება და გამოსწორება შეუძლებელია» _ ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი. აქ, ამ ცხოვრებაში, ცოდვილი ინანიებს და სარგებელს იღებს, აღიარებს და მიტევებას იღებს, ტირის და იწმინდება, რადგან ეს არის დრო ხელსაყრელი, დრო სინანულისა, რომელზედაც ღმერთმა თავის მღვდლებს გასაღები უბოძა. მონანულის წინაშე ამ გასაღებით მაშინ გააღებენ ცათა სასუფევლის კარებს, როცა მოისურვებენ. მაგრამ იქ, სხვა ცხოვრებაში, ასე არ არის. იქ _ დროა მიგებისა, როცა სამსჯავროს შემდეგ თითოეული დამსახურებულს მიიღებს.

იქ უფალს გასაღები უკანვე მიაქვს და სამსჯავროს შემდეგ კეტავს კარს, რომელიც საუკუნოდ დაკეტილი რჩება. *«და დაეკშა კარი»* (მთ. 25, 10). იქ, შიგნით, ცათა სასუფეველში, საუკუნოდ ნეტარი მართალნი არიან, მის გარეთ კი _ განდევნილი ცოდვილნი; კარი არ იღება, რამეთუ აღარ არის გასაღები. მაგრამ ამას რას ვამბობ, თითქოსდა არ არის სინანული? არის, მაგრამ მწარე და უშედეგო. ერთხელ საული, ისრაელთა მეფე, ფილისტიმელებს დევნიდა. მან თავის ხალხს სიტყვით მიმართა, ბრძანა, რომ დღის მანძილზე ჭამა არავის გაებედა, ვიდრე მტერზე საბოლოო გამარჯვებას არ მოიპოვებდნენ. ვინც მეფის სიტყვას დაარღვევდა, თუნდაც ეს მისი შვილი იონათანი ყოფილიყო, სიკვდილით დაესაჯათ. მართლაც, მისმა ძემ იონათანმა ტყეში შემთხვევით სკა იპოვა. შიმშილით შეწუხებულმა ჯოხის წვერი თაფლში ამოავლო და ის-ის იყო პირთან მიიტანა, რომ შეიპყრეს. სიკვდილით, სიკვდილით მოკვდეს! არანაირი შეწყალება, არანაირი მიტევება. ეკითხებიან უბედურ იონათანს, _ რა ჩაიდინა: *«რა საქმე ჰქენ?»* (1 მეფ. 14, 43) ის პასუხობს: *«გემო ვიხილე ბუნითა ჰოროლისათა… და აწ, ესერა, მოვკუდები»* (იქვე) _ ცოტაოდენი თაფლი ვიგემე და აი, უნდა მოვკვდე. ასეთი მცირედი სიტკბოება და როგორ გამწარდა! ასეთმა უმნიშვნელო სიამოვნებამ რაოდენ მძიმე სასჯელი მაწია! წყეული თაფლი! მხურვალე თაფლი! ოჰ, ნეტავ არასდროს მეპოვე, არასდროს მოგკარებოდი ბაგით! უბედურო იონათან, თქვი რა ჰქენ? მცირეოდენი თაფლი ვიგემე _ და აი, ვკვდები. სულ ცოტა თაფლი _ ესაა ჩემი დანაშაული, სასჯელი კი _ სიკვდილი! ამის შეგნება ჩემს სიკვდილს უფრო მეტად მწარეს ხდის. საუკუნეთა უზენაესო მეუფევ, რომელსაც შენივე

თქმით ჯოჯოხეთის კლიტენი გიპყრია, მომეცი ისინი ახლა, რათა გავაღო ეს ბნელი ჯურღმული, სადაც შენი მცნების დამრღვევნი საუკუნო სიკვდილისთვის არიან განწირულნი. მე არ ვაპირებ მათ იარებზე სალბუნის დადებას, მათზე მოდებულ ალზე წყლის დასხმას. არა. მხოლოდ მინდა ვკითხო ერთ-ერთ ცოდვილ სულს: ტანჯულო სულო, მითხარი, რა ჰქმენ? რად იტანჯები ასე საშინლად? რაშია შენი დანაშაული? ამ საპყრობილეში რამ მოგიყვანა? ამ ქურაში რამ ჩაგაგდო? რა ჰქმენ? არაფერი, გარდა იმისა, რომ ცოტაოდენი თაფლი ვიგემე. დაგემოვნების ერთი წამი _ აი მთელი ჩემი დანაშაული, აი მთელი მიზეზი ჩემი ტანჯვისა. რაოდენ დიდი იყო სატანური ავხორცობით ტკბობა, რომლის გამოც ამდენი სუფთა ქალწული ვაცდუნე, პატიოსანი ცოლები შეურაცხვყავ, მთელი ჩემი ქონება, სული, გული მეძავს მივეცი! ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი წვეთი თაფლია! დიდი იყო კი სიამოვნება, რომელსაც ლოთობით, ნადიმით და ცეკვა-თამაშით, დროსტარებით, ქორწილებითა და სანახაობებით ვიღებდი? მხოლოდ წვეთი იყო თაფლის! იყო კი დიდი ჩემს მიერ განცდილი სიხარული, როცა შურისმაძიებლობა დავიოკე, ვხედავდი მოყვასის გაქცევას, ჩემი ვნების, შურის გამო მისი ღირსება ლაფში გავსვარე? ესეც წვეთია თაფლისა! ის სიმდიდრე, რომელსაც ჩემი ვერცხლისმოყვარეობის ვნება ელტვოდა, რის გამოც სინდისი უთვალავი უსამართლობით, უსჯულო ქმედებით დავიმძიმე? _ იყო კი დიდი? _ ეს წვეთია თაფლისა! ის დიდება, პატივი, ფუფუნება, რომლებითაც ჩემი ხელისუფლების დროს ჩინოსნობით, სიმდიდრით ქედმაღლურად და ამპარტავნულად ვტკბებოდი, ხოლო ღვთის შიში ასე მცირედი მქონდა, _ როგორი იყო? ესეც წვეთია თაფლისა! ყველაფერი, ყველაფერი წვეთია თაფლისა და ისიც ამდენი ზრუნვით, შიშით, გარჯით, ავადმყოფობით მოწამლული! მაგრამ ჩემი ცხოვრების გზა კიდეც რომ ყოფილიყო ბედნიერ დღეთა უწყვეტი რიგი, მთელი ჩემი ცხოვრება, ყველაზე ხანგრძლივი და სიკეთით აღსავსე, რა არის ის მტანჯველ მარადისობასთან შედარებით? ერთი წვეთია თაფლისა, *«გუშინდელი დღე, რომელ წარხდა»* (ფს. 89, 4). ვაგლახ მე! ვიხსენებ და ვგრძნობ ალს, რომელიც ჩემს მოგონებებს უფრო მეტად ტანჯავს, ვიდრე ის, ვინც სხეულს მიწვავს. მე ერთ წუთს ვცოდავდი და საუკუნოდ ვიტანჯები. ოჰ, დროებითი სიამოვნების წყეულო თაფლო! შენ ჩემთვის საუკუნო ტანჯვის შხამად იქეცი. წარსული და წარმავალი ცხოვრება უსასრულო ტანჯვის მიზეზად იქცა! ჰოი, უმოკლესო ცხოვრებავ! რატომ ვეძახი მას უმოკლესს? ის ჩემთვის მეტისმეტად ხანგრძლივი იყო საიმისოდ, რომ ცხონება მიმეღო. მე დედამიწაზე ამდენი წელი ვიცხოვრე და ხელთ მეპყრა სამოთხის გასაღები _ ვიცოდი, რომ სატანჯველი ისეთი ცოდვილებისთვის იყო განკუთვნილი, როგორიც მე ვარ, ვიცოდი როგორ ავრიდებოდი, ეს სულ ადვილად შემეძლო და არ გავაკეთე. მე თავისუფალი და გონიერი ადამიანი ვიყავი. ვინ დამაბრმავა, ვინ მაცდუნა? ჰოი, წარსულო ცხოვრებავ, წარმოვიდგენ კი შენს ხანმოკლეობას, წარმოვიდგენ კი შენს ხანგრძლივობას, ორივე შემთხვევაში ერთნაირად მწარე მოგონება ხარ. ჰოი ოქროს წლებო, ძვირფასო დღეებო, გარდასულნო და ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულნო! ვინღა მომცემს თუნდაც ერთს საათს იმ საათებიდან, ასე ხანგრძლივი რომ მეჩვენებოდა? ვინღა მომცემს ცოტაოდენს იმ დროიდან, რომელიც ცოდვებში გავფლანგე და ამაოებას შევალიე? ვინ, ვინ მომცემს ერთადერთ წამს სინანულისთვის? აღარ არის დრო, ის უკვე გავიდა, ამაოდ მწადია ის და თან საუკუნოდ მწადია. ჰოი, ჩემი მეხსიერების განმგმირავო ისარო! ჩემი დანაშაული _ ერთი წვეთი თაფლია, სასჯელი კი _ საუკუნო ტანჯვა. ჰოი მწარე მოგონებავ, უსარგებლო სინანულო.

ძმანო! ეს ის სიტყვებია, რომლებიც მსმენელთა გულებს გმირავს, ამაზე მეტად კი იმათ გულებს წყლავს, ვინც მათ წარმოთქვამს. წარმოიდგინეთ: მაშინ ის დაწყევლის მუცელს, რომელმაც ზიდა, ძუძუს, რომელმაც კვება, მშობლებს, შვილებსა და მეგობრებს, რომლებსაც იცნობდა, ყველაზე მეტად კი _ იმ ერთ წვეთ თაფლს, რომელიც აგრერიგად გამწარდა. იფიქრეთ, მას, როგორც დღევანდელ შეპყრობილს, პირიდან ქაფი გადმოუვა, გააფთრებული ცხოველივით ადუღდება მძვინვარებისაგან, საკუთარ თავს დასაფლეთად, თავისი შიგნეულის შესაჭმელად დაეძგერება. ის დამნაშავეა _ თავადვე იტანჯავს თავს; ის მსხვერპლია და საუკუნო ტანჯვის იარაღია ამავდროულად.

ხოლო როცა წარსული ცხოვრების მოგონებიდან თავისი იმჟამინდელი მდგომარეობის შეგნებაზე გადავა, რარიგ დიდი იქნება მისი ტანჯვა! ეს არის მეორე ისარი, რომელიც მის გონებას გმირავს. წმინდაო სულო, შენი ღვთაებრივი ძალა მიწილადე, რათა ჩემს მსმენელებს განვუმარტო, თუ როგორ ტკივილს აყენებს ეს ისარი! ცოდვილთა მდგომარეობა ჯოჯოხეთში _ ეს ტანჯვაში საუკუნო ცხოვრებაა, ისევე, როგორც მართალთა მდგომარეობაა საუკუნო სიცოცხლე ზეცაში. რას ნიშნავს «საუკუნო ცხოვრება»? ღვთისმეტყველნი ამას მატერიალური სახეებით განგვიმარტავენ. რკინის დიდი ბურთი სფეროსებრ სხეულთა თვისებების მიხედვით სადგამს მხოლოდ ერთ წერტილში ეხება. ბურთის მთელი სიმძიმე ამ ერთ წერტილშია თავმოყრილი; რამდენსაც მთელი ბურთი იწონის, იმდენსავე იწონის ყოველ ცალკეულ წერტილში, როცა მას ეყრდნობა. ამის მსგავსად, როგორიცაა საუკუნო ცხოვრება მთლიანად, ისეთივეა ყოველ წამს, რამეთუ ის განუყოფელია. ამიტომ მოციქული საუკუნო ნეტარ ცხოვრებას «გარდარეულ საუკუნო დიდებას» (2 კორ. 4, 17) უწოდებს. ხოლო მეცნიერი ღვთისმეტყველნი ამბობენ, რომ ის ერთ გაელვებაში მთელი უსასრულო ცხოვრების სრულყოფილი ტკბობაა «წამიერი და სრულყოფილი» ნიშნავს იმას, რომ მართალი საუკუნო ცხოვრების ყოველ განუყოფელ გაელვებაში სრულყოფილად ხარობს იმ სიხარულით, რომლითაც მან მთელი ნეტარი და უსასრულო ცხოვრების მანძილზე უნდა იხაროს. ის მარადისობის ყოველ წამსა და ყოველ საუკუნეში მთელი დიდებით ტკბება. ეს მარადისობა მთელი სავსებით მართლის ნეტარი გონებისთვის ცხადდება და მის ნეტარებას უსაზღვროს ხდის. რასაც ღვთაებრივი გულმოწყალება უკეთებს მართლებს სამოთხეში, იმასვე უკეთებს ღვთაებრივი მართლმსაჯულება ცოდვილებს ჯოჯოხეთში. უკვდავი სასჯელის სიმძიმე _ ეს საუკუნო ტანჯვაა, ყოველ გაელვებაში მთლიანი და სრული. რამდენადაც მძიმეა ის მთელ მარადისობაში, იმდენადვე მძიმეა ყოველ გაელვებაში, ანუ ცოდვილი მარადიული ტანჯვის ყოველ განუყოფელ წამში ერთად და სრულად დაითმენს იმ სასჯელს, რომლის ზიდვაც მას მთელი უსასრულო, მტანჯველი ცხოვრების მანძილზე მოუწევს. მარადისობა _ წარსული და მომავალია. თითოეულ მომენტში მას წარმოუდგება, როგორც ერთი მთლიანი. ამიტომ მისთვის მთელი ტანჯვა აწმყოა. ხოლო ტანჯვა როგორადაც უსასრულოა, ასევე უკიდეგანოა ყოველ წამს *«ვინ არს ბრძენ და დაიცვას ესე?»* (ფს. 106, 43). აი რაში მდგომარეობს მარადისობა განსხვავებით დროისაგან, რომელიც ნაწილებად იყოფა. და ამით გვემუქრება უფალი მეორე სჯულში *«დავჰკრიბო ძვრი მათ ზედა და ისარნი ჩემნი დავასრულნე მათ ზედა»* (2 სჯ. 32, 23) *დავჰკრიბო ძვირი* _ ეს არის ცოდვილთათვის შეკრება, შეერთება ყველა ბოროტებისა. სევდის ყველა სიმწარე ერთ თასშია შეგროვილი, ცეცხლის ყველა ალი ჩაუქრობლად არის შეერთებული ერთ ალში _ საუკუნო ტანჯვაში. *«და ისარნი ჩემნი დავასრულნე მათ ზედა»* როგორი შხამიანი ისარია,

რა მძიმე შუბია ცოდვილი, დაფლეთილი გონებისათვის. მის თვალწინ მთელი მისი სატანჯველია და არანაირად არ იკლებს, რადგან განუყოფელია, არასდროს სრულდება, რადგან მარადიულია. რომ ყოფილიყო ტანჯვა უსასრულო, თუმცა ყოფილიყო იმედიც დროებითი შვებისა, მაშინაც კი აუტანელი იქნებოდა ის. მაგრამ უსასრულო და შვების გარეშე? ეს გონმიუწვდომლად აუტანელია. *«ვინ არს ბრძენ და დაიცვას ესე?»* რომელ გონებას ძალუძს წვდომა ამ უკიდურესი უბედურებისა?

შვების გარეშე? დიახ! ჯოჯოხეთში უღრმესი მწუხარება მეფობს, მაგრამ არ არის ძილი, რათა ის მიაჩუმოს. მომაკვდინებელია ჭრილობები, მაგრამ არ არის სალბუნი, რათა ისინი განკურნოს. მოურჩენელი ავადმყოფობაა, მაგრამ არ არის წამალი, რომ დაამშვიდოს ის. აუტანელია ალი და წვეთი წყალი არ არის, რომ ჩააქროს. მოუსმინეთ მდიდარ ცოდვილს, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ლუკა მახარებელი. რა უნდა მას? *«მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე, რაჲთა დააწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა»* (ლკ. 16, 24) მამაო აბრაამ, მამაო მოწყალებისაო, ჩემზედ წყალობა მოიღე. ალით ვარ მოცული, ჩაუქრობელი ცეცხლის ქურაში ვიწვი და ვიტანჯები. გამომიგზავნე ბედნიერი ლაზარე, რათა თითი დაისველოს წყალში და ჩემს ანთებულ ენას აპკუროს... მაგრამ რას მიუგებს აბრაამი? არა, შვილო ჩემო, არა, შენ საკმარისად დატკბი ყველა სიკეთით წარსულ ცხოვრებაში _ *«შვილო, მოიჴსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა»* (ლკ. 16, 25) ნურაფრის იმედი გექნება. ჰოი დიდო უბედურებავ! ის ასე ცოტას ითხოვს და ვერაფერს იღებს. თვით აბრაამს მიმართავს, მამას თანაგრძნობისას, წყალობის ზღვას, მხოლოდ ერთ წვეთ წყალს სთხოვს, რათა ცოტათი მაინც მიანელოს ცეცხლი, და ვერ იღებს. მაშ ასე, არ არის მისი თხოვნა შესმენილი? «არა, ცოდვილისათვის ზღვაშიც არ არის წყალი» ამბობს ოქროპირი. ამიტომ, როგორც ვთქვი, ჯოჯოხეთის ცეცხლი მხოლოდ ცეცხლია, ნამის გარეშე, მხოლოდ ტანჯვა, შვების გარეშე.

ამ ცხოვრებაში არ არის ისეთი დიდი ბოროტება, რომელსაც, თუნდაც განუკურნებელი იყოს, არ ჰქონდეს ბოლო. როგორი უბედურნიც არ უნდა ვიყოთ, სიკვდილი ყველა ამქვეყნიური ტანჯვისგან გვათავისუფლებს. სიკვდილი _ ეს ჩვენი უკანასკნელი ექიმი, სიცოცხლესთან ერთად ავადმყოფობებსაც გვართმევს. ცოდვილთა მდგომარეობა ჯოჯოხეთში ასეთი არ არის. იქ ტანჯვა დაუსრულებელია, უკიდურეს ხარისხშია. გავა ათასი წელი, მილიონი, ტანჯვა კი თავის საწყისში იქნება. სადამდე გასტანს ის? ის იქნება ყოველთვის და არასდროს დასრულდება.

ზენონი ბიზანტიის ყველაზე უღირსი და არცთუ ბედნიერი იმპერატორი იყო. თავისი ბობოქარი და გარყვნილი ცხოვრებით ხალხს, დიდებულებს, ჯარსა და თვით დედოფალ არიადნას ტვირთად დააწვა. აი, ერთხელაც არიადნამ ქმარს ასეთი რამ გაუკეთა: როცა მეფე უგონოდ დათვრა, დედოფალმა ბრძანა, ღრმა საფლავში დაეფლათ იგი. არავის ჰქონდა იქიდან მისი ამოყვანის უფლება. ასე რომ, მეფე ცოცხლად დაიმარხა.

უბედური ზენონის საფლავიდან ჩემი გონების თვალს ჯოჯოხეთის ბნელ ჯურღმულებზე გადავიტან, სადაც თითქოსდა ღვთაებრივი მართლმსაჯულებით იქ ჩამარხულ საბრალო ცოდვილს ვხედავ. სახარება ცოდვილ მდიდარზე მოგვითხრობს: *«მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა»* (ლკ. 16, 22). ჩემს ყურს სწვდება მისი ტირილი, მისი საბრალო შეძახილი: «მამაო აბრაამ შემიწყალე!» მაგრამ ვაი, რომ არავის ესმის, რამეთუ ღრმა და ბნელია უფსკრული» _ ამბობს ბასილი დიდი. ამ მიწისქვეშა სატუსაღოს გასაღები

ღმერთს უპყრია და მას ვერავინ გააღებს. მარადისობის უმძიმესი ლოდი დასწოლია უბედურს, ხოლო ლოდზე წააწერა სულიწმინდამ: *«და იყოს ჟამი მათი საუკუნოდ»* (ფს. 80, 15). ის ერთხელ და სამუდამოდ დაიმარხა. ვერასდროს გამოვა იქიდან. შენ მეტყვი: ერთი დროებითი ცოდვისთვის ასეთი სატანჯველი? განა შეიძლება იყოს რაიმე შესაბამისობა დანაშაულსა და სასჯელს შორის? მე გიპასუხებ: თუკი შესაძლებელია დროებითი ცოდვის შედარება მარადიულ ტანჯვასთან, ამის გაკეთება არანაირად არ შეიძლება შენს მსგავს, მიწიერ უხმარ ადამიანთან და ღმერთთან მიმართებით, რომელიც შენი ცოდვით შეურაცხ ჰყავი. მარადიულად რომ გეცხოვრა, მარადიულად შესცოდავდი. ამიტომაც გეწია საუკუნო სატანჯველი. შენს თვალწინ ჩაუქრობელი ცეცხლის ქურაა და მაინც სცოდავ? ესე იგი ღირსი ხარ მარადიული ცეცხლისა. შენ უსასრულოდ მადლიერი უნდა იყო ღვთაებრივი მართლმსაჯულებისა, რომელმაც უსასრულო ტანჯვის მთელი უფსკრული განახვნა, რათა შენი ბოროტი საქმეებისთვის გზა გადაეჭრა. ჯოჯოხეთის სასჯელი მარადიული რომ არ ყოფილიყო, როგორი იქნებოდა ქრისტიანთა ცხოვრება? მართალია ღვთის სამსჯავრო! *«და იყოს ჟამი მათი საუკუნოდ»* სატანჯველი _ სამუდამოდ, შვება და ბოლო _ არასოდეს! ეს მეორე ისარი, ცოდვილის გონებას რომ გმირავს, თავისთავად უკვე შეიცავს მთელ ტანჯვას.

მაგრამ არსებობს მესამე ისარი, ალბათ ყველაზე ბასრი, ის, რომელიც ცოდვილის ნებას აზიანებს და მას ნეტარი ცხოვრების სურვილში აგდებს. ეს არის უკიდურესი წადილი, მაგრამ წადილი იმედის გარეშე. აქ კვლავ ვხსნი უფსკრულის მთელ სიღრმეს: წადილი იმედის გარეშე და სურვება ღმერთისა ღმერთის იმედის გარეშე. სხვა ისრებისაგან განსხვავებით ეს ისარი თავად სატანჯველია. ამ ცხოვრებაში წადილი _ ეს თითქოსდა ცეცხლია, რომელიც ჩვენს გულებში ანთია და იმ სიკეთეს მიელტვის, რომლის მიღებასაც ვიმედოვნებთ. თუკი ეს სიკეთე ადვილად მისაღწევია, ჩვენი იმედი ამ ალს ზომიერს ხდის. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, სასოწარკვეთა მას მთლიანად აქრობს; თუკი რაიმე გვინდა დედამიწაზე, იმედით ვნუგეშობთ; თუკი არაფრის იმედი გვაქვს, თვით სურვილი ქრება; ამიტომაც ან საერთოდ არ არის ავადმყოფობა ჩვენში, ან თუ არის, მისი განკურნებაც შეიძლება. მაგრამ სურვილი იმედის გარეშე _ ეს ალია ნამის გარეშე; მხოლოდ სურვილი _ ეს სუფთა ცეცხლია და ცოდვილის სურვილიც სწორედ ეს არის. ოდესმე თუ გინახავთ ზღვის ტალღა, ქარისაგან აზიდული, თითქოს დედამიწას წალეკვას უქადისო, სალ კლდეს როგორ ასკდება, ათასობით შხეფად დამსხვრეული როგორ ქაფდება და უკან იხევს?! მწყურვალი ფურირემი თუ გინახავთ გახურებული ენით, პირდაღებული წყაროსაკენ როგორ ისწრაფის? მაგრამ თუ წყარო დამშრალი დახვდა, წუხილით შეშლილი, საცოდავი, ყვირილით ტყეებსა და მინდვრებს ავსებს: ასევე, მთელი ძალით, უკიდურესი წადილით ნება ცოდვილი სულისა უმაღლეს მსაჯულს, ღმერთს მიელტვის. მაგრამ მის გულს ჰპოვებს ვითარცა სალ კლდეს, დამშრალ ნაკადულს და ეუბნება უფალი: «განვედი ჩემგან საუკუნო ცეცხლში, წყეულო, ჰოი, როგორ გმირავს ეს დარტყმა, როგორი სასოწარკვეთით უკუიქცევა იგი! და ეს აღკვეთა წადილს რაც უფრო მეტად აღაგზნებს, წადილი მით მეტად ზრდის ტანჯვას. ღვთის სურვება _ ეს ყველაზე მხურვალე სურვილია, ისევე, როგორც ყველა სიკეთიდან ღმერთია ყველაზე დიდი სიკეთე. მაშ ასე, გსურდეს ღმერთი ღმერთის იმედის გარეშე _ ეს უძლიერესი ალია ტანჯვისა. ეს ნიშნავს: ყოველთვის გსურდეს ღმერთი და არასდროს გქონდეს მისი ნახვის იმედი.

რატომ არ შეიძლება ცოდვილს ჰქონდეს იმედი? იმიტომ რომ ის განცალკევდა ღვთისაგან, ხოლო ეს განცალკევება მარადიულია. ჩვენ ამ ცხოვრებისეული

გამოცდილებით ვიცით, თუ რარიგ მძიმეა საყვარელ ადამიანებთან გამოთხოვება, მაგალითად მამასთან ან დედისა შვილებთან, ძმისა ძმასთან, საპატარძლოსი სასიძოსთან. მიხეილ პალეოლოგის დროს აგარიანელები იმპერიის აზიური ნაწილის საზღვრებში შეიჭრნენ და მრავალი ადამიანი ტყვედ წაიყვანეს. ტყვეებს შორის ორი და იყო, რომლებიც წილისყრით სხვადასხვა ბატონთან მოხვდნენ. ისინი ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ და თავიანთ ბატონებთან ერთად სხვადასხვა მხარეს წასულიყვნენ. ვის შეუძლია აღწეროს, ვის შეუძლია, გადმოსცეს მათი ტირილი, როცა განშორების წუთი დადგა, როცა ისინი თავიანთ ბედს დასტიროდნენ. იმ დროს, როცა ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ეხვეოდნენ და ეამბორებოდნენ, თითქოსდა პირი შეკრესო, ორივე გავიდა ამქვეყნიდან. ისინი ზეცაში ავიდნენ და მიწაზე ერთმანეთს ჩაკრული სხეულები დატოვეს.

ეს იმისათვის მოგითხრეთ, რათა მიგახვედროთ, თუ რარიგ მტანჯველია ღმერთთან განშორება, რარიგ ძნელია საუკუნოდ ელოდო მას და არ გქონდეს იმედი მისი ნახვისა. მაგრამ ამას ვერავინ მიხვდება, თუ თავიდანვე არ შეიმეცნა ღმერთი. წარმოიდგინეთ ღვთის უბრწყინვალესი და უნეტარესი სახე ერთი წამითაც რომ დაფარულიყო მართალთა თვალისაგან, სამოთხე ჯოჯოხეთად იქცეოდა; და თუნდაც ერთი წამით რომ გამოცხადებოდა ცოდვილებს ჯოჯოხეთში, მაშინ ჯოჯოხეთი იქცეოდა სამოთხედ. ამ ნეტარი სახის ხილვის იმედი ცოდვილთა ტანჯვას არარად აქცევდა. «ღვთისაგან განგდება და გაუცხოება დაცემულისთვის იმქვეყნიურ მოსალოდნელ ტანჯვაზე უარესია» ამბობს ბასილი დიდი; «ათასი ტანჯვა არაფერია ნეტარი დიდების დაკარგვასთან შედარებით» (ოქროპირი). აქედან შეგიძლიათ დაასკვნათ, თუ რა მტანჯველია ღვთისაგან განშორება, მისი ნახვის უიმედო წადილი!

ჰოი ცოდვილის ნების მომწყვლელო ისარო! ჰოი, ღვთის ჭვრეტის უიმედო წადილო! ჰოი ტანჯვავ, რომელსაც ნება განიცდის, მაგრამ გონება ვერ სწვდება! ჩვენ ამ ყოველივეს არაფრად ვაგდებთ. ჩვენთვის დიდი უბედურება ის იქნებოდა, უფროსის მოწყალება, მეგობრის სიახლოვე, მეძავის ალერსი ერთი დღით რომ დაგვეკარგა. მაგრამ ღვთის მოწყალებისა და დიდების დაკარგვას ვერანაირი დანაკარგი შეედრება. გვეუბნებიან, რომ არსებობს სატანჯველი, ჩვენ კი კვლავ მისკენ მიმავალ გზას მივყვებით. ვინ ინანიებს? ვინ სწორდება? ვინ ბრუნდება წარსაწყმედლის გზიდან? ორიდან ერთია: ან მოსალოდნელი ტანჯვისა არ გვჯერა და ამიტომ ვართ ურწმუნონი, ან უგონონი ვართ, თუკი მისაგებელში დარწმუნებულები, ტანჯვის ღირს ცხოვრებას ვეწევით. მაშ ასე, ჩვენ ან ურწმუნოებით ან ჩვენი უგუნურებით ვიტანჯებით.

II

ძველი თქმულება მოგვითხრობს აქილევსის შუბზე, რომელსაც სასწაულებრივი თვისებები ჰქონდა _ ის როგორც გმირავდა, ასევე კურნავდა. მართლაც, ტანჯვის იმ სამ ისარს, რომელსაც აგიღწერდით, ეს სასწაულებრივი თვისება აქვს _ განგმიროს ტანჯული და განკურნოს ცოდვილი ამ ცხოვრებაში. პირველი ისარი ტანჯულის მახსოვრობას გმირავს და მასში უსარგებლო სინანულს აღძრავს, როცა ის უკვე განვლილი ცხოვრების ცოდვებს ინანიებს, მაგრამ მიტევებას ვერ იღებს. მაგრამ თუკი ცოდვილი ამ ისარზე მთელი ცხოვრების მანძილზე იფიქრებს, რათა თავისი ცოდვები და მათგან მოწევნული სასჯელი ახსოვდეს, ინანიებს და მიტევებას იღებს;

მეორე ისარი ცოდვილის გონებას ეკვეთება და უკურნებელ ტკივილს იმით აყენებს, რომ მას სატანჯველი დაუსრულებლად თვალწინ ექნება; მესამე ისარი ტანჯულის ნებას

აზიანებს და მასში უიმედო წადილს აღანთებს; როცა მას სამარადისოდ სურს იხილოს პირი ღვთისა, მაგრამ არა აქვს იმედი.

მოკლედ, სასჯელი, რომელიც მსჯავრდებულისთვის უსაზღვრო ტანჯვაა, ცოდვილის გონებისათვის მაცხოვნებელ კურნებას წარმოადგენს. ვისაც ახსოვს სატანჯველი, ის თავის თავს ამისთვის არ გაწირავს. «გეენის ხსოვნა გეენაში შთავარდნის საშუალებას არ გვაძლევს» _ ამბობს ოქროპირი. როცა მონაზვნები უმეტესად უდაბნოში ცხოვრობდნენ, ვიდრე ერში, როცა იღვაწდნენ და არ მათხოვრობდნენ, ერთი წმინდა მოღვაწე ძლიერი განსაცდელის წინაშე დადგა, ეშმაკი ქალის სახით მის აღელვებას შეეცადა. მაგრამ ღმერთმა, რომელმაც მისი დაცვა ინება, შემდეგი აზრი შთააგონა. ვიდრე ცოდვას ჩაიდენდა, შანდლის ალს თითი შეახო, მაგრამ ტკივილი ვერ აიტანა და გაიფიქრა: მე ეს ტკივილი ვერ ამიტანია და საუკუნო ცეცხლს როგორღა ავიტან, როცა სულითაც და ხორცითაც საუკუნო ცეცხლში დავიწვები; განვედ ჩემგან სატანა! მან ქალი გააგდო, ხორცს სძლია, არცხვინა ეშმაკი, განერიდა ცოდვას და იხსნა თვისი სული. ვისაც ახსოვს ტანჯვა, ის ამისათვის თავის თავს არ გაწირავს! არა! როცა გვაცდუნებს ხორცი, ქვეყანა, ეშმაკი, თითოეულმა საკუთარ თავს რომ უთხრას: ჩემი ქცევისთვის მარადიულად დავიტანჯები _ არ დაგვრჩებოდა არანაირი სწრაფვა ცოდვისკენ? არა, არა; მაგრამ ვის ახსოვს ის?

მართლმსაჯულო ღმერთო! ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვებისათვის სიკვდილი, ავადმყოფობა და უბედურება აქ გამომიგზავნე. რამდენ ხანს გასტანს ეს ყოველივე? _ ძალზე დიდხანს, მაგრამ ოდესმე დასრულდება. ღმერთო! ნუ დამსჯი საუკუნო სასჯელით, რომელსაც არა აქვს ბოლო. ვაგლახ მე! თუ ერთი დღის მანძილზე თავი მტკივა, ან კბილი ერთი საათით, ტკივილი აუტანელი მეჩვენება. რა იქნება მაშინ, როცა საუკუნო ცეცხლში მთლად დავიწვები?! ქეიფიც კი მქანცავს, როცა მეტისმეტად გრძელდება _ დაუსრულებელი ტანჯვა როგორიღა მომეჩვენება? ერთხელ მრუშობისთვის _ ათასწლიანი სასჯელი. მოთმინების ათას წელსაც აქვს ბოლო! ერთხელ ქურდობისთვის _ ათიათასობით წლის სასჯელიც დასრულდება. მაგრამ საუკუნო დაუსრულებელი ტანჯვა! კარგად რომ ჩავკვირვებოდი ამას, მთელი სამყარო ჩემს თვალში ფასს დაკარგავდა; უდაბნოში გავიქცეოდი, კუბოში ცოცხლად ჩავწვებოდი, დღედაღამ ვიტირებდი და ყოველწამს ვიკვნესებდი! და ეს რამდენ წელიწადს გაგრძელდებოდა? ათი, ოცი, ოცდაათი, მაგრამ ოდესმე დასრულდებოდა. ჯოჯოხეთურ ტანჯვას კი ბოლო არა აქვს! ჰოი, ტანჯვა! სამმაგი ისარი, სამი სასიკვდილო ჭრილობით მომწყვლელი! რაწამსაც მომაგონდები, მაშინვე გული მეფლითება. განგმირე იგი, განგმირე, რათა ყოველთვის მახსოვდე და შენს ცეცხლს თავი დავაღწიო.

სიტყვა მარხვის მეხუთე კვირას

სინანულის შესახებ

«აჰა ესერა აღვალთ იერუსალემდ,
და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელთ-მოძღუართა
და მწიგნობართა და დასაჯონ იგი სიკუდილდ»
(მრკ. 10, 33)

რას არ გააკეთებს, რას არ მოიფიქრებს ღვთივმოყვარე მოშურნეობა სათნო სულისა! კეთილმსახური და სწავლული მონაზონი მეთოდე ღვთისა და ეკლესიისაგან წარიგზავნა ქრისტეს მართლმადიდებელ სარწმუნოებაში ბულგარეთის მეფის განსასწავლად. მეფე ის-ის იყო წარმართობიდან ღვთის შემეცნებაზე გადავიდა, მოინათლა, მთელი თავისი ოლქებით რომის იმპერიის ქვეშევრდომობაში გადავიდა და კონსტანტინოპოლის ტახტს დაემორჩილა. კეთილი მონა და ერთგული მსახური ღვთისა ახლად მოქცეულის დარიგებას თავისი სწავლებით შეუდგა. უფრო მეტიც _ თავისი ცხოვრების მაგალითით, რომლითაც მიუთითებდა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანი სარწმუნოების დოგმატებთან და სახარების მცნებებთან მიმართებაში. თუმცა ამით არ დაკმაყოფილდა და დიდი ხელოვნებით დახატა ორი სურათი: ერთზე _ ქრისტეს მეორედ მოსვლა, მეორეზე _ ჯოჯოხეთი. პირველზე მან წარმოადგინა ძე ღვთისა *«მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა»* (ეს. 6,1) ძლიერებითა და დიდებით; მის წინაშე ათასობით ანგელოზი იდგა. მრავალნი, განსასჯელად მიყვანილნი, საშინელი მსაჯულის გადაწყვეტილებას ელოდნენ. მისი დასაჯდომლის წინ ჯვრის ნიშანი იყო აღმართული; ცეცხლოვანი ტახტის ქვემოდან ცეცხლისავე მდინარე მოედინებოდა და, საერთოდ, მომავალი სამსჯავროს ყველა გარემოება ზედმიწევნით აღწერა.

მეორე სურათი გამოსახავდა ყოვლისშთანმთქმელ, გაუმაძღარ ჯოჯოხეთს თავისი ჩაუქრობელი ცეცხლით. იქ აუტანელი უკუნია, მატლია დაუძინებელი, იქ მრავალგვარი სატანჯველია, მტანჯველ დემონთა სხვადასხვა სახეებია განკითხულ ცოდვილთათვის. გონიერი მასწავლებელი ამ სურათებს ყოველდღე აწყობდა მოწაფე მეფის თვალწინ, რათა ჩაეგონებინა მისთვის, რომ ასეთი სამსჯავრო და ტანჯვა მოელის უღირსსა და ცოდვილს. მას ამ გზით სურდა, იგი მართალ სარწმუნოებაში განემტკიცებინა და ღვთივსათნო ცხოვრებისთვის წაექეზებინა.

მე შევაქე მოშურნეობა და ხელოვანება კეთილი მეთოდესი და ამიტომაც მოვინდომე გავყოლოდი მის კვალს. ორ უწინდელ სწავლებაში მომავალ სამსჯავროსა და მარადიული ტანჯვის სურათი წარმოგიდგინეთ. ეს იმ მიზნით გავაკეთე, რომ სინანულისკენ, იმ ერთადერთი გზისკენ მიმექციეთ, რომლითაც შეგიძლიათ მომავალი სამსჯავროს მრისხანებასა და მარადიულ ტანჯვას გაექცეთ _ დღეს სწორედ ამაზე მექნება თქვენთან საუბარი, დღეს, როცა ავდივართ იერუსალიმში; დღეს, როცა მოვალს ძე ღვთისა, რათა მღვდელმთავართა და მწიგნობართა ხელში ჩავარდეს, ევნოს, თავისი ძვირფასი სისხლი დაღვაროს, მოკვდეს, სიკვდილს დაანებოს თავისი სიცოცხლე, რათა ცოდვათაგან გამოგვისყიდოს: *«და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთათჳს»* (მთ. 20, 28). არ შეგვიძლია ცხონებისთვის ვისურვოთ დრო ამაზე მოხერხებული, ვიდრე ეს წმინდა დღეებია, დრო, როცა ძე ღვთისა ჩვენი ცხონების საქმეს აღასრულებს. მაგრამ ვაი, რომ ისევ აყოვნებთ! კიდევ არ ინანიებთ, თქვენს წარმოსახვებში, ვნებებსა და ცოდვებში ჯიუტობთ.

გულსასტიკნო, მოუნანიებელო ცოდვილნო, მისმინეთ, რა მინდა დღეს გითხრათ. მე სინანულზე გესაუბრებოდით და დაგიმტკიცებთ, რომ იმისთვის, ვინც დღეს არ მოინანიებს, დღეს, ვიდრე ეს შესაძლებელია, დადგება ჟამი, როცა მიუხედავად დიდი სურვილისა, შეუძლებელი იქნება სინანული.

I

ძველთაგან დღემდე მართლმადიდებლებსა და ერეტიკოსებს შორის იმაზეა კამათი, თუ რითი მართლდება და ცხონდება ადამიანი: მარტოოდენ ღვთის მადლით, თუ ადამიანის ნებითა და მადლით ერთად? პელაგიანელთა ერესი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანის განმართლებისა და ცხონებისთვის ღვთის მადლის გარეშე მხოლოდ ადამიანის ნება იყო საკმარისი. ლუთერო-კალვინისტების ერესი კი _ იმაში, რომ ეს მხოლოდ ღვთის მადლით, ადამიანის ნების გვერდის ავლით აღესრულებოდა. ამათგან პირველნი ამბობდნენ, რომ ნებასთან ერთად მადლი სრულიადაც არ იყო საჭირო; მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ნება არ იყო თავისუფალი მადლის გვერდით. ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სწავლება კი იმაში მდგომარეობს, რომ ცალ-ცალკე არც ადამიანური ნება და არც ღვთის მადლი, არამედ ნება და მადლი ერთად ამართლებენ და აცხონებენ ადამიანს, რომ მადლი ყოველთვის საჭიროა, ხოლო ნება _ ყოველთვის თავისუფალი. ჩვენი წმიდა ეკლესია წმიდა წერილში ეკლესიის მასწავლებლებთან და მეცნიერ ღვთისმეტყველებთან ერთად გვასწავლის, რომ ადამიანური ნების თავისუფლება და ღვთაებრივი მადლის შემწეობა ის ორი ფრთაა, რომლებსაც ზეცაში, სამოთხეში ავყავართ *«რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყავნ თავი თჳსი»* (მთ. 16, 24), _ ამბობს ქრისტე. _ აი, თავისუფალი ნება ადამიანისა; *«თჳნიერ ჩემსა არარა? ძალ-გიც ყოფად არცა ერთ»* (იხ. 15, 5) _ აი, აუცილებელი მადლი ღვთისა. «ღმერთმა თუმცა კი შექმნა ადამიანი, მაგრამ ადამიანის გარეშე, მისი ნების გარეშე მას არ ძალუძს მისი ცხონება» _ ამბობს ღრმადმოაზროვნე ნეტარი ავგუსტინე. «ცხონება ჩვენგან და ღმრთისგან უნდა მომდინარეობდეს» _ დასძენს გრიგოლ ღვთისმეტყველი. ღვთაებრივი ოქროპირი კი განმარტავს: «მადლი, თუმცა ის მადლია, მხოლოდ მსურველებს აცხონებს».

მაშ ასე, ადამიანური ნება და ღვთაებრივი მადლი ჩვენი ცხონების საქმეში ერთმანეთს ავსებენ. მადლი ღვთისა წინ მიდის, ადამიანური ნება მის კვალს უნდა გაჰყვეს. მადლი იწვევს, ნება კი მას უნდა დაემორჩილოს. ეს ნიშნავს: ღმერთი ყველას სინანულისთვის უხმობს _ *«რომელსა ყოველთა კაცთა? ჰნებავს ცხოვრება?»* (1 ტიმ. 2, 4), მაგრამ ადამიანსაც უნდა სურდეს სინანული და ცხონება. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი უბედურებები მოხდება! თუკი ადამიანი დიდი ხნის მანძილზე ჯიუტად სცოდავს, ეს ორი ფრთა _ ნება და მადლი დროთა განმავლობაში სუსტდება და წყვეტს მოქმედებას. დიდხანს დაყოვნებისგან ნება სუსტდება, ადამიანს აღარ უნდა ცოდვების მონანიება, იმდენად, რამდენადაც აღარ შეუძლია ჩვევას თავი ანებოს, ღმერთს კი არ სურს ცოდვები მოგვიტევოს, ვინაიდან მათი მოთმენა მეტად აღარ შეუძლია. ადამიანის მხრიდან წარმოჩნდება მოუნანიებლობა, ღმერთის მხრიდან _ დატევებულობა. ამგვარად, თუკი ადამიანს არ უნდა მონანიება, სანამ ეს შესაძლებელია, მაშინ ნამდვილად დადგება დრო, როცა ის ამას მოინდომებს, მაგრამ ვეღარ შეძლებს ორი მიზეზით: მას მიატოვებს პირველ რიგში _ ნება, მეორეში _ მადლი. დავიწყოთ პირველით.

ადამიანური ნება ბუნებითად ბოროტებისკენ მეტადაა მიდრეკილი, ვიდრე სიკეთისკენ. ის სიკეთეში ძნელად მაღლდება და სულ იოლად ვარდება ბოროტებაში... როცა სოდომი ზეციდან გარდამოსული ცეცხლით იწვოდა, რათა მისი ბილწი ცოდვები

განადგურებულიყო, ღმერთმა ამ უდიდესი წარსაწყმედელიდან მართალი ლოთის ოჯახითურთ გადარჩენა ისურვა; «იმ მთას ხომ ხედავ? _ ეუბნება მას ანგელოზი, _ მისკენ გაიქეცი, რათა გადარჩე, ისწრაფე და უკან ნუ მიიხედავ! ნუ მიბრუნდები, რამეთუ არის საფრთხე იმისა, რომ ბოროტება დანახულით კვლავ გეკვეთება და დაიღუპები. *«ცხოვნებით იცხოვნე სული შენი; ნუ უკუმოიხედავ უკუღმართ... მთად კერძო ივლტოდე, ნუუკუე თანა შეეპყრა»* (დაბ. 19, 17). საჩქაროდ დაიმალე, დროს ნუ დაკარგავ, უკან ნუ მიიხედავ. ლოთის ცოლმა არ შეასრულა ბრძანება _ შეჩერდა, მიიხედა, იქნებ იმისთვის, რომ ცეცხლმოდებული სამშობლოსთვის გამოსათხოვრად მზერა შეევლო და რაწამს მიბრუნდა, ისევე დარჩა, გაქვავდა, მარილის სვეტად იქცა. *«და მიიხილა ცოლმან ლოთისამან მართლუკუღმართ და იქმნა იგი ძეგლ მარილისა»* (დაბ. 19, 26).

ამ ამბავს, ჩემო მსმენელო, თავისი აზრი აქვს. ქრისტე თავის წმიდა სახარებაში მცნებად გვიდებს, გვახსოვდეს ეს მაგალითი: *«მოიჯსენეთ ცოლისაი მისი ლოთისი»* (ლკ. 17, 32). ამისი განმარტება კი ასეთია: მთელი დედამიწა ცოდვითაა მოცული და მასში იწვის. მისი ალი მას ყოველი მხრიდან შემოწვდომია. გარედან მთელ ქვეყნიერებას ნაცრავს, მაგრამ მან ქრისტეს ეკლესიაში, ყველა ასაკსა თუ განწესებაში შეაღწია; ბოროტება ბატონობს ერისკაცებსა და სამღვდელოებაში, მამათა, დედათა, მხცოვანთა შორის, ჭაბუკთა და ყრმათა შორისაც. მთელი სოფელი სოდომად ქცეულა. ცეცხლი ხანძრად იქცა, წარწყმედამ უკიდურეს ხარისხს მიაღწია. ქრისტიანო! ღმერთს ამ უბედურებებიდან შენი გადარჩენა უნდა და თითქოს გეუბნება: *«ცხოვნებით იცხოვნე სული შენი, ნუ უკუმოიხედავ უკუღმართ... მთად კერძო ივლტოდე, ნუუკუე თანა შეეპყრა»*. სწრაფად გაეცალე ქვეყნიურ ხრწნილებას, რაც შეიძლება მაღლა აფრინდი მიწიერი ვნებებისგან; გადასარჩენად ქრისტიანული სათნოებისა და სახარებისეული სრულყოფილების მთისკენ გაიქეც. გულით და თვალით წინ, გზისკენ ისწრაფე, უკან ნუ მიბრუნდები, დასანახად მიწიერი ამაოებისა, რომელიც ადამიანის თვალს ვერაგი ქსელივით იზიდავს; ნუ მიბრუნდები იმიტომ, რომ დაბრკოლებებს შეხვდები ცხონების გზაზე, ბოროტება შეგიპყრობს და წარსაწყმედელში შთაიფლები. *«ცხოვნებით იცხოვნე»* და *«ისწრაფე შენ მიწევნად მუნ»* (დაბ. 19, 22). დაიმალე რაც შეიძლება სწრაფად, დროს ნუ დაკარგავ და უკან ნუ მიბრუნდები!

ასე ამბობს მადლი ღვთისა, მაგრამ ადამიანური ნება ყურს არ უგდებს, ღვთაებრივ მცნებათა პირდაპირი გზით არ მიდის, ზარმაცობს, ბოროტებისკენ იმზირება და როგორც კი ნება მიბრუნდება მისკენ, ბოროტება იპყრობს მას და ნებაც მასში რჩება: იმ სახის შესახედად მიბრუნდა და მასში უკვე აღეგზნო ხორციელი ვნება; მონაგების შესახედად მიბრუნდა _ უკვე მოიცვა ვერცხლისმოყვარეობამ; მიბრუნდა ამაო დიდების დასანახად _ დიდებისმოყვარეობამ დაატყვევა; მიბრუნდა ბოროტებისკენ, შეხედა მას და უკვე მოცულია მისით, ისიც ლოთის ცოლივით ბოროტებაში მყარ და უძრავ მარილის სვეტად იქცა. ნება იქცა ჩვევად, რომელიც საერო საქმეებში მეორე სჯული გახდა, ზნეობრივში კი _ მეორე ბუნება, ის ბუნება და სჯული შეიქნა ნებისთვის. საბოლოოდ ჩვევა აუცილებლობა ხდება და ჩვენი ბუნების სვლას განუხრელად ხელმძღვანელობს.

რამდენ ისეთ რამეს ვაკეთებთ ჩვევით, რასაც ბუნებით არ ვიზამდით? ის ხდება ტირანი, რომელიც ჩვენი თავისუფლების კანონებს თელავს. რამდენჯერ ვაკეთებთ რაიმეს არა იმიტომ, რომ ასე გვსურს, არამედ იმიტომ, რომ ასე მივეჩვიეთ? «მცირე სამყაროს» (ადამიანის) შეზღუდვილ სამეფოში ნება თავისუფლებასთან ერთად თითქოსდა თვითმპყრობელი ხელმწიფეა, რომელიც ადამიანის ქცევაზე მბრძანებლობს; ხოლო ჩვევა

აუცილებლობასთან ერთად ერთგვარად მოძალადე დესპოტია, რომელიც თითქოსდა ერთხელ იღებს ძალაუფლებას, სინამდვილეში კი მას სამუდამოდ ინარჩუნებს. უგუნურო ქრისტიანო, შენ ფიქრობდი: დაე ცოდვამ ჩემში ერთი დღით, ერთი საათით, ერთხელ იმეფოს. მაგრამ შენ, შენი თავისუფლებისა და ნებისაგან მისთვის ძალაუფლების მიმცემს, მან ერთი დღე მთელ ცხოვრებად გიქცია: შენ მხოლოდ ერთხელ იქურდე? დაითვალე, ეს დღემდე რამდენჯერ განმეორდა; შენი სამფლობელო მეზობელ სამფლობელოებზე გავრცელდა, შენი სახლი სხვისი ნივთებით აივსო, შენ სისხლი გამოწოვე ღატაკებს; ვახშზე ვახშმა, წყენინებაზე წყენინებამ გრძელი ჯაჭვი წარმოქმნა, რომელსაც მაგრად შეუბორკავს შენი სინდისი. შენ გულს არ გიჩვილებს ობოლთა ცრემლი, ღატაკთა კვნესა, ადამიანთა წინაშე სირცხვილი და შიში ღვთის წინაშე. შენ სულზე არ ფიქრობ, არ გაგონდება სიკვდილი, არ გინდა გაიხსენო სამსჯავრო, არ გეშინია სატანჯველისა. შენ ღარიბების სისხლი გწყურია და რაც მეტს სვამ, შენი ვერცხლისმოყვარეობის ვნება მით მეტად ეგზნება. ის, რაც ერთხელ დაიწყო, სამუდამოდ გაგრძელდება. ახლა გინდა მოინანიო, მაგრამ შენი ნება ბოროტებაშია განმტკიცებული, ის გამეფებულმა ჩვევამ მოიცვა. შენ გინდა, მაგრამ მხოლოდ მერყევი და ზერელე გონებით; გინდა, მაგრამ იმ განზრახვით, რომ უწინდელ ცოდვას არ დაუტევებ; გინდა აღიარო, მაგრამ არ გინდა გამოსწორდე. ეს იმის ნიშანია, რომ სუსტდება შენი ბორკილი, მაგრამ არ წყდება. ახლა, სანამ დარიგებას ისმენ, შენი გული რამდენადმე რბილდება, ცრემლად იღვრება, მაგრამ რაწუთშიაც გახვალ ეკლესიიდან, გული მაშინვე გისასტიკდება ბოროტებით. წმინდა აღდგომამდე ინანიებ, რომ შესცოდე, აღდგომის შემდეგ კი იმას ინანიებ, რომ მოინანიე. ბაგეში ჯერ კიდევ წმინდა საიდუმლოებებით, კვლავ შენი უწინდელი ლაფისკენ ბრუნდები. რა გიზიდავს იქით? _ ჩვევა. მაშ ნება? ის ჩვევას მისდევს. ზნეს როდისღა შეიცვლი? _ არასდროს.

მოისმინე, რა თქვა სულიწმიდამ წინასწარმეტყველ იერემიას პირით: *«უკუეთუ ცვალოს ეთიოპელმან ტყავი თჳსი და ვეფხმან სიჭრელენი მისნი და თქუენცა შეუძლოთ კეთილისა ქმნად მოსწავლეთა ბოროტთასა»* (იერ. 13,23). ბოროტების ერთხელ მსწავლელ კაცს უნდა კი, მას გადაეჩვიოს? ჩვევა ნებაზე ბატონობას თავიდანვე იწყებს და ის, ერთდღიანი, მუდმივი ხდება, ერთი დღე მთელ ცხოვრებად იქცევა, «ერთხელ» _ მუდმივად მეორდება. აი, ერთი ფრთა აღარ იშლება, ანუ ნება დასნეულდა და სინანულთან შენი მიყვანა აღარ შეუძლია. მეორე ფრთა _ ღვთის მადლი რაღას აკეთებს? მადლი ღვთისა, გარდამქცეველი პავლესი ეკლესიის მდევნელიდან ეკლესიის მასწავლებლად, მეზვერე მათესი _ მახარებლად, ჯვარზე გაკრული ავაზაკისა _ ღვთისმეტყველად, მადლი, ამდენი ცოდვილის წმიდანობაში აღმყვანებელი, განსაკუთრებული ძღვენია, რომელიც ყველას და ყოველთვის არ მიეცემა. ნუ გექნება ისეთი ღვთაებრივი მადლის იმედი, რომელსაც ღმერთი იშვიათად და მცირედთ აძლევს. მხედველობაში ის მადლი გქონდეს, რომელიც შენ გარგუნა ღმერთმა და რომელიც საკმარისია ცხონებისათვის, მუდამ გაკავებს წარწყმედისაგან და სინანულისაკენ გეწევა. და ეს მადლი, ამდენგზის გათელილი, ოდესმე მიგატოვებს. ადამიანო! მე შენ დაგნერგე ვითარცა ვენახი, არა ხრიოკზე, უწყლო და გაუვალ მიწაზე, არა მშრალ და ქვიან ადგილზე, მსხმოიარობის იმედის გარეშე, არა იუდეურ სინაგოგაში ან აგარიანულ შესაკრებელში, მე დაგნერგე *«ადგილსა შინა პოხილსა»* (ეს. 5, 2) _ პოხიერ და ნაყოფიერ ნიადაგზე, ჭეშმარიტ ეკლესიაში წარმოგშვი, კეთილმსახური მშობლების მეშვეობით ჭეშმარიტი სარწმუნოების რძით გამოგზარდე. იმისთვის, რომ ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, ამა ქვეყნიურ სიამეთა ამაოებისაგან დამეცავი, ყოველი

მხრიდან გაგამაგრე, სულიწმიდის ის ძღვენი შემოგფინე, რომელიც ჯერ კიდევ ემბაზში გასხურე, რათა ყაჩაღთა თავდასხმისა და დემონთა ცდუნებისა არ გშინებოდა. შენში სვეტი შევქმენი, სვეტი ძალისა _ ჩემი ღვთაებრივი მადლი, ხოლო ზეციური ბეღლისათვის ნაყოფი რომ მოგეწია, ხშირად გმარგლიდი ჩემი სახარების სწავლებით, რომ დამერწყულებინე, ერთგზის დავთხიე და ყოველდღე ვთხევ ჩემს საიდუმლოებებში სისხლს ჩემსას. კიდევ რისი გაკეთება შემეძლო შენთვის და არ გავაკეთე? *«რაჲ უყო მერმე ვენახსა ჩემსა და არა უყავ მას?»* (ეს. 5, 4) მაგრამ დაიღუპა შრომა, ამაოა ზრუნვა! ვიცადე ერთი წელი, ორი, რომ ჩემს ბაღს მოსავალი მოეწია, ნაყოფი სათნოებისა; ველოდი სინანულს, ჩემი ქრისტიანის გამოსწორებას, მაგრამ არა! უნაყოფოა ჩემი ვენახი, გაველურდა, სავსეა სარეველათი. ის ბოროტებაშია გაკერპებული, ცოდვებით მოცული: *«მით, რამეთუ ვჰგებდი, რაჲთა ყოს ყურძენი, ხოლო ყვნა ეკალნი?»* (იქვე). ღვთისმეტყველო მასწავლებელნო, სულიერო მამანო, გვითხარით, განსაჯეთ ჩემსა და ჩემს ვენახს შორის, ჩემი მრავლისმოთმენა და მისი უმადურობა განიხილეთ, უმადურობა ასეთი სიყვარულისა და მოთმინებისათვის! გადაწყვიტეთ, რა ვქნა? მოვხსნი ღობეს _ დაე, ის ქურდებმა გაძარცვონ; საგუშაგო კოშკს დავანგრევ _ დაე, გამვლელებმა გათელონ; ღრუბლებს წვიმას აღვუკვეთ _ დაე, დაიღუპოს. *«მოვძარცო ღობე მისი და იყოს დასატაცებელ და დავარღჳო ზღუდე მისი და იყოს დასათრგუნველ... და ღრუბელთა ვამცნებ არა წჳმად მის ზედა წჳმაჲ»* (ეს. 5, 5). განა საშინელი არ არის ეს სიტყვები, რომლითაც ღმერთი ნათლად გეუბნება, რომ ბოლოს და ბოლოს ტვირთად აწევხარ და გტოვებს, რომ მისი სულგრძელობა გულისწყრომად იქცევა, მოთმინება _ მრისხანებად? როგორც ნეტარი პავლე ამბობს _ ღმერთი ასეთი სიყვარულით გიხმობს და მოგელის, შენ კი ამას არაფრად აგდებ. *«ანუ სიმდიდრესა მას სიტკბოებისა მისისასა და თავსდებასა... შეურაცხჰყოფ, ვერ გიცნობიეს, რამეთუ სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მოგიყვანებს შენ?»* (ჰრომ. 2, 4). აი, ის ბაწარი, რომლითაც როგორც უკვე გითხარი, ღმერთს სინანულთან მიჰყავხარ. მაგრამ თუკი შენ ჯიუტად შეეწინააღმდეგები, ბაწარი გაწყდება და უკიდურეს წარსაწყმედელში შთავარდები. ღმერთი თავისი ღვთაებრივი მადლის საგანძურს გთავაზობს, შენ კი მას მრისხანების განძზე ცვლი. *«ხოლო სიფიცხლითა... შენითა და შეუნანებელითა გულითა იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა»* (ჰრომ. 2,5), განაგრძობს მოციქული. მაშ ასე, სავსებით სამართლიანი იქნება, რომ დამსახურებული მიიღო. ღმერთი დაივიწყე? იქენ მისგან დავიწყებული! გეძახდა, შენ კი ის არ გინდოდა, ახლა შენ ევედრე, ის კი აღარ გინდომებს. «ღვთის მართალი სამსჯავრო ჩვენი განწყობისდა მიხედვით მოქმედებს; რასაც ჩვენ თავად ვაკეთებთ, თავისგან იმასვე გვისჯის» _ ამბობს გრიგოლ სინელი.

წმინდა წერილში მრავალი ასეთი მაგალითია, მაგრამ ამათგან ყველაზე გამორჩეული იერუსალიმის მეფის, სედეკიას სამწუხარო ამბავია. ის ოცი წლისა იყო, როცა ტახტზე ავიდა. სიჭაბუკე ხშირად აბამდა ისეთ გართობაში, როგორის საშუალებასაც სამეფო ხელისუფლება აძლევდა. მან ყველა ღვთიური და ადამიანური კანონი გათელა და თავაწყვეტილი ცხენივით ყოველგვარ უღირსობებსა და ბოროტებას ჩადიოდა, თავისი მაგალითით მთავრებსა და მთელ ერს წარსაწყმედელში ითრევდა. ღმერთს უნდოდა უღირსი მეფის გამოსწორება და მასთან ხშირად იერემიასა და სხვა წინასწარმეტყველთ აგზავნიდა, რათა ის მოექციათ. ღმერთი დაჟინებით, დღითა და ღამით, ცხადად თუ დაფარულად ხან იზიდავდა მას, ხან ამხელდა, ხანაც აშინებდა, მაგრამ როგორც სული წმიდა ამბობს: *«რაჟამს მიიწიის უღმრთოი სიღრმესა უკეთურებისასა, მაშინ შეურაცხყვის»*

(იგ. 18, 3). ფრიად გასასტიკდა სედეკიას გული, ბოროტებაში მყარი. მას აღარ ეშინოდა ღვთისა, აღარ რცხვენოდა იერემიასი, სხვა წინასწარმეტყველებს აბუჩად იგდებდა. *«არა შეიკდიმა პირისაგან იერემია»* (2 ნეშტ. 36, 12)... ხოლო მმართველმან სედეკიასი *შეურაცხ-ყვეს წინასწარმეტყველნი მისნი»* (2 ნეშტ. 36, 16); *«და განიფიცხა ქედი თჳსი და არა მოაქცია გული თჳსი უფლისა ღმრთისა»* (2 ნეშტ. 36, 13). დიდხანს გრძელდებოდა ეს? გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ძლიერ არ აღენთო ღვთის მრისხანება და შეუძლებელი გახდა კურნება: *«აღსტყდა გულისწყრომა უფლისაჲ და არღარა იქმნეს... საკურნებელ»* (2 ნეშტ. 36, 16).

ღმერთმა აღამაღლა უძლიერესი ხელმწიფე დედამიწაზე ნაბუქოდონოსორი, მეფე ბაბილონისა, რომელმაც ურიცხვი ლაშქრით ალყა შემოარტყა იერუსალიმს. მხოლოდ მაშინ გაახსენდა სედეკიას ღმერთი და წინასწარმეტყველები. მან იერემიას მოსაყვანად კაცი გაგზავნა და სთხოვა წინასწარმეტყველს, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ელოცა: *«და მიავლინა მეფემან სედეკია... იერემიას მიმართ... მეტყუელმან: ლოცვიდე ჩუენთჳს უფლისა ღმრთისა ჩემისა»* (იერ. 37, 3).

და რა მოხდა? არ ილოცა იერემიამ და ღმერთიც არ შეეწია მეფეს. მტერი ზეიმით შევიდა წმინდა ქალაქში, ტაძარი შებილწა, მისი საჭურჭლე გაძარცვა, დიდიდან პატარამდე ყველა ამოხოცა, შეიპყრო თვით მეფე, ბრძანა მის თვალწინ აეჩეხათ მისი შვილები, თვითონ მას თვალები დათხარა და სხვა ტყვეებთან ერთად ბაბილონს ტყვედ წაიყვანა შებორკილი. უცნაურია? ღმერთი სედეკიას სინანულს არ იწირავს? _ არა.

სძულდა სედეკიას ღმერთი, იმდენად დიდხანს სძულდა, რომ ღმერთმა ის საბოლოოდ მიატოვა. ე.ი. ზოგჯერ გვტოვებს ღმერთი? _ დიახ. როდის? _ *«ვიდრე აღსტყდა გულისწყრომა უფლისა»*, უმაღლეს ხარისხამდე აღეგზნება, მაშინ არანაირი განმრთელება, არანაირი, «არღარა იქმნეს საკურნებელ!» მაგრამ ამ შემთხვევაში გგონიათ მოინანია სედეკიამ? და მაინც *«არღარა იქმნეს საკურნებელ»*, მაგრამ მან ხომ იერემიასთან კაცი გაგზავნა, რათა მას ელოცა? _ დიახ, მაგრამ *«არღარა იქმნეს საკურნებელ»*. რატომ? იმიტომ, რომ *«აღსტყდა გულისწყრომა უფლისაჲ»*. როცა ღვთის მოთმინება ილევა, *«არღარა იქმნეს საკურნებელ»*. ასე რომ, სედეკიას არ სურდა მონანიება, ვიდრე შეეძლო, და მოვიდა დრო, როცა ინდომა, მაგრამ ვეღარ შეძლო; და როგორც ერთხელ დაკარგა ნება, მადლმაც ასევე მიატოვა იგი. ღვთის მართალი სამსჯავროც ასევე ჩვენი განწყობის შესაბამისად მოქმედებს: რასაც თავად ვაკეთებთ, იმასვე გვისჯის. ჰოი, ეს საშინელი მაგალითი! მე არ ძალმიძს ის ჩვენს თავს მივუსადაგო, სჯობს დავდუმდე, თქვენ კი თვითონ ჩაწვდით, რამეთუ ის, რაც ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, შეძრავს მსმენელის სულს.

მაგრამ ეს რა ხმა მესმის? ვაგლახ მე! ეს ღვთის ხმაა, რომელიც წინასწარმეტყველ ეზეკიელის პირით მეუბნება: *«ძო კაცისაო, ებგურად მიგეც სახლსა ისრაელისასა, და ისმინო პირისა ჩემისაგან სიტყუა, და უთქმიდე მათ ჩემ მიერ»* (ეზეკ. 3, 17). მე, _ ამბობს ის, _ სახარების საქადაგებლად ამ ქალაქის მცხოვრებლებთან წარგგზავნი. გადაეცი მათ, რაც ჩემგან ისმინე! უფალო ჩემო, რას მიბრძანებ მათთვის სათქმელად? *«ვრქუა რაჲ მე უშჯულოსა სიკუდილით მოკუდომაჲ, და არა თუ განამკაცრო იგი, არცა ჰრქუა განმკაცრება უსჯულოსა მოქცევად მისა გზათაგან მისთა, ცხოვნებად მისსა, უსჯულოჲ იგი უსჯულოებითა მისითა მოკუდეს, და სისხლი მისი ჴელისაგან შენისა გამოვიძიო»* (ეზეკ. 3, 18). ასე მეუბნება ღმერთი, და განა შემიძლია ამის შემდეგ გავჩუმდე? მიუხედავად ყველასი და ყველაფრისა, უნდა ვილაპარაკო და ვილაპარაკო უშიშრად, შეუზღუდავად.

აღუზრდელო ჭაბუკნო _ უხედნელო ცხენებო, უწინამძღოლო ბრმანო, წარსაწყმედელში გზააბნეულო ცხვარნო! გამოუსწორებელნო მხცოვანნო, რომელთაც წლებზე უფრო მრავალი ცოდვა გაქვთ! არაკეთილკრძალულო მღვდელნო, ცდუნებებით ერისკაცებს რომ აჭარბებთ! ღვთის შიშის დამკარგავო, ურჩო ერისკაცნო! მხოლოდ სიტყვით მორწმუნე პატივმოყვარე დედანო, რომელთაც რწმენის ერთი საქმეც კი არ გაგაჩნიათ, ღმერთმა მღვდლები გამოგიგზავნათ, რომლებიც ყოველდღე გიკითხავენ სახარებას; მასწავლებლები, რომლებიც ამბიონიდან გმოძღვრავენ, სულიერი მამები, რომლებიც აღსარებას შეგაგონებენ, ისინი ყველანი ერთსულოვნად მოგიწოდებენ სინანულისაკენ, ცოდვებში გამხელენ, სამსჯავროთი და ტანჯვით გაშინებენ, მაგრამ მათი სიტყვები არაფრად გიღირთ, მათ სიტყვებს აბუჩად იგდებთ, როგორც სედეკია _ წინასწარ-მეტყველებს. და აი, ღვთის სახელით გეუბნებით: ხომ ცოდვით იცხოვრეთ, თუ არ შეინანებთ, ცოდვაშივე მოკვდებით: *«ცოდვათა შინა თქუენთა მოსწყდეთ»* (ინ. 8, 21). ძე ღვთისამ სახარებაში ასე განსაზღვრა. *«ვიდრე აღსტყდა გულისწყრომაჲ უფლისა»*. ღვთის რისხვა აღეგზნო უმაღლეს ხარისხამდე და თქვენი ატანა მეტად აღარ შეუძლია. *«არღარა იქმნეს საკურნებელ»* _ თქვენ დაიხოცებით, დაიხოცებით!

დადგება დრო, როცა უეცარი სიკვდილი წარგიტაცებთ, შესაძლოა, ეს იყოს ხვალ, ამ წუთს და ის სამარცხვინო საქმეში წაგასწრებთ. შესაძლოა, ბუნებრივი სიკვდილი მოვიდეს და მაშინ სარეცელზე, სნეულებით დამძიმებულნი, წარსულ ცხოვრებაზე მეტად იფიქრებთ, ვიდრე მომავალზე, ქვეყანასთან განშორება მეტად დაგამწუხრებთ, ვიდრე ცოდვათაგან შემუსვრილება, საქმეების გამოსწორებაზე მეტად იფიქრებთ, ვიდრე სულისაზე. მაგრამ თქვენს თავთით ცოლის, მტირალი შვილების, მწუხარე მეგობრებისა და ნათესავების, თქვენი სნეულებით იმედდაკარგული ექიმის, მწერლის, რომელიც თქვენს ანდერძს იწერს, მოძღვრის, თქვენს აღსარებას რომ ელის, ახლო მომდგარი სიკვდილის შემხედვარეთ როგორი სინანულიღა შეგეძლებათ? როგორი აღსარება დაბრკოლებული ენით? როგორ იგრძნობთ შემუსვრილებას ამდენი წუხილით განგმირულ გულში? ასეთი ჩვევის ჯაჭვის გასაწყვეტად გეყოფათ კი ძალა? მაშინ, ერთ საათში და თან როგორ საათში! ინდომებთ კი გამოასწოროთ ბოროტება მთელი თქვენი ცხოვრებისა?

კეთილი, დავუშვათ, რომ იმ წუთს გექნებათ საღი გონება და განსჯა, რათა მოინანიოთ. ამისთვის წყალობად ფულს, ლოცვას, მოსარჩლეობას გაიღებთ, რათა ღმერთს სათნო ეყოთ, მაგრამ განა მიიღებს ღმერთი ასეთ აღსარებას? ვინ დაგარწმუნათ ამაში?

პირიქით, ასე დიდი ხნით მოძულებული, შესაძლოა, ისევე განგიდგეთ, როგორც სედეკიასა და მრავალთ. ცოტანი არიან ისეთნი, რომლებმაც სამარცხვინოდ იცხოვრეს, მაგრამ დიდებით დაიხოცნენ. სამარცხვინოდ მცხოვრებთა და ასევე მომკვდართა რიცხვი კი განუზომლად დიდია. და თუკი მცირედთა მაგალითი გაიმედებთ, მრავალთა მაგალითი რად არ გაშინებთ? მადლის მოცემით ღმერთი ჩვენს ნებას უმზერს, მაგრამ ჩვენი ნება ხანგრძლივ ჩვევებშია გაბმული. დიდხანს თმენისგან შესაძლოა, მის მადლსაც უმძიმს. ღმერთი ხომ ასე დიდხანს გეძებდათ და ვერ გპოულობდათ, შესაძლებელია, თქვენც ასევე ეძებოთ და ვერ იპოვოთ ის: *«მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ»* (ინ. 7, 34). ცოდვაში იცხოვრეთ და ალბათ ცოდვაშივე დაიხოცებით!

ჰოი, რა საშინელი აზრია! რაკი ნებამ დაგტოვათ, ოდესმე მადლიც მიგატოვებთ. და თუკი ახლა, ვიდრე შესაძლებელია, არ გსურთ სინანული, ალბათ დადგება დრო, როცა ინდომებთ, მაგრამ შეუძლებელი იქნება ამის გაკეთება.

II

ვფიქრობ, დღევანდელი სიტყვა მეტად სასტიკი გეჩვენებათ. ის თქვენს გულებს ისარივით გმირავს, მაგრამ რა ვუყოთ? როცა წყლული ჩირქდება, არა სალბუნი, არამედ ცეცხლი და რკინაა საჭირო. ახლა არა პირმოთნე და საამური, არამედ მწარე და საშინელი სიტყვები გვჭირდება. ეს სავსებით მართებულია. ჩვენ არ ვინანიებთ, რადგან ვიმედოვნებთ, რომ კიდევ გვაქვს დრო ამისთვის, მაგრამ ვცდებით: ჭეშმარიტი სინანულისთვის არა გვაქვს ნება, რომელიც ჩვევათა დატევებას შეძლებდა, არც ღვთის მადლი გვაქვს, რომელიც ცოდვას არ დაითმენდა. ეშმაკმა ასეთ საშუალებას მიმართა: ადამიანები წარსაწყმედელში სინანულის მოიმედენი ჩაიყვანა. ჯოჯოხეთი ავსებულია სულებით, სამოთხის მოპოვებას რომ იმედოვნებდნენ. ჰოი, ეს ჩვენი ცრუ იმედი ცხონებისა, ნამდვილი მიზეზი ჩვენი ტანჯვისა. ქრისტიანო, სინამდვილეში გსურს სინანული და ცხონება? _ აი დრო, აი საშუალება. ახლა, როცა იერუსალიმში ავდივართ, ახლა, როცა წმინდა დღეები დადგა, ახლა, როცა მოახლოვდა წმინდა ვნებები, დროა სინანულისთვის ხელსაყრელი; საშუალება კი არის ის, რაზეც ღმერთმა მიუთითა ლოთს: *«ცხოვნებით იცხოვნე სული შენი; ნუ უკმოიხედავ უკუღმართ... ისწრაფე შენ მიწევნად მუნ» (დაბ. 19, 17-22).* ამ ღვთაებრივ სიტყვებში მითითებაა სამ გარემოებაზე: პირველი _ «ცხოვნებით იცხოვნე სული შენი», ანუ ეცადე, შენი სული სინანულით იხსნა ცოდვის ალისაგან, რადგან სულს თუ დაკარგავ, ყველაფერს დაკარგავ, ხოლო თუ შეიძენ, ყოველივეს შეიძენ; და თუკი მას ერთხელ შეიძენ ან დაკარგავ, სამუდამოდ ასე იქნება. მეორე _ *«ნუ უკმოიხედავ უკუღმართ»* ანუ ნუღარ მოხედავ შენს უწინდელ ცოდვას, რომელიც ერთხელ დაუტევე; *«ისწრაფე შენ მიწევნად მუნ»* _ აი, მესამე და მთავარი მითითება, ეცადე ეს სასწრაფოდ გააკეთო, ნუ გადადებ ხვალისათვის, რადგან არ იცი, ხვალინდელი დღე რას მოგიტანს (იგ. 27, 1). ხოლო თოკი დღითიდღე სქელდება, კვანძები კი მჭიდროვდება.

ყველა იმ ცოდვიანი ხლართიდან, რომელსაც სინდისი ჰყავს შეკრული, ყველაზე მთავარი სამია: ძვირისხსენების, ვერცხლისმოყვარეობისა და ავხორცობისა. გინდა გიჩვენო, როგორ გაწყვიტო ისინი? მისმინე: ალექსანდრე დიდი აზიაში დაპყრობითი ომების დროს ზევსის ტაძარში შევიდა და იქ ნახა განთქმული კვანძი, რომელსაც გორდიას კვანძი ერქვა. მეფე გორდიამ ის დიდი ოსტატობით გაკვანძა. ტაძრის ქურუმებმა უთხრეს ალექსანდრეს, რომ ძველი წინასწარმეტყველების თანახმად, ვინც ამ კვანძს გახსნიდა, მთელ აზიაზე გამეფდებოდა. კვანძის გახსნა _ რა მცირედი გარჯაა, სამეფო კი როგორი დიდი შენაძენი! მაშინვე წადილით აღენთო დიდებისმოყვარე მეფე: იღებს კვანძს, ყოველი მხრიდან ათვალიერებს, მაგრამ ვერც თავს პოულობს, ვერც ბოლოს. ბოლოები ისე იყო დამალული, მჭიდროდ შეკრული და ერთმანეთში ახლართული, რომ ჯაჭვი გეგონებოდათ. ის ატრიალებს, აბრუნებს, ეჯაჯგურება, ცდილობს, გახსნას და ვერ ხსნის, ხედავს, რომ ამის არანაირი საშუალება არ არსებობს, მახვილს იშიშვლებს: «განა სულერთი არ არის, გავხსნი თუ გავჭრი?!» _ ამბობს იგი. მან კვანძი გაკვეთა და როგორც ერთი ლათინელი მეისტორიე ამბობს, ან აბუჩად აიგდო, ან წინასწარმეტყველება აღასრულა.

ქრისტიანო! ცოდვის კვანძები ამაზე მეტადაა ახლართული და არის ღვთის უტყუარი სიტყვა, რომ ვინც მას გახსნის, სასუფეველს შეიძენს. რა მცირედი გარჯაა და რა დიადი ჯილდო! თუკი შენ მისი გაწყვეტა ფიქრითა და განსჯით არ ძალგიძს, მტკიცე გადაწყვეტილების მახვილით გასჭერ და ამით სჯულს აღასრულებ. იღებ ძვირისხსენების

კვანძს და ხედავ, რომ მაგრადაა შეკრული. საწყენია! _ ამბობ შენ, _ მივუტევო მტერს, რომელსაც ჩემი კეთილდღეობა შეშურდა, ჩემს სიცოცხლეს ხელყოფდა, შეეხო ჩემს ღირსებას, ყველაზე ძვირფასს, რაც ადამიანს გააჩნია, რას იტყვის ქვეყანა? მაგრამ ოდესმე ხომ უნდა მოვინანიო! აქ ერთი მხრივ _ ცათა სასუფეველია, მეორე მხრივ _ ვნებების ბრძოლა სინანულთან, წუთისოფლისა _ სახარებასთან, ადამიანური სჯულისა _ ღვთის სჯულთან. შენ კი, ორთავე მხრიდან ალყაშემორტყმული, გონს ვერ იკრებ, არ იცი, რა ქნა, ქრისტიანო! სანამ ყველაფერ ამაზე იფიქრებ, კვანძს ვერ გახსნი. მახვილი! მახვილი! აქ მტკიცე გადაწყვეტილებაა საჭირო. უნდა თქვა: «მინდა მტერს მივუტევო იმიტომ, რომ ასე მიბრძანებს მცნებაში ღმერთი. ის თავად ამბობს: *«გიყუარდედ მტერნი თქუენნი»* (მთ. 5, 44; ლკ. 6, 35). თავისი მაგალითითაც ამაზე მიმითითებს. ჯვარზე დაკიდებულმა მიუტევა იმათ, ვინც ჯვარს აცვა იგი: *«მამაო, მიუტევე ამათ»* (ლკ. 23, 34). მინდა მივუტევო, წინააღმდეგ შემთხვევაში არც მე მომეტევება. ასე იკვეთება კვანძები.

გადავიდეთ შემდეგზე _ ვერცხლისმოყვარეობის კვანძებზე. მერედა რამდენია ისინი აქ! ტკბილია ღატაკთა სისხლი, სხვისი ნივთიც ფრიად მიმზიდველია. გემო გაუსინჯე, მიითვისე და ახლა ამბობ: როგორ გააუბედურო შენი სახლი და შვილები? მოტაცებული როგორ დავაბრუნო, როგორ შევამცირო შემოსავალი და დავკარგო სიმდიდრე? მაგრამ ოდესმე ხომ უნდა მოვინანიო. საქმე ცათა სასუფეველს ეხება, ვერცხლისმოყვარეობა კი ძლიერ გზღუდავს. შენ ხელის გაწვდენა და დაჩაგრულისთვის წართმეულის დაბრუნება გინდა, ვერცხლისმოყვარეობა კი გამოთვლის, თუ რამდენი გრჩება. ჰოი, ქრისტიანო, ვიდრე ამ ყველაფერზე იფიქრებ, კვანძს ვერასდროს გახსნი. მახვილი გჭირდება, მახვილი! აქ მტკიცე გადაწყვეტილებაა საჭირო; თქვი: მინდა დავაბრუნო სხვისი ნივთი, სხვაგვარად ვერ ვცხონდები. უსამართლო არ იკურთხება, სჯობს გავღარიბდე, ვიდრე დავისაჯო. მე მიყვარს ჩემი შვილები, მაგრამ საკუთარი სულიც მიყვარს; ასე იკვეთება კვანძები.

გადავიდეთ შემდეგზე _ ავხორცობაზე. ჰოი, ეს რა ძლიერი კვანძია! აქ მართლაცდა არც თავი ჩანს, არც ბოლო _ მიატოვო მრუში, ან სხვისი ცოლი, რომელიც გიზის! მასზე ხანგრძლივი მიჯაჭვულობა უკვე აღარ არის კვანძი, ეს რკინის ჯაჭვია. რა ვთქვა? მისმა სილამაზემ ან ხელოვანებამ, ან კიდევ რაიმემ მოგხიბლა, დაგიმონა, გრძნობა, გონება და თავისუფლება წაგართვა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ერთხელ მაინც გინდა მოინანიო! საქმე ხომ ცათა სასუფეველს ეხება. მაგრამ მისი ცრემლები, სიტყვები, ალერსი არ გიშვებენ, რაღაც ვალდებულებები გაკავებენ. გიცქერ და მებრალები. შენ მისი სახლიდან ცალი ფეხი გადმოდგი, მეორეთი კი ისევ იქ დგახარ; შენ მიდიხარ და კვლავ ბრუნდები, ტოვებ და ისევ გიყვარს. შენი გული ორად არის გაპობილი. ნახევარს ის ფლობს, ნახევარს _ სულიერი მამა. მებრძოლ აზრთა ასეთ მღელვარებაში თავადაც არ იცი, რა ქნა. მე გიკარნახებ, მაგრამ მანამდე მინდა გავიგო, ვის ველაპარაკები, სიკვდილს მიახლოებულ ავადმყოფს, რომელიც ჩხვლეტას შეიგრძნობს, კიდევ აქვს სიცოცხლის იმედი და ექიმი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ის გადაარჩინოს, თუ ავადმყოფს, რომელიც ვერაფერს გრძნობს და უიმედოა. მაშინ აღარც ექიმია საჭირო, აღარც მისი წამლები, ცოდვილიც ასევეა: როცა სინდისი ტანჯავს, ღვთის შიში ან ადამიანთა წინაშე სირცხვილი თრგუნავს და მაინც არაფერს გრძნობს _ ის უიმედოა. ის ღმერთმა მიატოვა, ასეთთან არ ვილაპარაკებ, რადგან ამაოა ყოველი სიტყვა. მე იმას მივმართავ, ვისაც აწუხებს სინდისი, ღმერთის ეშინია, ადამიანებისა რცხვენია და მონანიება უნდა, მაგრამ არ იცის, რანაირად გახსნას ხორციელი

ნასკვი. მაშ ასე, მისმინე და იმედი მაქვს, რომ ჩვენ მას გადავჭრით სულიერი მახვილით, *«რომელ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ »* (ეფ. 6, 17).

შენ ხარ ქრისტიანი, რომელსაც სჯული ნებას გრთავს გყავდეს მხოლოდ ერთი ცოლი, მოცემული ეკლესიისაგან და ღვთისგან. შენ ხარ ქრისტიანი, რომელიც უნდა გაექცე არა მხოლოდ ქვეყნიურ გაკიცხვას, არამედ საუკუნო სატანჯველსაც; ქრისტიანი, რომელიც ზეციური სასუფევლის მოხვეჭას იმედოვნებს, არა მხოლოდ სახელს, სულსაც უნდა უფრთხილდებოდეს. მრუშის ან სხვისი ცოლის მიზეზით მწუხარებენ შენი მშობლები, ტირის ცოლი, გაძაგებენ ნათესავები, საიდუმლოდ გამხელს მოძღვარი, ღიად _ მასწავლებელნი. შენ მთელი ქვეყანა გკიცხავს. შენ მთელი ქალაქის დასაცინი გახდი; ის შენს სირცხვილს დასტირის, შენს უგუნურებას დასცინის. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. შენ სძულხარ ეკლესიას და თავის საიდუმლოებებს აღგიკვეთს, შენ მიგატოვა მფარველმა ანგელოზმა; ის, როგორც წმიდა სული, შენი უწმინდურობით იბილწება, ღმერთს უმძიმს და აღარ შეუძლია შენი ატანა, შენს გვერდით ყოველთვის ეშმაკია, რათა სული წარგტაცოს, ჯოჯოხეთი პირდაღებული გელოდება, რომ წარსაწყმედელში შთანგთქას და შენ კიდევ იცდი? ვერ მოგიფიქრებია, არ იცი, რა უნდა ქნა, მას რანაირად დაშორდე? ჰოი, ქრისტიანო, ვიდრე იფიქრებ, ამასა და იმას გაიაზრებ, კვანძებს ვერასდროს გახსნი, დღეს ერთი რამ გიშლის ხელს, ხვალ _ მეორე, ხოლო ეშმაკი ნასკვს უფრო და უფრო მაგრად კრავს. მახვილი გჭირდება, მახვილი! ძმაო, აქ მტკიცე გადაწყვეტილებაა საჭირო. თქვი: უნდა მოვინანიო, მრუშს დავშორდე და სული გადავირჩინო. ეს უნდა გავაკეთო, რამეთუ სანამ მემრუშე ვარ, არა ვარ ქრისტიანი, შორს ვარ აღსარებისაგან, წმიდა საიდუმლოსაგან, დედა ეკლესიისაგან, ჩემი ღმერთისაგან, მე მემკვიდრეობააღკვეთილი ძე ვარ. საჭიროა, საჭირო, სწრაფად, დაუყოვნებლივ. ასე იგლიჯება კვანძი. ოჰ, ნეტავ კი ჩაგაგონოს ღმერთმა, რომ ისინი დღესვე გაგლიჯო და ხვალინდელ დღეს, უკანასკნელ საათს არ დაელოდო. ხომ გსმენია: ვისაც ახლა შეუძლია სინანული, მაგრამ არ სურს, მისთვის დადგება დრო, როცა ამას მოინდომებს, მაგრამ ვეღარ შეძლებს.

სიტყვა ბზობის კვირას

წმიდა ზიარების შესახებ

«ოსანა! კურთხეულ არს მომავალი
სახელითა უფლისათა, მეუფე ისრაელისა»

(ინ. 12, 13)

ჯოჯოხეთის შემმუსვრელმა, სიკვდილის მძლეველმა, ცხოვრების დამბადებელმა, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ოთხი დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა, ხოლო მეორე დღეს იერუსალიმში შევიდა. ამ დიადი სასწაულის შესახებ ცნობამ და ასეთი სასწაულთმოქმედის მოახლოებამ მთელი ქალაქი შეძრა: «ვინაა იგი? _ ეკითხებოდნენ ერთმანეთს. პასექის დღესასწაულზე შეგროვილი მრავალრიცხოვანი ერი, ერთგვარად ღვთაებრივი ნებით მოქმედი, მას, როგორც ისრაელის მეფეს, დიდი ზეიმით ღებულობს.

ერთნი წინ მიდიან, სხვები უკან მისდევენ, ზოგი რტოებს ჭრის, ზოგი მათ მიწაზე ყრის, სხვები გზაზე თავიანთ სამოსს უფენენ და ყველანი, პატარა ბავშვებიც კი, ერთხმად შესძახიან: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი!

არსებობს სამი აუცილებელი პირობა, რომელიც ჩვენ, ქრისტიანებმა, უნდა შევასრულოთ, როცა უწმიდეს საიდუმლოსთან ზიარებით უფალ იესო ქრისტეს მოვიღებთ. პირველ რიგში, ჭეშმარიტი სინანულით განვიძარცვოთ ცოდვის სამოსი, რომელსაც ამდენ ხანს ვატარებდით, დავუტევოთ უწინდელი მავნე ჩვევები: *«განიძარცუეთ ძველი იგი კაცი საქმით მისითურთ»* (კოლ. 3, 9); მეორე _ სრულად მოქცეულებმა, სამი დიდი მტრის _ ხორცის, სოფლისა და ეშმაკის დამთრგუნველებმა, რტოები ავწიოთ, შემდეგ სულიერი სიხარულით და შემუსვრილი გულის ლხენით ცხოვრების პურის წმიდა ტრაპეზს მივეახლოთ სიტყვებით: «ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა». ამიტომ, ახლა, მინდა გესაუბროთ წმიდა ზიარებაზე და ვფიქრობ, რომ ამის შესახებ სიტყვა აუცილებელია მათთვის, ვინც ამ წმიდა დღეებში ეზიარება უწმიდეს ხორცსა და სისხლს უფლისა ჩვენისა. უპირველეს ყოვლისა, მინდა გიჩვენოთ, რომ ეს უდიდესი საიდუმლო ერთ-ერთი უდიადესი საქმეა ღვთაებრივი ძალისა, ყოვლადბრძნობისა და მადლიანობისა. მეორედ _ გითხრათ იმის შესახებ, თუ როგორი მომზადება მართებთ ზიარების მსურველთ, რათა ეს ზიარება მათთვის იყოს არა სამსჯავრო, ან განსასჯელი, არამედ ცოდვათა დატევება და ცხონება. დღევანდელი ზეიმის გათვალისწინებით ყოველივე ამას მოკლედ ვიტყვი.

I

თავისი ბუნებითა და არსით მიუწვდომელი და უხილავი ღმერთი ნაწილობრივ შეითვისება და განიჭვრიტება თავის სამ თავისებურებაში, რომლებსაც ღვთისმეტყველები გარეგანს უწოდებენ: ძალაში, ყოვლადბრძნობასა და მადლის ქმნაში. ძალის საქმენია _ სასწაულები, ყოვლადბრძნობისა _ საიდუმლოებანი, მადლის ქმედებანია _ ნიჭები. მე ვამტკიცებ, რომ ღვთაებრივი ევქარისტია _ ეს უდიდესი სასწაულია, როგორიც კი განაწესა ღვთის ძალამ, უმაღლესი საიდუმლოა, როგორიც მოიფიქრა ღვთის ყოვლადბრძნობამ და უძვირფასესი ნიჭია, როგორიც წარმოგვიგზავნა ღვთის მადლმა. მივმართოთ მტკიცებულებებს და პირველით დავიწყოთ. მართალია, ყველა სასწაული, რამდენადაც ისინი სასწაულები არიან, თანაბარია, რადგან ბუნების კანონებს აღემატებიან, მაგრამ ამათგან ერთნი კანონთა მეტ რიცხვს ამეტებენ, მეორენი _ ნაკლებს; ამიტომ ერთ სასწაულს დიდი ჰქვია, მეორეს _ მცირე. ღვთის ძალის ყველა სასწაულს შორის მხოლოდ ღვთაებრივი ევქარისტიის სასწაული აჭარბებს ბუნების ყველა კანონს. ქრისტეს მთელი სხეული მთლიან წმიდა პურშია და იგივე მთელი სხეული _ წმიდა პურის თითოეულ ნაწილაკში, მსგავსად იმისა, ერთ მთლიან სარკეში მზე რომ აირეკლება და თუ მას ნაწილებად დავამსხვრევთ, თითოეულ ნამსხვრევშიც აირეკლება სათითაოდ. ჩვენ პურის და ღვინის ფერს ვხედავთ, მაგრამ ქრისტეს ხორცსა და სისხლს მოვიღებთ და ვიხმევთ. ღვთაებრივი ევქარისტიის საიდუმლო მატერიალურად მოქმედებს, მაგრამ სასწაულს სულიერად აღასრულებს; ის ბაგით მოიღება, მაგრამ სულს ასაზრდოებს; გრძნობას ეხება, მაგრამ სულსაც განწმედს; ღვთაებრივი პური ნაწევრდება, მაგრამ არ იყოფა; შეიჭმევა, მაგრამ არ განილევა; აპურებს ყველას და მთლიანად, მაგრამ არასდროს განსრულდება. იგივე იესო ქრისტეა დედამიწაზეც და ზეცაშიც, იგივეა წმიდა ტრაპეზზეც და მარჯვენითაც ღვთისა და მამისა, ის ერთია ამ წმიდა საკურთხეველშიც და ყველა მართლმადიდებლურ

საკურთხეველშიც. იგივე უხრწნელი და უკვდავი სხეულია, იგივე სისხლია _ საუკუნო ცხოვრების წყარო, მაგრამ ისინი დროებითად გამოიყურებიან. ეს ჭეშმარიტად ხორცი და სისხლია ქრისტესი, მაგრამ როგორც გარე სამოსს, პურისა და ღვინის შესახედაობა აქვთ.

მაშ ასე, რაკი ღვთაებრივი ევქარისტია ბუნების ყველა კანონს, ბუნებრივ საგანთა ყოფიერების ყველა სახეს აღემატება, ის ღვთაებრივი ძალის უდიადესი სასწაულია; ის ბუნებრივი გონების ყველა კანონზე აღმატებული, ღვთაებრივი ყოვლადბრძნობით გამოკვლეული უდიდესი საიდუმლოა. ყველა დანარჩენი, რაც ღმერთკაცმა _ სიტყვამ თავისი განხორციელებისას აღასრულა, მართალია, ყოვლადბრძნობით აღასრულა, მაგრამ ამ ყველაფერში ის, ერთი მხრივ, მიუწვდომელია, როგორც ღმერთი, მეორე მხრივ, სავსებით მისაწვდომია, როგორც ადამიანი. ამგვარად, გონება ნაწილობრივ ვერ იგებს, ნაწილობრივ იგებს. ამიტომ ყოველი მისი საქმე თუმც საიდუმლოებაა, მაგრამ არ არის ყოველმხრივ დაფარული: ჩვენ არ გვესმის რანაირად ხდება, რომ მის დროებითად შობაში ქალწულისაგან, დედაკაცისაგან, დროში იბადება მარადიული ღმერთი, მაგრამ მაინც ვხვდებით, რომ იბადება, რამეთუ სრულყოფილ ადამიანს ვხედავთ. ჩვენ არ გვესმის, მის ნებაყოფლობით ვნებასა და სიკვდილში როგორ ევნება და კვდება უვნებო და უკვდავი ღმერთი, მაგრამ ვხვდებით, რომ ის ევნება და კვდება, რამეთუ ვხედავთ მას, როგორც ჩვენსავე მსგავს ადამიანს, ჩვენი ბუნებითი უძლურებით მოსილს. მოციქულის სიტყვით: *«მცირე _ რადმე ვიცით»* (1 კორ. 13, 9). ღვთაებრივი ევქარისტიის საიდუმლოში კი პურისა და ღვინის სახით ღმერთკაცი _ სიტყვა ფარავს თავის ღმრთაებრიობას, რამეთუ არ გვევლინება ღმერთად, ასევე ფარავს თავის კაცობრივს, რამეთუ არც ადამიანად გვევლინება. ის გვევლინება როგორც მხოლოდ პური და ღვინო. ამიტომ გონება ღმერთკაცის _ სიტყვის ვერც ერთ ბუნებას ვერ სწვდება: ვერც ღმრთაებრივს, ვერც კაცობრივს. ეს საიდუმლო ყოველმხრივ დაფარულია.

მოდით ამაქვეყნის ბრძენნო, რომლებმაც გონების გამჭრიახობით ბუნების საიდუმლონი გააცხადეთ; მოდით ეკლესიის ღვთისმეტყველნო, რომლებმაც სულიწმიდის ხელმძღვანელობით საღვთო წერილის სიღრმეები გამოიკვლიეთ; განსაკუთრებით ვუხმობ ზეციურ ქერუბიმებს, ღვთაებრივ საიდუმლოთა ამ მრავალრიცხოვან მესაიდუმლეებს, აქ მოდით, საშინელი საიდუმლოს ამ წმიდა ტრაპეზთან. ის, რასაც ხედავთ, პური და ღვინოა, მაგრამ მათში მთლიანად ღმერთკაცი იესოა. მათში არ არის ღვთაების ნიშანი, რომლიდანაც დაასკვნიდით, რომ ის ღმერთია. მაგრამ განა არის აქ კაცობრივი ნიშანი იმისა, რომ ის ადამიანია? არა, ის დაფარულია როგორც ღმერთი, დაფარულია როგორც ადამიანი. მთლიანად დაფარულია! მან შობით ჭეშმარიტად ღვთაებრივად განილია თავი, რამეთუ მან, ღმერთმა, მონის სახე მიიღო და სიკვდილამდე მორჩილ იქნა; ვნებით განილია კაცობრივადაც, რამეთუ ევნო სიკვდილამდე. მაშინ ჩანდა ადამიანი, თუმცა დაფარული იყო ღმერთი. ახლა, ღვთაებრივ ევქარისტიაში, მან თავი სრულად განილია ისე, რომ არ გაცხადებულა არც ღმერთად, არც ადამიანად. ამიტომ ევქარისტია საიდუმლოთა საიდუმლოა, უპირატესი საიდუმლო, ყოველმხრივ დაფარული, რომელიც ბუნებრივსა და გონების ყველა კანონს აღემატება; ამიტომ ევქარისტია _ ეს უმაღლესი მოფიქრებაა ღვთაებრივი ყოვლადბრძნობისა.

შემდგომ: ის (ევქარისტია) ღვთაებრივი მადლის უძვირფასესი ძღვენია, რამეთუ ღვთაებრივი სიყვარულის განსაკუთრებული ნიშანია. ამასვე მოწმობს იოანე: *«რამეთუ შეიყუარნა თჳსნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინი»* (ინ. 13, 1). ანუ,

თეოფილაქტეს განმარტებით, «გააცხადა მათზე სრულყოფილი სიყვარული», მთელი სიყვარული, როგორითაც შეიძლება შეიყვაროს ღმერთმა ადამიანი. განხორციელებაშიც დიადი სიყვარული გაცხადდა და ვნებაშიც, მაგრამ ეს ყოველივე სრული სიყვარული არ არის, რადგან ერთხელ აღსრულდა, ლიტურგიაზე კი ის ყოველდღიურად საიდუმლო ქმედებაშია, ყოველდღე მსხვერპლად შეიწირება. მეტიც _ *«წმიდა პურში ისეთ ტანჯვას დაითმენს, როგორიც ჯვარზე არ დაუთმენია»* _ შენიშნავს ოქროპირი. ჯვარზე მისი სხეული არ დაუნაწევრებიათ _ *«არა განუტეხნეს წჯვნი მისნი»* (ინ. 19, 33); წინასწარმეტყველებით: *«ძუალი არა შეჰმუსროთ მისი»* (გამ. 12, 45). წმიდა პურში კი ის მრავალ ნაწილაკად ჰგიებს, რათა მრავალნი აღავსოს. ის მთლიანად სიყვარულია, რომლითაც ბოლომდე შეგვიყვარა. უმადურ ისრაელელებს ოდესღაც შეეძლოთ ეტრაბახათ იმ დიდი კეთილი საქმეებით, რომლებიც მათ ღმერთმა მიაგო და ეთქვათ: *«არა უყო ესრეთ ყოველსა ნათესავსა»* (ფს. 147, 9) _ როცა უფალმა მეწამული ზღვა გაყო და ისინი აღთქმულ მიწაზე გამოიყვანა; როცა მანანით გამოკვება უდაბნოში; როცა კლდიდან სასწაულებრივად გადმოდინებული წყლით დაარწყულა; მაგრამ ყოველივე ამის შედარება არც კი შეიძლება იმ უკიდურეს სიკეთისყოფასთან, რომელიც ღმერთმა ამ ღვთაებრივ საიდუმლოში მოგვაგო. რას წარმოადგენს მეწამული ზღვა იმ ცხოველმდინარე სისხლთან შედარებით, რომლისთვისაც ახალი მადლის აღთქმასთან გადავდივართ? რა არის მანანა, რომელსაც ჭამდნენ და მოწყდნენ, ამ ღვთაებრივ პურთან შედარებით, მიწაზე რომ ჩამოვიდა, და თუ მოიღე, საუკუნოდ იცხოვრებ?

რა არის ქვა, რომლიდანაც წყალი გადმოდინდა, იმ იდუმალ ქვასთან შედარებით, რომელიც უშრეტი წყაროა «საუკუნო ცხოვრებაში მიმდინარე» ცხოველი წყლისა? უნდა ვთქვათ და ვამბობთ კიდეც ამას მეტი უფლებით: *«არა უყო ესრეთ ყოველსა ნათესავსა»*. კიდევ რითი უნდა დაემტკიცებინა სამყაროს მაცხოვარს სიყვარული, თუ არა იმით, რომ პური და ღვინო თავის ხორცად და სისხლად გარდაექცია და ჩვენთვის მოემადლებინა, რათა ვსჭამოთ და ვსვათ, როცა მოვისურვებთ, რათა ისინი ჩვენთან იყვნენ უკუნისამდე? ეს ის სიყვარულია, რომლის ახსნაც არ ძალგვიძს _ ის შეუცნობელია; მას ვერ გაზომავ _ ის განუზომელია. სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული სრულყოფილი, მთელი სიყვარული, მთელი განძი ღვთაებრივი მადლისა. ამაში ღმერთმა, ვითარცა ძლიერმან, თავისი უმაღლესი ყოვლადბრძნობა გააცხადა; როგორც უბრძნესმა, საიდუმლოთა საიდუმლო აღასრულა და როგორც სახიერმა, უმაღლესი ძღვენი წარმოგზავნა.

როგორ გვმართებს მომზადება, როცა ამ საშინელ და უდიადეს საიდუმლოსთან ზიარებას მოვისურვებთ? *«გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგანი ჭამენ და სასუმელისა მისგანი სუნ»* (1 კორ. 11, 28). დაე თითოეულმა თავდაპირველად კარგად გამოსცადოს თავი, დაე თავისი სინდისი გამოიძიოს: თუკი არის რაიმე დაბრკოლება _ განიშოროს, თუ რაიმე კვანძია, გახსნას.

ქორების მთის ძირას მოსე თავისი სიმამრის, მადიამელი მღვდლის, იოთორის ცხვარს მწყემსავდა. უცებ სასწაულებრივ რამეს ხედავს: ბუჩქს ცეცხლი უკიდია და არ იწვება *«იხილა, ვითარმედ მაყლოვანსა მას აღატყდების ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწვების»* (გამ. 3, 2). მოსე გააოცა ნანახმა. ცნობისწადილით ანთებულმა თქვა: *«წარვიდე და ვიხილო, ხილვა ესე დიდი რაჲ არს, რამეთუ მაყუალი არა დაიწუების»* (გამ. 3, 3). წავიდა, მიუახლოვდა და ესმის _ რაღაც ხმა ეძახის. შეჩერდა. ცეცხლი, რომელშიც მაყვლოვანს ხედავდა, ღმერთი იყო, ხმა კი _ ღვთისა, რომელმაც უთხრა: *«მოსე, მოსე..! ნუ მოეახლები*

აქა! წარიჯადენ ჯამლნი ფერჯთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა შენ, ქუეყანა წმიდა არს» (გამ. 3, 4-5).

ქრისტიანო, ზიარება გსურს? ამ წმიდა პურს და ბარძიმს ხომ ხედავ წმიდა ტრაპეზზე? ეს ქრისტეს ხორცი და სისხლია! ეს თვით ღმერთია ხორცში! იქ ცეცხლია ღვთაებისა, ღირსეულთა განმანათლებელი და განმწმედელი, უღირსთა დამწველი! ნუ შეეხები, ნუ მიუახლოვდები, ჯერ *«ჯამლნი წარიხადენ ფერჯთაგან შენთა»*, ჭეშმარიტი აღსარებით გახსენი კვანძები შენი ცოდვებისა, რომლებშიც გახლართულია შენი სული. ვინმესთან იჩხუბე? ჯერ წყენის საკრველი გახსენი და წართმეული სამართლიანობით დააბრუნე; შენ მრუშსა და მეძავს დანებდი, ამდენი ხანი აცდუნებდი ყველას და სცოდავდი? გაწყვიტე ხორცის აპაურნი, შენი დამონებული სული ეშმაკის ხელიდან გამოიხსენ, *«წარიჯადენ ჯამლნი ფერჯთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა შენ, ქუეყანა წმიდა არს»*. საკურთხეველი, რომელსაც უახლოვდები, რომელშიც შედიხარ, წმიდა ტრაპეზია; ადგილი, რომელზეც დგახარ და ეზიარები _ წმიდათა წმიდაა. აქ უხილავად არიან წმიდა ანგელოზნი. ისინი შიშით, თრთოლვითა და მოწიწებით იფარავენ სახეს. აქ იდგნენ ბასილი, ოქროპირი, ადამიანები, მარხვით განლეული წმიდანები _ სულის სიწმიდით მიწიერი ანგელოზნი, რომლებმაც ყველა მიწიერი ბორკილი დაამსხვრიეს და მაინც თავიანთ უღირსობას ინანიებდნენ. ერთი ამბობდა: *«უწყი უფალო, რამეთუ უღირსად მოვიღებ უხრწნელსა ხორცსა შენსა»* (ბასილი დიდი); მეორე კი ამბობდა: *«უფალო ღმერთო ჩემო, უწყი, რამეთუ არა ვარ ღირს...»* (ოქროპირი). შენ კი, უთვალავი ცოდვით სულის შემბილწველო, რომელთა მიტევებისთვის წუთითაც არ გილოცია, არ მოუახლოვდე აქაურობას! ჯერ *«წარიჯადენ ჯამლნი ფერჯთაგან შენთა»*. ჯერ ყველა საკრველნი განხსენი, ყველა დაბრკოლება გადალახე, გათავისუფლდი, აღიარე, გამოსწორდი, შეინანე. ამგვარად განხსნილი, მიტევებული, შემსუბუქებული მოდი, მოეახლე, მაგრამ კვლავაც მოწიწებითა და ყურადღებით! მოსემ, იმისათვის, რომ მიახლოებოდა ადგილს, სადაც ალმოდებულ მაყვლოვანში ღმერთი იყო, ჯამლნი წარიჯადა. როგორი შიშითა და თრთოლვით უნდა დაებიჯებინა იქ, სადაც მაყვლოვანი და ცეცხლი იყო! შენც ასევე უნდა განიცდიდე შიშსა და თრთოლას, როცა გულზე ხელებს დაიკრეფ და წმიდა ზიარების მოსაღებად ბაგეს ხსნი. «მწამს უფალო, რომ შენ ხარ ღმერთი» _ უნდა თქვა შენ, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ; მრწამს, რომ შენ ცეცხლი ხარ შემწველი; ვაღიარებ, რომ ბალახი ვარ გამხმარი. მე, ცოდვილი, არა ვარ ღირსი მოგეახლო ღმერთს, რათა არა დავისაჯო, მე, თივა _ ცეცხლს, რათა არა შევიწვა. მაგრამ რადგანაც მიხმობ და მეძახი, მე, უწმინდური, მოვდივარ შენთან, როგორც სინათლის წყაროსთან, რათა განვიწმიდო; სნეული _ შენთან, სულთა მკურნალთან, რათა განვიკურნო; მკვდარი _ შენთან, ცხოვრების პურთან, რათა აღვდგე. მოვდივარ განსანათლებლად და განსაწმენდელად სწორედ იმიტომ, რომ ცოდვილი ვარ და უღირსი; მოგეახლები, რათა არ ვიყო შორს შენგან, რათა ჩემს სულს მტერი არ დაეპატრონოს. ამიტომ ვაღიარებ, რომ უღირსი ვარ, ცოდვილი ვარ. მაგრამ შენ ხომ ცოდვილთა საცხოვნებლად მოხვედი. ჰოი! მაცხოვნე! «ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!»

II

დიდი ცდომილებაა გამეფებული იმ ქრისტიანებს შორის, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ წმინდა დღეებში აღსარებითა და ზიარებით ერთხელ და სამუდამოდ აღასრულეს თავიანთი ვალი და შეუძლიათ, უწინდებურად და უარესადაც მოიქცნენ. ეს იმის გამო

ხდება, რომ არ იციან, რას ნიშნავს ზიარება და რა ემართება სულს ზიარებით. ეს დამღუპველი შეცდომაა, რადგან აღსარებისა და ზიარების შემდეგ პირიქით _ მან უფრო მეტი კეთილმოშიშებით და სიფრთხილით უნდა იცხოვროს.

მოსე სინას მთიდან ჩამოვიდა, ხელთ აღთქმის ორი ფიცარი ეპყრა, რომლებზეც ათი მცნება იყო დაწერილი. მისი სახე ისეთი სინათლით ბრწყინავდა, რომ ვერც ძმა მისი _ აარონი და ვერც სხვა ისრაელელნი ვერ უყურებდნენ. ამიტომ მოსემ სახეზე საფარველი ჩამოიფარა, რათა შეძლებოდათ მასთან მიახლოება. *«და იხილა აჰრონ და ყოველთა ძეთა ისრაელისათა მოსე. და იყო დიდებულ წინაშე ფერი პირისა მოსესი და შეეშინა მიახლებად მისა; ... დაიბურა საფარველი პირსა მისსა»* (გამ. 34, 30-32). საიდანაა მოსეს სახეზე ასეთი ძლიერი, დამაბრმავებელი სინათლე? მოსემ სინას მთაზე მრავალი დღე დაჰყო და ღმერთთან პირისპირ საუბრისას ღვთაებრივი ბრწყინვალება მიიღო, რომლითაც მისი სახე განიდიდა. რომელია უფრო მეტი _ ესაუბრო ღმერთს სახითა და მკითხაობით, როგორც მოსე, თუ ჭეშმარიტად და ნივთიერად, საკუთარი ბაგით მოიღო თავად ღმერთი, როგორც მოიღებს თითოეული მაზიარებელი. მოსე მხოლოდ საუბრობდა ღმერთთან და მისი სახე ასე გაბრწყინდა. როგორ უნდა ბრწყინავდეს იმისი სული, ვინც ყოვლადწმიდა ზიარებით ქრისტეს ხორცსა და სისხლს ეზიარება?! ღვთაებრივი წერილი ამბობს, რომ ებრაელებს არ შესწევდათ ძალა სახეში ემზირათ მოსესთვის, რომელიც მზესავით ბრწყინავდა; ღვთაებრივი ოქროპირი კი გვარწმუნებს, რომ დემონები ვერ უმზერენ მაზიარებლის სახეს, თრთიან და გაურბიან, რადგან ამ დროს მისი ბაგიდან ღვთაებრივი ცეცხლი გამოდის. სასწაულებრივია ეს სანახაობა ანგელოზთათვის და საშინელია _ ეშმაკისათვის. «ჩვენ, წმიდა ტრაპეზს მოცილებულები, ლომებივით ცეცხლით ვსუნთქავთ და ეშმაკისათვის საშიშნი ვხდებით». ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ ბრწყინავს ისე, როგორც მაზიარებლის სული ბრწყინავს ზიარებისას ღვთაებრივი მადლით. მიზეზი კი ისაა, რომ სვიმეონ თესალონიკელის თქმით, ზიარება სხვა არაფერია, თუ არა «ჩვენი განღმრთობა და ღმერთთან ურთიერთობა. «როცა ვეზიარებით, იმ მადლის მოწილენი ვხდებით, რომელსაც ფლობს ქრისტე, როგორც ღმერთი და როგორც ადამიანი» _ დაამოწმებს გრიგოლ ღვთისმეტყველი. «უსისხლო მსხვერპლის მეშვეობით ჩვენ ვეზიარებით ქრისტეს და მისი ვნებისა და ღვთაებრიობის მოწილენი ვხდებით». მადლით სიწმიდის ისეთ სიმაღლეზე ავდივართ, რომ თუნდაც იმავწუთს მოვმკვდარიყავით, ჩვენი სული ადგილს მოწამეთა, ქალწულთა და მოღვაწეთა დასში დაიმკვიდრებდა.

უფალო ჩემო! მხსნელო ჩემო! დაე, მოვკვდე, როცა ინებებ უდაბურ ადგილას, მთაზე თუ ტყეში _ სულ ერთია ჩემთვის, ოღონდაც სიკვდილის წინ შენს უწმიდეს ხორცთან და სისხლთან ზიარების ღირსი გავხდე. თუ იმწამს შენთან ვიქნები, არ მეშინია წარსაწყმედლისა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ თანამგზავრთან ერთად შენი ზეციური სასუფევლის ნავსაყუდელს მივაღწევ.

მაშ ასე, მაზიარებელო ქრისტიანო! იფრთხილე, ვინძლო მოპოვებული არ დაკარგო; კარგად გეჭიროს ძვირფასი მარგალიტი, რათა ხელიდან არ გაგივარდეს; ყოველმხრივ გაფრთხილდი, რათა მზაკვარმა ის შენს სულს არ წარსტაცოს; შენ წმიდა ძღვენით განიწმიდე? იცხოვრე, როგორც წმიდანმა; ღვთაებრივი მადლის აბანოდან სუფთა გამოხვედი? შენი უწინდელი ცოდვების მწვირში ისევ არ შთავარდე; სულით განმრთელდი? ძველი სნეულებით ისევ არ დასნეულდე; ქრისტესთან შეერთდი? იყავ

ქრისტესთან და თქვი: «ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა». დიდება მას უკუნისამდე. ამინ!

სიტყვა დიდ პარასკევს

მაცხოვნებელ ვნებაზე

ღმერთმა როგორი შექმნა ადამიანი და რითი მიაგო მან ღმერთს! ღმერთმა პეშვით მიწა აიღო და ის თავისი ხელით შექმნა სიტკბოების სამოთხეში, სიცოცხლის სული შთაბერა, თავისი ხატება მიჰმადლა და აქცია _ ადამიანად! გოლგოთაზე ადამიანი ღმერთს ისე მოექცა, რომ იგი (ღმერთი) იქნა უსახური, უსულო, მთლად სისხლიანი, უსულო და ჯვარზე მიმსჭვალული... იქ, სამოთხეში, ვხედავ ადამს, ისეთს, როგორიც შექმნა ღმერთმა _ ღვთის განსულიერებულ ხატს, დიდებისა და პატივის გვირგვინოსანს, ცისქვეშეთის ქმნილებათა თვითმპყრობელ მეფეს, ყველა მიწიერი სიამოვნებით დამტკბარს; აქ, გოლგოთაზე, ვხედავ, სადამდე მიიყვანა ადამიანმა იესო ქრისტე, ვხედავ შეუხედავს, უსახურს, ეკლის გვირგვინოსანს, მსჯავრდებულს, პატივაყრილს, ორ ავაზაკს შორის, ტკივილისა და საშინელი სიკვდილის აგონიაში. ამ ორ სახეს ურთიერთს ვადარებ _ სამოთხეში ადამს, და ჯვარცმულ ქრისტეს და ვფიქრობ გულის სიღრმეში: ღვთის უხვმა ხელებმა როგორი შექმნეს ადამი და როგორი შებრალების ღირსი სიკვდილი მიაგეს მას ადამიანის უსჯულო ხელებმა! იქ, ადამიანის შექმნაში, ვხედავ ნამოქმედარს, რომლითაც ღმერთმა ყველა თავისი საქმე დააგვირგვინა; აქ, ქრისტეს ტანჯვაში, იმ უსჯულოების შესახებ ვიგებ, რაც მიამატა და რითიც დაასრულა ადამიანმა მთელი თავისი საქმე... იქ ადამიანისადმი ღვთის უსაზღვრო სიყვარულს ვხედავ; აქ ღვთისადმი ადამიანის უსაზღვრო უმადურობას. და ვერ მივმხვდარვარ რა უნდა მიკვირდეს უფრო მეტად... ვხედავ, რომ უნდა ვიტირო იმაზეც, თუ რაოდენ მრავალი იტანჯა უფალმა, და იმაზეც, რაოდენ გაკადნიერდა ადამიანი..! და მწარედ მტირალი ერთს მეორისაგან ვერ ვასხვავებ; ვნებათა გამო ცრემლს ვღვრი და მათ მიზეზებს წარმოვიდგენ, იარებს ვითვლი, ვხედავ ხელს, რომელმაც ღმერთს ეს ჭრილობები მიაყენა. ვუმზერ ჯვარცმულს და იქვე მის ჯვარმცმელს, უფლის უსამართლოდ მოკვდინების მიზეზს _ ჯალათ ადამიანს!

იესო ქრისტეს მრავალ ტანჯვათა შორის ეს არის ყველაზე მწარე ტანჯვა, ის მის თავს ეკლის გვირგვინზე მეტად სერავს, მის გულს შუბზე ღრმად გმირავს და მიმსჭვალვაზე მეტად ფლეთს, მის ბაგეს ნაღველზე მეტად ამწარებს, მის ქედს ჯვარზე მეტად ამძიმებს; ის სიკვდილზე უწინ კლავს... ეს არის ტანჯვა, გამოწვეული იმის დანახვით, რომ მის ვნებებსა და სიკვდილში დამნაშავეა მისივე ქმნილება _ ადამიანი! ცრემლები რატომ უნდა ვღვაროთ? იმიტომ, რომ ჩვენ ვაცვით ჯვარს, ჩვენ მოვკალით ჩვენი უფალი. მისი ვნებების მიზეზნი არა ჩვენ, არამედ ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, მაშინაც კი ღრმად უნდა დავმწუხრებულიყავით, რადგან ამდენი ტანჯვა სხვას არავის დაუთმენია. მაგრამ როგორ ძლიერ უნდა ვწუხდეთ და ვიმუსრებოდეთ, როცა ვიცით, რომ ამ ტანჯვის მიზეზი არა სხვა ვინმე, არამედ ჩვენ ვართ?! მისი ვნებებიც უნდა დავიტიროთ და ჩვენი უმადურობაც, ცრემლი ორმაგად უნდა ვღვაროთ _ ცრემლი თანაგრძნობისა და შემუსვრილებისა და ამგვარად, ქრისტეზეც დავმწუხრდეთ და ჩვენს თავზეც... თუმცა ამ წმინდა კათედრაზე ამისათვის არ ამოვსულვარ... კარგად ვუწყი, რომ ქრისტიანები, რომლებიც ჯვარცმულის

ტანჯვას დასტირიან, იმისათვის მოელიან მის აღდგომას, რომ კვლავ ჯვარზე მიამსჭვალონ..! ამიტომაც არ ამოვსულვარ აქ იმისათვის, რომ ქრისტიანები სატირლად აღვძრა. დიდად არ ვაფასებ იმ ფუჭ ცრემლებს, გულიდან რომ არ მოედინებიან და ჭეშმარიტი შემუსვრილების ნაყოფს არ წარმოადგენენ... აჯობებდა, რომ ამ ცრემლებით თავიანთი რაიმე ზარალი, ნათესავის გარდაცვალება ან მოყვასის კეთილდღეობა გამოეტირათ... იესოს არ სჭირდება ასეთი ცრემლი. არის დამტირებელი, ვინც უნდა დაიტიროს ის, რაზეც ქრისტიანები არ ნაღვლობენ! მის გამო წუხს მზე და თავის სხივებს ამქრალებს; წუხს დედამიწა და საფუძვლამდე ძრწის, საფლავებს ხსნის და კრეტსაბმელს მთელ სიგრძეზე აპობს; მასზე თვით ჯვარმცმელები წუხან... ისე გარბიან, რომ *«იცემდეს მკერდსა მათსა»* (ლკ. 23, 48)... არა, თქვენთან იმისათვის არ მოვსულვარ, რომ სატირლად აღგძრათ! მინდა, ქრიტეს ვნებები განგიმარტოთ სამი თვალსაზრისით: პირველი _ ვინ იყო ვნებული; შემდგომ _ რაოდენი ევნო იგი. მომისმინეთ და ვნებულის სახით უსასრულო შემწყნარებლობას დაინახავთ; ტანჯვის უფსკრულში _ გამაოგნებელ მრავლისმოთმინებას იხილავთ, ტანჯვის მიზეზში _ უსაზღვრო სიყვარულს. და თუკი ამ შემწყნარებლობას არ გაიოცებთ, თუკი ეს მრავლისმოთმინება თანაგრძნობით არ აღგავსებთ, თუკი უსასრულო სიყვარულის პირის წინაშე უგრძნობები და უმადურები დარჩებით, მაშინ ვიტყვი, რომ თქვენი გული ნამდვილი ლოდია, იმაზე მტკიცე, ვიდრე ისინი, ქრისტეს სიკვდილის დროს რომ გაიპო!

ახლა კი აღვიდეთ უფლის მთაზე, გოლგოთის თხემზე, რათა ის საშინელი სანახაობა ვიხილოთ. ამ უკუნში, ქვეყნიერებას რომ დასწოლია, დაე, გზა პატიოსანმა და ცხოველმყოფელმა ჯვარმა გვიჩვენოს! ჰოი, სამგზის ნეტარო ძელო, მიმსჭვალული და ცხოვრების დამბრუნებელი ღვთის მაცოცხლებელი სისხლით დარწყულებულო, სად ხარ?! უსასრულოდ ძვირფასო საკურთხეველო, ყოვლადპატიოსანო საყდარო, რომელზე აღსაყდ-რებულმა ისრაელის ახალმა მეუფემ ცოდვაზე იზეიმა! ზეციურო კიბევ, საიდანაც ჩვენი ცხონების დამწყებმა სამოთხეში აღსასვლელი გვიჩვენა! ცეცხლოვანო სვეტო, რომელმაც მრავალი ერი აღთქმის ნეტარ მიწაზე მოიყვანა! ყოვლადწმინდაო ჯვარო, დამტკიცებავ ეკლესიისა, ქებავ ჩვენი სარწმუნოებისა! ოდესღაც უღირსებისა და სიკვდილის ძელი იყავი, ახლა _ დიდებისა და ცხოვრების ძელი ხარ! ქრისტეს ვნებათა იარაღი, ახლა სამგზის ნეტარი იარაღია ჩვენი ცხონებისა! მოვედ და ჩვენს ამჟამინდელ მწუხარე საუბარში ჩვენს გვერდით იყავ, დაე, ჩვენი გულები ისევე მოგემსჭვალოს, როგორც ჩვენი იესო მოგემს-ჭვალა!

I

ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოების მთელი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ის, ვინც ჯვარს მიემსჭვალა, მოკვდა, ჭეშმარიტად იყო ძე ღვთისა! დაე, იყოს ეს ელინთათვის სიგიჟე, იუდეველთათვის საცდური, მოციქულის სიტყვით _ *«ჩვენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცუმულსა»* (1 კორ. 1, 23) ჩვენთვის ჯვარცმული _ განკაცებული ღმერთი იყო! მართალია, ის ევნო ხორცით, როგორც ადამიანი, რადგან ვერ ევნებოდა როგორც ღმერთი. მაგრამ რამდენადაც ხორცი ღვთის სიტყვასთან იპოსტასურად იყო შეერთებული, ადამიანური _ ღვთაებრივთან, და ამით ხორციც განიღმრთო, ამიტომ ჩვენთვის ვნებული ადამიანი ნამდვილად იყო _ ღმერთი! იგი ჭეშმარიტად იყო ძე ქალწულისა და ძე ღვთისა _ ერთი იესო ქრისტე, ღმერთკაცი. ამიტომ, როგორც ის არის ჭეშმარიტება, რომ ღმერთი ევნო როგორც ადამიანი, ასევე ჭეშმარიტებაა ის, რომ ჩვენთვის

ვნებული კაცი იყო _ ღმერთი! უზენაესი ღმერთი, საუკუნეთა მეუფე. მიუხედავად ამისა მან მონის სახის მიღება კეთილინება და *«მსგავს კაცთა იქმნა»* (ფილ. 2, 7). ყოვლადუწმინდესმა ღმერთმა კეთილინება აღეხვნა კაცთა ცოდვები და გამოცხადებულიყო, როგორც ცოდვილი. დიდებით, ძალითა და უკვდავებით აღსავსე ღმერთმა ყოველივე ამის მიუხედავად თავი განილია, მოციქულ პავლეს სიტყვით, თავისი ღვთაებრიობის მთელი სიმდიდრის გარეშე, ადამიანური ბუნების უძლურებითა და სიგლახაკით გაცხადდა *«მორჩილ ვიდრე სიკუდიდმდე»* (ფილ. 2, 8)... ამ განლევას გრიგოლ ღვთისმეტყველი ერთგვარ დაუძლურებასა და დამცრობას უწოდებს. იყო კი აუცილებლობა იმისა, რომ ვნებულიყო დიდების მეუფე, ჯვარზე მიმსჭვალულიყო და მომკვდარიყო? კაცთა მოდგმის საცხოვნებლად განა არ იყო რაიმე სხვა საშუალება? ეს ჭეშმარიტად გამაოგნებელი და უკიდეგანო შემწყნარებლობაა ღვთისა..! ლოკრიის მეფემ სელევკმა სამართლიანი შურისგების კანონი გამოსცა _ ვინც სხვის ღირსებას, ამ უძვირფასეს სიკეთეს, ხელყოფდა, ცხოვრების ასეთივე სიკეთე _ თვალისჩინი უნდა წართმეოდა. პირველი, ვინც ეს კანონი დაარღვია, მრუშობაში იქნა მხილებული, მეფის შვილი იყო. სამართლიანმა ხელმწიფემ მას კანონიერი სასჯელი მიუსაჯა. მაშინ დიდებულებმა, დაახლოებულმა პირებმა, მთელმა ხალხმა ვედრება დაუწყო მეფეს, რომ მას თავისი მემკვიდრე შეეწყალებინა. მაგრამ მეფე თავის გადაწყვეტილებაზე მტკიცედ დადგა და ძისთვის თვალისჩინის შენარჩუნებას კანონის დაცვა ამჯობინა. შუამდგომლობა და მუდარა იმდენად დაჟინებული იყო, რომ მეფე თანდათან მოლბა და არა მხოლოდ სამართლიანობის, არამედ მამობრივი სიყვარულის ყურისგდებაც დაიწყო. «სამართლიანობა ჩემი კანონის დამრღვევი ძისთვის თვალების დათხრას მოითხოვს _ ეუბნება იგი თავის თავს, _ მაგრამ მამობრივი სიყვარული მისი შებრალებისთვის განმაწყობს, რადგან ის ჩემი შვილია. მე რომ სამართლიანობას არ მივდიო და იგი სათანადოდ არ დავსაჯო, უსამართლო მსაჯული ვიქნები; ხოლო თუკი მამობრივ გრძნობას დავთრგუნავ და მას კანონით დავსჯი, უგულო მამა აღმოვჩნდები. ჰოი ბედისწერავ! თუკი მამა უნდა ვყოფილიყავი, მსაჯულად რისთვის დამადგინე? ჰოი ბუნებავ! თუკი მსაჯულად დამადგინე, ძე რიღასთვის მომეცი? რა არის ეს? მე... მე ვორჭოფობ! მე სამართლიანი მსაჯული ვარ, სიმართლე კი ბრმაა და ბოროტმოქმედის სახეს არ უმზერს... მე, შვილის მოსიყვარულე მამამ, როგორღა უნდა განვსაჯო? სიყვარულიც ხომ ასევე ბრმაა და ბოროტმოქმედის სახეს არც ის უმზერს. მე მეფე ვარ, შემიძლია მაშინ დავსაჯო ან მივუტევო როცა მოვისურვებ. მაშ კანონი როგორღა დავიცვა, შვილი როგორ ვიხსნა? მე, უბედურმა მსაჯულმა და მამამ, რა ვქნა? ნეტავ თუ არსებობს რაიმე საშუალება იმისათვის, რომ კანონიც დავიცვა და ძეც გადავარჩინო? არის! აუცილებლად ორი თვალის დავსებაა საჭირო, დაე, ერთი თვალი მე დამევსოს, მეორე _ ჩემს შვილს! დაე, ერთი თვალი, როგორც ბოროტმოქმედმა, მან გაიღოს, მე კი, როგორც მამამ _ მეორე! ამგვარად ჩემს სამართალსაც დავაკმაყოფილებ და მამობრივ სიყვარულსაც დავიმშვიდებ; კანონსაც დავიცავ და შვილსაც სიბრმავისაგან ვიხსნი; სამართლიანი მსაჯულიც ვიქნები და შვილის მოყვარული მამაც!» აი ასე, მსმენელნო, ორთავ თვალის დავსება იყო აუცილებელი. მაგრამ იმისათვის რომ კანონი დაეცვა და დანაშაული დაესაჯა, მეორე მხრივ, მამობრივი სიყვარულით დაენდო დამნაშავე და მისთვის თვალისჩინი შეენარჩუნებინა, ასეთი გამოსავალი იქნა ნაპოვნი _ ერთი თვალი მამას დავსებოდა, მეორე _ ძეს. ეს არის მაგალითებს შორის უშესანიშნავესი მაგალითი სამართლიანობისა და მამობრივი

გულმოწყალებისა. ღუმცა კაცობრივი მაგალითი უსასრულოდ შორსაა იმისაგან, რომ ის ღვთის მიერ ჩვენი ცხონებისათვის გაღებულ მსხვერპლს შევადაროთ.

დასაბამიდან, თავიდანვე, სიტკბოების სამოთხეში, ღვთის განგებულება ცნობადის ხეზე იყო დაწერილი: თუკი ადამიანი მის ნაყოფს იგემებს და ღვთის მცნებას ამგვარად დაარღვევს, უეჭველად სიკვდილი ეწევა «*რომელსა დღესა შჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ*» (დაბ. 2, 17). პირველმამა ადამის სახით ჩვენ ყველამ შევცოდეთ _ [ადამში] «*ყოველთა შესცოდეს*» (ჰრომ. 5, 12). ჩვენ შევცოდეთ პირველმამათა ცოდვით და ჩვენი თავისუფალი ნებით. ასე რომ ყველანი დაწყევლილი ვართ ღვთისაგან, ყველანი ღირსნი ვართ საუკუნო ტანჯვისა. ერთიღა რჩებოდა _ დამსახურებულად დავსჯილიყავით, ორივე თვალი დაგვკარგვოდა, ანუ ორივე სიცოცხლე _ სხეულებრივი და სულიერი... რომ არ მოძებნილიყო ამისაგან თავის დაღწევის საშუალება! მაგრამ ეს რა საშუალება უნდა ყოფილიყო იმ დროს, როცა უსასრულოა ჩვენი ვალი ღვთის წინაშე? ჩვენს გამოსასყიდად რომ მოსულიყვნენ ათასობით ისეთი მამები, როგორებიც იყვნენ მოსე ან ვინმე წინასწარმეტყველთაგანი, ათასობით ანგელოზს ხორცი რომ შეესხა და იმისათვის მომკვდარიყო, რათა ღვთის სამართალი დაეკმაყოფილებინა, მათი სისხლით გაღებული მსხვერპლიც კი არ იკმარებდა, რამეთუ ესეც ქმნილ არსებათა სისხლი იქნებოდა, ჩვენი ვალის გადახდისათვის შეზღუდული და მცირედ ფასეული. «ორიდან უნდა აღსრულებულიყო ერთი: ან ყველანი განვეკითხეთ და სიკვდილით დავესაჯეთ, რამეთუ ყბელამ შევცოდეთ, ან ისეთი მსხვერპლი უნდა გაღებულიყო, რომელიც ვალს სრულად გაქვითავდა. ადამიანს არ შეეძლო თავისი თავის ცხონება, რადგან თვითონ იყო ცოდვას დაქვემდებარებული; ადამიანის ცოდვას ასევე ვერ გამოისყიდდა ანგელოზი, ამისი გაკეთება მას თავისი შეზღუდულობის გამო არ შეეძლო» _ ასე ღვთისმეტყველებს წმინდა პროკლე. აუცილებელი იყო ორი ბუნება _ ადამიანური და ღვთაებრივი. არა მარტოოდენ ადამიანური, რადგანაც მას არ შეეძლო ცხონება თავისი ვნებითა და სიკვდილით. ამისათვის საჭირო იყო ღმერთკაცის ერთ პირში კაცობრივი და ადამიანური ბუნების შეერთება. ეს პირი უნდა ვნებულიყო და მომკვდარიყო თავისი ადამიანური ბუნებით, რომელიც ვნებებსა და სიკვდილს ექვემდებარება, მაგრამ ღმერთკაცის ერთ პირში ღვთაებრივისა და კაცობრივის შეერთების შედეგად ეს ვნება და სიკვდილი უსასრულო ღირსებას, უსასრულო ფასს იძენს. უსასრულო ვალის გადახდა ამგვარად უნდა აღსრულებულიყო და ასეც მოხდა. ერთი მხრივ უფალმა მოხედა თავის სამართალს, რომელიც ჩვენი ცოდვებისათვის სასჯელს მოითხოვდა, რამეთუ მის მცნებებს გადავედით «*აღვხოცო კაცი, რომელი შევქმენ*» (დაბ. 6, 7). მაგრამ მეორე მხრივ ესმა თავისი კეთილმოწყალების ხმა, რომელიც ჩვენ გვშუამდგომლობდა და ჩვენს მიტევებას ითხოვდა, რადგან მისი ხელიდან ვართ ქმნილნი «*ცხოველ ვარ მე, _ არა მნებავს მე სიკუდილი უთნოისაი*» (ეზეკ. 33, 11). ღმერთს, როგორც მართალ მსაჯულს, თავისი კანონის დაცვა სურს; ამავდროულად, როგორც კაცთმოყვარე შემოქმედს, თავისი ქმნილების ხსნა უნდა. რას მოიმოქმედებს მსაჯული და მამა, ღმერთი და შემოქმედი? მისმა უსასრულო ყოვლადბრძნობამ მოძებნა საშუალება იმისა, რომ კანონიც დაეცვა და თავისი ქმილებაც ეხსნა...

აქ საჭიროა ორი ბუნება: ღვთაებრივი და კაცობრივი. დაე, ადამიანურობამ მსხვერპლი მოკვდავი ხორცით გაიღოს, მე კი მეორეს გავიღებ _ ღვთის სიტყვას. ორი ბუნების შეერთებით ერთი პირი _ ღმერთკაცი წარმოიშობა, სრული კაცი და სრული ღმერთი. დაე,

ის ევნოს, დაე, ის მოკვდეს. იგი, როგორც კაცი, მოკვდება და მისი დათხეული სისხლი ცოდვის საზღაური იქნება. მაგრამ რამდენადაც მოკვდავი ადამიანი ამავდროულად იქნება ღმერთი, იმდენად ეს მისაგებელიც უსასრულოდ ძვირფასი იქნება. ამგვარად განიხარებს ჩემი გულმოწყალება, რადგან ერთი ადამიანის სისხლი დანარჩენ კაცობრიობას გამოისყიდის; ჩემი სამართალიც დაკმაყოფილდება, რადგან ღმერთკაცის სისხლი უსასრულო ვალს გამოისყიდის და მე წარმოვდგები, როგორც მართლმსაჯული და კაცთმოყვარე შემოქმედი. აი მიზეზი იმისა, თუ რად უნდა ვნებულიყო და მომკვდარიყო ღმერთკაცი, რამეთუ შეეძლო ვალის გადახდა, როგორც კაცს, და ბოლომდე გადახდა, როგორც ღმერთს. ვიმეორებ, ქრისტიანენო, აქ თითქოსდა ორი თვალი, ორი ბუნებაა საჭირო. ჩვენ, ბოროტმოქმედებმა, ღვთის მცნების დამრღვევებმა, მსხვერპლად ერთი თვალი _ ადამიანური ბუნება გავიღეთ, ღმერთმა და მამამ მეორე _ ღვთაებრივი ბუნება გაიღო. ქრისტეს ადამიანური ბუნებით სასიკვდილო სასჯელი გველოდა, მაგრამ მისი ღვთაებრიობით სიკვდილი გაუქმდა. ჩვენ ღვთის სიტყვასთან შეერთებული ღვთაებრივი სხეულით ვზღეთ და სასიკვდილო განაჩენისაგან ღვთის სიტყვით ვართ დახსნილნი, სიტყვით, რომელიც ხორციელად გაცხადდა. ათანასე დიდი ამას უაღმატებულესი სახით განმარტავს: «ორივენი ურთიერთში უნდა ყოფილიყვნენ დიდებით, რათა სიკვდილი უფლისა ხორციელად აღსრულებულიყო და იგივე სიკვდილი ხორცთან შეერთებული ღვთის სიტყვის მეშვეობით განადგურებულიყო». ჰოი, ჩვენდამი ღვთის უსასრულო გულმოწყალებავ! მრავალმოწყალეო ღმერთო ნუთუ შენს ყოვლადძლიერებას არ ჰქონდა სხვა საშუალება, რომ შენი მხოლოდშობილი ძის, შენი ღვთაებრივი სახის _ მარჯვენა თვალის სიკვდილის გარეშე ეხსნა ადამიანი? უეჭველად ყოვლადძლიერ ღმერთს, რომელმაც ერთი სიტყვით *«ქმნნა ცანი და ქუეყანაჲ»* (ფს. 145, 5), ასევე ერთი სიტყვით შეეძლო ებრძანებინა და ადამიანის გამოხსნა აღსრულდებოდა, ამის გაკეთაბა მას უსასრულო ვალის გადახდის, მხოლოდშობილი ძის სიკვდილის გარეშეც შეეძლო, ასევე შეეძლო საუკუნო ტანჯვის ალის ჩაქრობა იესო ქრისტეს სისხლის გარეშე...

შეეძლო!.. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ღვთის უსაზღვრო ყოვლადძლიერებისა და მისი უსასრულო შემწყნარებლობის შესახებ როგორ შევიტყობდით? ღმერთმა კეთილინება მოქცეულიყო როგორც მსაჯული და მამა, თავისი მართლმსაჯულება და სიკეთე გაეცხადებინა, თავისი სიკეთე _ მისი სჯულის დამრღვევი ადამიანის მიმართ და როგორც მსაჯულს, თავისი მართლმსაჯულება _ ძე ღვთისას, იესო ქრისტეს ვნებითა და სიკვდილით. ადამიანისადმი სიყვარულის გამო მან თავისი მხოლოდშობილი ძე არ დაზოგა (იხ. ჰრომ. 8, 32)... ოდესღაც აბრაამმა ღვთის სიყვარულით გადაწყვიტა მისთვის თავისი მხოლოდშობილი ძე შეეწირა. ყურადღება მიაქციეთ ამ ამბის დასასრულს!.. აბრაამმა მიაღწია რა დანიშნულ ადგილს, სამსხვერპლო მოაწყო, ზედ შეშა დააწყო, ცეცხლი შეუნთო, თავისი შვილი ისააკი გაკოჭა და საკურთხეველზე დააწვინა, შემდეგ დანა აიღო, ხელი აღმართა და რა წამსაც მისთვის სასიკვდილო დარტყმა უნდა მიეყენებინა, ღმერთმა მოხედა და მოწყალექმნილმა ანგელოზის პირით უთხრა: «აბრაჰამ, აბრაჰამ, შეჩერდი, ხელს ნუ აღმართავ შენს ყრმაზე და ნურაფერს ავნებ! ჩემთვის შენი კეთილი ნებაც საკმარისია! დაე შვილმა შენმა ისააკმა იცოცხლოს _ დაე ის მრავალი ერის მამა გახდეს, ვაკურთხებ მათ და განვამრავლებ, ვითარცა ცაზე ვარსკვლავებს და ზღვაში ქვიშას!» (იხ. დაბ. 22, 11-17) მაგრამ, უფალო ჩემო, რა გასაკვირი იქნებოდა, რომ აბრაამს შენდამი სიყვარულის გამო შენთვის თავისი ძე შეეწირა? შენ _ ღმერთი ხარ, უსასრულო სიყვარულის ღირსი, შენ ხარ

ღმერთი აბრაამისა და ისააკისა, შენ ხარ _ ღმერთი და ყველაფერი, რასაც ადამიანი შენთვის გააკეთებს, ღირსეული და მართალი იქნება... ადამიანი _ რაღაა? მიწის უმნიშვნელო მატლი, შენი მცნებების დამრღვევი... და შენ ის იმდენად შეიყვარე, რომ ამ სიყვარულისთვის შენს ძეს წირავ? *«რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას?»* (ფს. 8, 5). რაჲ არს ეს ყოველივე, თუ არა ღვთის უდიდესი გულმოწყალება? მან ერთი კაცის ძე შეიბრალა და მამას მისი დაკვლის ნება არ მისცა! *«ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა, არამედ ჩუენ ყოველთათჳს მისცა იგი»* (ჰრომ. 8, 32). *მისცა იგი* მოწაფისაგან გასაყიდად, მეგობართაგან უარსაყოფად, მტერთაგან განსაკითხავად. *მისცა* იუდეველთა შურს, წარმართთა სამსჯავროს, მღვდელმთავრების გინებას, ჯარისკაცთაგან აბუჩად აგდებას, სიძულვილსა და მძვინვარებას უმადური ხალხისა, რომელსაც მისი სისხლი სწყუროდა... *მისცა* შესანერწყვებლად, ყვრიმალში საცემად, გასაშოლტად, ეკლის გვირგვინით დასაჩხვლეტად, ჯვარზე გასაკვრელად *მისცა იგი,* თითქოსდა მასში მეტად აღარ სცნობდა ძეს თვისას, არამედ ხედავდა ცოდვილს, უკეთ რომ ითქვას _ თავად ცოდვას ხედავდა! *მისცა,* რათა იგი, თავისი ძე, განესაჯა, როგორც დამნაშავე და ბოროტმოქმედი ადამიანი დანაშაულისაგან დაეხსნა; რათა უცოდველი დაესაჯა და ცოდვილი გაემართლებინა, მთელი ღვთაებრივი სამართალი მასზე აღესრულებინა და მთელი თავისი უსასრულო გულმოწყალება ადამიანზე გადმოეღვარა. *«ჩუენთჳს ცოდვაჲ ქმნა, რაჲთა ჩუენ ვიქმნნეთ სიმართლე ღმრთისა მას შინა»* (2 კორ. 5, 21). როგორი უფსკრულია ჩვენდამი ღვთის მოწყალებისა! აი როგორი იყო შვილის მიმართ მამის განჩინება! ძის ნება რაღაში გამჟღავნდა? მან უსასრულო თავმდაბლობასა და მორჩილებაში *«დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდიდმდე»* (ფილ. 2, 8). გაიხსენეთ საიდუმლო სერობის სახლი! აქ ის ყველაზე მეტად გვევლინება მონის სახით, როცა თავის მოწაფეებს ფეხს ბანს და დიად საიდუმლოში თავისი თავით აპურებს. უსასრულო სიმდაბლის მაგალითს ვხედავთ გეთსამანიის ბაღში. როგორც ადამიანი, ბუნებით უძლურებას ავლენს, ფრიად მწუხარებს, _ *სიკუდილადმდე...* ისეთი დიდი ღვაწლით იღვაწს, რომ ოფლი სისხლივით სდის და მიწას ეწვეთება... სახით მიწაზე ემხობა, ხოლო ლოცვას ბაგით აღავლენს _ თუ შესაძლებელია ააცილოს მამამ მწარე სასიკვდილო ფიალა (იხ. მთ. 26, 39). ამასთანავე მამის ნების მორჩილია *«მამაო... არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარ შენ; იყავნ ნებაჲ შენი»* (მთ. 26, 39-42). სამ მოწაფესთან დაბრუნებული ის მათ ჩაძინებულებს ნახულობს და აღვიძებს სიტყვებით: *«აღდეგით, წარვიდეთ ამიერ»* (მთ. 26, 46) იქით, საითაც მამის ნება და კაცთა ხსნა ეძახის! ქრისტიანენო, რა არის ამაში ყველაზე მეტად გასაოცარი? _ მამის გადაწყვეტილება, რომელმაც თავისი ძე სასიკვდილოდ განაჩინა, თუ ძის მორჩილება, ასეთი მზადყოფნით რომ ეგებება სიკვდილს? არც ერთი და არც მეორე. აქ ყველაზე გასაკვირი ჩვენდამი ღვთის უსასრულო შემწყნარებლობაა!

ეგვიპტელებისაგან ებრაელთა გამოსახსნელად ღმერთმა ადამიანი _ მოსე გამოგზავნა. მათი ცოდვების გამოსასყიდად ყოვლადდასაწველი სისხლი უნდა დაღვრილიყო, მაგრამ ეს იყო თხებისა და ხბოს სისხლი. ჯოჯოხეთის მეუფებისაგან ჩვენს გამოსახსნელად კი თვითონ _ პირადად მოვიდა, და კაცთა შორის იქცეოდა. ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად თავისი სისხლი დათხია *«არცა სისხლითა ვაცთა და ზუარაკთაჳთა, არამედ თჳსითა სისხლითა»* (ებრ. 9, 12) გვიხსნა. ღვთის მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი _ ეს სამოთხის ფასდაუდებელი მარგალიტია! მხოლოდ ერთ წვეთს ძალუძს საუკუნო ცეცხლის მთელი ალის ჩაქრობა! და მაინც _ ჩვენი ხსნისათვის რა მრავლად დაითხია იგი! ჩვენთვის

ჯვარცმულმა ის უკანასკნელ წვეთამდე დაღვარა! ღრმად ჩასწვდით ამას, ქრისტიანენო! ის, ვინც ევნო, ვინც ჯვარზე მიიმსჭვალა, ვინც ჩვენთვის მოკვდა _ ძეა ღვთისა. მთელი თავისი სისხლი მან ჩვენი სულების გამოსასყიდად გაიღო. ჩვენ კი _ ვაგლახ! ჩვენს სულებს კვლავ ტყვეობაში ვტოვებთ! ისევ ვემონებით ცოდვას? ისევ შორს ვართ გულითადი სინანულისა და შემუსვრილებისაგან? _ რა სარგებელია იმისაგან, რომ ჩემი სხეულის ყველა ნაწილს სისხლი დაედინა? ის ღვაწლი, რომლითაც გეთსამანიაში ვიღვაწე, ჩემი სისხლის მდინარეები, რომელიც გაშოლტვისას დამედინა ეკლის გვირგვინისაგან, შუბის ძგერებისაგან, რომელმაც ფერდი გამიგმირა, ლურსმნისაგან, რომლითაც ხელები და ფეხები მიმიმსჭვალეს, _ განა ეს ყოველივე ამაო იყო? ის მიწაზე კაცთაგან გასაქელად დაიღვარა? ჩემს დაღვრილ სისხლს სარგებლობა არ მოუტანია?!... დაუსაბამო მამაო, მე შენი წმინდა ნება აღვასრულე, ვევნე, ჯვარს ვეცვი, მივეცი სული ჩემი, ქრისტიანთა საცხოვნებლად მთელი სისხლი დავთხიე, მაგრამ ქრისტიანებს თავიანთი მაცხოვრის ცნობა არ სურთ, ცხონებას არ ეძიებენ, საუკუნო ტანჯვას შეურიგდნენ?!.. იუდეველთათვის მიტევებას გევედრები *«მიუტევე ამათ»* (ლკ. 23, 34). მაგრამ ქრისტიანებზე, რომლებიც ჩემს სიკვდილს მათთვის უსარგებლოს ხდიან, სამსჯავროს მოვითხოვ! *«ღმერთო განსაჯე»* (ფს. 81, 8). შენმა სამართალმა სისხლის დათხევა მიბრძანა _ იგივე სამართალი იძიებს შურს ჩემი სისხლისთვის... და მოუნანიებელ ქრისტიანს არანაირი მიტევება აღარ ექნება *«ძე ღმრთისაჲ დაითრგუნოს და სისხლი იგი აღთქუმისაჲ არა-ღირსად შეჰრაცხოს»* (ებრ. 10, 29), მოციქულის სიტყვით რამდენადაც ფასდაუდებელი იყო გამოსყიდვა, მით მძიმე იქნება სასჯელი მისდამი დაუდევრობისათვის. მაშ განვადიდოთ მაცხოვარი ჩვენი, აღვიხვნათ ცხონება, მოვინანიოთ, დაე ჩვენთვის მაცხოვნებელი იყოს ჩვენთვის დათხეული ძვირფასი სისხლი! ვნახეთ, ვინ ევნო ჩვენთვის და უსასრულო შემწყნარებლობითაც განვკვირდით, ახლა წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი იტანჯა, მის უსასრულო მოთმინებასთან ერთად თანავევნოთ.

II

ოდესმე თუ გინახავთ ქრისტიანენო, აბობოქრებულ შუაგულ ზღვაში პატარა ნავი, ნაპირიდან შორს, გამოუცდელი და უმწეო მენავეებით. ბობოქარი ტალღები მას აქეთ-იქიდან აწყდებიან და ის ზვირთებში ინთქმება... ახლა წარმოიდგინეთ, რომ ხედავთ ყოვლადწმინდა ქალწულის ერთადერთ ძეს უსასტიკესი ტანჯვის სისხლის ზღვაში საყვარელი დედისაგან შორს, მიტოვებულს დაუსაბამო მამისაგან, რომელმაც ის სატანჯველად მისცა _ მარტოს, უმწეოს, დაფანტული მოწაფეებისაგან მიტოვებულს!.. თუმცა _ არა! აი ერთი მოწაფე ცხადდება ჯარისკაცებთან და მსახურებთან ერთად, იარაღით, მაშხალებითა და ფანრებით... ვხედავ როგორ უახლოვდება, ეხვევა, ჰკოცნის მას... კარგ დროს მოხვედი მეგობარო და ერთგულო მოწაფევ, მოხვედი, რათა დამწუხრებული მასწავლებელი ანუგეშო, მასთან ერთად იყო! გვითხარი, რა კეთილი უწყებით მოხვედი მღვდელმთავართა ეზოდან? იქ დაარწმუნე ისინი, თავი ანებონ ღმერთკაცს, რომელსაც არანაირი საბაბი არ მიუცია, პირიქით _ მთელ იერუსალიმელ ხალხს უამრავი სიკეთე გაუკეთა? ხომ არ შეგინიშნავს მათში რაიმე ბოროტი განზრახვა, და ახლა მის დასაცავად დიდი რაზმი მოიყვანე? რად არ მპასუხობ? მოიცა, კარგად დაგაკვირდე... ააა! ეს ხომ გამცემი იუდაა, მოღალატე მოციქული, მზაკვარი მოწაფე! მაშ შენ მას გასაცემად ეამბორები?! ჰოი, იუდას საშინელო უმადურობავ! ჰოი, გამოუთქმელო ტანჯვავ ქრისტესი!... ამბობენ, რომ როცა სენატში მკვლელებით გარშემორტყმულმა

იულიუს ცეზარმა მათ შორის ბრუტუსი შენიშნა, რომელიც შვილივით უყვარდა, შესძახა: «შენც, შვილო ჩემო?!» და მაშინვე სახეზე მანტია მოიფარა, რათა არ ენახა ეს საშინელი ვერაგობა, რამაც სიკვდილზე მეტად შეძრა. რა მწუხარება მიაყენა იესოს იუდა გამცემის გამოჩენამ? შენც შვილო ჩემო... შენც, ჩემო მოწაფევ?! შენც, ჩემო მოციქულო, შენც ჩემს მტრებს შეუერთდი, შენ მათი დამცველი ხარ იმით, რომ ღალატი თავს იდევ? *«იუდა, ამბორის-ყოფითა მისცემ ძესა კაცისასა?»* (ლკ. 22, 48). და ამ საშინელ ვერაგობაში რამდენი დამცირებაა გაცემული მასწავლებლისა! სხვებიც ყოფილან გაცემულნი და გაყიდულნი, მაგრამ ისე, როგორც გაიცა და გაიყიდა ქრისტე, სხვა არავინ ყოფილა! ბრუტუსმა ცეზარი გასცა, მაგრამ სამშობლოს განთავისუფლების საბაბით. იოსები ძმებმა იმისათვის გაყიდეს, რომ მისთვის სიკვდილი აეცილებინათ (იხ. დაბ. 37, 26-27). იუდამ ქრისტე მოსაკვდინებლად გასცა *«ძე კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად»* (მთ. 26, 2). მას ძე ღვთისად სცნობენ _ დაე იყოს ასე! დადგება დრო, როცა მისი დიდება გაცხადდება! დაე მისი, ძე კაცისას უფლებები მაინც სცნონ! მაგრამ არა! მას, როგორც უტყვს, როგორც დასაკლავ ცხვარს, ისე ექცევიან!

მღვდელმთავრებს და უხუცესებს, ანასა და კაიაფას სახლში თავშეყრილ მთელ სინედრიონს მისი სისხლი სწყურიათ, მთელმა კრებულმა იესო განსასჯელად აქ მოიყვანა. მსაჯულნო _ მტრებო, ცრუ მოწმენო, რა გადაწყვეტილებას უნდა მოველოდეთ თქვენგან? *«თანამდებ არს სიკუდილისა»* (მთ. 26, 66). სიკვდილი ეკუთვნის? მაშ დაე მიიღოს სიკვდილი! მაგრამ სახეში რიღასთვის ჰნერწყვავთ? ყვრიმალში რადღა სცემთ? რისთვის დასცინით, თვალებს უხვევთ და მკრეხელი ხელით თითოეულ დარტყმაზე ეკითხებით: *«ვინ-არს, რომელმან გცა შენ?»* (ლკ. 22, 64). მოიცადეთ, მოიცადეთ, თავხედო მსახურებო! საშუალება მომეცით ვკითხო: «იესოვ ჩემო, გამომხსნელო ჩემო, შენ შეურაცხყოფას აქამომდე ითმენ? აქამომდე, რწმენის საფარქვეშ, თითქოსდა შენს ნათელ სახეს ხელი მიაფარეს, ისევ შეურაცხგყოფენ?* *«ვინ-არს, რომელმან გცა შენ?» წინაჲსწარმეტყველებდ* ჩვენ, უთვალავ დარტყმას ვინ გაყენებს? ებრაელები, ერეტიკოსები? მართლმადიდებელი ქრისტიანები. *წინაჲსწარმეტყველებთ* ჩვენ, ვისი ხელი გცემს უფრო ხშირად, იუდეველი მსახურის, ერეტიკოსის თუ მართლმადიდებელი ქრისტიანისა? *წინაჲსწარმეტყველებდ* ჩვენ, ვინ უფრო მტკივნეულად გირტყამს, ვინმე სასულიერო, ურწმუნო თუ ერისკაცი, სირცხვილდაკარგული მეძავი, ახალგაზრდა მრუში, უსამართლო მოსამართლე თუ ხარბი ვერცხლისმოყვარე, სისხლისმსმელი მკვლელი თუ მტაცებელი მძარცველი? *წინაჲსწარმეტყველებდ* ჩვენ, რა უფრო მეტად გამწუხრებს _ იუდეველთა დარტყმები, თუ ქრისტიანთა მანკიერებები?» მაგრამ ჩემი იესო აწ არ ქადაგებს, ის დუმს, *ვითარცა კრავი... უჴმოჲ* (ეს. 53, 7)

ხომ არ ინებებთ, მის ნაცვლად მეწინასწარმეტყველა? მღვდელმთავართა მსახურების უთვალავ დარტყმაზე შეუდარებლად მტკივნეულია მისთვის ის სამი დარტყმა, რომელიც მოწაფემ თავისი განდგომით მიაყენა: არა ვიცი კაცი იგი (მთ. 26, 72). ლოდი სარწმუნოებისა, შებრკოლების ქვად იქცა... ერთადერთი ქვა, რომელიც ქრისტესგან სამგზის განდგომით ჯერ კიდევ ქრისტეს სიკვდილამდე გაიპო. მაგრამ ის ხომ სინანულისათვის შეიმუსრა, რათა შემდგომ მასწავლებელი ეღიარებინა. ოდესღაც უდაბნოში მოსეს კვერთხმა კლდე გააპო; ეს ქვა ქრისტემ მზერით გააპო, მაგრამ იმ კლდიდან

* იგულისხმებიან ის ქრისტიანები, რომლებიც მართლმადიდებელი ქრისტიანის სახელს ატარებენ და არაქრისტიანულად ცხოვრობენ.

თაფლივით ტკბილი წყალი გადმოვიდა, ახლა კი მწარე ცრემლი ადამიანისა «გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ» (მთ. 26, 75) პეტრევ, შენ მართლაცდა უნუგეშო ცრემლი უნდა ღვარო, მაგრამ ნეტარი ხარ, რამეთუ შენი განდგომა ასე სწრაფად მოინანიე. ერთი საათით შესცოდე და ამ ცოდვას მთელი სიცოცხლის მანძილზე ინანიებდი! ვაი ჩვენ! ცოდვის ჩადენაში როგორი სწრაფები ვართ _ მონანიებაში კი როგორი დინჯები! მთელ ცხოვრებას ცოდვებში ვატარებთ _ და მათ გამო ტირილი ერთი საათითაც არ გვსურს!

პეტრე ინანიებს და მწარედ ტირის _ მამალმა სამჯერ დაიყივლა. დილაა. თენდება... გააღეს პილატეს პრეტორიის კარი, სადაც კაიაფას ეზოდან მოყავთ გაბაწრული ქრისტე. უმძიმდა მას მღვდლებისა და მღვდელმთავრების ხელში, მათ ეზოებში, კიდევ უფრო _ წარმართთა ხელში და ხელისუფალთა პალატებში უმძიმდა. ვაი! არსადა აქვს მისასვლელი და არსაიდან საშველი _ ყველგან შერცხვენა და ტანჯვაა... მღვდლები და ერისკაცნი, იუდეველები და წარმართები, ხელისუფალნი და მონები, მსაჯულნი და ჯარისკაცნი, ჭაბუკნი და მოხუცნი, მთელი კრებული, მთელი ხალხი _ ყველა მას განიკითხავს, როგორც ბოროტმოქმედს, მის სიკვდილს მოითხოვს, ყველა ყვირის *«ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!»* (ლკ. 23, 21). ყველასათვის ცნობილ ყაჩაღს, ბარაბას ამჯობინებენ, უცოდველი იესოსთვის კი ყველას ერთი რამ უნდა, ყველანი ერთს შესძახიან *«ჯუარს-ეცუნ»* (მთ. 27, 22). პილატეს ეს გაბოროტება უკვირს და უნდა, რომ გაიგოს, რაშია მისი დანაშაული: *«ნათესავთა შენთა და მღდელთ მთავართა მიუცემიხარ შენ ჩემდა რაჲ გიქმნიეს?»* (ინ. 18, 35). რა გემართება პილატე? შენ რა, აქ, იერუსალიმში ერთადერთი უცხოელი ხარ და იესო ნაზარეველის საქმეებზე არაფერი გსმენია? *რაჲ გიქმნიეს.* მოდი მე გეტყვი: ბრმებს თვალი აუხილა, კეთროვნები განწმინდა, განრღვეულები სარეცლიდან წამოაყენა. მკვდრები აღადგინა, მშიერნი დააპურა, გზააბნეულნი დამოძღვრა. აი მისი დანაშაული! *რაჲ გიქმნიეს?* ხალხს ჰკითხე, იმ ხალხს, მის ქადაგებებს აღტაცებული რომ უსმენდა! სამარიტელს ჰკითხე, რომელიც ცოდვილიდან მოციქულთა სწორი გახდა, ზაქეს, რომელიც ანგარებისმოყვარიდან მოწყალე კეთილისმყოფელად გარდაიქმნა, მათეს, რომელიც მეზვერიდან მახარებელი იქმნა, ჰკითხე ლაზარეს, რომელიც მან ოთხი დღის მკვდარი აღადგინა. იერუსალიმელ ბავშვებს ჰკითხე, ბაიებითა და რტოებით რომ ეგებებოდნენ და «ოსანას» ყვიროდნენ. _ *რაჲ გიქმნიეს?* შესაძლებელი რომ იყოს მისი საქმეების შესახებ ზღვა და ქარი გეტყოდნენ, ისინი ხომ მას ემორჩილებოდნენ, თვით დემონები _ მისი მტრები, მას ძე ღვთისად აღიარებდნენ *«რაჲ გიქმნიეს?»* უკეთესი იქნებოდა გეკითხა რა არ უქმნიეს. შენ რომ გონიერი ყოფილიყავი, მაღალი ღვთივშემეცნებით განათლებული, გეტყოდი, რომ იგი არის დაუსაბამო სიტყვა დაუსაბამო მამისა, მან ქმნა ყოველივე, რასაც ხედავ და ვერ ხედავ, დედამიწა თავისი მცენარეებით და ცხოველებით, ზეცა მზითა და ვარსკვლავებით, ანგელოზებითა და კაცთა მოდგმით, და თავად შენც, პილატე! მას ერთადერთი არ უქმნია _ ცოდვა! *«ცოდვაჲ არა ქმნა, არც იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა»* (1 პეტ. 2, 22). მაგრამ ეს ხომ თვითონაც იცი და მთელი ხმით ხალხსაც ამცნობ: *«მე მაგის თანა ბრალსა არარას ვჰპოვებ»* (ინ. 19, 6). თუმცა... უსჯულოა მიწიერი სასამართლო, უსამართლოა ადამიანის ძეთა განაჩენი... ადამიანის გამართლებისთვის მხოლოდ მისი უდანაშაულობა სულაც არ არის საკმარისი. თუკი ის უსამართლო მოსამართლის ხელში აღმოჩნდება, რომელიც უფრო მეტად საკუთარი ინტერესებისთვის ზრუნავს, იმის გამო, რომ კეისრის კეთილგანწყობა არ დაკარგოს, შიშით ცახცახებს.

უდანაშაულო იესოს შოლტავენ, ხოლო მოსამართლეს რომ ჰკითხოთ რისთვის, იგი გიპასუხებთ *«მაგის თანა ბრალსა არარას ვჰპოვებ».* ჰოი ცრემლის ღირსი სანახაობა! ხედავდე ძე ღვთისას, ვითარცა ზეცაში, სინათლის რიზით მოსილს, აქ, მისი აბუჩად ამგდები ჯარისკაცების და შეურაცხმყოფელი იუდეველების თვალწინ გაშიშვლებულს! აი ისინი თავიანთ არაადამიანურ ხელებს შოლტით აიარაღებენ _ სცემენ, ურტყამენ, ღვთაებრივი ემანუელის ყოვლადწმინდა სხეულს ფლეთენ... ის დრკება, ოფლად იღვრება, სისხლისდენისგან ძალა ეცლება... განა ეს ტანჯვა მე არ უნდა დამეთმინა? მათრახს განა ათასი ცოდვით შებილწული ჩემი სხეული არ უნდა დაეფლითა? სისხლს განა ჩემი სხეულიდან არ უნდა ედინა, რათა ჩემი სიბილწე განებანა? ანგელოზებო, სერაფიმებო, იჩქარეთ, იჩქარეთ, დაფაროთ ეს უმანკო სხეულის ნაწილები, ის ურწმუნოთა ბინძური მზერისგან დაფარეთ!

მაგრამ ვხედავ, რომ მას მეწამული ქლამიდით ფარავენ _ ჯარისკაცები აცმევენ და თან, როგორც იუდეველთა მეფეს, აბუჩად იგდებენ, ეკლის გვირგვინს სამეფო გვირგვინივით ადგამენ, რომელიც თავს უსერავს. კვერთხის ნაცვლად ხელში ჯოხს სჩრიან, დროდადრო ხელიდან სტაცებენ და თავში ურტყამენ. მუხლს იყრიან, ლანძღავენ, როგორც შეშლილს და შეფურთხებითა და ყვრიმალში ცემით ესალმებიან: *«გიხაროდენ მეუფეო ჰურიათაო!»* (ინ. 19, 3). თქვენ არ შეცდით ბილწნო, არა, არ შეცდით, იმ დროს, როცა დაცინვით ის იუდეველთა ცრუ მეფედ წარმოადგინეთ, სინამდვილეში ქრისტიანთა ჭეშმარიტ ღმერთად აქციეთ.

იესო ქრისტეს მეუფება _ ეს არ არის მეუფება ამაქვეყნისაგან. ამ მეფეს, შელანძღულს და ნატანჯს, ჩვენ ვეთაყვანებით, რადგან ეს ლანძღვა და ტანჯვა _ ჩვენი დიდებაა. ჩვენ მასში, ამ შეურაცხმყოფელ მოსასხამში ჩვენს მეუფეს შევიცნობთ, ეს ლანძღვა _ ჩვენი პატივი და დიდებაა. ჩვენ მის ეკლიან გვირგვინს მივაგებთ პატივს, რამეთუ მწუხარება და იწროება _ ჩვენი მიწიერი ხვედრია. ჩვენ არ გვსურს მის ხელში სხვა სკიპტრის დანახვა, გარდა მსუბუქი ხელჯოხისა, რადგან მიწიერი გამორჩეულობის სიმძიმეს არ ვესწრაფვით*. ჭეშმარიტად, თქვენ არ შეცდით, ბილწნო! თქვენდა საწინააღმდეგოდ თქვენ ის უამრავ მოწამეთა, მოღვაწეთა, ცათა სასუფევლის ყველა მაძიებელთა მეფედ დაადგინეთ. ოჰ! თქვენ რომ გაგეგოთ, რომ ამ მეფეს, რომელსაც ასე აბუჩად იგდებთ, მთელი დედამიწის მეფეები ხალისით სცემენ თაყვანს!.. იცოდეთ, რომ ამ დაფლეთილი მოსასხამის ქვეშ, რომელიც მას მოასხით, თაყვანისსაცემად დედამიწის ყველა ტომი თავს მოიყრის! იცოდეთ, რომ ეს ბასრი ეკლები, რომლიდანაც გვირგვინი მოუწანით, ჭეშმარიტი სარწმუნოების მტრების გასაგმირი ისრები იქნება. იცოდეთ, რომ ეს მსუბუქი ხელჯოხი, რომელიც მას მიეცით, იუდეურ სინაგოგებს და წარმართულ ტაძრებს შემუსრავს!

მსმენელო ქრისტიანებო, განა ასე არ არის? ის ჭეშმარიტად _ მეფეა, მისი მონები კი _ ჩვენ ვართ. მეფე ტანჯვისა და მრავლისმოთმინებისა! შეხედეთ მას! აი, გამოდის ეკლის გვირგვინით და მეწამული სამოსით, მას პილატე მოსდევს და მთელ იერუსალიმელ ხალხს უჩვენებს: *აჰა კაცი იგი* (ინ. 19, 5) ცრემლი შეიკავეთ... არ ვისურვებდი, რომ გეტირათ... უმჯობესია ჩვენი მეუფის წინაშე დაემხოთ! *აჰა კაცი იგი!* მამაო ზეციერო, ეს ადამიანი, რომელსაც ახლა არც შესახედაობა აქვს, არც სიკეთე, ხომ შენი მხოლოდშობილი ძეა, მთიებზე უწინ რომ შვი წიაღიდან! ანგელოზნო, მთავარანგელოზნო, ეს მრავალტანჯული კაცი _ დიდების მეუფეა, რომელსაც ზეცაში ძლევის საგალობელს უგალობთ! *აჰა კაცი იგი!*

---

* ამ რეპლიკით ის საერო ხელისუფლებისაკენ მისწრაფებაზე მიანიშნებს.

წარმოდექით წინასწარმეტყველნო: თქვენ იხილავთ იმედს ნათესავთა, მოსესთვის სასურველ ისრაელის მეფეს. სად ხართ მოციქულნო? შეხედეთ თქვენს მასწავლებელსა და ღმერთს! სად ხარ მარიამ, უნაზესო დედავ, შენს ერთადერთ ძვირფას ძეს შეხედე! *აჰა კაცი იგი!* მღვდელმთავრებო, თქვენს უმაღლეს მღვდელმთავარს შეხედეთ! ქალწულნო, თქვენს სასიძოს შეხედეთ! ობლებო _ თქვენს მამას, გზააბნეულნო _ თქვენს დამრიგებელს! განრღვეულნო _ თქვენს მკურნალს შეხედეთ, ცოდვილნო _ თქვენს მაცხოვარს! შეხედეთ ყოველნო ქრისტიანენო და მიეგებეთ თქვენს მეფეს: *«გიხაროდენ მეუფეო» მაგრამ არა იუდეველთა, არამედ ქრისტიანეთა! «აჰა კაცი იგი!»* მხოლოდ კაცია კი? ღმერთი ხომ არ არის? მისი ტანჯვის შემხედვარეები, მასში ადამიანს ვხედავთ, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ რა მის კეთილ საქმეებს, მასში ღმერთს ვჭვრეტთ. ერთდროულად ადამიანი და ღმერთი, რადგან იტანჯება და აცხოვნებს! მაგრამ მოწყალეო უფალო, გევედრებით, გვითხარი, განა საკმარისი არ არის ტანჯვა? კიდევ რისთვისღა იტანჯები? _ ჩვენი ცხონებისთვის ფრიად საკმარისია ის სისხლიც, რომელიც უკვე დათხიე! იესოვ ჩემო, ნუ გამიწყრები _ მე არ დავიხევ შენგან! ოჰ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ჩემი გულის სიღრმეში დაგმალავდი. ვაი მე! ჩემი გული ცოდვებით არის შებილწული და მე ვძრწი იმის გამო, რომ შენთვის, უსუფთესისთვის, უმჯობესია ჯვარზე გაკვრა, ვიდრე ჩემს უწმინდურ გულში დარჩენა! დაე ასე იყოს! მაგრამ მომეცი ნება, გამოგყვე _ ჩემი სიტყვებითა და ცრემლებით!

ჭეშმარიტად, ჯვარი _ ეს არის სიკვდილი, რომელიც მას პილატემ მიუსაჯა: *«მისცა იგი მათ, რადთა ჯუარს-ეცუას»* (ინ. 19, 16). საშინელი შეძახილით, შეშლილი სიხარულით, ურიცხვ ბრბოში იგი იუდეველებს პილატეს პრეტორიიდან გამოყავთ. ჯარისკაცები მხრებზე დასჯის იარაღს _ ჯვარს ადებენ. იერუსალიმის ქუჩებით მიყავთ და მძიმე ტვირთით დატანჯული, ღონემიხდილი, ოფლში გაწურული გოლგოთაზე აყავთ, გამომშრალ ტუჩებს ძმრიანი ნაღველით უსველებენ. მაგრამ ამ ნატანჯ სხეულში მცირედი სიცოცხლეა დარჩენილი და ისინი თავიანთი უსჯულო საქმის აღსრულებას ჩქარობენ. სამოსს ჩამოგლეჯენ, მიწაზე აგდებენ, ჯვარზე აწვენენ, ჯერ მარჯვენა ხელს ულურსმავენ, შემდეგ მარცხენას, შემდეგ _ ორივე ფეხს და ბოლოს საშინელი ყვირილით და გინებით ჯვარს წევენ და თხემის ადგილას ამაგრებენ. საკმარისი ხომ არ არის საშინელებები? არა! ამავდროულად ორ ავაზაკს აცვამენ ჯვარს. ერთს მარჯვნივ, მეორეს მარცხნივ, რათა უკიდურეს ტანჯვას თან უკიდურესი შეურაცხყოფაც დაერთოს, რათა ორმაგად იტანჯოს სხეულმაც და სულმაც! ჯვარცმის საშინელი სასჯელის სიმწარე მხოლოდ იმას შეეძლო გამოეხატა, ვისაც ამისი გამოცდის გამძლეობა ექნებოდა! წმინდა ღვთისმეტყველნი, როცა ქრისტეს უწმინდეს სხეულზე ფიქრობენ, ამბობენ, რომ ის ბუნებაზე აღმატებულია *«არა სისხლთაგან, არცა ნებითა ჰორცთადთა»* (ინ. 1, 13), არამედ ღვთის ყოვლადძლიერების, სულიწმიდისა და მარადისქალწულის წმინდა სისხლისაგანაა. ის _ სულიწმინდის ღვთივქმნილი სამკვიდრებელია, მას შინაგანი სამყარო და გარეგანი ძალები გასაოცარი სრულყოფილებით აქვს მიმადლებული. ამიტომაც გვეუბნებიან, რომ მოწამეთა მიერ განცდილი ყველა ტანჯვა ერთად აღებული, იმ ერთ ტანჯვასაც ვერ შეედრება, რომელიც განიცადა ქრისტემ. უფრო მეტიც, მოწამეების ტანჯვისას იქ უხილავად ღმერთი იმყოფებოდა და მათ თავისი მადლით განამტკიცებდა, ამიტომაც შუაგულ ცეცხლში ხარობდნენ, სიკვდილის დროს მხიარულობდნენ _ თითქოსდა ტანჯვას საერთოდ ვერ გრძნობდნენ, ან საერთოდაც ავიწყდებოდათ ის. მაგრამ ტანჯვაში, რომელიც ქრისტემ დაითმინა, ღმერთმა ის მიატოვა, თითქოსდა სრულიად განუდგა, რის შესახებაც,

როგორღაც ამოოხვრით ამბობს თავად იესო: *«ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჳს დამიტევებ მე?»* (მთ. 27, 46). ზეციურმა მამამ მიატოვა ქრისტე, მაგრამ ის არ მიატოვა საყვარელმა დედამ... ჰოი ქრისტიანენო! ჯვარს მასზე მიმსჭვალული ქრისტე უჭირავს. უტკბესი დედის იქ ყოფნა _ მისთვის სხვა ჯვარია _ მის თვალწინ *«დგეს ჯუარსა მის თანა იესოჲსსა დედაჲ მისი* (ინ. 19, 25). ის დგას, უყურებს _ არ ტირის, თავის ტანჯვას არ გამოხატავს, არამედ გულში მდუმარედ უპყრია ის მახვილი, რომელიც მას სვიმეონმა უწინასწარმეტყველა. ის დგას ჯვარცმის დროს, თითქოსდა თვითონ მიმსჭვალული, და ამავე დროს თითქოსდა თვითონვე მეორე ჯვარი ჯვარცმულისათვის... მაგრამ, ჯვარცმულო მეუფეო, განა ეს არ არის ბოლო შენი მრავლისმოთმინებისა? სიკვდილო, ფიალის შესმა განა არ არის საკმარისი? არა! _ *«მწყურის!»* და ის იგემებს ძმარს გარეულს ნაღველში, თითქოსდა ბოლო წვეთს მწარე სასმისისა... *«და ოდეს მიიღო ძმარი იგი იესო, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს»* (ინ. 19, 30).

თავისი სიკვდილის წუთს იქცევა, როგორც კეთილგონიერი სახლის პატრონი. მან იგრძნო თუ არა სიკვდილი, ახალი აღთქმის დაფუძნებას დაასრულებს და ძველ აღთქმას ბოლოს უდებს. შემდგომ... უპირველეს ყოვლისა თავის მტერ იუდეველებს მიტევებას პირდება: *«მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან»* (ლკ. 23, 34). მის ჯვარზე გამკვრელ ჯარისკაცებს თავის სამოსს უტოვებს, რომელიც წილისყრით გაიყვეს. არ ივიწყებს კეთილ ავაზაკს, რომელიც ევედრება: *«მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა; ხოლო იესო ჰრქუა მას: ამინ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა»* (ლკ. 23, 42-43). ასისთავს, რომელმაც ის იწამა, ჭეშმარიტი ღვთივშემეცნებით აჯილდოვებს: *«ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე»* (მთ. 27, 54). საყვარელ მოწაფე იოანეს დედაზე მზრუნველობას ავალებს *«აჰა დედაჲ შენი»* (ინ. 19, 27) ტანჯულ დედას შემწედ მოწაფეს უტოვებს *«აჰა ძე შენი»* (ინ. 19, 26) თავის შვილებს ქრისტიანებს თავის ჯვარს უანდერძებს, რათა ის თან ატარონ და მთელი ცხოვრების მანძილზე მას არ გაშორდნენ. თავის ზეციურ მამას თავის სულს აბარებს «მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა» (ლკ. 23, 46). მაგრამ ამასაც ჩვეული მორჩილებით აკეთებს «მიიდრიკა თავი და განუტევა სული» (ინ. 19, 30). აი უკვე მკვდარი ხარ, მდუმარე, სიტყვა ღვთისა... ჩემს სიტყვას ცოტა ხნით მეც შევწყვეტ. ჩემს მსმენელს თავს ვანებებ, რათა მათ თავიანთ გულებში შენს ვნებებზე იფიქრონ და შენი გამოუთქმელი მრავლისმოთმენის თანამლმობნი იყვნენ!

III

ძე ღვთისა კაცთა ცხონებისთვის კვდება, ეს მაშინ, როცა ყოვლადძლიერს ჩვენი ცხონების მოწყობა სხვა რაიმე საშუალებით შეეძლო _ ამაშია უსაზღვრო მოწყალება! კვდება სამარცხვინო და მტანჯველი სიკვდილით, როცა შეეძლო შერცხვენისა და ტანჯვის გარეშე მომკვდარიყო. ამაშია მისი უსასრულო მრავლისმოთმინება, მაგრამ ეს უსაზღვრო მოწყალება და გამოუთქმელი მოთმინება ვისთვის გამოავლინა? ადამიანისათვის, რომელიც მისი მტერი იყო. ამაშია _ უსასრულო სიყვარული!

ქრისტიანენო, როცა უფალი ჩვენთვის ევნებოდა, ჯვარს ეცვა და მოკვდა ჩვენთვის, ჩვენ ამ დროს მას ღმერთად არ ვცნობდით. ჩვენ ის ვათრიეთ, ასევე მეც; ჩვენ მისი სჯული გვძულდა, სხვა ღმერთებს ვეთაყვანებოდით, უფრო მეტიც, არანაირი სიკეთე არ გაგვიკეთებია, პირიქით, ყოველგვარი ბოროტების უფსკრულში ვიყავით დანთქმულნი. და ამიტომაც, როგორც ცოდვილნი, მის მრისხანებას და საუკუნო სატანჯველს ვიმსახურებდით *«რამეთუ... ცოდვილ-ღა ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა»* (ჰრომ. 5, 8) მამა

მოკვდეს შვილისთვის ან ნათესავი ნათესავისთვის _ ეს ჩვეულებრივი რამაა, ამას მეგობრობა ავალდებულებს, ეს სიყვარულის უდიდესი მაგალითია *«უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს»* (ინ. 15, 13), ასეთი მეგობრობის მაგალითების პოვნა ადამიანთა შორისაც არის შესაძლებელი. მაგრამ ვინმე მოკვდეს მტრისთვის, _ ამას არც ბუნება მოითხოვს და არც მეგობრობა... ადამიანთა შორის მსგავსი არაფერი ყოფილა და არც გაგონილა... თუმცაღა ეს იყო და ამის შესახებ ჩვენს ქრისტიანულ სარწმუნოებაში იუწყება: უფალი ჩვენი მტრებისთვის მოკვდა... აი ბუნებაზე, სიტყვაზე და გონებაზე აღმატებული სიყვარული. ეს არის ღვთაებრივი სიყვარული *«რამეთუ... ცოდვილნი ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა»* (ჰრომ. 5, 8). ეს ისეთი სიკეთისქმნაა, რისთვისაც ღირსეულად მადლიერნი ვერ ვიქნებოდით თუნდაც თითოეულ ჩვენგანს ასი ცხოვრება ჰქონოდა, თითოეული ცხოვრება ათას წელიწადს გაგრძელებულიყო და ქრისტეს სიყვარულით ჯვარი გვეზიდა... ბოლოს და ბოლოს რამდენიც არ უნდა გვეტანჯა, ჩვენი კეთილისმყოფელისთვის დავიტანჯებოდით, ეს მაშინ, როცა ქრისტე თავისი მტრებისთვის ევნო და თავისი სიცოცხლის საზღაურად ჩვენს სიცოცხლეს არ ითხოვს, თავისი სისხლისთვის არც ჩვენი სისხლი უნდა; მას ჩვენგან ის სიყვარული უნდა, რომელიც ჩვენს მიმართ გამოხატა, მხოლოდ სიყვარული!

ნუთუ ასეთი დიდი სიკეთისთვის ღმერთი ასეთ საზღაურს არ იმსახურებს, არ შეუძლია ის მიიღოს? ჰოი ადამიანებო, ადამიანებო! რა დაგარქვათ? ბრმანი, რადგან ამ სიკეთეს ვერ ხედავთ, უმადურნი, რადგან არ გინდათ ის იცოდეთ? ალბათ ქვის გული გაქვთ, რადგან ღვთის ამ უსაზღვრო სიყვარულით არ ლბება?!.

ვიცი, რომ ბოროტებაში უიმედოდ შეუპოვრები, მოუნანიებლები მხოლოდ ბოროტი სულები არიან, ამიტომაც ღვთის მარადიული მტრები არიან და არასდროს იქნებიან მისი მეგობრები. თქვენ არა ხართ დემონები, მაგრამ შეიძლება კი ადამიანებად გცნოთ? მახინჯები ხომ არა ხართ _ ადამიანის ბუნებით და დემონური განწყობით? თქვენ ხომ ყოველთვის შეგიძლიათ ღვთის მეგობრები გახდეთ და... არ გინდათ. მერე რა, რომ განკაცდა, ევნო, ჯვარს ეცვა, მოკვდა; მერე რა, რომ მთელი თავისი სისხლი ჩვენთვის დათხია _ თქვენ ის მაინც არ გინდათ... ათასგზის რომ ვნებულიყო ასე და კვლავ მომკვდარიყო, თქვენ ეს მაინც არად გიღირთ _ ის მაინც არ გინდათ?!.. რა დღეებია ახლა? ეკლესია აწ ამ ვნებებს, ჯვარს, ქრისტეს სიკვდილს ხომ არ ზეიმობს? მოიძებნება კი თქვენს შორის თუნდაც ერთი გულწრფელი მონანული? ტირის კი ვინმე ისე მწარედ, როგორც პეტრე? აღიარებს კი ვინმე ისევე წრფელად, როგორც ავაზაკი: «მომიჯსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა (ლკ. 23, 42-43). მაგრამ რას ვამბობ? მოდით იმას გკითხავთ, მოიძებნება კი თქვენს შორის ისეთი, ვინც ახლა არ გაყიდიდა მას ვერცხლისმოყვარეობით, როგორც იუდა; ვინც ქვეყნიური კეთილდღეობისათვის არ უღალატებდა მას პილატესავით; ვინც ყველანაირი ცოდვით არ გააკრავდა ჯვარზე იუდეველებივით? მოიძებნება კი ჩვენს შორის თუნდაც ერთი ისეთი, ვინც არ განიზრახავდა, რომ ის აღდგომისთანავე ჯვარს ეცვა?!.. ქრისტე ძელის ჯვარზე ჰკიდია, აი ქრისტიანი, რომელიც მეძავის მკლავების დატოვებას არ აპირებს. მეორემ ის დროებით მიატოვა, მაგრამ იმისათვის ხომ არა, რომ მასთან კვლავ სასწრაფოდ შეერთდეს? სხვას სხვისი სიკეთის დაბრუნება არ უნდა, მესამე მტერთან შერიგებაში ჯიუტობს. მავანს სულაც არ მოუნანიებია; იმან თუმცა მოინანია, მაგრამ იმისათვის, რომ ძველ მანკიერებებს კვლავ მიეცეს... მაგრამ ქრისტეს ვნებები... არაფრად ღირს? სისხლი ქრისტესი... ითელება?!. ხომ არ

მოკვდა ქრისტე იმისთვის, რომ თავისი მტრები მეგობრებად ექცია, ცოდვილები ეცხონებინა? და რა? ... არ სურთ?! ჰოი, მოუნანიებელნო, გულქვა ცოდვილნო! დაე არ გსურდეთ ის მეგობრად, მაშ მტერივით მაინც მოექეცით*. გინდათ გიჩვენოთ თქვენი მტერი _ თქვენთვის სასიხარულოდ! უცქირეთ და გაიხარეთ, თავი შეიქციეთ, გაძეხით სანახაობით, უცქირეთ მას, მამანო და დედანო, სასულიერო პირნო და ერისკაცნო, მდიდრებო და ღარიბებო, ყველამ თქვენს მტერს უცქირეთ!... რაა, ესეც ცოტაა თქვენთვის? ამაზე მეტი შეურაცხყოფა და ტანჯვა გინდათ, ვიდრე ახლა ხედავთ? ყველა ეს ვნება თქვენ უნდა დაგეთმინათ, მაგრამ ღვთის სამართალს მაინც ვერ დააკმაყოფილებდით და საუკუნო სატანჯველი მოგესჯებოდათ... მან ერთმა კი ყველა ვნება დაითმინა, რათა თქვენ სატანჯველისაგან სამუდამოდ დახსნილიყავით, მან თქვენი ვალი თავის თავზე აიღო და თავისი სისხლით გადაიხადა! თქვენი ამპარტავი გონებისათვის სასჯელი ეკლის გვირგვინით ზიდა; თქვენი ბოროტი, მკრეხელი ლაპარაკისთვის _ ძმრითა და ნაღველით, თქვენი ბოროტებისთვის ფერდის განგმირვით, თქვენი ძარცვისთვის _ ხელების მიმსჭვალვით; თქვენი ხორციელი სიბილწისთვის _ ნაცემი სხეულის წყლულებით; ბოლოს ცოდვების მთელი სიმძიმე ძელის ჯვრით ასწია, ცოდვანი აღიხვნა _ და ცოდვილნი ჯერ არ შეუძენია. ჰოი, მტრებისთვის სიცოცხლის გამღებელო გამოუთქმელო სიხარულო! ჰოი, საშინელო უმადურობავ, მტრებიდან მეგობრებად გადაქცევას რომ ეღობები! მოუნანიებელო გულქვა ცოდვილნო! იაპონიაში კერპთაყვანისმცემლები და ქრისტიანთა მოსისხლე მტრები დღემდე არიან**. მათ ქალაქის კარიბჭის ზღურბლზე შავ მარმარილოზე პატიოსანი ჯვარი გამოსახეს და მათთვის საძულველ ქრისტიანებს გამოუცხადეს, რომ თუ მათ ქალაქში შესვლა უნდათ, ჯვარს უნდა დააბიჯონ! რითიც იმას მიაღწიეს, რომ მათ უწმინდურ ქვეყანაში შესვლა არც ერთ ქრისტიანს არ უცდია. მეც ასევე ღვთაებრივი მოშურნეობით წავალ და ჯვარცმულის ნიშანს მეძავის სახლის კარების ზღურბლზე დავ-დებ, რათა მასზე დაბიჯების გარეშე იქ შესვლა შეუძლებელი იყოს. დააბიჯეთ და გათელეთ, მაგრამ *«გეტყჳ თქუენ: ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებისა და მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა»* (მთ. 26, 64) მოვა, მოვა დრო, როცა მეორედ მოსვლისას ამ მკვდარს დიდებით მოსილს ნახავთ, *«ძალითა და დიდებითა მრავლითა»* (მთ. 24, 30). ეს თვალები არ იქნება სამუდამოდ დახუჭული, ეს ხელები არ იქნება სამუდამოდ მიმსჭვალული. მოვა დრო და ამ თვალებში ღვთაებრივი მრისხანების ყველა ცეცხლი აენთება, ეს ხელები ღვთის სამართლის ელვით აღიჭურვება. ეს მოკუმული და უტყვი ბაგეები დაიქუხებენ და ჩვენს უმადურობას ამხელენ *«წარვედით ჩემგან წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთა!»* (მთ. 25, 41).

და მაინც, ჰოი, ტკბილო იესოვ ვიცი, რომ შენი სიყვარული ეს ამოუწურავი ზვირთია, რადგან უსასრულოა. ჭეშმარიტად საშინელია ჩვენი უმადურობა! მაგრამ შენი ჩვეული მრავლისმოთმინება ცოტა ხნით მაინც გაახანგრძლივე, როგორითაც ჯვარი ზიდე და ნება დამრთე ამ ქრისტიანების წინაშე წარმომეთქვა შენი ერთ-ერთი მადლიანი სიტყვა: *«მიუტევე ამათ»* (ლკ. 23, 24)! ყველა სასულიერო პირთა და ერისკაცთათვის, ყველა ცოდვილისათვის ამოთქვი მიტევება! თუკი აქამომდე შენი მტრები ვიყავით, შენი მადლით

---

* ორატორი მხურვალე მოშურნეობით ამხელს ქრისტიანების გულგრილობას, რაც მას მტრობაზე უარესად ესახება.

* ორატორი თავის დროს გულისხმობს.

კვლავ შენი მეგობრები ვიქნებით. და ამ იმედით გევედრებით: როცა ჯვრიდან გარდამოხვალ, მოდი და ჩვენს გულებს მიემსჭვალე, რათა იყო ჩვენგან განუყოფელი აქ დედამიწაზე და შენს ცათა სასუფეველში. ამინ!

სიტყვა აღდგომის კვირას

აღდგომის შესახებ

«და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი»
(ინ. 20, 20)

აღდგომილი მეუფის ღვთაებრივო მოწაფენო! მეც თქვენთან ერთად ვიხარებ! თქვენთან ერთად ვიხარებ ყოველნო ქრისტიანო ერნო, რომელთაც ბოლოს და ბოლოს იხილეთ აღდგომის შუქმფენი დღის ჩაუქრობელი ნათელი. მაღლით სამგზის ნეტარნი გუნდნი იხარებენ, ძალთა მეუფის ტახტს გარსშემოხვეული ანგელოზნი მას საგალობელს უგალობენ, დაბლით, თვით ჯოჯოხეთის ჯურღმულში ხარობენ აღმობრწყინებული მზის დიდებითა და იმისი ნათელი გამოცხადებით, ვისაც ცოდვილ პირველმამათათვის დაუღამებელი დღე მოაქვს. ხარობს ეკლესია _ ნათლით შემოსილი სასძლო ქრისტესი და საფლავიდან, ვითარცა სასახლიდან აღმდგარ სასიძოს სიხარულით ეგებება; თვით გოლგოთას უცვლია იერსახე: ის იყო საშინელი ადგილი, სადაც სამწუხარო ამბავი მოხდა, და საყოველთაო სიხარულის მომნიჭებელ დიად ადგილად იქცა. ჯვარი, მახვილი, ეკლის გვირგვინი _ საშინელი ტანჯვის ეს უხეში იარაღები ახლა ღმრთის გამარჯვების ზეიმს ამკობენ. საფლავი _ ადრე ხრწნის მწუხარე ალაგი, ახლა უხრწნელობის სიცოცხლეშემოსილ სასახლედ მოგვევლინა, ხოლო ჭრილობანი _ მიზეზნი სიკვდილისა _ საუკუნო ცხოვრების წყაროდ ქცეულან. *«და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი».* მოზეიმე მსმენელნო, ჩვენც განვიხაროთ და ქრისტეს დიადი აღდგომის ღვთივბოძებულ მადლს ხოტბა შევასხათ.

I

როცა დაიკეტა კარიბჭენი სამოთხისა, საიდანაც ადამი გამოიდევნა, ჯოჯოხეთის კარიბჭე გაიღო, რომლიდანაც წყევასა და ხრწნასთან ერთად ქვეყნად სიკვდილი შემოვიდა. ის, როგორც ტირანი, გამეფდა ადამიანთა უბედურ მოდგმაზე, რომელიც ტანჯვით ეწეოდა მძიმე უღელს და უმძიმეს ვალს საკუთარი სიცოცხლით იხდიდა. ადამი, როგორც კაცთა შორის პირველი ცოდვილი, პირველი უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ყველაზე ადრე, თვით ადამზე უწინ, მართალი და უდანაშაულო აბელი მოკვდა თავისი შურიანი ძმის, კაენის ხელით. განა სამართლიანი არ იქნებოდა, რომ სიკვდილი, ისევე როგორც ცოდვა, ადამისაგან დაწყებულიყო და არა აბელისაგან? ძმანო, ყოველი სამეფო მხოლოდ მაშინაა მყარი, როცა ის სამართლიანობას ეფუძნება. თუ სამართალი მეუფებს, საწყისი მეუფებისა მყარია და სუფევა მისი _ საუკუნო, და პირიქით, თუ ის არამყარი და უსამართლოა, მაშინ მეტად ხანმოკლეა. თუკი ის უსამართლობით იწყება, დასაწყისი მერყევია, თუ ძალადობას ემყარება, ახლოსაა მისი დასასრული. ახლა კაცთმოყვარე ღმერთის განგებულების

უმაღლესი საქმე იხილეთ: ღმერთმა დაუშვა და პირველი მოკვდა არა შემცოდე ადამი, რაც სამართლიანი იქნებოდა, არამედ უმწიკვლო აბელი. სიკვდილის მეუფება უსამართლობით დაიწყო და ამიტომ საწყისიც არამდგრადია. აბელი არა მხოლოდ მოკვდა პირველი, ამასთანავე იგი მოკვდა ძმის ხელით, არაბუნებრივი, მოძალადური სიკვდილით. ასე რომ, უსამართლობით დაწყებულმა სიკვდილის მეუფებამ დამხმარედ ძალადობას მოუხმო და ამით დასასრულს მიუახლოვდა. მაშ ასე, მსოფლიოში სიკვდილი გამეფდა. მეფობა მისი იყო უსამართლო და მოძალადური და ამიტომაც არამყარი და ხანმოკლე. აი, რას ამბობს წმ. ათანასე დიდი თავის 61-ე კითხვა-მიგებაში: «ადამი პირველი რომ მომკვდარიყო, სიკვდილს მყარი საფუძველი ექნებოდა, რამეთუ უპირველესად შემცოდეს წაიყვანდა. მაგრამ რამდენადაც უსამართლოდ მოკვდინებული მიიღო, იმდენად მეუფება მისი სუსტია და მერყევი». თავიდანვე აღმოჩნდა, რომ სიკვდილი, თუმც ის ტირანია, მისი მეუფება ადამიანთა მოდგმაზე ზღვარდადებულია. მის ხელს დაუსხლტა ენუქი, რომელიც ცოცხლად იქნა ატაცებული სამოთხეში, მას გაექცა ცეცხლოვანი ეტლით ზეცაში აჭრილი ელია. ელიამ, თავის მხრივ, სიკვდილის მეუფებისაგან იხსნა სარეფთელი ქვრივის ვაჟი, ხოლო მისმა მოწაფე ელისემ _ ვაჟი სომანიტელისა. მოგვიანებით მოვიდა განკაცებული ძე ღვთისა, ღმერთი ცხოველთა და მკვდართა, შემმუსვრელი სიკვდილისა და მას მთელი მისი არარაობა უჩვენა. მან სიკვდილს მხოლოდ ერთი სიტყვით იაიროსის უკვე მკვდარი ასული წარსტაცა და აღადგინა ვითარცა ძილიდან; წარსტაცა ქვრივის ძე, რომელიც უკვე საფლავისკენ მიჰქონდათ და ხელის ერთი შეხებით გააღვიძა იგი; სიკვდილს გამოსტაცა ლაზარე, რომელიც ოთხისა დღისა მკვდარი ჯოჯოხეთს იყო ტყვეობაში და ერთი შეძახილით აღადგინა მისი გახრწნილი სხეული; წარსტაცა ჯოჯოხეთში იმდენ ხანს მყოფი უამრავი განსვენებული წმინდანი და სიცოცხლე დაუბრუნა მათ. და ბოლოს, უფალმა დასცა ტირანი _ მოკლა სიკვდილი.

მესამე დღეს აღმდგარმა მკვდრეთით, მისი მეუფება დაამხო. ადამის ჩამომავლები, ჩვენ, ყველანი, ჩიტებივით ვიყავით მომწყვდეული იმ საბედისწერო ბადეში, რომელიც სიკვდილს ყველგან ჰქონდა გაშლილი. თვით იესოც იმავე ბადეში ევნო ნებით და მოკვდა. მაგრამ ბადე გაგლიჯა, თავისი დიდებული აღდგომით პირველი ამაღლდა ზეცად და სიკვდილის მეუფებისაგან გვიხსნა. *«საფრთხე შეიმუსრა, და ჩუენ განვერენით; შეწევნაჲ ჩუენი სახელითა უფლისაჲთა»* (ფს. 123, 7-8). ჩვენ ხსნილნი ვართ, აღარა ვართ სიკვდილის ტყვენი, ვუმზერთ მას და მისი მძვინვარე სახისა აღარ გვეშინია. ქრისტეს აღდგომამდე სიკვდილი საშინელი იყო ადამიანისათვის, აღდგომის შემდგომ კი ადამიანი თვითონ გახდა სიკვდილისათვის საშიში. მას აქეთ, რაც მკვდრეთით აღმდგარმა იესომ სიკვდილს სძლია, ქრისტეს მოწაფენი მას თამამად ამცირებენ, წმ. მოწამე ყრმანი და ქალწულნიც კი დასცინიან. აი, ძღვენი აღმდგარი მეუფისა, დიადი შენაძენი დიადი აღდგომისა: აღდგა ქრისტე და დათრგუნულია სიკვდილი, აღდგა ქრისტე და შეწყდა ხრწნილება, აღდგა ქრისტე და გაბრწყინდა უკვდავება, აღდგა ქრისტე და განიღო სამოთხე. *«სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?»* (1 კორ. 15, 55). ვეცემით როგორც მოკვდავნი, მაგრამ აღვდგებით, როგორც უკვდავნი!

საფლავის ბნელ ჯურღმულებში ვტუსაღდებით, მაგრამ სამეუფეო ჯანყის ნეტარი ნათელი იქაც აღწევს და გვაცოცხლებს. ჩვენ სიკვდილს მოველით, მაგრამ წინასწარ ვჭვრეტთ უკვდავ ცხოვრებას, რისი პირობაც მაცხოვრის აღდგომამ დაგვიდო.

II

ქრისტე აღდგა! უზენაესო მძლეველო სიკვდილისა, სასიძოო ჩვენი სულებისა, ღვთაებრივო იესოვ, შენ მოგმართავს ენა ჩემი, შენდამი აღიმსთობს სული ჩემი, შენსკენ მოვაპყრობ ჩემს საყვარელ მსმენელთა სულებს. იქ, სადაც სახარებისეული ჭეშმარიტების თესლი ჩავთესე, უხვად აწვიმე შენი ღვთაებრივი მადლი, რათა ნაყოფი ხსნისა მოვიწიო. შეიწირე ღვთაებრივი სიტყვა, ჩემი სიტყვები, როგორც მსხვერპლი, შენი წმიდა სახელის სადიდებლად და ჩემ და აქ შეკრებილთა ცოდვილი სულების საცხოვნებლად. გონებაში გამოგვეცხადე და შენი ბრწყინვალე აღდგომის შუქით გვალხინე, თუკი ჩვენს გულებს მაინც დახშულს იხილავ, შეიჭერ შიგნით, როგორც შეხვედი დახშულ კარებში შენს მოწაფეებთან, შენი წმიდა სულისა და ღვთაებრივი მშვიდობის მადლი მოგვბერე, კიდევ ერთხელ გვითხარი: *«მიიღეთ სული წმიდაჲ... მშვიდობაჲ თქუენ თანა!»* (ინ. 20, 22 და 19).

სიტყვა თქმული ქალაქ ნავპლიაში, უწმინდესი
მიტროპოლიის საკათედრო ტაძარში, 1714 წელს.

სიტყვა მარხვის პირველ კვირას

რწმენის შესახებ

«მიუგო მას ნათანაელ და ჰრქუა: რაბი შენ
ხარ ძე ღმრთისა, შენ ხარ მეუფე ისრაელისაჲ»

(ინ. 1, 49)

როცა კეთილმსახური ჭვრეტით ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმოცენებას, ზრდასა და დამტკიცებას წარმოვიდგენ, მაშინ კვლავ ვხსნი საიდუმლოებებს, სასწაულებს ვპოულობ, ერთმხრივ ისეთ მრავალრიცხოვანს, რომ ენა ვერ აღწერს, მეორე მხრივ _ იმდენად ამაღლებულს, რომ მათ აზრიც ვერ მისწვდება. ამიტომ გაკვირვებითა და სიხარულით აღვსილი, ვადიდებ ასეთი სარწმუნოების მომცემელ დიად ღმერთს და დავითთან ერთად შევძახებ: *«დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი და გულისხმისა მისისაჲ არა არს რიცხვი»* (ფს. 146, 5). ხოლო მართმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელ ერს ვეალერსები სიტყვებით: *«ნეტარ არს ერისა მის, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი»* (ფს, 143, 15) და დღეს ამ წმინდა ამბიონზე ასვლას ვბედავ, რათა შეძლებისდაგვარად გამცნოთ დიდება და სიდიადე მართლმადიდებლობისა, თუმცა მის შესახებ უმაღლესი სიტყვა ქრისტეს რომელიმე მოციქულისა და მოწაფის ან ჩვენი ეკლესიის ღვთივგანათლებული მასწავლებლის ბაგით უნდა წარმოითქმებოდეს, რათა მართლმადიდებლობის ზეიმი მისთვის ჩვეული უძლეველობით აღინიშნოს.

ღვთისადმი მიძღვნილ ამ დიად დღეს, მართლმადიდებლობის მტერზე _ ერესზე გამარჯვების ნიშნად თავშეყრის დღეს, ჩემი გონება უზაკველი ისრაელელის, ნათანაილის აღიარებაზე ჩერდება, რომელიც ცნობს იმას, ვის შესახებას წერდნენ სჯულში მოსე და წინასწარმეტყველები: *«რაბი შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფე ისრაელისაჲ».* ეს არის პირველი აღიარება მართლადიდებლობისა, მაგრამ რა შეიძლება იყოს მართლმადიდებლობის შესახებ იმაზე ქველი და სასარგებლო სიტყვა, ვიდრე მართლმადიდებელი მასწავლებლების მიერ მართლმადიდებელი მსმენელისადმი ნაუწყები

სიტყვაა? მაშინ სარწმუნოების ღვთივდანერგული ხე ფესვს ღრმად გაიდგამს მართალთა გულებში, სახარებისეული ჭეშმარიტების სუფთა ნაკადით ხშირად მოირწყვება და საუკუნო ცხოვრების სუფთა ნაყოფს შეძლებისდაგვარად მეტს მოიწევს.

ყოვლადწმინდაო სულო, სულო ყოვლად ბრძნობისა და გონიერებისა! დღეს ჩემს გონებას ნათელი მიჰმადლე, მიჰმადლე ჩემს ბაგეს სიტყვის ძალა, რათა ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში გაცხადებული შენი სასწაულების სიდიადე სხვებსაც ვაუწყო! კეთილო მანუგეშებელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომლის შეწევნის გარეშეც ადამიანის ენას არ ძალუძს ღვთივმეტყველება, მიეც ჩემს ენას ძალა, რათა იმის შესახებ იქადაგოს, თუ როგორ დაიწყო, როგორ ვითარდებოდა და როგორ დაემტკიცა მართლმადიდებლობა, ეს უდიდესი სასწაულებრივი და ღვთაებრივი საქმე შენი ყოვლადბრძნობისა და ძლიერებისა; სულიწმინდის შეწევნით, სიტყვას მართლმადიდებლობას შესახებ სამ ნაწილად გადმოვცემ. პირველ ნაწილში დავამტკიცებ, რომ ის თავისი გაჩენის დღიდან ღვთაებრივია; მეორეში _ რომ ის ღვთაებრივია თავის განვითარებაში; და მესამე _ რომ ის ზეიმითაც ღვთაებრივია. აქედან მიხვდებით, რომ მართლმადიდებლობა _ ეს არის საქმე და მოფიქრება მხოლოდ ერთიანი ღმერთისა. ამიტომ ის ერთადერთი ჭეშმარიტი სწავლებაა, რომელიც უნდა გვწამდეს, ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა, რომლითაც შეგვიძლია ვცხონდეთ.

ის, ვინც ბუნების ამ სამეფოს წარმოიდგენს, ანუ საერთო მწყობრს, ცასა და მიწას, ყველაფერ ზეციურსა და მიწიერს და ამდენ სასწაულს აღმოაჩენს, აუცილებლად აღიარებს, რომ ყოველივე ამის ქმნა მხოლოდ ღმერთს შეეძლო სამი მიზეზით: პირველ რიგში მისი სასწაულებრივი საწყისისა _ ყოველივემ ყოფიერება არარსებულიდან, არაფრიდან შეიძინა; ამას წინ არანაირი მატერია არ უძღოდა. მეორე _ მისი უსაზღვრო განვრცობისა _ ცაზე უთვალავი ვარსკვლავი კიაფობს, ზეცაში მრავალნაირი ფრინველი ფრინავს, დედამიწაზე უამრავი სახეობის ცხოველი და მცენარეა, ზღვაში კი ამდენი ურჩხული ბინადრობს; მესამე _ მისი მყარი წონასწორობისა: ეს ყოველივე წესრიგდება და ინახება უწყვეტი მემკვიდრეობითობით, ყველაფერი განუხრელ მოძრაობაშია და წესრიგს ემყარება. ყოველივე ამის ქმნა მხოლოდ ღმერთს შეეძლო. ამიტომაც გაკვირვებით წამოიძახებს წინასწარმეტყველი: *,,ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ»* (ფს. 103, 24) პავლე მოციქულიც ამასვე დაამოწმებს: *«რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების, და სამარადისოჲ იგი ძალი მისი და ღმრთეებაჲ»* (ჰრომ. 1, 20) ბასილი დიდი თავის «ექუსთა დღეთა»-ში ამბობს: «ყოვლადძლიერმან ქმნა უდიადესი, ყოვლადბრძენმან _ საუკეთესო, მოწყალემ _ სასარგებლო» და დასძენს, რომ ბუნების სამეფო ეს «ღვთივშემეცნების სასწავლებელი და გონიერ სულთა აღზრდის ადგილია». ასევე, ვინც წარმოიდგენს მადლის სამეუფოს ანუ მართლმადიდებლების, ქრისტეს ეკლესიისა და ქრისტიანული სარწმუნოების ერთობლიობას, ღვთისმეტყველების ისეთ სიმაღლეს აღმოაჩენს, საიდუმლოთა ისეთ სიღრმეს, ღვთაებრივ გამოცხადებათა იმდენ სინათლეს, სწავლებაში იმდენ ჭეშმარიტებას, იმდენ სიწმინდეს სჯულში, მოციქულთა იმდენ ღვაწლს, მოწამეთა იმდენ თავდადებას, წმინდანთა იმდენ სასწაულს, რომ არ შეეძლება არ აღიაროს: ყოველივე ამის ქმნა მხოლოდ ღმერთს შეეძლო.

ბუნების ამ სამეფოს _ ცისა და მიწის გაჩენამდე რა იყო? ქაოსი, უფსკრული, არაფერი. ამ ქაოსიდან, უფსკრულიდან, უმყოფობიდან ამოყვანა, სასწაულთა ამ დიადი სანახაობის

ჩვენება მხოლოდ უზენაესის ყოვლადძლიერ მარჯვენას შეეძლო *«მარჯუენმან უფლისამან»* (ფს. 117, 15 და 16); მადლის სამეუფოს, ანუ ქრისტეს ეკლესიის შექმნამდე, სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობის გაჩენამდე რაღა იყო? უღირსობის ქაოსი, წარსაწყმედლის უფსკრული, სიმართლისა და სიწმინდის სრული არყოფნა გამოკლებით დედამიწის მხოლოდ მცირე ნაწილის _ იუდეისა, სადაც ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებდნენ. თუმცა ეს ნაწილიც ძლიერ იყო წაბილწული მეზობელი ტომებისაგან; მთელი მსოფლიო კერპებითა და მათი თაყვანისმცემლებით იყო სავსე. ეგვიპტე, ელადა, რომი _ ეს უკეთილშობილესი ქვეყნები ასეთნი იყვნენ. მეფენი და მათი ქვეშევრდომნი, ბრძენნი და უსწავლელნი, კაცები და ქალები, მოხუცები და ბავშვები ქმნილებას ემსახურებოდნენ, ვინ _ მზეს, ვინ _ მთვარეს, ვარსკვლავებს, ცხოველებს, მცენარეებს; თითეული იმას კითხულობდა, რაც სურდა; უმთავრესად კი თავიანთ ვნებას აღმერთებდნენ. მაგრამ რწმენა ხომ ცხოვრების მთავარი წესია! წარმოიდგინეთ, როგორი უნდა ყოფილიყო ამ ადამიანთა ცხოვრება? ვის ეშინოდა მკვლელობისა? ვის რცხვენოდა მრუშობისა და სიძვისა? სისხლისმსმელნი მათივე ღმერთები იყვნენ, ისეთები, როგორც არესი და ჰერაკლე; მეძავნი და მემრუშენი, როგორც ზევსი და აფროდიტე. ვის შეიძლებოდა აღძვროდა კეთილი საქმის კეთების სურვილი, თუკი არ იყო სამოთხის იმედი? ვინ შეეცდებოდა გაქცეოდა ბოროტებას, თუკი არ იყო შიში საუკუნო სასჯელისა? რა ზნეობა შეიძლებოდა ჰქონოდათ ადამიანებს, რომლებმაც არ უწყოდნენ ღმერთი და თუ მაინც იცოდნენ, არ ცნობდნენ? ბოროტება საყოველთაო გახდა და მას დიდი წარსული ჰქონდა, ამიტომ თავად ბუნებად იქცა. დედამიწაზე მყარად იდგა მთიების სამეფო, რომელსაც ადამიანებმა თავიანთი თავი უძღვნეს და სრულიად მიეცნენ *«უფალმან ზეცით მოხედნა ყოველთა ზედა ძეთა კაცთასა ხილვად, იყოს თუ ვინმე გულისხმისმყოფელ, ანუ გამომეძიებელ ღმერთისა; ყოველთავე მიაქციეს ერთბამად თუ უხმარ იქნნეს, არავინ არს რომელმანცა ქმნა სიტკბოებაჲ, არავინ არს მიერთადმდე»* (ფს. 13. 2-3).

ახლა გონებით გაზომეთ ცდომილებისა და წარწყმედის მთელი სიღრმე, რომელშიც მსოფლიო იყო ჩაძირული; გაზომეთ ღვთივშემეცნებისა და სიწმინდის სიმაღლეც, რომელზეც იგი ქრისტეს რწმენით უნდა ასულიყო. ადამიანთა გულებში ღრმად ფესვგამდგარი კერპთაყვანისმცემლობა უნდა დამხობილიყო და უნდა აღზევებულიყო რწმენა ერთი ღმერთისა, რომელიც ზეცაში სუფევს ერთიანი ბუნებითა და სამი იპოსტასით (ეს სამი იპოსტასი _ ერთი ღმერთია), რწმენა ღვთისა, რომელიც მიწაზე მოვიდა ორი ბუნებითა და ერთი იპოსტასით _ ღმერთკაცისა და ჯვარზე მომკვდარი კაცისა. კერპთა ტაძრები, რომლებითაც დედამიწა იყო მოფენილი, უნდა დამხობილიყო, მათ ადგილზე უნდა აღმართულიყო ახალი ეკლესია, რომელშიც, ვითარცა საჩეხეში, წარწყმედილი ცხვარნი შეგროვდებოდნენ, უნდა ქადაგებულიყო ამქვეყნიური სიბრძნის სრულიად საპირისპირო სწავლება და ბოროტებაში ამქვეყნიურ დემონებად ქცეული ადამიანები მას სათნოებით მიწიერ ანგელოზებად უნდა გადაექცია. მოკლედ რომ ითქვას, ცოდვაში დაძველებული მსოფლიო სიწმინდეში უნდა განახლებულიყო, სრულიად გადასხვაფერებულიყო და რწმენა და ცხოვრება შეეცვალა.

და მართლაც, შეიცვალა სამყარო. ვისი მარჯვენის საქმე უნდა ყოფილიყო ეს სასწაულებრივი ცვლილება? რა თქმა უნდა, მხოლოდ ღვთის მარჯვენისა. მხოლოდ უზენაეს ღმერთს, რომელსაც სამოქმედო საშუალებების არანაირი საჭიროება არ ჰქონდა, შეეძლო ეს სასწაულებრივი საქმე არაფრისგან ექმნა. ქმნილებათაგან რომელი გაცხადდა

ეკლესის მოსაწყობად და ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად? ზეციდან არც ანგელოზი ჩამოსულა, არც მთავარანგელოზი, რათა ადამიანები დიად სასწულთა ზებუნებრივი ძალით გაეოცებინა. აქ, დედამიწაზე, არ გამოჩენილა მამაცი მხედართმთავარი, ბრძენი მოყმე, რომელიმე სახელგანთქმული მდიდარი, რომელიც იარაღის ძალით აიძულებდა ან მჭევრმეტყველებით დაარწმუნებდა, ან კიდევ მრავალი საჩუქრით მოიზიდავდა ადამიანებს ახალი სარწმუნოებისაკენ. პირიქით: *«სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა, და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ძლიერთა; და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოირჩინა ღმერთმან და არა არსნი იგი, რაჲთა არსნი იგი განაქარვნეს»* (1კორ. 1, 27-28) _ ამბობს პავლე მოციქული.

ვინ არიან ისინი? იუდეველები, ანუ სირცხვილი და აუგი ყველა ტომისა, საქმიანობით მეთევზენი, ე.ი. ღარიბი და უსწავლელი ადამიანები; მხოლოდ თორმეტნი _ ძალზე ცოტანი. სწორედ ისინი გამოარჩია ღმერთმა და სახარების საქადაგებლად მთელ მსოფლიოში წარგზავნა. *«წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა»* (მრკ. 16, 15). თითქოსდა ვხედავ მათ _ აი ისინი იერუსალიმის სახლიდან გამოდიან, რათა სხვადასხვა ქვეყნისაკენ გასწიონ. ცოტა ხნით შეიცადეთ გალილეველო მამანო, და მითხარით ამას რა საქმეს იწყებთ? _ ჩვენ, ზოგიერთნი, წარგზავნილი ვართ რომში _ მსოფლიო სამეფოს დედაქალაქში, ვინ ათენში, სადაც დედამიწის სიბრძნეა დავანებული, ვინ ინდოელებთან, ვინ სკვითებთან, ველურ, ბარბაროს ტომებთან, ერთი სიტყვით ქვეყნის დასალიერამდე, რათა სხვა რწმენა განვდევნოთ და ადამიანებს ღმერთკაცისადმი რწმენა მივაღებინოთ, რწმენა ღმერთკაცისადმი, რომელიც ერთი დედისაგან _ ქალწულისაგან უმამოდ იშვა; ღარიბი კაცისადმი, რომელიც პილატე პონტოელის დროს ორ ავაზაკს შორის ჯვარზე მოკვდა; სიკვდილის შემდეგ აღდგა, ზეცად ამაღლდა და კაცობრიობის მოდგმის განსაკითხავად კვლავ ჩამოვა ზეციდან. მივდივართ, რათა ჯვარცმულისადმი სიყვარულისა და რწმენისათვის, ამაქვეყნისაგან, მამულისაგან განდგომისათვის მზად იყვნენ, რათა ყველა განძსა და სამეფოს სიღარიბე და დამცირება ამჯობინონ, სიამოვნებას _ მკაცრი ცხოვრება, უყვარდეთ ერთმანეთი, უყვარდეთ მტრები, მათ ლანძღვას ლოცვით უპასუხონ, სიძულვილის წილ სიკეთე მიაგონ. მივდივართ, რათა ეს სწავლება არა მხოლოდ უბრალო ადამიანებს ვუქადაგოთ, არამედ მხედარმთავრებსა და მეფეებს, მოყმეებსა და ბრძენებს; ჩვენ გვსურს, რომ მათ თავიანთი კვერთხი და გვირგვინი დაუტევონ და აღიღონ ჯვარი, სხვებმა თავიანთი გონება და ნება ჯვარცმულისადმი რწმენას დაუმორჩილონ. მივდივართ, რათა სამყარო ახალ რწმენასთან და ახალ ცხოვრებასთან მივიყვანოთ, წარმართული სამყარო ქრისტიანულ სამყაროდ ვაქციოთ, უღირსება _ სიწმინდედ.

კეთილი, თქვენ, რა თქმა უნდა, დიდ და ძნელ საქმეზე მიდიხართ. სად არის თქვენი ჯარი?_ჩვენ მხოლოდ თორმეტნი ვართ _ სადაა თქვენი იარაღი? _ წარმგზავნელმა კვერთხის წაღებაც კი აგვიკრძალა._ესე იგი ადამიანები სიმდიდრით უნდა მოიმხროთ? _ არა, ჩვენ ღარიბები ვართ, და ის მცირედიც მივატოვეთ, რაც გაგვაჩნდა; _ იქნებ სიტყვის ნიჭი გაქვთ, იქნებ მჭევრმეტყველი მოყმენი ხართ და ამით აპირებთ მიაღებინოთ ადამიანებს ეს უცნაური დოგმატები, რომლებიც ყოველგვარ ბუნებრივ შინაარსს ეწინააღმდეგებიან? _ არა! ჩვენ არანაირი ადამიანური ძალის იმედი არ გვაქვს, არამედ მხოლოდ ჩვენი წარმგზავნელის ძალას ვეყრდნობით და გვწამს, რომ ყველაფერს

შევასრულებთ *«ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ»* (ფილ. 4, 13).

ეს რა მესმის ძმანო? ამ ადამიანებმა ყველაფერს მიაღწიეს, რისი მიღწევაც სურდათ. ახლა გთხოვთ, მითხრათ, ვის შეეძლო გაეკეთებინა ესოდენ დიადი საქმე _ შეექმნა ეს მართლმადიდებელი ეკლესია დასაბამიდან არაფრისაგან ასეთივე არარსებულისაგან, როგორც ამბობს პავლე მოციქული, ვის შეეძლო ამის გაკეთება, გარდა ყოვლადძლიერი ღმერთისა! დიახ *«მარჯუენემან უფლისამან ქმნა ძალი»* (ფს. 117, 15 და 16) Aარა ანგელოზურმა, არა ადამიანურმა, რამედ უმყოფობიდან ბუნების აღმომყვანელმა ღვთის მტკიცე მარჯვენამ უმყოფობიდანვე შექმნა მადლის სამეფო. ამიტომ მართლმადიდებლობა დასაბამითვე ღვთაებრივია, ქრისტიანული სარწმუნოება _ ეს ბუნებაზე, სიტყვაზე, და გონებაზე აღმატებული ზეციური სწავლებაა, ის დაუსაბუთებელ და მიუწვდომელ საიდუმლოებებს შეიცავს. პავლე მოციქულის განმარტებით ეს არის *«სარწმუნოებაჲ მოსავთა მათ ძალა, საქმეთა მამხილებელ არახილულთა»* (ებრ. 11, 1) ეს არის რწმენა _ ერთი ღმერთისა, მაგრამ სამგვამოვანისა, სამპიროვანისა; მამისა, ძისა და სულისა წმინდისა; სამი ოპისტასით, მაგრამ არსებით და ბუნებით ერთიანისა; რწმენა ერთიანი უფლისა იესო ქრისტესი, ამასთან ღვთისა და ადამიანისა, სხვადასხვა ბუნებითა და ერთი იპოსტასით *«ვინ არს კაცი გულისხმისმყოფელი? (*იერ. 9, 12). უცქერდე წმინდა ტრაპეზზე პურს და გწამდეს, რომ ეს ჭეშმარიტად იესო ქრისტეს ხორცია, განსულიერებული, მთლიანი, ადგილით განსაზღვრული, მაგრამ აღუწერელი; დანაწევრებული, მაგრამ განუყოფელი; შესაჭმელი, მაგრამ განულეველი, რომელიც ერთდროულად ზეცაშიცაა და დედამიწაზეც, ყველა მართლმადიდებლურ ტაძარშია და ამავდროულად ერთი და იგივე სხეულია. ხედავდე წმინდა ემბაზში ჩვეულებრივ წყალს, რომლითაც სხეული განიბანება და გწამდეს, რომ ეს სულის გამწმენდი სულიერი აბანოა. გრძნობით ხედავდე და გონებით გწამდეს საიდუმლოებები ისე, რომ გონებამ გრძნობასა და საკუთარი თავისადმი რწმენაზეც კი უარი თქვას *,,ვინ არს კაცი გულისხმის მყოფელი?»* – ეს ყოველივე ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი დოგმატებია. მეორე მხრივ, ქრისტიანული რწმენა არის სჯული, მთლიანად სულიერი, სრულიად წმინდა _ სჯული, რომელიც სიღარიბეს, ქალწულებას, მარხვას, კრძალულებას, სიმდაბლეს და ისეთი სრულყოფილ სიყვარულს გვიწესებს, რომელიც მტრებზეც კი გავრცელდებოდა. ეს არის სჯული, რომელიც მოითხოვს, რომ ადამიანი ხორცში იყოს განსულიერებული, ერში _ წმინდა. ეს ქვეყნიური კანონებისა და ხორცის საპირისპირო სჯულია. ეს ყველაფერი არის ის, რასაც ადამიანის ნება არცთუ ხალისით იღებს და მაინც, ეს სწავლება, გონებისათვის ესოდენ მიუწვდომელი, სჯული, ნებისათვის ესოდენ მძიმე, მთელ დედამიწაზე, ყველა მდგომარეობის ადამიანთა შორის განმტკიცდა და გავრცელდა, მაგრამ როგორ? იქნებ რაიმე ადამიანური ძალით? არა, პირიქით _ დემონური ძალით მომართულმა მთელმა ადამიანურმა ძალამ მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია.

ქრისტიანენო, წარმოიდგინეთ, რომ რამდენიმე ცხვარი მინდორზე მგლებთან, ლომებთან, ურჩხულებთან და სხვა მრავალრიცხოვან სისხლისმსმელ მხეცთან იბრძვის. რას იტყვით, რომ დაინახოთ, რომ ამ რამდენიმე ცხვარმა გაიმარჯვა. მათ მგლები, ლომები, ურჩხულები და ყველა დანარჩენი მხეცი განდევნეს, შემდეგ დედამიწას მოეფინენ და ისე გამრავლდნენ, რომ ერთი მრავალრიცხოვანი ფარა შეადგინეს? რა თქმა უნდა, იტყოდით, რომ ეს არაბუნებრივია, რომ ეს განსაკუთრებული სასწაულია. ქრისტეს ეკლესიის

შემთხვევაში სწორედ ეს მოხდა. აი მეც ვხედავ თორმეტ მოციქულს, როგორც თორმეტ ცხვარს, რომლებიც ქრისტემ საქადაგებლად, როგორც ბრძოლის ველზე, მთელ მსოფლიოში წარგზავნა *«აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხვართა შორის მგელთა»* (მთ. 10, 16). იქ მხოლოდ მგლები, ქრისტიანთა მდევნელი იუდეველები არ არიან. იქ არიან ლომები _ სარწმუნოების მდევნელი მწვალებელი მეფენი, არიან ურჩხულები _ განდგომილი და ღვთისმბრძოლი დემონები, ურიცხვი ნადირი. ხილული და უხილავი მტერი შეუკავებელი ძალით და მძვინვარებით თავს დააცხრა ქრისტეს ცხვრებს _ ახალგაზრდა ეკლესიას. რა გასაოცარ სანახაობას ვუმზერ! ამ რამდენიმე ცხვარმა გაიმარჯვა, მათ მგლები, ლომები, ურჩხულები, და ყველა დანარჩენი მხეცი დაფანტეს. ვხედავ როგორ ზეიმობენ მდაბალნი ამპარტავნებზე, უიარაღონი _ ძლიერებზე, გლახაკები _ მეფეებზე, უსწავლელნი _ ბრძენებზე; თორმეტნი უთვალავნი გახდნენ, მთელი დედამიწა აავსეს *«ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი»* (ფს. 18, 5). ვხედავ რომის კაპიტოლიუმის ალაფზე როგორ აღზევდა ქრისტეს ჯვარი; ვხედავ როგორ დაემხო ათენში უცნობი ღმერთისადმი მიძღვნილი სამსხვერპლო და თაყვანისცემას ჯვარცმული როგორ იწირავს, ოქროპირის სიტყვებით: "სულ მცირე დროში მეთევზეებმა და მეზვერეებმა ქალაქების ყველაზე ამაღლებულ ადგილებს მიაღწიეს და კარვების მკეთებელმა მთელი ელადა მოაქცია»; ვხედავ, რომ უკუნეთში მჯდომმა ერმა დიადი ნათელი იხილა; მაღალი მთა და ბორცვი შერიგდნენ, უსწორმასწორო გზები გასწორდნენ; ვხედავ ბარბაროსულ ტომებს _ ნათელღებულებს, ქალაქებს, ოლქებს, სამეფოებს _ მართლმადიდებლურს. უდაბნოები მოღვაწეებით აივსო, მონასტრები _ წმინდა ქალწულებით, ვხედავ ურიცხვ მოწამეს, ქრისტეს სიყვარულისათვის რომ ეწამნენ და ცხვრებივით დაიკლნენ. ვხედავ თუ როგორ გახდა აქამდე უღმერთო და მრავალღმერთიანი, ბიწიერი და უწმინდური სამყარო კეთილმსახური, წმინდა და ქრისტიანული. ყველგან სახარება იქადაგება, ყველგან იმარჯვებს სარწმუნოება *«ესე არს ძლევაჲ, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი»* (1 ინ. 5, 4) ვისგანაა ეს გადასხვაფერება? რა თქმა უნდა უზენაესის მარჯვენისაგან. მან განამრავლა მართლმადიდებლობა *«არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაჲთა, არამედ გამოცხადებითა სულისაჲთა და ძალითა"* (1 კორ. 2, 4)

უზენაესის მარჯვენამ ისე მოაწყო, რომ მოციქულთა ქადაგება სხვადასხვა ხალხებს ესმოდათ, მოციქულთა ხელით ემხობოდა წარმართული ტაძრები, იმუსრებოდნენ კერპები და მათი თაყვანისმცემლები რწმენაში მოდიოდნენ *«ბოლო ჴელითა მოციქულთაჲთა იქმნებოდა სასწაულები და ნიშები მრავალი ერსა შორის»* (საქ. 5, 12). იყო ნიშნები: სნეულთა განკურნება, კეთროვანთა გაწმენდა, მკვდართა აღდგენა, უწმინდურ სულთა განწმენდა; სასწაულები _ ლომები წმინდა ადამიანებს ფეხებს ულოკავდნენ, მოწამეები ცეცხლში უვნებელნი რჩებოდნენ, ქალწულნი მხეცებს ეომებოდნენ და მათ ათვინიერებდნენ, უძრავი ბორცვები ადგილიდან იძვროდნენ, აღელვებული ზღვა ქრისტიანის ლოცვით მშვიდდებოდა, *«ნიშები მრავალი ერსა შორის».*

შემოგვიტიეთ უღმერთონო, ურწმუნონო, ბიწიერნო, შემოგვიტიეთ ჩემი მართლმადიდებლური რწმენის მტრებო! რამდენი სხივიც აქვს მზეს, იმდენი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ ჩემი რწმენა ჭეშმარიტია. მაგრამ წინასწარ მინდა გკითხოთ: ყველა ეს სასწაული, რომლებითაც როგორც ვთქვი, ღმერთმა სარწმუნოება განამტკიცა, ან ნამდვილად იყო, ან საერთოდაც არ ყოფილა. თუკი იყო, ეს იმას ნიშნავს,

რომ ეს ღვთის ჭეშმარიტი რწმენაა, რომლისთვისაც ღმერთმა ამდენი სასწაული აღასრულა; თუ საერთოდ არ ყოფილა, მაშინ რწმენა, გონებისათვის ესოდენ რთული, ნებისათვის ასეთი მძიმე სჯული, სასწაულების გარეშე მთელ დედამიწაზე როგორ გავრცელდა? ეს კიდევ უფრო დიდი სასწაულია, ის სასწაულია სასწაულთა შორის! ანუ ღვთის საქმეა *«მარჯუენამან უფლისამან ქმნა ძალი»* .

დასაბამიდანვე ღვთაებრივი მართლმადიდებლური რწმენა განვითარებაშიც ღვთაებრივია; განა ის თავის დამტკიცებაშიც ღვთაებრივი არ არის? სული წმიდამ წმიდა ეკლესიის საიდუმლო მოწყობა ნათლად გამოსახა სოლომონის პირით: *«სიბრძნემან იშენა თავისა თჳსისა სახლი, და ქუეშე შეუდგნა მას შჳდნი სუეტნი»* (იგავ. 9, 1). ეს რა სიბრძნეა _ ანგელოზთა თუ ადამიანთა? არა, ამბობს პავლე, *,,რომელი, იგი არავინ მთავართაგანმან ამის სოფლისამან იცნა»* (1. კორ. 2, 8) რამეთუ ეკლესიის ჭეშმარიტად ზებუნებრივი და ზეადამიანური მოწყობა არ შეიძლება ქმნილების მოფიქრება ყოფილიყო. ეს არის ღვთის უმაღლესი ყოვლადბრძნობა, რომელიც ყველაფერს გარკვეული გეგმით, ზომით და რიცხვით ქმნის. ზეცაში, დიდების ტაძარზე მჯდომმა, ანგელოზთაგან თაყვანისცემის მიმღებმა, აქ, დედამიწაზე *"იშენა თავისა თჳსისა სახლი",* რათა თაყვანისცემა ადამიანებისაგანაც მიეღო, სახლი ლოცვისა, სახლი კურთხევისა, სახლი ცხონებისა, ანუ _ ეკლესია. ამ სახლს საფუძვლად ის აღმსარებლობა დაუდო, რომელიც დღეს ნათანაილისაგან ვისმინეთ *,,რაბი, შენ ხარ ძე ღვთისაჲ»* და რომელიც საზეიმოდ განაცხადა პეტრემ: *«შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა»* (მთ. 16, 16). აქედან ვიგებთ, რომ ძე ღვთისა ცხოველისა არის ეკლესიის წინაგანმსაზღვრავი საფუძველი, ქვაკუთხედი, უძრავი და შეუმუსრავი ლოდი სარწმუნოებისა. ეს ასე იწინასწარმეტყველა ესაიამ: *«აჰა, ესერა დავსდებ... ლოდსა... რჩეულსა თავსაკიდურსა პატიოსანსა... და რომელსა ჰრწმენეს იგი, არასადა ჰრცხუანეს»* (ეს. 28, 16) დავით მეფსალმუნე კი ამბობს: *«ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა»* (ფს. 117, 22) ამასვე გვასწავლის პავლე მოციქული: *«რამეთუ საფუძველი სხუაჲ ვერვის ჴელეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელი-იგი დადებულ არს, რომელ არს იესო ქრისტე»* (1 კორ. 3, 11). ამას ასე ხსნიან თეოდოსიტე ქება ქებათას შესახებ მე-3 სიტყვაში, ბასილი დიდი _ სიტყვაში სინანულის შესახებ; ოქროპირი _ მათეს სახარების მე-16 თავის განმარტებაში, ასევე სხვა მრავალი მასწავლებელი ამ იდუმალი სახლის დამტკიცებას ქარაგმულად აცხადებს. ქრისტეც მათეს სახარების მე-7 თავში იმის შესახებ საუბრობს, რომ გონიერმა კაცმა თავისი სახლი კლდეზე ააშენა; წვიმა წამოვიდა, მდინარეები ადიდდა, ამოვარდა ქარი და ეკვეთნენ იმ სახლს, მაგრამ ვერ წალეკეს, რადგან კლდეზე იყო დაფუძნებული. კლდეზე დამყარებული მყარი და დაუძვრელი სახლი _ ეს გონიერი, ბრძენი და ღვთაებრივი მშენებლის მიერ აგებული ქრისტეს ეკლესიაა. მის დასანგრევად ეშმაკმა სამი ძლიერი საშუალება გამოიყენა _ წვიმა, რათა ჩაეძირა, მდინარეები, რათა მისი ფუძე წაელეკა და ქარები, რათა ის დაენგრია. ეს იყო ეკლესიის წინააღმდეგ მის მიერ აღძრული სამი საშინელი მტერი: იუდეველები, მდევნელები და ერეტიკოსები. ჯერ წვიმა წამოვიდა _ იუდეველთა შური გაცხადდა. მათ ამ სახლის აღმშენებელი გათელეს. განსაჯეთ, როგორი სიძულვილით სუნთქავდნენ ისინი მისი თანამოღვაწეების, მისი მოწაფეების მიმართ? ღიად ნაქადაგები ქრისტეს სახელი გულებს უგმირავდათ. სინაგოგის ნანგრევებზე ყოველდღიურად მზარდი დიდება ეკლესისა მათ სულს უწამლავდა, შეუძლებელია იმის აღწერა, თუ რამდენი მზაკვრობა, რამდენი ცილისწამება, რამდენი დევნა და ომი წამოიწყეს მოციქულებისა და ახალი

ქრისტიანობის წინააღმდეგ. ისევე, როგორც ორმოცი დღის მანძილზე იწვიმა და მთელი დედამიწა წყალმა დაფარა, ასევე ორმოცი წლის მანძილზე გრძელდებოდა იუდეური შურის წარღვნა, რათა ეკლესია წაეღო. მერე და რა? არ ჩაიძირა კიდობანი. რაც უფრო ძლიერდებოდა წვიმა, კიდობანი სულ უფრო მაღლა ადიოდა და უსაფრთხოდ ცურავდა. სწორედ ასევე, იუდეველთა შურისაგან ეკლესიასაც არანაირი ზარალი არ განუცდია. რაც მეტად ძლიერდებოდა მათი შური, მით მეტად მტკიცდებოდა ქრისტიანთა რწმენა. ბოლოს და ბოლოს იუდეველები რომის ჯარებმა გაანადგურეს და წვიმაც შეწყდა.

მაგრამ მოვიდნენ მდინარეები, მეფეთა მდინარეები, რომლებშიც წყლის ნაცვლად დაკლულ ქრისტიანთა სისხლი მოედინებოდა. ესენი ძველი და ახალი რომის ტირანები, ქრისტიანული რწმენის მდევნელები იყვნენ, რომლებიც მას საშინელი სისასტიკით ეკვეთნენ, რათა ეკლესია ფუძიდან დაეძრათ. იცით კი რამდენი იყვნენ ისინი? _ თვრამეტნი. აი მათ სახელები: ნერონი, დომიციანე, ტრაიანე, ანტონიუსი, მარკუს ავრელიუსი, ლიცინიუსი, ავრელიანე, დიოკლეტიანე, მაქსიმიანე, კონსტანციუსი, იულიანე-განდგომილი, ვალენტუსი, ლევესავრი, კონსტანტინე კოპრონიმი და თეოფილე-ხატმბრძოლი. იცით კი რამდენი წელი გრძელდებოდა დევნა? რვაას წელზე მეტ ხანს. იცით კი რამდენი მოწამე იყო ამდენი წლის მანძილზე? ცაში ვარსკვლავები დათვალეთ, ზღვაში _ ქვიშა. ღმერთს ქრისტესთვის წამებული ყველა ქრისტიანის სისხლი ერთ ადგილზე რომ მოეგროვებინა, წმინდა სისხლის კიდევ ერთი ზღვა წარმოიქმნებოდა. კეთილი, მდინარეები მოვიდნენ; მერედა რა გააკეთეს? ჩაიარეს, თვალს მოეფარნენ ტირანები, მეფენი და სამეფოები დაემხნენ, მათი ხსოვნა ხმაურმა შთანთქა. ქრისტიანები კი გამრავლდნენ, დევნილები გაძლიერდნენ, განმტკიცდნენ, სათნოებებში კიდევ უფრო გაბრწყინდნენ. ბოლოს დაუბერეს ქარებმა, ქვეყნიერების ყოველი მხრიდან აღდგნენ ერეტიკოსები, ჭეშმარიტად ძლიერი ქარები, მართლმადიდებლობისა და ურთიერთ საპირისპირონი, აღდგნენ განყოფითა და მღელვარებით. რიცხობრივად უთვალავი არიან, შეუძლებელია მათი ჩამოთვლა. მინდა მათ შორის ცნობილებზე მიგითითოთ: გნოსტიკოსები, ოფიტები, მონტანისტები, საბელიანელები, ქილიასტები, პავლინიანელები, მანიქეველები, დინატისტები, არიანელები, ევნომიანელები, ანთროპომორფისტები, მაკედონიანელები, პელაგიანელები, ნესტორიანელები, სევერიანელები, დიოსკორიტები, მონოთელისტები, ხატმბრძოლები, ლუთერიანები და კალვინისტები. ერთნი ზოგადად ღმერთს გმობდნენ, მეორენი მამას ან ძეს, ან სულიწმიდას; ესენი _ განხორციელების სახლთმშენებლობას, ისინი საიდუმლოებებს! ყველანი შეთანხმებულად მოქმედებენ, ისწრაფიან, ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ იბრძვიან. რამდენი იყო კრება და ბჭობა, რამდენი მსჯელობა და ბრძოლა, ცდუნება, განყოფა, შფოთი, მღელვარება, დევნილობა, სიკვდილი _ ვის შეუძლია ეს გადმოსცეს? მაგრამ ბოლოს ქარებიც ჩადგა, ერესი და ერეტიკოსები განადგურდნენ. დაცხრა მღელვარება და დადგა მშვიდობა. ქრისტეს ეკლესიაში სუფთა და შეუბღალავი მართლმადიდებლობა ბრწყინავს. მოვიდა წვიმა, მოვიდნენ მდინარეები, დაუბერეს ქა-რებმა, მაგრამ სახლი ქრისტესი _ ეკლესია არ დაცემულა, დგას მტკიცედ და შეუპოვრად *«რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა»* (მთ. 7, 25), მტკიცე ქვაკუთხედზე, ქრისტეზე, ძეზე ღვთისა ცხოველისა, ამიტომ *«ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას»* (მთ. 16, 18). განა ეს არ არის ღვთაებრივი დამტკიცება? განა უზენაესის მარჯვენა არ არის მისი დამამტკიცებელი? *«მარჯუენამან უფლისამან ქმნა ძალი».*

ჰოი, ქრისტიანულო რწმენავ, გაჩენით, განვრცობითა და დამტკიცებით ღვთაებრივო, მთლად ღვთაებრივო! შენ ღვთისაგან გაჩნდი, ღვთისაგან განივრცე და დაემტკიცე! შენ ჭეშმარიტი სწავლება ხარ. ვისაც შენ უპყრიხარ, მას სწორად სწამს ეკლესია. შენ უტყუარი გზა ხარ. ვინც შენ მოგყვება, სამოთხეს უეჭველად აღწევს. მართლმადიდებელო ქრისტიანო, ღმერთს ათასგზის უნდა ემადლიერო იმისათვის, რომ ასეთ რწმენაში გშვა. ერთი ძველი ფილოსოფოსი ღმერთს სამი რამის გამო ემადლიერებოდა: პირველი _ იმისათვის, რომ მამაკაცად იშვა და არა ქალად; მეორე _ იმისათვის, რომ ელინი იყო და არა ბარბაროსი; და მესმე _ იმისათვის, რომ ბრძენი იყო და არა უმეცარი. შენ კი ღმერთს სხვა სამი რამის გამო უნდა ემადლიერო: პირველი _ იმისათვის, რომ ქრისტიანად დაიბადე და არა ურწმუნოდ, მეორე _ რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ხარ და არა ერეტიკოსი; და მესამე... ცოტა ხანს შეიცადე, ამის შესახებ მეორე ნაწილში გეტყვი.

II

რწმენა _ ეს ცხოვრების წესია. ჩვენ რწმენით უნდა ვიცხოვროთ; თუ ცხოვრება რწმენას არ ეთანხმება, ასეთი რწმენა მკვდარია და სრულიად გამოუსადეგარი. *რაჲ სარგებელ არს ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს და საქმენი არა ჰქონდეს? ნუ ძალუც-მეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა?»* (იაკ. 2, 14); *,,რამეთუ ვითარცა ჴორცნი თჳნიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს!»* (იაკ. 2, 26) ქრისტეს სიტყვების *«არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჳსასა»* (მთ. 7, 21) განმარტებისას ოქროპირი ამბობს: «აქ ღმერთს უნდა იმაზე მიგვითითოს, რომ რწმენა საქმის გარეშე სრულიად უძლურია». ე.ი. რწმენა საქმის გარეშე მხოლოდ გვამია რწმენისა და არაფრის ქმნა არ ძალუძს, და ადამიანი, მორწმუნე, რომელიც ქრისტიანულად არ ცხოვრობს, საუკუნო ცხოვრებით ნუ დაიმედდება. ამისათვის ჭეშმარიტი რწმენა და კეთილი ცხოვრებაა საჭირო. ადამიანს ამ ორით შეუძლია ცხონდეს; ამ ორი ფრთის დახმარებით შეძლებს აფრინდეს სამოთხეში. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანთა რწმენა; ახლა ვნახოთ როგორია მათი ცხოვრება. ქრისტიანული რწმენა თავის საწყისში, გავრცობასა და დამტკიცებაში სრულიად ღვთაებრივია, როგორც სწავლება მთლად ჭეშმარიტებაა, როგორც სჯული _ მთლად სიწმინდეა. მაგრამ თანამედროვე ქრისტიანთა ცხოვრება როგორია? ამის აღსაწერად სიტყვები არ მეყოფა, აქ ცრემლებია საჭირო, რათა ის დავიტირო. ჩვენ ვიცით, რას აღნიშნავდა ის კერპი, რომელიც ნაბუქოდონოსორმა სიზმრად ნახა. ჩვენ ამის შესახებ მითითება და განმარტება გვაქვს წმინდა წერილში: *«შენ, მეფე, ჰხედევდ, და, აჰა, ხატი... რომლისა თავი ოქროჲსა წმიდისა, ჴელნი და მკერდი და მკლავნი მისნი ვერცხლნი, მუცელი და თეძონი რვალისა»* (დან. 2, 31-32), მერწმუნეთ, ქრისტიანთა ცხოვრებისა და ქცევის ჭეშმარიტი სახე სწორედ რომ ეს არის.

კერპის თავი სუფთა ოქროთი იყო ნაკეთები, პირველი საუკუნეების ქრისტიანებიც თავიანთ სათნოებებით და სიწმინდით ოქროს ჰგავდნენ. ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები, იპოდიაკვნები, მონაზვნები და საერთოდ ყველა კლირიკოსი თავისი კეთილი ცხოვრებითა და მაგალითით, სწავლებითა და ზნით, სხეულითა და სულით იყვნენ ვითარცა სუფთა ოქრო. ისინი, ყველანი ბრწყინავდნენ, როგორც შუქი ჭეშმარიტებისა: *«თქუენ ხართ ნათელი სოფლისაჲ»* (მთ. 5, 14). ამის შესაბამისად ერისკაცნიც სუფთა ოქრონი იყვნენ; მამანი _ სიკეთით, დედანი _ კრძალულებით, მხცოვანნი _ კეთილი განსჯით, ჭაბუკნი _ უბიწოებით, ბავშვები _ უბრალოებით. ქრისტიანენი, თავიანთი

გონებით ოქროსნი, ზეციურისა და სულიერის გარდა სხვა არაფერზე ფიქრობენ. ისინი დროს არა მოყვასის ფუჭ განკითხვაში, არამედ ღვთისადმი გალობაში ატარებდნენ. თავიანთი ოქროხელებით არ ძარცვავდნენ, არამედ საკუთარს გასცემდნენ, ოქროგულიანებს მხოლოდ ღმერთი და მოყვასი უყვარდათ. ღვთის სიყვარულით მუდამ მზად იყვნენ, სისხლი მოწამებრივად დაეღვარათ; მოყვასის სიყვარულში ყველას თითქოსდა ერთი გული და სული ჰქონდა. სუფთა ოქროთი ნაკეთები თავი _ ეს სათნო, წმინდა და ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან. შემდეგ მოდის ვერცხლის მკერდი _ ღირებულებამ იკლო. ვერცხლიც ძვირფასია მაგრამ არა ისეთი, როგორც სუფთა ოქრო. დროთა მსვლელობაში ის სარწმუნოებრივი აღმაფრენა ჩაქრა, შემცირდა სათნოება. ქრისტიანთა ცხოვრება კარგი იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორც პირველ ხანებში. ამას მოჰყვება რვალის მუცელი. ქრისტიანთა ცხოვრება გაუარესდა, გავრცელდა სასტიკი და მკაცრი ზნე, მაგრამ თუმცა ბრინჯაო ოქროსა და ვერცხლს არ მიედრება, მაგრამ მაინც რაღაცად ღირს. ქრისტიანებიც ასევე, თუმცა პირველი და მეორე პერიოდის ქრისტიანებს არ ჰგავდნენ, მაინც სრულიად უხმარნი არ იყვნენ, ისინი არ იყვნენ სრულყოფილნი, მაგრამ არც არარაობანი იყვნენ: მრავალ წინასწარმეტყველს შორის შესაძლებელი იყო თუნდაც ერთი სათნოების პოვნა. ჩვენ კერპის ქვედა ნაწილამდე, ფეხებამდე ჩავაღწიეთ, *«რომლითამე უკუე რკინისანი, და კერძოდთა კეცისანი»* (დან. 2, 33). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ იმ სავალალო მდგომარეობამდე მივდივართ, რომელზე დაბალსა და უარესს ვერაფერს ვიპოვით. ჩვენ ნაწილობრივ რკინას ვგავართ, ნაწილობრივ თიხას. როგორც რკინა, სათნოებათა ბრწყინვალების გარეშე ვართ, უმეცრებაში დავიჟანგეთ და ცოდვაში განვმტკიცდით. ჩვენი ზნე თიხას ჰგავს, საქმენი ბინძური, ბილწი გვაქვს. ჩვენმა ბოროტებამ უკიდურესობას მიაღწია. ჩვენი რწმენა ქრისტიანულია, ცხოვრება _ წარმართული. მე ამას თვალნათლივ წარმოგიდგენთ.

შუადღე იდგა, როცა დიოგენემ თავისი ფანარი აანთო და თითქოს რაღაცას ეძებსო, ათენის მოედანზე სიარული დაიწყო. ვინც ხედავდა, სიცილით ეკითხებოდა, რას ეძებდა იგი. _ ადმიანს, _ პასუხობდა დიოგენე. რა მოდგმის კაცს ეძებ დიოგენე? _ ადამიანები ორი მოდგმისანი არიან: არიან ისეთები, რომლებსაც მხოლოდ შესახედაობა აქვთ ადამიანისა, ესენი მხოლოდ გარეგნულად არიან ადამიანები (ასეთები არიან: გვამები, გამოსახულებები და კერპები) შინაგანად კი სრულიად გამოუსადეგარნი და თავიანთი ვნებებითა და უმაქნისობით უგონო პირუტყვს უფრო ჰგვანან. ასეთს ბევრს ხედავდა დიოგენე, მაგრამ მას ასეთი არ სჭირდებოდა. არიან ისეთებიც, რომლებსაც ადამიანურ შესახედაობასთან ერთად აქვთ ადამიანის გონება. სათნოებებში, შინაგან წადილსა და გარეგნულ ქმედებაში ყველანი გონიერი, სათნო, ჭეშმარიტი ადმიანები არიან. იმ ხალხმრავალ ქალაქ ათენში ასეთ კაცს ეძებდა დიოგენე და ვერ პოულობდა. ვეძებ ადამიანს, ვეძებ ადამიანს!

შედარება მიმძიმს, მაგრამ სიმართლის თქმა საჭიროა. იმ დროს, როცა მართლმადიდებლობა შუადღის მზესავით ანათებს, სახარებისეული ქადაგების ჩირაღდანს ვანთებ, ქრისტიანებით სავსე ეკლესიაში მივდივარ დავეძებ ქრისტიანს, ქრისტიანს ვეძებ! ეს როგორ? განა ქრისტიანები არ არიან ისინი, ვისაც აქ, იქ, ქალაქებში, ციხე-სიმაგრეებში, ოლქებში, სამეფოებში, სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილში ვხედავ? ორი მოდგმის ქრისტიანები არსებობენ. ერთნი ამ სახელს მხოლოდ ატარებენ, გარეგნულად არიან ქრისტიანები და როგორც ამბობს პავლე მოციქული, მხოლოდ სახე აქვთ ჭეშმარიტებისა, შიგნით კი _ ცრუ საქმეები. მათ ქრისტიანული მხოლოდ რწმენა აქვთ, მაგრამ არა _

ცხოვრება. მათი ცხოვრება რწმენის საპირისპიროა. *«აქუნდეს ხატი ღმრთისა მსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარყოფდენ»* (2 ტიმ. 3, 5), ასეთებიდან არავინ მჭირდება. მაგრამ არიან ქრისტიანები, რომლებსაც სახელის გარდა საქმეებიც აქვთ, სათნო ცხოვრებას რწმენასთან აერთებენ და ყოველმხრივ მართლმადიდებლები, ჭეშმარიტად ქრისტიანები არიან. მე ადგილიდან ადგილზე გადავდივარ, რათა ის ვიპოვო. ვეძებ მოედნებზე, ხელისუფალთა შორის, მაგრამ მხოლოდ პატივმოყვარე თვითდაჯერებულობას ვხედავ. არსადაა ქრისტიანი! მას ვეძებ ბაზარში მოვაჭრეებს შორის, მაგრამ მხოლოდ გაუმაძღარ სიხარბეს ვხედავ, არსადაა ქრისტიანი! ვეძებ მას ქუჩაში ახალგაზრდებს შორის და უკიდურეს გარყვნილებას ვხედავ, არსადაა ქრისტიანი! გავდივარ ქალაქიდან და სოფლებში ვეძებ, მაგრამ აქ მთელი ქვეყნიერების სიცრუეს ვპოულობ. არსადაა ქრისტიანი! ზღვას გადავცურავ და მას მეზღვაურებს შორის ვეძებ, მაგრამ აქ მხოლოდ საშინელ გინებას ვისმენ, არსადაა ქრისტიანი! ჯარს მოვივლი და ვეძებ მას ჯარისკაცებს შორის, მაგრამ უკიდურეს აღვირახსნილობას ვხვდები, არსადაა ქრისტიანი! სახლებში შევდივარ და ქრისტიანს ქალებს შორის ვეძებ და რას ვხედავ? გათხოვილები ქმრებს შორდებიან და მემრუშეებთან მხიარულობენ, გასათხოვარნი ცოდვაში ცხოვრობენ... პატიოსან ქალებსაც ვხედავ, რომლებსაც ჩასაცმელისა და ამაოების გარდა არაფერი აფიქრებთ. ერთი ქრისტიანი ქალიც არსადაა! მინდოდა წარჩინებულთა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა სასახლეებშიც შევსულიყავი, რათა მენახა, იქ ხომ არ არის ქრისტიანი, მაგრამ ვერ ვხედავ, მეშინია. იქ პირმოთნეობა დარაჯად დგას და ჭეშმარიტებას შეღწევას არ ანებებს. ჰოი რწმენის დიდო შებილწვავ! ჰოი ქრისტიანთა უდიდესო განკითხვავ!

განა არ გითხარით, რომ ჩვენ ცუდ მდგომარეობამდე მივედით, რომ კერპის ფეხებამდე ჩავაღწიეთ, რომლებიც ნაწილობრივ რკინისაა, ნაწილობრივ თიხის? განა არ გითხარით, რომ ამდენ ქრისტიანს შორის ვეძებ და ვერცერთს ვპოულობ *«ყოველთავე მიაქციეს ერთბამად თუ უხმარ იქმნნეს, ... არავინ არს მიერთადმდე»* (ფს. 13, 3).

კლირიკოსები და ერისკაცნი, თავადები და ღარიბები, კაცები, ქალები და ბავშვები, ჭაბუკები და მოხუცები, ყველა განიდრიკა რწმენისაგან, უხმარი ცხოვრება დაიწყეს, ერთიც არ არის ისეთი, რწმენით რომ ცხოვრობდეს. ქრისტიანენო, რომლებიც უცრემლოდ მისმენთ! თუკი შემუსვრილებისაგან ტირილი არ გსურთ, სირცხვილით მაინც ატირდით!

მე კი საშინელება მიპყრობს, გულისტკივილი ჩემს ბაგეს სიტყვის დასრულებას არ აცდის. ამით დავდუმდები. ქრისტიანო, თუკი შენი ცხოვრება არ იქნება ისეთივე კეთილი და წმინდა, როგორც შენი რწმენაა, ცხონებას ნუ მოელი. უნდა იცხოვრო რწმენით და ღმერთს სამი გარემოებისათვის ემადლიერო: პირველი, რომ ქრისტიანი ხარ და არა ურწმუნო; მეორე, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ხარ და არა ერეტიკოსი; მესამე, რომ მართლმადიდებელი ხარ არა მხოლოდ რწმენით, არამედ ცხოვრებითაც. მხოლოდ მაშინ გქონდეს იმედი, რომ ცხონდები და ცათა სასუფეველს მიაღწევ.

სიტყვა მარხვის მეორე კვირას

ცოდვის შესახებ

«შვილო, მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი,
აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი

და წარვედ სახიდ შენდა»

(მრკ. 2, 5-11)

განრღვეული და ცოდვილია კაცი, რომლის შესახებაც დღევანდელი სახარება მოგვითხრობს. ეს უბედური ორმაგად იტანჯება _ სხეულის განრღვეულობითა და სულიერი ცოდვით. პირველით ის სიკვდილს მიუახლოვდა, მეორეთი _ სატანჯველს. მისი ცხოვრებაცა და ცხონებაც უკიდურეს განსაცდელშია.

ხმა გავარდა, რომ უფალი იესო ქრისტე კაპერნაუმის ერთ-ერთ სახლში დიდძალ ხალხს ჭეშმარიტების სიტყვას ასწავლიდა. და აი, ეს უბედური ოთხმა ადამიანმა იქ მიიყვანა და მან ზეციური მკურნალისაგან ორმაგი სნეულების ორმაგი კურნება მიიღო: სულისა _ ცოდვათა მიტევება, «შვილო მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი», და სხეულისა _ განკურნება განრღვეულობისაგან: «აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახით შენდა». მსმენელნო დღევანდელ სახარებისეულ ამბავში თქვენს ყურადღებას ორ რამეზე მივაპყრობ: ავადმყოფის ტანჯვასა და მკურნალის ძალაზე. განრღვეული _ რა საშინელ სანახაობას წარმოადგენს ასეთი ადამიანი! ეს გარდაცვლილისა და დაუმარხავი მკვდრის, ნეშტის ცოცხალი სახეა, რომელიც შიგნიდან ცოცხალია, რამეთუ ჯერ ისევ სუნთქავს, გარედან კი მკვდარია, რადგან არ მოძრაობს! სავალალო შეხამებაა სიცოცხლისა და სიკვდილისა! მას ექიმისა და წამლის არანაირი იმედი არა აქვს. უკურნებელი სენისაგან კურნებას მხოლოდ სიცოცხლის აღსასრულისაგან მოელის. განა ეს არ არის ყველაზე მძიმე ტანჯვა? და მაინც, ჩვენი მაცხოვრის ერთი სიტყვით: «აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახით შენდა» განრღვეული ძალას იკრებს, მის შემხედვარეთა გასაკვირად მწოლიარე აღდგება *«და მეყსეულად აღდგა იგი და აღიღო ცხედარი თვისი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკვირდებოდაცა ყოველთა და ადიდებდეს ღმერთსა»* (მრკ. 2,12) განა ეს არ არის ყველა კურნებათაგან ყველაზე იოლი კურნება? ეს სასწაული სხეულზე ხილულად, სულზე კი უხილავად აღესრულება. წარმოიდგინეთ ერთის მხრივ, უბედური, სათნოებების მიმართ უძრავი, მადლის მიმართ უგრძნობი სული, რომელიც ძველი ჩვეული ცოდვისაგან განრღვეულა და საუკუნო სიკვდილი ემუქრება; მეორე მხრივ წარმოიდგინეთ ძალა, რომელიც აქვს სულიერი მოძღვრის პირით წარმოთქმულ ამ სიტყვებს: «შვილო მოგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი» _ და აღდგება მათთან ერთად სული, განიწმინდება და საუკუნოდ ცხონდება. ახლა აქეთ მოიხედეთ და მაცხოვნებელი კურნების დიად სიმსუბუქეს შეხედეთ. საუკუნო სატანჯველი _ ეს უდიდესი ტანჯვა ადამიანის სულისა, ყოველწუთს ემუქრება ცოდვილს. ამ ხიფათისაგან თავის დაღწევა კი მას მხოლოდ ედრთი სიტყვით შეუძლია. აი, ყველაზე იოლი კურნება, კურნება ღვთის მადლით; ავადმყოფობის _ ცოდვის სიმძიმე და კურნების _ მიტევების სიმსუბუქე; ეს ის ორი საკითხია, რომელიც დღევანდელ ქადაგებას შეადგენს. ყურადღებით მისმინეთ, რათა აქედან სარგებელი მიიღოთ.

I

არ ვიცი, შევძლებ თუ არა განგიმარტოთ, თუ რა არის ცოდვა. არაფერს ჩავდივართ ისე იოლად და არაფერს გავიაზრებთ ისე ძნელად, როგორც ცოდვას, ამიტომაც ვცოდავთ ასე იოლად და ასე ძნელად ვინანიებთ. იქიდან, რასაც ეკლესიის მამები ცოდვის შესახებ ამბობენ, შეგვიძლია მხოლოდ დავასკვნათ, რომ ეს უსაზღვრო ბოროტებაა, თითქმის გმობაა ღვთისა, მაგრამ ეს სიტყვები ან მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის, ან მის

სულზე არ ზემოქმედებენ. რა გითხრათ, როგორ გაგაგებინოთ, თუ რა უსაზღვრო ბოროტებაა ცოდვა?

მოდით ასე დავიწყებ: წარმოიდგინეთ, რომ უსაზღვრო ზღვის წყალი ისევე ტკბილია, როგორც მდინარეებისა და წყაროებისა. მაგრამ იქ ერთი მწარე წვეთი მოხვდა და ზღვის, მდინარეებისა და წყაროების მთელი წყალი გაამწარა. როგორი მწარე უნდა იყოს ეს წვეთი?! შეუდარებლად ბევრად მწარეა ცოდვა, რომელიც ღვთის მოწყალების ულევ ზღვას ერთ წამში ამწარებს. ცოდვა _ ეს უსაზღვრო სიმწარეა. შემდეგ: იესო ქრისტეს დედამიწაზე ცხოვრების დროს მის მიერ აღსრულებული ყველა ხილული სასწაულიდან მხოლოდ ერთი იყო ნათელი დადასტურება იმ ღვთაებრივი ძალისა, რომელიც მას ჰქონდა, როგორც ძე ღვთისას. მან დალილეის კანაში წყალი ღვინოდ აქცია; ხუთი პური აკურთხა და უდაბნოში ხუთი ათასი კაცი დააპურა; ზღვაზე სულივით დადიოდა; თაბორზე ფერი იცვალა და მზესავით გაბრწყინდა; ასისთავის მონა, პეტრეს სიდედრი, ცხოვართ საბანელში კი განრღვეული განკურნა; სისხლმდინარე, კუტი, წყლულიანი და ხელგამხმარი მოარჩინა; უამრავი კეთროვანი განწმინდა, ბრმებს თვალი აუხილა, ეშმაკეულნი გაათავისუფლა; იაიროსის ასული, ქვრივის ძე და ლაზარე მკვდრეთით აღადგინა. ამ სასწაულების აღსრულების შემდეგ მან წინასწარმეტყველის, სასწაულთმოქმედისა და წმინდანის, მაგრამ მხოლოდ ადამიანის, დიდება მოიპოვა. როგორც სახარება მოგვითხრობს, ისინი, ვინც მის სასწაულებს ხედავდნენ, *«ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ»* (მრკ. 2, 12). მსგავს სასწაულებს ძველად წინასწარვეტყველნიც აღასრულებდნენ, შემდგომში _ მოციქულები, ანუ ადამიანები. თუ იცით, როდის გააცხადა იესო ქრისტემ თავისი ღვთაებრივი ძალა? როდის მოქმედებდა იგი, როგორც ძე ღვთისა? _ როდესაც მან დღევანდელ განრღვეულს მეუფებრივად უთხრა: «შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი». იქვე მსხდომი მწიგნობრები მას უბრალო ადამიანად მიიჩნევდნენ, და როდესაც გაიგეს, რომ ლაპარაკობს როგორც ღმერთი, დაასკვნეს რომ ღმერთს გმობს: *«ვითარმედ» ესე გმობასა იტყჳს; ვის ხელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა»* (მრკ. 2, 7). თავიანთ ცდომილებაში მათ მაინც დასცდათ ჭეშმარიტება, რამეთუ ცოდვათა მიტევება მართლაცდა არავის ძალუძს ღვთის გარდა. *«მე ვარ, მე ვარ იგივე აღმჴოცელი უშჯულოებათა»* (ეს. 43, 25), ამბობს ესაიას პირით უფალი. ადამიანის გონებას არ შეუძლია წარმოიდგინოს იმაზე შხამიანი და საზარელი მხეცი, ვიდრე ის, რომელსაც იოანე აღწერს თავის გამოცხადებაში: მხეცი შვიდი თავით და ათი რქით _ ეს არის სახე უშჯულოებისა, რომელსაც თითქოსდა შვიდი თავი, შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა აქვს. იგი ათი რქით ღვთის ათ მცნებას თავს ესხმის და ებრძვის. ვის შეუძლია მასზე გამარჯვება? *«აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი»* (იხ. 1, 29). მასზე გამარჯვება მხოლოდ ძე ღვთისას შეეძლო, რომელსაც ღვთის ძლიერება და მეუფება აქვს. უსაზღვრო ბოროტების განადგურება მხოლოდ უსაზღვრო ძლიერებას შეუძლია. გონების თვალით წარმოიდგინეთ სასწორი, რომლის ერთ მხარეს ცოდვაა, მეორე მხარეს ნეტარ სულთა: სერაფიმთა, ქერუბიმთა, ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მასწავლებელთა, მოწამეთა და მოღვაწეთა მთელი სიწმინდეა. მე ვამტკიცებ, რომ ცისა დამიწის გაერთიანებულ სიწმინდესაც არ ძალუძს გადაწონოს თუნდაც ერთი ცოდვა, რამეთუ არც ანგელოზებსა და არც წმინდანებს არ გააჩნიათ თავიანთი მეუფება იმისათვის, რომ დედამიწაზე თუნდაც ერთი ცოდვა გადაწონონ. მხოლოდ ღმერთს, ღვთის კრავს შეუძლია იტვირთოს მსოფლიო ცოდვა. ეს არის განუზომელი სიმძიმე; და თუკი

ანგელოზთა და კაცთა ძალა არ არის საკმარისი, მაშინ საჭიროა ღვთაებრივი ძალა, რამეთუ მხოლოდ ის არის უსაზღვრო. ყოველივე ამით მინდა გიჩვენოთ, რომ ცოდვა უსაზღვრო შხამია, ეს უსაზღვრო ბოროტება და სიმძიმეა. ღვთისმეტყველთა თქმით ის სამი მიზეზისაგან წარმოდგება: დაუსრულებელი ღვთის გმობისაგან, უსასრულო აკრძალვისაგან და თავად ტანჯვის უსასრულობისაგან. და მაინც, ვცოდავთ და გვგონია, რომ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებთ, ან ძალზე მცირე ბოროტებას ჩავდივართ. იმ დროს, როცა ვცოდავთ, უმჯობესია მზე მიიმალოს, მიწა გაიპოს და ჩაგვიტანოს, რადგანაც ცოდვის ჩადენით, მისი მცნებების თავხედურად გათელვით, შემოქმედსა და მაცხოვარ ღმერთს შეურაცხვყოფთ; ხოლო უმადურობით შეურაცხვყოფთ მის სიმართლესა და სიკეთეს; მის სისხლს ვთელავთ, მის მართლმსაჯულებას აღვაგზნებთ, მის მრისხანებას აღვანთებთ, მის წყალობას აღვიკვეთთ, მის უწყალობაში ვცვივდებით. მაგრამ ის თუ იცით, რას ნიშნავს ღვთის უწყალობა? «ღვთის გაუცხოება დაცემულისაგან და მისგან მიქცევა იქ, იმქვეყნად მოსალოდნელ ტანჯვაზე მძიმეა.» განა ეს ბოროტება არ არის უარესი ყველა იმ ბოროტებაზე, რომელშიც ღვთისაგან მოძულებული და უდროოდ დასჯილი ცოდვილი შიძლება ჩავარდეს? არსებობს კი წამალი ასეთი ბოროტებისა? ეს წამალი არის ღვთის ძალა და მეუფება. პატივი მიაგეთ ღვთაებრივი მოწყალების სიდიადეს. ღმერთმა ეს მეუფება მოციქულთა სახით თავისი ეკლესიის მღვდლებს მიჰმადლა, მათ ყოველგვარი ცოდვის მიტევებისა და განხსნის განუსაზღვრელი ნება მისცა: *«მიიღეთ სული წმიდაჲ»* (იხ. 20, 22); რაოდენი განჰხსნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა» (მთ. 18, 18) _ უთხრა მათ. წმინდა მღვდელმსახურნო, სულიერო მამანო იფიქრეთ ამაზე; ღმერთი და მღვდელი ცოდვებს მიუტევებენ, მაგრამ სხვადასხვაგვარად: უფალი მეუფებრივად, თავისი საკუთარი ხელისუფლებით მიუტევებს, ხოლო მღვდელი _ იმ ხელისუფლების მოწილეობით, რო-მელიც ღვთისაგან მიიღო. სასუფევლის კარი დახშულია ცოდვილისათვის და მისი გაღება ორი გზით შეიძლება: ღმერთი მას თავისი ძალითა და ძლიერებით აღებს, უშუამავლოდ, გასაღების გარეშე; და აღებს შუამავლით, გასაღებით, რომელიც პეტრეს სახით ქრისტემ ყველა მოციქულს უბოძა *«და მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისა»* (მთ. 16, 19). ასევე აღებენ მას მღვდლებიც ქრისტესგან მიღებული მეუფების გასაღებით. როდესაც განიხილავთ საკითხს, თუ რაოდენ დიდი ბოროტებაა ცოდვა, გთხოვთ იმაზეც იფიქროთ, რა იოლი კურნებაა მიტევება. ეჭვგარეშეა ის, რომ ცოდვათა მისატევებლად ღმერთს ყველანაირი გზის დაწესება შეეძლო, უაღრესად რთული გზისაც კი. მაგალითად, შეეძლო ეთქვა: ადამიანო, შენ ჩემს წინაშე, შენი ღვთის წინაშე შესცოდე. რომ მოგექცე ის, როგორც მართალი მსაჯული, მაშინ შენი ცოდვებისამებრ უნდა დაგსაჯო. შენ დაეცი და ეს ჩემთვის უდიდესი შეურაცხყოფაა. ამიტომაც უნდა გაწიო საუკუნო სატანჯველი. ერთი ცოდვის გამო მთიები გავაძევე ზეციდან, ადამი _ სამოთხიდან. იმდენივე ცოდვისათვის, რამდენიც შენ ჩაიდინე, სოდომს ცეცხლი ვაწვიმე და გადავწვი; წარღვნა მოვავლინე და მთელი დედამიწა დავფარე. შენც სასჯელის ღირსი ხარ, მაგრამ მინდა ისე მოგექცე, როგორც კაცთმოყვარე მამა, არ მინდა საუკუნოდ დაგსაჯო, მაგრამ ჩემგან მიტევების მისაღებად ან მთელი შენი ცხოვრება ღვაწლით უნდა დაიტირო, ან ჩემი სახელისათვის ევნო, შენი ცოდვებისაგან ცრემლით ან სისხლით განიბანო. ქრისტიანენო, ღმერთს ჩვენთვის რაღაც ამდაგვარი რომ გადაეწყვიტა, ჩვენ, ცოდვილნი, მაინც ათასგზის მადლიერნი უნდა ვყოფილიყავით ამისათვის. მართალია, ძნელია ღვაწლი, მძიმეა მოწამეობა, მაგრამ ეს ყოველივე სიხარულით უნდა გაგვეკეთებინა, რათა მიტევება მიგვეღო. ჯოჯოხეთში

საუკუნო ტანჯვას მცირე ხნის ღვაწლი სჯობს; სჯობს ერთხელ მოკვდე მოწამეობრივად, ვიდრე სატანჯველში საუკუნოდ კვდებოდე. ძველად უფალი მისთვის სათნო ადამიანებს ამგვარად ექცეოდა: დავითმა სამი დიდი ცოდვა ჩაიდინა _ ურია მოკლა, მის ცოლთან, ბერსაბესთან იმრუშა და ღვის აკრძალვის მიუხედავად ხალხი აღწერა. მან შეინანა, მაგრამ ვიდრე მიტევებას მიიღებდა, სიმწრის ფიალა შესვა. პირველი _ უფალმა მისი ცოდვით ნაშობი ბავშვი მოაკვდინა; მეორე _ მასთან წინასწარმეტყველი ღადი გაგზავნა და შესთავაზა, სამი მძიმე სასჯელიდან ერთი ამოერჩია. ეს იყო: სამწლიანი შიმშილი, სამთვიანი შინაომი ან სამდღიანი ჭირი მთელ სამეფოში. დაღონებულმა დავითმა თქვა: «*სამივე მძიმე არს ჩემ ზედა*» (2 მეფ. 24, 14). რა უნდა ექნა? მან სამდღიანი ჭირი არჩია და უფლის ანგელოზმა სამოცდაათიათასი კაცი ამოწყვიტა. ასეთი დიდი სასჯელითა და ტანჯვით მან თავისი ცოდვა გამოისყიდა და ღვთისაგან მიტევება მიიღო. ახლა ასე აღარ გვექცევა ღმერთი, თუმცა დავითზე მატად ვცოდავთ. მაგრამ ღმერთს, თუმცა იგი ღვაწლსა და მოწამეობას აღარ მოითხოვს ჩვენგან, მაინც შეეძლო ზომიერი გზა მიეთითებინა _ ცოდვები ისე მოეტევებინა, როგორც ამას იერუსალიმის ცხოვართ საბანელში სნეულთა კურნებით აღასრულებდა. სახელდობრ, მსოფლიოში ერთადერთი ადგილი, იერუსალიმი მიეთითებინა, რათა განსაზღვრულ დროს, წელიწადში ერთხელ, ზეციდან ანგელოზი ჩამოსულიყო და ჩვენი ცოდვები მოესმინა. ასეთი შორეული მოგზაურობა დიდი გარჯაა, მთელი წელიწადი ლოდინი _ დიდი მოთმინება, ანგელოზის წინაშე მონანიება _ დიდი სირცხვილი. და მაინც მადლიერნი უნდა ვყოფილიყავით იმისათვის, რომ მოტევებას მივიღებდით და საუკუნო სატანჯველში არ ჩავცვივდებოდით. ჰოი, ღვთის გამოუთქმელო მოწყალებავ! მას ესეც კი არ განუსაზღვრავს. უსასრულო ბოროტების გასანადგურებლად, უმძიმესი ტვირთის მოსახსნელად მან უმსუბუქესი და უმოკლესი გზა გვიჩვენა. რომელი? ამას ახლა გეტყვით. როცა უფალი ჩვენი გალილეასა და სამარიას შორის მიდიოდა, მას ათი კეთროვანი შემოხვდა, რომლებმაც ხმამაღლა შეჰვედრეს: *«იესო მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენ!»* (ლკ. 17, 13). მან მიუგო: «წადით, თქვენი წყლულები მღვდლებს ანახეთ და განიწმინდებითო *«წარვედით და უჩვენენით თავნი თქუენნი მღდელთა»* (ლკ. 17, 14). კეთროვნები წავიდნენ, უჩვენეს და განიწმინდნენ. არის კი სნეულება ამაზე უფრო საძაგელი, მძიმე და უკურნებელი? არის კი იმაზე მსუბუქი კურნება, ვიდრე ის, რაც ქრისტემ იმისათვის გააცხადა, რომ ჩვენ ცოდვილნი განვწმენდილიყავით? «წარვედით» გვეუბნება იგი *«უჩვენენით თავნი თქუენნი მღდელთა».* უმძიმესი სულიერი ავადმყოფობით სნეულო ცოდვილნო გსურთ მიტევება და კურნება? ნუ წახვალთ სამოღვაწეოდ და სატანჯველად _ ეს მეტისმეტად ბევრია; ნუ წახვალთ იერუსალიმში _ ეს მეტისმეტად შორია, ასეთი გარჯა არ არის საჭირო. მიდით როცა გენებოთ და რამდენჯერაც გენებოთ არა ანგელოზებთან, არამედ მღვდლებთან, თქვენს მსგავს ადამიანებთან. გაანდეთ მათ თქვენი წუხილი, გაუმხილეთ თქვენი ცოდვები. მათ აქვთ მთელი ხელისუფლება მიტევებისა, მთელი ძალა კურნებისა. რასაც ისინი აქ, მიწაზე განხსნიან, მიუტევებენ, ის ზეცაშიც განხსნილი და მიტევებული იქნება «წარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მღდელთა». ქრისტიანენო, ჩვენ მივდივართ, ჩვენს წყლულებს ვაჩენთ, ჩვენს ცოდვებს ვამბობთ აქ, დედამიწაზე. *«შვილნო მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი»* _ ამასვე ეუბნება ზეციური მამა ზენანს; _ მოგიტევებ, ეუბნება აქ, ქვენანს მღვდელი; მოგიტევებ _ ეუბნება ზენანს ძე და სიტყვა. აქ მღვდელი განხსნის და მიუტევებს, იქ კი მყისვე ამტკიცებს სულიწმიდა. ამ მძლავრი სიტყვების ძალით განადგურებულია უსაზღვრო ბოროტება,

უსასრულო ტვირთი მოხსნილია, საზარელი, შხამიანი იარა განკურნებულია, ცოდვა განხსნილია; ჩვენ, განრღვეულნი, აღვდექით, კეთროვანნი განვიწმინდეთ, მკვდარნი აღვდექით და სრულიად გადავსხვაფერდით, ბნელეთის ანგელოზებიდან ნათლის ანგელოზებად ვიქეცით; ღვთის მტრები მისი მეგობრები შევიქენით. ჩვენ მის მკერდს კვლავ დავუბრუნდით, მისი მადლი მოვიხვეჭეთ, მისი სიყვარული კვლავ მოვიზიდეთ. ერთი სიტყვით, საუკუნო სატანჯველის ღირსი ცოდვილნი ერთ წამში ზეციური სასუფევლის ღირსი მართალნი გავხდით. «ჰოი, დიადო კაცთმოყვარეობავ, ჰოი, განუზომელო სიყვარულო! _ შესძახებს ოქრომესიტყვე მასწავლებელი _ შემდგომ იმისა რაც ცოდვილი ცოდვებს შეინანებს და მტკიცე სამომავლო შემართებას უჩვენებს, ღმერთი მას სრულიად განმართლებულად აცხადებს». არის კი ცოდვაზე უფრო დიდი ბოროტება? არსებობს კი იმაზე მსუბუქი კურნება ვიდრე ცოდვათა მიტევებაა?

ცოდვილო სულნო, აწ ჩემსავით გამოიძიეთ თქვენი სინდისი და განიხილეთ, თუ როგორი ბოროტება ჩაიდინეთ ღვთის წინაშე, მოყვასის მიმართ. თქვენს თავს უდიდესი ბოროტების ჩადენის ნება მიეცით, ყველაზე საშინელი უსჯულოების, ყველაზე სამაგელი ცოდვის, როგორის ჩადენაც შეუძლია ადამიანს. მერედა რა, ეს გაძრწუნებთ, გაშინებთ და სასოს წარგიკვეთთ? სრულიადაც არა! _ თითქოსდა ვხედავ მენელსაცხებლე დედებს, რომლებმაც კეთილსურნელებანი იყიდეს და დაკრძალული იესოს სხეულზე მის საცხებად უთენია მიდიან. ისინი მიდიოდნენ დინჯად და გაოცებით: «ვიცით, რომ იესოს საფლავზე დიდი ლოდი ძევს, ჩვენ, სუსტ დედაკაცებს, ვინ გადაგვიგორებს მას?» _ ამბობდნენ ისინი. *«ვინ გარდაგვიგორვოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა?»* (მრკ. 16, 3).

კეთილმსახურო დედანო, გაბედეთ, თქვენი გზით ისწრაფეთ, გააკეთეთ თქვენი საქმე, ის ლოდი თქვენს იქ მისვლამდე გადაგორებული და გადაწეულია, საფლავი კი _ გახსნილი. და მართლაც *«მიჰხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორვებულ იყო ლოდი იგი, რომელი იყო დიდ ფრიად»* (მრკ. 16, 4). ვინ გადააგორა იგი, *«რომელი იყო დიდ ფრიად?»* (იქვე) _ ზეციდან ამისათვის წარმოგზავნილმა ანგელოზმა. ღმერთმა ანგელოზი წარმორზავნა, და ვინაიდან დედების კეთილ განზრახვას ხედავდა, ანგელოზმა ლოდი გადააგორა. თუკი ადამიანს კეთილი განზრახვა აქვს, ღმერთი მას ყველაფერს უმსუბუქებს. დაე, გზად ლოდი და სირთულე შეხვდეს, ღმერთი ყველა დაბრკოლებას აარიდებს.

შესაძლოა იგივე თქვას ცოდვილმა სულმაც, რომელსაც მოძღვართან წასვლა სურს, მაგრამ შეცბუნებულია და ეშინია, *«რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი აღმემატნეს თავსა ჩემსა და ვითარცა ტვირთი მძიმე დამიმძიმდეს ჩემ ზედა»* (ფს. 37, 5). საით წავიდე? ვის შეუძლია მომიტევოს და ჩემი სიმძიმე იტვირთოს? «ვინ გარდაგვიგორვოს ჩუენ ლოდი იგი? ამდენი წელი ვიცხოვრე, ცოდვაში დავბერდი, ჩემი ჯანმრთელობა გავხარჯე, ცხოვრება უხმარ მეძავთან დავღუპე. ხანგრძლივი ჩვევა ბუნებრივ მიდრეკილებად მექცა, ხოლო მიდრეკილება გულზე ლოდივით დამაწვა. *«ვინ გარდაგვიგორვოს ჩუენ ლოდი იგი?»* ამდენი უსამართლობა ჩავიდინე, ამდენი მკვლელობა, ძარცვა, ვერცხლისმოყვარეობა ჩემს სინდისს მძიმე ლოდად აწევს. *«ვინ გარდაგვიგორვოს ჩუენ ლოდი იგი»* არ დარჩენილა ისეთი ცოდვა, რომ არ ჩამედინოს და არც ერთხელ არ მომინანიებია ისინი. ბოროტებაში გაკერპებამ სული გამიქვავა. *«ვინ გარდაგვიგორვოს ჩუენ ლოდი იგი?»* ვაგლახ მე! ჩემი ცოდვები _ ეს მძიმე ლოდია; ბოროტებამ გამთანგა და ძალა აღარ შემრჩა. მაშ ასე, *«ვინ გარდაგვიგორვოს ჩუენ ლოდი იგი»* ცოდვილო გაბედე, გაჰყევი შენს გზას, პირდაპირ და თამამად იარე. «მხოლოდ შედექი ამ გზაზე და სწრაფად ივლი» _ გვარწმუნებს ღვთაებრივი

ოქროპირი. დროს ნუ დაკარგავ, ნუ შეგაკავებს ნურაფერი. შენი მოწადინების შემხედვარე ღმერთი მოგხსნის სიმძიმეს. შენ ბუნებითმა ძალებმა დაგტოვეს? არსებობს ღვთაებრივი მადლის ძალა, რომელიც გეხმარება. და მე დარწმუნებ ჯვარცმული იესოს სახელით, რომ შენი ცოდვების ლოდი გადაგორვებულია, ტვირთი მოხსნილია, ვინ მოგხსნა ის? *«აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი»* (ინ. 1, 29) _ ძე ღვთისამ, რომელმაც მსოფლიო ცოდვები ჯვარზე აიტანა და შენი ცოდვებიც აღიხვნა. თქვი მხოლოდ ერთი სიტყვა _ «ვცოდე» და მოძღვარი გეტყვის მხოლოდ ამ სიტყვებს _ *«შვილო მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი»* და შემსუბუქდი, მოგეტევა, შენ განმართლებული ხარ, შენ აღარა ხარ ცოდვილი. «მხოლოდ შედექი ამ გზაზე და წინ სწრაფად წახვალ», მაგრამ ვხედავ, რომ სიარული არ შეგიძლია, კოჭლობ. მოისმინე, რასაც გეტყვი. მეფე აქაბის ბრძანებით ყველა წინასწარმეტყველი კარმელის მთაზე შეიკრიბა და ელია წინასწარმეტყველმა მათ ასეთი სიტყვებით მიმართა: _ *«ვიდრემდის კელობთ ორითავე გოჯითა?»,* (3 მეფ. 18, 21) ანუ, რამდენ ხანს უნდა კოჭლობდეთ ორივე ფეხით, ერთ ფეხს ღვთის წინაშე იდრეკდეთ, მეორეს _ კერპ ბაალის წინაშე? *«უკუეთუ არს უფალი ღმერთი მისდევდით მას»* (იქვე). თუკი ცისა და მიწის მეუფე _ ეს ჭეშმარიტი ღმერთია, თაყვანი ეცით მას, როგორც ღმერთს; მაგრამ თუკი ბაალია ღმერთი, მას ეცით თაყვანი. მაგრამ *«ვიდრემდის კელობთ ორითავე გოჯითა?»* მოუნანიებელო ცოდვილნო მე გეუბნებით, კეთილ გზას დაადექით, სწრაფად იარეთ, მოძღვართან მიდით და შენდობა სთხოვეთ, თქვენ კი ორივე ფეხით კოჭლობას აგრძელებთ? ერთ ფეხს ღვთის წინაშე იდრეკთ, მეორეს _ კერპის წინაშე; ერთს _ ღვთის წინაშე, მეორეს _ მეძავის წინაშე; ერთს ღვთის წინაშე, მეორეს _ სიმდიდრისა; ერთს _ ღვთის წინაშე, მეორეს _ სოფლისა? *«ვიდრემდის კელობთ ორითავე გოჯითა?»* თუკი მეძავს, სიმდიდრეს, ქვეყანას, თქვენი ხსნა შეუძლიათ, მათ თაყვანი ეცით ღმერთივით. მაგრამ თუკი თქვენი ხსნა ღვთის გარდა არავის შეუძლია, რადგანაც მხოლოდ მას ძალუძს ცოდვათა მიტევება, და როგორც ისმინეთ, ასე იოლად მიუტევებს, რატომღა გაკავებთ მეძავი? რად გეღობებათ სიმდიდრე? რატომ გებრძვით ქვეყანა? ერთხელ და სამუდამოდ რად არ მიმართავთ ღმერთს?

ღმერთო ჩემო, მხსნელო ჩემო! შენს ჯვარცმასა და სიკვდილში ჩემდამი, ცოდვილისადმი უდიდესი სიყვარულის ნიშანს ვხედავ, მაგრამ აწ ვაღიარებ, რომ შენი სიყვარული კიდევ ერთ უდიდეს წყალობას მოიღებს. მე ვცოდავ და ჩემი ცოდვა შენი დიდი შეურაცხყოფაა, ჩემთვის კი საუკუნო ტანჯვის საბაბი. და ასეთი მძიმე დანაშაულის სანაცვლოდ ესოდენ მსუბუქი კურნება მომმადლე! თუკი მიწიერი მეუფის წინაშე ბრალი დამედება, ისეთივე ადამიანის წინაშე, როგორიც მე ვარ, მიტევებას სულაც ვერ ვიღებ, ან ჩემი სისხლის ფასად გამოვისყიდი მას. მაგრამ მე შენს წინაშე, ჩემი ღმერთის, შემოქმედისა და გამომსყიდველის წინაშე შევცოდე და შენ ამის გამოსასყიდლად მხოლოდ ერთ სიტყვას ითხოვ _ «ვცოდე» და მომიტევებ: *«შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი»* რა დავარქვათ ასეთ დიად სიყვარულს? _ არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ აღარ უნდა შევცოდოთ, ან თუ შევცოდავთ, იმწამსვე მოვინანიოთ.

II

ვფიქრობ, თითოეული ცოდვილი, ვინც მოისმინა ჩემი ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა იოლია ვნების განკურნება, მისი ცოდვის მიტევება, გამბედაობითა და ღვთის დიდი წყალობის მტკიცე იმედით აღივსო. ეს თუ ასე არ მოხდა, ძლიერ გამიკვირდება, უფრო მეტად კი შევშინდები, ავთრთოლდები და შევრძწუნდები. განა მართალი არა ვარ?

მისმინეთ: აი, მე ავად ვარ, საცაა მოვკვდები; ცოდვილი ვარ და ახლოს ვარ სატანჯველთან. ღმერთმა თავისი უსასრულო მოწყალებით სნეულებისაგან განკურნების უმოკლესი გზა მიჩვენა _ ჩემი ცოდვების მოტევება, მე კი უარს ვამბობ. მოსატევებლად ღმერთს ჩემთვის შორეული მოგზაურობა რომ მოეთხოვა ჩემგან, მოწამეობრივად სისხლის დათხევა, ან მოღვაწეობრივი ცხოვრება (ეს ყოველივე რთულია), მე კი ეს არ გამეკეთებინა, სათქმელი მექნებოდა, თავის მართლებას შევძლებდი, მაგრამ ღმერთმა მხოლოდ ის ისურვა, რომ მოძღვართან წავსულიყავი, მისთვის მეთქვა ჩემი ცოდვები, სულიერი მოძღვრის ერთი სიტყვით მიტევება მიმეღო _ მე კი ეს არ გავაკეთე. ამის შემდეგ განა უმადური ადამიანი არა ვარ? განა არა ვარ ბოროტმოქმედი, რომელიც არ არის დაცვის ღირსი? განა ორმაგ ტანჯვას არ ვიმსახურებ, რამეთუ ვცოდე და ცოდვათა მოტევება არ მოვინდომე? ის კი რარიგ იოლი მისაღები იყო... მისი მოწყალების დამნახავს, განა ამდენადვე არ უნდა მეშინოდეს მისი? «დიახ, რამეთუ ღვთის მრავლისმოთმინება მოუნანიებელს ორმაგად სჯის. ისევე, როგორც მრავლისმოთმინებაა ცხონების წყარო მათთვის, ვინც ამით სათანადოდ სარგებლობს, სწორედ ასევე, დიდ სასჯელად ექცევათ იმათ, ვინც მას უგულებელყოფს» _ ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი. გთხოვთ კარგად ჩაუფიქრდეთ ამას. უმადური იერუსალიმელებისთვის ღმერთმა განსაკუთრებული წყალობის მიცემა ისურვა _ ცხოვართ საბანელში ყოველწლიურად უდიდეს სასწაულს აღასრულებდა: წელიწადში ერთხელ იქ ანგელოზი ჩამოდიოდა და წყალს ამღვრევდა. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ნეტარი დღე დადგა, ანგელოზი ჩამოვიდა და წყალი აამღვრია. აი ხელსაყრელი დრო, დაე ყველამ მიიღოს თავისი ტანჯვის კურნება. საბანელის კიდესთან ავადმყოფი დგას, სადაცაა სულს განუტევებს. იცის მან, რომ როგორც კი წყალში შთაიფლება, მაშინვე განიკურნება. და მაინც, დგას, არ ინძრევა, არ ჩადის წყალში, რათა განმრთელდეს, მისი ტანჯვა ასეთი მძიმეა, შეთავაზებული კურნება _ ასეთი იოლი, მას კი ეს არ უნდა. მე გეკითხებით, რა ემართება მას? მისთვის ეს მაცოცხლებელი წყალი დაიშრიტება, მოინდომებს, მაგრამ ვეღარ იპოვის. მოკვდება შეშლილი და მასზე გული არავის დაწყდება. იერუსალიმის საბანელზე შეუდარებლად დიდი წყალობა უფალმა სინანულის საბანელში გაგვიცხადა. იქ სასწაული ერთ ადგილას, იერუსალიმში, წელიწადში ერთხელ აღესრულებოდა; აქ კი ის ყოველ ქალაქში და სოფელში, თითოეულ ქრისტიანულ ეკლესიაში, ყოველდღე და ყოველწუთს აღესრულება, საკმარისია მხოლოდ ისურვო. აქ არ არის ანგელოზი, სუფთა სული, რომელიც ჩვენს უწმინდურ ვნებებს დაინახავდა; აქ არიან მღვდლები, ჩვენსავით ცოდვილი ადამიანები, მაგრამ ყოველგვარი ცოდვის მიტევებისათვის მთელი ძალისა და ხელისუფლების მქონენი: იქნება ეს ამპარტავნება, ძვირისხსენება, ანგარებისმოყვარეობა, სიძვა, მკვლელობა, ყველა დანარჩენი ცოდვა, რომლის ჩადენაც ადამიანს შეუძლია. სნეულო ცოდვილო! შენ ერთი ფეხით კუბოში დგახარ, მეორეთი _ ტანჯვაში და მაინც ბოროტებაში ხარ გაკერპებული? მაინც არ ინანიებ? შენი სნეულება ასეთი მძიმეა, კურნება კი ასეთი მსუბუქი, და შენ ეს არ გინდა? ის თუ იცი რა მოგივა? გაგშორდება კურნება. მას ოდესმე მოისურვებ, მაგრამ ვეღარ ჰპოვებ. შენ სამართლიანად გეწევა სატანჯველი. ღმერთმა ისე განაჩინა, რომ მეგობრებს შენზე არ დაწყდებათ გული, ნათესავები არ დაგიტირებენ, არ მოგიხსენიებს ეკლესია. «მან შეიყვარა წყევა, ამიტომაც დაე, ის მიიღოს _ ამბობს ღმერთი; მან არ მოინდომა კურთხევა, დაე ვერ ჰპოვოს ის *«და შეიყუარა წყევაჲ, მივედინ მისა; და შეიმოსა წყევაჲ, და მივედინ მისა; და არა ინება კურთხევაჲ, და განეშორენ მისგან»* (ფს. 108, 17). უგონოვ და უმადურო! ასე ქველია ღმერთი და შენ გძულს

მისი სიქველე? სამართლიანად გამხელს პავლე *«ანუ სიმდიდრესა მას სიტკბოებისასა მისისასა და თავსდებსა და სულგრძელებასა შეურაცხყოფ, ვერ გიცნობიეს, რამეთუ სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მოგიყვანებს შენ»* (ჰრომ. 2, 4). ჩაუფიქრდით მოციქულის ამ სიტყვებს. ღვთის სიქველე სინანულისაკენ გეწევა; ის თითქოსდა ერთგვარი თოკია, რომლის ერთი ბოლო ღმერთს უჭირავს, მეორე კი შენს გულზეა მიბმული. ღმერთს ის უჭირავს, რამეთუ არ სურს, რომ მისგან გაიქცე, მას შენი დაკარგვა არ უნდა, შენს მოქცევასა და ცხონებას უცდის *«ცხოველ ვარ მე ... არა მნებავს მე სიკუდილი უთნოისა, ვითარ მოქცევაჲ მისი ... ცხოვნებაჲ მისი»* (იეზ. 33, 11). როცა სცოდავ, ღმერთს შორდები. დღეს ძლიერ დაშორდი, ხვალ _ კიდევ მეტად. ღმერთი შენს ნებაზე გტოვებს, ითმენს. შენ შორდები და წარსაწყმედლის გარყვნილ გზაზე დაკარგული ცხვარივით დაეხეტები _ ეკლესიისაგან, ყოვლადწმინდა საიდუმლოებებისაგან, საკუთარი თავისა და უფრორე ღვთისაგან შორს. ღმერთს კი თოკის ბოლო უჭირავს და დროდადრო თავისკენ გეწევა. ძრწუნდება კი შენი გული? გტანჯავს კი სინდისი ოდესმე მაინც? ღვთის ხელი თოკს ეწევა და სინანულისკენ მიყავხარ. *«სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მიგიყვანებს შენ»* გიხმობენ _ არ მიდიხარ, გეწევიან _ არ ექცევი, არ ინანიებ. შენ მეძავზე ხარ მიჯაჭვული, ანგარების ჯაჭვით ხარ შებორკილი, ბოროტებაში ფესვი გაიდგი. იცი თუ არა რა შეიძლება მოხდეს? ღმერთი მრისხანებს, გტოვებს და შენ, უბედურო, სრულ მოუნანიებლობაში ვარდები, იქიდან კი საუკუნო სატანჯველში მიდიხარ. ვინ არის დამნაშავე? _ თავად შენ; ვინ შეგიბრალებს? _ არავინ!

ძმაო ქრისტიანო, ცხოველი ღმერთის სახელით გაფიცებ, ნუ დაუშვებ თოკის გაწყვეტას! როცა *«სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მოგიყუანებს შენ»,* წადი და ღვთისაკენ მიიქეცი, ღმერთი გაშლილი და უტკბესი ხელებით მიგიღებს: *«შვილო, მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი!»*

სიტყვა მარხვის მესამე კვირას

სულის შესახებ

«რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ
შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული
თჳსი იზღვიოს?; ანუ რაჲ მისცეს
კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?”

(მრკ. 8, 36-37)

ქვეყანა და სული ის ორი რამაა, რომელთა შეცნობაც ადამიანებს არ ძალუძთ, რამეთუ კაცობრივი განსჯა ცრუა. მთელი მათი აზროვნება თითქოსდა მხედველობაშია თავმოყრილი; ადამიანები მხოლოდ იმას აკეთებენ, რასაც ხედავენ, ხოლო რასაც ვერ ხედავენ, არ აფასებენ. ხედავენ ისინი ქვეყანას და იმაზე მეტად აფასებენ, ვიდრე საჭიროა; ვერ ხედავენ სულს და საერთოდაც ვერ აფასებენ მას. ამიტომაც მართალნი არ არიან, ცრუობენ, როცა ქვეყანასა და სულზე მსჯელობენ *«ცრუ არიან ძენი კაცთანი სასწორთა»* (ფს. 61, 9). ქვეყანა და სული _ ამ ორ საგანზე მსჯელობა არ იციან ცოცხლებმა, მასზე მსჯელობა მხოლოდ მკვდრებს შეუძლიათ.

მიწიერო მეფენო, ქალაქთა მმართველნო, ამაქვეყნის მდიდარნო! თქვენ მიწიერი დიდებით, სილამაზით, სიმდიდრით ტკბებით. ბოლოს და ბოლოს რა მოიხვეჭეთ? თან რა წაიღეთ სამარეში? თქვენ მოკვდით და ქვეყანაც მოკვდა თქვენთვის. მაგრამ ქვეყნიურის გამო სულის დაკარგვით ყველაფერი დაკარგეთ: ზეცა, სამოთხე, საუკუნო ცხოვრება, ღმერთი. მაშ რა სარგებელი აქვს ადამიანს, თუკი ის მოიპოვებს ქვეყანას, რომელიც სიცოცხლესთან ერთად მთავრდება და თავის უკვდავ სულს დაღუპავს? არანაირი სარგებელი, პირიქით _ ეს უდიდესი დანაკარგია. ოჰ, ნეტავ ცოცხლებს გაეგოთ მკვდრებისგან, რა არის ქვეყანა, რა არის სული? როგორ, განა ჩვენ არ ვიცით ქვეყანა რა არის? ეს ჩვენ ძალზე კარგად ვიცით, რამეთუ მის ცვალებადობას თვალნათლივ ვხედავთ. ვხედავთ რარიგ ძნელია მისი სიკეთეების მიღწევა, მწარეა შეგრძნებით, ახლოა დასასრულთან, ვხედავთ ამდენი საზრუნავი, შიში, შური, გაჩანაგება როგორ არყევენ, ასუსტებენ, ამწარებენ და ანგრევენ კიდეც მიწიერ კეთილდღეობას. ვხედავთ რამდენი ტანჯვა და ავადმყოფობა, რამდენი ომი და ვერაგი ზრახვა ატორტმანებს ცხოვრებასა და ქვეყნიურ სიმშვიდეს. ვხედავთ, რომ მდინარის წყლები არ მიედინება ისე სწრაფად, მინდვრის ყვავილები ისე ადვილად არ ჭკნებიან, ცაში ელვა ისე მყისიერად არ ქრება, როგორ სწრაფადაც მიდის, ჭკნება, ერთ წამში ნადგურდება ქვეყნის მთელი სიტკბოება, სიამოვნება და სიხარული. კარგად ვიცით, რა არის ქვეყანა, რამეთუ მას ვხედავთ, მაგრამ ჭეშმარიტად არ ვუწყით, თუ რა არის სული, რადგან მისას ვერც სილამაზეს ვხედავთ და ვერც ბუნებას. ამიტომ დღეს მინდა გესაუბროთ იმაზე, თუ რა არის სული, რომ ის ერთადერთია, და მისი დაკარგვით ყველაფერს ვკარგავთ, და გითხრათ ისიც, რომ ის უკვ-დავია და თუ ერთხელ დავღუპავთ, მას სამუდამოდ დავკარგავთ.

I

რომ გვეკითხა ბრძენთათვის, ბუნების სიღრმეებს დიდი ძალისხმევით რომ იკვლევენ, თუ რა არის სული, ისინი მრავალგვარ, მაგრამ ნაკლებ შესაფერის პასუხს გაგვცემდნენ. ამიტომ თავი ვანებოთ ფილოსოფოსთა ამაო სიტყვებს და ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით ჭეშმარიტების სუფთა სარკეს, ღვთაებრივ წერილს მივმართოთ, რათა შევიტყოთ რა არის სული _ ეს არის კეთილშობილი, ძვირფასი არსება, რომელიც არაფერზე გაიცვლება.

ღვთის შემოქმედებითმა ყოვლადბრძნობამ და ძალამ ადამიანის შექმნისას სამი თა-ვისებურება გამოავლინა. უწინარეს ყოვლისა ერთი სიტყვით მან შექმნა ზეციური და მი-წიერი *«ცანი ცათანი და წყალნი»* (ფს. 148, 4) _ იმავწუთს გაჩნდა მზე, მთვარე, ცაზე ვარსკვლავები და ზეცაში ფრინველნი, დედამიწაზე ამდენი ცხოველი და მცენარე. მაგრამ როცა ადამიანს ქმნიდა, მან არა მხოლოდ სიტყვა თქვა, წინასწარ თითქოს დაფიქრდა და მოითათბირა: *«ვქმნეთ კაცი»* (დაბ. 1, 26) _ თითქოსდა სამების სხვა პირებს სათათბიროდ იწვევდა. ეს გრიგოლ ნოსელსაც ანცვიფრებდა «ჰოი, სასწაული _ ამბობდა ის, _ ყოველთა ყოფიერება ერთი სიტყვით იწყება და წინ არანაირი თათბირი არ უძღვის. ადამიანის შექმნას კი დაფიქრებით იწყებს». შემდგომ, იმისათვის, რომ დანარჩენი ქმნილებები გააჩინოს, ღმერთი მხოლოდ ამბობს: *«იქმენინ»* _ და მეტს არაფერს. ადამიანის შესაქმნელად კი ის ლაპარაკობდა და მოქმედებდა. სხეულის შესაქმნელად თავისი ღვთაებრივი ხელით აიღო და შეაწება *«მტუერი ქუეყანისაგან».* სულის შესაქმნელად კი *«შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ»* (დაბ. 2, 7) ბოლოს მთავარი: არც ერთი ქმნილება ღვთის მსგავსი არ შექმნილა. ეს პატივი მხოლოდ ადამიანს ერგო წილად. მაგრამ ადამიანი ხატი და მსგავსია

ღვთისა არა სხეულით, როგორც ამბობენ ერეტიკოსი ანთროპომორფისტები, რამეთუ ღმერთი ბუნებით უხორცოა, არამედ სულით, რომელიც არის _ სული ისევე, როგორც ღმერთია სული. ამაში მდგომარეობს სულის თანდაყოლილი თვისება, ამაშია მისი კეთილშობილება.

თვით წმინდა ანგელოზნი, ეს მეორადი ნათელი პირველი ნათლისაგან, გონიერი სამყაროს ეს ცისკრის ვარსკვლავნი, რომლებიც ღვთივსაწყისის სამბრწყინვალე ნათებას ასე ახლოდან აისახავენ, სულს რომ შევადაროთ, არ ვიცი რითი უნდა აღემატონ მას. მათ აქვთ გონიერებაება _ სულიც გონებაა; ისინი უხორცონი არიან _ სულიც უხორცოა; უკვდავნი არიან _ სულიც უკვდავია. ისინი სამ-სამად არიან დაყოფილნი, საერთოში კი ცხრა დასად იყოფიან, როგორც აღნიშნავენ არეოპაგელი და დამასკელი. პირველში შედიან სერაფიმები, ქერუბიმები და საყდარნი; მეორეში უფლებანი, მთავრობანი, ძალნი; მესამეში _ ხელმწიფებანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი. სულის ძალებსა და უნარებშიც ამის მსგავსს ვპოულობთ. *სერაფიმები* სუფთა სიყვარულის ალით გიზგიზებენ, ამიტომაც ცეცხლოვანნი გამოისახებიან, _ იგივეა სულის ნება, რომელშიც სიყვარულის ალი სულ უფრო მხურვალედ აღინთება და სასურველს მიელტვის; *ქერუბიმებს* ფხიზელი ჭვრეტა ახასიათებთ, ამიტომაც მათ მრავალთვალიანებს უწოდებენ. სულსაც იგივე თვისება აქვს, მაშინაც კი, როცა სხეული ღრმა ძილს მისცემია, ის, მართლაცდა მრავალთვალა, ჭვრეტისათვის მარად მზადმყოფია. *საყდრებზე* სამართლიანობაა დაბრძანებული _ სულიც ასევე გონებით შეცნობილისა და ნებისთვის სასურველის არსი _ უზუსტესი სასწორია; *უფლებანს* შორეულ სამყაროში მეფური ღირსების დიდება აქვთ _ სულსაც ვნებათა მეუფე ჰყავს; *მთავრობანს* სამყაროს განგება უპყრია _ სულიც ფლობს განსჯის უნარს. *ძალნი* ციურ სხეულებს გასაოცარი ჰარმონიით ამოძრავებენ _ სულიც ამოძრავებს სხეულის ნაწილებს ესოდენ საოცარი მოხდენილობით. *ხელმწიფებანი* საგანთა საყოველთაო წესრიგს იცავენ _ სულიც იცავს ცხოვრების წესრიგს; *მთავარანგელოზებში* იმ ზეციურ გამოცხადებათა საგანძურია, რომლებიც ღვთაებრივი ყოვლადბრძნობის გამოუთქმელ საიდუმლოს სარწმუნოს ხდიან _ სულსაც აქვს ხსოვნა, ცნობელობის სამყოფელი, სადაც გონება შემეცნების საგანძურს ფარავს; *ანგელოზები* მომსახურე სულები არიან, რომლებიც სამსახურისთვის იგზავნებიან, არსით უხორცონი, მოძრაობაში უსწრაფესნი, დაუღალავნი, ადიან ზეცად, მიწაზე ჩამოდიან, მთელ ქმნილებებს გარს უვლიან _ სულსაც ყავს თავისი მსახურნი _ აზრები, რომლებიც შეუჩერებლად იბადებიან, წამში გადაიფრენენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მიწიდან ზეცისაკენ, ზეციდან ჯოჯოხეთში, გადაივლიან უსასრულო სივრცეებს, კელდეებს, მთებს, ზღვებს, მათ ვერ აფერხებენ გუშაგები, ციხე სიმაგრეები და ვერც კლიტეები.

სული სახეა ღვთისა სამი მიმართებით: ბუნებით, მადლით და დიდებით. *ბუნებით:* რამეთუ შექმნისას ის ღვთის ხატად იქმნა; *გონებით* ყოველივეს მცნობელობის წყაროს _ მამას ჰგავს; შინაგანი გონებით _ ყოვლადბრძნობის საწყისს _ ძეს; თავისუფალი ნებით ყველა სიკეთის წყაროს _ სულიწმიდას; *მადლით:* აღმშენებლობაში, შვილად მიღების მეშვეობით ის თვით ღვთის ძესთან მოიაზრება, ამბობს პავლე მოციქული: *«რომელნი-იგი წინაჲსწარ იცნნა, წინაჲსწარცა განაჩინნა თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა»* (ჰრომ. 8, 29) *დიდებით:* ნეტარებაში, ღვთაებრივი ნათლის ძალით თვით ღმერთის სახეს მიიღებს *«დიდებასა უფლისასა განვიცდით, მასვე ხატსა მივიცვალებდით დიდებითი დიდებად»* (2 კორ. 3, 18); იოანეც ამბობს: *«მსგავს მისა ვიყვნეთ, რამეთუ ვიხილოთ იგი, ვითარცა იგი არს»*

(1 ინ. 3, 2) მაშ ასე, ვინც კითხულობს, რა არის სული, დაე იცოდეს, რომ ეს არის ღვთაებრივი ბჭობის უდიადესი საქმე, ცოცხალი ბეჭედი წმინდა სამებისა. ჰოი, უჭკნობელო სილამაზევ სულისა! ქრისტიანენო, როგორი წარმოგიდგენიათ ცათა სასუ-ფეველი, სამოთხის ნეტარება, მართალთა დიდება? ეს სხვა არაფერია, თუ არა ღვთის სახის ჭვრეტა. ეს სახე ისეთი მშვენიერია, რომ ყველა ანგელოზი მზადაა მუდამ მას უმზიროს. ისინი მწყურვალნი უცქერენ ამ მიუდგომელი ნათლის დაუშრეტელ წყაროს. ამიტომაც ამბობს პეტრე მოციქული: "*რომლისათვის გული უთქუამს ანგელოზთა ხილვად»* (1 პეტ. 1, 12). სულ ერთი წამით ის ჯოჯოხეთში რომ გამოცხადებულიყო, ჯოჯოხეთი სამოთხედ იქცეოდა, და მცირე ხნით სამოთხეში თვალს რომ მიფარებოდა, სამოთხე იქცეოდა ჯოჯოხეთად. ამ ღვთაებრივი სახის გამოხატულებაა სული. რას გაიღებს ადამიანი თავისი სულის სანაცვლოდ? რით შეუძლია შეცვალოს მან ესოდენ მშვენიერი არსება, რომლის მსგავსს ვერც ზეცაში იპოვის, ვერც დედამიწაზე? მე, რომელიც ჩემს სულში ასეთ სილამაზეს ვჭვრეტ, განა შემიძლია ამის შემდეგ ამქვეყნად სხვა სილამაზეს ვუმზირო? პატივი მივაგო პატარა დაფას, რომელზეც მეფე ან დიდებულია გამოსახული და არ ვცე პატივი ჩემს სულს, რომელზეც თავისი სახე მოხაზა ღმერთმა?! როცა ხორციელი სურვილებით სულს ვიბილწავ, მაშინ ღვთის ხატს ლაფში და სიბინძურეში ვსვრი და არც კი ვაღიარებ, რომ დიდ ბოროტებას ჩავდივარ. ჰოი სულო, რარიგ ხშირად განადგურებ! ჰოი უფალო, როგორ ითმენ ასეთ შეურაცხყოფას! სავსებით სამართლიანია, რომ სულზე ძვირფასი არაფერი გაქვს, მაგრამ ისე ნაკლებ არაფერს ვაფასებთ, როგორც სულს. ამ უძვირფასეს საგანძურს ცოდვით ტკბობაში, უმნიშვნელო სიმდიდრეში ვცვლით, დროებითი დიდების ერთდღიანი ბრწყინვალებისათვის ვყიდით...

რამდენიმე სული რომ გვქონდეს, კიდევ მოსათმენი იქნება, ერთი თუ დაიღუპება, მეორე დარჩება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი სული გვაქვს, რომლისთვისაც ზეციური და მიწიერია შექმნილი, რომლისთვისაც ბუნება იღვწის, მოძრაობს ზეცა, ანათებს მზე, ნაყოფს იძლევა მიწა, ჩნდებიან მცენარეები და ცხოველები; რომლისთვისაც დანერგილია სამოთხე, განმზადებულია ცათა სასუფეველი, უსასრულო ნეტარება, უსაზღვრო დიდება და საუკუნო ცხოვრების ყველა ის სიკეთე, *«რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა»* (1 კორ. 2, 9). სულის დაღუპვით ყველაფერს ვკარგავთ: ცას, მიწას, სოფელს, სამოთხეს, დროებითს და მარადიულს, ყველაფერს, ყველაფერს! იმისათვის, რომ მართალი იობის მოთმინება გამოეცადა, ღმერთმა ეშმაკს ნება მისცა ეცდუნებინა იგი, ევნო მისთვის, გაემწარებინა და შვილებითა და ავადმყოფობით ზიანი მიეყენებინა *«აჰა ეგერა, ყოველი, რაცა არს მისი, მიგეც ხელთა შენთა, არამედ მას ნუ შეახებ»* (იობი, 1, 12). უმდიდრესი იობი თვალის დახამხამებაში გაღატაკდა. მისი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ნაწილი ყაჩაღებმა მოიტაცეს, ნაწილი ელვამ დაწვა. მისი მაღალი საცხოვრებლები ძლიერმა ქარიშხალმა დაანგრია, ძენი და ასულნი ერთდროულად უეცარი სიკვდილით დაეხოცა, თავად კი ღატაკი, უშვილო, უსახლკარო, ქალაქის გარეთ, თავით ფეხამდე წყლულებით დაფარული, ჩირქში იწვა. დღისით მზის სხივები წვავდა, ღამის სიცივე კიდევ უფრო მეტად აწამებდა. იობმა ყველაფერი დაკარგა: სიმდიდრე, შვილები, ჯანმრთელობა; არსებითად კი მას არაფერი დაუკარგავს, რადგან მან თავისი სული არ დაღუპა. რას ამბობს, რა დავკარგეო? სიმდიდრე? მაგრამ მე ხომ შიშველი დავიბადე, რა გასაკვირია, თუ შიშველი მოვკვდები? *«მე შიშველი გამოვედ მუცლისაგან დედისა ჩემისა, შიშველივე მივიქცე...»* (იობი, 1, 21) ჯანმრთელობა დავკარგე? _ ღმერთს ასე სურდა

«ვითარცა უნდა ეგრეცა-ქმნა» (იქვე) შვილები დავკარგე? *«უფალმანცა მომცა, უფალმანცა მიმიღო»* (იქვე). მე ყველაფერი დავკარგე და მაინც არაფერი დამიკარგავს იქამდე, ვიდრე სულს არ დავკარგავ. ჩემი უწინდელი კეთილდღეობის, სიმდიდრის, შვილების, ჯანმრთელობის გარეშეც ჯერ ისევ მართალი ვარ ღვთის წინაშე. ვინც მომცა და წამართვა, ისვე დამიბრუნებს იმას, რაც წამართვა. თუმცა ყველაფერი დავკარგე, ამისთვისაც ვადიდებ, ვაკურთხებ მის წმინდა სახელს, რამეთუ მან დაუშვა ჩემზე ეს ყოველმხრივი განსაცდელი, რათა მომეღო სული *«იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ».* ასე რომ, კაცთმოყვარე ღმერთს ასეთი დიადი განგებულება აქვს _ როცა ჩვენზე განსაცდელს ან სასჯელს დაუშვებს, ის ეშმაკს ნებას რთავს ამქვეყნად ყველაზე ძვირფასის მეშვეობით გვაცდუნოს და გვავნოს, მაგრამ უბრძანებს: *«არამედ მას ნუ შეახებ»,* რათა გაფრთხილდეს და არაფერი ავნოს სულს, ქრისტეს ამ მხოლოდშობილ ასულს, მისი სასუფევლის მემკვიდრეს, რომელსაც დასაცავად მფარველ ანგელოზს უგზავნის, რათა მან მოუაროს და დაიცვას *«არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი; ღუაწლისაგან, რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხუევისაგან და ეშმაკისა შუვა დღისა»* (ფს. 90, 5-6). რატომ? «იმიტომ, რომ სხვა ყველაფერი მრავლადაა და თუ რაიმე ერთში იზარალებ, მეორეთი ისარგებლებ» ამბობს ოქროპირი და განაგრძობს: დღეს თუ ერთი დაკარგე, ხვალ იპოვი, როგორც იობმა _ ორმაგად და სამმაგად. სული კი ერთადერთია და ყველაფერი დანარჩენი მასზეა დამოკიდებული. მას თუ დავღუპავთ, რითიღა ვიცხოვრებთ? ამიტომ თუ ჩვენს განძს დავკარგავთ, უძრავ ქონებას, სახლს, მშობლებს, ძმებს, შვილებს, ჯანმრთელობას, დიდებას, პატივს, მაგრამ, ამავდროულად შევინარჩუნებთ სულს, _ ჩვენ არაფერი დაგვიკარგავს. მაგრამ სულს თუ დავკარგავთ, მაშინ ყველაფერს დავკარგავთ და შემდგომი შენაძენი ვერაფერს აგვინაზღაურებს. სული ერთადერთია, რომელიც ადამიანებს სიცოცხლეს აძლევს, სამოთხეში კი _ ნეტარი ცხოვრების იმედს. ის თუ დავღუპეთ, ეს ნიშნავს, რომ დავკარგეთ მშვიდობა და სამოთხე, დავკარგეთ ყველაფერი. რატომ? მას თუ დავღუპავთ, რითიღა ვიცხოვრებთ?

უცნაურია! თუ ერთადერთი შვილი გვყავს, როგორ ვზრუნავთ, რომ ის მზემ არ დაწვას, ქარმა არ გააციოს, ვინმემ არ აწყენინოს. მაგრამ ჩვენი ცხონება ხომ ამ ბავშვზე არ არის დამოკიდებული. თუ ძვირფასი ქვა გვაქვს, ისეთი რუდუნებით ვინახავთ, რომ მზად ვართ გულში მივუჩინოთ ადგილი. განა ამ ქვით სამოთხეს ვიყიდით? და არაფრად ვაგდებთ სულს მაშინ, როცა სწორედ მასზეა დამოკიდებული გარეგანი კეთილდღეობა და სამოთხის მომავალი ნეტარება? ამ ფასდაუდებელ საგანძურს, რომლის დაკარგვითაც ყოველივე ზეციურს და მიწიერს ვკარგავთ, იმ ხელს მივანდობთ, რომელზე საუბრისაც მრცხვენია!

ალკიბიადე* განდევნილ იქნა ათენიდან, როცა განდევნიდან დიდმა დრომ გაიარა, ათენელებს იგი ომში დასჭირდათ და მის მოსაყვანად ხალხი გაგზავნეს წერილით, სადაც ყველა არქონტი (მაღალი პასუხისმგებლობის პირი) მას უსაფრთხოებას პირდებოდა. ალკიბიადე, რომელმაც თანამოქალაქეების უპირობა კარგად იცოდა, მათ დანაპირებს არ ენდო და დაბრუნებაზე უარი შეუთვალა. «ეს როგორ, ალკიბიადე, უთხრა მას ერთმა მეგობარმა, მთელი სამშობლო გიხმობს, უსაფრთხოებას გპირდება და შენ არ გჯერა?» _

* ალკიბიადე (დაახლ. 450-404 წ.ქ.შ-მდე) ათენელი სტრატეგი პელოპონესის ომის დროს. ორგანიზება გაუკეთა 415 ექსპედიციას სირაკუზის წინააღმდეგ, შემდეგ სპარტის მხარეს გადავიდა, მოგვიანებით სპარსეთში გაიქცა. 411 წ. მხარს უჭერდა ათენის ოლიგარქიულ, შემდეგ კი დემოკრატიულ მმართველობას. 411-408 წლებში მოიგო საზღვაო ბრძოლა აბიდოსისა და კიზიკიისათვის.

«სამშობლოს, რაც გამაჩნია ყველაფერს მივცემ, მაგრამ ჩემს სიცოცხლეს ვერავის ვანდობ, დედასაც კი, ვინძლო მანაც უმეცრებით ერთის მაგივრად მეორე გააკეთოს» _ ამით ალკიბიადეს უნდოდა ეთქვა, რომ ათენელების სჯერა, მაგრამ რაც შეეხება მის სიცოცხლეს, იმას ვერავის, საკუთარ დედასაც კი ვერ ანდობს. რატომ? იმიტომ, რომ ერთი სიცოცხლე მაქვს, მხოლოდ ერთი და თუ დავღუპავ, ყველაფერს დავკარგავ. ასე მსჯელობდა ალკიბიადე, რამეთუ სიცოცხლე ერთადერთია.

ჩვენ, ქრისტიანენო, რამდენი სიცოცხლე გვაქვს? მამულისთვის, მშობლებისთვის, ძმებისთვის, შვილებისთვის, მასწავლებლებისთვის და სხვათათვის სიამოვნებით გავწირავდი ფულსა და ქონებას, ყველაფერს, რაც ამქვეყნად გამაჩნია. მაგრამ როცა ლაპარაკია სულზე, იმ ერთადერთზე, რომლის დაკარგვითაც ყველაფერს ვკარგავ, დაე მაპატიონ მამულმა, მშობლებმა, ძმებმა, მეგობრებმა და მასწავლებლებმა, ჩემს სულს ვერავის ვანდობ! ალკიბიადემ არ ინდომა საფრთხეში ჩაეგდო თავისი სიცოცხლე, რომელიც დროებითია და როგორღაც დასრულდება; მე მზად ვარ საფრთხეში ჩავაგდო ჩემი სიცოცხლე, თუკი ამას აუცილებლობა მოითხოვს, რა მნიშვნელობა აქვს დღეს მოვკვდები თუ ხვალ? მაგრამ საფრთხეში ჩავაგდო ჩემი უკვდავი სული, რომლის დაღუპვაც საუკუნო დაღუპვას ნიშნავს? ამას არასდროს, არასდროს ვიზამ!

უკვდავება სულის მეორე და საუკეთესო უპირატესობაა. ამ ამაო და ხრწნილ სამყაროს მთელი მისი სიმშვენიერითა და ყოველივე ფასეულით, რაც მასშია, ზღვარი აქვს დადებული *«რამეთუ წარვალს ხატი ამის სოფლისაჲ»* (1 კორ. 7, 31). ადრე თუ გვიან მოვა სიკვდილი და ყველაფერს დაასრულებს. რაც გვაბადია ყველაფერი ან გვტოვებს, როცა ვკარგავთ, ან ვტოვებთ, როცა ვკვდებით. *«ყოველი ჴორცი თივა და ყოველი დიდებაჲ კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა»* (ეს. 40, 6). ჩვენში მხოლოდ სულია უკვდავი, რომელიც მარად ცოცხალია და არ კვდება. *«რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თჳსი იზღვიოს?»* (მრკ. 8, 36). რომ დავკარგო ნივთი, მას კვლავ შევიძენ, ღირსება რომ დავკარგო, შემიძლია დავიბრუნო, თუ თავისუფლებას დავკარგავ, გამოვისყიდი, ჯანმრთელობას ვუწამლებ, სიცოცხლეც რომ დავკარგო, მკვდრეთით აღვდგები, რამეთუ მწამს *«მოველი აღდგომასა მკვდრეთით»,* მაგრამ სულს თუ დავღუპავ, არ არის გამოსასყიდი, არ არის კურნება, არ არის აღდგომა. მე ის ერთხელ და სამუდამოდ დავკარგე. ჰოი, შესაძლებელი რომ იყოს, რომ ეს სამუდამოდ შემოვიდეს ჩვენს გონებასა და გულში! ღმერთმა სამოთხე და ჯოჯოხეთი შექმნა, პირველი _ ადგილი საუკუნო ცხოვრებისა, მეორე _ საუკუნო ტანჯვისა. იქ _ მართალთა სულებია, აქ _ სულები ცოდვილთა. *«და წარვიდენ ესენი სატანჯველსა, ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა»* (მთ. 25, 46). სამოთხის კლიტენი ადამიანებს ჩააბარა *«და მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათაჲსანი»* (მთ. 16, 69) ეუბნება უფალი პეტრეს და სხვა მოციქულებს. ჯოჯოხეთის კლიტე არც ადამიანებს მისცა, არც ანგელოზებს, ისინი თავად მას უპყრია. ამას თვითონვე ამბობს გამოცხადების პირველ თავში *«და მქონან კლიტენი სიკუდილისა და ჯოჯოხეთისანი»* (18). რატომ მისცა სამოთხის, ღვთაებრივი დიდების სასახლის გასაღები მონებს, ანუ ადამიანებს, ხოლო ჯოჯოხეთის, ამ საშინელი საპყრობილის, დაფლეთილ სულთა სატანჯველის გასაღები თავად მეუფეს და უფალს უპყრია? ეს იმისათვის, რომ მივხვდეთ: ამ ცხოვრებაში, როცა კი მოვისურვებთ ჩვენი სულების საცხოვნებლად სამოთხის კარის გაღებას, გასაღებს ადვილად ვიპოვით. ისინი აქ, დედამიწაზე ადამიანებს აბარიათ. რა წუთსაც მოვექცევით, მაშინვე მას ეპისკოპოსის ან რომელიმე სულიერი მოძღვრის ხელში

ვპოულობთ. მაგრამ თუკი უეცარი ან ბუნებრივი სიკვდილი ქვეყნიურ ზრუნვაში ან ქვეყნიური ჯაჭვებით შებორკილებს, გამოუსწორებლებს მოგვისწრებს, ჯოჯოხეთში აღმოვჩნდებით. იქ კარის გასაღებად სადღა ვიპოვით გასაღებს? ეს გასაღები ადამიანებს არა აქვთ, ის არც ანგელოზებს აქვთ, არამედ ღმერთს უპყრია.

ჰოი სულო ჩემო! შენს დაღუპვას მიჯობს მთელი ქვეყნიერება დაიღუპოს ჩემთვის. ანკი რა არის ქვეყანა? _ რაღაც ზმანება, შენ კი უმშვენიერესო ქმნილებავ, სახე ხარ ღვთისა; უძვირფასესი ქონება ხარ, რამეთუ შენი დაღუპვით ყველაფერს ვკარგავ; შენ უკვდავი ხარ, შენი ერთგზის დაკარგვა შენს სამუდამოდ დაკარგვას ნიშნავს. რისთვის დაგღუპო? განშენ რომელიმე მხეცის სამშვინველი ხარ? ან რომელიმე მოსისხლე მტრის სული? არა, შენ ჩემი სული ხარ. ვინც თავის სულს ამ ამაო და ხრწნილ სამყაროზე ათასჯერ მეტად არ აფასებს, მას ან საერთოდ არა აქვს სული, ან მისი ღირსი არ არის.

II

სული და ქვეყანა, ეს ის ორი რამაა, რის შესახებაც ადამიანები ძალზედ არასამართლიანად განსჯიან. ადამიანთა მთელი საზრუნავი, მთელი სიყვარული ქვეყნისაკენ არის მიმართული, სულს კი დაუდევრობა და უპატივცემულობა ერგო წილად. ილია თეზბიტელის ლოცვით სამწელიწადნახევრის მანძილზე წვიმა არ ყოფილა დედამიწაზე *«სიყმილი იგი განსასტიკებულ იყო სამარიას»* (3 მეფ. 18, 2). რა შესაბრალისი სანახაობა იქნებოდა: მთელი სამეფოს მიწა გამოშრა, გაშიშვლდნენ ხეები, ადამიანებიდან ზოგი მოკვდა, ზოგი სულს ღაფავდა. აქაბ მეფე ცდილობს ქვეყანას რაიმეთი დაეხმაროს *«და მოუწოდა აქაბ აბდიას ... და ჰრქუა მეფემან აქაბ აბდიას: მოვედ და ვიქცეოდით ყოველსა მას ქუეყანასა წყაროსთავთა წყალთასა და ნაღვარევთა და ჰე, თუმცა ვპოოთ ... და განიყვნენ სლვად გზათა და აქაბ წარვიდა გზასა ერთსა მარტო და აბდია სხუასა გზასა მარტო»* (3 მეფ. 18, 3-6) რა კარგი მეფეა, რა კარგი მამაა თავისი ხალხისა! ის ირჯება და საკვების საძებნელად თვითონ მიდის! არა, ჩემო მსმენელებო, ჩვენ ვცდებით! იცით, რის საძებნელად მიდის აქაბ მეფე? თავისი ცხენების და ხარებისთვის თივა უნდა იპოვოს; *«და იყო მოსრვასა მას იეზაბელისასა წინასწარმეტყველთა მათ უფლისათა დამალა აბდია ასი კაცი წინასწარმეტყველთაგანი ერგასის-ერგასისი თითოსა ქვაბსა და ზრდიდა მათ პურითა და წყლითა»* (3 მეფ. 18, 4). ოჰ, ნეტავ ადამიანთა შორის მხოლოდ მცირე ნაწილს გაეზიარებინა აქაბის არაადამიანური აზრები. მათ შორის რამდენი ზრუნავს უფრო მეტად ცხოველებზე, ვიდრე ადამიანებზე! განა იმ ხარჯიდან, რაც ცხენებისა და მონადირე ძაღლების მოვლას ხმარდება, არ შეიძლება ცოტაოდენი ქვრივ-ობლების გამოკვებას მოხმარდეს? მაგრამ ასე მოითხოვს ქვეყანა და ეს სრულდება, მაგრამ რაც აუცილებელია სულისთვის _ არ სრულდება. ის, რასაც გაუმაძღარი მხეცების გამოსაკვებად გაიღებენ, უმჯობესი არ იქნებოდა დატუსაღებული მოვალეს გამოხსნისთვის, ან ღარიბი ქალწულის გათხოვებისთვის გამოეყენებინათ? მაგრამ სრულდება არა სულის, არამედ ქვეყნის მოთხოვნა. ის, რაც სანახაობებზე და გარყვნილებაზე იხარჯება, განა არ ჯობდა ეკლესიებს და მონასტრებს მისცემოდა? მაგრამ პირველი სურს ქვეყანას და ის სრულდება, მეორე კი სულისთვის არის საჭირო და ამიტომაც ამას არავინ ასრულებს. ყველა იმ ცუდ მეფე აქაბს ბაძავს, რომელიც სიყმილის ჟამს თავისი ცხენებისა და ხარების გამოკვებაზე ფიქრობდა, მაგრამ არავინ ბაძავს კეთილ აღმშენებელ აბდიას, რომელიც ას მშიერ წინასწარმეტყველს აპურებდა. რასაც ქვეყანა მოითხოვს, სრულდება, ხოლო რაც სულს უნდა _ არა. ყველაფერი სხეულის მოკაზმვასა და სანოვაგეს ხმარდება, მაგრამ არაფერი იხარჯება _ მოწყალებაზე.

ჰოი ადამიანის უსამართლობავ! ჰოი, უბედურებავ სულისა, ადამიანო! შენი სული კეთილ საქმეთა შიმშილით იღუპება და ეს შენ არ გეხება? ამის შემდეგ ფიქრობ და იღწვი იმისათვის, რომ დააპურო პირუტყვი, რომლებიც შენს წყალობას ვერ მიხვდებიან? ბასილი დიდი გეუბნება, რომ პირიქით უნდა მოიქცე: «სხვა რა უნდა აკეთო, თუ არა ის, რომ ყველა საქმე გადადო და შენს სულზე იზრუნო?»

ჯვარცმულო იესოვ ჩემო, ძეო ღვთისა ცხოველისაო! შენ შენი სუნთქვა მოგვეცი, რათა ეს სული შეგექმნა; შენი სისხლი დათხიე, რათა ის გამოგესყიდა, ღვთაებრივი ნათლისღების ემბაზი გვიბოძე, რათა ის განგვებანა, მეორე ნათლისღება _ სინანული დააწესე, რათა ის განგვეწმინდა, შენი ყოვლადწმინდა საიდუმლოების ტრაპეზი განგვიმზადე, რათა ის განგეძღო; აქ ეკლესია მოაწყე, რათა ის გეკურთხებინა; იქ კი _ სამოთხე, რათა მისთვის ნეტარება მიგემადლებინა; შენ ყველაფერი გააკეთე, რისი გაკეთებაც უკიდურეს სიკეთეს შეეძლო, იმისათვის, რათა ეს სული გეხსნა. ჩვენ კი ყველაფერს ჩავდივართ, რისი ჩადენაც შეუძლია ჩვენს უკიდურეს ბოროტებას, რათა ის დავღუპოთ! საუკუნო სასიძოვ ჩვენი სულებისა, ეს არ მოხდება! გვიჯობს ყველაფერი დავკარგოთ, მაგრამ სული შევინარჩუნოთ. რამეთუ მისი ერთხელ გადარჩენით მას სამუდამოდ გადავარჩენთ *«რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თჳსი იზღვიოს?»* შენი მადლი მოგვფინე, რათა ის შენი სასუფევლისთვის მოვიხვეჭოთ. ამინ!

სიტყვა მარხვის მეოთხე კვირას

აღსარების შესახებ

«მოძღუარ! მოვიყვანე ძე ჩემი შენდა,
რომლისა თანა არა არს სული უტყუებისა»
(მრკ. 9, 17)

«დიადი უსაფრთხოება კანონების წინაშე შიშში მდგომარეობს», _ თქვა რომელიღაც ბრძენმა. ვისაც ეშინია კანონების, იმას არ ეშინია მათგან მოწევნული არანაირი სასჯელისა. საშინელია მსაჯული, საშინელია სამსჯავრო. დაე, იმას ეშინოდეს სამსჯავროსი და მსაჯულისა, ვისაც ცხოვრების გატარება მსაჯულის მრისხანებისა და სამსჯავროს სასჯელის წინაშე შიშის გარეშე უნდა. მახსოვს, როგორღაც განგიმარტეთ, თუ რა შიშის ზარი იმეფებს ქრისტეს მეორედ მოსვლისას, როცა მსაჯული იქნება თვით ღმერთი, რამეთუ სამსჯავროსა და მისაგებელს აღასრულებს _ სიმართლე, ხოლო განსჯილი იქნება გაუმართლებელი დამნაშავე _ ცოდვილი, რამეთუ მისი სინდისი ამხელს მას. დღეს მინდა გითხრათ: იმისთვის, რომ არ გეშინოდეთ საშინელი მსაჯულისა და საშინელი სამსჯავროსი, არ არსებობს სხვა საშუალება, გარდა იმისა, რომ გეშინოდეთ მათი!! დიადი უსაფრთხოება კანონების წინაშე შიშში მდგომარეობს. რა აღძრავს ჩვენში ესოდენ დიდ შიშს ქრისტეს მეორედ მოსვლის წინაშე? _ ჩვენი ცოდვები. მაშ ახლავე დავუტევოთ ისინი, რათა მაშინ ჩვენი სინდისის განკითხვისა და ბრალდების, სამსჯავროსი და ღვთაებრივი სიმართლისაგან მოსაგებელის არ გვეშინოდეს. მაგრამ ცოდვათა დატევება ჩვენ არ ძალგვიძს წმინდა აღსარების შემწეობის გარეშე. მადლი საიდუმლოსი იმ უწმინდურ სულს განაგდებს, რომელიც არ გვანებებს ჩვენი ვნებების აღიარებას, რათა მივიღოთ კურნება.

ყველა ცოდვისთვის, რომელსაც ჩვენ, ადამიანები, ჩავდივართ, ღმერთმა ორი სამსჯავრო დაადგინა: ერთი დედამიწაზე _ წმინდა აღსარებაში; მეორე _ ზეცაში, _ მეორედ მოსვლის ჟამს. აქ ზის ადამიანი, მსაჯული, აღსავსე ლმობიერებით; იქ დაბრძანებულია მსაჯული ღმერთი! აქ ცოდვილი მიტევებას ღებულობს, იქ _ ისჯება, ეს გარდაუვალია. ჩვენ განვისჯებით ამ ან იმ სამსჯავროზე; იმაზედაც ისმინეთ, თუ რა არის აღსარება. დღეს მინდა სამ გარემოებაზე მიგითითოთ. პირველი: ვიდრე მოძღვართან მივიდოდეს, რა უნდა ქნას იმან, ვისაც გულწრფელი და სრულყოფილი აღსარება უნდა; მეორე _ რა უნდა მოიმოქმედოს, როცა მოძღვართან იმყოფება; მესამე _ რა უნდა გააკეთოს მას შემდეგ, რაც მოძღვრისგან წავა. შემდგომ ამისა ორივე სამსჯავროს თქვენი არჩევანის წინაშე წარვადგენ, აირჩიეთ, რომელიც გენებოთ.

ყოველი ერის დიადი მასწავლებლის, ნეტარი პავლეს მაგალითის მიხედვით, რომელიც ამბობს: *«ბრძენთა და უგუნურთა თანამდებ ვარ»* (ჰრომ 1, 14) _ მეც ზოგადად, უბრალოდ შეგაგონებთ, რათა ყველამ გაიგოს ჩემი. წინანდელთან შედარებით გაცილებით მარტივად ვისაუბრებ, რამეთუ მინდა ჩემი სიტყვები გასაგები იყოს კაცებისათვის და ქალებისათვის, სწავლულებისა და უსწავლელთათვის, დიდებისა და პატარებისათვის, ვინაიდან საკითხი აღსარების შესახებ ყველას თანაბრად ეხება.

I

ნათლად წარმომიდგენია, რა გასაჭირში იყო დავით მეფე, როცა მასთან ღვთის სახელით წინასწარმეტყველი მივიდა და საშინელი გადაწყვეტილება მიუტანა, და მოკრძალებული სუსანა, როცა იგი ბინძურ ცილისმწამებლებს ხელში ჩაუვარდა. ცოდვისთვის, რომელიც დავითმა ისრაელელთა აღრაცხვით ჩაიდინა, ღმერთმა მისი დასჯა ინება, მასთან წინასწარმეტყველი წარგზავნა სათქმელად: «დავით, შენ შესცოდე და მე წარმოგზავნილ ვარ ღვთისაგან სათქმელად იმისა, რომ ცოდვებისთვის საზღაურის ჟამი დაგიდგა: ან სამწლიანი შიმშილი მთელ სამეფოში, ან სამთვიანი დევნა მტერთაგან, ან სამდღიანი შავი ჭირი, ამ სამიდან სურვილისამებრ აირჩიე». სანამ დავითი ფიქრობს ამაზე, ბაბილონში გადავიდეთ, შევიდეთ იოაკიმის ბაღში, სადაც ზის და განიბანება მშვენიერი ცოლი მისი სუსანა. აქ უჩუმრად შემოდის ორი ბერიკაცი, ეშმაკის ორი ჭურჭელი, რომელთა გულებშიც უკვე კარგა ხანია სატანური ავხორცობა ანთებულა. მათ მარჯვე შემთხვევა და საშუალება შეარჩიეს, უეცრად ისკუპეს, ჩამოხტნენ ბაღში, სადაც სუსანა მარტო იყო და უთხრეს: «დადგა დრო, რომელსაც დიდხანს ველოდით, შეასრულე ჩვენი სურვილი, თუ არადა შენს ქმარს ვეტყვით, რომ აქ ერთ ჭაბუკთან ერთად გიპოვეთ და კანონის მიხედვით ჩაგქოლავენ, აირჩიე ამ ორიდან რომელიც გინდა».

დავით რა გადაწყვიტე? სამი უდიდესი ბოროტებიდან _ შიმშილიდან, დევნიდან და შავი ჭირიდან _ რომელი აირჩიე? სუსანა, შენ როგორღა გგონია? აი, ორი დიდი უბედურება _ ან სიცოცხლე დაკარგო, ან ღირსება. შენ რას აირჩევ? *«სამივე სიმძიმე არს ჩემ ზედა»* (2 მეფ. 24, 14) პასუხობს დავითი. დიდი შეჭირვებაა იქაც და აქაც. სამი თვე მდევს მტერი, ფიქრობდა დავითი, მათ ხელში რომ ჩავვარდე?.. სამწლიანი შიმშილი ან სამდღიანი შავი ჭირი? _ აქ კი ღვთის ხელში ვარ! არ ვიცი რა გადავწყვიტო, ფიქრობდა სუსანა, თუკი შევცოდავ, ღვთის ხელში ჩავვარდები, თუ არ შევცოდავ _ ადამიანთა ხელში. შეჭირვებული ვარ ყოველმხრივ (დან. 13,22), არ ვიცი, რა ვთქვა!

დავითი: _ გადავწყვიტე, დაე ღმერთმა ჩემზე შავი ჭირი დაუშვას, ეს უმჯობესია, ვიდრე მტერმა მდევნოს. ჩემს საქმეს ჩემი მსაჯულის ხელებს უფრო დავანებებ, ვიდრე მტრებისას

«უმჯობეს არს ჩემდა შევრდომა ჴელთა უფლისათა... ნუმცა შევარდები მე ჴელთა კაცთასა» (2 მეფ. 24, 14).

მეც გადავწყვიტე _ ამბობს სუსანა. დაე, ცილი დამწამონ ქმრის წინაშე, ჩამქოლონ, მე მაინც არ შევცოდავ, უმჯობესია, ადამიანების ხელში ჩავვარდე, ვიდრე ღვთისა: *«მიჯობს თქვენს ხელში ჩავვარდე, ვიდრე უფლის წინაშე შევცოდო»* (დან. 13, 23).

ეს ორნი ხომ არ ეწინააღმდეგებიან ურთიერთს? დიახ, მაგრამ ორივენი ხომ სწორს ამბობენ? სუსანა ამბობს, რომ ღვთის ხელში ჩავარდნას ადამიანთა ხელში ჩავარდნა სჯობს, მაგრამ როდის ამბობს? ცოდვამდე, მაშ ასე, ვიდრე შესცოდავს, ვიდრე ადამიანი უდანაშაულოა და სუფთა, მისთვის ათასჯერ უმჯობესია ადამიანთა ხელში ჩავარდნა, ანუ იყოს ცილისწამებული და ჩაქოლილი, ვიდრე ცოდვის ჩადენით ღვთის ხელში ჩავარდეს, ანუ შეურაცხყოს იგი, განარისხოს, მისი მტერი შეიქნას.

არშემცოდესთვის არ არის საშიში კაცთა ხელში ჩავარდნა; მათ უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ სხეულის მოკვდინება შეუძლიათ, მაგრამ არა სულისა. ამიტომაც ამბობს ქრისტე: *«და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყჳდნენ ჴორცნი, ხოლო სულისა ვერ ჴელ-ეწიფების მოკლვად»* (მთ. 10, 28) მაგრამ *«საშინელ არს შევრდომაჲ ხელთა ღმრთისა ცხოველისათა»* (ებრ. 10, 31), რომელსაც არა მხოლოდ განგმირვა შეუძლია სხეულისა დროებითი სიკვდილით, არამედ სულისაც _ საუკუნო წარწყმედით. კაცთაგან სიძულვილი ჯერ კიდევ არ არის დიდი ბოროტება, რამეთუ ის უძლურია და დროებითი. ღვთისგან განდგომა არის ბოროტება აუტანელი და უმძიმესი, ამბობს ოქროპირი, _ «საუკუნო ტანჯვაზე უმძიმესი». ამიტომაც სრულიად კეთილგონივრულად ლაპარაკობს სუსანა, რომ არ სურს ცოდვაში ჩავარდნა და ამას ადამიანთა ხელში ჩავარდნას ამჯობინებს. მეორე მხრივ, დავითი ამბობს, რომ ღვთის ხელში ჩავარდნა სჯობს ადამიანთა ხელში ჩავარდნას. როდის ამბობს? მას შემდეგ, რაც შესცოდა. მაშ ასე, ადამიანისთვის, რომელმაც შესცოდა, უმჯობესია ღვთის ხელში ჩავარდნა, რომელიც ბუნებითად კაცთმოყვარეა, რომლის რისხვა ერთი ცრემლითაც შეიძლება ჩააქრო, *«შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყალე»* (ფს. 102, 8), დიახ, უმჯობესია, ვიდრე ჩავარდე უგულო, არასდროს თანამგრძნობი ადამიანების ხელში, რომლებსაც ბოროტება მუდამ ახსოვთ. სწორედ ამბობდა დავითი, რომ თუმცაღა შესცოდა, უჯობს, ღვთის ხელში ჩავარდეს, ვიდრე კაცისა *«ნუმცა შევარდები მე ხელთა კაცთასა»*.

ამიტომ ქრისტიანო, ცოდვის ჩადენამდე ცოდვას ერიდე, გეშინოდეს ღვთის სიმართლისა, როგორც სუსანას, რათა ამ სიმართლემ არ დაგსაჯოს და ცოდვას ცხოვრებისეული ხიფათი ამჯობინე. მაგრამ თუკი შესცოდავ, შენც დავითივით იმედი გქონდეს ღვთის მრავალმოწყალებისა და მიტევებას მიიღებ. დავითს სიძვა და მკვლელობა მიეტევა, მანასეს _ კერპთაყვანისცემლობა, მეზვერეს _ ქრთამი, მრუშს _ თავისი ბინძური საქმეები, ყაჩაღს _ მის მიერ ჩადენილი მრავალი ბოროტება. ისინიც კი, ვინც ქრისტე ჯვარს აცვა, მიიღებდნენ მიტევებას, გულწრფელად რომ მოენანიებინათ «ჩავვარდეთ უფლის ხელში და არა კაცთა ხელში, რადგან რა დიდიცაა იგი, იმგვარივეა წყალობა მისი» _ (ზირ. 2, 18) გვირჩევს ბრძენი ძე ზირაქისა. ამისთვის გააკეთე მხოლოდ ერთი საქმე, მეტად იოლი: დანებდი ღვთის ხელებს ჭეშმარიტი, სრული სინანულით.

ვიდრე მოძღვართან მიხვიდოდე, კარგად მომისმინე, რა უნდა გააკეთო! ქრისტეს მოციქულებიდან ფრიად შესცოდა ორმა: იუდამ, რომელმაც ის ოცდაათ ვერცხლად გაყიდა და პეტრემ, რომელმაც სამგზის უარყო იგი. მაგრამ ამ ორიდან ერთს _ პეტრეს მიეტევა და

კვლავ მიიღო მოციქულის ღირსება, კვლავ გახდა ქრისტეს მოწაფე და მეგობარი. მეორე კი, იუდა, მიუტევებელი დარჩა, თავი ჩამოიხრჩო, თავისი უბედური სხეული ხეზე დატოვა, სული კი საუკუნო ტანჯვისთვის გაწირა. პეტრემ ასეთი წყალობა მიიღო, ხოლო იუდა უღირსი შეიქნა _ რატომ? რა უნდა გაეკეთებინა ამ უბედურს და არ გააკეთა? უნდა მოენანიებინა თავისი ცოდვა? _ მოინანია, ღიად თქვა, რომ შესცოდა: *«ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი»* (მთ. 27, 4). ამ აღიარებასთან ერთად მან დააბრუნა, უკანვე მისცა გაცემაში მიღებული ოცდაათი ვერცხლი: «და დააბნია ვერცხლი იგი ტაძარსა მას შინა» (მთ. 27, 5). აღიაროს და აღებული დააბრუნოს, ნუთუ ამ აღსარებას არასაკმარისად თვლით? თქვენ ყველანი განა ასე არ იქცევით? ასეთი წესი დადგინდა და ვინც საწინააღმდეგოს ამბობს, განმაახლებლობისთვის განკვეთთ ეკლესიიდან. კეთილი, მაგრამ გთხოვთ, იფიქროთ ორ გარემოებაზე. მღვდელმთავარმა, რომელმაც იუდასგან ფული დაიბრუნა, იყიდა *«აგარაკი იგი მეკეცისაი»* და უცხოელთა დასამარხად სასაფლაო მოაწყო _ *«საფლავად უცხოთა»* (მთ. 27, 7). განა უკეთესი არ იქნებოდა, ვენახი ან ყანა ეყიდა, რომ მოსავალი მოეწია? ან სახლი, რომელიც შემოსავალს მოიტანდა, მაგრამ მათ უცხოთა დასამარხად მინდორი იყიდეს, რომელსაც არ მოაქვს ნაყოფი, რამეთუ არ იხვნება და არ მოაქვს შემოსავალი, რადგან არ ქირავდება. ეს საიდუმლოა, რათა გულისხმა ჰყოთ, რომ ადგილი, რომელზეც ქრისტეს ვერაგულად გაცემის ფასად მონაგები ფული დავარდება, ნაყოფს არ მოიწევს, შემოსავალს არ მოიტანს. ის ხდება უბედური ადგილი, არ მოაქვს არანაირი სიკეთე თავისი მფლობელისათვის. ის მხოლოდ თავშესაფარია და უცხოს ერთგვარ დახმარებას უწევს, მხოლოდ «საფლავად უცხოთა» გამოდგების; საერთოდ კი უდაბურ, დაუსახლებელ ადგილად იქცევა, ფსალმუნის წინასწარმეტყველებით: *«იყავნ სამკვიდრებელი მათი ოხერ, და საყოფელთა მათთა ნუ იყოფინ მკვიდრი»* (ფს. 68, 25). მეორე მხრივ, იუდა დაისაჯა სულიერადაც და სხეულებრივადაც. რა სახის სიკვდილი ეწია უბედურს? ჩამომხრჩვალი კარგა ხანს ეკიდა ხეზე, შემდეგ მუცელი გაუსკდა, შიგნეული მიწაზე გადმოიყარა და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა საუკუნო ცეცხლში მისი საძაგელი სული _ *«წარვიდა და შიშთვილ-იბა»* (მთ. 27, 5); *«და განსივნა და განსთქდა შორის, და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი»* (საქ. 1, 18). ესე იგი აღსარებამ მას სრულიადაც ვერ უშველა.

რაღა გააკეთე პეტრემ, რომელსაც მიეტევა? ის კაიაფას ეზოში იდგა და თბებოდა. მან სამგზის უარყო: *«არა ვიცი კაცი ესე»* (მრკ. 14, 71), მაგრამ როცა მესამედ გაიგონა მამლის ყივილი, გაახსენდა, რაც უწინასწარმეტყველა ქრისტემ, თავისი ცოდვა შეიგნო, გულისტკივილმა განმსჭვალა, იმწამსვე ეზოდან გამოენთო, მყის გამოეყო ბოროტ მსახურთა ბრბოს, განეშორა, კარგად იფიქრა იმაზე, რაც ჩაიდინა და მწარედ ატირდა: *«და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ»* (მთ. 26, 75). არსებობს გარდამოცემა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, ყოველთვის, როცა კი მამლის ყივილს გაიგონებდა, მას თავისი ცოდვა აგონდებოდა და თვალნი მისნი ცხარე ცრემლთა წყაროებად იქცეოდა _ ის მწარედ ტიროდა. ასეთმა აღსარებამ დიდი სარგებლობა მოიტანა: შემდგომში, როცა აღმდგარმა ქრისტემ სამგზის ჰკითხა: «სვიმონ... გიყუარ მეა?» (ინ. 21, 15), გრიგოლ ღვთისმეტყველის თქმით ამ სამგზის შეკითხვით მან პეტრეს მიერ სამგზის უარყოფა გამოასწორა, ხოლო როცა ქრისტემ უთხრა: *«აძოვენ კრავნი ჩემნი... დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი»* (ინ. 21, 15-16) _ მას უწინდელი ხელისუფლება და პატივი მიენიჭა მოციქულისა _ ამბობს ოქროპირი.

ჰოი, ქრისტიანო, გულისხმაჰყავ, რომ ჭეშმარიტი და სრული აღსარება, რომელიც ცოდვათა მოტევებას მოგვმადლის, რომელსაც ღვთის მადლთან და სიყვარულთან მივყავართ, არ მდგომარეობს იმაში, რომ მხოლოდ აღიარო შენი ცოდვები, რამეთუ ეს ბაგით და არა გულით აღსარებაა, ჩვეული და არა შემუსვრილებითი; არც იმაში, რომ შენი ცოდვები ფულით გამოისყიდო, თითქოსდა აღსარება სავაჭრო საქმე იყოს, ხოლო მოძღვარნი _ მკრეხელნი, მოვაჭრენი, როგორც ამბობს წმ. პავლე. ის მათზე ლაპარაკობს, როგორც ადამიანებზე, *«რომელნი ჰგონებენ, ვითარმედ სარეწავ არს ღმრთის მსახურებაჲ»* (1 ტიმ. 6, 5). ძმაო, შენ ცდები! ეს აღსარება მხოლოდ გარეგნულია და იუდას სინანულის მსგავსად ამაო და უნაყოფო. მონანიება, როგორც ვთქვი, იმაში მდგომარეობს, რომ ისე მოვიქცეთ, როგორც პეტრე მოიქცა: ცოდვა შეიგნო თუ არა, იმწამს გამოვიდა მღვდელმთავრის იმ დაწყევლილი სახლიდან, სადაც მან ქრისტე, ღვთაებრივი მასწავლებელი, უარყო: *«და გამოვიდა გარე»*. შენც, როცა აღსარებაზე წასვლა გსურს, მაშინვე გამოდი იმ დაწყევლილი სახლიდან, სადაც მრუშის გულისთვის ღმერთს უარყოფ არა სამგზის, არამედ ყოველდღე. გამოდი არა მხოლოდ სხეულით, არამედ გონებითა და გულით. *«და გამოვიდა გარე»*. პეტრე ჩამოსცილდა უღირს ჯარისკაცთა და მსახურთა ბრბოს, რომლებმაც ქრისტე შეიპყრეს; შენც წამოდი იმ ცუდი საზოგადოებიდან, გარყვნილი ამხანაგობიდან, წარსაწყმედლის იმ გზიდან გადადი, რომელზეც აქამდე ცხოვრობდი, როგორც უძღები. *«და გამოვიდა გარე»,* პეტრე განზე გადგა და მარტო დარჩენილი კარგად ჩაუფიქრდა იმ დიდ ბოროტებას, რომელიც ჩაიდინა, დამწუხრდა, შემუსვრილებით განიმსჭვალა, მწარედ ატირდა. ეს ნიშნავს, რომ ორიოდ ცრემლი კი არ ჩამოაგდო, არამედ მთელი თავისი გული ამოღვარა ცრემლებად. *«და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ».* შენ კი, მოძღვართან სიარულს ყოველგვარი მომზადების გარეშე რომ მიეჩვიე, წინასწარ განმარტოვდი ერთი საათით, ყველა ზრუნვა დაუტევე, დაფანტული გონება მოიკრიბე, ილოცე და ღმერთს განათლება შესთხოვე, რათა შენი ცოდვები გაიხსენო, და თუ მიხვდები, რომ მეხსიერება სუსტი გაქვს, ქაღალდზე დაწერე. იოანე კიბისაღმწერელი ამბობს, რომ მისი მონასტრის მონაზვნები ქამარზე პატარა რვეულებს ატარებდნენ, რომელშიც თავიანთი აზრები შეჰქონდათ ყოველ წუთს და შემდეგ წინამძღვარს ამცნობდნენ. თვალწინ გქონდეს უფლის ათი მცნება და დააკვირდი, რომელს გადააბიჯე; გონებაში გქონდეს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და იფიქრე, რომელი ჩაიდინე; კარგად გამოსცადე საკუთარი სინდისი, რა დააშავე გონებით, რა შესცოდე ღვთის, მოყვასისა და საკუთარი თავის წინაშე; თუკი ვინმეს მიმართ მტრობა გაქვს, მთელი არსებით მიუტევე; თუ სხვისი ნივთი გაქვს, დააბრუნე, თუკი ვისიმე ღირსებას შეეხე, გამოასწორე ბოროტება, რომელიც ჩაიდინე; შეწუხდი, შეიმუსრე, ამოიოხრე, იტირე მწარედ. და ყოველივე ამასთან ერთად დაადანაშაულე საკუთარი თავი, განიშორე შენი უწინდელი ცოდვები, მტკიცედ გადაწყვიტე, მეტად აღარ ჩაიდინო ისინი. ამ განწყობითა და მომზადებით მიდი მოძღვართან აღსარებისთვის და დარწმუნებული იყავი, რომ მიიღებ მიტევებას, რამეთუ *«გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს»* (ფს. 50, 17). მოკლედ რომ ვთქვათ, მოძღვართან წასვლა გინდა? მიიტანე არა სიტყვები და ვერცხლი, როგორც იუდამ, არამედ საქმე და ცრემლი, ვითარცა პეტრემ.

და მოძღვრის წინაშე წარმდგარმა განსაკუთრებულად უნდა იზრუნო იმაზე, რომ შენი აღსარება თავისუფალი იყოს ცრუ სირცხვილისა და მიზეზთა ძებნისაგან. სირცხვილის გარეშე _ ვიცი, რომ ამქვეყნად ჩვენ ყველანი ფარისევლობითა და პირმოთნეობით

ვცხოვრობთ. საქმით ერთს ვაკეთებთ, მაგრამ გვინდა სხვანაირი გამოვჩნდეთ. აი, სწორედ აქედან წარმოდგება ცრუ სირცხვილი, რომელიც აღსარების დროს გვეუფლება, სწორედ მაშინ გვრცხვენია ცოდვილებად თავის წარმოჩენა და ქვეყნის თვალში წმინდანებად გვინდა ვჩანდეთ; მიზეზთა ძებნის გარეშე _ ვიცი, რომ აღსარების დროს, საკუთარი ცოდვების გაცხადების დროსაც კი ვცდილობთ, ისინი სახეცვლილი წარმოვადგინოთ. ჩვენ ვაღიარებთ, რომ დავაშავეთ, მაგრამ დანაშაულს იმწამსვე გამართლებას ვუძებნით და ნაცვლად იმისა, რომ თავი დავიდანაშაულოთ, სხვებს ვდებთ ბრალს. მაგრამ განა ეს ისევ ის ცოდვა არ არის პირველმშობელთა?

შესცოდეს პირველმშობლებმა _ ადამმა და ევამ, გადააბიჯეს ღვთის მცნებას და იგემეს ხისაგან აკრძალული ნაყოფი. იმისთვის, რომ თავიანთი საქციელისათვის პასუხი მიუგონ, ღმერთი უხმობს მათ: *«ადამ, სადა ხარ?»* (დაბ. 3,9) ევა *«რაჲ ესე ჰყავ?»* (დაბ. 3, 13). ჰოი, მათ რომ მოშურნედ მოენანიებინათ ეს ცოდვა! ჰოი, რომ ეთქვა ადამს: შევცოდე, ღმერთო ჩემო! ევას რომ ეთქვა: შევცოდე, შემოქმედო ჩემო!.. მაგრამ მათ არ თქვეს ასე, რამეთუ მათ წინ სირცხვილი და მიზეზთა ძებნა ეღობებოდათ, მათ შერცხვათ და თვალს მიეფარნენ _ *«და დაიმალნეს ადამცა და ცოლი მისი პირისაგან უფლისა ღმრთისა»* (დაბ. 3,8). მათ მიზეზების ძებნა და ერთმანეთზე გადაბრალება დაიწყეს, _ მე არა ვარ მიზეზი, არამედ ცოლი ჩემი, რომელიც შენ მომეც. *«დედაკაცი, რომელი მომეც ჩემ თანა, მან მომცა მე ხისაგან და ვჭამე»* (დაბ. 3,12); მე არა ვარ დამნაშავე, პასუხობდა ევა, მე გველმა მაცდუნა: *«გუელმან მაცდუნა მე და ვჭამე»* (დაბ. 3, 13). ღვთის წყევლამოწევნული ადამი და ევა განიდევნენ (ვაგლახ!) სამოთხიდან. მიდის აღსარებისათვის რომელიმე ქრისტიანი, მას მოძღვარი გამოცდის: ადამ, სადა ხარ? რაი ჰქმენ, ევა? მათ რცხვენიათ, იმალებიან: ერთს შემოკლებით ყვებიან, მეორეს სულაც გვერდს უვლიან, მაგრამ სოლომონის პირით ამბობს სულიწმიდა: *«რომელი იფარვიდეს ურჩულოებასა თჳსსა, არა წარემართოს»* (იგავ. 28, 13). ბასილი დიდის სიტყვებით: ცოდვა ჭრილობას ჰგავს, ექიმმა თუ ვერ შენიშნა, ჩირქდება და საბოლოოდ უკურნებელი რჩება. «აუღიარებელი ბოროტება _ ეს ჩირქოვანი ავადმყოფობაა სულისა». ადამ, სადა ხარ? ევა, რა ჩაიდინე? ისინი ცოდვას მიზეზებს უძებნიან. მაცდუნებელი და სამარცხვინოა იმისი თქმა, რაც აღსარებაზე, განსაკუთრებით, ქალებისგან გვესმის. ერთი ქმარს ადანაშაულებს, მეორე _ დედამთილს, ის _ რძალს, ეს _ შვილს, მოსამსახურეს; *«გველმან მაცთუნა მე»*. რაოდენ დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეს მოძღვარს, როცა ისმენს ფუჭ სიტყვებს მონანული დედაკაცისას, რომელიც ლაპარაკობს ყველაფერზე, მაგრამ არა თავის ცოდვებზე. მაგრამ თუკი შენ, ევა, ან ნებისმიერო დედაკაცო, ბრალს სდებ სხვებს და არა საკუთარ თავს, ეს უკვე აღარ არის აღსარება, არამედ _ განკითხვა. ამგვარად, მოძღვართან ერთი ცოდვით მიდიხარ, მაგრამ ორით ბრუნდები. მიდიხარ ცოდვილი, ხოლო კიდევ უფრო ცოდვილი ბრუნდები.

რიღასი გრცხვენია? რისთვის იმართლებ თავს ქრისტიანო? შენ კეთილშობილი დიდებული ხარ და ამიტომაც არ გინდა, მავანმა იმ შენი საქციელის შესახებ იცოდეს, შენს ღირსებას რომ არ შეეფერება? მაგრამ დავითი ხომ მეფე იყო. მან ისიძვა, მკვლელობა ჩაიდინა და მაინც არ შერცხვა, მიზეზი არ უძებნია, თავისი ცოდვები რომ დაეფარა: *«უსჯულოებაჲ ჩემი არა დავფარე»* (ფს. 31, 5). მე შევცოდე, შევცოდე ღვთის წინაშე, უთხრა მან ნათან წინასწარმეტყველს, რომელიც მასთან სამხილებლად მივიდა ღვთის სახელით. სწორედ ამიტომაც მიუტევა ღვთის სახელით წინასწარმეტყველმა იმავ წუთს *«და*

უფალმანცა მიგიტევნა ცოდვანი შენნი» (2 მეფ. 12, 13). ჰოი, ქრისტიანო, რისთვის გესირცხვება და ეძებ გამართლებას?

აღიარების გრცხვენია? არა ძმაო, სირცხვილისა და მიზეზთა ძებნის გარეშე მოშურნედ ამოთქვი შენი ცოდვა, გამოტყდი, რომ არაფერი, გარდა შენი ბოროტი ნებისა, არ არის შენი ცოდვის მიზეზი.

აღიარებული ცოდვა აღარ არის ცოდვა, *«უფალმანცა მიგიტევნა ცოდვანი შენნი».* სირცხვილის გამო არასრულად მონანიებული ან თავის მართლებისათვის ცუდად მონანიებული ცოდვები კი ტანჯვაა. «ამოუთქმელი ბოროტება ჩირქოვანი ავადმყოფობაა სულისა».

მაგრამ აი, ღვთის შეწევნით შენ სირცხვილისა და მიზეზთა ძებნის გარეშე აღიარე. მოძღვრისაგან მიტევება, მისი დალოცვა მიიღე და მიდიხარ. რაღა დაგრჩა გასაკეთებელი? შენ გრჩება აუცილებელი; პირველ რიგში _ შეასრულო ეპიტიმია, რომელიც მოძღვარმა დაგაკისრა. ჭეშმარიტი მოძღვარი ისევე, როგორც გამოცდილი ექიმი, ორ განსაკუთრებულ თვისებას უნდა ფლობდეს: მსუბუქ ხელს და შეუმცდარ თვალს; მსუბუქ ხელს _ ანუ იყოს თანამგრძნობი, რამეთუ მოძღვრის თანაგრძნობა ფრიად სასარგებლოა. როგორც ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი: «შემწყნარებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხონებისათვის»; «სნეული უნდა განკურნო და არა შემუსრო», _ თქვა მანვე. შეუმცდარ თვალს _ ანუ იყოს დაკვირვებული, არჩევდეს სახეებს. მდიდარს მოწყალების გაცემის სახით დაადოს ეპიტიმია, ღარიბს _ მონანიების სახით, ძლიერს _ მარხვის სახით, უძლურს კი _ ლოცვის სახით. ვიმეორებ, უწინარეს ყოვლისა, მოძღვრის მიერ შენზე დაკისრებული ეპიტიმია უნდა შეასრულო; მეორე _ შენი ცხოვრება გამოასწორო. სხვაგვარად ის, რაც შენ გააკეთე, იქნება არა აღსარება, არამედ ფუჭადმეტყველება. «მხოლოდ და მხოლოდ ფუჭადმეტყ-ველებაა, როცა მავანი აღიარებს, მაგრამ არ სწორდება» _ ამბობს ბასილი დიდი. გა-მოსწორების საქმეში ორი მთავარი პუნქტი უნდა გამოჰყო. პირველ რიგში, თუ ვინმეს წაეჩხუბე, რაც მან დაგიშავა, ყველაფერი მთელი გულით უნდა მიუტევო, რამეთუ შენც მოგეტევება. *«უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი»* (მთ. 6, 14-15). იცით თუ არა, რა ხდება ამ დროს?

ორი ათენელის _ არისტიდესა* და თემისტოკლეს** შორის დიდი მტრობა და უთანხმოება იყო. სამშობლომ ისინი ფრიად მნიშვნელოვან საქმეთა გამო ელჩებად აირჩია, მათთვის აუცილებელი იყო შერიგება. მაშინ არისტიდემ უთხრა თემისტოკლეს: «თემისტოკლე, ჩვენი ურთიერთმტრობა აქ, საზღვარზე დავტოვოთ, ხოლო დაბრუნებისას, თუ გინდა, ისევ უკანვე აიღე». ასეც მოიქცნენ; თავიანთი მტრობა საზღვარზე დატოვეს და მამულის საქმე თანხმობით აღასრულეს. უკან დაბრუნებულები კი ისევ მტრები გახდნენ. იმავეს აკეთებს ორი ქრისტიანი, ერთმანეთის დაუძინებელი მტრები, ვერაფრით რომ

---

* არისტიდე (დაახლ. 540-467 ქ. შ.მდე) ათენელი მხედართმთავარი თემისტოკლეს პოლიტიკური მოწინააღმდეგე დელოსის კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

** თემისტოკლე (დაახლ. 525-460 ქ. შ.მდე) ათენელი მხედართმთავარი, დემოკრატიული დაჯგუფების ბელადი საბერძნეთ-სპარსეთის ომების პერიოდში (493-492 წ.). არქონტი და სტრატეგი ერთდროულად. გადამწყვეტი როლი ითამაშა საბერძნეთის წინააღმდეგობის ძალების ორგანიზებაში. მიაღწია ათენის გადაქცევას საზღვაო სახელმწიფოდ, შექმნა დელოსის კავშირი.

რიგდებიან. როცა აღსარების დრო დგება, ისინი თავიანთ მტრობას დაუტევებენ, მაგრამ სად? ეკლესიის ზღურბლთან. ისინი თანხმობით ეზიარებიან, ერთმანეთს მიტევებას სთხოვენ; იქიდან გამოსულები კი მტრობას, რომელიც მათ კარებთან დატოვეს, კვლავ იღებენ და ძველებურად მტრები ხდებიან. მეორე _ ზოგიერთის მიმართ ცოდვიან სიყვარულს განიცდი და მეგობრობ? დაუტევე, უარჰყავ ისინი სამუდამოდ, რამეთუ შენ არ ძალგიძს გიყვარდეს ერთდროულად მრუში და უფალი. ერთხელ ერთი ბრძენი შორეულ გზას დაადგა. ზღვაზე ქარიშხალი ატყდა და იგი დახრჩობის საფრთხის წინაშე დადგა, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა და შინ მშვიდობით დაბრუნდა. მისი სახლის ერთი სარკმლიდან ზღვა მოჩანდა. ამას ისევ სამოგზაუროდ რომ არ ეცდუნებინა, ფანჯრის ამოქოლვა ბრძანა. ჰოი, ქრისტიანო, ამ მწარე სიყვარულში რამდენგზის დამდგარხარ სიცოცხლისა და სულის დაკარგვის წინაშე! გადარჩი? მაშ გაექეც ცდუნებას, იმ გზას ნუღარ დაადგები, ნუღარ შეხვალ იმავე კარში, იმ სარკმლიდან ნუღარ გაიხედავ, თვალი კარგად დახუჭე, რათა გულში ისევ არ შემოგიძვრეს გველი! წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, რაც შენ გააკეთე, არა აღსარება, არამედ ამაოდმეტყველება იქნება. და ბოლოს, ხელთ სხვისი ნივთი გაქვს? აწყენინე ვინმეს? დაუბრუნე, რამეთუ სხვაგვარად შეუძლებელია მიტევების მიღება. არა მხოლოდ მოძღვარს, უბრალო მღვდელს, არამედ პატრიარქს, მთელ სამღვდელოებას, ყველა ზეციურ ანგელოზსაც არ ხელეწიფება შენი მიტევება, თუ სხვისას არ დააბრუნებ. თვით ღმერთსაც კი, თუ შეიძლება ითქვას, არ შეუძლია ეს გააკეთოს; ის _ მართლმსაჯულია, თავად _ მართლმსაჯულებაა, ამიტომ არ შეუძლია უსამართლო რამ გისურვოს. არა, უსამართლობის ბორკილი გაუხსნელია! ადამიანი, რომელმაც გლახაკს რაიმე წაართვა, მოკვდა. ღმერთმა სასწაულის აღსრულება ინება და ის აღადგინა. მიდის მასთან გლახაკი და თავის ნივთს უკანვე ითხოვს, იმას კი დაბრუნება არ უნდა. ორივენი სასამართლოში მიდიან. ისევ ვკითხულობ: ეს მაწყენარი ადამიანი ვალდებულია თუ არა, სხვისი ნივთი დააბრუნოს? დიახ, მან ეს უნდა გააკეთოს, ამბობენ ღვთისმეტყველნი, რამეთუ ეს მისი სულიერი ვალია, რომელიც ძალაში რჩება იქამდე, ვიდრე ცოცხლობს სული. სული უკვდავია და აქედან გამომდინარე, მისი ვალიც მარადიულია. ის ვალდებულია, წართმეული დააბრუნოს თავისი ცხოვრების მანძილზე და სიკვდილის შემდგომაც, მომავალ სამსჯავრომდე. ის მოკვდა _ ვალდებული იყო, აღდგა _ ისევ ვალდებულია. ათასჯერ რომ მოკვდეს და აღდგეს, ვალი ყოველთვის ძალაში დარჩება. ასე რომ, სიკვდილს არ შეუძლია უსამართლობის იმ საკვრელის გახსნა, რომელიც სიცოცხლეში განუხსნელი რჩება. შენ ღვთის სახელს გმობ, რწმენას შორდები? _ განმეორებით ჯვარს აცვამ ქრისტეს; განა არის ცოდვა ამაზე მეტი და მაინც, თუ იტყვი და მოინანიებ, მოძღვარს აქვს საკმარისი ხელმწიფება, რომ მოგიტევოს. მაგრამ თუკი შენ გაქვს სხვისი ნივთი, აღიარებ ამას, მაგრამ არ აბრუნებ, მას არა აქვს ხელმწიფება შენი მიტევებისა. რატომ? იმიტომ, რომ ცოდვებით (პირველი რიგის) ღმერთს შეურაცხყოფ. ყოველივესთან დამოკიდებულებაში, რასაც ადამიანები მის წინააღმდეგ აკეთებენ, ღმერთმა თავის წარმომადგენლად მოძღვარი დაადგინა, ისეთი ხელისუფლება მიმადლა, რომ რასაც განხსნის, განხსნილია და რასაც შეკრავს _ შეკრული. მოძღვარს, როგორც უფლის წარმომადგენელს, შეუძლია მიუტევოს ღვთის წინაშე ჩადენილი ცოდვები, მაგრამ შენ ნაწყენი გლახაკის ნივთს შენთან აყოვნებ. გლახაკს მოძღვარი თავის რწმუნებულად არ დაუდგენია და უფლება არ მიუცია, ეპატიებინა შენთვის. ამიტომ მოძღვარს, რომელიც არ არის გლახაკის რწმუნებული, არ შეუძლია მოგიტევოს. შენ ორმოცდღიანს უკვეთავ, ამდენ

შემოწირულობას გაიღებ მონასტრებზე, იმედოვნებ, რომ ამით დაიმსახურებ მიტევებას? ჩუმად იყავი, არანაირი კანონი _ არც ღვთისა, არც კაცისა, ნებას არ გაძლევს გააჩუქო სხვისი ნივთი. გლახაკის ნივთი, რომელსაც აყოვნებ _ სხვისია. ვის შეუძლია ის გააჩუქოს? თუკი ათი მცნება, რომელიც სხვისი ნივთის არა მხოლოდ აღებას, მოსურვებასაც გვიკრძალავს, ცარიელი გამონაგონია, მაშინ მართალი ხარ. მოძღვარი, რომელიც მოგიტევებს და თავის სარგებელს იღებს, გონიერი ადამიანია, რომელმაც თავისი საქმე იცის, მე კი ვიღაც გაიძვერა ვარ. მაგრამ თუკი მცნებები ღვთის უტყუარი სიტყვებია, მაშინ სიმართლეს ვამბობ _ შენ განუხსნელი ხარ! შენი მოძღვარი კი _ მაცდუნებელი.

არა, ძმაო, არა! გინდა, რომ ჭეშმარიტად მოინანიო? ვიდრე მოძღვართან წახვიდოდე, შენი სინდისი გამოსცადე; შემდეგ, როცა მასთან პირისპირ დარჩები, მოინანიე სირცხვილისა და მიზეზთა ძებნის გარეშე და ბოლოს, როცა მოძღვრისგან წახვალ, გამოსწორდი, დაკისრებული ეპიტიმია შეასრულე, მტერს მიუტევე, სატანური ავხორცობა დაუტევე, შენ მიერ მიყენებული წყენა გაქვითე. მაშინ კი ჭეშმარიტად მიგეტევება, მაშინ კი შენგან განიგდება სული ყრუ და მუნჯი. სულო წმიდაო! ყველაფერი, რაც დღეს აღვიარე, შენი ჭეშმარიტების სიტყვებია, შენი ღვთაებრივი შეწევნით ჰქმენ ისინი გასაგები ჩემთვის, რომელმაც წარმოვთქვი და მათთვის, ვინც ისმინა.

II

ხომ მოისმინეთ, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი და სრულყოფილი აღსარება? თუ მკითხავთ, როდის უნდა გააკეთოთ ეს, გიპასუხებთ: ერთმა ნებიერმა კაცმა ჰკითხა დიოგენეს, ზუსტად რომელ საათზე უნდა ესადილა. დიოგენემ ჩვეული მახვილგონივრულობით უპასუხა: თუ მდიდარია, როცა ნებავს მაშინ, ხოლო თუ ღარიბია, როცა ამის შესაძლებლობა აქვს. ამით უნდოდა ეთქვა, რომ საათის დადგენა ძნელია. როდის უნდა თქვას აღსარება ქრისტიანმა? მე გპასუხობთ: თუ მოხუცია, დღესვე, ხოლო თუ ახალგაზრდაა _ ხვალ. თუმცა არასწორს ვამბობ _ მოხუცმაც და ახალგაზრდამაც სასწრაფოდ უნდა მოინანიოს. განა არ შეიძლება მოცდა ვნების შვიდეულამდე? მაგრამ განა ავადმყოფი ელოდება ვნების შვიდეულს, რათა ექიმი მოიწვიოს? მან, ცოდვილმა განა შეიძლება მოძღვრის მოყვანა გადადოს?! ჰოი ეს რარიგ დიდი შეცდომაა ადამიანებისა!

გინდა გითხრა, რამდენ ხანს შეგიძლია დააყოვნო აღსარება? იქამდე, სადამდეც გჯერა, რომ იცოცხლებ. მაგრამ საიდან უნდა იცოდე, რამდენ ხანს იცოცხლებ, თუკი ცხოვრება ამდენი ხიფათით არის აღსავსე? ეს დღე ჩემია, ხვალინდელი კი _ არ ვიცი. თუკი მოვინანიებ, ღმერთი მოტევებას მპირდება; მაგრამ ღმერთს ჩემთვის ხვალინდელი დღე არ მიუთითებია. პირიქით. ღმერთი მეუბნება, რომ არ ვიცი არც დღე, არც საათი ჩემი სიკვდილისა. ნუთუ შემიძლია ჩემი სული ასეთ ხიფათში ჩავაგდო? სასწრაფოდ უნდა მოვინანიო, რადგან მოველი ერთს, მაგრამ მეწევა სულ სხვა რამ. ნება მომეცით ერთი ამბავი მოგითხროთ.

ერთი ირემი ცალი თვალით ბრმა იყო. ერთხელ ის ზღვის ნაპირას ძოვდა და ფიქრობდა: «ერთი მხრიდან მიწაა, მეორედან _ ზღვა. ამიტომ ხმელეთისაკენ, საიდანაც შესაძლოა მონადირეები მოვიდნენ, საღი თვალი მეჭირება, რათა დავინახო ისინი, ზღვის მხრიდან კი არაფრისა მეშინია და მისკენ ავადმყოფი თვალით მივბრუნდები». იმ ადგილთან ახლოს ნავით მონადირეებმა გაცურეს, დაინახეს ირემი და მოკლეს. «ვაგლახ მე», _ ფიქრობდა მომაკვდავი, _ «სიკვდილი იქიდან მოვიდა, საიდანაც არ ველოდი და არ მეშინოდა». ეს ამბავი იმას ნიშნავს, რომ მოველი ერთს, სხვა რამ კი მეწევა; ამ მხრის მეშინია, საშიშროება

კი მეორე მხრიდანაა; მეშინია ბუნებრივი სიკვდილისა, მაგრამ მოდის უეცარი სიკვდილი. თუ კეთილგონიერი ადამიანი და მორწმუნე ქრისტიანი ვარ, რა უნდა ვქნა? უნდა მოვინანიო, როდის? დაუყოვნებლივ!

სიტყვა მარხვის მეხუთე კვირას

რისთვის უნდა ვილოცოთ

«არა იცით, რასა ითხოვთ»

(მრკ. 10, 38)

როცა პატივისა და დიდების სიყვარული წარჩინებულთა და დიად ადამიანთა ყველა საქმეს აშფოთებს, არყევს და ხლართავს, ამაში არაფერია გასაკვირი, რამეთუ ვიცით, რომ ხელისუფლებისმოყვარეობის ვნება ერისკაცთა თვისებაა. *«უწყითა,* ამბობს ქრისტე, *რამეთუ რომელნი-იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა, უფლებედ მათ ზედა»* (მრკ. 10, 42), მაგრამ ეს გაიგონო მოციქულთა შორის, იმ წმინდა ადამიანებს შორის, რომლებმაც ქრისტეს სასწავლებელში _ სიღარიბისა და სიმდაბლის სასწავლებელში ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ უარჰყვეს? ეს ისეთი რამაა, რისი ატანა მოციქულებმაც ვერ შეძლეს და *იწყეს რისხვად* (მრკ. 10, 41) ვიზე? თავიანთ თანამოწაფეებზე იაკობზე და იოანეზე! იაკობმა და იოანემ, ორმა ძემ მოკრძალებული, უბრალო და ღარიბი იერუსალიმელი კაცისა, ხელობით მეთევზეებმა, ძლიერ ღარიბებმა, სასუფეველზე ოცნება დაიწყეს. გაიგონეს რა ქრისტეს სიტყვები *«აჰა ესერა აღვალთ იერუსალემდ»* (მთ. 20, 18; მრკ. 10, 33; ლკ. 18, 31), იფიქრეს, რომ ის იქ გასამეფებლად მიდის. თავდაპირველად შუამავლად თავიანთი დედა გაგზავნეს, შემდეგ თვითონ მივიდნენ *«მოძღუარ, გუნებავს, რადთა რომელი გთხოვოთ, მიყო ჩუენ»* (მრკ. 10, 35). განა ასე სთხოვენ მოწაფეები მასწავლებელს? მონები _ მეუფეს? «თუ რამეს გთხოვთ!» განა ეს არის სამოციქულო წოდების შესაფერისი მოკრძალება? *"რად გნებავ,* ჰკითხა მათ ქრისტემ, *რადთა გიყო თქუენ?"* (მრკ. 10, 36) «*მომეც ჩუენ, რადთა ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ დიდებასა შენსა»* (მრკ. 10, 37) მიუგეს მათ. მაგრამ მე გითხარით, რომ ძე კაცისა ადის იერუსალიმში, არა გასამეფებლად, არამედ იმისათვის, რომ მოკვდეს, ადის ჯვარზე საცმელად და არა ტახტზე დასაჯდომად, ეკლის გვირგვინის დასადგმელად და არა სამეფო გვირგვინისა, იქ არ არის დიდება და პატივი, არამედ ტანჯვაა და დამცირება. *«აჰა ესერა აღვალთ იერუსალემდ, და ძე კაცისად მიეცეს მღდელთ მთავართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილდ და მისცენ იგი წარმართთა; და ეკიცხევდენ მას და ტანჯონ იგი და ჰნერწყვიდნენ»* (მრკ. 10, 33-34) არა, ისინი მაინც თავისას გაიძახიან: *«მომეც ჩუენ, რადთა ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ დიდებასა შენსა»* (მრკ. 10, 37). _ ცდებით, უპასუხა მათ ქრისტემ, თავადაც არ იცით რას ითხოვთ _ *«არა იცით, რასა ითხოვთ».*

მსმენელნო, ამ ორი მოწაფის თხოვნა როგორი გეჩვენებათ? ქრისტეს მოციქულები და მეფედ გახდომა უნდათ! ისინი, რომლებმაც არცთუ დიდი ხნის წინ თქვეს: *«აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ»* (მთ. 19, 27), ახლა პატივსა და ხარისხს ეძიებენ *«არა იცით, რასა ითხოვთ».* თქვენ იმას ითხოვთ, რასაც არ უნდა ითხოვდეთ და ითხოვთ იესო ქრისტესგან, რომლის გამეფებაც ხალხს წარუმატებლად სურდა, ვინც ღიად ასწავლის, რომ

მოვიდა მსახურებად და არა სამსახურის მისაღებად, რამეთუ *«მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ სოფლით»* (იხ. 18, 36). თქვენ მიწიერ მეფობას ითხოვთ? თავადაც არ იცით, რა გინდათ! იმისგან ითხოვთ, ვისგანაც ამას არ უნდა ითხოვდეთ. ზებედეს ორი ძის თხოვნაში შეიძლება თვალი მივადევნოთ ორ შეცდომას: ისინი იმას ითხოვენ, რაც არ შეიძლება; და სთხოვენ იმას, ვისაც არ უნდა სთხოვდნენ. ქრისტიანენო, თუ სასურველის მიღწევა გინდათ, ითხოვეთ ის, რაც საჭიროა და სთხოვეთ იმას, ვისაც უნდა სთხოვდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში *«არა იცით, რასა ითხოვთ».*

I

ჩვენი საჭიროებისათვის ღმერთს რომ მივმართოთ, ამისათვის ორი მიზეზი აღგვძრავს: პირველ რიგში, ჩვენ გვაქვს უცილობელი ვალი ღვთისადმი დაქვემდებარებისა, როგორც ქმნილებას _ შემოქმედისადმი, როგორც მონებს _ თავიანთ მეუფისადმი, როგორც ბავშვებს _ მამისადმი, მმართველისადმი, მომცემელისადმი. მეორე _ მხოლოდ ბუნებით ყოვლადძლიერ ღმერთს შეუძლია გააკეთოს ჩვენთვის ყველაფერი აუცილებელი *«დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი»* (ფს. 146, 5) როგორც ყოვლადბრძენმა, იცის რა გვჭირდება *«იცის მამამან თქუენმან, რაჲ-იგი გიჯმს თქუენ»* (მთ. 6, 8). ასე რომ, ყოვლადსახიერს ჩვენთვის ყოველივე აუცილებელის გაკეთება სურს *«შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყალე»* (ფს. 102, 8) ადამიანს ყოველთვის რაღაც არ ყოფნის. მაშინაც კი, როცა შეუძლია გაკეთება, შესაძლოა არ იცოდეს, იცოდეს, მაგრამ არ სურდეს, სურდეს, მაგრამ გაკეთება არ შეეძლოს. ამიტომ გვიბრძანებს ღმერთი *«ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხორებაჲ»* (ფს. 145, 3). ჰოი ადამიანო, ყოველი საჭიროებისას *«განაცხადე უფლისა მიმართ გზაჲ შენი და ესევდ მას და მან ყოს»* (ფს. 36, 5). შენი გზა უფალს განუცხადე _ ის ყოვლადბრძენია და დაგარიგებს. შენი იმედები ღმერთზე დაამყარე _ ის ყოვლადსახიერია და შეგიწყალებს; ის ყოვლადძლიერია, ყველაფერს თვითონ აღასრულებს. *«დაემორჩილე უფალსა და დაემონე მას»* (ფს. 36, 7) და მაინც, ჩვენს საჭიროებებში ყველა გზას მივმართავთ, გარდა იმ გზისა, რომელსაც ღმერთთან მივყავართ. ერთხელ მეფე ოქოზია ავად გახდა. ძლიერია ავადმყოფობა და ავადმყოფი მეფის შიშიც დიდი. ასეთ შიშსა და საფრთხეში ფიქრობს ვის მიმართოს, სად ეძიოს კურნება, და გადაწყვიტა თავისი მსახურები ფინიკიაში... ბაალის კერპთან გაეგზავნა (ეშმაკი ცრუ წინასწარმეტყველებებით ატყუებდა თავის თაყვანისმცემლებს), რათა ეკითხათ მისთვის გამოჯანმრთელდებოდა მეფე სნეულებისაგან, თუ მოკვდებოდა. *«მივედით და ჰკითხეთ ბაალს ... უკუეთუ განვერე მე ამას სენსა»* (4 მეფ. 1, 2). მეფის წარგზავნილები გზას დაადგნენ, მაგრამ ღმერთი განრისხდა მასზე და ილია თეზბიტელს ანგელოზის მეშვეობით უბრძანა მათ შესაგებებლად გასულიყო, ეიძულებინა ისინი უკან დაბრუნებულიყვნენ და მათთვის ეთქვა: «განა იერუსალიმში არ არის ღმერთი, რომ მეფე კერპთან გგზავნით?» _ *«და ანგელოზი უფლისა უწოდდა ელიას თეზბიტელსა და ჰრქუა: აღდეგ და მიეგებოდე მოციქულთა მათ ოქოზია მეფისა სამარიასათა და არქუ მათ; არამე არსა ღმერთი ისრაელსა შორის და მიხვალთ თქუენ კითხვად ბაალისა, მწერსა მას და ღმერთსა აკკარონისასა?»* (4 მეფ. 1, 3). წინასწარმეტყველმა ილიამ საჩქაროდ მათკენ გასწია, შეაჩერა და დაარწმუნა უკან დაბრუნებულიყვნენ. მისთვის ჩვეული მგზნებარე მოშურნეობით უბრძანა ეკითხათ მეფისთვის, რად წარგზავნა ისინი უსულო კერპთან? წარგზავნა დემონთან, სიცრუის მამასთან, თითქოსდა იერუსალიმში არ იყოს ჭეშმარიტი ღმერთი? ის ავადაა, მაგრამ არ მიმართავს ღმერთს, რომელსაც აქვს ხელმწიფება

სიცოცხლეზეც და სიკვდილზეც, არამედ მიმართავს ბაალს, რომელსაც არ შეუძლია და არ უნდა ვისმე სიკეთე გაუკეთოს? უკან დაბრუნდით და უთხარით თქვენს ბატონს, რომ ამაოდ გაგგზავნათ, რომ მოგვობა მას არანაირ სარგებლობას არ მოუტანს, რომ ბაალი ვერაფერში დაეხმარება *«ესრე იტყჳს უფალი: ცხედარსა მაგას ზედა, რომელსა აღჴედ, არა გარდამოჴდე მაგიერ, არამედ მაგას ზედა სიკუდილითა მოჰკუდე»* (4 მეფ. 1, 4). ყველაფერი ასეც მოხდა. წარგზავნილნი დაბრუნდნენ და მეფეს ყველაფერი მოახსენეს: რომ ის სარეცლიდან აღარ ადგება და ამ ავადმყოფობისაგან მოკვდება *«და მოკუდა ოქოზია მსგავსად სიტყჳსა მის უფლისა, ვითარცა ეტყოდა ელია»* (4 მეფ. 1, 17). ჰოი, აწ ჩემთვის ღმერთს ილია თეზბიტელის მოშურნეობა და კადნიერება რომ მოეცა დიდი და ამაო ცრურწმენის სამხილებლად, რომ აღარაფერი ვთქვა მრავალი ქრისტიანის (განსაკუთრებით ქალების) კერპთაყვანისცემაზე, რომლებსაც აქამომდე შენარჩუნებული აქვთ ძველ ბერძენთა ეშმაკეული ცრურწმენა და მათზე მოწევნულ სნეულებებში ნაცვლად იმისა, რომ ქრისტიანული რწმენით ღმერთს მიმართონ, ჯადოსნობით ეშმაკს მიმართავენ! *«არამე არსა ღმერთი ისრაელისა შორის».* ჰოი ქრისტიანენო, გზააბნეულო ბრმანო! ხართ კი ღირსნი გქონდეთ ქრისტეს რწმენა! ავად რომ გახდეს თქვენი ძე, ქმარი, განა ეკლესიაში არ არის ღმერთი, რომელიც თავისი ყოვლადძლიერებით სნეულებსაც განკურნავს, მკვდრებსაც აღადგენს? განა არ არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, დედა ღვთისა, არ არიან ანგელოზნი, ღვთის მეგობარნი, არ არიან მღვდლები, ღვთისმსახურნი, ექიმები, ასევე მონები ღვთისა, რათა ღვთის მიერ მითითებულ გზაზე გატარონ? მაგრამ საით მიდიხართ? ექიმბაშთან, რომელსაც, თავად გზააბნეულს, თავისი ჯადოქრობით სხვებიც შეცდომაში შეჰყავს? მეზღაპრე დედაბერთან, რათა მან კვანძები გამონასკვოს? ურცხვ მომნუსხველთან, რათა მონუსხოს? ყველანი ეშმაკის გამოგონებისკენ მიიწევთ? რატომ არავის გზავნით ეკლესიაში, რომ ლოცვა და პარაკლისი აღავლინონ და გზავნით ხან იქით, ხან აქეთ, აძებნინებთ საწამლავს, სახვევებს, ეშმაკის კუთვნილებას? ეს სხვა არაფერია, გარდა ღვთის წინაშე აშკარა კერპთაყვანისცემისა, ღვთისაგან განდგომისა და ეშმაკისაკენ მიქცევისა! ეს იმას ნიშნავს, რომ გულის სიღრმეში ეშმაკი ღმერთზე ძლიერად მიგაჩნიათ. მაგრამ ამისათვის *«ესრე იტყჳს უფალი: ცხედარსა მაგას ზედა, რომელსა აღჴედ, არა გარდამოჴდე მაგიერ, არამედ მაგას ზედა სიკუდილითა მოჰკუდე».*

ვინც არ უნდა იყო შენ, კაცი თუ ქალი, კერპ ბაალთან გარბიხარ, თითქოსდა იერუსალიმში ღმერთი არ იყოს; შენი შელოცვები, ჯადოქრობა, კვანძები ოდნავადაც ვერ გიშველიან; შენ მაგ ლოგინიდან ვერ ადგები, შენ მოკვდები *«ხოლო უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარემატებოდიან უძჳრესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდიან»* (2 ტიმ. 3, 13) _ ავად შეიქნა სხვა მეფე, ეზეკია და ნამდვილად ახლო იყო სიკვდილთან. როგორც წმინდა წერილი ამბობს, ავადმყოფთან ღვთისაგან იქნა წარგზავნილი წინასწარმეტყველი ესაია, რათა ეთქვა: «მეფეო, შენი უკანასკნელი საათი დადგა, ვეღარც წამლები გიშველიან, ვეღარც ექიმები. დაწერე ანდერძი, შინაური საქმეები მოაგვარე, რადგანაც მალე მოკვდები» (4 მეფ. 20, 1). ეს რომ გაიგონა, რა ქნა ეზეკიამ? ის მოიქცა, როგორც ღვთისმოშიში კაცი. მან მხოლოდ ღმერთს მიმართა: *«და მიიქცია პირი თჳსი კედლად და ილოცვიდა უფლისა მიმართ... და ტიროდა ეზეკია ტირილითა დიდითა»* (4 მეფ. 20, 2-3). და ამით მოწყალე ჰყო ღმერთი. მან ისმინა მისი, შეიწყალა, განკურნა და კიდევ თხუთმეტი წლის სიცოცხლე მისცა *«ესრე იტყჳს უფალი ღმერთი* (ღვთისაგან აცნობა მას ესაიამ) *ვისმინე ლოცვისა შენისა და ვიხილენ ცრემლნი შენნი; აჰა, მე განგკურნო შენ... და შევსძინო დღეთა შენთა*

ათხუტმეტ წელ» (4 მეფ. 20 5-6). ქრისტიანო ყურადღება მიაქციე, აი ორი სნეული მეფე _ ოქოზია და ეზეკია. ოქოზიას ავადმყოფობა არ არის მომაკვდინებელი, ეზეკიასი მომაკვდინებელია. ეზეკია სასიკვდილოდ დაავადდა, ეს თავად უფალმა განაჩინა *«ესრე იტყჳს უფალი... მოჰკუდე შენ და არა განერე»* (4 მეფ. 20, 1) და მიუხედავად ამისა, ოქოზია თავისი სენისაგან მოკვდა, ეზეკია _ გამოჯანმრთელდა. რატომ? ხომ არ არის ეს ღმერთის მხრიდან მიკერძოება? არა. ოქოზია იმიტომ მოკვდა, რომ მიმართა დემონს და არა ღმერთს; ეზეკია კი გამოჯანმრთელდა, რადგან ღმერთს ესავდა. ერთზე ღმერთი განრისხდა, რადგან იმან ჯადოქრობას და გრძნეულებას მიმართა; მეორე შეიწყალა, რამეთუ მან ილოცა და შემუსვრილების ცრემლი ღვარა. ამ მაგალითით ისწავლე ქრისტიანო: თუ ავად გახდი, გამოჯანმრთელდები; თუ გაღატაკდი, საზრდოს იპოვი; ოღონდ ჯადოქრობით, სიცრუით, ბოროტი ზრახვებით ეშმაკის გზას ნუ დაადგები, არამედ უფლის გზას შეუდექი ლოცვით, იმედითა და რწმენით. *«განაცხადე უფლისა მიმართ გზაჲ შენი,* იმედით _ *ესევდ მას,* რწმენით და გწამდეს, რომ *«მან ყოს»* შენთვის. ის ყოვლადძლიერი, ყოვლადბრძენი და სახიერია. მაშ ასე, დაემორჩილე უფალს როგორც ადამიანი, და როგორც ქრისტიანი. კეთილი, მაგრამ როცა მიმართავ, რა უნდა შესთხოვო? ამაზე წმ. იოანე ოქროპირი მოგიგებს «ის შესთხოვე, რაც შენთვის სასიკეთოა და მისთვის, მომცემლისთვის, შესაფერი», შესთხოვე შენთვის სასარგებლო და ღვთისთვის შესაფერი. მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ არ ვიცით რა არის ჩვენთვის სასარგებლო და რა უნდა ვითხოვოთ ღვთისგან *«რაჲმცა-იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ არს, არა ვიცით»* (ჰრომ. 8, 26) ამბობს პავლე მოციქული. ოქროპირის განმარტებით, მოციქული შეგვაგონებს, რომ სასარგებლოდ არ ჩავთვალოთ ის, რაც ადამიანური გონებით გვეჩვენება სასარგებლო, ამიტომ ძველ ეკლესიაში ერთ-ერთ ქრისტიანზე ღმერთი სულიწმინდის განსაკუთრებულ ნიჭს წარმოგზავნიდა, რასაც «ლოცვის სული» ეწოდებოდა. ამ სულით განათლებული ქრისტიანი იმისთვის ლოცულობდა, რაც ნამდვილად სასარგებლო და ღირსეული იყო. სულიწმინდის მადლიც სწორედ ეს არის, რის შესახებაც ლაპარაკობს მოციქული *«თჳთ იგი სული მეოხ არს ჩუენთჳს სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა»* (იქვე). ამის განსახიერება არის დიაკვანი, რომელიც ღმერთს ერისთვის შესთხოვს. სწორედ ასე ხსნის ამას ოქრომესიტყვე მასწავლებელი: «იმის გათვალისწინებით, რომ არ ვუწყით, თუ რა არის სასარგებლო ჩვენთვის და სრულიად უსარგებლოს ვითხოვთ, ერთ-ერთ დამსწრეზე ლოცვის ნიჭი გარდამოდიოდა და ის, წარმდგარი, ყველასათვის ლოცულობდა. დღეს ამის სახეა დიაკვანი, რომელიც ხალხისთვის ლოცვას აღავლენს». ამგვარად, ჩვენ არ ვიცით რა არის სასარგებლო და რა შეგვშვენის. ამის მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ნება თავისი ბუნებით არამდგრადია და ცვალებადი: ახლა ერთი უნდა, შემდეგ _ სხვა და არასდროს არაფრით კმაყოფილდება. ის გარყვნილი და ბრმაა: ცუდს უყურებს, როგორც კარგს, სასარგებლოს საზიანოსაგან ვერ არჩევს, მართებულს _ უმართებულოსაგან. ეჭვგარეშეა, რომ ყველა ქმნილებიდან ყველაზე კეთილშობილური _ ეს ადამიანია, რომელიც ღვთის ხატად და მსგავსად შეიქმნა, თუმცა ის ყველაზე ბოლოს შეიქმნა. რატომ? თუკი ღმერთმა ყველაფერი ადამიანისთვის შექმნა, განა ადამიანსაც თვალი არ უნდა ედევნებინა იმისათვის, ყველაფერი მისი სურვილისამებრ კეთდება თუ არა? იცოდა ღმერთმა ადამიანის ბუნება: რომ ის ცნობისმოყვარეა, თავისი სურვილებით დაუკმაყოფილებელი, შეხედულებებში არამდგრადი; რომ ეს არის _ სული, რომელმაც თვითონ არ იცის რა სურს. ღმერთს ადამიანი თავიდანვე რომ შეექმნა, შესაძლოა ის

ღმერთის სიბრძნეს შეწინააღმდეგებოდა და ეთქვა: «მე მინდა, რომ ნათელს სხვა ფერი ჰქონდეს, ზეცა სხვა მოწყობისა იყოს, ეს არ მომწონს, იმას სხვაგვარს ვისურვებდი.

საბერძნეთის ყველა მოქანდაკეს შორის პოლიკლეტი ყველაზე სახელოვანი, ნიჭიერი და თავისი ხელოვნებით გასაოცარი იყო. მაგრამ მას კიდევ უფრო დიდი ხელოვნება ბრბოს აზრის დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა. და გადაწყვიტა პოლიკლეტმა ერთდროულად დაეკმაყოფილებინა და ემხილებინა ხალხის სურვილი. მან ორი ქანდაკება დაამზადა _ ერთი ყველასაგან მალულად და ხელოვნების ყველა წესის დაცვით, მეორე კი ღიად, ყველას სურვილის გათვალისწინებით. ვიდრე ქვას ტეხდა, გვერდით ჩავლილები ჩერდებოდნენ, ყველა თავის აზრს გამოთქვამდა: თავი ასე გაუკეთე, ხელები ასე, მკერდი, მთელი სახე ისე. და ისიც თითოეულის სურვილს ემორჩილებოდა. როცა შრომა დაასრულა, მან ორივე ქანდაკება გამოფინა, რათა ხალხს ორივე დაენახა. «ამ ორიდან რომელი გგონიათ უფრო ლამაზი?» ყველამ იმ ქანდაკებაზე მიუთითა, რომელიც ყველა წესის დაცვით იყო გამოქანდაკებული. მეორე კი, მათი სურვილით ნაქანდაკევი, რაღაც უსწორმასწორო, შეუსაბამო, არასრულყოფილი გამოვიდა. «ის, რასაც თქვენ აქებთ _ განაგრძობდა მოქანდაკე _ ხელოვნების ყველა მოთხოვნით გავაკეთე და ამიტომაც სრულყოფილია; მეორე კი თქვენ გამოაქანდაკეთ, რამეთუ მე მას თქვენი სურვილისამებრ ვაქანდაკებდი, ამიტომაც ის არაფრად ღირს». ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ ადამიანების სურვილები და გემოვნება სხვადასხვაა და ფრიად უცნაური. დავუშვათ, რომ ღმერთმა ყველაფერი შეასრულა, რასაც ადამიანები სთხოვენ. ერთს ერთი უნდა, მეორეს _ მეორე, სრულიად განსხვავებული და საპირისპიროც კი. ჯარისკაცს ომი უნდა, ვაჭარს _ მშვიდობა, მეზღვაურებს _ ზურგის ქარი, მაგრამ ერთს აღმოსავლეთისა, მეორეს _ დასავლეთის. მიწათმოქმედი მიწაზე წყნარ ამინდს ითხოვს, მაგრამ ერთს წვიმით უნდა, მეორეს _ მზით. მოკლედ, რამდენი თავიცაა, იმდენია გონება და ყველას თავისებურად სურს. ღმერთმა თითოეულის სურვილის შესრულება რომ ინებოს, რად გადაიქცევა ჩვენი სამყარო, ცხოვრება, საზოგადოება? _ უფსკრულად, ქაოსად. დაე ღმერთმა ისე აკეთოს, როგორც იცის _ თავისი უსაზღვრო სიბრძნის ხელოვანებით და არა ჩვენი აზრით! შესაძლოა სწორედ ამიტომაც ინება ღმერთმა ყველაზე გვიან ადამიანი შეექმნა, რომ მას ყველაფერი უკვე შექმნილი დაენახა. ის დაკმაყოფილდებოდა, დამშვიდდებოდა იმით, რომ ღმერთმა ყოველივე *«კეთილ ფრიად»* (დაბ. 1, 31) ქმნა და არ მოითხოვდა ერთს ერთი სახით, მეორეს _ მეორეთი. ამასაც მიაქციეთ ყურადღება: ღმერთმა შექმნა ადამიანი _ მამაკაცი _ ადამი, მაგრამ მას ჯერ არ შეუქმნია ქალი _ ევა _ დამხმარე, მისი მსგავსი. როცა მისი შექმნა ინება, დააძინა ადამი, ერთი ნეკნი ამოუღო და ქმნა ცოლი მისი _ ევა; შემდეგ ადამი გააღვიძა *«და მოიყვანა იგი ადამისსა»* (დაბ. 2, 22). განა უკეთესი არ იქნებოდა არ სძინებოდა ადამს და ენახა, როგორ ქმნიდა ღმერთი მისთვის ცოლს, რომელთანაც მთელი ცხოვრება უნდა გაეტარებინა? არა, ამბობს ღმერთი, ადამიანს რომ არ სძინებოდა და ენახა როგორ ვქმნიდი ცოლს, ლაპარაკს, ახსნას, თავისი სურვილის გამოხატვას დაიწყებდა. მინდა ასეთი თვალები, ასეთი პირი ჰქონდეს, ეს სახე არ მომწონს, სხვა სახე მიეცი. ადამიანმა უმჯობესია იძინოს და არ ნახოს, მე კი ისე გავაკეთებ, როგორც ვიცი. ადამიანმა არ იცის რა უნდა, არ ესმის რას ითხოვს. მას უმეტესწილად ცუდი უნდა და საზიანოს ითხოვს. იაკობის ცოლი რაქელი ბერწი იყო და შვილები არ ჰყავდა. ის ორმაგად წუხდა, რამეთუ ხედავდა, რომ მის დას ბევრი შვილი ჰყავდა. რა საშინელი ვნებაა _ ეჭვიანობა, განსაკუთრებით ქალთა გულებში! რაქელს შეშურდა თავისი დისა და გადაწყვიტა

მომკვდარიყო *«იხილა რაქელ, რამეთუ არა უშვა ძე იაკობს და ეშურებოდა... დასა თჳსსა»* (დაბ. 30, 1) როგორ ებრძოდა თავის ქმარს *«მეც მე შვილი; უკუეთუ არა მოვჰკუდე მე»* (იქვე). ორიდან ერთია: ან გავაჩენ, ან მოვკვდები; ან შვილების ნახვა მსურს, ან სიკვდილისა. ღვთის მთელი კურთხევა მხოლოდ ჩემს დაზე გარდამოვიდა, მე კი უშვილობის წყევლა და სირცხვილი უნდა ვზიდო? ამას ვერ ავიტან. *«მეც მე შვილი; უკუეთუ არა მოვჰკუდე მე».* შვილების ყოლა ასე ძლიერ უნდა რაქელს! მაგრამ იცის კი რა უნდა? დაე შესრულდეს მისი სურვილი! ღმერთმა ისმინა მისი ლოცვა და სურვილი შეუსრულა *«ხოლო მოეხსენა ღმერთსა რაქელ და შეისმინა მისი და განაღო საშოჲ მისი»* (დაბ. 30, 22). მეც შენთან ერთად ვიხარებ მშვენიერო რაქელ, საბოლოოდ ჰპოვე ნუგეში "*მოეხსენა ღმერთსა რაქელ".* შენ აღარ ხარ ბერწი, შენ დაბადე, ხედავ შენი მუცლის ნაყოფს. მაგრამ შენი მშობიარობა როგორი იქნება? კარგს რას მიიღებ შენი შვილებისაგან, რომლებიც ასე გწადია? ვაგლახ რა მესმის! რაქელის მშობიარობის დრო დადგა და *«ძნიად შობდა»* (დაბ. 35, 17) _ მძიმე მშობიარობა, დიდი ტკივილები! შვილს სიცოცხლე მისცა, თვითონ კი ტკივილებისაგან მოკვდა. სურვილის ძე გახდა ძე მწუხარებისა! რაქელმა შვა, მაგრამ მშობიარობისას მოკვდა *«და იყო აღმოსლვასა ოდენ სულისა მისისასა, რამეთუ მოკუდებოდა, უწოდა სახელი მისი «ძე სალმობისა ჩემისა»* (დაბ. 35, 18). მაშ ასე, რაქელმა არ იცოდა რა უნდოდა. მას ძის ნახვა სწადდა და იმავდროულად სიკვდილს ითხოვდა. ფრიად სამართლიანია ოქროპირის მიერ ნათქვამი: «უსარგებლოს ისე ვითხოვთ, რომ ჩვენთვის სასარგებლოსი არა გაგვეგება რა». პავლე მოციქულიც ამბობს: *«რაიმცა-იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით»* (ჰრომ. 8, 26). ქრისტიანო, შენ ღვთისაგან შვილებს ითხოვ, მაგრამ იქნებ მათ ცრემლი მეტი მოგიტანონ, ვიდრე სიხარული? შენ ჯანმრთელობას ითხოვ, მაგრამ იქნებ დროთა მანძილზე შენი ცოდვებიც გამრავლდეს? შენ სიმდიდრე გინდა, მაგრამ ეგებ ის შენი დაღუპვის მიზეზად «იქცეს? შენ პატივს ითხოვ, მაგრამ რაც მეტად აღზევდები, ეგებ მით უფრო დაბლა ჩამოვარდე? შენ ქვეყნიურ და დროებით სიკეთეებს ითხოვ, მაგრამ იქნებ მათში შენი ცხოვრების სიკვდილი, შენი სულის სატანჯველი ჰპოვო? შენ არ იცი რას ითხოვ!

ასე რომ, თუკი ადამიანის სურვილი ასეთი ცდომილია და მხოლოდ ღვთის ნებაა განუხრელი, ისღა დაგვრჩენია ღვთის ნებას ჩვენი ნება დავუმორჩილოთ, მხოლოდ ის ვისურვოთ, რაც ღმერთს სურს და ასე ვილოცოთ: *«მამაო ჩემო, ... ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ; იყავნ ნებაჲ შენი»* (მთ. 26, 39-42). ალექსანდრე დიდი აზიაში დარიოს სპარსს მთელი აღმოსავლეთ სამეფოს დასაპყრობად ეომებოდა, ერთხელ ალექსანდრე საბანაოდ მდინარე კიდნაში ჩავიდა. როგორც კი წყალში შევიდა, მაშინვე საშინელმა სიცივემ მოიცვა, სუნთქვა შეეკრა და კინაღამ მოკვდა. ალექსანდრე დიდის სიცოცხლე საფრთხის წინ დადგა _ ეს სიჭაბუკე, დიდება და სიმამაცე ერთ წამში შეიძლებოდა ჩამქრალიყო. მისი ერთგული მეგობარი და ექიმი ფილიპე მაშინვე მეფის მკურნალობას შეუდგა. სხვადასხვა კეთილსურნელით და ცხელი საფენებით გამოაკეთა, გამოაცოცხლა და მესამე დღეს წამლის მიცემას აპირებდა, რომლითაც მისთვის ჯანმრთელობა უნდა დაებრუნებინა. ამ დროს ალექსანდრეს ყველაზე ერთგული მხედართმთავრისგან პარმენიონისგან წერილი მოუვიდა, რომელშიც ის აფრთხილებდა, რომ ექიმ ფილიპესთან ფრთხილად ყოფილიყო, მას არ ნდობოდა და მისი ხელიდან წამალი არ მიეღო, რადგან ფილიპე დარიოსთან იყო თანხმობაში, მის მოწამვლას აპირებდა და ჯილდოდ რამდენიმე ათას ტალანტს მიიღებდა. ალექსანდრემ წერილი ისე წაიკითხა,

რომ არავისთვის უთქვამს ამის შესახებ,და ის ბალიშის ქვეშ ამოდო. მესამე დღე დადგა. ექიმი ფილიპე, რომელმაც ღალატის შესახებ არაფერი იცის, მეფის კარავში შედის, ხელში წამლით სავსე თასი აქვს და მეფეს აწვდის. მეფე ერთი ხელით ფიალას ართმევს, მეორეთი კი წერილს უჩვენებს. სანამ ფილიპე წერილს კითხულობდა, ალექსანდრემ თასი ყოყმანისა და მღელვარების გარეშე გამოცალა. შეჩერდი ალექსანდრე, რას აკეთებ? შენი სიცოცხლე არად გიღირს? თავდაპირველად რად არ გამოიძიებ სიმართლეს, დამნაშავეა ექიმი თუ არა? დააცადე წერილი წაიკითხოს და რასაც მის სახეზე ამოიკითხავ, იმისდა მიხედვით მოიქეცი. მაგრამ შენ ჯერ სვამ, შემდეგ კი ის კითხულობს. და შენ ადამიანს ასე ენდობი? «დიახ _ ეუბნება თავის თავს ალექსანდრე, _ ფილიპე მეგობარიცაა და ექიმიც. მის სიწრფელეს ისევე ვენდობი, როგორც მის ხელოვნებას». ალექსანდრე არცთუ უსაფუძვლოდ მიენდო ექიმს, რამეთუ მისმა სწრაფმა გამოჯანმრთელებამ ამაო და ცრუ ეჭვი გაფანტა. ალექსანდრე დიდი, მეფე, გამარჯვებული და გმირი, ენდობა ფილიპეს და მას თავის სიცოცხლეს ანდობს; ენდობა (თუმცა არსებობდა ეჭვი, რომ იმას მეფის მოწამვლა უნდა), მან გაიფიქრა და თავის თავს უთხრა: «ფილიპე ექიმია, ესე იგი განკურნება შეუძლია; ფილიპე ჩემი მეგობარია, ესე იგი უნდა ჩემი განკურნება». შენ კი ქრისტიანო, როცა შენი ავადმყოფობის, შეჭირვებისა და მწუხარების დროს ღვთის ხელს მიენდობი, როგორ ფიქრობ, ეს ვისი ხელებია? ის _ ღმერთია, ის მამაა. ამიტომ უთხარი შენს თავს: ის ღმერთია და როგორც ყოვლადბრძენმა, იცის რა მჭირდება; ის მამაა, მას, როგორც სახიერს, უნდა აუცილებელი მომცეს. მე მწამს მისი სიბრძნის, მწამს მისი სიყვარულის. მხოლოდ ის მინდა, რაც ჩემს ღმერთს, ჩემს მამას უნდა ჩემთვის. მე მას არაფერს ვთხოვ, რამეთუ არ ვიცი რა ვითხოვო, არ ვიცი რა არის ჩემთვის სასარგებლო. დაე ეს მან, ყოვლადბრძენმა ღმერთმა იცოდეს. დაე ეს მან, სახიერმა მომცეს. მამაო ჩემო, ამქვეყნად ავადმყოფი ვიყო თუ ჯანმრთელი, მდიდარი თუ ღარიბი, ბრძენი თუ უსწავლელი, უმაღლეს პატივამდე აღზევებული თუ ჩემს მოკრძალებულ მდგომარეობაში შთენილი, მყავდეს შვილები, თუ ვიყო უშვილო, ადამიანებისთვის სასურველი ვიყო თუ საძულველი, დიდი ხნის სიცოცხლე ვითხოვო თუ დღეს ან ხვალ მოვკვდე... არ ვიცი რა არის სასარგებლო ჩემთვის. ეს იცი შენ და გააკეთე როგორც იცი. *«არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ».* ქრისტიანენო, მინდა ეს ორი სიტყვით გამოვთქვა: ყველა თქვენს საჭიროებაში მხოლოდ ღმერთს მიმართეთ; სთხოვეთ, რათა ყველაფერი ისე იყოს, როგორც მას სურს. წინააღმდეგ შემთხვევაში *არა იცით რასა ითხოვთ.*

II

ყოველგვარ საჭიროებებში ღმერთს მიმართო? მაგრამ, ვიმეორებ, რა სახით? მხოლოდ ის ვევედროთ, რომ მისთვის სასურველი შესრულდეს? _ კარგი. მაგრამ, ვიმეორებ, როგორი ბაგიდან? ყური უგდე რას ამბობს ღმერთი ესაიას პირით: *«ოდეს განიპყრნეთ ჴელნი თქვენნი ჩემდამო, მივაქცინე თვალნი ჩემნი თქვენგან და, უკუეთუ განამრავლოთ ვედრებაჲ, არა შევისმინო თქვენი»* (ეს. 1, 15). ანუ როცა ჩემს წინაშე წარდგებით და ლოცვად ხელს აღაპყრობთ, პირს ვიბრუნებ თქვენგან და არ მოგხედავთ. ლოცვა კიდეც რომ გაორმაგოთ და გასამმაგოთ, არ შევისმენ თქვენსას. რატომ? *რამეთუ ჴელნი თქვენნი სისხლითა სავსე* (იქვე). ეს რა სისხლია ჩვენს ხელებზე? იმედი მაქვს, რომ იმ ქალაქში, სადაც ვსაუბრობ, არ არის ასეთი ბოროტება. ან იქნებ ეს სისხლი აუტანელი შრომით და ძარცვით დაჩაგრული ღარიბებისაა? აი სწორედ ამისი მეშინია. უწმინდურობის სისხლი, სისხლი ხორციელი ცოდვებისა? ამ სიტყვის კიდევ უფრო მეტად მეშინია. ასეთი

წაბილწული ხელებით ღმერთს არც დანახვა უნდა ჩვენი და არც მოსმენა *«ოდეს განიპყრნეთ ჴელნი თქვენნი ჩემდამო, მივაქცინე თვალნი ჩემნი თქვენგან; და უკეთუ განამრავლოთ ვედრებაჲ, არ შევისმინო თქვენი, რამეთუ ხელნი თქვენნი სისხლითა სავსე»* (ეს. 1, 15) "*განიბანენით, წმიდა იქმნენით"* (ეს. 1, 16). კეთრით იყო ავად დიადი, ძლიერი ასურელი წარჩინებული ნეემანი. იგი განსაწმენდად წინასწარმეტყველ ელისესთან გაეშურა. მან გაითვალისწინა, რომ ეს ფრიად საძნელო და ძვირადღირებული საქმეა და თან წაიღო ათი ტალანტი ვერცხლი, ექვსი ტალანტი ოქრო, ათი ხელი საუკეთესო სამოსი, რათა გაეჩუქებინა, დაეხარჯა და ამით გამოჯანმრთელებულიყო. როცა ელისემ ნეემანის მოახლოვება შეიტყო, ბრძანა ეთქვათ მისთვის, რომ შეჩერებულიყო. «მასთან ახლოს იორდანეა, დაე მივიდეს, შვიდგზის შთაიფლას წყალში და განიკურნება» *«მივედ, იბანე იორდანესა შჳდგზის და მოიქცეს ფერი შენი შენდა და განსწმიდნე»* (IV მეფ. 5, 10). შენ წახვედი, განიბანე და განიწმინდე, იმ ფულიდან კი, რომელიც თან წაიღო, ნეემანს არაფერი დაუხარჯავს, სამოსიდან არაფერი გაუჩუქებია. ის ასე იაფად, ასე იოლად განიკურნა? წავიდა, განიბანა და განიწმინდა? ჰოი, რარიგ სასიამოვნო უწყებაა! ჩვენც გვინდა რომ განვიწმინდოთ? მივიდეთ მოძღვართან, როგორც ნეემანი ელისესთან. თქვენ ფიქრობთ, რომ ის იერუსალიმში გვაგზავნის წმინდა ადგილების თაყვანისსაცემად, ან უდაბნოში სამოღვაწეოდ, ან კიდევ გვიბრძანებს მთელი ჩვენი ქონება ღარიბებს დავურიგოთ? არაფერი ამდაგვარი, არაფერი! მაშ რის გაკეთებას გვიბრძანებს? მხოლოდ თქმას სიტყვისა _ *ვცოდე*, ორიოდ ცრემლის დაღვრას და ამით განბანილნი, განწმენდილნი და მიტევებულნი ვართ. ეს რწმენის ნაწილია. ისმინეთ როგორ გვარწმუნებს ამაში ცოდვილთა მანუგეშებელი ოქროპირი: «ჰოი, დიადო კაცთმოყვარეობავ, ჰოი, განუზომელო სახიერებავ! ღმერთი სრულად ამართლებს ცოდვილს შემდგომ იმისა, რაც ის თავის ცოდვებს მოინანიებს და სამომავლოდ აღთქმას დებს». მხოლოდ დროის დაკარგვა არ შეიძლება, მით უმეტეს ახლა, როცა ავდივართ იერუსალიმში, ახლა, როცა ახლოვდება წმინდა დღეები და ქრისტეს წმინდა ვნება; თუ შესაძლებელია _ დღეს, ხვალინდელი დღის ლოდინის გარეშე. ჰოი, ეს «ხვალ» რარიგ დიდი დაბრკოლებაა ჩვენი ცხონებისთვის, მთავარი მიზეზია ჩვენი განსასჯელისა! ასე რომ, შეძლებისდაგვარად სასწრაფოდ განვიბანოთ, განვიწმინდოთ წმინდა აღსარებით. როცა ამგვარად განვიწმინდებით და განვიბანებით, ღმერთი ხელგაშლილი მიგვიღებს, ნათელი მზერით შემოგვხედავს, მოგვისმენს, ჩვენსას შეისმენს, აქ ცოდვათა მოტევებას მოგვმადლის, იქ კი _ ცათა სასუფეველს.

სიტყვა ბზობის კვირას

ქრისტეს ვნებათა პატივისცემის შესახებ

«ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა
უფლისაითა, მეუფე ისრაელისაი!»

(ინ. 12-13)

როცა ვხედავ, რომ იესო ქრისტე იერუსალიმში ასეთი პატივით, დიდებითა და ზეიმით შედის, მთელი სამართლიანობით შემიძლია ვიფიქრო, რომ მას მღვდელმთავრების,

მღვდლებისა და მწიგნობართა შურის მეტად აღარ უნდა ეშინოდეს. ჰოი, იერუსალიმ, წმინდა ქალაქო, ჭეშმარიტად ღვთის ქალაქო! *«დიდებული ითქუა შენთვის»* (ფს. 86,3) წარსულ საუკუნეებში, მომავალ საუკუნეებშიც შენზე დიდებულს იტყვიან იმ სიყვარულისა და ერთგულებისათვის, რომელსაც შენი კეთილისმყოფელისადმი იჩენ. ალერსიანო ებრაელო ბავშვებო, კეთილად განწყობას გიქებთ; თქვენ ზეთისხილისა და ბაიის რტოებს, გამარჯვების სიმბოლოებს იღებთ და წინასწარმეტყველ ძეს დავითისას, როგორც მეფეს, ეგებებით. ისეთ განწყობას ავლენთ, თითქოს მზად ხართ, იარაღზე ხელი გაიკრათ, რათა დაიცვათ ის მტრის თავდასხმისაგან. იესოვ ჩემო, აქ, იერუსალიმში აღარაფრის უნდა გეშინოდეს: ის შენი თავშესაფარია უკვე. თუკი შენს შესახვედრად მთელი ქალაქი გამოვიდა, მაშინ ის შენს დასაცავადაც ასევე გამოვა. იუდეველო მწიგნობარნო, მღვდელნო და მღვდელმთავარნო, ამაოდ რად შვრებით, თქვენს შეკრებებზე რას იზრახავთ? რაზე მსჯელობთ სინაგოგაში? თქვენ სრულიად უძლურნი ხართ საიმისოდ, რომ რაიმე ავნოთ ამ ნაზარეველს, რომელსაც ურიცხვი ხალხი ზეიმით ეგებება: *«ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლსაჲთა, მეუფე ისრაელისაჲ!».*

ჰოი, ადამიანის ამაო მოლოდინო! ჰოი, მზაკვრულო თვალთმაქცობავ ყაჩაღთა ქალაქისა! ჰოი, უმადური ერის წუთიერო პირფერობავ! ქალაქო იერუსალიმ, დიადი ზეიმის დღევანდელი სანახაობა რამდენიმე დღეში საშინელი უბედურების სანახაობად გადაიქცევა! ის, ვინც მას იღებს, როგორც მეფეს ისრაელისას, მალე, როგორც ბოროტმოქმედს, ძელზე გააკრავს. ხალხი, დღეს რომ ბაიებს იქნევს, ხვალ მას ჯვარს მოუმზადებს. ვინც ახლა ოსანას ყვირის, ხვალ იყვირებს *«ჯუარს-ეცუნ»* (მთ. 27,22). დღეს ასეთი პატივი, რამდენიმე დღის შემდეგ კი ისეთი დამცირება. სწორედ ის, ვინც ახლა თავს უხრის, მას ჯვარს აცვამს. დიახ, იმას, რაც ქრისტემ მაშინ დაითმინა ებრაელთაგან, ახლა ქრისტიანთაგან ითმენს. ქრისტიანთაგან, რომლებიც ამ წმინდა დღეებში მას სიტყვით თაყვანს სცემენ, საქმით კი ჯვარს აცვამენ. პირით ოსანას იძახიან, გულით კი _ *«ჯუარს-ეცუნ»* დღეს სწორედ იმაზე ვიქადაგებ, თუ როგორ მართებთ ქრისტიანებს ამ წმინდა დღეებში ქრისტეს ვნებათა პატივისცემა.

I

საიდუმლო სერობის შემდეგ ქრისტე თავისი მოწაფეების თანხლებით კედრონის დინების მეორე მხარეს, გეთსამანიაში გადავიდა. ეს იყო ღამის დასაწყისში. მათ იქ ტოვებს, ხოლო პეტრე, იაკობი და იოანე თან მიჰყავს. იგი ლოცვისთვის წავიდა და როცა ტანჯვაზე ფიქრი დაიწყო, მისი სული «სიკუდილადმდეც» კი დამწუხრდა. დამშვიდდი, იესოვ, ნუ წუხარ. ხალხის ბრბოს ვხედავ, მაშხლებითა და სანთლებით რომ გიახლოვდება. ისინი კარგი ადამიანები ჩანან; თუ არა და ღამით რისთვის დადიან სინათლით ხელში? მათ წინ ვიღაც მიუძღვის, შესახედად შენს მოწაფეს ჩამოჰგავს. ვხედავ, მოვიდნენ და ის გესალმება: *«გიხაროდენ, მოძღუარ»* გკოცნის კიდეც _ *«და ამბორს-უყო მას»* (მთ. 26, 49). იქ, სადაც ამბორი და მისალმება ისმის, იქ, სადაც მოწაფეა, სადაც სანთლები და ჩირაღდნები ანთია, განა შეიძლება რამე ცუდი ხდებოდეს?! დამშვიდდი, იესოვ, ნუ შეშინდები! მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? ეს ნათლითმოსილი ადამიანები სამხედრო გუშაგები არიან, იესოს შესაპყრობად და მის მოსაკლავად მოსულნი; მოწაფე კი მოღალატე იუდაა, რომელმაც ის ოცდაათ ვერცხლად გაყიდა და ახლა მის გასაცემად მოდის. ვერაგია ეს მისალმება და ეს ამბორიც ნიშანია გაცემისა: *«რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი»* (მრკ. 14, 44). მოლოდინი იყო ერთისა, მეორე კი მოხდა! ჰოი, იესოს დიდო მწუხარებავ! მას უფლება აქვს

თქვას: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»* (მთ. 26, 38), რაღაც ამდაგვარი ხდება დიდ პარასკევს, როცა მაცხოვრის წმიდა და საშინელ ვნებათა ხსენება აღესრულება. მრავალრიცხოვანია ბრბო; ჯვრისა და წმინდა კუბოს მსვლელობა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეს სწვდება. კლირიკოსთა, ერისკაცთა, კერძო პირთა, დიდთა და მცირეთა ურიცხვი კრებული ლიტანიით მიდის. ყოველი მხრიდან სანახაობაზე დასასწრებად მოსულა ხალხი; კაცები და ქალები, ახალგაზრდები, ბავშვები და მოხუცები ფანჯრებში გამოფენილან, რათა წმინდა პროცესიას შეხედონ. სანთლები და ჩირაღდნები ღამის წყვდიადს დღესავით ანათებენ. ეს ყოველივე განსაკუთრებული, მხურვალე მოწიწების ნიშნებია. ვინც ნახავს, თუ რა ხდება შიგნით, ეკლესიებში და გარეთ, ქუჩებსა და მოედნებზე, შეიძლება ეგონოს, რომ მთელი ქალაქი, როგორც მონანული ნინევია, ტკივილით, შემუსვრილებით, სინანულითაა განმსჭვალული და თუ დანარჩენ დღეებში ვცოდავთ, ახლა, დიდ პარასკევს, ჭეშმარიტად ვინანიებთ. თუმცა გვეჩვენება ერთი, მაგრამ ხდება სულ სხვა რამ _ ეს უზარმაზარი კრებული მხოლოდ საჩვენებელი მოზეიმეობაა. მთელ იმ ბრბოდან, ქრისტეს ვნების დღესასწაულზე რომ მოვიდა, ზოგიერთს აღსარება საერთოდაც არ უთქვამს. ხედავენ ქრისტეს ჯვარზე, მაგრამ ამას ჯერაც არ გაუწყვეტია თავისი უწმინდური კავშირი, იმას ჯერ ისევ სხვისაზე უჭირავს თვალი, ვიღაცას მტრისთვის არ მიუტევებია, თავისი მავნე ჩვევა არ დაუტევებია, არანაირი განზრახვა არა აქვს, თავისი ცხოვრება გამოასწოროს. სხვებმა, მართალია, მოინანიეს, მაგრამ დროებით: მოინანიეს, რომ შესცოდეს, მაგრამ მალე ინანებენ, რომ მოინანიეს. ზოგმა მონანიება გადაწყვიტა, მაგრამ რაწამს აღდგება ქრისტე, იმწამსვე ჯვარს აცვამს. როგორ განვაახლო ისინი *«და დაცემულთა კუალად განახლებად სინანულად თანა-ჯუარს-ცუმად თავთა მათთა ძესა ღმრთისასა და განქიქებად».* (ებრ. 6, 6,) _ წუხს პავლე მოციქული.

ოჰ, ღმერთო ჩემო! ქრისტიანებიც თაყვანს სცემენ ქრისტეს, მხოლოდ სიტყვით, გული მათი კი შორსაა მისგან. *«ორგულნო, კეთილად წინაჲსწარმეტყველებდა თქუენთჳს ესაია და თქუა: მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან»* (მთ. 15, 7-8). ამგვარად, თუკი ქრისტე ერთხელ ჯვარცმულ იქნა იუდეველთაგან იმ დიდ პარასკევს, ახლა ყოველ დიდ პარასკევს ჯვარს ეცმევა ქრისტიანებისაგან, რამეთუ ერთს ვხედავთ, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ ხდება. მეტ მოწიწებასა და მადლიერებას ქრისტიანები ხომ სწორედ ამ დროს უნდა ამჟღავნებდნენ?!

ანტიოქიელები თავიანთ მეფე სელევკის აუჯანყდნენ. მეფე ძლივს დაუძვრა ხელიდან მეამბოხეებს, რომლებსაც მისთვის სიცოცხლის აღკვეთა ისევე უნდოდათ, როგორც სამეფო აღუკვეთეს. ის მარტო, საიდუმლოდ გარბის სასახლიდან, ვერავინ ცნობს, ქალაქიდან გადის, მიდის მთელი ღამე, დილით ნაპირს აღწევს და დასასვენებლად ჯდება. სხეულით დაქანცული და სულით დამწუხრებული მეფე ღრმად ოხრავს და თავის უბედურებაზე ფიქრობს; ამბოხებულნი, რომელთაც მისი მოკვლა სურთ, მის კვალს მისდევენ. იმ ადგილზე მიატანენ, შორიდანვე ცნობენ და მძვინვარენი მისკენ მიჯირითობენ, მახვილით ხელში თავს ესხმიან და მისი სისხლი სწყურიათ. მიახლოებულნი ხედავენ თავიანთ მეფეს, სრულიად მარტოს, უნუგეშოს, მწუხარეს, სამეფო მორთულობის გარეშე მიწაზე მწოლიარეს და ცრემლებით დალტობილს, მრისხანებას იოკებენ, უმოქმედონი ხდებიან, ებრალებათ იგი და წამოწყებულ ამბოხს ნანობენ; მას თანაგრძნობით ანუგეშებენ, წამოაყენებენ, კვლავ თაყვანს სცემენ როგორც მეფეს, მიტევებას სთხოვენ, დედაქალაქში

მიაცილებენ, კვლავ ტახტზე აჰყავთ და სამომავლოდ ერთგულებასა და მორჩილებას ეფიცებიან... ასე განუგმირა გულები ამბოხებულ ბარბაროსებს მხოლოდ შესახედაობამ უბედური მეფისამ. ჰოი, ქრისტიანენო, ის, ვისაც ჩვენ დიდ პარასკევს ჯვარცმულს ვხედავთ, ეკლის გვირგვინით, ყვრიმალში ნაცემს, ჭრილობებისგან გასისხლიანებულს _ მეუფეა დიდებისა, ჩვენი მეუფეა, რომლის სახელითაც ნათელი ვიღეთ, ვისი სახარებაც გვწამს, ვის სასუფეველსაც მოველით.

ამ საშინელ მდგომარეობამდე ის ჩვენმა ცოდვებმა მიიყვანეს. ეს ნიშნავს, რომ ქვისა გვაქვს გული, რაკი მისი შესახედაობის გამო არ შეიმუსრა ტკივილისგან. ეს რომ მომხდარიყო, მაშინ შემუსვრილი გულით ვეტყოდით მას: «იესოვ ჩემო, მხსნელო ჩემო, განა სამართლიანია, შენ ჯვარზე ეკიდო, მე კი რბილ ლოგინზე ვნებივრობდე?! შენ ეკლის გვირგვინს ატარებდე, მე კი თავში მზაკვრული აზრები მომდიოდეს?! შენ ფერდი განგმირული გქონდეს, ხოლო მე გულში ვატარებდე საუკუნო სიძულვილს მოყვასისადმი; შენი ხელნი და ფერხნი მიმსჭვალულ იყოს, ხოლო ჩემი ხელები _ სავსე უსამართლობით, ფეხები კი წარსაწყმედლისკენ გარბოდნენ?! შენი უწმიდესი სხეული მათრახით იყოს ნაცემი, ჩემი კი _ უწმინდურობით შებილწული. ეს მე უნდა მეზიდა ასეთი ჯვარი, მე უნდა მეტანჯა ასე, მე უნდა გადამეტანა ასეთი სიკვდილი. მაგრამ შენთვის სიკვდილი თუკი არ ძალმიძს, მოვინანიო მაინც; თუ შენთვის სისხლის დათხევა არ შემიძლია, ცრემლი მაინც დავღვარო. თუკი შენი სიცოცხლის სანაცვლოდ ჩემის გაწირვას ვერ ვბედავ, სიყვარულით მაინც გადავიხადო შენი ჩემდამი სიყვარული. შენ, უცოდველმა ღმერთმა, ჩემთვის, ცოდვილი ადამიანისთვის ამდენი გააკეთე, რაღა უნდა იყოს იმაზე მცირედი, ვიდრე მიყვარდე, ან მეტად აღარ შევცოდო შენს წინაშე? ასე რომ, ვინანიებ ჩემს უწინდელ დაცემას და ცოდვებს დავუტევებ და ვფიცავ, მომავალში საუკუნოდ მიყვარდეს სახელი შენი და სჯულს შენსას ვმორჩილებდე».

ჩვენ ამას დიდ პარასკევს უნდა ვამბობდეთ და ვაკეთებდეთ. ჩვენს წმიდა ეკლესიას სწორედ ეს აქვს მხედველობაში, როცა ქრისტეს ვნებებსა და სიკვდილს იხსენიებს. ქრისტიანთა დღესასწაული, განსაკუთრებით ამ წმინდა დღეებში, «კეთილ საქმეთა წარმოჩენაში, სულის კრძალულებაში, ცხოვრების მკაცრს წესში უნდა მდგომარეობდეს» _ ამბობს ოქროპირი. კეთილ საქმეთა წარმოჩენაში და არა სანთლებისა და ჩირაღდნებისა; სულის ნამდვილ კრძალულებაში და არა საჩვენებელში... ცხოვრების წესის სიმკაცრეში და არა საზეიმო სანახაობაში; სხვაგვარად, დავინახავთ ერთს, სინამდვილეში კი სულ სხვა რამ მოხდება! როგორ სჯობს, რომ მოვიქცეთ? მისმინეთ! საულ მეფე ფილისტიმელებთან ომში თავისივე ხელით მოკვდა. დავითმა, ეს რომ შეიტყო, სამოსი შემოიფლითა, ხმამაღლა ატირდა და თავის ხალხს უთხრა: «მამანო ისრაელისანო, მეფე საული მოკვდა. მაგრამ დადუმდით, ამის შესახებ ნურავის ეტყვით, რათა მტერმა არ შეიტყოს და არ იხაროს ჩვენს ზედა».

დადგება წმინდა და დიდი პარასკევი და ჩვენი წმიდა ეკლესია შეგვახსენებს, რომ ძე ღვთისა ცხოველისა, ღმერთკაცი იესო, ჩვენი მეუფე, ჩვენ სიყვარულისთვის ჯვარზე მოკვდა. მაშ ასე, დადუმდით. მღვდელნო, დახშეთ ეკლესიები, ჯვარცმული და ჯვარი საკურთხეველში დამალეთ, რათა სარწმუნოების მტრებმა ის არ დაინახონ, არ გაიგონონ და არ იხარონ. მაგრამ როგორ? ვატაროთ ჯვარი ქალაქის ერთი ბოლოდან მეორისაკენ, ჯვარცმულის გამოსახულებით ქუჩებში და მოედნებზე ვიაროთ, ღიად ვიქადაგოთ, რომ მან ეს მტკივნეული და დამამცირებელი სიკვდილი ჩვენს გამო დაითმინა და

ამავდროულად არანაირი გულითადი თანაგრძნობა (გარეგნული ზეიმის გამოკლებით), არანაირი ჭეშმარიტი მოწიწება, სიყვარული და მადლიერება არ გამოვამჟღავნოთ? მაშინ მისი ჯვარზე გამკვრელი ებრაელები რას იტყვიან? ისინი იტყვიან: ქრისტიანებს სწამთ, რომ ის ძეა ღვთისა, ქრისტიანები აღიარებენ, რომ ის ჯვარს ეცვა მათი სიყვარულისთვის; მაგრამ ესაა ყველაფერი, რასაც ისინი თავიანთი კეთილისმყოფელისთვის აკეთებენ _ ორიდან ერთია: ან სინამდვილეში არ არის ის, რაც ქრისტიანებს სწამთ, ან თვით ქრისტიანებს არ სწამთ იგი: *«უკუეთუ მეუფე ისრაელისაი არს, გარდმოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი»* (მთ. 27, 42). ახლაც დაიწყებენ ებრაელები ქრისტეს ვნებების გმობას, როგორც ეს მაშინ გააკეთეს. ისინი ქრისტიანთა თვალთმაქცობას დასცინებენ. ამიტომ ვიმეორებ, მღვდელნო, სჯობს ჩაკეტოთ ეკლესიები, ჯვარცმული და ჯვარი გადამალოთ, რათა სარწმუნოების მტრებმა არ ნახონ, არ გაიგონონ და არ იხარონ.

ესე იგი დიდ პარასკევს არ იქნება ჩვეული მსვლელობა, ლიტანიობა, ზეიმი, რომელიც ყოველ წელს იმართება? დიახ, ეს მე ვთქვი, თუმცა, იყოს, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ ისე იყოს, როგორც საჭიროა. რათა სინამდვილეში იყოს ის, რაც გარეგნულად ჩანს, რომ შინაგანი მოწიწება ისეთივე იყოს, როგორიც გარეგნულია. სანთლებთან და ჩირაღდნებთან ერთად დაე, თქვენს გულებში ენთოს სიყვარული იმის მიმართ, ვინც თქვენდამი სიყვარულის გამო მოკვდა. დაე, ვიგრძნოთ შემუსვრილება და გულაჩვილება მისი ეკლის გვირგვინის გამო. დაე, მისმა ჭრილობებმა ჩვენში ხორცის დათრგუნვის გამბედაობა აღძრას; მისი ჯვრით ვისწავლოთ დათმენა, მისი სიკვდილით მივხვდეთ, რა დიდი ბოროტებაა ცოდვა. დაე, დიდი პარასკევი იყოს დღე ჩვენი სინანულისა, ლიტანიობა კი «კეთილ საქმეთა წარმოჩენა, სულის კრძალულება და ცხოვრების წესის სიმკაცრე.» _ იყავნ!

II

ალბათ არ არის იმაზე დიდი ხელოვნება, ვიდრე წინასწარმეტყველების ხელოვნებაა და მაინც ზოგიერთ რამეს მეტად იოლად ვიწინასწარმეტყველებ. გინდათ, ვიტყვი, თქვენ, ყველა აქ მყოფი რას ფიქრობთ? თქვენ ფიქრობთ ერთსა და იმავეს _ რომ ქადაგების მეორე ნაწილს წარმოვთქვამ ისევე, როგორც პირველს. ხომ მართალია? გამოვიცანი. მაგრამ დღეისთვის მეტს აღარაფერს ვიტყვი. ამ დღესასწაულის გამო გადავწყვიტე, დიდხანს არ დაგაკავოთ. მაშ ასე, წადით მშვიდობით და დიდ პარასკევს მოგელით; მოდით, რათა მაცხოვნებელი ვნებანი შეიწყნაროთ.

სიტყვა დიდ პარასკევს

მაცხოვნებელ ვნებაზე

«შეწუხებულ არს სული ჩემი
ვიდრე სიკუდილადმდე»
(მთ. 26, 38)

კაცობრიობამ დედამიწაზე ორი დიადი სასწაული იხილა: პირველი – ღმერთი ჩამოვიდა მიწაზე, რათა ადამიანური ბუნება მიეღო; მეორე – ღმერთკაცი ჯვარს ეცვა, რათა მომკვდარიყო.

პირველი სასწაული გაცხადდა, როგორც საქმე უმაღლესი ყოვლადბრძნობისა, მეორე, როგორც საქმე უკიდურესი კაცთმოყვარეობისა. ამიტომაც ორივე სასწაული სხვადასხვა გარემოებაში აღსრულდა. პირველი სასწაულის დროს, როცა ღმერთმა ადამიანური ბუნება მიიღო, ყოველი ქმნილება ზეიმობდა: ანგელოზებმა ზეცაში სიხარულით აღსავსე საგალობელი იგალობეს, მწყემსები მაცხოვნებელი კეთილი უწყებითა და აღსრულებული სასწაულით ხარობდნენ. ახალშობილი მეუფის თაყვანისსაცემად აღმოსავლეთიდან მეფენიც კი მოვიდნენ ძღვენით. მეორე სასწაულში – როცა ღმერთკაცი, როგორც მსჯავრდებული, ორ ავაზაკს შორის ჯვარზე აღესრულა, ატირდა ზეციური და მიწიერი სამყარო, ზეცა დაბნელდა, მიწა საფუძვლიანად იძრა და ლოდები გაიპო. ის ღამე (შობის) ნათელი იყო, მან სამყაროს სიხარული მოუტანა, ეს დღე კი ბნელი იყო, ვითარცა დღე სევდისა და ნაღველისა. იმ ღამით ღმერთმა ადამიანს ისეთი სიკეთე მიაგო, როგორის მიგებაც ღმერთს შეეძლო; ამ ღამით ადამიანმა გამოხატა მთელი თავისი უსჯულოება, როგორის გამოხატვაც ღვთის წინაშე შეეძლო.

სევდიანო ღმერთკაცო იესო, შენ მართებულად შეგიძლია თქვა: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»* – რამეთუ მრავალია შენი ვნება, დიდია შენი ტანჯვა, ნაღველი _ ისეთი, ადამიანს რომ არასდროს დაუთმენია, ტანჯვა ისეთი, ადამიანის გულს რომ არასდროს განუცდია. მსმენელნო, რაც მეტად ვცდილობ მსგავსი მაგალითების პოვნას ადამიანთა ცხოვრებაში, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ვერაფერი შეედრება მისი ვნებით გამოწვეულ ტკივილს და ამ ტკივილით გამოწვეულ ნაღველს. დიდი იყო ღმერთის წინააღმდეგ კაენის შური, მაგრამ გაცილებით დიდია მღვდელმთავართა და მწიგნობართა შური მაცხოვრის წინააღმდეგ; აბელის უსამართლოდ მოკვდინება არაფერია ჯვარზე იესოს სიკვდილთან შედარებით; დიდი იყო ისაკის მოთმინება, როცა ის თავისი მამის, აბრაამის, მიერ შეწირული მსხვერპლი უნდა გამხდარიყო; შეუდარებლად დიდია ქრისტეს მოთმინება, როცა იგი თავისი ზეციური მამისაგან მსხვერპლად შეიწირება; დიდი იყო იოსების განსაცდელი, როცა იგი ძმებმა გაყიდეს, პეტეფრეს ცოლმა ცილი დასწამა და როგორც დამნაშავე, ციხეში ჩააგდებინა; მაგრამ გაცილებით მრავალრიცხოვანია იესოს ტანჯვა, როცა მოწაფე გასცემს, მას ბრალს სდებენ და ბოროტმოქმედივით სამსჯავროდან სამსჯავროზე ატარებენ. დიდი იყო დავითის დამცირება, როცა იგი თავისმა ძემ ტახტიდან ჩამოაგდო, როცა ქვეშევრდომები განუდგნენ, როცა ფეხშიშველი ელეონის მთისკენ გარბოდა და საკუთარი მსახურები მისდევდნენ, ქვებს ესროდნენ და ლანძღავდნენ. მაგრამ ის, რაც იესოზე აღსრულდა, როცა მოციქულებმა მიატოვეს, ჯარისკაცებმა ხელები შეუკრეს, ეკლის გვირგვინი დაადგეს, ჯვარი დააკისრეს, როცა მთელი ქალაქის მოსახლეობა მას ლანძღვით მიაცილებდა, როცა გოლგოთაზე ადიოდა, რათა ორ ავაზაკს შორის სამარცხვინო სიკვდილი დაეთმინა – განა ეს უფრო მეტად სამწუხარო სანახაობა არ არის?

არ შეიძლება არ აღიარო, რომ დიდი იყო იობის ტკივილი, როცა შვილებისა და ქონების დამკარგავი, თავით ფეხამდე იარებსა და ჩირქში იწვა. თუმცაკი ეს უნდა ჩაითვალოს წინასახედ და აჩრდილად იმ მძიმე ტანჯვისა და ჭრილობებისა, რომლებითაც ყოვლადწმინდა ქალწულის მრავალტანჯული ძე იყო გულდამძიმებული. ქრისტეს მიმდევართა და მიმბაძველთა ტანჯვაც არცთუ მცირე იყო, მაგრამ ეს იყო ხორციელი ტანჯვა, რომლის დროსაც ხარობდა მათი სული; იყო სიკვდილი, მაგრამ იყო პატივიც; იყო წამება, მაგრამ იყო გვირგვინიც. იესო ქრისტეს ვნება კი იყო ტანჯვა სულისა და ხორცისა,

ტანჯვა მცირედი ნუგეშის გარეშე; მისი სიკვდილი მხოლოდ უღირსება იყო, ტანჯვა – მხოლოდ წუხილი, წუხილი კი _ მომაკვდინებელი; *შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე.*

მქადაგებლები ხშირად საუბრობენ ქრისტეს ვნებებზე, რათა ქრისტიანებში სიბრალული და ცრემლი აღძრან, მაგრამ მე ეს ისევე არა მაქვს განზრახული, როგორც არ ჰქონდა განზრახული ქრისტეს, როცა ის სასიკვდილოდ მიდიოდა. *«ასულნო იერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა»* (ლკ. 23, 28). მოუნანიებელო ცოდვილნო თქვენს ცოდვებზე, თქვენს ბოროტებაზე იფიქრეთ, თქვენს ტანჯვასა და თქვენი შვილების უბედურებაზე იტირეთ, რომლებსაც მემკვიდრეობად გარყვნილი ცხოვრების მაგალითს უტოვებთ. არ მინდა ატირდეთ ქრისტეს ვნებების გამო, მინდა ჩემგან იმის შესახებ ისმინოთ, თუ რომელი იყო ქრისტეს ვნებათაგან ყველაზე მტანჯველი ვნება, რომლის შესახებაც ის თავადვე ამბობს: *შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე.*

I

როცა ძე კაცისა დედამიწაზე ჩამოვიდა და განხორციელდა, იგი თითქოსდა ადამიანური ბუნების ორი სამოსით შეიმოსა: ადამიანური ხორცით, რომელიც იპოსტასურად მიიღო – *სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა* (ინ. 1, 14); და ადამიანური ცოდვით, რომელიც შემწყნარებლობით იტვირთა და რის შესახებაც ლაპარაკობს პავლე მოციქული: *«ჩუენთჳს ცოდვაჲ ქმნა»* (2 კორ. 5, 21). და კიდევ: *«ქრისტემან ჩუენ მოგჳყიდნა წყევისა მისგან სჯულისა და იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე»* (გალ. 3, 13). ის, ადამიანური ხორცით მოსილი, მთელი სიცოცხლის მანძილზე უცოდველი იყო *«რომელმან – იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა»* (1 პეტ. 2, 22) ადამიანური ცოდვით მოსილი ის ტანჯვის დროს წარმოდგება, როგორც ცოდვილი, სინამდვილეში კი უწყინარი და წმინდა კრავია, რომელმაც მსოფლიო ცოდვა იტვირთა, და რომელზეც იწინასწარმეტყველა ესაიამ, შემდგომ კი იოანე ნათლისმცემელმაც მიგვითითა: *«აჰა ტარიგი ღმრთისაჲ რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი»* (ინ. 1, 29). ამ სამოსით წარდგა გეთსამანიის ბაღში თავისი დაუსაბამო მამის წინაშე და სამგზის სთხოვა აეცილებინა მისთვის ეს მწარე, სასიკვდილო სასმელი: *«მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმჴდინ ჩემგან სასუმელი ესე»* (მთ. 26, 39). მაგრამ მამა არ ისმენს და ზეცაში იმ განაჩენს წერს, რომელიც დედამიწაზე პილატემ დაწერა. მხოლოდ ერთი წყალობა მოიღო: დიად ღვაწლში ნუგეშად ანგელოზი წარმოუგზავნა *«და ეჩუენა მას ანგელოზი ზეცით, განაძლიერებდა მას»* (ლკ. 22, 43).

როგორ, მამა ღმერთი არ ისმენს თავისი მხოლოდშობილი ძის თხოვნას, რომელიც მტკიცედ დაიმედა: «ყოველჟამს მესმას შენი?» ღმერთი, რომელმაც აბრაამის ერთადერთი ძე შეიბრალა და მამამისს მისი მსხვერპლად შეწირვა არ დაანება, ახლა საკუთარ მხოლოდშობილ ძეს არ იწყალებს და მისი სიკვდილი თავად სურს? დიახ, სწორედ ასე ამბობს მოციქული. იმ კრავს, რომელმაც სამყაროს ცოდვები უნდა აღიხვნას, ღმერთი არ ცნობს იმ ძედ, იორდანეში და თაბორზე რომ იხილა და უთხრა: *«ესე არს ძე ჩემი საყუარელი»* (მთ. 3, 17), მას ქვეყნიერების ცოდვით მოსილს ხედავს და ისე, რომ ოდნავადაც არ წუხს, სასიკვდილოდ იმეტებს: *«ძესაცა თვისსა არა ჰრიდა, არამედ ჩუენ ყოველთათვის მისცა იგი»* (ჰრომ. 8, 32). რისთვის? იმისათვის, რომ ცოდვის უძველესი სამოსი ჯვარზე მიამსჭვალოს, თავისი სისხლით ღვთაებრივი სამართალი დაარწყულოს, ღმერთი მოწყალე ჰყოს და ადამიანი გაამართლოს.ზეცაში ღვთაებრივი მამისაგან, ხოლო

მიწაზე მოწაფეებისაგან იქნა მიტოვებული იესო. მოწაფეთაგან ზოგმა დაიძინა, ზოგი გაიქცა. შეწევნის გარეშე, მარტო დარჩენილმა წუხილი დაიწყო და მჭმუნვარე სულის უმძიმესი ღვაწლის გამო სიმწრის ოფლი დაედინა. ასე ვიტყოდი, როგორც იმ ბაღნარში, სიტკბოების სამოთხეში იყო დაწერილი ორი სასჯელი, რომლითაც ადამი იყო დასჯილი: *«ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა»* (დაბ. 3, 19) და ევას უწესებდა: *«მწუხარებითა ჰშვინე შვილნი»* (დაბ. 3, 16), ახლაც ასევე, გეთსამანიის ბაღში მწარე ოფლის ღვრით იღვწის იესო, რათა ადამის ოფლი განიცადოს; იტანჯება და მწუხარებს, რათა ევას სატკივარით აღივსოს და ამგვარად პირველმამები ძველი წყევისაგან იხსნას. თუმც ერთი რამ ვერ გამიგია და მაშფოთებს: ამ დიადი ღვაწლისას რად ამბობს ამოოხვრით: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»*, ის ამ დრომდე ამბობდა, რომ მომავალი ვნება და ჯვარი – ეს მისი დიდებაა: *«აწ იდიდა ძე კაცისაჲ»* (ინ. 13, 31). მამის ნებას იგი სრული მორჩილებით იღებდა: *«მამაო ჩემო... ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ... იყავნ ნებაჲ შენი»* (მთ. 26. 39-42); მოწაფეებს თავის გულმოდგინებას უჩვენებდა *«აღდეგით, წარვიდეთ ამიერ»* (მთ. 26, 46). მაშ ახლა რატომ ჭმუნავს? ეს მწუხარება მომაკვდინებელია მისთვის *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»* ასე რას უნდა დაემწუხრებინა იესო? იესოს სულის დამწუხრება კადნიერებას შეეძლო _ იუდამ მასში ძე ღვთისა არ ცნო, არამედ მიიჩნია ადამიანად, რომელსაც სასწაულების მოხდენის ღვთაებრივი ძალა ჰქონდა; მკურნალად, რომელიც ერთი სიტყვით ან ხელის შეხებით ბრმებს თვალს უხელდა, კეთროვნებს წმენდდა, სნეულებს კურნავდა, მკვდრებს აღადგენდა; როგორი საოცარი სასწაულთმოქმედი და წინასწარმეტყველია ეს იესო _ მომავალს წინასწარმეტყველებს, ყოველივე დაფარული იცის, წყალზე ისე დადის, რომ ფეხს არ ისველებს, ქარებს დადგომას უბრძანებს, დემონებს განაგდებს. მითხარი, წყეულო იუდავ, იგი რად გიღირს, ოცდაათ ვერცხლად რომ ჰყიდი? (მოსემ ეს საფასური მონის მოკვლისათვის სასჯელად დააწესა). დავუშვათ, რომ იესო იყიდება. მაგრამ მას რატომ ყიდის მოციქული? თუკი მოციქულები ქრისტეს ყიდიან, ღვთის მადლს კი მღვდლები, ხომ არ არის ეს ცუდი მაგალითი ქრისტეს ეკლესიისათვის? მოციქულებიდან სატანჯველში მხოლოდ ის შთავარდა, ვისაც ფული უყვარდა. წყეული ვერცხლისმოყვარეობა – პირველი და მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს რწმენას ვყიდით და საკუთარ სულს საუკუნო ტანჯვისთვის ვწირავთ! აქ კი, ქრისტიანო, ყურადღება მიაქციე ერთ გარემოებას: მოუტანა თუ არა იუდას რაიმე სარგებლობა ვერცხლმა, რომელიც მან ქრისტეს გაცემაში აიღო? იქნებ თავისი თავის უზრუნველსაყოფად უძრავი ქონება შეიძინა? ხომ არ შეიმოსა? ჭამა თუ სვა? – არაფერი ამდაგვარი, პირიქით, ვერცხლმა დააბრმავა, ჭკუიდან შეშალა და სასო წარუკვეთა: თავი ჩამოიხრჩო და საუკუნო ცეცხლში ჩავარდა, მხოლოდ იმით ასარგებლა, რომ სახრჩობელა და საუკუნო ტანჯვა შესძინა *«და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა» (მთ. 27, 5).* ამ ფულს იუდასთვის სარგებლობა არ მოუტანია. და მაინც, რაიმე ღვთივსათნო საქმეს ხო მარ მოხმარდა? არც ეს მომხდარა. წავიდა და ფული ტაძარში დააბნია, მღვდლებმა ის არ მიიღეს. წყეულია ეს ფული, უღირსია ეკლესიის ხაზინაში დასადებად – თქვეს მათ. არა, არა, ღმერთს ეს ფული ეკლეესიის საჭიროებისთვის არ სურს, ის უკანონოა, ღვთისმგმობია, მასზე ადამიანის სისხლია გაყიდული *«არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს»* (მთ. 27, 6) მაინც რას მოხმარდა ღალატის ეს საზღაური? ვერცხლი, რომელიც იყო საბაბი ღმერთკაცის გაცემისა, ანუ ვერცხლი სიკვდილისა, არა

ცოცხლებს, არამედ მკვდრებს მოხმარდათ. ამ ფულით მინდორი იქნა ნაყიდი უცხო მკვდრების დასამარხად *«მოიყიდეს მით აგარაკი იგი მეკეცისი საფლავად უცხოთა»* (მთ. 27, 7) ჰოი, წყეული ვერცხლი, რომელზეც იუდამ იესო გაყიდა! პირველი ის არის, რომ მას იუდასთვის არ მოაქვს სარგებლობა; მეორე – ის ეკლესიის საჭიროებისათვის უღირსად სცნეს; და მესამე – ამ ფულით სასაფლაო იქნა ნაყიდი, და ისიც უცხო მკვდრების დასამარხად *«საფლავად უცხოთა»;* ჰოი, უბედური ვერცხლი, ასევე უბედური, უარყოფილი და დაწყევლილია ის ვერცხლი, რომელზეც ჩვენ ვყიდით ქრისტეს, ვყიდით ღვთის მადლს, ვყიდით საიდუმლოებებს, მოგვიტანს კი ასეთი ვერცხლი სარგებლობას პირველ რიგში ჩვენ? სწორედაც რომ არა! წყევლა და უარყოფა, რომელიც მასზეა აღბეჭდილი, არ დაუშვებენ, რომ მათით ვიხარებდეთ, პირიქით, მის გამო ბოროტი სნეულება ამ ცხოვრებაში უეცრად თავს დაგვატყდება, იმ ცხოვრებაში მარადიული ტანჯვა მოგველის. ასეთ ვერცხლს ვერც ღმერთი მოითმენს თავის ტაძარში *«არა ჯერ არს ესე დადებად სიწმიდესა».* ფულით, რომლითაც მღვდლობა შეისყიდება, რომელიც ანგარების, მკრეხელობისა და უსჯულოების მონაგებს შეადგენს, პირვითნაშოვნი ფულით, (იუდა ქურდი იყო და ეკლესიის შემოსავალს იპარავდა) არ ახლდება ტაძრები, არ შენდება სახლები, ვერ შეიძენ მამულს, ამ ფულით მხოლოდ კუბოს და დასაკრძალი ადგილის ყიდვაა შესაძლებელი. ასეთ ფულს მფლობელისთვის არ მოაქვს სარგებლობა, ის მხოლოდ *«საფლავად უცხოთა გამოდგების».*

მაგრამ ვხედავ, რომ უბოროტო უფალი იესო ღებულობს იუდას, მისი მზაკვრული ამბორი არ სძაგს, გულდაწყვეტით მეგობარს უწოდებს: *«მოყუასო რაისათვის მოსრულ ხარ?»* (მთ. 26, 50). მაშ რაღას ნიშნავს სიტყვები: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე?»* სილას ხომ არა, თავხედმა და უხმარმა მონამ რომ გააწნა? მან იესოს, როგორც სამსჯავროზე გადაცემულს, ხელები ზურგსუკან გაუკრა და იგი ყველას _ მთელ რაზმს, ასისთავსა და მსახურებს ჯერ ანას სახლში, შემდეგ კი კაიაფასთან მიჰყავთ, სადაც მწიგნობრები და ფარისევლები, უხუცესნი და სინედრიონის მთელი კრებული განკითხვისათვის გახსნილი ბაგით, სიძულვილით მოწამლული გულით ერთსულოვნად ირწმუნებიან, რომ ეს ადამიანი სიკვდილის ღირსია *«თანამდებ არს სიკუდილისა»* (მთ. 26, 66).

ქრისტიანენო, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: შურით ავსებულ მღვდლებსა და ფარისევლებს ძალზე სძულდათ იესო ქრისტე. თვითონ ბრმანი, ბრმებს წინამძღოლობდნენ და არ შეეძლოთ ქრისტეს ცხოვრების დანახვა; ყურდახშულნი იყვნენ და არ ესმოდათ მისი სწავლება _ ის ზეციური ნათელი, *«რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა»* (იხ. 1, 9). ხალხს უყვარდა იესო, სიხარულით უსმენდა მის სწავლებას. ამიტომ მღვდლებსა და ფარისევლებს, როცა ისინი მის მოკვლას შეეცადნენ, სწორედ უბრალო ხალხისა შეეშინდათ. ახლა კი, როცა იესოს ვნებების დრო დადგა, ყველას, როგორც ერთს – მღვდლებს, ფარისევლებსა და უბრალო ხალხს, ქალებსა და კაცებს, ახალგაზრდებსა და მოხუცებს – ყველას მისი მოკვლა უნდა «*თანამდებ არს სიკუდილისა*» ხალხი ასე რამ აღძრა? რამ აიძულა ქრისტეს წინააღმდეგ აღმდგარიყო? არაფერმა გარდა ფარისევლების პირმოთნეობისა. ვერცხლისმოყვარე და ამპარტავანი ფარისევლები ქვრივ-ობლების უკანასკნელი ლუკმის ჭამას თავიანთ თავს ცოდვად არ უთვლიდნენ; ყველგან პირველობის ძიებაც არ მიაჩნდათ ცოდვად. ვერცხლისმოყვარეობა და პატივმოყვარეობა მათ დაფარულად ჰქონდათ და ხალხი ამას ვერ ხედავდა. ისინი ღია მოედნებზე ყველას

თანდასწრებით ლოცულობდნენ, ემოსათ გრძელი სამოსი ღვთის მცნებების გამოსახულებათა ფართო შესანახით. ყველაფერი ეს აშკარა იყო და ხალხი ხედავდა. ფარისევლები ძირითად მცნებებს არად დაგიდევდნენ: უნდოდა ვინმეს ცრუმოწმე – ეს ფარისეველი იყო; უნდოდათ მექრთამე – ასეთის პოვნა ფარისევლებს შორის იყო შესაძლებელი; მათი დიდი და ნამდვილი უსჯულოება დაფარული იყო, პატარა და ცრუ სათნოებები კი _ ცხადი. აი რატომ თვლიდა მათ ხალხი წმინდანებად. უმეცრებით დაბრმავებული მღვდლებიც ასევე იყვნენ შურით მოწამლულნი. ესეც საიდუმლოდ იყო, უბრალო ხალხი ვერც ამას ხედავდა და მათ სჯულის დამცველებად მიიჩნევდა. იუდამ მათ ვერცხლი მიუყარა. ისინი კი ფულს არ მიჰკარებიან, რადგან სისხლის საფასური იყო. *«არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს»*; არ წავიდნენ ისინი პრეტორიაში (სასამართლო, რომელსაც პილატე ესწრებოდა), არ უნდოდათ იქ შებილწულიყვნენ, რადგან დღესასწაულის დღეები იდგა *«იგინი არა შევიდეს ტაძრად, რაჲთა არა შეიგინნენ»* (ინ. 18, 28) სჯულისადმი ასეთი მოშურნეობა აშკარა იყო... ამ ვერცხლისმოყვარე, ამპარტავანმა, უმეცარმა და შურიანმა ადამიანებმა ისეთი უსჯულო და უსამართლო მკვლელობა განიზრახეს, როგორიც არასდროს ყოფილა დედამიწაზე – მათ ჯვარზე ძე ღმრთისა უნდა გაეკრათ. ხალხი კი ასე ფიქრობდა: ჩვენი ფარისევლები, ჩვენი მღვდლები წმინდა ადამიანები არიან და თუკი ისინი ამბობენ, რომ იესო ქრისტე მაცდურია და ბოროტმოქმედი, არცთუ უსაფუძვლოდ ამბობენ; თუკი მისი მოკვლა უნდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სიკვდილის ღირსია *«თანამდებ არს სიკუდილისა»;* ჰოი, პირმოთნეობავ ფარისევლებისა და მღვდლებისა! რარიგ ადვილია უბრალო ხალხის აღფრთოვანება, ის ხომ პატარა, ცრუ სათნოებებს ხედავს, მაგრამ ვერ ხედავს დიდსა დანამდვილ მანკიერებებს!

დაე, ეს კაცი უბრალო იყოს, დაე იყოს წინასწარმეტყველი და სასწაულთმოქმედი, როდესაც მას ფარისევლები მაცდუნებლად და ბოროტმოქმედად წარმოადგენენ, მის სიკვდილს მოითხოვენ, მათ მთელი ერი ემხრობა *«თანამდებ არს სიკუდილისა»;* იოანე ოქროპირი დასძენს: «განა ეს ის ხალხი არ არის, ქრისტემ უდაბნოში ხუთი პურით რომ დააპურა? ხრიოკი ადგილი იყო, საკვებს ვერსად იპოვიდი; ადამიანები ხუთი ათასნი იყვნენ, პური კი მხოლოდ _ ხუთი. დიდი შიმშილი იყო, დიდი შფოთი. მაგრამ კაცთმოყვარე იესომ ის ხუთი პური აკურთხა და ხუთი ათასი ადამიანი დააპურა. დიადი ქველმოქმედება იყო და ხალხმა ისურვა, რომ იესო მისი ნების საწინააღმდეგოდ გაემეფებინა, მაგრამ იესომ უარი თქვა *«იესო გულისხმა-ყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად, რაითამცა ყვეს იგი მეფედ, და განეშორა...»* (ინ. 6, 15). ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც მისი გამეფება სურდათ, ახლა კი სძულთ და მის სიკვდილს მოითხოვენ? *«თანამდებ არს სიკუდილისა»*. დიახ მისი გამეფება უნდოდათ, რადგან მან ისინი დააპურა, ახლა კი არაფერი აქვს მისაცემი და მის სიკვდილს ამიტომაც ითხოვენ. ჰოი, რარიგად დიდია სიხარბის ძალა და რა ცვალებადია ბრბოს აზრი!» – შესძახებს ოქრომესიტყვე მასწავლებელი. ხარბო, გაუმაძღარო, უმადურო ერო! რატომ გინდა ყაჩაღივით ჯვარს აცვა ის, ვინც გამოგკვება და მოითხოვ: *«თანამდებ არს სიკუდილისა?»* რა არის მისდამი შურის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ იესო ქრისტეს მოწაფეები ჰყავდა და იმას ასწავლიდა, რასაც ეკითხებოდნენ *«ხოლო მღდელთ მთავარმან მან ჰკითხა იესოს მოწაფეთა მისთათჳს და მოძღურებისა მისისათჳს»* (ინ. 18, 19). განა შეიძლება ვინმეს დანაშაულად ჩაუთვალო ის, რომ ადამიანთა სწავლებასა და განათლებას ესწრაფვის? შურიანო იუდეველნო! თვითონ

ბრმებს, ჭეშმარიტად გდომებიათ ბრმების წინამძღოლობა. ამიტომაც გძულთ ზეციური ნათელი. ის თვალნათლივ ესაუბრებოდა ერს, დაუფარავად ასწავლიდა სინაგოგაში და ტაძარში, სადაც ყველა იუდეველი მოდიოდა, არაფერს ამბობდა საიდუმლოდ, მოწმეებს ჰკითხეთ და გაიგონებთ, რომ მან *«ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა»* (1 პეტ. 2, 22). მრავალთა შორის, რომლებმაც არ იცოდნენ, მისთვის რაში დაედოთ ბრალი, აღმოჩნდა ორი ცრუმოწმე, რომელმაც თქვა, რომ იესოს, მისივე თქმით, იერუსალიმის ტაძრის დანგრევა და სამ დღეში კვლავ აშენება შეეძლო. *«ვითარმედ ამან ესრეთ თქუა: ძალ-მიც დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად»* (მთ. 26, 61). ეს სიტყვები ნამდვილად თქვა ქრისტემ, მაგრამ ის გულისხმობდა არა იერუსალიმის ტაძარს, არამედ საკუთარ სხეულს *«ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათვის გუამისა თვისისა»* (ინ. 2, 21). მას ამ სიტყვებით უნდოდა ეთქვა: იუდეველნო, თუ ჩემს სხეულს მოაკვდინებთ, მესამე დღეს კვლავ აღვდგები! როცა იესომ ბრალდება მოისმინა, და მღვდელმთავრისათვის პასუხის გაცემა დააპირა, ერთ-ერთმა მსახურმა მას ყვრიმალში შემოჰკრა *«ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან, სცა ყურიმალსა იესოს»* (ინ. 18, 22). სად იყო ზეციური ელვა, ეს უკეთური მარჯვენა რომ დაენაცრა! როგორ არ გაიპო მიწა, რომ ეს მკრეხელი მსახური ჩაენთქა! თუმცაღა მრავლის მომთმენი იესო იმას დასჯერდა, რომ სიტყვით ჰყვედრა: *«უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისთჳს; უკუეთუ კეთილსა, რაჲსათჳს მცემ?»* (ინ. 18, 23).

რის გამო ითმენდა და დუმდა იესო, როცა ცემითა და შენერწყვებით მისი ღვთაებრივი სახე სრულიად დაამახინჯეს? წყლულებით დაფლეთილ სხეულს რისთვის ითმენდა და დუმდა? ჯვარცმისას, აუტანელი ტანჯვის დროს გოლგოთაზე, ასევე რატომ ითმენდა და დუმდა? ახლა კი, მღვდელმთავარ ანას სახლში, ერთხელ შემოკვრის მოთმენა არ ისურვა? მიზეზი გასაგებია: იქ, ერში, პრეტორიაში, პილატესთან, შეურაცხყოფა და სიძულვილი მოთმინებით გადაიტანა, წმინდა ქალაქ იერუსალიმის გარეთ, ანუ ურწმუნოთა და უღირსთა ქვეყანაში ყოველგვარი დათრევა ასევე მოთმინებით გადააქვს. მაგრამ შეიძლებოდა კი დაეთმინა ყვრიმალში ცემა, სიძულვილი, ლანძღვა მღვდელმთავრის სახლში, მღვდელმთავრისა, რომელსაც მისდამი განსაკუთრებული პატივისცემა მართებდა და რომელსაც ქრისტეს ღირსებისათვის სისხლიც უნდა დაეთხია. ის კი სიტყვასაც არ ძრავს. იქნებ სწორედ ამიტომაც ამბობს იესო *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»?*

იესოს მსაჯულები ორნი იყვნენ – მღვდელმთავრები ანა და კაიაფა. როცა იესო ლაპარაკობს და მიუგებს, ეს ანას არ მოსწონს და მისთვის სილის გაწნას ბრძანებს; როცა იესო დუმს, არაფერს ამბობს, ეს კაიაფას არ მოსწონს და ლაპარაკს აიძულებს: *«გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ»* (მთ. 26, 63). რა უნდა ექნა იესოს ასეთი მღვდელმთავრებისთვის? როცა ლაპარაკობს, ასამართლებენ, სდუმს და შეშლილად თვლიან. უღმრთო მღვდელმთავარო, რისთვის აფიცებ, რისთვის გინდა, რომ იესომ თავის თავზე დაამოწმოს, როცა აქვე, მღვდელმთავრის ეზოში მისი ერთ-ერთი მოწაფეა, მხოლოდ უხმე და ის იტყვის სიმართლეს. პეტრე სადა ხარ? მოდი და თქვი ვინ არის იესო! – *«არა ვიცი კაცი იგი»* (მთ. 26, 74) პეტრე, როგორ არ ცნობ ამ ღვთაებრივ მასწავლებელს, როცა სამი წლის მანძილზე მისი მოციქული და მოწაფე იყავი, რომელმაც მეთევზიდან ადამიანთა სულების მებადურად გაქცია, ცათა სასუფევლის კლიტენი ჩაგაბარა? არ იცნობ იმას, ვინც გუშინ ფერხნი დაგბანა და თავის ღვთაებრივ

ხორცსა და სისხლს გაზიარა? *«არა ვიცი კაცი იგი»* _ განა ეს ის კაცი არ არის, რომელიც აღიარე: *«შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ»* (მთ. 16, 16), რომელსაც არწმუნებდი, რომ მისგან განდგომას სიკვდილი გიჯობს? *«აწ სული ჩემი შენთჳს დავდვა?»* (ინ. 13, 37) _ *«არა ვიცი კაცი იგი»* პეტრემ, გულწრფელმა მეგობარმა, როცა თაბორზე ქრისტეს დიდება იხილა, მასთან სამუდამოდ დარჩენა განიზრახა *«კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ»* (მთ. 17, 4), მაგრამ ვნების დროს არ ცნო, სამგზის უარყო იგი. ჰოი, ცვალებადობა ადამიანის მეგობრობისა, დარღვევა პირობისა, ღალატი ადამიანთა გულებისა! ჰოი ვნებავ, ტკივილო, სიმწარევ იესოს სულისა! მას ჭეშმარიტად შეეძლო ეთქვა: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე».* პეტრევ, იფიცები, რომ არ იცნობ იესოს და დაჟინებით ამტკიცებ, *«არა ვიცი კაცი იგი»*, მაგრამ პილატე გამხელს, მას მთელ ხალხს უჩვენებს და ამბობს: *«აჰა კაცი იგი!»* (ინ. 19, 5).

იესოვ ჩემო! აწ რას ვხედავ? ვაგლახ მე! არცთუ მთლად ცდება პეტრე, როცა ამბობს, რომ არ გცნობს. იუდეველთა სიძულვილმა ანგელოზთა სიხარული და სიტკბოება _ შენი სახე ისეთი გახადა, რომ ვეღარ გიცნეს. შენი უწმინდესი ქედიდან რად მოედინება ამდენი სისხლი? თავით ფეხამდე ჭრილობებში რად ხარ? საიდანაა ესოდენ სასტიკი წამება? ეს ყველაფერი გაშოლტვამ ქნა. მაგრამ რა იყო შენი დანაშაული? ის რომ არანაირი დანაშაული არ გქონდა? *«მე არცა ერთსა ბრალსა ვჰპოვებ ამის თანა»* (ინ. 18, 38). ეს პილატეს სიტყვებია. ეს რა გვირგვინია თავზე რომ გადგას? _ ეს ეკლის გვირგვინია ძალით რომ დაგადგეს. ეს რა მეწამული გმოსავს? ამ ფლასში ჯარისკაცებმა გაგხვიეს, რათა შენთვის დაეცინათ, განა ტანჯვა არ კმაროდა? არა, აქ ტანჯვაც უკიდურესი იყო და აბუჩად აგდებაც. იესოვ ტკბილო ვინ არის შენსავით ვნებული; ვინ არის შენსავით შეურაცხყოფილი; ამან ხომ არ გაიძულა გეთქვა *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»* სადა ხარ პეტრე, ამ კაცს ახლა თუ სცნობ? მაგრამ უკვე მოინანია პეტრემ – სიმწრისა და სირცხვილისაგან აღარ ძალუძს მისი შეხედვა, რადგან თვალნი მისნი ცხარე ცრემლთა წყაროებად იქცნენ.

«აჰა კაცი იგი!» _ მარიამ, მწუხარე დედავ, შენს უტკბეს შვილს თუ ცნობ? მაგრამ ასეთ ხმაურში, ასეთ იუდეურ შფოთში როგორ უნდა დაინახო ის?

«აჰა კაცი იგი!» _ დაუსაბამო მამაო! მას ზეციდან მოხედე, იმ საყვარელ ძეს მოხედე, მთიებზე უწინ რომ შვი წიაღიდან. მაგრამ ზეციურმა მამამ სერაფიმთა ფრთები იმავწუთს ნეტარ თვალებზე იფარა, რათა არ ეხილა ტანჯვა თავისი დაუსაბამო ძისა, რომელიც მას უკვე შეეწირა მსხვერპლად;

«აჰა კაცი იგი!» _ სად ხართ მოციქულნო და მოწაფენო? მათ ის მიატოვეს და გაიქცნენ, იგი მარტოა, უბედურია, ერთი მეგობარიც არ ჰყავს, მას რომ შეხედოს და შეიბრალოს.

«აჰა კაცი იგი!» _ მღვდელმთავრებო, უხუცესნო, იუდეველო მწიგნობრებო, გინდოდათ გეხილათ იგი უფრო ნატანჯი, უფრო დამცირებული, ვიდრე ახლაა? განა ეს ტანჯვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თქვენი მრისხანება დაცხრეს? ამ სანახაობას თქვენში სიბრალული უფრო უნდა გამოეწვია, ვიდრე სიძულვილი. შეძრწუნდი მზეო! ატირდი ზეცავ! უთვალავ ადამიანთა შორის ერთიც არ მოიძებნა ისეთი, მას რომ შეიბრალებდა, მისი ჭრილობების დანახვა სიამოვნებას რომ არ მოჰგვრიდა, მისი სისხლი რომ არ დაარწყულებდა. ყოველი მხრიდან გაისმოდა შეშლილი ყვირილი *«ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე»* (ინ. 19, 6). ამის შემდეგ როგორღა არ ეთქვა მას *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე».*

უბოროტო კრავო ღთისაო წადი, ამ სისხლისმსმელ მგლებს ცოტა ხნით მაინც დაემალე, ვიდრე იგემონი პილატე რაიმეს მოიფიქრებდეს, რათა ტანჯვისგან გიხსნას!

II

იმ დიად დღეს, რომელსაც იუდეური პასექის სამზადისი ერქვა, იყო ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ხალხის თხოვნით ერთ-ერთ მსჯავრდებულ პატიმარს ათავისუფლებდნენ. პილატემ, რომელმაც იესოში ბრალი ვერ ჰპოვა, შესთავაზა იუდეველებს, რომ მათ ერთ-ერთი ტუსაღი გასათავისუფლებლად აერჩიათ. *«ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ»* (მთ. 27,17). ყური მიდგეთ იუდეველნო, აი ბარაბა, ყველასათვის ცნობილი ავაზაკი, რომლის ხელები ცოტა ხნის წინ მოკლული ადამიანის სისხლით გაისვარა, მძარცველი, რომელიც მთელ იუდეას შიშის ზარს სცემს, სახელმწიფო დამნაშავე, სიმშვიდის მტერი, ბოროტმოქმედი, ღირსი სიკვდილისა; აი იესო ნაზარეველი, თვინიერი, მშვიდობისმოყვარე, ყველასადმი კეთილი, ყოველთა კეთილისმყოფელი, სასწაულთმოქმედი, რომელიც სნეულებს კურნავდა, კეთროვნებს განწმენდდა, ბრმებს სინათლეს უბრუნებდა, მკვდრებს აღადგენდა. რომელს გინდათ მისცეთ თავისუფლება? რას იტყვით თქვენ, მკვდრეთით აღდგენილნო? თქვენ, სინათლედაბრუნებულო ბრმანო, განწმენდილო კეთროვანნო? ოდაბნოში ხუთი პურით დაპურებულო მშიერნო, შვილნო ებრაელთა, იერუსალიმელნო, მესამე დღემდე მას «ოსანას» ძახილით ისრაელის მეფედ რაცხდით, ბაიებსა და რტოებს უფენდით. ამ ორიდან რომელს გინდათ თავისუფლება მიანიჭოთ? ყაჩაღს თუ კეთილისმყოფელს? მკვლელს თუ მკურნალს? ბარაბას თუ იესოს? ჰოი, არაადამიანობავ უღირსი ერისა! ყველას ბარაბას სიცოცხლე უნდა. მაშ იესო? *«ჯუარს-ეცუნ!»* (მთ. 27, 23), მაგრამ რაშია მისი დანაშაული?, ეკითხება მათ იგემონი *«რაი ბოროტი უქმნიეს?»* (იქვე), *«ჯუარს-ეცუნ!»* დაე იყოს ასე, ფიქრობს პილატე და ხელს იბანს, მე უბრალო ვარ, დაე თქვენზე იყოს მაგისი სისხლი *«და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შუილთა ჩუენთა»* (მთ. 27, 25)

პილატე გთხოვ, ცოტა ხანს მოიცადე და ვიდრე საბოლოო განაჩენს გამოიტანდე, ორიოდ სიტყვა მოისმინე. ებრაელთა ბრბოს რად ეკითხები ვინ გაათავისუფლო, ქრისტე თუ ბარაბა? ხომ იცი, რომ ისინი ქრისტეს მტრები არიან, რომ სასიკვდილოდ არა რაიმე დანაშაულისთვის, არამედ მხოლოდ შურის გამო გაიმეტეს? შენ ხელისუფალი და მსაჯული ხარ, ხელისუფლება და სასამართლო შენს ხელთაა. ქრისტე რომ უდანაშაულოა, ამას თავადვე აცხადებ; ბარაბა რომ დამნაშავეა, თვითონაც ხედავ; ქრისტეს ბრალმდებელი ებრაელები რომ მისი აშკარა მტრები არიან, ესეც კარგად უწყი *«უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი»* (მთ. 27, 18). განა ეს ჭეშმარიტება არ არის? *«რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ?»* (ინ. 18, 38) კითხულობს ის და განზე დგება. შეჩერდი პილატე, ღმერთს გაფიცებ შეჩერდი! ნუთუ თქვენ, მიწიერო ხელისუფალნო და მსაჯულნო, სასამართლოზე ჭეშმარიტებას აღარად აგდებთ? სასწორი, რომელიც გიპყრიათ, განა არ არის მართლმსაჯულება, ჭეშმარიტებას სიზუსტით რომ წონის? განაჩენს, რომლითაც საქმეს აღასრულებთ, განა რაიმე სხვა მიზანი აქვს, გარდა ჭეშმარიტების მიღწევისა? *«რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ?»* – კითხულობს პილატე.

რად მაცდუნებ? – კიდევ ერთხელ ვეკითხები პილატეს. ეს რა მესმის? რომ ჭეშმარიტება სასამართლოდან განდევნილია? პილატე კარგად მიმოიხედე და განსაჯე, რას სჩადი: შენ ბარაბას ათავისუფლებ, მაგრამ ის ხომ მკვლელობასა და ძარცვას მიჩვეული ყაჩაღია, არაერთხელ მჯდარა დიდი ხნით ციხეში. ის ისევ გზას აცდება, შიშის ზარს დასცემს

იუდეას, უწინდელზე დიდ უბედურებებს ჩაიდენს და ყველაფრის მიზეზი შენ იქნები. ამაზე რას იტყვი? არ მპასუხობ? ქრისტეს ჯვარზე გაკვრას უსჯი, მაგრამ ღმერთი ასეთ უსჯულოებას არ მოითმენს. გაპარტახდება იერუსალიმი, აქ ქვა ქვაზე არ დარჩება. ებრაელი ერი თავისუფლებას დაკარგავს, აღარ ეყოლება სამღვდელოება და აღარ ექნება სამეფო. ყოველივე ამის მიზეზი კი შენ იქნები. ამაზე რას იტყვი? აღარაფერს პასუხობს პილატე, აღარაფერს ისმენს, ყურები მას ერთმა გარემოებამ დაუხშო _ თუკი იესოს გაათავისუფლებს, კეისრის მეგობარი აღარ იქნება. *«უკუეთუ ეგე განუტევო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ»* (იხ. 19, 12). მიკერძოებული მსაჯული თავისი მიზნის მისაღწევად ჭეშმარიტებას არად აგდებს, სიმართლეს არ ეძიებს. მაგრამ ეს ხომ ბევრ ბოროტებას წარმოშობს? დაე დაიღუპოს მთელი სამყარო, მასთან არაფერი მესაქმება, მე კეისრის მეგობრობის დაკარგვა არ მსურს _ ამბობს იგი. ასე რომ, ჯვარცმის ღირსი ავაზაკი თავისუფლდება, ხოლო თაყვანისცემის ღირსი ძე ღმრთისა ჯვარზე კვდება. ასეთი რამ ხდება ყოველთვის, როცა ადამიანები თავიანთი ანგარებით განსჯიან.

ქრისტიანენო, არ ვიცი, ყოფილა კი ოდესმე ამაზე დიდი ტანჯვა, რამეთუ ღვთაებრივ იესოს ყოვლად უდანაშაულოდ სიკვდილს უსჯიან. აქ სახეზეა უკიდურესი უღირსება, უკიდურესი უმადურობა და უკიდურესი უბედურება. ეს ყველაფერი იესოს გულს სამმაგი შუბივით გმირავს და მასში სიკვდილის ტოლფას მწუხარებას იწვევს. ამ სამწუხარო ამბის დასასრულის შესახებ ჩემს გონებას ფიქრი, ენას კი საუბარი უმძიმს. აქ სიტყვაზე მეტად გამოსადეგი ცრემლია, რათა გამოიგლოვო სანახაობა, რომლის მსგავსი მზესაც არ უხილავს.

საბოლოოდ პილატე აცხადებს რა ყველას წინაშე, რომ იესოში ვერანაირ ბრალეულობას ვერ ხედავს, ამაქვეყნიური ანგარებისა და კეისრის მეგობრობის დაკარგვის ამაო შიშით სიმართლეზე და ჭეშმარიტებაზე თვალს ხუჭავს. მან *«უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი»,* და მაინც შეეცადა ეს შური დაეკმაყოფილებინა და იესო ებრაელებს გადასცა *«მაშინ მისცა იგი მათ»* (იხ.19,16).

რა სიხარული, როგორი ზეიმი აქვთ მღვდელმთავრებს უხუცესებსა და ფარისევლებს! რა თავშეყრაა! იესოსკენ მიმართული მოზეიმე შეძახილები, ყიჟინა! ქალებისა და კაცების, მოხუცებისა და ბავშვების, მონებისა და ჯარისკაცების გინება... იგი დიდი და მძიმე ჯვრით, ოფლად გაღვრილი, გასისხლიანებული, იერუსალიმის ყველა ქუჩას გაივლის და მსჯავრის აღსრულების ადგილზე _ გოლგოთაზე ადის. აქ, გოლგოთაზე, არა აქვს სხვა ნუგეში გარდა გინებისა, არა აქვს ტანჯვის წამალი, გარდა ძმრისა. ჯარისკაცები უკვე მზად არინ: ერთნი ხდიან, მეორენი ჯვარზე აწვენენ, ხელებსა და ფეხებს უმსჭვალავენ და ყველანი, ერთიანი ძალისხმევით ჯვარს წევენ, ჯვართან ერთად ჯვარცმულსაც, მასთან ერთად ორ ავაზაკს, ერთს მარჯვნივ, მეორეს _ მარცხნივ. როცა საწამებელი ძელი მიწაზე დადგეს და გაამაგრეს, მაშინ გაძლიერდა მათი ლანძღვა და შეურაცხყოფა *«სხჳანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად; გარდამოხედინ აწ ჯუარით»* (მრკ. 15, 31-32). თქვენ, ქრისტიანენო, რომლებიც უცრემლოდ მისმენთ, გთხოვთ მომიტევოთ, რომ ამ სატირალ ამბავს ასე მოკლედ გიამბობთ. ადამიანის ენას არ ძალუძს გადმოსცეს ყველა ის ტკივილი, რომელიც ქრისტეს სხეულმა განიცადა სასტიკი ჯვარცმისას; მთელი ნაღველი, რაც ქრისტეს სულმა უკიდურეს უპატიობაში დაითმინა.

წმინდა წერილიდან ჩვენთვის ცნობილია სამსონის შესახებ, თუ როგორ მოხვდა იგი ფილისტიმელებთან, როგორ დააბრმავეს, თვალები როგორ დათხარეს. როცა ფილისტიმელებმა მისი უძლურების აბუჩად ასაგდებად კაცი გაგზავნეს, სამსონმა ვერ

მოითმინა შეურაცხყოფა, ხელი სტაცა ბოძს, რომელსაც ტაძარი ეყრდნობოდა და ისე შეანჯღრია, რომ ნაგებობა დაინგრა და ფილისტიმელები ქვეშ მოიყოლა, მათთან ერთად თავად სამსონიც. როგორი მძიმე იყო ადამიანისათვის მტრისაგან აბუჩად აგდება; როგორი მძიმე იყო ჯვარზე მიმსჭვალულ იესოს ტანჯვა. ღვთისმეტყველთა თქმით ეს ტანჯვა ყველა წმინდა მოწამის ტანჯვას აღემატებოდა. ამ ტანჯვას თან ახლდა ურიცხვი ადამიანის ლანძღვა, ეს ყოველივე სიკვდილზე უარესი იყო. იქნებ სწორედ ამიტომ ამბობდა წინასწარი განჭვრეტით: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»,* თუმცაღა ყველაფერს ითმენს და არ უბრძანებს სამყაროს თავისი საფუძვლით იძრას, რათა ის უსჯულო ადამიანები ცოცხლად ჩამარხოს; პირიქით, მათთვის ლოცულობს კიდეც: *«მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან»* (ლკ. 23, 34). შეუძლია კი ადამიანის გონებას განსაზღვროს, თუ რაოდენ დიდი იყო მოთმინება, რომელიც მეექვსე ჟამიდან მეცხრე ჟამამდე გრძელდებოდა? როცა ბოლომდე შესვა სიმწრის ფიალა, იესომ წარმოთქვა: *«აღსრულებულ არს»* და თავი მიიდრიკა ნიშნად იმისა, რომ უხმობს სიკვდილს, რომელიც თავად ვერ გაბედავდა მიახლებას ცხოვრების მეუფესთან. მან მეორედაც ამოიძახა დიდი ხმით, ალბათ იმისათვის, რომ ჯოჯოხეთში პირველმამებისთვის სასიხარულო ამბავი ეცნობებინა და ბოლოს *«განუტევა სული».* ამ დროს ზეცა ისე დაბნელდა, რომ მზემ ნათელი დაკარგა; მიწა ისე იძრა, რომ კრეტსაბმელი მთელ სიგრძეზე გაიპო და ლოდები დაიბზარა, საფლავები გაიხსნა; მრავალი მიცვალებული მკვდრეთით აღდგა *«ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესოს, იხილეს რაჲ ძრვაჲ იგი და რაჲ იგი ქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე»* (მთ. 27. 54); *«და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარჯდოდეს»* (ლკ. 23, 48). აი როგორია ვნება და სიკვდილი იესო ქრისტესი, ვისი სახელითაც ვართ ნათელღებულნი, ვისი სახარებაც გვწამს, ვისი სჯულიც გვიპყრია. ეს ისეთი ვნება და სიკვდილია, თითოეულის სულს რომ აძრწუნებს. განხორციელებულმა ძე ღმრთისამ სიკვდილი იმისათვის ინება, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იყო ღვთაებრივი მართლმსაჯულების აღსრულება. მან ისეთი სიკვდილი ინება, რომლითაც განუზომელ ტკივილს დაითმენდა. ამიტომ ჩვენი ვალიც განუზომელია ღვთაებრივი მართლმსაჯულების წინაშე. მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს: მან საძაგელი, უღირსი სიკვდილი ინება, თუმცა მსოფლიო ცხონების დიადი საქმის გაკეთება ღირსეული სიკვდილითაც შეეძლო. სხვადასხვა სახის სასჯელს შორის ყველაზე სამარცხვინოდ ჯვარცმა ითვლებოდა. ჯვარზე ყაჩაღებს, მკვლელებს, ქურდებს ჰკიდებდნენ _ ისეთ ბოროტმოქმედებს, რომლებსაც მოსეს «მეორე სჯულში» წყეულები ჰქვიათ *«დაწყეულ არს... ყოველი, რომელი გადმოეკიდოს ძელსა»* (2 შჯ. 21, 23).

იოანე ნათლისმცემელიც მოკვდა, მაგრამ არა ჯვარზე _ მას თავი მოკვეთეს; ასეთი საპატიო და სასახელოა მოწამებრივი აღსასრული; იესო ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა მოკვდა ჯვარზე, როგორც ავაზაკი, ორ ბოროტმოქმედს შორის. მას მიზნად ჰქონდა დაარსება ახალი სარწმუნოებისა, რომლის განვრცობა მთელ სამყაროზე სურდა. განა რა აზრისანი უნდა ყოფილიყვნენ მოწაფეები მასწავლებელზე, რომელიც ავაზაკივით მოკვდა? რანაირად შეიძლებოდა მიეღოთ სარწმუნოება, რომელსაც ის ჯვრიდან, უღირსთა დასჯის იარაღიდან ასწავლიდა? ქრისტიანენო, სასწაული სწორედრომ ეს არის. მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ ქრისტეს სარწმუნოება ეს ჯვარცმულის სწავლებაა. პავლე მუციქულს თავის ქადაგებებში ამის თქმა სრულიადაც არ რცხვენოდა: ჩვენ გვწამს *«ქრისტე იესო და ესე-ცა*

ჯუარს ცუმული» (1 კორ. 2, 2). ეს სარწმუნოება მთელმა მსოფლიომ მიიღო, მთელმა სამყარომ ირწმუნა, რომ ჯვარცმული _ ეს ძეა ღვთისა ცხოველისა. ეს არ შიძლებოდა ადამიანური ძალით მომხდარიყო, ეს მხოლოდ ღვთის ნებით აღესრულა და ამიტომ ჯვარცმულის რწმენა _ ღვთაებრივი რწმენაა; სწორედ ასეთი უღირსი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო, რათა თავისი სარწმუნოების ჭეშმარიტება დაემტკიცებინა; წყეული სიკვდილით უნდა მომკვდარიყო, რათა დავხსნილიყავით წყევისაგან. *«ქრისტემან ჩუენ მოგჳყიდნა წყევისა მისგან სჯულისა და იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე»* (გალ. 3, 13) ამბობს მოციქული; «იგი უნდა მომკვდარიყო არა ისე, როგორც მოკვდა იოანე ნათლისმცემელი _ თავის კვეთით, არამედ ჯვარცმით, მისი წმინდა სხეულის დაუნაწევრებლად, დაე მისი სხეული იყოს განუყოფელი და მთლიანი, რათა გულისხმავყოთ რომ მას ეკლესიის ერთიანობა სურს» _ დასძენს ათანასე დიდი.

ჯვარცმულო იესოვ ჩემო! როცა შენს ტკივილსა და ტანჯვაზე, შენს მოთმინებაზე ვფიქრობ, მეც პეტრესავით მწარედ ვტირი და აზრი მებნევა; გული შემუსვრილებისაგან ლამისაა ისევე დამეფლითოს, როგორც ლოდები გაიპო შენი სიკვდილის დღეს, ამავდროულად სიხარული და ნუგეში მეფინება და შენს უკიდურეს შემწყნარებლობას ვადიდებ; იმ ასისთავთან ერთად ვრწმუნდები და ვაღიარებ, რომ შენ ჭეშმარიტად ძე ხარ ღვთისა, შენი ჯვარზე მიმსჭვალული სხეულის ცქერა, შენდამი რწმენა ყველაზე დამაჯერებელი საბუთია იმისა, რომ ჩემი რწმენა ჭეშმარიტია და ღვთაებრივი! ნაგვემი, გასისხლიანებული, შეურაცხყოფილი, მაინც ჩემი ღმერთი ხარ, შენს მიმართ სიძულვილმა დიდება შემძინა; შენმა სისხლმა გამომისყიდა; შენმა ჭრილობებმა განმკურნა; შენს მიერ ნატარები ეკლის გვირგვინი ჩემთვის დიდების გვირგვინი გახდა სამოთხეში; ჯვარი, რომელზეც ხარ მიმსჭვალული, საწამებელი ძელი იყო მათთვის, ვინც არ გცემდა თაყვანს; ჩემთვის კი ის ჭეშმარიტების საყდარია, მტერზე გამარჯვებაა, კიბეა ზეცად აღმავალი. ასეთი ტანჯვის გამო შენი ცნობა მართლაცდა ძნელია, მაგრამ ამიტომაც გაღიარებ ჩემს ჭეშმარიტ ღმერთად; არ ვტირი, არამედ შენს ვნებებს თაყვანს ვცემ, შენს ჯვარს ვეამბორები; როცა ბოროტმოქმედივით ჯვარცმულს გიმზერ, სწორედ მაშინ გიმზერ, როგორც დიდების მეუფეს, დიდების ტახტზე მჯდომარეს. მაშინ აზრით მივმართავ პილატეს და ვთხოვ შეცვალოს ჯვარზე წარწერილი: «იუდეველთა მეფე» და წააწეროს: «იესო ნაზარეველი მეუფე ქრისტიანეთა».

III

მსმენელნო თუ ხვდებით ქრისტეს აქ აღწერილ ტანჯვათაგან რომელი იყო მისთვის ყველაზე მძიმე, რომლის შესახებაც მან გეთსამანიის ბაღში იწინასწარმეტყველა *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე?»* მე ვამტიცებ, რომ სულიერი ტანჯვიდან ამგვარი არც იუდას გამცემლობით გამოწვეული ტანჯვა ყოფილა, არც მოწაფეთა განდგომა, არც სიძულვილი და შეურაცხყოფა, რაც იუდეველთაგან დაითმინა; ეს არც ხორციელი ტანჯვა იყო: გვემა, ეკლის გვირგვინი, შოლტი; ალბათ არც ჯვარი და სიკვდილი _ იესო თავად ასწავლიდა, რომ ლანძღვასა და სიძულვილს, როგორც ნეტარებას, ისე უნდა შევხედოთ *«ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ»* (მთ. 5, 11); ასევე ასწავლიდა, რომ არ უნდა გვეშინოდეს სიკვდილისა *«...ნუ გეშინინ მათგან რომელთა მოწყჳდნენ ხორცნი»* (მთ. 5, 11), ყველას მოუწოდებდა აღეღო ჯვარი და მას გაჰყოლოდა. ამისათვის მას საკუთარი მაგალითი უნდა ეჩვენებინა. თუკი ყველა ამ ტანჯვას წინასწარ ჭვრეტდა და მათ გამო წუხდა, ჩვენთვის როგორღა უნდა შთაეგონებინა

თავისი მაგალითით? არა, არც ესაა მისი დიადი ტანჯვის მიზეზი! წმინდა მოწამეთა სახეებს შორის ბავშვებს ვხედავთ, ნაზ ქალწულებს, ისინი ცეცხლში ვარდებიან, წამებისას გალობენ, სასიკვდილო მახვილს და ჯვარს ეამბორებიან, სიკვდილს თვალს მამაცურად უსწორებენ. განა შეიძლება იმის დაშვება, რომ ღმერთკაცი, ქმნილებათა შორის უამაღლებულესი და უკეთილშობილესი სულის, უძლურთა ძალა, მამაცთა გამბედაობა, მოწამეთა მეუფე, თრთის, ეშინია და ღონემიხდილი ამბობს: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე?»* ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მოწამეობრივი სიკვდილი განჭვრიტა? არა, ეს შეუძლებელია. თუკი მასში სულმოკლეობას დავუშვებთ, ამით მას კვლავ შეურაცხვყოფთ. მაშ ეს რა არის, რას განჭვრეტს და ასე რისთვის წუხს? ყური მიგდეთ: იესო ქრისტე, უცოდველი ძე ყოვლადწმინდა ქალწულისა, მხოლოდშობილი ძე ღვთისა, ადამიანებისადმი უკიდურესი სიყვარულით აღძრული, ისეთი ტანჯვის დსათმენად მიდის, არავის რომ არ დაუთმენია, მიდის, რათა თავისი ყოვლადწმინდა სისხლი დათხიოს, მიდის, რათა საყოველთაო ცხონებისათვის ჯვარზე მოკვდეს, როგორც ბოროტმოქმედი *«ერთი იგი ყოველთათჳს მოკუდა»* (2 კორ. 5, 14). თუმცა იმასაც განჭვრეტს, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი მაინც წარწყდება, მისი სახელი შეიბღალება, მისი სისხლი გაითელება, ჯვარს კი ურწმუნონი და ცოდვილნი შეურაცხყოფენ, ალბათ ამას ჭვრეტდა იგი...

«აი ასეთი ტანჯვის ფიალის შესასმელად, ასეთი სამარცხვინო სიკვდილის დასათმენად ვემზადები, რათა ადამიანთა სულები ჩემთან, სამოთხეში მოვიზიდო, რათა მათით ჯოჯოხეთი არ აივსოს. მზად ვარ სიხარულით ვევნო, სიკვდილი არ მაშინებს *მამაო ჩემო... არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ* (მთ. 26, 39). მაგრამ ვევნო უშედეგოდ, მოვკვდე ისე, რომ ვერ ვაცხოვნო მრავალნი _ ეს კი საშინელებაა, ეს ჩემთვის სიკვდილზე უარესია *შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე.* თუკი იესო იმის გამო ნაღვლობს, რომ ცოდვილთა და ურწმუნოთა ტანჯვა განჭვრიტა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა ცხონების განჭვრეტით თუ ნუგეშობს? ვაი, რომ ეს კიდევ უფრო მეტად ამწუხრებს და ამიტომაც ამბობს *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»*

ქრისტიანი ნიშნავს ადამიანს, რომელიც ქრისტეს ვნებების მეშვეობით ეშმაკის სატანჯველისაგან არის გამოსყიდული; ნიშნავს ადამიანს, ვისი ცხონების საზღაური ქრისტეს სისხლია, ვისაც ჯვრით დაბეჭდილი და სამოთხეში დასამკვიდრებლად გამწესებული სული აქვს. მაგრამ რამდენ ქრისტიანს იმხრობს ეშმაკი! ქრისტეს მთელი ცხოვრების ღვაწლით მოპოვებული რამდენი სული იღუპება ყოველწუთს! ქრისტეს ვნებათაგან სწორედ ეს არის ყველაზე დიდი ვნება. იგი სწორედ ამას განიცდის, როცა ამბობს *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე».*

ზეთისხილის ბაღში ის იმიტომ არ დასევდიანდა და დამწუხრდა, რომ თავისი ვნება და სიკვდილი წინასწარ იგრძნო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი უმადურობა წინასწარ განჭვრიტა. არა ჯვრის, არამედ ჩვენი ცოდვების სიმძიმე წინასწარ იხილა, აი რამ გამოიწვია მისი მწარე ოფლი და ტკივილი. მგონია, რომ ის ასე ამბობდა: «იმ ადამიანების გამოსასყიდად მივდივარ, რომლებიც ჯოჯოხეთში ტანჯვისთვის იყვნენ განწირულნი. მათ ასეთი დიდი ვნებით, ჯვარცმით, მრავლად დათხეული სისხლით გამოვისყიდი, მაგრამ ჩემს მიერ გამოხსნილთა შორის ისევ ვიხილავ ერთ ვინმეთაგანს, ვერცხლისმოყვარეობით იუდას მსგავსს, ჩემს გამცემს; ვიხილავ მეორეს, პეტრესავით ცრუფიცით ჩემს უარმყოფელს, და კიდევ სხვას, ბრბოში ან ამაქვეყნის ძლიერთა შორის, ვინც ჩემს თავს ბარაბას ამჯობინებს;

მავანს, თავისი ხორციელი სიამოვნებით ჩემს მომწყვლელს და ყოველგვარი ცოდვით ჩემს ჯვარმცმელს *«რაი მე სარგელ არს სისხლთა ჩემთაგან»* (ფს. 29, 9), ვისი სიყვარულისთვისაც ჯვარს ვეცვი, ისინივე მაცვამენ ჯვარს. *«რაი მე სარგელ არს სისხლთა ჩემთაგან»,* მას არაკეთილკრძალული მღვდლები საკურთხევლებში გაანადგურებენ, ის მოძულებულ იქნება უზიარებელ ერისკაცთაგან, შელანძღავენ სავაჭროებში, გზაგასაყარზე, სამიკიტნოებში, ყველა ცხოვრებისეულ გარემოებებში, დიდიდან პატარამდე მას ყველა შებილწავს. *«რაი მე სარგებელ არს სისხლთა ჩემთაგან».* ნუთუ მომავალში, ქრისტიანულ ტაძრებში ჩემს ვნებებს, როგორც უბრალო ამბავს, ისე გაიხსენებენ? ნუთუ ჩემი ჯვარი თეატრალურ სანახაობად იქცევა, რომლითაც ხალხი ისიამოვნებს? ვისთვის ვევნე? ვისთვის მოვკვდი? უმადური ადამიანებისთვის, რომლებიც ჩემს სიკეთისყოფას ან არ სცნობენ, ან სრულიადაც არ სჭირდებათ ის. *«რაჲ მე სარგებელ არს სისხლთა ჩემთაგან».* აი რად არის *«შეწუხებულ ... სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე».* ქრისტიანენო ეს არის უმადურობა, რომელსაც ვერაფერს შეადარებ!

მოკვდა სკვითთა მეფე ფერისადი. მისი სამი ვაჟიდან სამთავეს მეფობა სურდა და ისინი ერთმანეთთან სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ. კამათის გადასაჭრელად თრაკიის მეფეს მიმართეს, რომელიც მათი მამის მეგობარი იყო და ფიცი დადეს, რომ მის გადაწყვეტილებას დაემორჩილებოდნენ. იმან კი დაიწყო ფიქრი, ეს საქმე როგორ გადაეწყვიტა და საკვირველი რამ მოიფიქრა: მათი მამის ცხედარი ამოათხრევინა და ხეზე დააკიდებინა. შემდეგ ძმებს დაუძახა და უთხრა: რომელი თქვენგანიც ამ მკვდარ სხეულს ისარს ესვრის და მოახვედრებს, მეფეც ის იქნებაო. პირველმა ძემ მშვილდი მოზიდა, მამის ცხედარი მიზანში ამოიღო და ესროლა. მეორემაც იგივე გააკეთა. მესამე ძმის ჯერიც დადგა. მან მშვილდი მოამზადა და რაწამსაც ცხედარს შეხედა თქვა: «ასეთი საშუალებით არ მსურს მეფედ გახდომა, მირჩევნია უარი ვთქვა, ვიდრე მამაჩემის სხეულს ვესროლო». მსაჯულმა რაღა გადაწყვიტა? მან მეფედ სწორედ მესამე ძმა აირჩია. უმადურ, გულსასტიკ შვილებს ამასვე ვუზამდი. ის, რასაც ხედავთ, ძელის ჯვარზე მომკვდარი ჩვენი საერთო მამის ნეშტია. აიღეთ ისრები, დააყარეთ, განგმირეთ მისი სახელი, მის სხეულზე საღი ადგილი თუ დარჩა, ჭრილობები მიუმატეთ. ვაგლახ! აქ ორი ვაჟი კი არა, მრავალი მსურველია სროლისა. ეს რა ისარია, მისი თავი პირველმა რომ განგმირა? _ ეს ეშმაკეული, დაუმორჩილებელი და დაუსჯელი ამპარტავნების ისარია; მეორე რომელიღაა, ფერდში რომ მოხვდა? _ ეს ისარი ავმეხსიერებისა და ძმათმოძულეობისაა; დანარჩენი ისრები რიღასია? _ ეს ხორციელი ვნებების ისრებია, მათ ყველა ისვრის: კაცი, ქალი, ბავშვი, მოხუცი. სხვა ცოდვათა ისრებს მოთვლის კი ვინმე? მიდით, ესროლეთ, მამათქვენის უსიცოცხლო სხეულზე სურვილები აისრულეთ, მოდით ყრმანო, მძვინვარებითა და სი-სასტიკით მხეცებს რომ აღემატეთ, იპოვება კი ვინმე, ვისაც ადამიანის გული და მამისადმი სიყვარული ექნებოდა? მოიძებნება კი ისეთი, მას რომ შეიბრალებდა, არ განგმირავდა? ასეთი უმადურობა სად გაგონილა _ შვილი მკვდარ მამას ისარს ესროდეს? შენ, ქრისტიანო, ჯვარცმულს კვლავ ჯვარს აცვამ!

ჰოი სულო ჩვენი კეთილი მამისა, სულო ღვთაებრივი ჯვარცმული იესოსი! რას ამბობ ყოველივე ამაზე? _ *«მიუტევე ამათ; არა იციან რასა იქმან»* (ლკ. 23, 34). დიახ, უტკბესო იესოვ, მიუტევე მათ ახლა. დაე ყველას მიეტევოს, იქნებ ამით ერთხელ მაინც დაინახონ თავიანთი ცოდვები და გამოსწორდნენ. *«მიუტევე ამათ!»*

ჩემი იესოს გულო, შენ რაღას ამბობ? _ *«მიუტევე ამათ!»* ცოდვილის გულო, შენ რაღას მიუგებ? _ *«მომიჯსენე მე უფალო, ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა»* (ლკ. 23, 42). ამინ!

სიტყვა მარხვის პირველ კვირას

სიკვდილის შესახებ

«ჰრქუა მას ფილიპე: მოვედ და იხილე»
(ინ. 1, 46)

თუკი ზეციური დოგმატების რწმენა იბადება უფრო სმენით, ვიდრე ხედვით, მიწიერ მოვლენათა რწმენა უფრო მხედველობისგანაა, ვიდრე სმენისგან. *«მოვედ და იხილე»* _ საკმარისია, მოხვიდე და დაინახო, რომ ირწმუნო. მაგრამ ყველა იმ მოვლენიდან, რომელიც იმდენად გვწამს, რამდენადაც ნათლად ვხედავთ, არის ერთი, რისიც გაჭირვებით გვჯერა, თუმცა კი ხშირად ვხედავთ მას. ჩვენ ამაოების სამყაროში, თითქოსდა გლოვის ღელეში ვცხოვრობთ. სიკვდილს ყველგან, ყოველთვის, ყოველ დროს, წელიწადის ყოველ დღეს, ყოველ საათს ვუყურებთ, ვხედავთ ყველა ასაკში _ ყრმობაში, სიბერეში და სიცოცხლის ზღურბლზეც, ყოველ ადგილას _ ხმელეთსა და ზღვაზე, ღარიბთა მოკრძალებულ სახლებში, მეფეთა და ძლიერთა ამაქვეყნისათა დიდებულ სასახლეებში. მცირედთა ცოცხალთა სამყოფელი ეს სამყარო უთვალავ მკვდართა კუბოა. ჩვენ ან ვკვდებით, ან მკვდრებს ვმარხავთ; ან დაგვტირიან, ან ჩვენ დავტირით სხვებს. არაფერს ისე ხშირად არ ვხედავთ, როგორც სიკვდილს და არაფერში ვრწმუნდებით ისე ძნელად, როგორც მასში. ვხედავთ, სხვები როგორ კვდებიან, მაგრამ არ გვჯერა, რომ ჩვენც დავიხოცებით; ვაღიარებთ, რომ მოკვდავნი ვართ, თუმცა ვაკეთებთ იმას, რაც უკვდავთათვისაა დამახასიათებელი. მაშ ასე, ჩვენ ცდომილებაში ორმაგად ვვარდებით, რამეთუ უკვდავების მოიმედენი, ცოდვაში ვცხოვრობთ და ვკვდებით, როგორც ცოდვილნი, რომ საუკუნოდ ვიტანჯოთ. ორმაგია დანაკარგი: იმედისა, რომელსაც ვკარგავთ და ცხონებისა, რომელსაც ვერ მოვიპოვებთ. ჰოი, ამაოდმბრძნობო ადამიანო *»რაჲ არს კაცი, უკეთუ, ცხოვრობდეს და სიკუდილი არა იხილოს?»* (ფს. 81, 49) შენ იმისათვის დაიბადე, რომ მოკვდე. მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო შენი დახსნა სიკვდილისაგან _ საერთოდ რომ არ გაჩენილიყავ. თუკი არ გჯერა ნეშტისა, რომელსაც ხედავ, თუკი არ გჯერა საფლავებისა, რომლებზეც აბიჯებ, მაშინ ერწმუნე იმას, რასაც დღეს გეტყვი. *მოვედ და იხილე!* მოდი, რათა იხილო ორი საშინელი ჭეშმარიტება: პირველ რიგში _ არაფერია იმაზე უდავო, ვიდრე სიკვდილი _ ოდესმე აუცილებლად მოკვდები; მეორე _ არაფერია ისეთი განუსაზღვრელი, როგორც სიკვდილი _ შენ არ უწყი დრო, როდის მოკვდები. ვაგლახ მე, უნდა მოვკვდე! ეს რა საშინელი რამაა! მაგრამ არ ვიცი როდის მოვკვდები _ ეს კიდევ უფრო საშინელია! ქრისტიანო! კარგად ჩაწვდი ამ ორ გარემოებას და ჩემი სიტყვის მიდევნით ყურადღებით *მოვედ და იხილე!*

I

პირველი ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენი ყოველდღიური გამოცდილება უტყუარად დაამოწმებს, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, ყველანი, უეჭველად დავიხოცებით. ამას ვხედავთ, ვაღიარებთ, მაგრამ დაჯერება არ გვინდა. მიზეზი კი ის არის, რომ გვინდა

მარადიულად ვიცოცხლოთ და იმაზე ვიმედოვნებთ, რაც გვსურს; არ გვინდა ოდესმე მოვკვდეთ და ზურგს ვაქცევთ იმას, რაც არ გვსურს. მე ვამბობ: ეს არის დიდი ცდომილება, რომლის ძალითაც სიცოცხლისადმი განუზომელი სიყვარული ანადგურებს ყოველგვარ ფიქრს სიკვდილზე. მაგრამ *მოვედ და იხილე!* მე არ გიწვევთ მიცვალებულთა განსასვენებელში, პირქუშ საფლავებში შიშველი ძვლების, მახინჯი თავის ქალას, მყრალი მიწის სანახავად და დასარწმუნებლად, რომ სიკვდილი ნამდვილად არსებობს, ასევე იმის გასაგებად, რომ ხუნდება ამ დროებითი ცხოვრების ფერები. არა, მიცვალებულთა ნეშტის სანახავად საფლავების გახსნა საჭირო არ არის, სჯობს სამოთხის კარი შევაღოთ, სწორედ აქ *მოვედ და იხილე*, რათა მიხვდე, თუ როგორ ცდომილებაში ხარ.

ღმერთმა ადამი და ევა შექმნა, სიტკბოების სამოთხეში დაასახლა, რათა მისი სილამაზით ეხარათ და მისი ნაყოფით ესაზრდოვათ. მორჩილების გამოსაცდელად მათ მხოლოდ ერთი ხის _ ცნობადის ნაყოფის ჭამა აუკრძალა, ხისა, რომელზეც სასიკვდილო განაჩენი წააწერა. _ ყველა დანარჩენი ხე, _ უთხრა მათ, _ თქვენს განკარგულებაშია. ოღონდ გაფრთხილდით, არა სჭამოთ მისგან, რამეთუ განვაწესე: რაწამსაც მისკენ ხელს გაიწვდით, იმწამს მოწყდებით. *«ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან რამეთუ რომელსა დღესა შჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ»* (დაბ. 2, 17), მაგრამ ევამ პირველმა გაიწვდინა ხელი, მოწყვიტა ნაყოფი, შეჭამა და თავის ქმარს, ადამსაც მიაწოდა. ევა შეჩერდი! ადამ რას სჩადი! განა არ გესმათ ღვთის განჩინება? განა ხის ახლოს ვერ ხედავთ სიკვდილს? მათ ესმოდათ, ხედავდნენ და მაინც იგემეს. ნუთუ ასეთი უგონონი იყვნენ? დიახ, იყვნენ, რამეთუ ისინი ბოროტმა გველმა აცდუნა: _ დაე, ღმერთმა განაჩინოს, ეს ნუ შეგაშფოთებთ, _ უთხრა გველმა, _ დაე აქ, ამ ხეში იყოს სიკვდილი, ნუ შეგაშინებთ ის, ჭამეთ, არ მოწყდებით *«არა სიკუდილითა მოჰკუდეთ»* (დაბ. 3, 4). უცნაურია! ღმერთი ეუბნება მოწყდებითო და არ სჯერათ, ეშმაკი ეუბნება არ მოკვდებითო და სჯერათ. სიკვდილი თვალწინ აქვთ და მისი არ ეშინიათ. რა არის ეს? ჭეშმარიტად ეშმაკის საცდური, რომელიც გახდა მიზეზი უკიდურესი უბედურებისა, შეცდომილნი, უკვდავებაზე ფიქრში მოწყდნენ და მყისვე დაკარგეს სამოთხე, მადლი, დიდება, უკვდავება და ღმერთი. შენც ასევე ცდუნდები და ასეთსავე უბედურებაში ვარდები ქრისტიანო. დღენიადაგ ხედავ სიკვდილს, ხედავ ქუჩაშიც და შენს სახლშიც, ხედავ უცხოთა და ნათესავთა ზედა მოწევნულს, სიკვდილს მოზრდილებისას და ბავშვებისას, მოხუცებისას და ჭაბუკებისას. შენ დაკრძალე მამა ან ძე; თვალნი დაუხუჭე ცოლს შენსას; დაიტირე მეგობარი; ხედავ ყველანი როგორ კვდებიან და არ გჯერა, რომ შენც მოკვდები! ვინ გატყუებს? ისევ ის, ვინც ადამი და ევა მოატყუა. ეს ეშმაკი გელაპარაკება საიდუმლოდ შენს გულში: *«არა მოჰკუდე».* თუმც კარგი იქნებოდა ყოფილიყავი ახალგაზრდა, ჭაბუკი, ან ძალ-ღონით აღსავსე მამაკაცი, მაგრამ სნეული ხარ და ათასი ტანჯვით დამძიმებული. შენ მოხუცი ხარ, ცალი ფეხი უკვე ჩაგიდგამს სამარეში და მხოლოდ ცალით დგახარ მიწაზე. ცოცხალი ლეში ხარ, სიკვდილი კისერზე გკიდია და მაინც არ გეშინია მისი, ვინ გატყუებს? _ ეშმაკი, რომელიც გეუბნება: *«არა მოჰკუდე».* ადამი უკვდავი შეიქმნა და ჰქონდა გარკვეული უფლება მისი არ შინებოდა. ადამს ჯერ არავისი სიკვდილი ენახა. ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირი, თუკი ფიქრობდა, რომ არ მოკვდება. მაგრამ შენ მოკვდავი ხარ, შენ გინახავს მომაკვდავნი და მაინც უკვდავების იმედი გაქვს. ვინ გაცდუნებს? _ ეშმაკი, რომელიც გეუბნება: *«არა მოჰკუდე».* სიტყვით შენც აღიარებ, რომ მოკვდები, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც გჯერა და იმედოვნებ, რომ ეს არასდროს მოხდება. ეს დაჯერებულობა გონებას გიბნელებს, და შენ

ვერ ხედავ, თუ რა დიდი საფრთხე გემუქრება. ეს იმედი მუდმივად შენში ბუდობს და გაიძულებს გჯეროდეს, რომ ხვალ ისევე იცხოვრებ, როგორც დღეს იცხოვრე. აწმყო მომავალში გარწმუნებს, ცხოვრების გზა გრძელი გეჩვენება და მის ბოლოს ვერ ლანდავ, დღეთა რიცხვი მრავალი გგონია და უკანასკნელ დღეს ვერ ხედავ; აწ ცხოვრობ და გწამს, რომ ყოველთვის იცხოვრებ. ვინ გატყუებს? _ ეშმაკი, რომელიც გეუბნება: *«არა მოჰკუდე».* ეს ნამდვილად ასეა. შენ რომ სიკვდილზე გეფიქრა, ანგარებას, წყენინებასა და ძარცვას დაუტევებდი, მტერს თანაუგრძნობდი, შეწყვეტდი განკითხვას, მოწყალებას გაიღებდი, ისე ხშირად არავის შეხვდებოდი, როგორც მოძღვარს; შენი მზერა არა მიწისკენ, არამედ ზეცისკენ იქნებოდა მიპყრობილი, მხოლოდ სულზე, ღმერთსა და სამოთხეზე იფიქრებდი. მაგრამ ცხოვრების დასასრულს მიახლოებული, ამაზე ნაკლებად ფიქრობ, კიდევ უფრო ნაკლებს ფიქრობს ის, ვინც ცხოვრების შუა გზაზეა; სულ მცირედს ან სულაც არ ფიქრობს ის, ვინც ცხოვრებას იწყებს. ანუ ყველამ მიიღო პირველმშობელთაგან ძველი ცდომილი ზნე _ ხედავდეს სიკვდილს და არ ეშინოდეს მისი, *«არა მოჰკუდე».* იცხოვრეთ, ჰო, იცხოვრეთ, იხარეთ, მშვიდად იყავით, თქვენ არ დაიხოცებით სხვებივით, თქვენ სხვა ბუნებისანი ხართ, სხვა მიწიდან ხართ შექმნილნი, თქვენ თვით უფლისაგან ოქროს სიგელი მიიღეთ იმაზე, რომ უკვდავება მოგენიჭათ, გარიგდით სიკვდილთან, რომ არასდროს მოვა თქვენს წასაყვანად, როგორც ამბობს წინასწარმეტყველი ესაია: *«ვყავთ აღთქუმა ჯოჯოხეთისა თანა და სიკუდილისა თანა ზავნი* (ეს. 28, 15). *«არა მოჰკუდე»* ბრმანო, თქვენ სიცრუეს ლაპარაკობთ, ცდუნებულნი ამაოს იმედოვნებთ! *«დავდევით ტყუილით სასოებაჲ ჩუენი»* (იქვე). მაგრამ თქვენ, ადამიანები, დაიხოცებით *«თქუენ ვითარცა კაცნი მოსწყდებით და ვითარცა ერთი მთავართაგანი დაეცემით»* (ფს. 81, 7). უკვდავი დიდების მოსაპოვებლად, ასეთი ხმაური ატეხეთ დედამიწაზე, მაგრამ თქვენი დიდება ელვასავით ჩაქრება. იმისათვის, რომ გამდიდრებულიყავით, სული ცოდვებით დაიმძიმეთ, მაგრამ მიწაში შიშველნი ჩადიხართ, თქვენი სიმდიდრე კი სხვათა ხელში გადადის. მაღალი საცხოვრებელი აიშენეთ, თქვენი საბინადრო კი ბნელი სამარე იქნება. ღარიბებს აწყენინეთ, რათა თქვენი ქონება განუზომლად გაგეზარდათ, მაგრამ ოთხი არშინი მიწა გრჩებათ საფლავის გასათხრელად. სადაა დიდება, სადაა ხელისუფლება, ნებივრობა და სიამტკბილობა წარსული ცხოვრებისა? ყველაფერი ჩრდილია, ყველაფერმა ჩაიარა. გინახავთ, როგორ ფრინავს ჰაერში ჩიტი? მის გზაზე რაიმე კვალი თუ რჩება? ზღვაში მცურავი გემი თუ გინახავთ? ის ტოვებს კვალს? გინახავთ მიწის პირზე გაშლილი ყვავილები? თუნდაც ფოთოლი თუ რჩება მათგან? სიზმარი გინახავთ? რჩება კი რაიმე ამ სიზმრისაგან? ჩვენი ცხოვრებაც იგივეს წარმოადგენს; გრიგოლ ღვთისმეტყველის თქმით: «ის სიზმარია არამდგრადი, ხილვაა, რომელსაც ვერ დაიხსომებ, გაფრენილი ჩიტის კვალია, ზღვაში გემია, რომელიც კვალს არ ტოვებს, ყვავილია, დროებით რომ ჩნდება და მალევე ჭკნება». რჩება მხოლოდ სახელი, იშვიათად კარგი, უმეტესწილად _ ცუდი; სახელი, რომელსაც აგინებენ ნაწყენი გლახაკები, მოტყუებული მეგობრები, მემკვიდრენიც კი, რომელთა გამო ჩავარდი განსაცდელში. დაე, თქვას სატანის გველმა: *«არა მოჰკუდე, თქუენ ვითარცა კაცნი მოსწყდებით და ვითარცა ერთი მთავართაგანი დაეცემით».* არაფერია ისე უდავო, როგორც სიკვდილი, ყველაფერი დანარჩენი სიყალბეა. სამოგზაუროდ წასვლა გსურს, თუმცა არავინ იცის ხიფათს გადაეყრები, თუ შინ მშვიდობით დაბრუნდები; გინდა გამდიდრდე, მაგრამ შესაძლოა, სამუდამოდ ღატაკად დარჩე; პატივი გინდა, მაგრამ უცნობია მიაღწევ თუ არა სასურველ შედეგს; ყველაფერი ძვირი იქნება, თუ გაიაფდება _

ესეც არავინ უწყის; ომი იქნება თუ მშვიდობა _ არც ეს იცის ვინმემ. არაფერია მყარი _ არც კარგი, არც ცუდი. ყველაფერი, რასაც ხედავ, რაზეც იმედოვნებ _ არამყარია. მყარია მხოლოდ სიკვდილი, გინდა თუ არა, მაინც მოკვდები _ *«მიწად ხარ და მიწადცა მიიქცე»* (დაბ. 3, 19). ეს ბუნებითი უბედურება გარდაუვალია. *«წინა-უც კაცთა ერთ გზის სიკუდილი»* (ებრ. 9, 27). ჰოი სიკვდილო, სიკვდილო, რარიგ მწარე ხარ! ამალეკთა მეფე აგაგ ომში ძლეულ იქნა და ისრაელელებს ჩაუვარდა ხელში. გადაწყდა, მას თავისი სისხლით უნდა ეზღა იმ დიდი რბევისთვის, რაც უფლის ერს მოაწია. მოსაკლავად ძალით წაყვანილმა, აკანკალებულმა მეფემ აიხედა, თავსზემოთ შიშველი მახვილი დაინახა, ამოიოხრა და თქვა: *«უკუეთუ ესრე მწარე არს სიკუდილი?»* (1 მეფ. 15, 32). დიახ, მწარეა. ვაი მე! როცა დადგება საათი, მშობელნო ჩემნო, ძმანო, მეგობარნო, მე თქვენ დაგტოვებთ! ცოლო, შვილნო, მეტად ვეღარ გნახავთ; ჩემო სახლებო, ქონებავ, სიმდიდრევ, ამაოა ჩემი შრომა, მე თქვენ გკარგავთ; ღირსებავ, პატივო, წარმატებავ, სიტკბოებავ, უთქვენოდ ვრჩები! ქვეყანავ, შენ ქრები ჩემ თვალთაგან. რარიგ ტკბილი ხარ სიცოცხლევ, შენ კი, სიკვდილო, რარიგ მწარე! ეჰა, უნდა მოვკვდე. რაზე ვფიქრობ? რითი ვიამაყო, როცა ერთი პეშვი მიწა ვარ? ახლა რისთვის ვცდილობ შევიძინო, როცა ყოველივე ამას ოდესმე დავტოვებ? რატომ მოვითხოვ ასე ბევრს ამყვეყნად, თუკი არა ვარ მარადიული? ასე რისთვის ვზრუნავ ჩემს დროებით ცხოვრებაზე და სრულიად არ ვზრუნავ უკვდავ სულზე? უნდა მოვკვდე? ესე იგი, იმისათვის უნდა ვიზრუნო, რომ რიგიანად მოვკვდე. ღმერთო ჩემო, მაუწყე ჩემი აღსასრული, ღმერთო ჩემო, მითხარ რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩენია, რომ მოვემზადო _ *«მაუწყე მე უფალო, აღსასრული ჩემი, და რიცხვი დღეთა ჩემთაჲ რავდენ არს»* (ფს. 38, 4), ეს სრულიად უცნობია. ვიცი, რომ მოვკვდები, მაგრამ არ ვიცი _ როდის. ღმერთმა, რომელმაც ამდენი საიდუმლო გამიცხადა, ჩემი სიკვდილის საათი არ გამიმხილა. პირიქით, მან ის მზრუნველად დაფარა ჩემგან, რათა არ ვიცოდე, ყოველთვის მზად ვიყო მისთვის და ამით ჩემი ცხონება მოაწყო. ეკლესიასტეში იგი მეუბნება: არა უწყის კაცმა აღსასრული თჳსი; სახარებაში იმეორებს ამას: სიკვდილი მოდის, ვითარცა მპარავი, ანუ იმ დროს, როცა არ ველით. ამიტომ უნდა ვიფხიზლოთ _ *«იღჳძებდით... ამისთჳს... იყვენით განმზადებულ»* (მთ. 24, 42-44). როგორი საშინელია ეს არცოდნა სიკვდილის საათისა, ჰოი ქრისტიანო *მოვედ და იხილე.*

დასაწყისისთვის ავხსნათ ერთი გაუგებრობა, რომლითაც მოგვმართავს ბასილი დიდი და რომელიც მან საღვთო წერილზე დაამყარა: «სიკვდილი მაშინ დგება, როცა მოდის ღვთის სამართლიანი სამსჯავროთი თითოეულისათვის მონიშნული სიცოცხლის ბოლო, ბოლო, მონიშნული ღვთის მიერ, რომელიც ყოველივეს თითოეული ჩვენგანის სასარგებლოდ წინასწარ განჭვრეტს». ღმერთმა ხომ განსაზღვრა სიცოცხლის ხანგრძლივობა თითოეული კაცისათვის და მას წელთა განსაზღვრული რიცხვი მისცა. მან დაუდო ზღვარი, რომელსაც ვერავინ გადააბიჯებს, ვერ იცოცხლებს მითითებულზე მეტს ან ნაკლებს. ასეთ შემთხვევაში სიკვდილი არ იქნებოდა უცნობი _ მას მხოლოდ ღვთის მიერ განსაზღვრულ დღეს შეეძლო მოსულიყო. მაგრამ ბასილი დიდის სიტყვებს სხვა მნიშვნელობა აქვთ. *მოვედ და იხილე,* რათა მიხვდე ამ სიტყვებს.

კანდელში რაც უფრო მეტ ზეთს ვასხამთ, ის მით უფრო დიდხანს უნდა ენთოს _ არც მეტად, არც ნაკლებად. როცა ზეთი გამოილევა, კანდელი ქრება. მაგრამ თუ გადაყირავდა და ზეთი დაიღვარა, ან ძლიერი ქარი ატყდა, თუნდაც შეუბერა ვინმემ, შესაძლოა კანდელი დროზე ადრეც ჩაქრეს. მოარიდე მას ყველა ხიფათი და ის იქამდე ენთება, ვიდრე ზეთის

ერთი წვეთიც არ დარჩება მასში. ასევე ჩვენ, იმდენი წელი უნდა ვიცოცხლოთ, რამდენიც ღმერთმა მოგვცა _ არც მეტი, არც ნაკლები. და მართლაც, თუკი ისე ვიცხოვრებთ, როგორც ამას ბუნება მოითხოვს, სიკვდილი ღვთისგან განწესებული წლების აღსრულების მერე მოვა. აი ჯერაც სამართლიანი სიტყვები ცითგამოცხადებული მასწავლებლისა: «სიკვდილი დგება მაშინ, როცა მოდის ბოლო სიცოცხლისა». მაგრამ რამდენი ხიფათია ჩვენს ცხოვრებაში ჩასაფრებული? ღმერთმა ჯანსაღი აგებულების ადამიანად შეგქმნა და ბუნებრივად შეგიძლია 100 წელი იცოცხლო, მაგრამ ქეიფი, ლოთობა, ღორმუცელობა, უხმარება, ჯაფა და ზრუნვა, სევდა და ნაღველი, ამდენი ავადმყოფობა და ტანჯვა განა ნახევარ სიცოცხლეს არ გართმევენ? შენ ბუნებრივად შეგიძლია მრავალი წელი იცოცხლო, მაგრამ განა არ შეიძლება სიცოცხლე მოძალადურად, დროზე ადრე დაასრულო? *მოვედ და იხილე!* ადამის ცოდვის ძალით ქვეყნად სიკვდილი გამეფდა, მაგრამ გამეფება მისი იყო მოძალადური. დაარღვია რა ბუნების კანონები, მან იმწამსვე ძალადობით იწყო ქმედება. იმის გამო, რომ ღმერთმა *«მოიხილა... აბელს ზედა და ძღუენთა მისთა ზედა; ხოლო კაინს ზედა და მსხუერპლთა მისთა ზედა არა მიიხილა»* (დაბ. 4, 4-5), ეშმაკის შურმა შური ძმათა შორისაც აღაგზნო. კაენს შეშურდა აბელისა და მოკლა იგი. ამგვარად აბელი ადამზე უწინ მოკვდა, შვილი _ მამაზე ადრე, ჭაბუკი _ მოხუცზე ადრე; ეს ნიშნავს, რომ ბუნებრივ სიკვდილზე ადრე ქვეყნად მოძალადური სიკვდილი გაჩნდა. აი როგორი ბოროტება გამოიწვია ამქვეყნად ეშმაკის შურმა! წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: «ეშმაკმა გაიგო, რომ ადამიანი მიწად მიიქცევა და შეეცადა უფრო მეტად სამწუხარო სანახაობა მოეწყო _ სანახაობა მამაზე ადრე მომკვდარი ძისა, ძმის მკვლელი ძმისა, სანახაობა უდროო და მოძალადური სიკვდილისა».

ბუნებრივად ჯერ აბელს უნდა დაემარხა ადამი, შვილს _ მამა, ჭაბუკს მოხუცი. მაგრამ სიკვდილი არ მისდევს ბუნებას, ძალადობას მიმართავს, დგება უდროოდ. მრავალნი ღრმა სიბერეში ბუნებრივად უნდა მომკვდარიყვნენ! მაგრამ რამდენი მოიტაცა სიკვდილმა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში! რამდენი დაახრჩო ზღვამ, რამდენი დანაცრა ელვამ, მიწისძვრამ რამდენი ჩამარხა, რამდენი წაიყვანა უდროო და უეცარმა სიკვდილმა! ეცადე დაიცვა სიცოცხლე ყველა ამ განსაცდელისაგან და მაშინ «ცხოვრების აღსასრულამდე» ნუ შეგაშინებს სიკვდილი, მაგრამ როგორ გაფრთხილდე, როცა მომავალი დაფარულია და შენს თვალს მისი დანახვა არ შეუძლია? საბრალო ადამიანო, მტრებს უფრთხი და მეგობართაგან კვდები; ზღვისა გეშინია და ტბაში იხრჩობი; ცაში ელვა გზაფრავს და ბოროტება მიწაზე გეწევა. შენ ცხადს უფრთხი, იმას, რასაც ხედავ, მაგრამ დაფარულს თავიდან როგორ აირიდებ? ადვილია თავის უვნებელყოფა მტრის იარაღისა და ხრიკებისაგან, რადგან მუქარა გესმის და ამას შიში გაკეთებინებს, მაგრამ როგორ გავფრთხილდე შხამისაგან, რომელიც შესაძლოა შეგასვას მოღალატე ცოლმა, რომელსაც სხვაზე გათხოვება უნდა? ან უსულგულო შვილმა, რომელიც მემკვიდრეობის ხელში ჩაგდებას ლამობს? ან მტრისაგან მოსყიდულმა შენმა მსახურმა? ჰოი, რარიგ მრავალრიცხოვანია მზაკვრობა კაცისა და დიდია უბედურებანი! ბედნიერება არასაიმედოა, შემთხვევითობა კი _ ხშირი. რამდენიც გინდა, გაფრთხილდე იმ მხრიდან, რომელი მხრიდანაც გეშინია, სიკვდილი იქიდან მოვა, საიდანაც არ ელი. *მოვედ და იხილე.*

გედეონის ძემ, აბუმელექმა, იმისათვის, რომ ისრაელზე ძალაუფლება მოეპოვებინა, მამის სიკვდილის შემდეგ ერთ დღეში სამოცდაათი ძმა ამოწყვიტა და ეს ერთსა და იმავე ქვაზე ჩაიდინა (როგორც ამბობს წმინდა წერილი). მხოლოდ ყველაზე უმცროსი ძმა _

იონათანი დაემალა სიკვდილს და გადარჩა. აბუმელექი ძმებს შეებრძოლა, სძლია და ტახტზე ავიდა. ძმათა მკვლელი ტირანი ტახტზე მოკალათდა, მაგრამ ყველაფრისა ეშინო-და: ახალგაზრდა იონათანისა, რომელიც შემთხვევას ელოდებოდა, რომ შური ეძია სამოცდაათი ძმისთვის; მთელი ხალხისა, რომელსაც სისასტიკის გამო სძულდა იგი, როგორც მხეცი. ის გაფაციცებული იყურება აქეთ, თავს ამ მხრიდან იცავს იარაღით, სიკვდილს აქედან მოელის, დადარაჯებულია, მაგრამ სიკვდილი სხვა მხრიდან მოვიდა და მან ის ვერ აიცილა. საიდან? იმ მხრიდან, რომლიდანაც არ ელოდა და არ ეშინოდა. როცა კოშკისთვის ცეცხლის შენთებას აპირებდა, ვიღაც დედაკაცმა ზევიდან წისქვილის დოლაბი გადმოაგდო და თავი გაუპო. მეფე მიწაზე ვარდება, სულთმობრძავი და გაბრაზებული მსახურს უხმობს და უბრძანებს: «სწრაფად ამომაძრე მახვილი და თავი მომკვეთე, რათა იმის გამო შერცხვენილი არ მოვკვდე, რომ ასეთი მამაცი, ვიღაც დედაკაცმა მომკლა». ასე მოკვდა და დაიმარხა აბუმელექი. მის საფლავზე წავაწერ იმას, რაცა თქვა სულიწმიდამ: *«არა უწყის კაცმა აღსასრული თვისი»* (ეკლ. 9, 12). ადამიანმა არ იცის როგორ, როდის და სად მოკვდება. როგორი მოულოდნელია ამგვარი სიკვდილი და სწორედ ამის გამო _ რარიგ საშინელი! საბრალო ცოდვილო, იმ დროს რომ მოვიდეს, როცა არ ელი! მოვიდეს იმ მხრიდან, ეჭვადაც რომ არ გაქვს, მოგისწროს მრუშთან საწოლში, სხვისი ცოლის მკლავებში, ღატაკთა სისხლით სავსე ხელებით, უსამართლობით დამძიმებული სინდისით, სიძულვილით მოწამლული გულით. მოგისწრებს და შენ ვერ შეძლებ მოძღვრის დაძახებას აღსარებისთვის, მღვდლისას _ ზიარებისთვის. სიკვდილმა სრულიად გამოუსწორებელს რომ მოგისწროს, რაღა გეშველება მაშინ? სიცოცხლის დაკარგვა ჯერ კიდევ არ არის დიდი უბედურება, რამეთუ ოდესმე უნდა მოკვდე; რაიმე ნივთის დაკარგვაც არ არის დიდი დანაკლისი, რადგან ნივთი ვერ გიხსნის, მაგრამ დაკარგო ერთდროულად სულიც და ცხონებაც! სადაა ცრემლები, რომ ასეთი უბედურება დაიტიროს? ასეთ განსაცდელთა შორის როგორ გძინავს, როგორ დადიხარ უზრუნველად, როგორ ცხოვრობ მოუნანიებლად, თუნდაც ერთხელ როგორ არ დაფიქრდები ამაზე?!

უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, საიდუმლო სერობაზე თავის მოწაფეებს მიმართა: *«ამინ გეტყჳ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე»* (მთ. 26, 21). მოწაფეებმა, ეს რომ ისმინეს, შეშფოთდნენ, დაიწყეს ფიქრი, უყურებდნენ ერთმანეთს და სათითაოდ კითხულობდნენ: *«ნუუკუე მე ვარ, უფალო»* (მთ. 26, 22). წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ, ყველანი, აქ მყოფნი და ჩემი მსმენელნი უკვდავნი ხართ. ანგელოზი რომ ჩამოსულიყო ზეციდან და ეთქვა, რომ ერთ-ერთი თქვენგანი მოკვდება, ყველანი შეშფოთდებოდით, დაიწყებდით ფიქრს, ერთმანეთის ყურებას და ლაპარაკს: «ნუუკუე მე ვარ უფალო?» მაგრამ საქმე სხვაგვარადაა. ქრისტეს მოწაფეებიდან ის ერთმა უნდა გასცეს, თუმცა ყველანი დაფიქრდნენ. თქვენგან კი ყველა უნდა მოკვდეს და არც ერთს არ მოგდით აზრად იკითხოთ: «ნუუკუე მე ვარ უფალო?» ჰოი, ცოდვილნო ქრისტიანენო! თუკი თავში ჯანსაღი აზრი, ხოლო გულში რწმენა გაგაჩნიათ, ყოველმა თქვენგანმა უნდა იფიქროს და თქვას: «რა თქმა უნდა, უეჭველია, რომ მოვკვდები, ამიტომ უნდა ვიზრუნო, ღვთის შეწევნით უნდა გამოვსწორდე. სიკვდილის დრო უცნობია; მაშ ასე, რაკი არ ვიცი დრო, სჯობს მოვინანიო, რათა ყოველწუთს მზად ვიყო». ამგვარად, ქრისტიანო, სიკვდილი გარდაუვალია და უცნობი, მაგრამ არა საშინელი. გინდა ის იხილო? *მოვედ და იხილე!* მანამდე კი ნება მომეცი ცოტათი შევისვენო.

II

სიკვდილი იმისთვისაა საშიში, ვინც არ ფიქრობს სიკვდილზე. არიან ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ღრმად ფესვგადგმულ და მიწას კარგად ჩაჭიდებულ დიდრონ ხეებს ჰგვანან. მათი სული მაგრად და დიდხანს რჩება მიწიერი სიკეთეებით, სიმდიდრით, ქონებითა და ხელისუფლებით შებორკილი. როგორც კენწეროატყორცნილი ხეები, ისინიც სიამაყეში, პატივმოყვარეობასა და ამაოებაში მზვავდებიან. მაღალი, ჩრდილთა მფენი ხეებივით მათაც აქვთ დიდება, გავლენა, სახელი. ასეთ ხეებს არ ეშინიათ ქარებისა და ასეთი ადამიანებიც არ ფიქრობენ სიკვდილზე: *«ხოლო მე ვთქუ განგებულებასა ჩემსა: არა შევიძრა მე უკუნისამდე»* (ფს. 29, 6). მაგრამ თუკი უცაბედად ძლიერი ქარი დაბერავს და ხეს დასცემს, მისი ფესვები დაწყდება, კენწერო მიწაზე დაეცემა, ფოთოლი გასცვივა, მისი ჩრდილი გაიფანტება, ტოტები გაუხმება და შეშად დაიხერხება, მაშინ რად გადაიქცევა ეს დიდებული ხე? _ ნაცრად. ასევე, მოვა სიკვდილი, რომელსაც არ ელოდა და არ ელის ის მშფოთვარე ადამიანი, მოვა ძირს დასაცემად ამასოფელზე ჩაფრენილი, ამ ცხოვრებაზე მიჯაჭვული სულისა, მისი ამპარტავნების დასამარხად _ ჰოი, რა ძალაა, როგორი ტკივილია, რა საშინელი რამაა! იმას კი, ვისაც ახსოვს, რომ უნდა მოკვდეს, ისიც ახსოვს, რომ თავისი სიკვდილის დრო არ იცის და ამასოფელს თანდათანობით შორდება. იგი ნელ-ნელა ხსნის კვანძებს, რომლებიც ამ ცხოვრებაზე აბამენ, ემზადება და სწორდება ღვთის ნების აღსრულების მოლოდინში. დაე მოვიდეს სიკვდილი, რას უზამს? მხოლოდ თვალს დაუხუჭავს, რათა არ იხილოს ამქვეყნიური ამაოება და მისი უბედურება არ დაიტიროს, ამ შესაბრალის საწუთროდან გაიყვანს, რათა აბრაამის წიაღში გადაიყვანოს. ასეთი სიკვდილი არ არის საშინელი, პირიქით, ის ფრიად საამოა _ ეს ერთგვარად განსვენების ძილია, როგორადაც მოიხსენიებს მას წმინდა წერილი და ნეტარი გარდასვლაა ამ სევდიანი ცხოვრებიდან ცათა სასუფეველში.

მაშ ასე, ქრისტიანო! საქმის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის გვახსოვდეს: კარგია სიცოცხლე, მაგრამ უმჯობესია მოკვდე. გინდა გეტყვი ეს როგორ გააკეთო? *მოვედ და იხილე!* ათენელმა დემოსთენემ ორატორობა მოისურვა, მაგრამ ამაში ხელს ერთი ჩვევა უშლიდა: ლაპარაკის დროს ისეთ უგერგილო მოძრაობებს აკეთებდა, რომ მსმენელთა სიცილს იწვევდა. რა მოიმოქმედა ამ კეთილგონიერმა ადამიანმა? მან გადაწყვიტა, რომ შრომა და გულმოდგინება ბუნებაზე იმარჯვებენ. ამიტომ მოედანზე გამოსვლის საშუალება რომ არ ჰქონოდა და ხალხს არ ჩვენებოდა, თმა სანახევროდ მოიკვეცა, ჩაიკეტა მიწურში, რომელიც თვითონვე ამოთხარა და მთლიანად ორატორული ხელოვნების შესწავლას მიეცა: წინ სარკე დაიდგა და თავის ყოველ მოძრაობას ყურადღებით ადევნებდა თვალს. თავს ზემოთ შიშველი მახვილი ჩამოიკიდა, ისე, რომ მახვილს მისთვის მხრები დაეჩხვლიტა (დემოსთენემ საუბრის დროს მხრების უცნაურად აჩეჩვა იცოდა). ასეთი ძალისხმევით დროთა განმავლობაში მრავალი ფიზიკური ნაკლი გამოისწორა და სახელგანთქმული რიტორი, ორატორთა დიდება და ელადის სიამაყე გახდა. შენც ასეთ რამეს გირჩევ ქრისტიანო: ბოროტ ბუნებას, ცუდ ზნეს ან ჩვევას წარსაწყმედლისკენ მიყავხარ. თუ გინდა, რომ ბოროტება გამოასწორო, თმა სანახევროდ მოიკვეცე, ანუ განაგდე ამა სოფელსა და სიცოცხლეზე ზედმეტი ზრუნვა სულ თუ არა, სანახევროდ მაინც ყოველდღე ჩაიკეტე შენს ოთახში, ერთი საათით ღმერთთან განმარტოვდი და ილოცე, შემდეგ კი საკუთარ თავს უთხარი: «მე ოდესმე მოვკვდები, ეს უდავოა! დაე, შენთვის სიტყვები: «მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი» იყოს სარკე, რომელშიც იყურები. ამით ამაყად აღზევებულ შენს ხორცს დაამდაბლებ. სულ იოლია შენთვის

საკუთარი თავის დამდაბლება, თვალნი დახარე და მთელი შენი მრისხანება დაცხრება» _ ამბობს ბასილი დიდი.

მე უნდა მოვკვდე, მაგრამ არ ვიცი როდის. ეს უცნობია. შესაძლოა დღეს, ან ხვალ, ან იქნებ ამ წუთს. სწორედ ესაა ის გაშიშვლებული მახვილი, რომელიც შენს მხრებს ზემოთ ჰკიდია და ღვთის შიშში გაკავებს, ცოდვის ჩადენას არ განებებს. სწორედ ასე გამოსწორდები, ამ ცხოვრებაში მართლად იცხოვრებ და სიკვდილის შემდეგ წმიდა იქნები. ჰოი, ამ ცხოვრებაში რარიგ ძლიერი წამალია ეს ხსოვნა სიკვდილისა.

სიტყვა მარხვის მეორე კვირას

აღსარებაზე

«და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრღუეული
ზე-კიდებული ოთხთაგან; და იხილა იესო
სარწმუნოებაჲ იგი მათი და ჰრქუა განრღუეულსა
მას: შვილო მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი»

(მრკ. 2, 3-5)

ახლა ისიც კარგია, თუკი ქვეყნად არიან ადამიანები, რომლებიც უბედურს იბრალებენ. ჩვეულებრივ, ადამიანები ბედნიერებაზე მორბიან, უბედური კაცი კი მუდამ მარტოა, მას არც მეგობრები ეხმარებიან, არც ნათესავები. მაგრამ თუკი ის თანამგრძნობ გულსა და დამხმარე ხელს იპოვის, ეს მისთვის უდიდესი ნუგეშია განსაცდელში და სრული ბედნიერებაა უბედურებათა შორის. შესაბრალისი იყო ის იერუსალიმელი განრღვეული, რომელიც ოცდათვრამეტი წელი ცხოვართ საბანელთან იწვა; მას არავინ დაეხმარა, არ აიყვანა და იმ საკურნებელ წყალში არ შთაფლა: *«უფალო, კაცი არა მაქუს, რაჲთა, რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს, შთა-მცა-მაგდო საბანელსა ამას»* (ინ. 5, 7) _ უთხრა მან იესოს. უკეთესი ბედი ერგო დღევანდელ განრღვეულს კაპერნაუმიდან: მან ოთხნი იპოვა, რომლებიც თანაუგრძნობდნენ, რომლებმაც აიყვანეს და მიიყვანეს სახლში, სადაც, როგორც ამბობდნენ, იესო ურიცხვ ხალხს თავის ღვთაებრივ სიტყვას ასწავლიდა. *«და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრღვეული... ზე-კიდებული ოთხთაგან».* მოყვასისადმი რაოდენი სიყვარული და ქრისტეს რწმენა ჰქონდათ ამ ადამიანებს! იმის გამო, რომ კარიდან ვერ შევიდნენ, რადგან გზა მრავალრიცხოვანი მსმენელით იყო გადაკეტილი, სახლს სახურავი ახადეს და განრღვეული ღვთაებრივი მკურნალის ფერხთით ჭერიდან ჩაუშვეს, რათა მას დაენახა, შეჰბრალებოდა და განეკურნა. და, მართლაც, მან დაინახა, შეებრალა და განკურნა იგი. ქრისტიანენო, ამ ამბავში განსაკუთრებული ყურადღება ორ გარემოებას მიაქციეთ: ავადმყოფის ტანჯვასა და მკურნალის ძალას. დღეს სწორედ ამ ორ მთავარ საგანზე, სახელდობრ: სნეულების, ანუ ცოდვის სიმძიმესა და კურნების, ანუ მიტევების სიმსუბუქეზე გესაუბრებით. ყურადღებით მისმინეთ, რათა თქვენთვის სასარგებლო რამ ჰპოვოთ.

I

ადამიანები, როგორც საჭიროა, ისე ვერ იგებენ, თუ რა მძიმეა ცოდვა, თუმც ამის შესახებ ეკლესიის წმინდა მამები და სწავლული ღვთისმეტყველნიც ლაპარაკობდნენ. არაფრის ისე იოლად ჩადენა არ ხდება და არაფერი ისე ძნელად არ გაიაზრება, როგორც ცოდვა. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ იოლად ვცოდავთ და ძნელად ვინანიებთ. ქრისტიანენო, ცოდვა მძიმე სნეულებაა. ამას ორი მიზეზი აქვს: პირველი მიზეზი ღვთის დიდებისადმი დამოკიდებულებაა, ხდება შეურაცხყოფა ღმრთისა, მეორე _ შემცოდე ადამიანის განწყობისადმი დამოკიდებულებაა. ორთავეს განგიმარტავ, რათა ღვთის დიდებულებას მიხვდე. მე არ ვაპირებ აგიხსნა, რა არის ღმერთი: არ ვაპირებ გითხრა, რომ ის სრული ყოფიერებაა, სრული მადლია, სრული სიბრძნეა, არარსებულიდან ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემქმნელია, რომ ის ყოვლისმპყრობელია, მეუფეა, რომელსაც ცა, დედამიწა და ჯოჯოხეთი მორჩილებს, რომ იგი ცოცხალთა და მკვდართა ის საშინელი მსაჯულია, ვისაც ანგელოზნი მარადის ადიდებენ, რომელსაც თაყვანს სცემენ კაცნი, ვის წინაშეც დემონები თრთიან და ვისაც ყოველი ქმნილება პატივს მიაგებს. მხოლოდ ამას გეტყვი: ღმერთი ის მრავალმოწყალე კეთილისმყოფელია შენი, ვინც თიხისაგან, რაც იყავ, თავის ხატად და მსგავსად შეგქმნა, ცხოვრება და სული მოგმადლა, ვინც განკაცდა, შენი სიყვარულისა გამო ევნო, მოკვდა ჯვარზე, სისხლი თვისი დათხია, რათა გამოესყიდე. გეუბნები შენ: ის შენი კაცთმოყვარე მამაა, რომელმაც წმიდა ნათლობის მადლით შვილად გაგიხადა, ძვირფასი მემკვიდრეობა _ თავისი ეკლესიის საიდუმლოთა განძი გიბოძა და თავისი სასუფევლის მემკვიდრედ დაგადგინა. განა შესაძლოა კეთილისყოფა ამაზე მეტი? შენ სცოდავ და შენი ცოდვით კეთილისმყოფელი მამისადმი უმადურობას ავლენ, შენ ამ დროს მის კეთილისყოფას ივიწყებ, მის სიყვარულს უარყოფ, მის სისხლს ქელავ, სახარება გძულს. წარმოიდგინე, ამ უმადურობას როგორ შეხედავს ღმერთი, კეთილისმყოფელი და მამა, რომელსაც ასე უყვარდი და ამდენი წყალობა გიყო? ამბობენ, როცა იულიუს კეისარმა სენატში მოსული მკვლელები დაინახა და მათ შორის ბრუტუსი, რომელიც შვილივით უყვარდა, თქვა: «შენც, შვილო ჩემო?» ამ სიტყვებთან ერთად სახეზე მოსასხამი აიფარა, რათა არ დაენახა უმადურობა, რაც მისთვის სიკვდილზე საშინელი იყო. *«მთავარნი (ერნი) შეკრბეს ერთად უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს»* (ფს. 2, 2). იუდეველები, ერეტიკოსები, უღმრთონი, ურწმუნონი, ღვთისმბრძოლნი ღმერთისა და მისი მხოლოდშობილი ძის _ იესო ქრისტეს წინააღმდეგ იარაღდებიან, მისი სახარების წინააღმდეგ იბრძვიან, მის სახელს შეურაცხყოფენ. ქრისტიანო! როცა სცოდავ, მათ ეთანხმები! როცა შენი ანგარებისმოყვარეობა პროცენტებს გიზრდის, როცა ღარიბს ამწუხრებ, სხვისას იტაცებ _ იუდეველებთან შეთანხმებით მოქმედებ; როცა პირუტყვული ავხორცობის გამო გულისთქმით სისაძაგლეს ეტმასნები, აგარიანელებთან შეთანხმებით მოქმედებ; როცა შენი კადნიერი ენა ღმერთს გმობს და იწყევლება, ცრუობს, განიკითხავს, მოყვასს ბრალს სდებს _ ერეტიკოსებს ეთანხმები. ღმერთი გხედავს და გეუბნება: «შვილო, შენც?»

მაშ ასე, რა არის ცოდვა? ქრისტიანენო, ცოდვა განუზომელი ბოროტებაა, ღვთისადმი უკიდურესი უმადურობა და, რაც ყველაზე უარესია, მის თვალწინ ჩადენილი უმადურობაა. ძმაო ჩემო, ღვთის ღიად გმობა იმდენად მძიმე საქმეა, რომ ადამიანს, როგორც ჩანს, მისი ჩადენა არ შეუძლია. ეკლესიის მასწავლებელთა სიტყვებით, ასეთი საქმე იმას მოწმობს, რომ იმ წუთს გვძულს ღმერთი და მისი მტრები ვხდებით. და რამდენადაც ღმერთი უსაზღვრო სიყვარულის ღირსია, ამდენად უსაზღვროა ჩვენი

მტრობაც ღვთისადმი; რამდენადაც ღმერთი უსრულყოფილესი მადლია, უსასრულოა მისგან ჩვენი განდგომაც. აი, სადამდე მივყავართ ღმრთის შეურაცხმყოფელ ცოდვას. მაგრამ ის, რომ ადამიანი ღვთის წინააღმდეგ ასე კადნიერი იყოს, შეუძლებელი ხომ არ გგონიათ? ძმებისგან გაყიდული იოსები ვიღაც ისმაელიტელმა ვაჭრებმა ეგვიპტეში ფარაონის მცველთა უფროსს, პეტეფრეს, მიჰყიდეს. ღვთის შემწეობით იოსები პეტეფრემ სახლის მმართველად დაადგინა და მთელი თავისი ქონების განმგებლობა ჩააბარა. იოსები გარეგნობით მშვენიერი იყო და პეტეფრეს ცოლმა თვალი დაადგა, ბილწი, ეშმაკეული სიყვარულით აღენთო. იცით კი, რას მიუგებდა მოკრძალებული იოსები ეგვიპტელ ევას დაპირებებს და ცდუნებებს? _ მე მონა ვიყავი. შენმა ქმარმა და ჩემმა ბატონმა გამომისყიდა. ღარიბი ვიყავი, მან გამამდიდრა. უცხოელი ვიყავი, მან კი ჩემს ხელებს თავისი ქონება მიანდო, ყველაფერი მიანდო გარდა ცოლისა. ეს ყოველივე წყალობაა ღვთისა, რომელსაც თაყვანს ვცემ. განა შესაძლებელია ჩემი მეუფისადმი ასეთი უმადურობა? ღვთის წინაშე ასეთი ცოდვის ჩადენა? *«ვითარ ვქმნე საქმე ბოროტი და ვცოდო წინაშე ღმრთისა?»* (დაბ. 39,9). იოსებ, კარგად იფიქრე შენს მონურ მდგომარეობაზე, შენს სარგებელზე, ახალგაზრდა და ლამაზი რომ ხარ, ამაზე იფიქრე; ახალგაზრდობა და სილამაზე _ ეს ორი ძლიერი საბაბია მსგავს განსაცდელში შენი გამართლებისათვის. შენ მონა ხარ და თუკი დამთანხმდები, შენი მეუფის მთელი ბედნიერება შენსკენ შემობრუნდება. მაგრამ *«ვითარ... ვცოდო წინაშე ღმრთისა?»*

_ იფიქრე, შემოთავაზებული სიყვარული დედაკაცმა სიძულვილად რომ აქციოს, დაღუპული ხარ; თუ მის სურვილებს არ შეასრულებ, ცილისწამებისა გეშინოდეს; თუკი მის მკლავებს უარყოფ, ციხეს ელოდე.

_ მე ყოველივე ამაზე ვიფიქრე, მაგრამ *«ვითარ... ვცოდო წინაშე ღმრთისა?»*

_ განა ეს ასე შეუძლებელი გეჩვენება? ყველაფერი ხომ საიდუმლოდ დარჩება, ამას ვერავინ დაინახავს, არავინ გამოიძიებს.

_ ეს ვიცი, მაგრამ... მხედავს და განმსჯის ღმერთი, რომელსაც ვემსახურები!

_ საბოლოოდ რა გადაწყვიტე? _ დაე, გამძვინვარდეს ჩემზე დედაკაცი, ცილი დამწამოს, საპყრობილეში ჩამაგდოს, სიკვდილი მომისაჯოს, ყოველივეს ავიტან. რანაირად შემიძლია ჩემი ღმერთი შეურაცხვყო? ეს შეუძლებლად მეჩვენება _ *«ვითარ... ვცოდო წინაშე ღმრთისა?»* ძმანო, იოსებმა ბედნიერების დაკარგვა, თავისუფლების აღკვეთა, სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება ირჩია. ის კი იცით, რომ ერთხელ ამ მანკიერმა ქალმა, მარტო რომ დაიგულა იოსები, სამოსში სწვდა და მიიზიდა? მაგრამ იოსებმა სამოსი მიატოვა და ცოდვას მყის განერიდა, რადგან ღმერთის შეურაცხყოფას შეუძლებელ საქმედ თვლიდა. *«ვითარ... ვცოდო წინაშე ღმრთისა?»* მინდა ვთქვა, რომ ღვთის შეურაცხყოფა ცოდვით ისეთი დიდი ბოროტებაა, რომ შეუძლებელ საქმედ წარმოჩნდება. წარმოუდგენელია თავს სიძულვილი უსურვო ღვთისა, რომელიც უსასრულო სიყვარულის ღირსია, წარმოუდგენელია ღმერთის _ ამ უსასრულო მადლის _ უარყოფა ისურვო. წმ. ოქროპირი ამბობს: «გაგვიუცხოოს ღმერთმა და მოგვიძულოს, სიკვდილის შემდგომ მოსალოდნელ სასჯელზე მეტად მძიმეა». ტანჯვამდე ტანჯვა _ განა ეს დიდი უბედურება არ არის?

მინდოდა, გამეგებინებინა თქვენთვის, რაოდენ უსაზღვროა ეს ბოროტება. ღვთისმეტყველება გვასწავლის, რომ ღმერთს, რომელიც თავისი ბუნებით ყოვლად სრული ნეტარებაა, არ შეუძლია, სევდის მონაწილე იყოს. ღმერთს რომ სევდიანობა შეძლებოდა, მაშინ ადამიანური ცოდვებით მიყენებული სევდა იმ სიხარულზე მეტი იქნებოდა,

რომელსაც მას ამდენ წმინდა მამათა სათნოებანი, ღირს მოღვაწეთა კრძალულება, მამაც მოწამეთა სისხლი ანიჭებს. თუკი ადამიანს უსასრულო ტანჯვის მიყენება შეუძლია ბუნებითად ნეტარი არსებისათვის, ეს ხომ არ არის უსაზღვრო ბოროტება? მაგრამ თუკი ღმერთს (თავისთავად) წუხილი არ შეუძლია, მაშინ მას ეს შეუძლია როგორც ღმერთკაცს. მან გეთსამანიის ბაღში შებრძოლებისას თქვა: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე»* (მთ. 26, 38).

როგორც ეკლესიის ყველა მასწავლებელი გვიხსნის, ეს მან თქვა არა იმიტომ, რომ ტანჯვისა, სიკვდილისა, ყვრიმალში ცემისა, გამათრახებისა, ჯვრისა, ჯვარზედ ტანჯვისა და გაკიცხვისა ეშინოდა, არამედ იმიტომ, რომ მაშინ თავის მხრებზე მსოფლიოს ცოდვები იტვირთა, რათა ჯვარზე მათ მისამსჭვალად წასულიყო. ეს ისეთი დიდი სიმძიმე იყო, რომ განხორციელებულ ძეს ღვთისას სისხლის ოფლი მოედინა და საშინლად წუხდა: *«შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე».*

მეორე მხრივ, უსასრულო ბოროტება _ ეს ღვთაებრივი მადლის აღკვეთაა. ეს რას ნიშნავს? საკმარისად არ მოიძებნება სიტყვები იმისათვის, რომ ეს განიმარტოს; არ არის ცრემლები, ის რომ დაიტიროს. სული ადამიანის მთელ არსებას შეადგენს, ხოლო მადლი ღვთისა _ მთელ არსს სულისას. რაც მზის სინათლეა ჩვენი თვალისათვის, იგივეა ღვთის მადლი სულისათვის: მისით ნათლდება სული, სხივოსნდება, განიღმრთობა. «რაც მზეა გრძნობადი ყოფიერებისათვის, ისვეა ღმერთი გონიერისათვის _ ღვთისმეტყველებს ნაზიანზელი, _ ის ხილულ სამყაროს ასხივოსნებს, ეს კი _ უხილავს; პირველი გრძნობით მხედველობაზე ზემოქმედებს, როგორც მზეს შეჰფერის, ღმერთი კი გონიერ ბუნებაზე _ ღვთივშვენიერად». ღვთაებრივი მადლის ღვთივქსოვილი სამოსით მოსილი სული, როცა ის ნათლობის წყლით ან სინანულის ცრემლით განიწმინდება, ყველაზე მშვენიერია, რისი დანახვაც კი შეუძლია ღმერთს დედამიწაზე; ყველაზე სათნოა, რაც კი შეუძლია რომ უყვარდეს. შავი ჭირი ისე არ ღუპავს, ელვა ისე არ ანგრევს, როგორ ზიანსაც აყენებს ცოდვა სულს, როცა მას ღვთაებრივ მადლს აღუკვეთს.

ორ სახეს მიაქციეთ ყურადღება: ზეცაში მთიებს, მიწაზე _ ადამს. რას წარმოადგენდა მთიები ღვთის მადლით? _ ნეტარ სულთა მეთაურს, სამოთხეში მანათობელ კაშკაშა ვარსკვლავს. ღვთაებრივი მადლის დაკარგვით ის რად იქცა? _ წყვდიადის ანგელოზად, სიდიადიდან დამხობილ საშინელ გველად, რომელსაც ტანჯვის ცეცხლში საუკუნოდ დაწვა აქვს მისჯილი. *«ვითარ განვარდა ცისაგან მთიები განთიად აღმომავალი?»* (ეს. 14, 12) _ დასტირის მის დაცემას ესაია; რას წარმოადგენდა ღვთის მადლის მქონე ადამი? _ ღვთის განსულიერებულ ხატებას და მსგავსებას, უსასრულო სიხარულითა და უკვდავი ცხოვრებით დამტკბარ, ცისქვეშეთის ყოველ სულდგმულთა მეფეს. მადლის დაკარგვით რა შეიქნა? _ სიკვდილის მონა, მემკვიდრე წყევისა, ერთგვარი უგონო პირუტყვი, *«_ ჰგაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ»* (ფს. 48, 20). ღვთის მადლის მქონე სული რა არის? ეს ღვთის სასძლოა, ანგელოზთა დობილია, სამოთხის მემკვიდრეა, ღვთაებრივ ნიჭთა ყოველი სიმდიდრით კაზმული დედოფალია. რა ემართება სულს, როცა ის ღვთის მადლს კარგავს? ანგელოზთა საყვედრებელი, სამოთხიდან დევნილი, მათხოვარი, ეშმაკის ტყვე ხდება. განა შეიძლება ადამიანმა საკუთარ თავს ასეთი უბედურება უსურვო?

იმპერატორ ავგუსტუსის მეგობრებს შორის ერთი რომაელი წარჩინებული იყო, რომელსაც იმპერატორმა ერთხელ რაღაც საიდუმლო გაანდო, მან თავის ცოლს უთხრა, ცოლმა საიდუმლო სხვა ქალებს გადასცა. ასე რომ, ის ყველასათვის ცნობილი გახდა.

იმპერატორმა ეს ამბავი გაიგო, მეგობარს უხმო, საიდუმლოს გათქმაში ამხილა და უთხრა, რომ იგი მისი წყალობისა და მეგობრობის ღირსი აღარაა. შერცხვა წარჩინებულს, შეძრწუნდა და ისე დანაღვლიანდა, რომ სახლში მისულმა უსაყვედურა ცოლს, დანას ხელი სტაცა და თავი მოიკლა. იმავე დანით მოიკლა თავი ცოლმაც. ასე მიეგო ორივეს ერთნაირი დანაშაულისათვის ერთნაირი სასჯელი. ხომ ხედავთ, როგორ დამწუხრდნენ ისინი იმის გამო, რომ კეისრის მეგობრობა დაკარგეს, ჩვენ კი სრულიადაც არ ვწუხვართ, როცა ღვთის მადლს ვკარგავთ. იმ დროს, როცა ვცოდავთ, სჯობს, ჩვემა თვალებმა მზის სინათლე არ იხილონ, სჯობს, მიწამ პირი გახსნას და ცოცხლად ჩაგვყლაპოს, ვიდრე ასეთი განძი დავკარგოთ! მიწიერი მეფის _ კეისრის მეგობრობის დაკარგვა ადამიანისათვის დიდი უბედურებაა, მაგრამ არასრული, რამეთუ მისთვის ეს მეგობრობა უმაღლესი სიკეთე არ არის. ღვთის მადლის დაკარგვა, მასთან ერთად სიცოცხლისა და სულისა, მიწისა და ცისა, მარადიული დიდებისა, საუკუნოდ დაკარგვა ღვთისა, ანუ ყოველივეს დაკარგვა _ ეს უკიდეგანო ბოროტებაა, რამეთუ მადლი ღვთისა _ ეს უმაღლესი სიკეთეა.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ სხვაგვარი, ასეთივე უსასრულო ბოროტება. რომელი? _ ცოდვებისათვის სასჯელი, ანუ მარადიული ტანჯვა. ქრისტიანენო, ერთი ცოდვისათვის ღმერთს ასი წლით პატიმრობა რომ განესაზღვრა, ეს მოსათმენი იქნებოდა, რადგან გავა ასი წელი. დევნილობის ათასი წლის განსაზღვრა რომ მოენდომებინა, ასეთი ტანჯვა ოდესმე დასრულდებოდა, მილიონი წლით რომ განესაზღვრა, ესეც დამთავრდებოდა, მაგრამ მარადიული, დაუსრულებელი ტანჯვა, რომელიც არასოდეს დასრულდება! ეს ისეთი საშინელი რამაა, კარგად რომ ჩავფიქრებოდით, ჩვენთვის სიმშვიდე გაქრებოდა, უმალვე უდაბნოს მივაშურებდით და მთელი ცხოვრება ვიგლოვებდით. ცოდვის დასასჯელად ღმერთმა მარადიული ტანჯვა განსაზღვრა: *«და წარვიდნენ ესენი (ანუ ცოდვილნი) სატანჯველსა საუკუნესა* (მთ. 25, 46) _ ეს სარწმუნოების დოგმატია, ამბობს ქრისტე. ღმერთმა ქვესკნელის ქურაში ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის ჩაუქრობელი ცეცხლი დაანთო, რათა მასში მოუნანიებელი ცოდვილნიც შთაყაროს. იცით თუ არა, სად იმყოფება ცოდვილი, ვიდრე არ მოინანიებს? იმ ქურის პირზე; მას ერთი სუსტი ძაფი იჭერს, ანუ ეს დროებითი ცხოვრება, რომელიც ბუნებრივი, მოძალადური, ან უეცარი სიკვდილისთვისაა განწირული. ძაფი თუ გაწყდა, ჩავარდება, რათა საუკუნოდ, გადარჩენის იმედის გარეშე იტანჯოს. როცა ცაზე ქუხს და ელავს (მეტი რომ აღარაფერი ვთქვათ), ის კი, უხმარი გემოთმოყვარე, ავხორცობასაა მიცემული, ოჰ, ღმერთო ჩემო, ამ დროს ეს უბედური სული რა განსაცდელშია! რომელიღაც ბრძენს არასდროს უნდოდა მოგზაურობა და ამბობდა, რომ ზღვაოსანს სიკვდილისაგან სამი თითის დადება მანძილი, ანუ გემის ფიცრის სისქე აშორებსო. რამდენადაა ცოდვილის სული საუკუნო სატანჯველს დაშორებული? მხოლოდ ერთი გაელვებით. შეუძლია თუ არა ადამიანს საუკუნო სატანჯველი წარმოიდგინოს და ამავდროულად რაიმე წუთიერი ცოდვა ჩაიდინოს? «არა, _ გვეუბნება ღვთაებრივი ოქროპირი, _ გეენის ხსოვნა გეენაში შთავარდნას არ გვანებებს». ოჰ, კარგად რომ მხსომებოდა, რომ იმ დროს, როცა ვცოდავ, მყისვე მარადიული ტანჯვის ღირსი ვხდები, მაშინ იოსებივით ვიტყოდი: *«ვითარ ვქმნე საქმე ბოროტი და ვცოდო წინაშე ღმრთისა?»*

მაშ ასე, ცოდვა უსასრულო ბოროტებაა იმის გამო, რომ ის შეურაცხყოფს ღმერთს, რომელიც უმაღლესი სიკეთეა, ის (ცოდვა) ადამიანს ფასდაუდებელ ღვთაებრივ მადლს აღუკვეთს და საუკუნო სატანჯველთან მიჰყავს. არსებობს კი ამაზე მძიმე ბოროტება? როგორღა იკურნება ის? მხოლოდ იმით, რასაც შენი სულიერი მამა ამბობს: *«შვილო,*

მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი». განა ეს შესაძლებელია? დიახ _ ასე გვასწავლის სარწმუნოება. იმ ხელისუფლების ძალით, რომელიც ქრისტემ მოციქულთა სახით თავისი ეკლესიის ყველა მოძღვარს მიჰმადლა: *«რაოდენი განჰკსნათ ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა»* (მთ. 18, 18). ყოველ სულიერ მამას უფლება აქვს ცოდვათა მიტევებისა. განა შესაძლებელია კურნება უფრო იოლი, ვიდრე ესაა?

ცოდვილო, ახლა მინდა შენ გესაუბრო, მინდა გკითხო: რატომ სასწრაფოდ არ ინანიებ? ერთი მხრივ, უდიდესი სენით ხარ შეპყრობილი, მეორე მხრივ, უმსუბუქეს კურნებას გთავაზობენ, როგორიც კი შეიძლება მოგცეს ღმერთმა. მისმინე: სირიელი თავადი ნეემანი, ძლიერი ადამიანი, სახელგანთქმული, მდიდარი, კეთრით დაავადდა. იგი დიდი ამალით წინასწარმეტყველ ელისესთან მივიდა. ის-ის იყო კარს მიუახლოვდა, რომ ელისემ შემოუთვალა: «შვიდგზის განიბანე იორდანეში, ხორცი შენი გამრთელდება და განიწმინდები» (4 მეფ. 5, 10). ნეემანი საშინლად გააბრაზა ამ შემონათვალმა. როგორ, თქვა მან, წინასწარმეტყველი სასწაულებს ასე იოლად ახდენს? რატომ არ ისწრაფა ჩემთან შესახვედრად და არ ილოცა? რად არ დამასხა ხელნი, რათა კეთრისაგან განვეკურნე? დამასკოს მდინარეები უარესია განა? «განა დამასკოს მდინარეები უკეთესი არაა, ვიდრე ისრაელის მთელი წყლები?» (4 მეფ. 5, 12) _ თქვა განრისხებულმა ნეემანმა და წასვლა გადაწყვიტა. მაშინ მსახურებმა უთხრეს: «ბატონო, კეთრისაგან განსაკურნებლად წინასწარმეტყველს რაიმე დიდის გაკეთება რომ ებრძანებინა _ მთელი შენი სიმდიდრის დახარჯვა, შორს, ქვეყნის დასალიერს წასვლა, მდინარეებისა და წყაროების ძებნა, მაშინ ამას არ იზამდი. მაგრამ ასეთი იოლი ბრძანების შესრულება რატომ არ გინდა? შენ ხომ გარჯისა და ხარჯის გარეშე უნდა განიბანო იორდანეში. არსებობს კი კეთრზე უფრო საძაგელი სენი? განკურნებისათვის განბანაზე იოლი რა უნდა იყოს?

«დიდი თუმცა სიტყუაჲ რა გარქვა შენ... არამემცა ჯერ-იყო ყოფად? აცადე, რამეთუ გარქვა: დაიბანე, განწმიდნე» (4 მეფ. 5, 13).

ამით დაარწმუნეს იგი. ნეემანი განიბანა და განიწმინდა. ქრისტიანო ძმაო, იმავეს გეუბნები შენ! შენ კეთრი კი არა, ისეთი დიდი ცოდვა გაქვს, რომლის გამოც მთიები ჩამოვარდა ზეციდან; ისეთივე დიდი, რომლის გამოც ადამი სამოთხიდან გამოიდევნა, ღმერთმა წარღვნა მოავლინა და დედამიწა დაფარა. ცოდვა გაქვს, რომლითაც ღმერთი შეურაცხჰყავი, მადლი აღიკვეთე და საუკუნო სატანჯველის ღირსი შეიქენი. ამ ცოდვის მოსატევებლად ღმერთს შენთვის რომ ეთქვა, მთელი ცხოვრება ცრემლიანმა იღვაწე, ან ევნე ჩემი სახელისათვისო, არ იზამდი ამას? *«დიდი თუმცა სიტყუაჲ რა გარქვა შენ... არა მემცა-ქერ-იყო ყოფად»* არა, ეს შენ სიხარულით უნდა გაგეკეთებინა. იმის ნაცვლად, რომ ჯოჯოხეთში საუკუნოდ იტანჯო, უმჯობესია, ღვაწლით გაწვალდე; საუკუნო ტანჯვით ცხოვრებას ტანჯვით ერთგზის სიკვდილი სჯობს. მაგრამ ღმერთს ესეც კი არ უბრძანებია. მან ყველაზე მსუბუქი და მოკლე გზა გვიჩვენა: წადი, ამბობს იგი, არა საღვაწად, არა სატანჯველად, მღვდლებთან წადი, ისეთივე ადამიანებთან, როგორიც თავად ხარ, შენი სნეულება გაუმხილე, შენი ცოდვა მიუთხარ; მათ აქვთ მთელი ძალაუფლება მიტევებისა, მთელი ძალა კურნებისა. რასაც მიწაზე განხსნიან, ზეცაშიც განხსნილი იქნება. მათ შენს უძლურებას უჩვენებ, ცოდვას მოინანიებ და _ აჰა სასწაული! რა წამშიც მოძღვარი გახსნის ბაგეს აქ, მიწაზე და იტყვის _ «შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი», _ ამბობს ზეციური მამაც, «მიგიტევებ», _ ამბობს მღვდელი, _ «მიგიტევებ», _ უპასუხებს ზეციდან ძე და სიტყვა: «განხსნი», _ გადაწყვეტს აქ, მიწაზე, მღვდელი, და სულიწმიდა მყისვე ხელს აწერს

და ამტკიცებს ამას. ჰოი, სასწაულო! ვიმეორებ, ამ ყოვლადძლიერი სიტყვების წარმოთქმისთანავე ეს უსაზღვრო ბოროტება განადგურდება, უზომო სიმძიმე მოგვეხსნა, მომაკვდინებელი ტანჯვა დასრულდა, ცოდვა განხსნილია, «ჰოი, დიადო კაცთმოყვარებავ, ჰოი, განუზომელო სახიერებავ, _ ქადაგებს ღვთაებრივი ოქროპირი, _ ღმერთი იმავწუთს ამართლებს ცოდვილს, რა წუთშიაც ის ცოდვას მოინანიებს და სამომავლოდ აღთქმას დადებს». არის კი სხვა, ისეთივე დიდი სენი, როგორიც ცოდვაა? და არის თუ არა კურნება, უფრო მსუბუქი, ვიდრე ეს მიტევება? ქრისტიანო, ღმერთს მოსატევებლად შენთვის სხვა, გაცილებით მძიმე საქმე რომ ებრძანებინა, არ გააკეთებდი. ახლა ის ასეთ იოლ საქმეს გავალებს და შენ არ აკეთებ? *«დიდი თუმცა სიტყუაჲ რა გარქვა შენ... არამემცა ჯერ-იყო ყოფად? აცადე, რამეთუ გარქვა: «წარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მღდელთა»* (4 მეფ. 5, 13; ლკ. 17, 14) _ არ გააკეთებ განა? ორიდან ერთ-ერთია: თუკი ამის გაკეთება გინდა, სასწრაფოდ გააკეთე, თუკი ახლავე არ იზამ ამას, ეს ნიშანია იმისა, რომ გაკეთება საერთოდ არ გსურს.

II

განრღვეულზე დღევანდელ თხრობაში ერთი ისეთი რამ შევნიშნე, რაც ჩვენს დროში თითქმის ყოველდღიურად ხდება. ერთხელ იესო ქრისტე კაპერნაუმში მოვიდა, რომელიღაც სახლში შევიდა და სწავლება დაიწყო. გაიგო ხალხმა, რომ ასწავლის და ისე მრავლად მოიყარა თავი, რომ კარებამდე მისვლაც კი შეუძლებელი გახდა. მაგრამ როგორ არ მიერბინათ, როგორ არ მოესმინათ ის ღვთაებრივი სიტყვები, სიტყვები ღვთისშემეცნებისა და საუკუნო ცხოვრებისა? მწყურვალი ფურირემი წყალთან ისე არ მიირბენს, როგორც ბრბო ისწრაფვოდა მაცხოვრის ქადაგებით დასარწყულებლად. *«და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს; და მეყსეულად შეკრბა მუნ სიმრავლე ერისაჲ, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუასა»* (მრკ. 2, 1-2). ამ დროს ოთხ ადამიანს განრღვეული ხელით მოჰყავს. ყურადღება მიაქციეთ, იმისათვის, რომ ცოდვილი სული სულიერ მკურნალთან ცოდვათა მიტევებისათვის წავიდეს, ოთხი სათნოება უნდა ედგას მხარში. პირველი არის რწმენა _ დაუბრკოლებლად უნდა სწამდეს, რომ აღსარებით ცოდვები მიეტევება; მეორე არის სიყვარული, ღმერთი და მოყვასი უნდა უყვარდეს _ ღმერთი უყვარდეს, ანუ ძველი ვნებები მოიძულოს; მოყვასი უყვარდეს, ანუ მას ყოველი შეცოდება მიუტეოს; მესამე არის სასოება, ანუ მტკიცე იმედი ღვთის მადლისა და შეწევნისა; მეოთხე _ შემუსვრილება, ანუ ჩადენილი ცოდვების გამო ნამდვილად უნდა წუხდეს. შევნიშნე, რომ დღევანდელი განრღვეული ორი სნეულებითაა ავად: სულით _ ცოდვით და სხეულით _ განრღვეულობით. ქრისტემ ის ორივესაგან განკურნა: ჯერ განკურნა სულიერი სნეულებისაგან: *«შვილო, მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი!»* (მრკ. 2, 5), შემდგომ კი სხეულის უძლურებისაგან: *«აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა»* (მრკ. 2, 11). როცა ქრისტემ მისი სული განკურნა, ზოგიერთნი ამბობდნენ: *«ვის ჴელეწიფების მიტევებად ცოდვათა?»* (მრკ. 2, 7). ხოლო როცა სხეული განკურნა, ყველას გაუკვირდა და ადიდეს ღმერთი: *«ვითარმედ განუკჳრდებოდაცა ყოველთა და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ»* (მრკ. 2, 12). ესე იგი ადამიანები სულის კურნებას არაფრად აგდებენ და მხოლოდ სხეულის კურნებას აფასებენ. ქრისტიანთაგან ვინმე ავად გახდება თუ არა, მის საწოლს მაშინვე გარს ეხვევიან: მზრუნველი და შეშინებული ცოლი, დასევდიანებული შვილები, პირველივე ბრძანების შესასრულებლად მზად მყოფი მსახურნი, მოსანახულებლად და ნუგეშისათვის მოსული

ნათესავები და მეგობრები. ეს ავადმყოფი, რაღა თქმა უნდა, წმიდანი არ არის, ის ხორცით შემოსილი და ერში მცხოვრები ადამიანია, რამდენი და როგორი ცოდვები აქვს მას, ვინ უწყის? მაშ ასე, ის ავადმყოფი და ცოდვილია. მაგრამ თუკი ნათესავებს ვინმე ეტყვის, რომ მღვდლის მოყვანაა აუცილებელი, რათა ავადმყოფი ცოდვებისაგან განიკურნოს, მათ ეჩვენებათ, რომ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ამბობს. *«ვითარმედ: ესე გმობასა იტყჳს».* მთელი მათი ზრუნვა და ძალისხმევა იმისკენაა მიმართული, რომ ექიმს დაუძახონ და თანაც არა ერთს, არამედ რამდენიმეს და სხეულის საკურნებლად ავადმყოფს წამლები ასვან. ლოცულობენ, მოწყალებას გასცემენ, პარაკლისებს იხდიან. რისთვის? არასდროს იმისათვის, რომ ღმერთმა ცოდვები მიუტევოს, არამედ იმისათვის, რომ გამოაჯანმრთელოს. დღევანდელი განრღვეულის მიმართ ქრისტე ასე როდი მოიქცა: პირველ რიგში, ის ცოდვისაგან განკურნა, შემდგომ კი განრღვეულობისაგან, რათა მივხვდეთ, რომ ავადმყოფობისას პირველ რიგში მღვდლის დაძახებაა საჭირო, რომ მოგვიტეოს, შემდეგ კი ექიმისა, რათა განგვკურნოს. რისი გვეშინია, თუკი პირველად მოძღვარი მოვა? განა აღსარება სასიკვდილო განაჩენია? სხეულებრივ ავადმყოფობაში ხშირად სულის ცოდვების გამო ვვარდებით. სული განვკურნოთ და მაშინ სხეულიც გამრთელდება. ცოდვა _ ეს ფესვია, ავადმყოფობა კი ტოტები; თუკი ფესვს აღმოვფხვრით, ტოტები თავისთავად ჩამოცვივდება. მაგრამ ჩვენ სრულიად საპირისპიროდ ვიქცევით და რა ხდება? ბოლო წუთს ველოდებით, როცა ბოროტება მეტისმეტად გაძლიერდება, როცა ავადმყოფს აღარც გრძნობა აქვს საღი და აღარც გონება, როცა ის ვერაფერს შეიტყობს და ვერაფერს მიხვდება, მაშინ ეს უბედური როგორ აღსარებას, როგორ გამოსწორებას შეძლებს? ოჰ, ნეტავ ეს სიმართლეზე მეტი არ ყოფილიყო _ ქრისტიანთა უმრავლესობა მოუნანიებელი კვდება, რადგან, როცა პირველ რიგში მღვდლის მოყვანაზე ვლაპარაკობთ, მათ ეს შეურაცხყოფად მიაჩნიათ. *«ვითარმედ: ესე გმობასა იტყჳს».* დიდო ცდომილებავ! განა სული სხეულს არ უნდა ვამჯობინოთ? _ რა თქმა უნდა. როცა სხეული ავად ხდება, სულიც ავადმყოფობს. მკურნალობა საიდან დავიწყოთ? _ უმთავრესიდან. ერთ ფერმწერზე დაცინვით ყვებიან, რომ პორტრეტების წერას ფეხებიდან იწყებდა, მთელ ტილოს სხეულის დანარჩენი ნაწილებით ფარავდა და თავისათვის ადგილს აღარ ტოვებდა. რა სასაცილო პორტრეტია და რა სულელი ფერმწერი! მას ხატვა თავიდან უნდა დაეწყო, რომ რაღაც წესიერი შეექმნა. რისი თქმა მინდა ამით? მკურნალობა სულის კურნებით უნდა დავიწყოთ, ანუ ყველაზე მთავარიდან, სხეულზე კი ამის შემდგომ უნდა ვიფიქროთ. დაე, ჯერ მოძღვარი მოვიდეს, ცოდვები მოგიტეოს და გითხრას: *«შვილო, მიგეტევნენ ცოდვანი შენნი»,* შემდეგ კი სნეულებისაგან მადლითა და ღვთის შემწეობით მას ექიმი განკურნავს: *«აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა»* (მრკ. 2, 11).

სიტყვა მარხვის მესამე კვირას

სინდისისა და ღვთის მართლმსაჯულების შესახებ

«რამეთუ რომელსა-იგი სირცხვილ უჩნდეს ჩემი
და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას მემრუშესა

და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხვნოს მას,
რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჳთა
ანგელოზთა თანა წმიდათა»

(მრკ. 8, 38)

ჰოი, სამსჯავროვ, ჰოი, სულო! ასე ამოვიძახდი კვნესითა და ცრემლით, როცა ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ვსაუბრობდი. როგორ არ ავღელდე, როგორ არ შევძრწუნდე, როცა გამახსენდება, რომ დადგება წუთი, როცა კუბოში საყვირის ხმას გავიგონებ, უფლის ხმას, რომელიც სამსჯავროზე მომიხმობს? რომ ჩემი უწინდელი ხორცით აღვდგები, ხელთ მექნება წიგნი, ჩემი სინდისი, რომელშიც ჩაწერილი იქნება ყველაფერი, რაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მიკეთებია, მიფიქრია, მითქვამს... თავის მართლებისა და შეპასუხების გარეშე ანგარიში უნდა ჩავაბარო ყოველივე ამისათვის; რომ ჩემი მოწმეები ცა და მიწა იქნებიან, მსაჯული იქნება ღმერთი, მთლად მართლმსაჯულება, ყოველგვარი შეწყნარების გარეშე, მთლად მრისხანება მოწყალების გარეშე; რომ სამსჯავროს შემდეგ განისაზღვრება ან საუკუნო ცხოვრება სამოთხეში, ან საუკუნო ტანჯვა ჯოჯოხეთში! ჰოი, სამსჯავროვ, ჰოი სულო. ქრისტიანენო, დღეს ჩემგან ნუ მოელით სიტყვას ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ყველა მისი თანმხლები გარემეობების აღწერით, ნუ მოელით, რომ ცხოვრების დასასრულს, მოზეიმე სამსჯავროს, მსჯავრდებულთა თრთოლასა და მსაჯულის დიდშვენიერებას აღვწერ. ამ ყოველივეს შესახებ ხშირად ისმენთ საეკლესიო წმინდა წიგნებიდან. დღეს ამ წმინდა ამბიონზე ამოვედი, რათა თქვენში ის გრძნობა აღვძრა, რაც სამსჯავროს საათის შესახებ ფიქრით განვიცადე, რათა წარმოიდგინოთ, რომ ეს საათი დადგა და საშინელი სამსჯავროს წინაშე ვდგავართ. ყურადღება მიაქციეთ მხოლოდ იმას, თუ ვინ არის მსჯავრდებული _ უბრალო ადამიანი. მსაჯული ვინაა? _ ღმერთი. ორ საგანზე იფიქრეთ _ ადამიანის სინდისსა და ღვთაებრივ მართლმსაჯულებაზე. მაშ ასე, თავიდან მსურს გიჩვენოთ, რომ ადამიანის სინდისი ბრალს სდებს და განაჩინებს, შემდეგ კი ღვთის მართლმსაჯულება სამსჯავროსა და მისაგებელს აღასრულებს. ეს ქრისტეს დღევანდელ სახარებაში სურდა ეთქვა: *«რამეთუ რომელსა-იგი სირცხვლ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხვნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჳთა ანგელოზთა თანა წმიდათა».* ამ ცხოვრებაში არავის შეუძლია იყოს ბრალმდებელი და მსაჯული, ან მსაჯული და შურისმგებელი. ადამიანის სინდისი და ღვთის სიმართლე _ ეს მომავალ სამსჯავროზე იქნება. სწორედ ამან ამაღელვა და თრთოლა მომგვარა. ჰოი სამსჯავროვ, ჰოი სულო!

I

ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთ-ერთი ჭეშმარიტება ის არის, რომ იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლა, და ის მოვა ცოცხლებისა და მკვდრების განსასჯელად. წინასწარმეტყველნი ძველ აღთქმაში, მახარებელნი ახალ აღთქმაში და ეკლესიის წმინდა მამები თავიანთ თხზულებებში, ამის შესახებ საკმაოდ გამომსახველად ლაპარაკობენ. ეს ცხოვრებისეული სამყარო აღსავსეა უსამართლობით: ბედნიერებასა და დიდებას ხშირად ბოროტი ადამიანები აღწევენ, კეთილი ადამიანები კი უბედურებაში, აღკვეთებით სავსე ცხოვრებით ცხოვრობენ. მაგრამ ღმერთი მართლმსაჯულია, ამიტომ მომავალ ცხოვრებაში მართალი სამსჯავრო და მისაგებელი იქნება: ბოროტები სათანადოდ დაისჯებიან, კეთილნი კი სათანადო ჯილდოს მიიღებენ: *«...გამოვიდოდიან კეთილის მოქმედნი*

აღდგომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა» (იხ. 5, 29). ამ ცხოვრებაში ღმერთი ყველა ბოროტს არ სჯის და ყველა კეთილს არ აჯილდოვებს, რათა ვიცოდეთ, რომ ყოველივე ამის გაკეთებას ის მომავალ სამსჯავროზე, იმ ცხოვრებაში აპირებს. მთელი სამყარო მხოლოდ ცდომილებაა. რამდენი კარგი ადამიანი ჩანს ქვეყნის თვალში ბოროტი მხოლოდ თავისი თავისუფალი და უბოროტო უბრალოების გამო! და რამდენი ცუდი ადამიანი ეჩვენება ქვეყანას კეთილი თავისი მზაკვრული პირმოთნეობით! შემდგომ, რას აკეთებს ადამიანის ძალადობა და ხრიკები. თუმცა ღმერთი თავისი სიმართლის სხივის გასაცხადებლად მრავალ ისეთ ბოროტმოქმედს სჯიდა, როგორებიც იყვნენ ფარაონი და ანტიოქე და მრავალ ისეთ უდანაშაულოს ათავისუფლებდა, როგორებიც იყვნენ იოსები და სუსანა, მაინც, ამ ცხოვრებაში, ცოდვილთა დიდი ნაწილი პატივითა და დიდებით ტკბება, უდანაშაულონი კი უღირსებასა და სირცხვილში კვდებიან. მაგრამ მართლმსაჯულია ღმერთი. ამიტომ, ოდესმე, მსოფლიო სამსჯავროზე მან უნდა გააცხადოს სად არის ჭეშმარიტი ბოროტება და სად _ ჭეშმარიტი სათნოება, რათა საგანთა ჭეშმარიტება გაბრწყინდეს, ამის შესახებ ვრცლად მსჯელობენ აღმოსავლეთის მასწავლებლებიდან _ ოქროპირი, დასავლეთისა _ ავგუსტინე. იმისათვის, რომ მართლმსაჯულება გამჟღავნდეს, უნდა მოვიდეს მომავალი სამსჯავრო, ჩვენ ყველანი საშინელი მსაჯულის წინაშე უნდა წარვდგეთ და თითოეული ჩვენი კეთილი და ბოროტი საქმისთვის განვისაჯოთ. ამის შესახებ ნათლად ამბობს პავლე მოციქული: *«...ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაჲთა მოიღოს კაცად-კაცადმან ხორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინა თუ კეთილი გინა თუ ბოროტი"* (2 კორ. 5, 10).

ჰოი სამსჯავროვ, ჰოი სულო!

როგორც უკვე აგიხსენით, ამ დიად დღეს ყველაფერი საშინელია. მაგრამ ყოველივე აქედან ყველაზე საშინლად ორი გარემოება მეჩვენება. პირველი _ ადამიანური სინდისი, რომელიც ბრალს სდებს და განაჩინებს, შემდეგ ღვთის მართლმსაჯულება, რომელიც განსჯის და მიუზღავს. ჰოი სამსჯავროვ, ჰოი სულო!

დავიწყოთ პირველით. არაფერია ცოდვაზე საძაგელი. ცოდვის ჩამდენ ადამიანს თვითონაც არ შეუძლია მას მშვიდად უყუროს. ის ცოდვას სჩადის, მაგრამ შეძლებისდაგვარად ცდილობს, ის დაფაროს. როცა ამის შესახებ სათქმელად მოძღვართან საკუთარი ნებით მიდის, ის ხელოვნურად სახეს უცვლის ცოდვას, ან რაიმეს მომიზეზებით ფარავს. ამ ყველაფერს იმისათვის აკეთებს, რომ თუმცაკი ჩაიდინა ცოდვა, მისი დანახვა უმძიმს. ჩვენი სინდისი მართლაცდა სარკეა, რომლისაც ადამიანს უნდა რცხვენოდეს, უნდა ეს, თუ არა. სული კი, ამის საპირისპიროდ, როცა სცოდავს, სიამოვნებას განიცდის, შემდგომ კი _ ტკივილს, და ეს ტკივილი სხვა არაფერია, გარდა სინდისის ქენჯნისა. დაე, გარეშემ არაფერი თქვას, შინაგანად სინდისი გამხელს და სინდისის ეს ბრალდება ყველაზე მძიმე სასჯელია სულისათვის. გიორგი კედრინი თავის მატიანეში წერს: ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანსმა თავისი უმცროსი ძმა ფეოდოსი, რომელიც ხელდასხმული იყო, აიძულა, ტახტი დაეტოვებინა, მონაზვნად წასულიყო და დიაკვნად ემსახურა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმპერატორის ბრძანებით ფეოდოსი მოკლეს. ახალი კაენი, მკრეხელი ძმისმკვლელი ფიქრობდა, რომ ძმის გარეშე, მარტო, უშიშრად იმეფებდა. მაგრამ იმავე ღამეს, უკუნეთში, როცა ტირანი დასაძინებლად თვალს ხუჭავდა, უეცრად მის წინაშე უდანაშაულოდ მოკლული, ბრწყინვალე სადიაკვნო სამოსით მოსილი ძმა ფეოდოსი წარმოუდგა. ხელში ჯერ ისევ ახალი, თბილი სისხლით სავსე თასი ეკავა და უთხრა: «შესვი

ძმაო; ეს მე ვარ, შენი ძმა, შენგან მოკული ფეოდოსი, ეს კი ჩემი სისხლია, შენ რომ ასე გწყუროდა. შესვი, შენი ველური წყურვილი დაიკმაყოფილე. შესვი ძმაო!» ასეთი ხილვისაგან და სიტყვებისაგან აცახცახდა იმპერატორი, საშინელებამ მოიცვა და გაქვავდა. საწოლიდან წამოდგა, მიატოვა ძილი, სასახლის მეორე ნაწილში გადავიდა. ცოტა ხანს იქ შეიცადა, შეისვენა, ისევ დასაძინებლად დაწვა და კვლავ ხედავს: იგივე თასი და ხმა: «შესვი ძმაო!» ეს ყოველდღე გრძელდებოდა, ყოველთვის, როცა ძილს დააპირებდა და თვალს ხუჭავდა, მაშინვე ძმა მოდიოდა და მის გულს აძრწუნებდა სიტყვებით _ «შესვი ძმაო!» იმპერატორი მიდიოდა მინდორში, ბაღებში, სანადიროდ, იმ იმედით, რომ თავის და-ღონებულ სულს საშინელი ხილვისაგან იხსნიდა, მაგრამ მოჩვენება იქაც თან სდევდა, ზარავდა და სასიკვდილო ფიალას სთავაზობდა _ «შესვი ძმაო!» ბოლოს შეუძლებელი გახდა მისთვის ამისი ატანა. მან გადაწყვიტა მიეტოვებინა კონსტანტინოპოლი და ზღვით სიცილიაში გამგზავრებულიყო იმ იმედით, რომ ადგილის შეცვლა მის ბედსაც შეცვლიდა. მაგრამ ამაოდ. ეს ტანჯვა თან სდევდა, რამეთუ ამის მიზეზს თავისი სინდისით ატარებდა: მას ეს მოჩვენება ყველგან თან სდევდა სიტყვებით _ «შესვი ძმაო!» როდემდე გაგრძელდა ეს ყველაფერი? ასეთ ტანჯვაში მას დიდხანს აღარ უცოცხლია, ცოტა ხანში მთლიანად შესვა სიმწრის ფიალა – სამართლიანი ღვთის დაშვებით იგი აბანოში მოკლეს. საბრალო კონსტანს, უბედურო მეფევ! ამდენი წელი შეუიარაღებელი ადამიანი გზარავდა, თანაც არა ცოცხალი, არამედ მიცვალებული, მკვდრის არამატერიალური სახე, ცარიელი ჩრდილი, მოჩვენება! დიახ, მაგრამ ეს არის მის მიერ ჩადენილი ცოდვა, რომელიც ასეთი საშინელია. მან შეძლო ამის გაკეთება, მაგრამ ვერ შეეძლო დანახვა. მას სინდისი განსჯის, ხოლო ეს ყვედრება _ «შესვი ძმაო!» _ აუტანელი ტანჯვაა.

ამ ცხოვრებაში სინდისი _ ეს საიდუმლო ბრალმდებელია. რადგან ცოდვა დაფარულია, სინდისის ყვედრებაც დამნაშავის გარდა არავის ესმის. მაგრამ, სამსჯავროს დღეს სინდისი აშკარა ბრალმდებლად მოგვევლინება, რამეთუ თავად ცოდვა გაცხადდება. მის ბრალდებებს ყველა ბოროტმოქმედი, ყველა ანგელოზი, ყოველი ადამიანი და დემონი გაიგონებს. მაშინ თვალხილულნი დავინახავთ არა სიზმარს, არა მოჩვენებას, არამედ იმ ადამიანს, რომელიც ჩვენი ხელით ან ჩვენი ცილისწამებით არის მკვდარი. მას ხელში თავისი სისხლით სავსე თასი ეჭირება და გვეტყვის _ «შესვი ძმაო!» სისხლისმსმელო ნადირო, შენ მომკალი, შენ ქრთამით მოსამართლე მოისყიდე, ან მართლმსაჯულება მოატყუე, ასე რომ ჩემი სიკვდილი დაუსჯელი დარჩა, ჩემი ობლები – მშივრები, ჩემი დაქვრივებული ცოლი და ნათესავები – დამწუხრებულნი. ისინი ამ დრომდე ამაოდ დამტიროდნენ, ახლა კი, ღვთაებრივი მართლმსაჯულების წინაშე, მსაჯული ღმერთის წინაშე, შენთან ჩემი სისხლი მომაქვს: «შესვი ძმაო!» მაშინ გავიგონებთ, როგორ დაგვიყვირებს ჩვენგან ნაწყენი ღატაკი: «გაუმაძღარო მდიდარო, უსამართლო მეუფევ, ანგარებისმოყვარე ვაჭარო, მე მთელი ცხოვრება შენს ვალს ვიხდიდი, მაგრამ უკან ვერ მივიღე ჩემი თამასუქი; მე პატიმარივით ვმუშაობდი, მთელი ჩემი შრომა, შრომის მთელი ნაყოფი, მთელი შემოსავალი ვალის გადახდას მოვანდომე, ის კი ისევ მადევს; ჩემი სახელი კვლავ ირიცხება შენს მოვალეთა წიგნებში, ვალმა მთელი ჩემი ქონება შთანთქა; ჩემი შვილები თავს მათხოვრობით ირჩენენ, ცოლი სხვის სახლებში მუშაობს, ჩემი კერა ჩაქრა. მე შიშველი დავრჩი. ჩემი სისხლი გწყურია? მაშ ახლა შესვი, შესვი ძმაო!» მაშინ დავინახავთ, თავად იესო ქრისტე თავისი უწმინდესი საიდუმლოს წმინდა ბარძიმით როგორ გვამხელს ჩვენ, ეპისკოპოსებსა და მღვდლებს: «მკრეხელო ღვთისმსახურო, რამდენჯერ გაბედე

გემსახურა ისე, რომ აღსარება არ გითქვამს; რამდენჯერ მიეკარე უწმინდური ხელით ჩემს წმიდათაწმიდას; შებილწული ბაგით ეზიარებოდი, ეკლესიას ტოვებდი და ბაზარში მიდიოდი, საკურთხეველი გავიწყდებოდა და შენს სახლზე ზრუნავდი, ჩემი მადლით ვაჭრობდი, შენ ჩემი სისხლი გათელე – შესვი ის ძმაო შესვი!» მაშინ დავინახავთ ჩვილებს, რომლებიც ჯერ ისევ მუცელში მოწყვიტეს გულსასტიკმა დედებმა; ისინი მწარე ცრემლით იტირებენ: «შვილისმკვლელო დედებო, თქვენ სასტიკი სიკვდილით იმისათვის მოგვკალით, რომ ჩვენი რჩენა არ გინდოდათ, ან იმისათვის, რომ თქვენი უპატიოსნობა დაგეფარათ; თქვენ აღგვიკვეთეთ ნათელი ცხოვრებისა და ღვთის დიდებისა. წყეულიმც იყოს ბაგე, რომელმაც ეს საბედისწერო რჩევა მოგცათ! წყეულიმც იყოს ხელი, რომელმაც ეს მომაკვდინებელი ნაყენი მოგაწოდათ! წყეულიმც იყოს თქვენი გამბედაობა, რომლითაც დაბადებამდე მოგვკალით! შეხედეთ სუფთა და უდანაშაულო სისხლს, რომლითაც მიწა წაბილწეთ! დედებო, შესვით ის!» უფალო ჩემო, რამდენი რამ იფიქრა ჩვენმა გონებამ, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე არასდროს ყოფილა დამშვიდებული; რამდენი რამ თქვა ჩვენმა მოუსვენარმა ენამ; რამდენი რამ გააკეთა ბოროტებისკენ მიდრეკილმა ჩვენმა ნებამ. მაშინ ყველაფერი, რაც შევცოდეთ ბაგით (ფუჭი სიტყვის ჩათვლით) გონებით, უწვრილმანესი აზრებით, ყველაფერი, რაც ყოფილა, ზედმიწევნით გაცხადდება ჩვენსა და მთელი ქვეყნიერების თვალწინ: «უეცრად, ჩვენს წინაშე ჩვენი ყველა საქმე იმ მნიშვნელობით წარმოდგება, რომლითაც ითქვა და გაკეთდა»- დაამოწმებს ბასილი დიდი. ჰოი, ეს რარიგად მოგვეჩვენება! მაშინ გამოჩნდება ის, რაც გასაკიცხი იყო და სათნოებად გამოიყურებოდა; რაც საძულველი იყო და მოშურნეობად ჩანდა; რაც მზაკვრობა იყო და მეგობრობა გვეგონა; რაც განკითხვა იყო და გამოსწორებად მიიჩნევდნენ. ყალბი ხელმოწერა იპოვეს? მაშინ აღმოჩნდება, ვისმა კალამმა დაწერა ის; ეკლესიიდან წმინდა ჭურჭელი გაქრა? მაშინ გაცხადდება, ვისმა ხელმა წაიღო; იყო ბოროტი ჩანაფიქრი, დაბეზღება? მაშინ გამოჩნდება ენა, რომელმაც ეს გააკეთა; მოტყუებულია უდანაშაულო ქალწული, იმალება დამნაშავე, უდანაშაულოა დასჯილი? მაშინ გამჟღავნდება ბავშვის ნამდვილი მამა და მაცდუნებელი; გაცხადდება მრუში, რომელსაც კრძალულების ნიმუშად თვლიდნენ და როგორც წმინდანს პატივს სცემდნენ. მაშინ შეიცნობიან მგელი და ცხვარი, ვერცხლისმოყვარე და გამცემი, იუდა და ჭეშმარიტი მოციქული; ვერაგი ესავი და კეთილი იაკობი. ოჰ, როგორი სირცხვილია! «უეცრად დავინახავთ ჩვენს საქმეებს ისეთს, როგორიც ისინი სინამდვილეში იყო, მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით, ისე, როგორც ითქვა და გაკეთდა». ცივი ოფლი მდის, ვღელავ სირცხვილისაგან, როცა ჩემი ცოდვის გასამხელად მოძღვართან მივდივარ, თუმცა ვიცი, რომ მას საიდუმლოდ შეინახავს, დარწმუნებული ვარ არ გაამხელს, არ დამსჯის და მომიტევებს. ჩემი ცოდვა ყველა ანგელოზის თვალწინ როგორ უნდა ვამხილო? ისინი ჩემს გამო შეშფოთდებიან; ყველა წმინდანის წინაშე? ისინი ჩემგან პირს იბრუნებენ! ყველა დემონის თვალწინ? ისინი დამცინებენ! ჰოი, სირცხვილო! მაგრამ სინდისის მხილება – ეს ხომ მთლად წამებაა! ცოდვები, რომლებსაც ვხედავ, ეს დიდი და საშინელი ცოდვები, ყველა ჩემია, ამ დღეს მათი დაფარვა არ შემიძლია, დღეს, რომელიც ბნელეთის მთელ საიდუმლოს ამხელს, რამეთუ ეს დღეა გაცხადებისა. ღმერთმა ამ ცხოვრებაში მიტევების მიღების უმსუბუქესი საშუალება მომცა; საკმარისი იყო მეთქვა: «ვცოდე», მოძღვარს ეთქვა _ «მოგეტევენ ცოდვანი შენნი» და მიტევებული ვიქნებოდი. მაგრამ მე ეს არ გავაკეთე. ამის შესახებ შეფარვით მეუბნებოდნენ მქადაგებლები, მოძღვრები, მაგრამ არ გავაკეთე. ამის შესახებ ვიცოდი, მაგრამ არ გავაკეთე. მაქვს კი რაიმე

გამართლება? თითქოსდა ჩემი ცოდვები არ მყოფნიდა, სხვისი ცოდვებიც მივიმატე, ამას არც ცრუმოწმეობა უნდოდა, არც ვინმეს მოკვლა – მე წავაქეზე. ის საწყალი ქალწული ან პატიოსანი ქალი შეძლებისდაგვარად თავს იკრძალავდა – ძალით, მოტყუებით ცოდვაში ჩავითრიე. ჭაბუკმა ჯერ ცოდვისა არა იცოდა რა – ჩემმა სიტყვებმა და საუბრებმა მისი სმენა მოწამლეს, მისი ზნე გახრწნეს. მე მღვდელი ვიყავი და ცდუნებაში ერისკაცებს გადავამეტე. ცოლიანი ვიყავი და ცოლის თვალწინ მეძავი მყავდა. მამა ვიყავი და ჩემი შვილებისათვის ცუდი მასწავლებელი აღმოვჩნდი. მე წარწყმედის მაგალითი ვიყავი და ადამიანთა შორის ვტრიალებდი. განა ჩემთვის საკმარისი არ იყო მე დავსჯილიყავ და ჩემი რჩევებით, მაგალითითა და ცდუნებით სხვებიც არ გამეყოლებინა სატანჯველში? რითიღა უნდა ვიმართლო თავი? ვინანიებ, მაგრამ უშედეგოდ, რამეთუ სინანულის დრო გავიდა. დადგა ჟამი მიგებისა. მაშ ასე, რა ვქნა? მე საკუთარ თავს ვადანაშაულებ და განვსჯი! ღმერთო, გარეგანი სამსჯავროს საჭიროება არ არის – მე ჩემი სინდისი მსჯის. სიხარულით დავიმალებოდი ჯოჯოხეთში, ოღონდ ჩემი ცოდვები არ დამენახა. მიმიღე ტანჯვავ, ჩემთვის აღარ არის სამოთხე _ ვამბობ ამას და ვთრთი. ქრისტიანენო, ასე ამხელს და განიკითხავს ბრალმდებელი და მოსამართლე – საკუთარი სინდისი. «მოსამართლეც კი არ არის ისეთი ფხიზელი, როგორი ფხიზელიც ჩვენი სინდისია» - ამბობს ოქროპირი. მაგრამ ცოდვილო სულო, შეჩერდი, სად მიხვალ? შენ ბრალი დაგდო და განგსაჯა შენმა სინდისმა. შეიცადე, სამსჯავრო და მისაგებელი ახლა ღვთაებრივმა მართლმსაჯულებამ უნდა მოგაგოს. ჰოი სამსჯავროვ, ჰოი სულო!

ძმაო, აქ მე ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც მოიქცა ერთი გონიერი მხატვარი. მან ფრიად საძნელო საქმეს მოჰკიდა ხელი – უნდა დაეწერა ელენეს სახე, რომელიც ბუნების მთელ სილამაზეს აერთიანებდა. მან ის საფარებლის ქვეშ გამოსახა, რათა გონება მიმხვდარიყო იმას, რაც ხელმა ვერ გადმოსცა. მეც, ამბიონიდან ჩამოსული, ასევე უნდა გავჩუმებულიყავი, ღვთაებრივი მართლმსაჯულების რისხვით ანთებული ღმერთის სახის შესახებ არაფერი მეთქვა და თქვენთვის მომენდო განსჯა იმისა, რისი ახსნაც ჩემს ენას არ ძალუძს. ღვთის პირი, როგორი საშინელია იადამიანის თვალისთვის: სხვა სიტყვაში მე ის ზედმიწევნით აღვწერე, ახლა ვიმეორებ აი რას: მე ვიცი, როცა ღმერთი სინას მთიდან ჩამოვიდა, ის ადგილი საშინელი გახდა, იქ იყო ცეცხლის ალი, იყო ქუხილი და ელვა – ასე ამბობს წმინდა წერილი. ასე რომ ისრაელელნი შორიდან უყურებდნენ და თრთოდნენ. მაგრამ ღმერთი იქ სამსჯავროსთვის არ ჩამოსულა, არამედ მხოლოდ სჯულის მოსაცემად ჩამოვიდა. ხოლო როცა თავისი დიდებით მოვა არა სჯულის მოსაცემად, არამედ მის დამრღვევთა განსასჯელად, როცა ის მოვა მთელი თავისი დიდებით, რათა ყოველგვარი შეწყალების გარეშე განსაჯოს! ოო, ამას ვმალავ, დუმილით გვერდს ვუვლი და თქვენს გონებას მივანდობ იმის მიხვედრას, რისი თქმაც ჩემს ენას არ ძლუძს! ღვთის მრისხანება შეწყალების გარეშე. უფალო ჩემო *«ვინ-მე უწყის სიმტკიცე რისხვისა შენისაჲ და შიშითა შენითა გულის-წყრომისა შენისა აღრაცხვაჲ»* (ფს. 89, 11). ამიტომაც ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი: «აუტანელია ეს გეენა და წამება, მაგრამ უთვალავი ასეთი ტანჯვა არაფერია იმასთან, როცა ერთი წამით წარმოვიდგენთ ღვთის ნათელ სახეს, ჩვენგან მიბრუნებულს და მის თვინიერ თვალებს, რომელთაც არ ძალუძთ ჩვენი შეხდვა». რატომაა იგი მხოლოდ მრისხანება შეუწყნარებელი? იმიტომ, რომ იმ დროს სამსჯავრო და მიგება აღესრულება. დაფიქრდით! ქრისტეს მეორედ მოსვლისას ყველაზე საშინელი ხომ სწორედ ეს იქნება! ღმერთი ცოდვილებს ორგვარად განსჯის. ღმერთი ცოდვილს მთელი ცხოვრების მანძილზე

ისე სჯის, როგორც მსაჯული დამნაშავეს, მაგრამ უმზერს, როგორც მამა შვილს, ანუ მთელი თავისი მრისხანებით არ განსჯის. ამიტომ ცოდვა შეიძლება სინანულმა გამოასწოროს *«არა აღაგზებდა ყოველსა რისხვასა მისსა»* (ფს. 77, 38) ამბობს წინასწარმეტყველი. მას იმ ზომის მრისხანებით განსჯის, რომ «შემუსვრილი, გონს მოსული და გზაზე დამდგარი ცოდვილი ღვთისაკენ მიიქცეს» _ ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი. მისი მართლმსაჯულება ამ ცხოვრებაში სამსჯავროსთან ერთად მრავლის მოთმინებასაც ავლენს. ის მართალი, მტკიცე და მრავლისმომთმენი მსაჯულია. იმდენად, რამდენადაც მომავალ ცხოვრებაში დროის უქონლობის გამო ცოდვა სინანულით ვეღარ გამოსწორდება, ღმერთი ისე განსჯის ცოდვილს, როგორც ბოროტმოქმედს, შეხედავს, როგორც მტერს – გაასამართლებს, როგორც დამნაშავეს, მიაგებს როგორც მტერს. ამ ცხოვრებაში ღმერთი მსაჯული და მამაა. იმ ცხოვრებაში – მსაჯული და მიმგებელი იქნება. როგორ მიგებას აღასრულებს ღმერთი?

სკვითების რომელიღაც მეფემ თავისი ძე იმისათვის მოკლა, რომ მან შეცდომით კანონი დაარღვია. ამის შემდეგ ბრძანა, რომ ხმალი, რომლითაც მის შვილს თავი მოკვეთეს, სასამართლო დარბაზში დაეკიდათ, ხოლო როცა ვინმეს ასამართლებდა, ან გასასეირნებლად მიდიოდა, ის ხმალი აწეული უნდა სჭეროდათ, რათა ხალხს დაენახა და შინებოდა. ამით უნდოდა ეთქვა: «ჩემო ქვეშევრდომნო, ამ ხმალს შეხედეთ და იფიქრეთ, როგორი მეფე გყავთ. კანონის დასაცავად ღვიძლი შვილი არ დავინდე. დაე, ყველა ბოროტმოქმედმა უყუროს ჩემი შვილის სისხლით შეღებილ ხმალს და მიხვდეს, როგორ მართლმსაჯულებას იპოვის ადამიანში, რომელმაც, მსაჯულად ქცეულმა, დაივიწყა, რომ მამაა».

რამდენადაც ხორცშესხმულმა ძე ღვთისამ თავის თავზე ადამიანური ცოდვა იტვირთა, ზეციურმა მამამ განაჩინა, რომ ის ჯვარზე მომკვდარიყო. როცა ის ცოცხლებისა და მკვდრების განსასჯელად მაღალსა და ზეაღმართულ ტახტზე აღსაყდრდება, იქ, ტახტის წინაშე, თვით ჯვარიც განცხადდება *«და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ» (მთ. 24, 30)* რისთვის? იმისათვის, რომ ცოდვილებმა დაინახონ და ათრთოლდნენ. ისინი მართლაც ათრთოლდებიან *«და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი»* (იქვე), როცა გაიგონებენ ღვთისა და მამის სიტყვებს: უმადურნო, ჩემი ძის სიცოცხლე, ყველა ანგელოზისა და ადამიანის სიცოცხლეზე მეტად ძვირფასი, _ სასიკვდილოდ გავწირე. ჩემი ძის სისხლი ყველაზე ძვირფასი განძი იყო სამოთხისა – მე ის მთლიანად მიწაზე დავთხიე. ძისადმი ჩემი სიყვარული ყველა სერაფიმზე მეტად მგზნებარე იყო – მე მასზე უარი ვთქვი. მე არაფერი მქონდა ისეთი საყვარელი და ძვირფასი, როგორც ძე და ის ამ ჯვარზე მსხვერპლად გავიღე. ნუთუ ამ ყოველივემ ვერ უნდა შეგაგონოთ, თუ რარიგად მძაგს ცოდვა? და თქვენ ჩემს წინაშე მაინც ცოდვებით წარმოდექით? ჯვარზე ჩემი ძის სიკვდილს ვხედავ, თქვენში კი _ მისი სიკვდილის მიზეზს. თქვენ თქვენი ცოდვების გამო ჩემი ძის მოკვლა მაიძულეთ. ახლა ძე მაიძულებს, მისი სიკვდილისთვის შური ვიძიო. მე ერთდროულად მსაჯულიც ვარ და მამაც. როგორც მსაჯული, სამსჯავროს აღვასრულებ, როგორც მამამ, შური უნდა ვიძიო. ჩემი სიმართლე თქვენში ბოროტმოქმედებს ხედავს, სიყვარული _ მტრებს. ამიტომ *«წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთა» (მთ. 25,41)* – ცოდვილო მსმენელებო ეს არ გაკვირვებთ? არ გაძრწუნებთ? ღვთის წინაშე დამნაშავეც იყოთ და მისი მტერიც! თუკი მან *«ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა» (ჰრომ. 8, 32)*, განა თავის მტრებს დაინდობს? არა, არა საწყალნო! დაფიქრდით – აბელის სისხლი, ადამიანისა, შურისგებას ღაღადებდა,

ქრისტეს სისხლი მით უმეტეს ღაღადებს შურისგებას! სისხლი ღვთისა, რომელიც ჯვარზე დაკიდებული, თუმცა მიტევებისთვის ლოცულობდა *«მამაო მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან»* (ლკ. 23, 34) – დიდებით მოსული, შურისძიებას მოითხოვს: *«მისაჯე მე ღმერთო, და საჯე სჯაჲ ჩემი»* (ფს. 42, 1). ღვთის სიმართლე თქვენს ცოდვებს განსჯის, ღვთის სიყვარული – ძის სიკვდილისთვის შურს იძიებს. ამგვარად თქვენს წინააღმდეგ ამხედრდნენ – ღვთის სიმართლე და სიყვარული. თქვენზე სამსჯავრო და შურისძიება ერთდროულად აღესრულება. გაზომეთ ძისადმი ეს სიყვარული, ის განუზომელია; გაზომეთ სიძულვილი ცოდვისადმი, რომელმაც აიძულა მსხვერპლად ძე შეეწირა – ის უსაზღვროა. ასეთი დიდი სიყვარულისა და სიძულვილისაგან როგორი სამსჯავრო და შურისგება მოგელით! ვის შეუძლია ეს წარმოიდგინოს? ჰოი სამსჯავროვ, ჰოი სულო!

II

დანიელ წინასწარმეტყველი მე-7 თავში, ხოლო იოანე ღვთისმეტყველი გამოცხადების მე-20 თავში ამბობენ, რომ სამსჯავროს დღეს წიგნები გადაიშლება. მათში წერია ყველაფერი ის, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვიკეთებია. ვფიქრობ, რომ ეს არის ორი წიგნი: ერთში, ჩვენი ბოროტი საქმეები, ჩვენი ცოდვებია ჩაწერილი, მეორეში _ ჩვენი კეთილი საქმეები, ჩვენი სათნოებები. თავდაპირველად ის წიგნი გადაიშლება, რომელშიც ჩვენი ცოდვები წერია. იქ ერთი მხრივ, წერია ცოდვა ყველა თავისი თანმხლები გარემოებით: ჩამდენით, დროთი ადგილით და ა.შ. თუკი საპირისპირო მხარეს აღნიშნულია, რომ ეს ცოდვა ვაღიარეთ, მოვინანიეთ, რომ ის ლოცვით, მარხვით, მოწყალების გაცემით, მღვდლის მიერ დაკისრებული ეპიტიმიით წარვხოცეთ, ამ ცოდვის გამო ღმერთი პასუხს არ მოგვთხოვს. ჩაწერილია ვალი, მაგრამ გადახდაც აღნიშნულია. ამიტომ, თუ ამ ცხოვრებაში სრულად მოვინანიებთ, მომავალ სამსჯავროზე ამისი აღარ უნდა გვეშინოდეს. ცოდვილთა ნუგეში, ღვთაებრივი ოქროპირი, ასე გვანუგეშებს: «თუკი ამ ცხოვრებაში შეგვიძლია აღსარებით განვიწმინდოთ ჩვენი უსჯულოებისაგან, მაშ მოდით, ამ ცხოვრებიდან ცოდვებისაგან განწმენდილნი გავიდეთ». ყოველივე ამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი აღსარება კეთილი უნდა იყოს, თუმცა ისიც ვიცი, რომ აღსარებას არა შემუსვრილებით, არამედ ჩვეულებით ვამბობთ; რომ ჩვენი აღსარება ჭეშმარიტი უნდა იყოს, თუმცა ვიცი, რომ რაც წელს ვთქვით, მომავალ წელსაც იგივეს ვიტყვით და ალბათ უარესსაც. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ ამ ცოდვას მხოლოდ ვეუბნებით მოძღვარს, მაგრამ არ დავუტევებთ მას. თუკი ეს ასეა, ვაი ჩვენ! რამეთუ მომავალ სამსჯავროზე ეს ცოდვა ცოდვადვე დარჩება და ვალი არ იქნება გადახდილი. მაშინ ჩადენილი ცოდვისა და მისი არასრული აღიარების გამო პასუხი უნდა ვაგოთ.

მეორე წიგნში არის ყველა კეთილი საქმე, რომელიც გაგვიკეთებია, ანუ _ ჩვენი სათნოებები. ძმანო, რა მოხდებოდა, ღმერთს დიდი წყალობა რომ მოეღო მეორე სამსჯავროზე, არ განვეკითხეთ, ჩვენთვის ცოდვები მოეტევებინა და მხოლოდ კეთილი საქმეებით განვეკითხეთ, როგორ ფიქრობთ, ვიქნებოდით კი ღირსნი სამოთხის ან ნეტარი ხმის გაგონებისა: *«მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი»* (მთ. 25, 34). ვფიქრობ, რომ პირიქით. ღმერთი იმისთვისაც კი განგვსჯის, რასაც ჩვენ კეთილ საქმეს ვუწოდებთ. ამ ჩვენს კეთილ საქმეებს შეხედეთ: კვირას წირვაზე წავედით? დიახ, ჩვენ წავედით, მაგრამ, უფრო ჩვეულებით, ვიდრე კეთილკრძალულებით: ველოდით, ის როდის დასრულდებოდა. როცა მღვდელი ლოცულობდა და საიდუმლოს აღასრულებდა, საერო საქმეებზე ვლაპარაკობდით. განა ეს

არის კეთილი საქმე? დიახ, ჩვენ ვილოცეთ, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ბაგე ლოცულობდა, სად იყო ჩვენი გონება? განა ლოცვა ის არის, რომ მთელი საათი ერთი გალობა ვიგალობოთ ან ერთ წამში ფსალმუნები მთლიანად ჩავიკითხოთ? განა ეს არის კეთილი საქმე? ჩვენ წყალობა გავეცით, მაგრამ რამდენი? ძალზე ცოტა. და ისიც რისთვის? იმისთვის, რომ ქება ადამიანებისაგან უფრო მიგვეღო, ვიდრე ჯილდო ღვთისაგან. განა ეს არის კეთილი საქმე? მაგრამ ჩვენ ვმარხულობთ და ეს ჩვენი უდიდესი სათნოებაა. რაც უფრო მკაცრად ვმარხულობთ, მით უფრო მეტად ვთვრებით. თავს ვიკავებთ თევზისა და ხორცისაგან, მაგრამ ჩვენს ვნებებს ვერ ვაკავებთ. სახსნილოს არ ვჭამთ, მაგრამ ვჭამთ მოყვასს. ჩვენი მოღვაწენი ზეთსაც კი ეკრძალვიან; მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენი სატანური პირმოთნეობაა მათ აზრებში, რამდენი ავმეხსიერება და უწესო ანგარებისმოყვარეობაა მათ გულებში! განა ეს არის სათნოება? ასეთი კეთილი საქმეებით ვიმედოვნებთ სამოთხის მოპოვებას? სადა გვაქვს თუნდაც ერთი ისეთი კეთილი საქმე, ბოროტება რომ არ ერიოს? სად არის ჩვენს მიერ გაკეთებული კეთილი საქმე? ჩვენს მიერ განვლილი 40, 50 ან 60 წლის მანძილზე ღვთისადმი მიძღვნილი ერთი დღე ან საათი? თუკი ამათ გარდა სხვა სათნოებები არ გვაქვს, ვაი ჩვენ, ქრისტეს მეორედ მოსვლისას! ჰოი სამსჯავროვ, ჰოი სულო!

სიტყვა მარხვის მეოთხე კვირას

აღსარების შესახებ

(საგანგებო)

«ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა:
მე გიბრძანებ შენ, განვედ მაგისგან
და ნუღარა შეხუალ მაგისა!»

(მრკ. 9, 25)

მუნჯია და არ მეტყველებს, ყრუა და არ ესმის მზაკვარ სულს, რომელიც უბედურ ძეს ტანჯავს. ჩვენს დღევანდელ სახარებაში მის შესახებ არის მოთხრობილი. ის ახალგაზრდაა, სიჭაბუკით ყვავის, მაგრამ ბავშვობიდანვე ეშმაკის საბუდრად ქცეულა. როცა მას სული იპყრობდა, ათრთოლებდა, მიწაზე სცემდა და უბედურს პირიდან ქაფი ამოსდიოდა, კბილებს ახრჭიალებდა და შეშდებოდა, შემდეგ ველური სახით დგებოდა, მღვრიე თვალებით, უნებური მოძრაობით ხან ცეცხლში ვარდებოდა, ხან დასახრჩობად წყალში ხტებოდა. მოციქულებმა, რომლებიც იმდენ შეპყრობილს კურნავდნენ, მხოლოდ ამის განკურნება ვერ შეძლეს; აფიცებენ, უკრძალავენ, მაგრამ ყრუ და მუნჯია სული, ამიტომ მათი არ ესმის და არ პასუხობს. თუკი ავადმყოფი მუნჯია და თავისი სნეულების შესახებ ექიმს ვერაფერს ეუბნება, თუკი იგი ყრუა და ექიმის ბრძანება არ ესმის, მაშინ სულ იოლად კვდება ან ძალზე ძნელად იკურნება. იესო ქრისტეს მოსვლა იყო საჭირო! ქრისტეს, როგორც ღმერთს, უწმინდურ სულებზე ყოვლადძლიერი ხელისუფლება აქვს, რათა *«ჰრქუას უტყუსა და ყრუსა სულსა: მე გიბრძანებ შენ, განვედ მაგისგან და ნუღარა შეხუალ მაგისა!»* ამ სახარებისეული ისტორიის საიდუმლო შინაარსი გასაგებია: სულთა განმხრწნელი ეშმაკის მზაკვრობამ გამოიგონა ორი საშუალება, რათა ადამიანი ეტანჯა: პირველი საშუალება ის იყო, რომ შეეკრა მისი ენა, დაემუნჯებინა, მეორე _ მისთვის ყურები დაეხშო,

დაეყრუებინა. დაემუნჯებინა, რათა მას თავისი ცოდვის სიმძიმე არ გაემხილა, დაეყრუებინა, რათა კურნების, თავისი მიტევების შესახებ არაფერი გაეგონა. დაეუფლა რა სიყრმიდან, დიდი ხნის მანძილზე ბატონობს მასზე და იმას უშვრება, რაც უნდა; საითაც სურს, იქით მიყავს: ხან ცეცხლში აგდებს, ანუ მძვინვარების აალებულ ვნებაში, ხან ავხორცობაში, ხან წყალში, ანუ ცხოვრებისეული საზრუნავის ზღვაში. მას ვერც მასწავლებელთა ქადაგებები შველის, ვერც მოძღვრის დარიგება. რატომ? უმთავრესად იმიტომ, რომ ბოროტების სული ყრუ და მუნჯია. თუ ცოდვილი მუნჯია, სულიერი მოძღვრის წინაშე ცოდვებს ვერ ინანიებს, თუ იგი ყრუა, მის ნათქვამს ვერ იგებს. ამიტომ ან ცოდვაში ადვილად ვარდება, ან ძნელად ცხონდება. სასწაულია, ნამდვილად დიდი სასწაულია, თუკი ასეთი ცოდვილი ეშმაკის ხელებს დაუძვრება. ძმანო, რად ვიგდებთ თავს ასეთ ხიფათში? რატომ ვუშვებთ იმას, რომ ბოროტების სული ამდენ ხანს ბატონობდეს ჩვენზე? მისი განგდება ხომ ჩვენი ნებაა. რანაირად? _ აღსარების მეშვეობით.

შევწყვიტოთ მუნჯად ყოფნა, ავიხსნათ ენა, ჩვენი მრავალწლიანი ცოდვა მოვინანიოთ; ნუღარ ვიქნებით ყრუნი, გავითავისუფლოთ ყურები და სულის სასარგებლო დარიგება გავიგონოთ. ამიტომ მინდა დღეს აღსარებაზე ვისაუბრო, მინდა გიჩვენოთ, როგორი აღსარებაა ჭეშმარიტი და სრულყოფილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მუნჯი და ყრუ სულის განგდება.

I

ჭეშმარიტი და სრული სინანული მხოლოდ სიტყვებში არ მდგომარეობს. გავიხსენოთ, რომ იუდამ სინანულად მხოლოდ სიტყვა და ფული მოიტანა. სინამდვილეში ის ცრემლსა და გულის ისეთ შემუსვრილებაში მდგომარეობს, როგორიც პეტრეს ჰქონდა. აღსარებისას საჭიროა ორი პირობის შესრულება: უნდა აღიარო ცრუ სირცხვილისა და მიზეზთა ძებნის გარეშე, შენი სულიერი ნაკლოვანების დასაფარად თავი არ მოიკატუნო. უნდა შეგვრცხვეს მაშინ, როცა ცოდვაში ვვარდებით, და არა იმ დროს, როცა მას ღვთის წინაშე ვინანიებთ, რამეთუ მის წარმომადგენლად მოძღვარი გვევლინება, რომელსაც თუმცაკი ყურები აქვს და ჩვენს აღსარებას ისმენს, მას არავისთან ამბობს.

ათენის ერთ-ერთ ქუჩაზე მიმავალმა სოკრატემ თავისი მოწაფე დაინახა. ის ვიღაც მეძავის სახლიდან გამოდიოდა. შერცხვა მასწავლებლისა ჭაბუკს და თავის ასარიდებლად განზე გადგა. «ჭაბუკო, _ უთხრა მას სოკრატემ, _ ასეთი სახლიდან გამოსვლა არ არის სირცხვილი, სირცხვილი ასეთ სახლში ყოფნაა». ჰოდა ძმაო, მეც ამას გეუბნები: არ არის სირცხვილი გამოსვლა, აღსარებაში შენი ცოდვის გამხელა, სირცხვილი მოძღვრისგან მისი დამალვაა. «დაფარული ბოროტება _ ეს ჩირქოვანი იარაა სულისა» _ ამბობს ბასილი დიდი. ამასვე ამბობს ზირაქი: ... (4, 24-25).

საჭირო არ არის აღსარებაში თავის მართლება და სხვების დადანაშაულება, ამას განსაკუთრებით ქალები აკეთებენ, რომლებიც ათას მიზეზს იდებენ და ყველაფერზე ლაპარაკობენ, გარდა თავიანთი ცოდვისა.

ერთი ასეთი ქალი იმპერატორ გრაციანესთან წავიდა და თავის ქმარს ბრალი დასდო. შესჩივლა, რომ ის ლოთობს, ბობოქრობს, ილანძღება, რომ ის ქურდია, მემრუშეა, მოკლედ ყველაფერი თქვა, რისი თქმაც გამძვინვარებული ქალის ენას და გონებას შეეძლო. ვითომდა ქმარი ლანძღავდა, სცემდა, ვითომდა ცხოვრება ტანჯვად უქცია. მეფემ, რომელიც ამ დედაკაცის ხასიათს მყისვე მიხვდა, არაფერი უპასუხა. მაშინ ქალმა, იმისათვის, რომ მეფე გაებრაზებინა, უთხრა მას: «ჩემი ქმარი თქვენს უდიდებულესობას ლანძღავს». «ბოროტო

დედაკაცო, _ უთხრა მაშინ მეფემ, _ თუკი ქმარი შენ გლანძღავს, მე ამასთან რა მესაქმება, ხოლო თუ მე მლანძღავს, _ შენ რა გადარდებს?» ამგვარად მოიშორა თავიდან ეს ქალი.

სულიერ მამას მონანულთა მიმართ შემწყნარებლობის გრძნობა უნდა ჰქონდეს და როგორც ერთხელ, ერთი მშვიდობიანი მობერვით მიიღო ქრისტესგან უფლება შეკვრისა და განხსნისა, ახლაც ასეთივე მშვიდობიანი და თვინიერი უნდა იყოს, რამეთუ მონანულის ცხონებისათვის მოძღვრის თანაგრძნობა ფრიად სასარგებლოა. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს: «მიტევება მეტად მნიშვნელოვანია ცხონებისათვის. ავადმყოფი არ უნდა შემუსრო, არამედ _ განკურნო». მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ცოდვა აღარ განმეორდება» <...>

«აჰა ცოცხალ იქმენ, ნუღარა სცოდავ, რაჲთა არა უძჳრესი რაჲმე გეყოს შენ» (იხ. 5, 14). რა შეიძლება იყოს ამაზე უარესი? ამას ხომ თავად ქრისტე ამბობს. აღსარების შემდეგ ყრუ და მუნჯი სული მართლაცდა გარბის, მაგრამ თუკი შენს გულს ღვთის შიშით კარგად არ ჩაკეტავ, თუკი მას კვლავ შემოსვლის საშუალებას მისცემ, მაშინ ის არა ერთი, არამედ სხვა, გაცილებით საძაგელი შვიდი სულის თანხლებით მოდის _ *«მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისა, და მოვიდის და დაემკჳდრის მუნ; და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჳრეს პირველისა. ესრეთ ეყოს ნათესავსა ამასცა უკეთურსა»* (მთ. 12, 45). არა ძმაო, «დაიხიე მზაკვრობისაგან, თავი ანებე ბოროტებას, შეუდექ სათნოებებს, პირობა დადე, რომ ცოდვას აღარ გაიმეორებ და ეს საკმარისი იქნება გამართლებისთვის. მე ვიქნები მოწმე და თავდები იმისა, რომ თუკი თითოეული ცოდვილი, რომელმაც ძველი ბოროტება დაუტევა, პირობას დადებს, რომ მას აღარ გაიმეორებს, ღმერთი მას სხვას აღარაფერს მოსთხოვს, რამეთუ კაცთმოყვარეა და მოწყალე» _ გარწმუნებს ოქროპირი.

ძმანო მსმენელნო, ჩვენი წრიდან ვინ არის ისეთი, ვისშიც არის სული ყრუ და მუნჯი? ვშიშობ, რომ ის ყველა ჩვენგანშია, რამეთუ ყველანი ცოდვილნი ვართ. მაგრამ ის წმინდა აღსარებით განვაგდოთ. *«აჰა ესერა აწ არს ჟამი იგი შეწყნარებისაჲ, აჰა ესერა აწ არს დღე იგი ცხოვრებისაჲ»* (2 კორ. 6, 2). მოახლოვდა წმინდა დღეები. დროს ნუღარ დავკარგავთ. ის, ვინც დროს კარგავს, დიდ საფრთხეშია. მრავალმა ისურვა დრო სინანულისთვის, მაგრამ ვერ იპოვა. ეს უდიდესი სიგიჟეა _ გქონდეს დრო და ელოდო დროს. დღეს ჩვენი დღეა, ხვალის შესახებ კი არაფერი ვიცით, არ ვიცით «რას გვიმზადებს დღე მომავალი» (იგავ. 27, 1).

II

ვერ ვხედავ, რომ ჩვენზე სრულდებოდეს სახარებისეული აღთქმა უფლისა. ის ამბობს: *«ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ»* (მთ. 7, 7). მაგრამ ჩვენ ვლოცულობთ, და ის არ გვისმენს; ვითხოვთ და არ გვაძლევს; ვაკაკუნებთ და არ გვიღებს; განა სიცრუეა ის, რომ ყოველდღე ვლოცულობთ? მაგრამ თითოეულმა ჩვენგანმა იცის, თუ რაოდენ ხშირად ვრჩებით შეუსმენელნი. რა არის ამის მიზეზი? ამ მიზეზზე ესაია წინასწარმეტყველი მიგვითითებს: *«ნუ ვერშემძლე არსა ჴელი უფლისაჲ ცხოვნებად შენდა? ანუ დაამძიმა ყური თჳსი არსმენად; არამედ ცოდვანი თქუენნი განსწვალებენ შორის თქუენსა და ღმრთისა და ცოდვათა თქუენთათჳს მიიქცია პირი თჳსი თქუენგან არშეწყალებად; რამეთუ ჴელნი თქუენნი შებღალულ არიან სისხლითა და თითნი თქუენნი ცოდვათა შინა, ხოლო ბაგეთა თქუენთა თქუეს უსჯულოებაჲ და ენაჲ თქუენი სიცრუესა იწურთიდა»* (ეს. 59, 1-3). აი მიზეზი იმისა, თუ

რად არ ისმენს ჩვენს ლოცვას ღმერთი; ვითხოვთ და არ გვაძლევს. ვაკაკუნებთ და არ გვიღებს; მაგრამ თავიდან ავიცილოთ ეს უდიდესი დაბრკოლება, ღმერთს შევურიგდეთ და მაშინ ის შეისმენს ჩვენს ლოცვას; მაშინ მოგვცემს ყველაფერს, რასაც ვთხოვთ, მაშინ გაგვიღებს თავის მოწყალების კარებს. მაგრამ ჯერჯერობით მტრულად ვართ მასთან. რისი იმედი გვაქვს?

როცა უკეთური ფარაონი ხედავდა სასჯელს, რომელიც მისი გულსასტიკობის გამო იყო მასზე დაშვებული _ სეტყვას, კალიას, წყლის სისხლად გადაქცევას, შავ ჭირს, _ კითხულობდა, *«რად არს ეგე?»* გრძნეულები პასუხობდნენ, რომ ეს ხელია ღვთისა, რომელიც ეგვიპტელთა ცოდვას სჯის *«თითი ღმრთისად არს ეგე»* (გამ. 8, 19). თუკი თქვენც იკითხავთ: *«რად არს ეგე?»*, ეს რა სეტყვაა ჩვენს ნათესებს რომ ანადგურებს, ეს რა კალიაა, ჩვენს ვენახებს რომ შესევია, ეს რა წყალდიდობაა, ან უწვიმობა, ან ქარები, ჩვენს ნარგავებს რომ ანადგურებენ, _ მე გიპასუხებთ: *«თითი ღმრთისად არს ეგე»*. ეს რა სიძვირეა, ქვეყნებს რომ აღატაკებს, რა სიმძიმეა, სახლებს რომ ანგრევს, ეს რა უბედურებაა, მოულოდნელად თავს რომ დაგვატყდა; ეს ყველაფერი *«თითი ღმრთისად არს»*. რა არის ავადმყოფობა, შიმშილი, ომი, შავი ჭირი? ეს *«თითი ღმრთისად არს»*, რომელიც ქრისტიანებს სჯის. *«მრავალგუემა არიან ცოდვილთათჳს»* (ფს. 31, 10): ცეცხლი, სეტყვა, შიმშილი და სიკვდილი. ეს ყველაფერი იარაღია ღვთის ხელში, რათა ქრისტიანთა ცოდვები დასაჯოს.

ამგვარად, თუკი გვინდა, რომ უბედურებები შეწყდეს, ბოროტების მიზეზი _ ცოდვები მოვიშოროთ. ცოდვების მონანიება ღმერთს მშვიდობიანს ჰყოფს; ის მტრიდან მეგობრად იქცევა, მსაჯულიდან _ კაცთმოყვარე მამად. ჭეშმარიტი და სრული აღსარება არა მხოლოდ ბაგით, გულითაც ნათქვამი, ცრუ შიშისა და მიზეზთა ძებნის გარეშე, მათი მიტოვების მტკიცე გადაწყვეტილებით, აქ ღვთის მადლისა და სიყვარულის ღირსად გვხდის, იქ კი ღირსად ცათა სასუფევლისა...

სიტყვა მარხვის მეხუთე კვირას

სამოთხის შესახებ

«ხოლო დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით
არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა განმზადებულ არს»
(მრკ. 10, 40)

ადამიანები ყოველთვის არ მისდევენ სიმართლეს: ისინი ხშირად იმათ მიაგებენ პატივს, ვისთანაც მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებთ. ღმერთი კი თავისი არსებით ყოვლად სამართლიანია _ პატივით იმათ აჯილდოებს, ვისშიც საჭირო ღირსებებს პოულობს. ადამიანებს პატივში მეგობრები და თვისტომნი ჰყავთ, ღმერთს კი _ მხოლოდ ღირსეულნი. აი რაშია ნუგეში სათნო ადამიანებისათვის, როცა მათ ამცირებენ და როცა სძულთ ისინი. ეს ხალხი კეთილი ცხოვრებისათვის ჯილდოს ღმერთისაგან მოელის. ამის შესახებ ნათლად გვეუბნება იესო ქრისტე დღევანდელ წმიდა სახარებაში. ის ჯვარზე საცმელად ადის იერუსალიმში, იაკობი და იოანე _ ძენი ზებედესნი კი ფიქრობენ, რომ იქ გასამეფებლად მიდის და ისინი, პატივმოყვარებით ძლეულნი, მასთან თხოვნით ჯერ თავიანთ დედას გზავნიან, შემდეგ თავად მიეახლებიან და ეუბნებიან: როცა ისრაელის

მეფე იქნები, გვინდა, რომ ერთი ჩვენგანი მარჯვენით, მეორე კი მარცხენით დაისვა, რათა მონაწილე ვიყოთ შენი მეფობისა: *«მომეც ჩუენ, რაჲთა ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ დიდებასა შენსა»* (მრკ. 10, 37). ვინ არიან იაკობი და იოანე? ისინი მეგობრები, თვისტომნი არიან ქრისტესი და რას პასუხობს მათ ქრისტე? _ *«არა იცით, რასა ითხოვთ»* (მრკ. 10, 38), მე, სამართლიანი მსაჯული, პატივს არ მივაგებ ჩემი შემთხვევითი აზრით, პატივით არ ვაჯილდოებ მეგობრებსა და ნათესავებს, არამედ _ მხოლოდ ღირსეულებს. ჩემს სასუფეველში ჯილდოს ის მიიღებს, ვინც იღვაწებს, ევნება; ის განიდიდება, ვინც ღირსეული აღმოჩნდება და გვირგვინსაც ის მიიღებს: *«ხოლო დაჯდომა მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა განმზადებულ არს»*. ვინ არ ინდომებს, ვინ არ ისურვებს ღვაწლს ქრისტეს სასუფევლის მოსაპოვებლად, იმის მოსაპოვებლად, რასაც ფასი არა აქვს, რადგან შეუფასებელია, რომელსაც არა აქვს დასასრული, რადგან მარადიულია? რამდენ შრომასა და ძალას ვხარჯავთ მცირედი ამქვეყნიური ბედნიერებისათვის, რაც ასე ძნელი მოსაპოვებელია, მაგრამ სულ იოლად დასაკარგი! როგორი უზრუნველობა, როგორი დაუდევრობაა ქრისტეს სასუფევლის მიმართ, რომლის მოსაპოვებლადაც მხოლოდ სურვილი კმარა! და ამასთან, თუ ერთხელ მოვიპოვებთ, აღარასოდეს დავკარგავთ. ქრისტეს სასუფეველი ამქვეყნიური სამეფო არ არის, არამედ სასუფეველია ცათა, ღვთიური ნეტარება, უსასრულო დიდება, უკვდავი ცხოვრება, ერთი სიტყვით _ სამოთხე! რა წუთშიც მას ვახსენებ, მაშინვე იხარებს სამშვინველი ჩემი, გავიფიქრებ მასზე თუ არა, ილხენს სული ჩემი. სამოთხე! კურთხეული სამშობლო პირველ მამათა ჩემთა, სასურველი ნავსაყუდელი სასოებისა ჩემისა, ჩემი ოცნების ერთადერთი მიზანი, ჩემი სიყვარულის ერთადერთი საგანი, ჩემი რწმენის უკანასკნელი ჯილდო! კურთხეულო ქრისტიანენო, სწორედ სამოთხის შესახებ ვისაუბრებთ დღეს. არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ ეს საგანი ყველა საგანზე და გონებაზე აღმატებულია, რამეთუ არც ადამიანს და არც ანგელოზს არ ძალუძთ გვითხრან, თუ როგორია სამოთხე სინამდვილეში. ამიტომ გპირდებით, გამოგიკვლიოთ, რა არის სამოთხე. მის შესახებ მცირედის თქმაც საკმარისი იქნება და რადგანაც სამოთხის სრულყოფილი სურათის დახატვა არ შემიძლია, მას მხოლოდ მოვხაზავ და თან ერთი წმიდა მასწავლებლის სიტყვებს გავიმეორებ: «ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს».

I

შეგიძლიათ თუ არა მიპასუხოთ, რატომ ტირის ჩვილი, როცა ის დაბადებისას დედის მუცლიდან გამოდის? ერთნი ამას ასე ხსნიან, მეორენი _ ისე. მაგრამ ყველაზე ბუნებრივი ახსნა ის არის, რომ ის დედის მუცლიდან გამოდის: იქ, მუცელში, მას ჰგონია, რომ ის მისი სამყაროა, მისი ცხოვრება და სიმშვიდეა, ჩვილს სრულყოფილი გონება რომ ჰქონოდა, კითხვას _ სურს თუ არა დედის მუცლიდან გამოსვლა, უპასუხებდა, რომ სამუდამოდ უნდა იქ დარჩენა იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ის გვინდა და გვიყვარს, რასაც ვხედავთ და რაც გვაქვს. როცა ბავშვი იბადება, ჰგონია, რომ სიმშვიდეს ტოვებს, რომ ცხოვრებას, თავის სამყაროს კარგავს. სწორედ ამიტომ ღვრის ცრემლებს, მოთქვამს და წუხს. როცა ვკვდებით, ჩვენც ამავე მიზეზით ვწუხვართ, გვეჩვენება, რომ არ არის სხვა სამყარო, გარდა ამისა, არ არის სხვა ცხოვრება, გარდა ამჟამინდელისა, არც სხვა სიმშვიდეა, გარდა ამ სიმშვიდისა. რომ შეგვეძლოს, სამუდამოდ აქ დავრჩებოდით და არასოდეს გავიდოდით აქედან. მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ ის გვინდა, რასაც ვხედავთ, ხოლო როცა ვკვდებით, გვეჩვენება, რომ

ყველაფერს ვკარგავთ, ვიტანჯებით, ვტირით და ცრემლებს ვღვრით. ჩვენ ამ დროს ვიქცევით არა როგორც გონიერი და ჭკვიანი ადამიანები, არამედ როგორც სულელი და უგუნური ჩვილები. რა სხვაობაა დედის მუცელსა და ამ სამყაროს შორის? იმ წყვდიადსა და ამ სინათლეს შორის? იმ ვიწრო საპყრობილესა და ამ სივრცეს შორის? _ რა სხვაობაცაა მუცელში ცხრათვიან ცხოვრებასა და ამქვეყნიურ ცხოვრებას შორის, რომელშიც მრავალი წელი გავატარეთ, ასეთივე და შეუდარებლად მეტი სხვაობაა ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს, ეგვიპტის დაბლობის წყვდიადსა და ზეციური იერუსალიმის ნათელს შორის, აქაურ მწუხარე საპყრობილესა და დიდების უბრწყინვალეს პალატს შორის; ერთი სიტყვით, ამ უბედურ, ორმოცდაათ ან სამოცწლიან სიცოცხლესა და იმ ყოვლადნეტარ ცხოვრებას შორის, როგორიც სამოთხეში გვექნება საუკუნოდ. აქედან ოდნავ თუა გასაგები, რა არის სამოთხე? არა, გაუგებარია. ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს.

მაშ, ვის ვკითხოთ, ვინ გვეტყვის, რა არის სამოთხე? ვკითხოთ ორ ადამიანს, რომლებმაც ის საკუთარი თვალით იხილეს _ იოანე ღვთისმეტყველსა და პავლე მოციქულს. ანგელოზთა მიერ მაღალ მთაზე აღყვანილმა იოანემ ნახა წმიდა ქალაქი _ ზეციური იერუსალიმი. ეს ქალაქი ოთხკუთხა, დიდი და მაღალია; თორმეტი საყრდენი აქვს და თითოეული მათგანი ძვირფასი ქვაა. თორმეტი კარიბჭე აქვს, თითოეული მთლიანი მარგალიტია; იქ არ არის ქმნილი ტაძარი, რამეთუ იქ უქმნელი ტაძარია; იქ თვით ყოვლისმპყრობელი ღმერთია, რომელსაც ცა და მიწა თაყვანს სცემს; იქ არც მზეა და არც მთვარე, რადგან დღითა და ღამით მანათობელი და დაუვალი, დაუღამებელი ნათელია ღვთაებრივი დიდებისა: *«და წარმიყვანა მე სულითა მთასა მაღალსა და დიდსა და მიჩუენა მე ქალაქი წმიდაჲ იერუსალემი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისგან»* (გამოც. 21, 10), მაგრამ ეს ქალაქი მხოლოდ ასახვაა სამოთხისა, მისთვის რომ შეგვეხედა, ირწმუნებდნენ ჩვენი თვალები, მაგრამ გონება ჩვენი ვერ შესწვდებოდა. პავლე მესამე ცამდე იქნა ატაცებული. სამოთხეში მან რაღაც იხილა, რაღაც ისმინა, მაგრამ რა? მე ისეთი რამ ვიხილე, _ ამბობს იგი, _ რაც ჩვენს თვალებს აქამდე არასდროს უხილავთ, ის ვისმინე, რაც ჩვენს ყურებს არასდროს სმენიათ, რაც ჩვენს გულს არასდროს სურვებია: *«რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუჴდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა»* (1 კორ. 2, 9); ისეთი რამ ვისმინე, რის განმარტებაც ადამიანს არ შეუძლია: *«რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად»* (2 კორ. 12, 4). ორმა ადამიანმა თვალნათლივ იხილა სამოთხე: ღვთისმეტყველების არწივმა _ იოანე მახარებელმა და რჩეულმა ჭურჭელმა _ პავლემ. და მაინც ბუნდოვნად და იდუმალად ლაპარაკობენ ამაზე. შესაძლოა კი მათი სიტყვებიდან მივხვდეთ, რა არის სამოთხე? _ არა. ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს.

ვკითხოთ თვით იესო ქრისტეს. წმიდა სახარებაში იგი ამბობს, რომ სამოთხე კეთილი თესლია, რომ ის სანუკვარი განძია, წიაღია აბრაამისა. მაგრამ ამ შედარებებით არის შესაძლებელი მივხვდეთ, რა არის სამოთხე? არა. ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს.

იესო ქრისტევ! განხორციელებულო სიბრძნევ ღვთისა! უფრო ნათლად გვითხარ _ რა არის სამოთხე? ორ რამეს გიცხადებთ, _ ამბობს ის, _ ეს საუკუნო ცხოვრება და უსასრულო სიხარულია: *«უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან»* (ინ. 16, 22).

საუკუნო ცხოვრება. ქრისტიანო, წარმოიდგინე ამქვეყნიური ბედნიერება _ დიდი ან პატარა, სრული ან ნაწილობრივი. მაგალითად: მთელი მსოფლიოს მეფე, მონარქი რომ იყო, მბრძანებელი ყველა ოლქისა და მტერი არ გყავდეს, არ იავადმყოფო, იხარო, სევდა არ განიცადო, იყო მშვენიერი, მდიდარი, სახელოვანი. სწორედ ესაა ყველაზე დიდი და შესაძლო ბედნიერება დედამიწაზე. მაგრამ ეს ყოველივე ბედნიერება არ არის, რადგან, რამდენი წელიც უნდა იცხოვრო, ოდესმე მოკვდები და ყოველ წუთს სიკვდილისა უნდა გეშინოდეს. ეს შიში უბედურს გხდის. თვით ბედნიერებაშიც არ გექნება ამქვეყნიური ყველა სიკეთე _ რაიმეს მცირე ნამატი ან სიუხვე. მაგრამ წარმოიდგინე, რომ არასდროს მოკვდები. მაშინაც კი, როცა სიკვდილის შიში აღარ ამწუხრებს შენს გულს, ეს მცირედი ბედნიერებაც ვერ დააოკებს შენს სურვილებს: სულ რაღაც გაკლია და მისკენ ისწრაფვი, ბედნიერი ხარ, მაგრამ უფრო დიდი ბედნიერება გინდა. ეს ზედმეტი ბედნიერება უბედურს გხდის მაშინაც კი, როცა უკვდავი ხარ. თუ მოკვდავი ხარ, ყველაზე დიდი ბედნიერებითაც უბედური ხარ, თუ უკვდავი _ მცირედი ბედნიერებით ხარ უბედური. ხოლო ყველანაირი ბედნიერება რომ გქონოდა, როგორსაც შენი გული ისურვებდა და არც სიკვდილისა გშინებოდა, რა ცხოვრება იქნებოდა ეს? ბედნიერება გქონდა, სიმდიდრე და მათი დაკარგვისა არ გშინებოდა, ჯანმრთელი ყოფილიყავი და ავადობის შიში არ გქონოდა, არ შეეწუხებინე შურს, ვნებას არ დაემწუხრებინე, ვერ მოეტაცებინე სიკვდილს. მარად ნეტარი ყოფილიყავი, გეცხოვრა საუკუნოდ, ანუ ამქვეყნიური ყველა სიკეთე გქონოდა და ამასთანავე უკვდავება, რა ცხოვრება იქნებოდა! სამოთხის ცხოვრებაც ასეთივეა _ დაუსრულებელი სიხარული, სრულყოფილი სიხარული, *ყოველივე ერთად* თავმოყრილი. «რამდენადაც უკიდეგანო და ძლიერია სიხარული მთელ მარადისობაში, ამდენადვეა ის ერთიანი თითოეულ გაელვებაში ყოველგვარი ცვლილების გარეშე». ტკბები მთელი ნეტარებით მთელ მარადისობაში და იმავ ნეტარებით ტკბები მარადისობის ყოველ გაელვებაში; როგორი ნეტარიც ხარ მარადიულ ცხოვრებაში, ასეთივე ნეტარი ხარ იმავე მარადიული ცხოვრების ყოველ წუთს. რა სახის ბედნიერებაა ეს? ზღვა მლაშეა. წარმოიდგინე, რომ ციდან წყლის ერთი წვეთი ვარდება და ზღვას ატკბობს. შეგიძლია გაიაზრო, რაოდენ ტკბილია ეს წვეთი; მწარეა ჯოჯოხეთი, მაგრამ მასში სამოთხისეული სიხარულის ერთი წვეთიც რომ ჩავარდნილიყო, მთელ სიმწარეს განაქარვებდა, ცეცხლს ჩააქრობდა, ცრემლებს შეაშრობდა და ჯოჯოხეთი სამოთხედ გადაიქცეოდა. შენ შეგიძლია ჩასწვდე, თუ როგორია ეს სამოთხისეული სიხარული!

რომაელები ომობდნენ და იმარჯვებდნენ. გამარჯვებული მეომრები თავიანთ ქალაქში ბრუნდებოდნენ. ქალაქის კარიბჭესთან მოკეთეები _ მამები, დედები, ძმები მოდიოდნენ, რათა ენახათ, ვინ გადარჩა ცოცხალი და ვინ დაიღუპა. მათ შორის ერთი ქვრივი იყო, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა ომში გაგზავნილი. იდგა ქვრივი და სხვებთან ერთად თავის შვილს ელოდა. ხან შემომსვლელთ ეკითხებოდა მის შესახებ, ხან კი თვითონ ცდილობდა შორიდან გაერჩია ის. «სად ხარ შვილო, _ ამბობდა იგი, _ ქალაქში რატომ არ შემოდიხარ? რატომ არ ჩანხარ? სად შეყოვნდი?» და როცა მიხვდა, რომ შვილს ვეღარ იხილავდა, რადგან შეიტყო, რომ ბრძოლაში დაიღუპა, ხმამაღალი, უნუგეშო მოთქმა და მკერდში ხელის ცემა დაიწყო. უცებ ვაჟს ცოცხალს ხედავს, მისკენ გამორბის, ეხვევა და ჰკოცნის. საბრალომ ისე გაიხარა, რომ ზედმეტი სიხარულისგან სული განუტევა, იქ, სადაც ცოტა ხნის წინ დედა დასტიროდა შვილს, ახლა შვილი დასტირის დედას. შეგიძლია კი წარმოიდგინო, როგორი იყო დედის სიხარული? ერთი დღე, ერთი წელი, მთელი ცხოვრება

რომ გაგრძელებულიყო, როგორი იქნებოდა ის? იმ სიხარულთან შედარებით, როგორიც ცოცხალი შვილის დამნახავმა დედამ ერთი წუთით განიცადა, სამოთხისეული სიხარული განუზომლად დიდია, ის არა ერთ დღეს, ერთ წელს, არამედ მთელ უსასრულო მარადისობაში გრძელდება, ანუ _ ყოვლად სრულყოფილია, *სრულიად ერთიანია.* შესაძლებელია კი წარმოდგენა, როგორი სიხარულია ეს? უფრო მეტიც _ სიხარული, რომელსაც ვერაფერი წაგართმევს: ვერც მტრების შური, რადგან იქ სამყარო უშფოთველია, ვერც ბედუკუღმართობა, რადგან ირგვლივ უწყვეტი ნეტარებაა, ვერც სნეულება, რადგან უცვლელი ჯანმრთელობაა, ვერც სიკვდილი, რადგან ცხოვრებაა დაუსრულებელი. *«უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან».*

სამოთხე უკვდავი ცხოვრებაა: იქ ღვთიური ცხოვრებით იცხოვრებ, ღმერთთან ერთობაში ჰგიებ; ღვთიური ყოფის ზიარი იქნები, ღმერთივით საუკუნოდ იცხოვრებ. სამოთხე დაუსრულებელი სიხარულია, რამეთუ იქ ღვთიური სიხარულით იხარებ, ღვთიური მეფობით იმეფებ, ღვთიური დიდებით განიდიდები. ერთი სიტყვით _ ღვთის ჭვრეტით თვითონ შეიქნები ვითარცა ღმერთი.

იგი ღმერთია ბუნებითი, შენ მადლით ხარ ღმერთი; როგორც გავარვარებულ რკინაში ცეცხლი და რკინა არ განიყოფა ერთურთისაგან, არამედ ერთი მთლიანია, სამოთხეშიც ასევეა: არც ღმერთი განეყოფა ნეტარს და არც ნეტარი, ღმერთს. ნეტარებაში ორივენი ერთიანს შეადგენენ, ორთავეს საუკუნო ცხოვრება აქვს, უსასრულოა ორთავეს სიხარული: *«მსგავს მისა ვიყვნეთ, რემეთუ ვიხილოთ იგი, ვითარცა იგი არს»* (1 ინ. 3, 2). აქ მას ვერ ვხედავთ, მხოლოდ გვწამს და ამ რწმენაშია მთელი ნეტარება ეკლესიისა _ ვერ ხედავდე და გწამდეს: *«ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე»* (ინ. 20, 29).

იქ მას ვიხილავთ ისეთს, როგორიც არის და რწმენას აღარ ექნება ადგილი. სწორედ ამაშია სამოთხისეული ნეტარება: კი არ გწამდეს, არამედ ხედავდე. *«მსგავს მისა ვიყვნეთ, რამეთუ ვიხილეთ იგი, ვითარცა იგი არს».* იქ აღარ არის რწმენა, _ ამბობს მოციქული, _ რადგან იქ ხედვაა, საბურველი აიხადა, ბრწყინავს სინათლე; იქ არ არის სასოება, რადგან უკვე არის ნეტარება; შეწყდა მომავალი, იხილვის აწმყო; იქ მხოლოდ სიყვარულია, ვინაიდან ის უმაღლესი მადლი გვიყვარს, რომელსაც ვხედავთ. ჩვენი გონება ხედვით აღივსება, გული კი ნეტარებით. *«განვძღე გამოჩინებასა დიდებისა შენისასა»* (ფს. 16, 15).

ყოველივე თქმულიდან თუ მიხვდით, რა არის სამოთხე? მჯერა, რომ ვერა, რადგან, რამდენიც უნდა ილაპარაკოს ადამიანმა ამ საგანზე, სათქმელს ვერ იტყვის. გრიგოლ ნოსელიც ამასვე ამტკიცებს: ღირსეულად ვერაფერს იტყვი ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს.

სოლომონის დიდება მთელ სამყაროს მოეფინა. ეთიოპიის დედოფალს საოცარი ამბები ესმა ამ მეფეზე. ბევრი ისეთი რამ გაიგო, რისიც ძლივს სჯეროდა. მან ყველაფერში დარწმუნება თავად ისურვა, საპატიო მცველებით დაიძრა და იუდეაში ჩავიდა. როცა იერუსალიმს მიაღწია, მთელი დიდებულება დაინახა; როცა სამეფო პალატებში შევიდა, აუარებელი განძი ნახა, როცა მეფე სოლომონის წინაშე წარდგა, მისი სიდიადე იხილა და უდიდესი სიბრძნე ისმინა, უთხრა: «ჰოი, მეფეო! შენს სიდიადეზე საკვირველებანი მსმენია, მაგრამ არავისი მჯეროდა, ვიდრე არ მოვედი და ყოველივე ჩემი თვალით არ ვნახე. ახლა კი ვხედავ, მჯერა, მიკვირს და ვოცდები, გიცხადებ, რომ რამდენსაც ვხედავ, იმდენი არ მსმენია, ვხედავ უთვალავ საგანს, რომელთა შესახებაც არაფერი უთქვამთ მაშინ, როცა შენს შესახებ მითხრობდნენ» (3 მეფ. 10, 7).

ქრისტიანენო! ბევრი ვისაუბრეთ სამოთხეზე, ბევრს საუბრობდნენ მასზე წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მასწავლებელნი და თვით ქრისტე: ყველაფერი დიდებული, ამაღლებული და საუცხოოა, *«დიდებული ითქუა შენთვის, ქალაქო ღმრთისაო»* (ფს. 86, 3). ჩვენ ის კი არა, რომ არ გვჯერა ამისა, არამედ ყველაფერი არ გვესმის: ჩვენი გონება შეზღუდულია, არ შეუძლია ამის დატევა, ის მეტისმეტად მძიმეა და ასაფრენად ძალა არ შესწევს. როდისღა გავხდებით ღირსნი ზეციური იერუსალიმის უქმნელი სილამაზის საკუთარი თვალით ხილვისა, როდის ვიხილავთ დაუღამებელ ნათელს, რომელიც საუკუნო ნეტარების დაუსრულებელ დღეს ასხივოსნებს, როდის ვიხილავთ ანგელოზთა დასებს, წმიდანთა სახეებს, მოწამეებს, ღირსთა, მართალთა, რომლებიც ზეციურ სავანეთა ნეტარი მცხოვრებნი არიან, როდის ვიხილავთ ანგელოზთა დედოფალს _ ღვთისმშობელ მარიამს, დაბრძანებულს მარჯვენით ღვთისა და ბოლოს თვით სამბრწყინვალე ღვთაებას _ თვით ღმერთს. გულისყური მივაპყროთ ბუნებას მისი არსებისას, რომელსაც არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული, მისი სამი იპოსტასი განვჭვრიტოთ _ მამა, ძე და სულიწმიდა, რომლებიც სამია, თუმცა ერთია ღმერთი. როცა მის ყოვლადძლიერებას, სიბრძნეს, მადლს მისას, დიდებასა და სიდიადეს გავიაზრებთ, მაშინ მივხვდებით, რა არის სამოთხე! მაშინ ვეტყვით მას: ღმერთო ჩემო! ბევრი მსმენია სამოთხეზე, მაგრამ მოსმენილი იმის ნახევარიც არ არის, რასაც ვხედავ. მრავალი რამ მესმა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, ახლა კი, ყოვლის მხილველს, მესმის. ვხედავ და სიხარულით აღვივსე, ვნეტარებ და განვიდიდები. ასეთია სამოთხისეული დიდება. მე კი რარიგად მიყვარდა დიდება მიწიერი? განა სულელი არ ვიყავი, რომ ათასობით სოფელი არ მოვიძულე ერთი სამოთხის მოსაპოვებლად? ასეთია ცხოვრება საუკუნო! მე კი ისე ძლიერ მიყვარდა რაღაც დროებითი ცხოვრება; განა სულელი არ ვიყავი, რომ არ გავწირე ის ათასობით ცხოვრება, რათა მემკვიდრეობად ეს ცხოვრება მიმეღო? განა სულელი არ ვიყავი, როცა ასეთი სამოთხის და ასეთი ცხოვრების დაკარგვის საფრთხის წინ ვიდექი მხოლოდ იმისათვის, რომ ბილწ მეძავთან თავი შემექცია, ხარბი ვერცხლისმოყვარება დამეცხრო. ჩემი საძაგელი და ბინძური მიდრეკილებანი დამეკმაყოფილებინა. მაგრამ ვმადლობ შენს მოწყალებას, ღმერთო ჩემო, რომ ხსნილი ვარ ამდენი უბედურებისაგან და ახლა ვიმყოფები სამოთხეში, სადაც უკვდავი ცხოვრებით ვცხოვრობ და უსასრულო სიხარულით ვხარობ... და ასე თქმას იმიტომ შევძლებთ, რომ მივხვდებით, და იმიტომ მივხვდებით, რომ ვიხილავთ. აქ კი, სადაც ვერ ვხედავთ და ამიტომაც არ გვესმის, შეგვიძლია ვთქვათ: ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს. განა ეს შესაძლებელია? დიახ, ადრეც გითხარით, რომ ჩვენი ხსნა ჩვენს ხელთაა. ახლა კიდევ ერთხელ გეტყვით, თქვენ კი მისმინეთ: შექმნა უფალმა სამოთხე მართალთათვის, ჯოჯოხეთი კი ცოდვილთათვის. ორივე ჩაკეტა, თუმცა ჯოჯოხეთის გასაღები თავისთან დაიტოვა, როგორც ნათქვამია იოანეს გამოცხადებაში _ *«და მქონან კლიტენი სიკუდილისა და ჯოჯოხეთისანი»* (გამოც. 1, 18). სამოთხის «კლიტენი სასუფეველისა ცათაისანი» პეტრეს სახით მოციქულთ უბოძა.

მაშ ასე, ჯოჯოხეთის გასაღები ღვთის ხელშია, სამოთხისა კი ადამიანის ხელთაა. ჰოი, კაცთმოყვარე სახლთმშენებლობავ უფლისა ჩვენისა! ადამიანმა ჯოჯოხეთში ტანჯვა კიდეც რომ ისურვოს, გასაღები არა აქვს, საკმარისია მოინდომოს სამოთხეში ხსნა და გასაღები მის ხელთაა. ანუ თვით ღმერთს სურს, რომ ადამიანისათვის ძნელი მისაღწევი იყოს საუკუნო სატანჯველი და ამიტომ ჯოჯოხეთის გასაღებს არ აძლევს. მას უნდა, რომ ადამიანებს

იოლად ხსნა შეეძლოთ. ამიტომ ჩააბარა მათ სამოთხის კლიტენი _ კლიტენი ცათა სასუფევლისა. ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს. ყურადღება მიაქციეთ, ის ამბობს: მოგცეთ გასაღებნი. განა არ შეეძლო ეთქვა _ «გასაღები», განა სამოთხე არ გაიღება ერთი გასაღებით? ის შეიძლება ჩვეულებრივი რკინისა, ოქროსი და ხისაც კი იყოს. ასეთივეა სამოთხის გასაღებიც. ამიტომ ამბობს «გასაღებნი» და არა «გასაღები». ხის გასაღები უპოვართა გასაღებია, სამოთხის გაღება და ცხონება მას თავისი სიღატაკით შეუძლია; ოქროს გასაღები მდიდრის გასაღებია, მას სიმდიდრით შეუძლია ის გააღოს და ცხონდეს; რკინის გასაღები კი საშუალო ადამიანის გასაღებია, რომელიც არც მდიდარია, არც ღარიბი, მასაც შეუძლია სამოთხის კარი გააღოს და ცხონდეს. ასე რომ, ცხონება თითოეულ ადამიანს შეუძლია.

ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს.

II

სამოთხისაკენ, რომლის შესახებაც აქამდე გესაუბრებოდით, ორი გზაა: ერთი _ ვიწრო და მწუხარებით აღსავსე, რაზედაც ლაპარაკობს ქრისტე: *«ვითარ-იგი იწრო არს გჯე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა»* (მთ. 7, 14). მრავალმა ამ გზით მავალმა მეუდაბნოემ დაუტევა ქვეყანა, ყოველივე ქვეყნიური და ის შიშველმა განვლო, მრავალმა წმიდა მოწამემ ეს გზა არა ოფლით, არამედ სისხლით მოირწყა. ხოლო მათთვის, ვინც თავაწეული დადის, თუ რა თქმა უნდა, თავი არ დახარა, აქ ადგილი არ არის, რამეთუ ვიწროა ეს გზა. მოყირჭებულნი და ნაპატივებნი თუ არ დაძაბუნდებიან და ჯანს არ განილევენ, აქ ვერ მოხვდებიან, რადგან ვიწროა გზა; ვისაც სამოსი მრავლად ჰქონდა და სხვა დაბრკოლებაც, აქ ვერ გაივლის, თუ არ დამსუბუქდება, რამეთუ ვიწროა გზა. ქალებს კი რამდენი რამის დათმობა მოუწევთ, თუკი ამ გზით სიარულს მოინდომებენ. ვიწრო და მწუხარეა ეს გზა, ნარით და ეკლით სავსე. ოფლის ღვრა, ღვაწლია საჭირო, მოშურნე უნდა იყო, მრავალი მწუხარება დაითმინო იმისათვის, რომ ამ გზით სამოთხეში შეხვიდე, *«მრავ-ლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა»* (საქ. 14, 22). ვისაც ფაქიზი სხეული აქვს, ვისაც სათუთ ადგილებში სურს სიარული, ვისაც სუსტი კუჭი აქვს და თავშეკავების შესახებ არც ერთი სიტყვის გადამუშავება არ შეუძლია, ვისაც სიმშვიდე და განცხრომა ნებავს, ამ გზით ვერ ივლის. ეს ვიწრო და მწუხარე გზაა. ვის უნდა სამოთხის მიღწევა? _ ყველას, თუმცა გზა რომ ვიწრო და მწუხარეა, ყველამ იცის.

არის კიდევ ერთი გზა, ფართო და გაშლილი, რომელზეც ეტლი გაივლის. ამ გზით, ჩემის აზრით, მხოლოდ წინასწარმეტყველი ელია აღვიდა ცეცხლოვანი ეტლითა და ცეცხლოვანი ცხენებით (4 მეფეთა 2, 11). მაგრამ წყალობა თვისი ჩამოაგდო და ისე აღვიდა. ქრისტიანო! გინდა ელიასავით ფართო გზით მიაღწიო სამოთხეს? ცეცხლოვანი ეტლი გამოიყენე, ანუ მხურვალე სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი. *«ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაჲსწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან»* (მთ. 22, 40). ის (სიყვარული) ყოველთა სათნოებათა საფუძველია და მხოლოდ მისი მეშვეობით ვცხონდებით ყველანი. ელიამ, იმისათვის, რომ ზეცად ასულიყო, სამოსი გაიძრო. ეს კი ნიშნავს, რომ სამოთხეში საკუთარი სამოსითაც ვერ შევალთ, სხვისი სამოსით კი არის შესაძლებელი? მაგრამ რით იყო მოსილი ელია? ხალენით _ ცხვრის ტყავით. მან სწორედ ის გადმოაგდო. ეს ნიშნავს, რომ შენ სხვის ცხვრებს რომ გლეჯ, სხვისი ტყავებით ვერ შეხვალ სამოთხეში. თავიდან ამოიგდე: სხვის სამოსში, სხვის ტყავში შენთვის დახშულია სამოთხის კარი. ჰოი,

სამოთხეო! განა შეიძლება, რომ ჩვენ, ადამიანები, ქრისტიანები თანახმანი ვიყოთ ასეთი არარაობის გამო უდიდესი მადლის დაკარგვაზე? შეიძლება გავცვალოთ სამოთხე ერთი საათის განცხრომაზე? *ჰოი, სამოთხეო! ჩვენ შეგვიძლია მოგიპოვოთ, მაგრამ გონებით წვდომა შენი არ ძალგვიძს!*

სიტყვა მარხვის პირველ კვირას

სარწმუნოებაზე

«რაბი, შენ ხარ ძე ღმრთისაჲ,
შენ ხარ მეუფე ისრაელისაჲ»
(ინ. 1, 49)

კვლავ დღესასწაულობს ქრისტეს ეკლესია ჩვენი წმინდა სარწმუნოების მტრებზე გამარჯვებას, კვლავ ემხობა ერესი და ზეიმობს მართლმადიდებლობა. რაოდენ დიდი უნდა იყოს ქრისტიანებში იმ ღმერთშემოსილ მამათა ხსენებით გამოწვეული სულიერი სიხარული, რომლებმაც კეთილმსახური მოშურნეობით ამდენ მსოფლიო და ადგილობრივ კრებაზე კეთილმსახურება დაამტკიცეს! როგორ დამწუხრდებოდნენ სწორედ ეს ღმერთშემოსილი მამები, რომ ეხილათ, როგორ ითელება მართლმადიდებელთა შორის ის კეთილმსახურება, ასეთი მოშურნეობით რომ იცავდნენ ისინი ერეტიკოსთაგან!

ქრისტეს მოციქულნო, ეკლესიის მამანო, სულიწმიდის ღვთივსულიერო ბაგენო, ოჰ, ნეტავ შეგეძლოთ ამქვეყნად დაბრუნება, რომ კვლავ იქადაგოთ სარწმუნოება მორწმუნეთათვის. კვლავ ასწავლოთ მართლმადიდებლობა მართლმადიდებლებს, სარწმუნოების მტრებთან კი აღარ იბრძოლოთ, არამედ მორწმუნე სამწყმსო კვლავ აახმიანოთ, რამეთუ ერეტიკოსები თავიანთი ღვთისგმობითა და უწმინდურობით ქრისტეს რწმენას თავს აღარ ესხმიან, მას თვით ქრისტიანები უარყოფენ უმეცრებითა თუ ბოროტებით. სარწმუნოებავ უწმინდესო, ქრისტეს სარწმუნოებავ, წარმართული ცდომილების ღრუბლებში ერთხელ მზესავით გაბრწყინებულო, ვარდო, ერესის გაუვალ ეკალ-ბარდებში აყვავებულო, წარმართული დევნის ქარიშხალში მოზეიმევ და დაუმარცხებელო, როგორ დაჩრდილულხარ, დამჭკნარხარ, გათელილხარ ქრისტიანულ საზოგადოებებში. არა და... სწორედ რომ აქ უნდა გეზეიმა, გეყვავილა და გებრწყინა! რაბი, ღვთაებრივო მასწავლებელო, ჩამოსულო ზეციდან, რომელმაც ეს სარწმუნოება გვასწავლე! უზაკველ ისრაელიტელ ნათანაილთან ერთად ვაღიარებთ და გვწამს, რომ *«შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფე ისრაელისაჲ»,* მაგრამ ჩვენ არ გვესმის, რას ვაღიარებთ, ჩვენ რწმენით არ ვცხოვრობთ. ჩვენ გვაქვს შენი წმიდა სარწმუნოება, რომელიც ღვთაებრივი ნათლობით მივიღეთ, მაგრამ მის ჭვრეტაში უსინათლონი ვართ, ხოლო მის საქმეებში _ მკვდარნი.

და დღეს მართლმადიდებლობის მოზეიმენი, მხოლოდ მის სახელს ვატარებთ. ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა. სწორედ ეს შთამაგონებს, საყვარელნო, ვისაუბრო იმ სარწმუნოებაზე, რომელიც ჩვენ, ქრისტიანებს, ამჟამად გვაქვს. მინდა გიჩვენოთ, რომ ასეთი რწმენა მეტად არასრულია, რამეთუ მწირია როგორც ჭვრეტაში, ასევე სარწმუნოებრივ საქმეებში. ის მწირია შეგნებაში, რადგან არ ვიცით, რას ვაღიარებთ და მწირია საქმეებში, რადგან სარწმუნოებით არ ვცხოვრობთ. დაე, მხოლოდშობილმა ძემ და სიტყვამ ღვთისა,

სიბრძნემ და ძალმა იესო ქრისტემ, საწყისმა და მასწავლებელმა ჩვენი რწმენისა, წარსულის დარი მოშურნეობა მომადლოს ჩემს გულს, სინათლე ჩემს გონებას, სიტყვის ძალა ჩემს ენას, რათა აღვასრულოთ საქმე კეთილმაუწყებლისა, დაე, მისმა ღვთაებრივმა მადლმა, ოდესღაც წმიდა მოციქულთა ბაგით ურწმუნოთა მართლმადიდებლობისაკენ მომაქცეველმა და ბიწიერთა წმიდანობასთან მიმყვანებელმა, ჩემი ცოდვილი ბაგის მეშვეობით ქმნას ქრისტიანები კეთილნი აღმსარებლობასა და ცხოვრებაში, სრულნი შეცნობასა და საქმეებში.

I

ძე ღვთისა მხოლოდ იმისთვის ჩამოვიდა ზეციდან დედამიწაზე და განკაცდა, რომ განეცხადებინა ის წესი, რომელიც უნდა გვწამდეს და რომლითაც უნდა ვიცხოვროთ, რათა საუკუნო ნეტარება მოვიპოვოთ. მან ორი გზა გამოგვიჩინა: ერთი _ ჭეშმარიტების შეცნობისა, მეორე _ სათნო საქმეებისა. ეს წესი რწმენაა, ხოლო ორი გზა _ მისი ორი სახე. როგორც მეცნიერი ღვთისმეტყველნი ამბობენ, რწმენა მჭვრეტელური და მოღვაწეობრივი. ერთი მეორეს გარეშე არასრულია და ცხონებისათვის არასაკმარისი, რამეთუ მჭვრეტელური მოღვაწეობის გარეშე მკვდარია, მოღვაწეობრივი მჭვრეტელურის გარეშე კი _ ბრმა. ქრისტიანს თუ რომელიმე არ გააჩნია, ავადმყოფს ჰგავს, რომელსაც უძლურების გამო სიარული არ შეუძლია, ან უსინათლოს, რომელიც ვერაფერს ხედავს. მოწამე და ფილოსოფოსი იუსტინე ამბობს: «მრავალსახოვანია ღვთაებრივი სწავლების შინაარსი, მაგრამ ის უმთავრესად მცნებათა დასწავლასა და შენახვაში, ღვთის შემეცნებასა და თაყვანისცემაში მდგომარეობს».

იმისათვის, რომ რწმენა სრული იყოს, ის მჭვრეტელური, ანუ სარწმუნოებრივი სწავლების შემცველი, ჭეშმარიტების შემცნობი უნდა იყოს და ასევე მოღვაწეობრივი, ანუ იმ სათნოებათა მოქმედი, რომლებსაც სარწმუნოებრივი კანონები გვიწესებენ. სრულყოფილი ქრისტიანი ორსავე რწმენას უნდა ფლობდეს, ე.ი. შემეცნებითსაც (იცოდეს, რა სწამს) და მოქმედსაც (იმოქმედოს რწმენით).

ახლა შევხედოთ, როგორი რწმენა გვაქვს ჩვენ, ქრისტიანებს და როგორი მწირია ის შემეცნებაშიც და საქმეებშიც. ჭეშმარიტების ნათელში როგორი ღრმაა ჩვენი გონების წყვდიადი. *«მო-რაჲ-ვიდა იესო ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რაჲ თქჳან ჩემთჳს კაცთა, ძისა კაცისა ყოფად?»* (მთ. 16, 13) მათ უპასუხეს, რომ ადამიანებმა არ იციან, ვინ არის იგი: ზოგს ერთი ჰგონია, ზოგსაც მეორე, *«რომელთამე იოანე ნათლისმცემელი, რომელთამე ელია, და სხუათა იერემია, გინა ერთი წინასწარმეტყველთაგანი»* (მათ. 16, 14). ჭეშმარიტად არავინ უწყის, ვინ ხარ შენ. _ კეთილი, *«თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?»* (მთ. 16, 15) _ ჩვენ, _ უპასუხა სიმონ-პეტრემ ყველა დანარჩენი მოწაფის სახელით, _ ჩვენ ვამბობთ, რომ *«შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ»* (მთ. 16, 16). ასე უპასუხეს მოციქულებმა და ქრისტე აღიარეს იმად, რაც არის და არა, როგორც დანარჩენები თვლიდნენ. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ მათ ვერ ეპასუხათ ისე, როგორც საჭირო იყო, ეთქვათ, რომ არ იცნობდნენ მას, იქნებოდნენ კი ღირსნი წოდებულიყვნენ ქრისტეს მოწაფეებად და მოქიცულებად? მოქიცულები, რომლებიც თავიანთ მეუფეს არ იცნობენ, მოწაფეები, რომლებიც თავიანთ მასწავლებელს არ იცნობენ! თუკი სხვებმა არ იცოდნენ, ვინ არის ქრისტე, ეს კიდევ არ იყო უბედურება, რადგან ისინი ძველი სჯულის აჩრდილით იყვნენ დაბნელებული და სახარებისეული ჭეშმარიტების ნათელს ჯერ ვერ ხედავდნენ. მაგრამ მათ, ქრისტეს მოციქულებსა და მოწაფეებს, ქრისტესთან ამდენი ხნის ურთიერთობაში მყოფთ, მისი სწავლების მომსმენთ,

სასწაულების მოწმეებსა და მონაწილეებს, მათ რომ არ სცოდნოდათ ქრისტე, რომელიც სწამდათ, რომელსაც უსმენდნენ და მიჰყვებოდნენ, უაღრესად უცნაური რამ იქნებოდა.

ეს მეტად უცნაური მოვლენა, რაც მოციქულთა შორის არ შეიმჩნეოდა, ჩვენ შორის არსებობს. როგორც მაშინ მოვიდა ქრისტე კესარიაში, დაე ასევე მოვიდეს იგი ქრისტიანულ ქვეყნებში იმათთან, ვინც თავის თავს მართლმადიდებელ ქრისტიანს უწოდებს, იქ, სადაც მისი სარწმუნოება მეუფებს და მისი სახარება იქადაგება და კიდევ ერთხელ იკითხოს: *«თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?»* მე მას ვუპასუხებდი: _ იესოვ ჩემო, ადამიანებმა არ იციან, ვინ ხარ. *«არა ცნეს, არცა გულისხმა-ყვეს და ბნელსა შინა ვლენან»* (ფს. 81, 5). ერთი ერთს ამბობს, მეორე _ მეორეს, როგორც ცდომილი და დაბნელებული გონება უკარნახებთ. რას ამბობენ შენზე ადამიანები? სიმონ მოგვი, ერეტიკოსთა მოთავე, მენანდრე, მარკიონი, ყველა მანიქეველი ამბობს, რომ შენ არა ხარ დამამყარებელი სიტყვა, რომლისა მიერ ყოველივე შეიქმნა, რომ ხილული სამყარო შენს მიერ არ არის ქმნილი; კერინთოსი, არიოზი და სხვა ერეტიკოსები ამბობენ, რომ შენ ქმნილება ხარ და არა ღმერთი _ საუკუნო და თანაარსი მამისა; ანთროპომორფისტებს სწამთ, რომ ღმერთი ხარ, მაგრამ ადამიანის სახის მატარებელი ღმერთი; საბელიოსი ამტკიცებს, რომ მამა, ძე და სულიწმიდა _ თქვენ, სამივენი მხოლოდ ერთი იპოსტასი ხართ და მხოლოდ სხვადასხვა სახელს ატარებთ; მაკედონიუსს მიაჩნია, რომ მამამ ყოვლადწმიდა სული შენი მეშვეობით შექმნა. რად მიაჩნიხარ ადამიანებს? ნესტორი ასწავლის, რომ შენი განკაცებით ისევე ორი იპოსტასი გაქვს, როგორც ორი ბუნება; ევტიქი და დიოსკორე, პირიქით, თვლიან, რომ ერთი ბუნება გაქვს, ისევე როგორც ერთი იპოსტასი; კერდონი თვლის, რომ შენ არა ნამდვილი, არამედ მოჩვენებითი ადამიანი ხარ; აპოლინარიუსი _ რომ შენ ნამდვილი ადამიანი ხარ, მაგრამ მხოლოდ სხეულით, სულის გარეშე, რის ნაცვლადაც ღვთაებრიობა გაქვს; სევეროსი ფიქრობს, რომ სხეულითაც და სულითაც სრული კაცი ხარ, მაგრამ უვნებელი და უკვდავი. ვინ ჰგონიხარ ადამიანებს? პიროსი და სერგი ამბობენ, რომ ერთი ნება გაქვს _ ღვთაებრივი, მაგრამ შენში სრულიადაც არ არის ადამიანური ნება; პელაგიანელები ამტკიცებენ, რომ შენი განკაცების მადლი ადამიანთა ხსნისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო; ხატმბრძოლებს შენი ხატის თაყვანისცემა არ სურთ; კალვინისტები უწმინდეს საიდუმლო-თა აღსრულებისას შენს იქ ყოფნას უარყოფენ; ლუთერანები შენს იქ ყოფნას სცნობენ, მაგრამ პურისა და ღვინის გარდასახვას უარყოფენ; იუდეველნი ამბობენ, რომ შენ ცრუ და ბოროტმოქმედი ხარ; აგარიანელები წმიდა წინასწარმეტყველად გთვლიან, მაგრამ არა ღმერთად, არამედ უბრალო ადამიანად. კეთილი, _ თითქოსდა პასუხობს ქრისტე, _ თქვენ, ქრისტიანებო, თქვენ, მართლმადიდებლებო, ვინ გგონივართ? *«თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?»* მთელი ამ ხნის მანძილზე მიცანით კი? _ მსმენელნო, რომ არ გვცოდნოდა, ვინ არის ქრისტე, რომელიცა გვწამს და ვისი სახელითაც ვართ ნათელღებულნი, რომ არ გვცოდნოდა, რომ იგი მხოლოდშობილი ძეა ღვთისა ცხოველისა, მეორე პირია წმიდა სამებისა, მიწაზე გარდამოსული და ზეცისგან არ განშორებული, განკაცებული, მაგრამ ღმერთად შთენილი, სრული ღმერთი და სრული კაცი, მისი ცხოვრება რომ არ გვცოდნოდა, მისი სწავლებანი, სასწაულები და ვნება, მისი სახარების მცნებები, მისი ეკლესიის საიდუმლონი, მისი სარწმუნოების სწავლებები, განა ღირსნი ვიქნებოდით მართლმადიდებელი ქრისტიანის სახელისა? თუკი ერეტიკოსებმა, იუდეველებმა, აგარიანებმა არ იცოდნენ ქრისტე, ეს კიდევ მოსათმენია, რადგან *«არა ცნეს, არცა გულისხმა-ყვეს და ბნელსა შინა ვლენან», მაგრამ* მართლმადიდებლებმა არა სცნეს? ქრისტიანებმა არა

გულისხმა-ჰყვეს? წმიდა ნათლისღებით არიან განათლებულნი და ბნელსა შინა ვლენან? ვაი ჩვენ! სარწმუნოების შეცნობაში მცირე გამონაკლისის გარდა თითქმის ყველანი ბრმანი არიან. მომღერლებმა ტონების ზომიერება იციან, ექიმებმა _ მცენარეთა თვისებები, ადვოკატებმა _ მეფის კანონები, ვაჭრებმა _ გათვლის ყველა წვრილმანი, ფერმწერებმა, მეზღვაურებმა, მიწათმოქმედებმა, მშენებლებმა თავიანთი ხელობის წესები იციან. *«არა ცნეს, არცა გულისხმა-ყვეს და ბნელსა შინა ვლენან».* ყველაფერი იციან, მხოლოდ აუცილებელი არა. *«კაცნი, განხრწნილნი გონებითა, გამოუცდელნი სარწმუნოებითა»* _ ამბობს მათზე მოციქული (2 ტიმ. 3, 8). ისინი იმ გაუნათლებელ ეფესელებს ჰგვანან, რომლებმაც პავლეს შეკითხვას: *«უკუეთუ სული წმიდაჲ მიგიღებიეს და გრწამს?»* უპასუხეს: *«არამედ არცაღა არს, თუ სული წმიდაჲ გუასმიეს»* (საქ. 19, 2). ქრისტიანებს შორის რამდენია ისეთი, რომლებიც კითხვაზე, _ მრწამსი რამდენი წევრისგან შედგება და რომლებია ისინი, რამდენი საიდუმლოა და რომლებია ისინი? რამდენი მცნებაა ღვთისა და რომლებია ისინი? _ გაოცებულნი დუმან! და კიდევაც რომ უპასუხონ, იტყვიან, რომ ამ წევრებისა და მცნებების შესახებ არც კი სმენიათ. არ სმენიათ, ან კი ვინ ეტყოდა მათ ამის შესახებ? *«ვითარ... ჰრწმენეს, რომლისაჲ არა ისმინეს? ანუ ვითარ-მე ისმინონ თჳნიერ ქადაგებისა?»* (ჰრომ. 10, 14) *«არა ცნეს, არცა გულისხმა-ყვეს და ბნელსა შინა ვლენან».*

მაგრამ თუკი ქრისტიანებმა არ უწყიან, რა სწამთ, მაშინ რაღა სწამთ? მე ეს უნდა ვთქვა და თანაც ცრემლით. ორ ზედაწერილს ვხედავ ღვთაებისას, რომელსაც ადამიანები აქ, დედამიწაზე, თაყვანს სცემენ. ერთს _ იუდეაში, ებრაელთა შორის, მეორეს _ ათენში ბერძენთა შორის. პირველი ამბობს: *«განცხადებულ არს ჰურიასტანს ღმერთი»* (ფს. 75, 1) და მეორე _ *«უცნაური (უცნობი) ღმერთი»* (საქ. 17, 23). ეს ნიშნავს: იუდეაში ღმერთი ცნობილია, ათენში _ არა. ებრაელებმა იციან, რომელ ღმერთს სცენ თაყვანი, ათენელებმა _ არა. ამ ორი ზედაწერილიდან რომელი ამოვტვიფროთ ქრისტიანულ ტაძრებზე? მე ვამბობ _ მეორე: «უცნაური ღმერთი», რამეთუ ქრისტიანები ეთაყვანებიან ღმერთს, რომელიც არ უწყიან. ქრისტიანებს სწამთ ღმერთი, მაგრამ არ იციან, რომ იგი ღმერთია ზეცაში და რომ ერთ ბუნებაში სამი იპოსტასი აქვს, რომ ის ღმერთკაცია მიწაზე და ორი ბუნება და ერთი იპოსტასი აქვს. _ «უცნაური ღმერთი!» ქრისტიანებს სწამთ ერთი ღმერთი იესო ქრისტე, მაგრამ არც მისი ცხოვრების სასწაულები იციან, არც მისი სწავლების ჭეშმარიტებანი, არც მისი წმიდა ვნების დამსახურება და არც მისი დიდება. «უცნაური ღმერთი!» ქრისტიანებს სახარება აქვთ, მაგრამ არც მისი მცნებები იციან, არც დოგმატები. საეკლესიო დღესასწაულებს აღნიშნავენ, მაგრამ არც მათი მიზანი ესმით. ოჰ! ქრისტიანული დღესასწაულები იმ სახით, როგორითაც ისინი დღეს იმართება, არაფრით განსხვავდება ელინური (წარმართული) ზეიმებისაგან. ქრისტიანები მარხვას იცავენ, მაგრამ თავს არაფრისგან იკავებენ. იკრძალვიან საჭმლისა და სასმელისაგან, მაგრამ ვნებებისაგან არა. ლოთობა და ღრეობა მარხვასთან და თავშეკავებასთან ერთად ზეიმობს. ქრისტიანები საიდუმლოებებს ეზიარებიან, მაგრამ მათი ძალა არ ესმით. აქვთ რწმენა, მაგრამ არა აქვთ ცოდნა რწმენის შესახებ. სწამთ, მაგრამ არ უწყიან ვინ... «უცნაური ღმერთი». *«არა ცნეს, არცა გულისხმა-ყვეს და ბნელსა შინა ვლენან!»*

ასე რომ, თანამედროვე ქრისტიანთა რწმენა მეტად უსუსურია სარწმუნოების შეცნობაში, რამეთუ არ უწყიან, რა სწამთ. ნეტავ ეს რწმენა კიდევ უფრო უსუსური არ ყოფილიყო საქმეებში, რადგან ისინი სარწმუნოებით არ მოქმედებენ; ჩვენი სარწმუნოების შემეცნება რომ გვქონდეს, რათა სწორად ვირწმუნოთ, მაგრამ ცოდნა საქმეს არ დავურთოთ, ეს

ყველაფერი უსარგებლო იქნება. *«რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს და საქმენი არა ჰქონდეს?»* (იაკ. 2, 14) ნიკოლაიტელებისა და სიმონ მოგვის მოწაფეთა ძველი ერესი იმაში მდგომარეობს, რომ თითქოსდა მხოლოდ რწმენას საქმეების გარეშე შეუძლია აცხონოს ადამიანი, რომ საქმე არ არის სული სარწმუნოებისა, მაგრამ ხომ ამბობს იაკობ მოციქული: *«რამეთუ ვითარცა ჴორცნი თჳნიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთა მკუდარ არს»* (იაკ. 2, 26). მკვდარი რწმენა ვერანაირად ვერ გვაცხოვნებს. სარწმუნოებას, რომელსაც ნათლობისას ვიღებთ, კიდევაც რომ ვუწოდოთ ღვთისმეტყველური, ის მაინც დასაწყისია რწმენისა, ერთგვარი თესლი, რომელიც უნდა აღმოცენდეს, რათა მსხმოიარე ხედ იქცეს და ეკლესიის მიწიერ სამოთხეში ადგილი დაიმკვიდროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, როგორც უსარგებლო და უნაყოფო, იცვლება და იწვება. ნათლობისეული სარწმუნოება ჩვილს ქრისტიანს ხდის, მაგრამ როცა ეს ქრისტიანი ასაკში შედის, მარტოოდენ ამ რწმენით ის მხოლოდ სახელითაა ქრისტიანი. დასაწყისი გაგრძელებას საჭიროებს, თესლი _ ნაყოფს, რწმენა _ საქმეს. ამის გარეშე სარწმუნოება მკვდარია, ის მხოლოდ გვამია სარწმუნოებისა და ჩვენ ვცდებით, როცა ასეთი სარწმუნოებით ვიმედოვნებთ ნეტარი ცხოვრების მიღწევას. ბაბილონის უწმინდური მეფე ასევე ცდებოდა სახელგანთქმული კერპის _ ბაალის თაყვანისცემით. მას ყოველდღიურად თორმეტ ფუთ ხორბლის ფქვილს, ორმოც ცხვარს და ექვს ფუთ ღვინოს სწირავდნენ მსხვერპლად. ბაბილონელებს ეგონათ, რომ ბაალი ყველაფერ ამას ჭამდა. ამიტომ მათ ის ცოცხალ ღმერთად მიაჩნდათ. დანიელს მისი, როგორც ღმერთის თაყვანისცემა ჰქონდა ნაბრძანები. მან თქვა: _ მე ხელით ნაკეთებ კერპებს კი არა, ცისა და მიწის ცოცხალ ღმერთს ვეთაყვანებიო. როგორ, _ მრისხანედ უპასუხა მეფემ, _ განა ბაალი ცოცხალი არ არის, როცა ის ყოველდღიურად ამდენს ჭამს და სვამს? (დან. 14, 5). დანიელს ამაზე გაეღიმა და უპასუხა: «მეფევ, ნუ შეცდები, ნუ იფიქრებ, რომ ეს ცოცხალი ღმერთია. ესაა უსულო კერპი, უსიცოცხლო და უძალო. გარედან ბრინჯაო აკრავს, შიგნით კი თიხაა მხოლოდ. ხორბლის ფქვილსა და ცხვრებს ის არ ჭამს და არც ღვინოს სვამს. ამას ყველაფერს ქურუმები აკეთებენ, რომლებიც საიდუმლო კარით ტაძარში შედიან. ისინი ხომ ცოლ-შვილის გამოკლებით სამოცდაათნი არიან».

და, მართლაც, დანიელმა ამხილა ეს სიცრუე. ყველა რომ წავიდა ტაძრიდან და მათ შორის ქურუმებიც, მეფემ ტაძრის იატაკზე ნაცარი დააყრევინა. ღამით ქურუმები ჩვეულებისამებრ საიდუმლო კარით შემოვიდნენ და ჭამა-სმას შეუდგნენ. დილით, მეფე რომ მოვიდა, დანიელმა ნაცარზე დატოვებული კვალი უჩვენა. ასე შეიტყო მეფემ ეს ამბავი და ქურუმების დასჯა ბრძანა, ბომონი კი დანიელს მისცა. დანიელმა ტაძართან ერთად შემუსრა იგი. მაშ ასე, დაბრმავებული მეფე და ბაბილონელები ფიქრობდნენ, რომ ბაალი ცოცხალი ღმერთია, ის კი მხოლოდ მკვდარი კერპი იყო, გარედან ბრინჯაოსი, შიგნიდან თიხისა. ჩვენ, უბედურნი, ასეთსავე ცდომილებაში ვართ. მიგვაჩნია, რომ რწმენა ჩვენი ცოცხალია, ის კი მკვდარია, რამეთუ საქმენი არ გააჩნია. მართალია, მასში ზოგიერთი გარეგნული ნიშნები შეიმჩნევა, მაგრამ ამას იქით არანაირი ფასი და დამსახურება არა აქვს. ჩვენ გარეგნულად ვართ ქრისტიანები. შინაგანად კი _ ოჰ, რა ნაირსახეობაა! _ ანგარებისმოყვარებაში _ იუდეველები, წარწყმედაში _ წარმართნი, ვნებათა ღელვაში _ უტყვი ცხოველები, ცხოველებზე უარესნიც. გარეგნულად ეკლესიაში დავდივართ, ვმარხულობთ, ზოგჯერ აღსარებას ვამბობთ და ვეზიარებით, მაგრამ ეს ყველაფერი ბრინჯაოა, რომელიც ერთგვარი კეთილმსახურებით ბრწყინავს. თუკი შინაგანი არ

შეესაბამება გარეგანს, თუკი თავად ეკლესიაში ვერ ვინარჩუნებთ მოწიწებას, თუკი ხორცისა და თევზისაგან მარხულნი ვნებებს ვერ ვიოკებთ, თუკი ამდენგზის ვინანიებთ და მაინც გამოუსწორებელნი ვრჩებით, ეს ყველაფერი მხოლოდ თიხაა და სარგებლობა არ მოაქვს. ბრინჯაოს ქვეშ რაღაც გარეგნული, მბზინავი, მოდური გარსსაკრავით არაფრად ღირებული თიხა იფარება. იმ სახის მიღმა, რომელიც გარედან სათნო, კეთილმსახური, თავმდაბალი ჩანს, სინამდვილეში სატანურზე უარესი პირფერობა, შური, სიამაყე იმალება. ძმანო, არ შეცდეთ, ჩვენი ასეთი რწმენა არ არის ცოცხალი, რამეთუ სული, ანუ საქმენი არ გააჩნია. თუნდაც ჰქონდეს, ეს იქნება მხოლოდ გარეგნული, ჩვევით ან მაამებლობით გაკეთებული და არა შინაგანი, კეთილი ნებითა და ღვთივსათნო აზრებით აღსრულებული. არ შეცდეთ! ბაალი არ იყო ცოცხალი ღმერთი, არამედ უსულო კერპი. და ასეთი რწმენით მრავალნი, რომლებიც თავს ქრისტიანებად თვლიან, სინამდვილეში ქრისტიანთა კერპები არიან. კერპები, რომელთაც პავლე მოციქულის სიტყვით *«აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარყოფდენ»* (2 ტიმ. 3, 5). რწმენის საქმენი როგორიღაა? ისინი მრავლადაა და თავს ერთ რამეში იყრიან. ნეტარი პავლე ასახელებს რწმენას *«სიყვარულისაგან შეწევნულს»* (გალ. 5, 6). ამგვარად, რწმენა სიყვარულის მეშვეობით აღმოჩინდება და სიყვარული, საქმე რწმენისა, არის ის ნიშანი, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანებს გამოარჩევს. *«ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას»* (იხ. 13, 35) _ ამბობს უფალი. რამეთუ სიყვარული, როგორც ღვთაებრივი ოქროპირი განგვიმარტავს, «საგანია ყოველთა სათნოებათა და ყოველნი მით ვცხონდებით».

ნოეს კიდობანი ყველა თავისებურებით საოცარი რამაა. ჰქონდა მას ოცდაათი წყრთა სიმაღლე, ორმოცდაათი წყრთა სიგანე და სამასი _ სიგრძე. დიდი ხანი დასჭირდა მის მოწყობას. ნოეს ოჯახის გარდა მრავალი წმინდა და უწმინდური ცხოველი მოთავსდა მასში და იყვნენ იქ მთელი წლის მანძილზე. საოცარია ეს ყველაფერი, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფერზე საოცარი ის არის, თუ როგორ ცხოვრობდნენ ეს ცხოველები ერთად, ერთ კიდობანში. ასეთი განსხვავებული სახეობები, ბუნებით ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილნი _ ლომი და დათვი, მგელი და ცხვარი? რანაირად იყვნენ ისინი ერთი აზრით და თანხმობით? როგორ არ ჩხუბობდნენ და არ ფლეთდნენ ერთმანეთს? წმინდა წერილის განმმარტებელნი ამბობენ, რომ ცხოველები კიდობანში მშვიდნი ღვთის განგებით რჩებოდნენ, თავიანთი ბუნება თითქმის შეიცვალეს, დაუტევეს მტრობა, გადადეს მძვინვარება. მათ რომ კიდობანში მღელვარება და ომი დაეწყოთ, ნოე იძულებული გახდებოდა, კიდობნიდან განედევნა ისინი წარღვნაში, დანარჩენ ცხოველებთან. ამიტომ, თუ გადარჩენა უნდოდათ, მშვიდად უნდა ყოფილიყვნენ. ძველი აღთქმის არც ერთი ამბავი არ არის ისეთი თვალსაჩინო სახე ჩვენი წმიდა ეკლესიისა, როგორც კიდობანი, რამეთუ მსგავსად იმისა, თუ როგორ გადარჩნენ მხოლოდ კიდობანში შესულნი, მის გარეთ დარჩენილნი კი დაიღუპნენ, იმედოვნებენ ხსნას ისინი, ვინც ქრისტეს ეკლესიის ერთგულნი, კეთილმსახურნი და მართლმადიდებელნი რჩებიან, ხოლო ვინც მის გარეთაა, უწმინდურნი და ერეტიკოსნი, წარსაწყმედელში დაინთქმებიან. მაშ ასე, უფალმა იესო ქრისტემ შექმნა ეკლესია, ეს მაცხოვრებელი კიდობანი განწმედისა და თავისი სახელით ნათელღებულნი მასში შეგვასახლა, რათა გვიხსნას მსოფლიო ხრწნისაგან, საყოველთაო წარღვნისაგან და მოგვცა ერთადერთი მცნება _ ვიცხოვროთ მშვიდობით, გვიყვარდეს ერთმანეთი: *«ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას»* (იხ. 15, 17). ასე რომ,

კიდობანი ადგილია მშვიდობისა და სიწყნარისა. ვინც წყნარად და მშვიდად არ იცხოვრებდა, იმას იქ დარჩენა არ შეეძლო. რა არის ქრისტეს ეკლესია? ამას ოქროპირი გვეუბნება: «სახელი ეკლესიისა არის სახელი არა განყოფისა, არამედ ერთობისა და თანხმობისა». ვისაც სურს ქრისტეს ეკლესიაში ადგილი ჰქონდეს, ის ყველასთან თანხმობაში უნდა იყოს. ვისაც ქრისტიანად ყოფნა სურს, უნდა ჰქონდეს სარწმუნოების ნიშანი _ სიყვარული.

ჰოი, ზნეობავ! გარყვნილია საზოგადოება ქრისტიანთა! «მხეცი არ ეწინააღმდეგება ღვთის კანონებს, ჩვენ კი, ადამიანები, მაცხოვნებელ სწავლებას არ ვიღებთ!» _ გაკვირვებით ამბობს ბასილი დიდი. ჩვენ, გონიერი ადამიანები, ერთმანეთის ძმები, რომელთაც ერთი ღმერთი გვყავს ზეცაში, აქ, დედამიწაზე ერთი დედისაგან, წმიდა ემბაზისაგან ვართ შობილნი, ერთ პურს მოვიღებთ ყოვლადწმიდა საიდუმლოსას, ერთი სახარება გვაქვს, ერთ სამოთხეს მოველით, საუკუნო ცხოვრებას ვიმედოვნებთ. ჩვენ, ვიმეორებ, ქრისტიანები, ერთი ბუნების მქონენი, ერთი სარწმუნოების, ერთი ნათლობისა და ერთ ეკლესიაში მსუფევი ერთი ღმერთის თაყვანისმცემელნი ვართ და მაინც, ამდენი საერთოს მიუხედავად, არც მშვიდობა გვაქვს და არც ერთსულოვნება. ვიცით, რომ ქრისტიანულად მტრებიც უნდა გვიყვარდეს, მაგრამ ვაი, რომ ჩვენს შორის მეგობრებსა და ძმებს არ უყვართ ერთმანეთი. ნეტავ შვილებს მაინც არ სძულდეთ მშობლები, რომლებმაც ამქვეყნად შობეს. ამ მართლმადიდებლობაში, რომელსაც დღეს ვზეიმობთ, სადაა სარწმუნოება მართლმადიდებლური? სადაა მჭვრეტელი რწმენა _ შეცნობა სარწმუნოებისა? ჩვენ არ ვიცით, რა გვწამს. სადაა მოღვაწეობრივი რწმენა, საქმენი, სწორედ რომ სიყვარული, რომელიცაა საქმე მთელი სარწმუნოებისა? ჩვენ არ ვცხოვრობთ სარწმუნოებით. რანი ვართ? ამას არ ვიტყვი, ამის მიხვედრას თითოეულს მივანდობ, რათა გამოსწორდეს.

ქადაგება მართლმადიდებლობის ზეიმზე
(XVII ს. მე-2 ნახევარი)

სიტყვა ხარების შესახებ

«და აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ
ძე და უწოდი სახელი მისი იესო;
ესე იყო დიდ და ძე მაღლისა ეწოდოს»

(ლკ. 1, 31-32)

სოლომონ მეფემ ბუნების საიდუმლოთა გამოსაკვლევად სიბრძნის მთელი ნათელი მიიღო. მან ცასა და მიწაზე ყოველივე მოიხილა _ წარსული, აწმყო და მომავალი. საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მზისქვეშეთში ახალი აღარაფერია «*არა რაჲ არს ყოველივე მზესა ამას ქუეშე, რომლისათვის იტყჳს და თქუას, ვითარმედ: «ესე ახალი არს»* (ეკლ. 1. 10). მაგრამ ღმერთმა აწ აღასრულა სრულიად ახალი საქმე, რომლის მსგავსი არც წარსულ საუკუნეებში ყოფილა და არც მომავალში იქნება. ეს არის საქმე, რომელიც მიმადლებული მარიამის, ქალწულისა და დედის, ღვთის დედის ხარებით აღსრულდა. ეს არის ორმაგი სასწაული, უდიადესი ქმედება ღვთის ყოვლადძლიერებისა, ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოების უაღმატებულესი საიდუმლო. ქალწული და დედა! ამაზე დაუჯერებელი რა უნდა იხილოს ბუნებამ ქმნილებაში? ქალწული _ დედა ღვთისა! ამაზე საოცარი რა

შეიძლება შექმნას ღვთის მადლმა? ერთი სასწაული ბუნების საზღვრებს გარდაემატება და მისი მსგავსი ჯერ არა ყოფილა რა; მეორე _ ღვთაებრივი მადლის მწვერვალზე ადის და შეუძლებელია ამის მსგავსიც რაიმე იყოს. ის დიადი სასწაულია, ეს კი _ უმაღლესი სასწაული; ორივე მიუწვდომელია და ორივე ღთაებრივი *«და აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესო; ესე იყოს დიდ და ძე მაღლისა ეწოდოს, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითისი, მამისა თჳსისაჲ».*

ჩემო მსმენელნო, ამ ახალი სასწაულის, უკეთ რომ ვთქვათ, ორი სასწაულის: ქალწულისა და დედის, ქალწულისა და ღვთის დედის შესახებ მინდა გამცნოთ. სახარების თანახმად აი როგორ აღსრულდა ისინი:

I

დადგა დრო, როცა მამა ღმერთმა დედამიწაზე მხოლოდშობილი ძისა და სიტყვის წარმოგზავნა განაჩინა, რათა ის განხორციელებულიყო და განკაცებულიყო. მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში იქნა გაგზავნილი იოსების მიერ დაწინდულ ქალწულ მარიამთან, რათა მას მისალმებოდა სიტყვებით: *«გიხაროდენ მიმადლებულო» (ლკ. 1, 28)* და ეუწყებინა, რომ მამა ღმერთმა თავისი ძისა და სამყაროს მხსნელის დედად ის აღირჩია: *«და აჰა ესერა შენ მუცლად იღო და ჰშევ ძე და უწოდი სახელი მისი იესო»* (ლკ. 1, 31). თავდაპირველად ქალწული შეშფოთდა და ისურვა გაგება, თუ როგორ უნდა აღსრულებულიყო ეს საოცარი რამ: *«ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?»* (ლკ. 1,34). მაგრამ როცა ეუწყა, რომ ეს ზებუნებრივად, სულიწმინდის ყოვლადძლიერი მადლის ძალით აღსრულდებოდა, მისი გული მოიდრიკა და ბრძანება მორჩილად მიიღო: *«აჰა მჴევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა»* (ლკ. 1, 38) და იმწამსვე სულიწმინდა გარდამოვიდა მას ზედა, ღვთივშვენიერად განამზადა ღვთივსამკვიდრებელი, ღვთაებრივი სიტყვა მის წმინდა წიაღში განხორციელდა და განაბრწყინა იგი უზენაესის ძალამ, «იმისათვის განამტკიცა, რომ მას, ამ წუთიდან დაბეჭდულს, შეძლებისდაგვარად განეჭვრიტა უხილავი ღმერთი, რომელსაც მუცლით ატარებდა და ის წარმოეშვა» _ გვასწავლის ათანასე დიდი. აი ის ახალი სასწაული, რომელიც მზისქვეშეთში გაცხადდა: ქალწული და დედა, მაგრამ დედა ღვთისა; ჩვენი ზეიმის საგანიც სწორედ ეს არის.

ამ ღვთაებრივ ხარებას ყველა გარემოება შეესაბამებოდა: პირველ რიგში მახარებელი მთავარანგელოზის გაბრიელის სახე: რადგანაც ეს საიდუმლო არის ორი ბუნების – ღვთაებრივის და კაცობრივის ზებუნებრივი შეერთება ღვთაებრივი სიტყვის _ სრული ღმერთისა და სრული კაცის ერთიან იპოსტასში, ხოლო სახელი გაბრიელი «ღვთის ძალას» ნიშნავს; შეესაბამებოდა ადგილი _ ქალაქი ნაზარეთი: ამ საიდუმლოს შედეგი იყო კაცთა მოდგმის განწმენდა ღვთაებრივ ბუნებასთან ზიარებით, სახელი ნაზარეთი კი «კურთხევას» ნიშნავს; შეესაბამებოდა დრო _ მარტის თვე. ამ დროს აღსრულდა სამყაროს შექმნა, სამყაროს ხელახალი შექმნაც ამ დროს აღესრულება. მაშინ უთესველმა მიწამ მცენარე პირველად აღმოაცენა, ახლა კი მამაკაცის გამოუცდელმა ქალწულმა მუცლად იღო. დღეს აღსრულებული საიდუმლოს ყოველი მომენტი საოცარია, მაგრამ ყველაზე მეტად საოცარი _ თავად ხარების შემწყნარებელი ქალწულია.

ქალწული და დედა _ ეს ამ საიდუმლოს განსაკუთრებულად შეესაბამება, რადგან ასეთი ძის დედა სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. ღვთაებრივი სიტყვა იქცა იმად, რაც არ იყო, და იმადვე დარჩა, რაც იყო _ იქმნა ადამიანად და დარჩა ღმერთად; მარიამიც გახდა ის, რაც არ

იყო და ისეთადვე დარჩა, როგორიც იყო _ დედა გახდა და ამავდროულად ქალწულად დარჩა. ღვთაებრივი სიტყვა უმამოდ შობილ ძედ იქცა; მარიამიც იქცა უქმრო დედად, რომელმაც ქმრის გამოუცდელმა შვა.

რაოდენ განსხვავდებიან ურთიერთშორის ღმერთი და ადამიანი! მაგრამ განკაცებულ ღმერთს ხორცშესხმით თავისი ღვთაებრივი ბუნება არ დაუტევებია; რაოდენ განსხვავებულნი არიან ქალწული და დედა! მაგრამ დედად გახდომით ქალწულს თავისი ქალწულებრივი დიდება არ დაუკარგავს. როგორი უცნაური ერთობაა ორი ბუნებისა _ ღვთაებრივისა და კაცობრივის, რომლებიც ერთ იპოსტასში განუყოფლადაა შეერთებული! ღვთაებრივმა ბუნებამ ადამიანური თავისებურებანი შეითვისა და ღმერთი სრულყოფილ ადამიანად იქმნა; ადამიანური ბუნება ღვთაებრივი ბუნების თანაზიარი გახდა და იგივე ადამიანი სრულად განიღმრთო; ასეთივე უჩვეულო შეერთებაა ქალწულებრივი უმწიკვლოებისა და დედობრივი მუცლად ტვირთვისა, რომლებიც გასაოცრად შეერთდა ერთ ქალში! ქალწულებამ დედას ის უბიწოება მიმადლა, რაც ღვთის დედას უნდა ჰქონოდა _ წმინდა, შეუბღალავი, მზესავით მშვენიერი, მთვარესავით რჩეული, ასე მოიხსენიებს მას სულიწმინდა (იხ. ქება ქებათა 6,9). მუცლად ტვირთვამ ქალწულება აკურთხა, რაც მთავარანგელოზის მისალმების თანახმად უნდა ჰქონოდა ქალწულს: *«კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის»* (ლკ. 1, 28); იქ იშვება ეს სასწაულებრივი ერთობა _ ღმერთკაცი, აქ კი სხვა, ასეთივე სასწაულებრივი შეერთება ხდება _ ქალწულისა და დედისა. «უცნაური და გასაოცარი, ჩვეული ბუნებისაგან ეგზომ განსხვავებული, იგივე ქალწული და იგივე დედა, ქალწულებით უმწიკვლო და შვილთასხმით კურთხეული!» _ შესძახებს ციმოვლენილი ბასილი. ვიმეორებ, ასეთ ძეს სწორედ ასეთი დედა უნდა ჰყავდეს; ძეს, რომელიც ადამიანად იშვა ისე, რომ ღმერთად ყოფნა არ შეუწყვეტია, უნდა ჰყოლოდა დედა რომელმაც შვა ძე ისე, რომ ქალწულადვე დარჩა. ეს საიდუმლო არ შეიძლებოდა სხვაგვარად აღსრულებულიყო: ერთი და იგივე ღმერთკაცი, ძე, რომელიც საუკუნოდ იშობა მარადის არსი მამისაგან, დროში დედაკაცისაგან იშობა. მან, ერთმა ძემ, უწყის ძეცაში მამა, ხოლო მიწაზე _ დედა; მაგრამ ზეცაში, სადაც მას მამა ჰყავს, არა აქვს ადგილი დედას, ხოლო მიწაზე, სადაც დედა ჰყავს, მამას არა აქვს ადგილი; ზეცაში არ არის დედის ადგილი _ და ძე უვნებოდ იშობა; მაგრამ მამისთვის მიწაზე არ არის ადგილი და ძე უთესლოდ იშობა; ამგვარად პირთა ურთიერთმიმართება სრულყოფილი რჩება. ერთიან ძეს ჰყავს ერთიანი მამა, ასევე ჰყავს ერთიანი დედა _ ბუნებითად ქმრის გამოუცდელი ქალწული.

ახლა კი ქრისტიანო, ისევე გეუბნები, როგორც უფალი ეუბნებოდა მეფე აქაზისს: *«ითხოვე თავისა შენისა სასწაული... სიღრმედ მიმართ, ანუ სიმაღლედ მიმართ»* (ეს. 7, 11). დაბლა, მიწაზე დაიხედე, ზევით, ზეცაში აიხედე, ახლანდელი და გასული საუკუნეები გამოიკვლიე და შენ ვერ ნახავ სხვა ისეთ სასწაულს, როგორიც ეს არის, რომელიც მრავალი საუკუნის წინ გააცხადა უფალმა ესაიას პირით: *«აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე»* (ეს. 11, 14) და რომელიც მრავალი სახით გამოიხატა: დაუწველი მაყვლით; აყვავებული კვერთხით; უთლელი ქვით; აღმოსავლეთისაკენ მიმართული დახშული კარიბჭით, რომელშიც შევიდა და რომლიდანაც გამოვიდა მხოლოდ უფალი. როგორ ამბობდა სოლომონი? თითქოსდა მზისქვეშეთში ახალი აღარაფერია?! აი ახალი სასწაული, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა. ქალწული და დედა, დედა ღვთისა _ და ეს ისეთი სასწაულია, რომლის მსგავსი შეუძლებელია რაიმე იყოს.

დედაო ღვთისა! ვაღიარებ, რომ არც გაფიქრება ძალმიძს და არც ახსნა ამ ღირსების სიმაღლისა. მივმართავ წმინდა მამებს, რათა ამ სიმაღლეს როგორღაც მივწვდე, მაგრამ ვხედავ, რომ ამ საკითხს ისინიც მდუმარედ გვერდს უვლიან. თვით ანგელოზნი, კიდეც რომ უნდოდეთ ჩვენთვის რაიმეს ახსნა, ჩუმად არიან; ქალწულიც კი, ვისი გონებაც ანგელოზების გონებაზე მეტად იყო ჭვრეტისთვის განათებული, სულიწმინდით აღვსებული ქალწული, ღვთაებრივი სიტყვის მუცლად მატარებელი, ღვთაებრივი სიტყვებით გვიხსნის: *«ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან»* (ლკ. 1, 49) და ამის მეტს არაფერს ამბობს.

ის რომ ყოფილიყო მესიის დედა (როგორც მიაჩნდათ ებრაელებს), ანუ მხოლოდ ადმიანისა, რომ ეშვა საუკუნეთა მოლოდინი, კურთხევის ძე, ისრაელის მხსნელი, მაშინაც კი, როგორც დედა ასეთი სახელოვანი მეფისა, პატივითა და ბედნიერებით დედამიწაზე ყველა დედაზე აღმატებული იქნებოდა და მას ყოველი ერი პატივს მიაგებდა. მაგრამ იყოს დედა ღვთისა, შვას მთელი სამყაროს მაცხოვარი, დროში შვას სწორედ ის მხოლოდშობილი ძე, რომელსაც ღმერთი და მამა დროის გარეშე შობს _ არის პატივი, რომელიც მას ღვთის მსგავსს ხდის. როდესაც საუკუნეთა დასაბამს ანგელოზებისთვის სახლთმშენებლობის დიადი საიდუმლო გაცხადდა და მთიებმა ეს პატივი იხილა, მაშინვე შურმა მოწყლა, ამაო იზრახა, ღმერთს განუდგა და ელვასავით გარდამოემხო ზეციდან _ ასეთია მაქსიმე აღმსარებლის აზრი, რომელიც ემყარება პავლე მოციქულის ცნობილ გამონათქვამს: *«და ოდეს კუალად შემოჰყავს პირმშოჲ იგი სოფლად, იტყჳს: და თაყუანის-სცემდენ მას ყოველნი ანგელოზნი ღმრთისანი»* (ებრ. 1, 6; 42-ე სიტყვა-მიგება ებრაელთა მიმართ ეპისტოლეზე).

დედაო ღვთისა! რაც მეტად ვუფიქრდები, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ეს ყოველივე გაუგებარია ჩემთვის, რომ ეს _ უსაზღვრო სიდიადეა, რომელსაც იგი სამმანათობელი ღვთაების უმაღლეს საყდრამდე აჰყავს და ღმერთთან და მამასთან აახლოებს. ჰოი ქრისტიანენო, გონებით ადით სიმაღლეზე და წარმოიდგინეთ ერთის მხრივ დაუსაბამო მამა, მეორე მხრივ _ მიმადლებული მარიამი და მათ შორის _ მხოლოდშობილი ძე, განხორციელებული ღმერთკაცი. მას ორი ბუნება აქვს _ ღვთაებრივი და კაცობრივი. ღვთაებრივი _ ეს მამისაგან შობაა; კაცობრივი _ შობაა მარიამისაგან. ძე ღვთისა _ როგორც ღმერთი; მარიამის ძე _ როგორც ღმერთკაცობრივი შვილი. ამ ძეს მხოლოდ ერთი იპოსტასი აქვს, რომელიც ორ ბუნებას შეურევნელად შეიცავს. იპოსტასი განუყოფელია ამიტომ ეს არის არა ორი ძე, ერთი _ ღვთისა და მამისა, მეორე კი ძე ქალწულ მარიამისი, არამედ ის ერთიანი პირია, რომელშიც ორი ბუნების თავისებურებანი განირჩევიან (რადგანაც შეურევნელია). თუმცა ამ განრჩეულობაში შენარჩუნებულია განუყოფლობა, ორბუნებოვნობაში _ ერთობა; იესო ქრისტე მხოლოდ ერთია _ ღმერთი და კაცი; მამა _ ეს არის მამა ქრისტესი და მამა ღვთისა და კაცისა; მარიამი _ დედაა ქრისტესი და დედაა ადამიანისა და ღვთისა; მხოლოდშობილ ძესთან ამგვარი მიმართება აქვს მამა ღმერთს; იგივე მიმართება აქვს ძესთან _ ქალწულ მარიამს, რომელსაც სწორედ ამის გამო აქვს მამა ღმერთის დიდების მსგავსი დიდება. სწორედ ამის გამოხატვა სურს მთავარანგელოზს სიტყვებით: *«აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ ძე და უწოდი სახელი მისი იესო; ესე იყოს დიდ და ძე მაღლისა ეწოდოს* (ლკ. 1, 31-32); *მან იხსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან»* (მთ. 1, 21). შეიძლება კი ამაზე მაღალი დიდება წარმოიდგინოს გონებამ? ახლა თქვენი მზერა მიწიერ სამყაროზე, ყველა გონიერ ქმნილებაზე გადაიტანეთ. ისინი იმდენად

ჩამორჩებიან ქალწულს, რამდენადაც შორს არის ცა მიწისაგან. ამ ყოველივეს თვალი შეავლეთ და დაინახავთ თუ რაოდენ მცირე და უკმარია წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მოწამეთა მთელი დიდება, მთელი მდლი ღვთისმშობლის მადლთან და დიდებასთან შედარებით. რაო, რას ამბობს სოლომონი? თითქოსდა მზისქვეშეთში ახალი აღარაფერია? მაგრამ აი ახალი სასწაული _ ქალწული და დედა; აი სასწაული, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა. ქალწული _ დედა ღვთისა, ახალი სასწაული რომლის მსგავსი არ შეიძლება რაიმე იყოს; ქალწული და დედა _ სასწაული, რომელიც ქალწულისათვის უდიდესი მადლია; დედა ღვთისა _ სასწაული, რომელიც დედისათვის უდიდესი პატივია. ეს არის სასწაულთა სასწაული, რომლის მსგავსს ქრისტიანული სარწმუნოების გარდა ვერც ერთი სარწმუნოება ვერ დაიკვეხნის. ქრისტიანობაში ეს საიდუმლო ყველა საიდუმლოთა დასაწყისი და დასასრულია.

II

ღვთის სასძლო დედოფალო, რომელმაც მიიღე მადლი ყოფილიყავი ქალწული და დედა, გერგო პატივი ყოფილიყავი დედა ღვთისა, სავსებით ბუნებრივია, რომ ქრისტიანთა დედაც იყო. ღვთაებრივი დიდების მარჯვენით ზის ცისა და მიწის დედოფალი, სწორედ ისე, როგორც იხილა იგი წინასწარმეტყველმა: *«დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად»* (ფს. 44, 9). ის დედაა ღვთისა, რომელიც მისი ძეა ბუნებითი შობით და ასევე ქრისტიანთა დედაა მათი შვილადმიღებით. ღვთის წინაშე შუამდგომლობით ის თავისი ძის წინაშე თავისივე შვილებს შუამდგომლობს; ის ღმერთს ისეთი კადნიერებით ევედრება, როგორც დედა შვილს, და ევედრება ქრისტიანებისადმი ისეთი სიყვარულით როგორსაც თავისი შვილების მიმართ განიცდის. კადნიერება და სიყვარული ასეთი დედისა – უსაზღვროა: რა უნდა სთხოვოს და არ მიიღოს ასეთი ძისაგან? რა შეიძლება ვითხოვოთ და არ მივიღოთ ასეთი დედისაგან? ობოლნო, მოგზაურნო, ტყვენო, სნეულნო, შემუსვრილნო, ცოდვილნო, ნუ დამწუხრდებით, თქვენ გყავთ დედა _ დედა ღვთისა!!

იმას, რაც ალექსანდრე დიდმა თავის დედაზე ოლიმპიადაზე უთხრა ანტიპატრეს, მეტი უფლებით ჩვენსა და ღვთის დედაზე ვიტყვი: «დედის ერთი ცრემლი მრავალ ცილისწამებას წარხოცავს». მრავალრიცხოვანია ჩვენი ცოდვები ღვთის წინაშე, დიდია ჩვენზე მოწევნული ღვთის რისხვა. მაგრამ ერთი ცრემლი, ერთი სიტყვა, ერთი მეოხება ღვთისმშობლისა ჩვენს ცოდვებს განწმენდს და ღვთის რისხვას აქრობს. შენდამი ასეთი რწმენა, ასეთი იმედი გვაქვს ყოვლადწმინდაო ქალწულო; ქალწულად და დედად აღგიარებთ; შენზე, როგორც ღვთის დედაზე ვქადაგებთ, ქრისტიანთა დედად, ჩვენი ცხონების საწყისად და მეოხად გცნობთ. ჰოი, ღვთისა და ყოველთა ქრისტიანთა დედაო! მოწყალე ჰყავ ჩვენს მიმართ, ქრისტიანთა მიმართ ძე შენი და ჩვენ, შენი შვილები, შენი მადლისა და შენი ძის სასუფევლის ღირსნი გაგვხადე! ამინ!

სიტყვა ქრისტეშობის დამდეგ კვირას

***

«შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი იესო,

რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან»

(მთ. 1, 21)

იაკობმა თავისი მამისაგან კურთხევა აიღო და მესოპოტამიას მიაშურა. მზის ჩასვლისას დასვენება ისურვა, იქვე წამოწვა და დაიძინა. მას ხორციელი თვალი ძილისათვის დაეხუჭა, სამაგიეროდ ზეციური გამოცხადებისთვის აეხილა თვალი სულისა და იხილა იაკობმა კიბე, რომლის თავი ცას სწვდებოდა, ხოლო ძირი მიწას, საფეხურებზე კი ანგელოზნი _ ერთნი ზეცად ადიოდნენ, მეორენი მიწაზე ჩამოდიოდნენ, *«აჰა ესერა, კიბენი აღმართებულნი ქუეყანით, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად და ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა»* (დაბ. 28, 12). ჩვენებით შეძრწუნებულ პატრიარქს გამოეღვიძა. «ოჰ რა საშინელი ადგილია! _ შესძახა მან _ ჭეშმარიტად ეს სახლია ღმრთისა, კარიბჭეა ზეციური!» ეს იდუმალი კიბე მოასწავებდა დიად, უმაღლეს, გამოუთქმელ საიდუმლოს ღვთაებრივი სიტყვის, მაცხოვრისა და ჩვენი გამომსყიდველის, ქალწულ მარიამისაგან უბიწოდ შობილის ხორცშესხმისას. სწორედ მასზე ახარებდა მთავარანგელოზი იოსებს: *შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი იესო; რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან.* ადამის ურჩობამ განაშორა ცა მიწას, ადამიანი _ ღმერთს და სამოთხის კარნი მკვიდრად ჩაკეტა, მაგრამ ახალი ადამის, ღმერთკაც იესოს განკაცება ის ნეტარი კიბეა, რომელმაც კვლავ შეათვისა მიწიერი ზეციურთან, კვლავ შეარიგა ადამიანი ღმერთთან, ცხონების ჩაკეტილი კარი კვლავ განახვნა. კიბის საფეხურებზე ანგელოზების ასვლა-ჩამოსვლა ნიშნავდა ადამიანური ბუნების აღსვლას ღვთაებრივამდე, რამაც ადამიანი ღმერთად ქმნა; და ნიშნავდა ღვთაებრივი ბუნების ადამიანურ ბუნებამდე დაშვებას, რამაც ღმერთი ქმნა ადამიანად. ჩვენც შევძახოთ ნეტარ პავლესთან ერთად: *«ჰოი სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა!»* (ჰრომ. 11, 33).

ქრისტიანენო, ღვთის უსასრულო ყოვლადბრძნობისა და ყოვლადძლიერების საქმეთაგან ყველაზე მეტად განკაცების დიადი საქმე გვიცხადებს ღვთის მოწყალების სიღრმეს. *«რამეთუ... შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ შობილი მოსცა მას»* (იხ. 3, 16). აღარ ვილაპარაკებთ თვით საიდუმლოზე განკაცებისა _ მას პატივის მიგება რწმენითა და მდუმარებით ეგების! აწ სჯობს განვადიდოთ სიდიადე და ძალა ღვთის უკიდურესი მოწყალებისა იმ იმედით, რომ ცოდვილის გული იძვრის, მიიდრიკება სინანულისკენ, რომ ამ წმინდა დღესასწაულზე ის ღვთის მოწყალების მთელ სიღრმეს შეიგრძნობს.

I

არის ორი გზა, რომლებსაც დიდი სიფრთხილით უნდა ვუმზიროთ. ერთი გზა ცოდვისაა, რომელსაც წარსაწყმედელში მივყავართ და მას უნდა გავექცეთ, მეორე _ სინანულისა, მას ცხონებისაკენ მივყავართ და იმას უნდა მივყვეთ. პირველი გზა ღვთისაგან გარემიგვაქცევს, მეორე მასთან გვაახლოვებს. ერთზეც და მეორეზეც არასდროს გვტოვებს გულმოწყალება ღვთისა. როცა ცოდვა ღმერთს გვაშორებს, მისი გულმოწყალება თან მოგვყვება და გვეძებს, როცა სინანულისას ღმერთს მივმართავთ, ის გვეგებება და გვღებულობს. ღვთის გულმოწყალება ჩვენდამი, ცოდვილებისადმი, სწორედ ასეთი სახით ვლინდება! არანაირ საქმეს არ სჩადის ადამიანი ისე ადვილად, როგორც ცოდვას, ამავე დროს ვერანაირ საქმეს ვერ იცნობს ისე ძნელად, როგორც ცოდვას და ამ ცოდვის მიმართ სრულიად გულგრილი და ბრმა რჩება. გიორგი კედრინი მოგვითხრობს: ფეოდოსი დიდის

ძეს _ ჰონორიუსს*, დასავლეთ რომის იმპერიის იმპერატორს, სასახლეში ფრინველი ჰყავდა, რომელიც ლამაზი ბუმბულისა თუ ტკბილი ხმის გამო ისე უყვარდა, რომ მას «რომი» შეარქვა. ერთხელ იმპერატორთან შეძრწუნებული დიდებული მივიდა და ღრმა მწუხარებით აუწყა: «მეფეო, რომი დაეცა!» «როგორ? _ წამოიყვირა ჰონორიუსმა, _ რას ამბობ? ახლახანს ვნახე... ახლახანს მოვისმინე, როგორ გალობდა ჩიტი». «მე ჩიტზე არ ვლაპარაკობ, მე ვლაპარაკობ დედაქალაქზე, რომელიც მტერმა დაიპყრო!» _ უპასუხა დიდებულმა. «ოჰ, როგორ შემაშინე! _ სული მოითქვა იმპერატორმა, კინაღამ გავგიჟდი, ახლა კი მშვიდად ვარ...» დაიღუპა დედაქალაქი! _ ეს არაფერია, ოღონდაც ჩიტი იყოს ჯანმრთელად! «შემაშინე!» როგორი სიგიჟეა სულელი ადამიანისა! დაიღუპა მთელი ქალაქი, მერედა როგორი! რომი, მსოფლიო სამეფოს დედაქალაქი, არ უნდა ამაზე რაიმე იცოდეს და სრულიადაც არ წუხს, ჩიტის სიკვდილის გამო გონების დაკარგვისა კი ეშინია! ასეთივე უგონო და შეშლილია ადამიანი, როცა ცოდვის გამო ღმერთთან ურთიერთობადაკარგული, ღვთის სიყვარულაღკვეთილი, საუკუნო ნეტარი ცხოვრების, თავისი სულის დამკარგავი, მიუხედავად ყველაფერ ამისა, სრულიად არ ნაღვლობს. მაგრამ თუკი მოხდა და ვაჟიშვილი, ძმა, ცოლი, ან მოყვარე დაკარგა, რომლებსაც ყველასათვის გარდაუვალი სიკვდილი ეწევათ, როგორ დამწუხრდება, რამდენ ცრემლს დაღვრის; თუ საქმეში იზარალა, საამური ცხოვრება დაერღვა, როგორი წუხილი, როგორი გულგატეხილობა დაეუფლება! თუმცა კი ეს ყველაფერი დროებითია და ამაო...

ოდნავ უქეიფოდ თუ შეიქნება ან რაიმე უმნიშვნელო ფათერაკს გადაეყრება, რის გარეშეც ქვეყნად ვერ იცხოვრებ და რასაც შემთხვევითობას ვეძახით _ რამდენი ოხვრა და დრტვინვა აღმოხდება! არც გონებას ძალუძს დატევა და ვერც ენა იტყვის იმას, თუ რას კარგავს სული, როცა ღმერთს შორდება და ასეთ დროს, მიუხედავად ასეთი საშინელი დანაკარგისა, ადამიანი არათუ არ ტირის, ხარობს და იცინის...

როგორ არ გვიკვირდეს, რომ ღვთის დამკარგავი ადამიანი ამის გამო სრულიადაც არ იმუსრება? სიმართლე რომ ითქვას, მას არც კი ესმის რა არის ღმერთი და რაოდენ დიადია ღმერთთან ურთიერთობის ნეტარება. ვნებები აბრმავებენ მის გონებას და ის ამას ვერ ხვდება. განა საკვირველი არ არის, რომ ღმერთი, რომელმაც უსრულყოფილესად უწყის ადამიანის მთელი არარაობა, რომელიც ადამიანის გარეშეც ღვთაებრივად დიადია, რომელიც ყველა ადამიანის წარწყმედის შემთხვევაშიც არ დაკარგავდა თავის ნეტარებასა და დიდებას, წარსაწყმედლის გზაზე დამდგარ ერთ ადამიანსაც კი მისდევს, ეძებს და ყოველნაირად კეთილინებებს იგი კვლავ მოიპოვოს, კეთილინებებს, რათა ამაში ცოდვილისადმი თავისი უსასრულო გულმოწყალება გააცხადოს?

მაგრამ ამავდროულად ხომ არ ავლენს ღმერთი თავის მართლმსაჯულებას? ცოდვის მიმართ მისი მრისხანება ხომ არ ანთია? მოუნანიებელი ცოდვილნი ღვთის უდიდესი მტრები ხომ არ არიან? ჭეშმარიტად, ღმერთი თანაბრად მართლმსაჯული და მოწყალეა _ *«ღმერთი მართლ-მსაჯულ, ძლიერ და სულგრძელ»* (ფს. 7, 11). მართლმსაჯულება და გულმოწყალება თითქოსდა ორი ხელია ღვთისა, რომლებითაც ის მოქმედებს: ზოგჯერ მართლმსაჯულებით მოქმედებს და სჯის, ზოგჯერ კი _ გულმოწყალებით და მიუტევებს. «არ ივარგებდა შეწყალება გამოსწორების გარეშე და სინანული მიტევების გარეშე» _ ამბობს

* ჰონორიუსი (Honorius) (384-423), დასავ. რომის იმპერიის იმპერატორი. 408 წლამდე იმპერიას ფაქტობრივად მხედართმთავარი სტილიქონე და დიდებულები მართავდნენ. 410 წელს რომი დასავლეთის (ვესტგოთების) გუთებმა აიღეს ალარიქ I-ის მეთაურობით. ამასთანავე 407-410 წლებში გახშირდა აჯანყებები პროვინციებში.

ღვთისმეტყველი (სიტყვა ღვთის გამოცხადებაზე), მაგრამ არ შეიძლება არ დაინახო, რომ ღვთის მართლმსაჯულება გაცილებით ნათლად ვლინდებოდა ძველ აღთქმაში, მის განკაცებამდე, ანუ მაშინ, როცა ღმერთი ადამიანებისათვის ცხადდებოდა, როგორც ღმერთი შურისგებისა, როგორც ისრებით და მახვილით შეჭურვილი მრისხანე ვოევოდა, ზოგს ახლო მანძილიდან რომ გმირავს, ზოგს კი შორიდან, როგორი საშინელი იყო მისი მახვილის ბგერება... *«მახვილი მისი ლესულ არს, მშვილდსა მისსა გარდააცუამს; და მის თანა განუმზადებიან ჭურნი სიკუდილისანი»* (ფს. 7, 12-13). ის-ის იყო ცოდვა გაცხადდა, მყისვე განიგმირა ღვთის მართლმსაჯულების ისრით. შესცოდა მთიებმა, ღმერთად გახდომა ინდომა, და იმავწუთს გარდამოემხო ციდან; შესცოდა ადამმა, გადააბიჯა ღვთის მცნებას, დაუყოვნებლივ განიდევნა სამოთხიდან. შესცოდა კაენმა _ შურით ძმა მოკლა და მყისვე *«იწროებით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა»* (დაბ. 4, 12); შესცოდა სოდომის მიწამ და მაშინვე დაფერფლა ცეცხლმა სოდომელთა უწმინდურება. შესცოდა მთელმა სამყარომ და სულ მალე წარღვნამ დანთქა მსოფლიო უსჯულოება. აღდგნენ დათანი და აბირონი მოსეს წინააღმდეგ _ განიპო მიწა და ცოცხლად დამარხა ისინი; ზანი კიდობანს შეეხო (ძვ. აღთქმის) და უეცარი სიკვდილით მოკვდა. იორობოამმა მკრეხელურად აიღო საცეცხლური და იმავწუთს ხელი გაუხმა; რაწამს მიუახლოვდა ოზია სამსხვერპლო საკურთხეველს, კეთრი შეეყარა. განა არ ჰპოვა ფარაონმა სამარე წითელი ზღვის ფსკერზე? განა არ ნახა დავითმა სამდღიანი შიმშილი? ბალთასარმა განა ერთ ღამეში არ დაკარგა სამეფოც და სიცოცხლეც? განა ანტიოქე* ცოცხალ კუბოდ არ იქცა მატლებისთვის? შეგვიძლია კი მოვთვალოთ ყველა, ვინც ღვთის დაუყოვნებელი რისხვა საკუთარ თავზე გამოსცადა? ღმერთი შურისგებისა *«მახვილი მისი ლესულ არს, მშვილდსა მისსა გარდააცუამს; და მის თანა განუმზადებიან ჭურნი სიკუდილისანი».*

ღვთის გულმოწყალება გაცილებით ნათლად განკაცებასთან ერთად ვლინდება. ის არ წარმოდგება როგორც მარტოოდენ შურისგების ღმერთი, არამედ ღმერთი მოწყალებისა და სიუხვისა. წმინდა სახარება კეთილგვაუწყებს თვინიერი და კეთილი მწყემსის შესახებ, რომელმაც თავისი თავი მთლიანად გზააბნეულ ცხოვართა ცხონებას მიუძღვნა: *«მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათვის»* (ინ. 10, 11). მოციქულის სიტყვით განკაცების მიზანი სწორედ ამაშია, _ ღმერთი განკაცდა მხოლოდ იმისთვის, რომ ცოდვილნი ეხსნა: *«ქრისტე იესო მოვიდა სოფლად ცოდვილთათჳს ცხოვრებად»* (1 ტიმ. 1, 15); *«შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი იესო, რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან»* (მთ. 1, 21). კაცთა მთელი მოდგმა გზააბნეული და წარწყმედის გზაზე დამდგარი ფარა იყო, რომელიც დავითის პირით დღენიადაგ შეღაღადებდა ღმერთს: *«... ვითარცა ცხოვარი წარწყმედული, მომიძიე მონაჲ შენი»* (ფს. 118, 176). როცა მხოლოდშობილი ძე და სიტყვა, ღვთაებრივი დიდებით მჯდომარე მარჯვენით მამისა, განკაცდა და კეთილ მწყემსად გაცხადდა, დაუტევა ოთხმოცდა ცხრამეტი ცხოვარი, ზეციურ ნეტარ ანგელოზთა ცხრა განწესება, მიწაზე ჩამოვიდა, რათა მოეძებნა გზააბნეული სამწყსო, რა არ გააკეთა, რა არ დაითმინა, რომ ის ეპოვა. ითმენდა შიმშილს, წყურვილს, ქანცგაწყვეტას, მწარე ოფლს ღვრიდა, ჯვარცმულ იქნა, მოკვდა, რათა ჩასულიყო ჯოჯოხეთში და მოეძებნა იგი მის ჯურღმულში, სადაც მისდამი ურჩობამ შთააგდო.

---

* ანტიოქე-III, დიდი (242-187 ქ. შ.მდე) 223 წ-დან სელევკიდების ს-ოს მეფე. 212-203 წლებში დაიმორჩილა პართენონი და ბაქტრია, 203 წელს ეგვიპტეს პალესტინა წაართვა, 192-188 წლებში ასურეთის ბრძოლაში მარცხი განიცადა რომთან.

«ოთხმოცდა ცხრამეტი დაუტევა და ერთის საძებრად გაეშურა! _ შესძახის ღვთაებრივი ოქროპირი. მრავალთა ხსნას არ შეეძლო აენაზღაურებინა ერთის წარწყმედა! შეხედეთ, როგორი მოშურნეობით, როგორი ნაზი სიყვარულით ეძებს მას! წაიკითხეთ წმინდა სახარება და დაინახავთ, როგორ მოაქცევდა თავისკენ იესო ქრისტე ყველა ცოდვილს გასაოცარი თავმდაბლობითა და მადლით, იძულებისა და მრისხანების გარეშე. იმისათვის, რომ ეხსნა მეზვერე, მათე, ზაქე, უფროსი მეზვერე, ფარისეველთაგან მრავალნი, მათ სახლში თავად მივიდა და მათთან ერთად ჭამა-სმა კეთილინება. დიახ, სწორედ იმათთან, რომლებიც მასვე განიკითხავდნენ: *«და ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაისათჳს მეზეურთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?»* (მთ. 9, 11).

იგი ასევე ამბობდა, რომ არა ჯანმრთელნი, არამედ სნეულნი საჭიროებენ კურნებას. დიახ! მისი სიტყვით: ცოდვილებს მეტად ესაჭიროებოდათ თავიანთ სახლში ეხილათ მაცხოვარი! იმისათვის, რომ ეხსნა ყველასათვის კარგად ნაცნობი მრუში და მსგავსნი მისნი, მირონს რომ სცხებდნენ მის ფეხებს, მასთან მისვლის ნებას რთავდა, განა ჰყვედრიდა, ემუქრებოდა მათ? არა! პირიქით, მიუტევებდა და იცავდა; მაშინ, როცა მრუშს ყველა განიკითხავდა, მან ერთმა არ განიკითხა, არამედ მიუტევა და გაათავისუფლა; ისე იხსნა სამარიტელი დედაკაცი, რომ არ უმხელია მისი წარსული ცხოვრების ცოდვები, მხოლოდ მას რომ ახასიათებდა, ისე აღუძრა სურვილი ეღიარებინა თავისი შეცოდებანი და მეტიც, ისინი ქალაქ სამარიაში მაცხოვრისა და მხსნელის წინაშე მოენანიებინა. განა პეტრემ არ უარყო იგი? მან ის მხოლოდ ერთი, უსასრულო სიყვარულით სავსე მზერით აღსარებისაკენ მიდრიკა; განა არ იხილა თომას მცირედმორწმუნეობა? მან ის უჩვეულო თავმდაბლობით რწმენისაკენ მოაქცია, უთხრა, შეხებოდა მის იარებს; განა არ უღალატა იუდამ, განა არ გაყიდა? და მაინც, რარიგ ეწადა მისი ხსნა! გული ატკინა განა? განდგომილი, მოღალატე, ვერცხლისმოყვარე უწოდა? _ არა, მხოლოდ თქვა, რომ იცის მისი დანაშაული და თქვა ხმადაბლა, ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ. ფერხნი დაბანა, მოსასხამით შეუმშრალა, მეგობარი უწოდა უწმინდურს, ნება დართო, მთხვეოდა და ეს იმ დროს, როცა იუდა მას მტერს უგდებდა ხელში მოსაკვდინებლად! ჰოი, ენითუთქმელო გულმოწყალებავ ცოდვილთა ცხოვნების მაძიებელი იესო ქრისტესი _ ჭეშმარიტად «ცოდვილთა ცხოვრებად მოვიდა იგი». ასეთივე გულმოწყალებით გეძებს მწყემსი კეთილი, შენც გეძებს და სხვა დანარჩენ ცოდვილებსაც _ გზააბნეულ ცხოვართ. სულს შენსას საშინლად ქენჯნის სინდისი, აშფოთებს გონებაში გაჩენილი შიში სიკვდილისა ან სასჯელისა, გმუსრავს ავადმყოფობა, გეწევა უბედურება. წმინდა ლიტურგია, რომლის წინაშეც წარსდგები, სიტყვა ღვთისა, რომელსაც გულისყურს მიუგდებ, _ ეს ყოველივე ხომ საიდუმლო ხმობაა იესო ქრისტეს მოწყალებისა, რომელიც დაგეძებს და სინანულისაკენ გეწევა? *«ადამ, სადა ხარ?»* (დაბ. 3, 9) და გეუბნება: «სად დაეხეტები დაღუპულო ცხვარო? ცოდვილო, საით გამირბიხარ? გზააბნეულო სულო, სად ხარ?» *ადამ, სადა ხარ?* ადამიანო! _ *«ვერ გიცნობიეს, რამეთუ სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მოგიყვანებს შენ?»* (ჰრომ. 2, 4). თუ გესმის, თუ აცნობიერებ, რომ მადლი ღვთისა სინანულად გიხმობს, მეტიც: იესო ქრისტეს მოწყალება გეძებს და გიხმობს, შენ კი გაგონება არ გსურს და მას სულ უფრო შორდები.. როგორღა იქცევა მწყემსი კეთილი იესო ქრისტე? მრისხანებს შენზე? გკიცხავს? არა! ის შენს მოქცევას ელის, ითმენს...

ქრისტემ თქვა იგავი: მავანს ვენახში ლეღვის ხე ედგა. მოვიდა პირველ წელს, მეორე წელს, რათა მისგან ნაყოფი მიეღო და ვერ იპოვა. მესამე წელს გაბრაზებულმა პატრონმა უთხრა მებაღეს: ზედიზედ სამი წელია მოვდივარ, რომ ამ ლეღვის ხისგან ნაყოფი მივიღო და ზედ ვერაფერს ვპოულობ. ის, როგორც ჩანს, უნაყოფო დარჩება. მოსჭერ, რათა ადგილი უქმად არ დაიკავოს».

«აჰა ესერა სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა და არა ვჰპოვებ. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად (ლკ. 13, 7). არა ჩემო ბატონო, _ პასუხობს მევენახე, კიდევ წელიწადი მოიცადე, იქნებ გამოიღოს ნაყოფი _ *«უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა... ყოს ხოლო თუ ნაყოფი»* (ლკ. 13, 8-9). უნაყოფო ლეღვი _ ეს ცოდვილი ქრისტიანია ქრისტეს წმინდა ეკლესიაში. მას აქვს ფოთლები _ სარწმუნოების სწავლება, მაგრამ არა აქვს ნაყოფი _ საქმენი სარწმუნოებისა. მდიდარი არ გამოიღებს მოწყალების ნაყოფს, პირიქით, ჩაგრავს და ძარცვავს; ღარიბი არ გამოიღებს მოთმინების ნაყოფს _ იპარავს და ცრუ ფიცით სცოდავს; მღვდელი არ იძლევა ნაყოფს _ კეთილ მაგალითს, პირიქით, აცდუნებს და უწესობებს სჩადის; ერისკაცს არ მოაქვს ქრისტიანულ სათნოებათა ნაყოფი _ ის ბრალეულია ყოველგვარ უსჯულოებაში. მოდის უფალი პირველ, მეორე, მესამე წელს, ღირსეულ ნაყოფს ეძებს: გულწრფელ აღსარებას, გამოსწორებას, ცვლილებებს ზნესა და ცხოვრებაში, და ვერაფერს პოულობს გარდა უნაყოფობისა და ბოროტებაში სიჯიუტისა და მართლმსაჯულება ღვთისა მრისხანებით ამბობს: «მოსჭერ, მოსჭერ ხე უნაყოფო, რომელიც არ არის ღირსი იმისა, რომ ადგილი ეკავოს ეკლესიაში, რომელიც მარადიული სატანჯველის ღირსია მხოლოდ». *«ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას»* (ლკ. 3, 9). არა ჩემო ბატონო, არა! _ პასუხობს ღვთის მოწყალება _ თუნდაც ერთი წელი მოიცადე, იქნებ მოგცეს ნაყოფი: *«უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა... ყოს ხოლო თუ ნაყოფი».* ცოტა ხანს კიდევ მოითმინე, იქნებ მოინანიოს ცოდვილმა, იქნებ დაბრუნდეს გზააბნეული ცხვარი; მოიცადე! მოითმინე! აი, ასეთია ღვთის მრავლისმოთმინება, რომელიც გეძახის, შენ კი მოუნანიებელი რჩები; გეძებს, შენ კი არ გინდა მასთან დაბრუნება და მაინც, ის დიდხანს ითმენს...

მაგრამ ცოდვილო, თუკი ჭეშმარიტად მოინანიებ, დაკარგულო ცხვარო, თუკი ჭეშმარიტად დაბრუნდები, იცი, როგორი სიხარულით მიგიღებს მწყემსი კეთილი? თავისი ღვთაებრივი მადლით შეგეწევა, თვითონ მიგიყვანს თავის ფარაში _ ცხონების საჩეხეში, გულში ჩაგიკრავს! ერთი დაკარგული ცხვარი ფარას დაუბრუნდა და ეს მწყემსისთვის უსაზღვრო სიხარულია. «წმინდა ანგელოზნო, იხარეთ ჩემთან ერთად! _ ამბობს იგი, გიხაროდეთ, რამეთუ ვიპოვე დაკარგული ცხვარი! დედამიწაზე ერთი ცოდვილი ინანიებს და ამით მთელი სამოთხე უსასრულო სიხარულით ხარობს ზეცაში. *«ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს»* (ლკ. 15, 7). მაგრამ საიდანაა ასეთი სიხარული? განა ღმერთი რაიმეს იძენს? არა! ცოდვილის მოქცევით გამოწვეულ სიხარულს საფუძვლად რა აქვს? სხვა არაფერი, თუ არა გულმოწყალება... ჰოი, უსასრულო, მიუწვდომელო მოწყალებავ ღვთისა! მაგრამ მოწყალეო ღმერთო *«რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას?»* (ფს. 8, 4). რა არის ადამიანი? ის ხომ მიწის მატლია უბადრუკი, მტვერია და მიწა, არარაობა? და შენ ასე ზრუნავ მისი ცხონებისათვის? უმადურმა შენი მცნება დაარღვია, შენი სჯული გათელა, შენი სახელი შეაგინა, შენი საიდუმლონი მოიძულა, შენს მადლს დიდხანს უცხოობდა და

შენ გახსოვს მრავალი, მრავალი შეცოდებანი მისი?! *«რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიხსე მისი?»* დიახ ის ცოდვილია, ეს სიმართლეა, მაგრამ ის ქმნილია ხელთაგან ჩემთა! *«ცხოველ ვარ მე... რამეთუ არა მნებავს მე სიკუდილი უთნოჲსაჲ ვითარ მოქცევაჲ მისი გზისაგან მისისა და ცხოვნებაჲ მისი»* (იეზ. 33, 11). უწყის შემოქმედმა თავისი ქმნილება და მის უძლურებას ითმენს, ცოდვებს მიუტევებს. დამშვიდდი ცოდვილო! თუმც მართლა შესცოდე, არ არის ცოდვა, ღვთის მოწყალებას რომ გარდაემატოს. შესცოდე, მაგრამ რა წამსაც მოინანიებ და ღვთისაკენ მიიქცევი, შენი ყველა ცოდვა დავიწყებული, გამოსწორებული და მიტევებულია! ამასვე ბრძანებდა უფალი ესაიას პირით: *«ნუგეშინის-სცემდით... ერსა ჩემსა..., ეტყოდეთ გულსა იერუსალემისასა... რამეთუ დაჴსნილ არს ცოდვა მისი* (ეს. 40, 1-2); *«ვითარცა ცვილი, რაჲ დადნის წინაშე ცეცხლსა»* (ფს. 67, 2). ასე ქრება კაცის ცოდვა ღვთის მოწყალების ალში.

ქრისტიანო! კაცი კაცს არ მიუტევებს ისე, როგორც ღმერთი! ადამიანი უმეტესწილად არ მიუტევებს, ხოლო თუ მიუტევებს, მხოლოდ სიტყვით და არასდროს სრულად. ღმერთი კი სრულ მოტევებას მოგვმადლის; აბესალომი თავისი ძმის, ამონის მოკვლის შემდეგ იერუსალიმიდან გაიქცა და კარგა ხანს დევნილობაში უცხო მხარეს _ გესურეთს აფარებდა თავს. იოაბის შუამდგომლობით დავითმა მიუტევა და ნება დართო დაბრუნებულიყო იერუსალიმში, მაგრამ იმ პირობით, რომ ის, მის სახლში დამკვიდრებული, თვალით არ დაენახვებოდა: *«და მივიდა სახიდ თჳსა და პირი მეფისა არა იხილა»* (2 მეფ. 14, 24), მაგრამ ეს რაღა მიტევებაა? ნუთუ ეს დავითია, ბუნებით მამა და უთავმდაბლესი ადამიანი, ნუთუ ასე მიუტევებს ძეს თვისას? ჯობდა არ მიეტევებინა, დევნილობაში დაეტოვებინა, ან მოეკლა, როგორც ბოროტმოქმედი. თუკი ჭეშმარიტად მიუტევა, მისი დანახვა რად არ ისურვა, რად არ დაისვა ტრაპეზზე, რად არ არგუნა სიყვარული. სამართლიანად ჩიოდა დამწუხრებული აბესალომი: *«რასათჳს წარმოვედ მე გესურით და ვზი აქა? უმჯობესი იყო ჩემდა მუნ ჯდომა... და თუ არს რამე შეცოდება ჩემ თანა, სიკუდილით მომაკუდინენ მე!* (2 მეფ. 14, 32). ეს რაღა მიტევებაა?! ასე მიუტევებს ადამიანი ადამიანს, მეტიც, მამა _ შვილს! ახლა ვნახოთ როგორ მიუტევებს ღმერთი. უცხო ქვეყანაში, სახლიდან და მშობლიური სიყვარულისაგან შორს ცხოვრობდა უძღები შვილი, მაგრამ გონს მოვიდა, თავისი ცოდვა შეიგნო და თქვა: *«აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა* (ლკ. 15, 18). «დაე მოვიდეს! ჩემს სახლში დაბრუნდეს და მყის წარმომიდგეს, მე თავად მივეგებები და ვეამბორები საყვარელ ძეს ჩემსას!» და კიდევ: *«ვიდრე შორსღა იყო, იხილა იგი მამამან მისმან და შეეწყალა; და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს უყოფდა მას* (ლკ. 15, 20). დაე შემოვიდეს და უმალ დაჯდეს ტრაპეზზე ჩემთან ერთად! მსახურნო ყველაზე მსუქანი ხბო დაკალით! დაე მოვიდეს, მთელი უწინდელი პატივი მიეგოს და ამასთანავე მთელი ჩემი წყალობა და სიყვარული! *«გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცუთ ბეჭედი ჴელსა მისსა და ჴამლნი ფერხთა მისთა»* (ლკ. 15, 22). განა შეიძლება მქონდეს იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე ვხედავდე ჩემს ძეს, რომელიც *«მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა»* (ლკ. 15, 24). ასეთია მთლიანი და სრულყოფილი მიტევება! აი ასე მიუტევებს უფალი ადამიანს!

როგორი გულქვაობა იქნება, რომ შენ, ცოდვილო, რომელმაც ღვთის უსასრულო გულმოწყალების შესახებ ისმინე, არ ინდომო სინანული?! უძღებო ცხვარო მოექეც! სინანულად ისწრაფე, ადექ, ჩქარა წადი, უძღებო შვილო და მერწმუნე, სიხარულით

მიგიღებს მწყემსი კეთილი, შვილთმოყვარე მამა, გჯეროდეს, რომ მისგან შენი ცოდვების სრულ მიტევებას მიიღებ, თუნდაც ეს ცოდვები იყოს მემრუშისა, მეზვერისა და ავაზაკისა! ამაში გარწმუნებ იმ წმინდა ხორცით, რომლითაც სიტყვა ღვთისა განკაცდა! იმ ცრემლით, რომელსაც ჩვილი ღვრის ბეთლემის ჰურიასთანის ბაგაში, იმ რძით დედისა და ქალწულ მარიამისა, რომლითაც ის საზრდოობს, იესოს იმ მადლიანი სახელით გარწმუნებ, რომელიც ნიშნავს _ მაცხოვარს, რომელიც თავის ხალხს ცოდვათაგან იხსნის.

II

ცოდვილებმა ალბათ არ უნდა ისმინონ ღვთის ესოდენ დიდი მოწყალების შესახებ, რათა თავიანთ ცოდვაში კიდევ უფრო არ აღივსონ კადნიერებით, პირიქით, უკეთესი იქნებოდა იმის შესახებ მოესმინათ, თუ რაოდენ დიდია ღვთის მართლმსაჯულება, შეშინებულნი იქნებ სწრაფადვე მიიქცნენ სინანულისაკენ. მაგრამ მე სრულიადაც არ ვფიქრობ ასე: ღვთის მოწყალებისა მეტად მეშინია, ვიდრე მისი მართლმსაჯულებისა, მოწყალე ღმერთის წინაშე მეტად ვთრთი, ვიდრე მართლმსაჯულისა. რომ ყოფილიყო ის მთლად სიმართლე, მთლად მრისხანება, მე კი მოუნანიებელი დავრჩენილიყავი, გარკვეული გამართლება მექნებოდა, როგორ მივიქცე ღვთისაკენ, ვისი სიმართლე მკაცრად წონის ჩემს სულ მცირე შეცოდებასაც, ჩემს უმნიშვნელო სიტყვებს და საიდუმლო ზრახვებს, ვისი მრისხანების წინაშეც ცა, დედამიწა, ჯოჯოხეთი ძრწიან? *«უკუეთუ უსჯულოებათაებრ მიაგებდე, უფალო, ვინ-მე დაუთმის?»* (ფს. 129, 3). ღმერთმა წმინდანები მთელი თავისი სიმართლით რომ განსაჯოს, შესაძლოა, მის წინაშე ისინიც კი არ აღმოჩნდნენ მართალნი, მე ცოდვილს რაღა მელის. ღვთის სიმართლის სამსჯავროზე მასთან, საშინელ მართლმსაჯულთან მიახლოება რომ ვერ გამებედა, გავქცეოდი და მოუნანიებელი დავრჩენილიყავი, მექნებოდა რაღაც გამართლება, მაგრამ მაშინ, როცა ღმერთი წყალობითა და მოწყალებითაა აღსავსე და მაინც არ ვინანიებ, რა გამართლება მაქვს? როცა ვუწყი, რომ მე, ცოდვილი, არ ვძულვარ, ჩემს სინანულს შეიწირავს და ესოდენ დიდი სიხარულითა და სიყვარულით მომიტევებს, მე კი მაინც მოუნანიებელი ვრჩები, რით შემიძლია, თავი ვიმართლო? სწორედაც რომ მოწყალეა ღმერთი, მე კი ასე შორს ვარ სინანულისაგან. უსაზღვროა მოწყალება ღვთისა, მაგრამ ცოდვებში ჩემი სიჯიუტეც საშინელია! ბოლოს და ბოლოს ამ ყოველივეს რასთან მივყავართ? იმასთან, რომ საბოლოოდ ღმერთიც პირს იბრუნებს ჩემგან და რამდენადაც დიდი იყო მისი მოწყალება, მით უფრო მძიმე იქნება სასჯელი, ღვთაებრივი ოქროპირის სიტყვით: *«თუკი ღვთის მოწყალებით დროულად მოსარგებლეთათვის ეს მოწყალება ცხონების საფუძველია, მის აბუჩად ამგდებთათვის ის გზაა საშინელი სასჯელისაკენ!»* (საუბარი 5, რომაელთა მიმართ ეპისტოლე).

მაშინ ვაი ჩვენ, ცოდვილნო, როცა ბოლოს და ბოლოს ამოილევა მრავლისმოთმენა ღვთისა! ჩუმად და მდორედ მიედინება მდინარე, მას კალაპოტი იმწყვდევს დღეს, ხვალ, ზეგ და თანდათანობით იმატებს, დიდი ხნის მშვიდი და წყნარი, საშინელ დინებად იქცევა, ნაპირებს აწყდება, ტბორავს მინდვრებს, პირუტყვი და ხეები მიაქვს. ღვთის მოთმინებაც ასევეა: მშვიდი და წყნარი დღეს, ხვალ, ზეგაც, ჩვენს მოქცევას ელის. თუკი მოუნანიებელნი დავრჩებით, ის მძვინვარებაში გადადის და ცოდვაში ჩვენი ჯიუტად დგომის შემხედვარე, აღარ გვიცდის და რამდენადაც დიდი იყო მისი მრავლისმოთმენა, მით მეტად ეგზნება მრისხანება და თავისი სამართლიანი მრისხანებით უფალი წყრება, სჯის, მოაკვდინებს, სატანჯველში აგდებს (იხ. ჰრომ. 2, 5). მისი მოწყალებით დროულად მოსარგებლეთათვის ეს მოწყალება ცხონების საფუძველია, მაგრამ მის უგულებელმყოფელთათვის _ საშინელი

სასჯელის დასაწყისი?! ალბათ იკითხავთ: რამდენ ხანს შეიძლება მიცადოს ღვთის მოთმინებამ? მე კი გკითხავ, შენ რამდენ ხანს ისურვებდი რომ მოეცადა? ამ წელს, იმ წელს, თუ უფრო დიდხანს? დაე იყოს ასე! მაგრამ შენ რომ მარადიულად გეცხოვრა დედამიწაზე, მარადიულად გექნებოდა ცოდვის ჩადენის სურვილი _ ამიტომ ერთი წუთითაც არა ხარ ლოდინის ღირსი! რამდენ ხანს გელოდა, მოციქულის სიტყვით: გელოდა *«მრავლითა სულგრძელებითა»* (ჰრომ. 9, 22), შენ კი არც ახლა და არც წარსულში სინანული აზრადაც არ მოგსვლია! ღმერთი უსასრულოდ ბრძენია და არ ცდება იმაში, რაც მან მომავალში უნდა აღასრულოს. დიდხანს მოგითმენს კი? ვინ არის ამის მთქმელი? შესაძლოა დიდხანს გითმინოს, ან არ გითმინოს! შენ კი არად გიღირს, რომ შენი უდარდელობით ცხონების დაკარგვის საფრთხის წინ დგები! დიდხანს მოგითმენს კი უფალი? ეგებ აღარ შეუძლია შენი მოუნანიებლობა აიტანოს? ის თავისი მოწყალებით შენს ცოდვებს ითმენს, მაგრამ იგივე მოწყალებით ვერ მოითმენს, რომ მას უსულგულოდ მოეპყრა! განა არის რაიმე იმ უსულგულობაზე მეტი _ სცოდო და არ მოინანიო მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოწყალეა? თუკი ჩვენ, ადამიანები, გონიერი არსებანი ვართ, თუკი მორწმუნე ქრისტიანები ვართ, ყური ვუგდოთ და მივყვეთ ღვთაებრივი ოქროპირის სიტყვებს: «ნუ გამოვცდით მის მრავლისმოთმინებას, არამედ მოვიხვეჭოთ ვითარცა საჭურჭლე, არა მრისხანება, არამედ ცხონება, არა სასჯელი და სატანჯველი, არამედ ღირსება და გვირგვინი უფლისა იესო ქრისტესი, რომელსა შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნისამდე, ამინ!»

სიტყვა ქრისტეშობის დამდეგ კვირას

(მეორე)

***

«წიგნი შობისა იესო ქრისტესი»

(მთ. 1, 1)

იოანე ღვთისმეტყველმა თავის ღვთაებრივ გამოცხადებაში იხილა ამაღლებულსა და დიდებულ საყდარზე მჯდომარე უფალი, რომელსაც მარჯვენით ეპყრა შიგნიდან და გარედან დაწერილი, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი საოცარი წიგნი *«და ვიხილე მარჯუენით საყდართა ზედა მჯდომარისა მის წიგნი, შინაგან და გარეგან, დაბეჭდული ბეჭდითა შვიდითა»* (გამოც. 5, 1). უფლის მარჯვენაში საიდუმლო წიგნი, სულიერი მინიშნებით, არის დასაბამიდან ღვთივწერილი წიგნი, იდუმალი, სამარადისო ყოვლადბრძნობისა, შიგნიდან დაწერილი, რადგან იმ არსებით საიდუმლოს შეიცავს, რომელიც თავად ღმერთს შინაგანად ახასიათებს; და გარედან დაწერილი, ვინაიდან სახლთმშენებლობის იმ დანარჩენ საიდუმლოებებს იტევს, რომლებიც ქმნილებას გარეგანად ეხება. წიგნი შვიდი ბეჭდითაა დაბეჭდილი, ანუ ის სავსებით უხილავია და მიუწვდომელი.

პირველი ბეჭედი ღვთის გონმიუწვდომელ არსსა და დაუსაბამო ბუნებას, უმაღლეს ყოფიერებას, ყოფიერებას თავისსავე თავში და წყაროს ყოფიერებისას, ბეჭდავს და ფარავს;

მეორე ბეჭედი ბეჭდავს და ფარავს ამ ერთიანი არსებისა და ბუნების _ ერთანი სამების სამ იპოსტასს, მამას, ძესა და სულიწმინდას _ ერთიან ღმერთს; მესამე _ ამ ღვთაებრივ პირთა პირველსაუკუნო წარმომავლობას; მეოთხე _ ყოველ სხეულებრივ და უსხეულო ქმნილებათა არაფრისაგან ყოფიერებად ქმნას; მეხუთე _ ღვთაებრივი სიტყვის განკაცებას დროში; მეექვსე _ განკაცებული სიტყვის ვნებასა და სიკვდილს; მეშვიდე _ მომავალ ცხოვრებას, კეთილ საქმეთა ჯილდოდ ნეტარებას სამოთხეში და ბოროტების მისაგებელს ჯოჯოხეთში;

სახლთმშენებლობის (მაცხოვრის) განხორციელებამდე ეს ყოველივე დაბეჭდილი საიდუმლო იყო, ყველაფერი ღვთაებრივი მდუმარების სიღრმეში იყო დაფარული და ამიტომაც უცნობი და უხილველი იყო არა მხოლოდ ადამიანებისთვის, რომელთა ნაწილი წარმართობით იყო დაბნელებული, ნაწილი კი (ებრაელები) _ სჯულის ჩრდილს შეფარებული, ის ასევე უცნობი და უხილველი იყო თვით უხორცო სულებისთვისაც. ამიტომ ამბობს იოანე: *«და ვერვინ შემძლებელ იყო ზეცათა შინა, არცა ქუეყანასა ზედა, არცა უფსკრულთა შინა განღებად წიგნისა მის და არცა მიხედვად მისა»* (გამოც. 5, 3) მათი გაცხადება და მათზე ბეჭდების ახსნა შეეძლო მხოლოდ ლომს იუდას ტომიდან, დავითის ფესვს _ მხოლოდშობილ ძეს და სიტყვას, რომელმაც, განხორციელებულმა და ჩვენს შორის დამკვიდრებულმა, დაფარული გააცხადა, გამოუთქმელი გამოთქვა. ახსნა პირველი ბეჭედი _ და ადამიანებმა მყის შეიმეცნეს ერთიანი ღმერთი; ახსნა მეორე _ და შეიმეცნეს ღმერთი სამიპოსტასიანი; ახნა მესამე _ და შეიმეცნეს ძის მამა და სულიწმიდის გამომყვანებელი ღმერთი; ახსნა მეოთხე _ და შეიმეცნეს ღმერთი ყოვლის შემოქმედი; ახსნა მეხუთე _ და განკაცებული ღმერთი შეიმეცნეს; ახსნა მეექვსე _ და შეიმეცნეს იგი ხორცით ვნებული; მეშვიდე ახსნა და _ მსაჯული, მართალთა კეთილისმყოფელი და ცოდვილთა მსაჯული ღმერთი შეიმეცნეს. ამგვარად ეს დაბეჭდილი წიგნი საყდარზე მჯდომარისა, საიდუმლოთა გაცხადებისა, და აღთქმათა აღსრულების წიგნი გახდა, ანუ *«წიგნი შობისა იესო ქრისტესი».* სულიწმიდის სწავლება, ღვთივშემეცნებითი აღზრდა, სარწმუნოებრივი სიბრძნისმოყვარეობა, მარადიული ნეტარი ცხოვრების მეცნიერება _ აი «*წიგნი შობისა იესო ქრისტესი».* დღეს, კეთილმსახურო მსმენელნო, მსურს, წაგიკითხოთ წიგნი, რომელსაც აქვს ერთი და ერთადერთი შინაარსი _ შობა იესო ქრისტესი, წაგიკითხოთ და აგიხსნათ, რათა შეძლებისდაგვარად გადავჭრათ ორი საკითხი: პირველი _ როგორ აღსრულდა ასეთი შობა; მეორე _ რატომ აღსრულდა ის. სხვა სიტყვებით, რანაირად იქმნა ღმერთი ადამიანად და განგიმარტოთ, თუ რისთვის განკაცდა იგი. და ეს იმისათვის, რათა ერთი მხრივ ღვთის უსაზღვრო ყოვლადბრძნობა და ყოვლადძლიერება შევიმეცნოთ, მეორე მხრივ კი _ მისი უსაზღვრო სიკეთე და სიყვარული.

I

სახლთმშენებლობის განკაცების უდიადესი საიდუმლო, როგორც უმეტესად ამაღლებული, კეთილშობილური და სრულყოფილი საქმე ღვთაებრივი შემოქმედების ყოვლადბრძნობისა და ძალისა, ღვთის ყოვლისმცნობელი გონით ყოველივეზე უწინ იყო განჩინებული და გათვალისწინებული. იქამდე, ვიდრე ანგელოზთა თუ ადამიანთა, ან სხვა არსებათა შექმნას ღმერთი წინასწარ განსაზღვრავდა, თავისი წინასაუკუნო ბჭობით ღვთაებრივი სიტყვის განკაცება განაჩინა. ამიტომ წმინდა წერილში ღვთაებრივი სიტყვის განკაცებას უფლის გზის დასაბამი ეწოდება, ხოლო განკაცებულ სიტყვას _ ყოველ ქმნილებაზე უწინარეს შობილი. ღვთის ეს იპოსტასური ყოვლადბრძნობა იგავთა წიგნის

მე-8 თავში საკუთარ თავზე ამბობს: *«უფალმა დამამტკიცა მე დასაბამად გზათა მისთა. საქმეთა შინა მისთა უწინარეს დასაბამისა დამამტკიცა მე»* (იგ. 8, 22); ნეტარი პავლე კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში ქრისტეს შესახებ საუბრისას ამბობს: *«რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ, პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ»* (კოლ. 1, 15). ამას ყველა წმინდა მასწავლებელი იმ მნიშვნელობით განმარტავს, რომ საქმე ეხება იესო ქრისტეს, მაგრამ არა ღვთაებრიობით, რადგანაც იგი, როგორც ღმერთი, ერთარსია მამისა, არ არის ღვთისაგან ქმნილი, არ არის ქმნილებათაგან პირველი, როგორც ამბობდა ღვთისმგმობელი არიოზი, არამედ ეხება კაცობრივად. ის, როგორც დასაბამი მისი ღვთაებრივი განჩინებისა, როგორც ქმნილებათა შორის უპირველესი, ყოველივეზე უწინ განჭვრიტა ღმერთმა. ამას ამგვარადვე ხსნიან ათანასე დიდი არიანელების წინააღმდეგ მე-3 და მე-4 სიტყვაში; კირილე ალექსანდრიელი «საგანძურის» მე-2 წიგნში (თ. მე-4, მე-6, მე-11); ღვთაებრივი ავგუსტინე სამების შესახებ პირველ წიგნში (თ. მე-12). სავსებით ნათელია, რომ განხორციელების სახლთმშენებლობა ღვთის მიერ ყველა საქმეზე უწინ იყო განჩინებული, რამეთუ ეს ღმერთს იმაზე მეტად განადიდებს, ვიდრე მისი ყველა დანარჩენი საქმე. არც ყველა ადამიანს, ერთად აღებულს და არც ანგელოზებს არ ძალუძთ ღვთისადმი ისეთი დიდების მიგება, როგორსაც მიაგებს ერთიანი ღმერთკაცი _ სიტყვა, რომელიც თავის დაუსაბამო მამას მიმართავს და ეუბნება: *«მე გადიდე შენ ქუეყანსა ზედა»* (ინ. 17, 4)

არსებობს ეკლესიის ზოგიერთი მამის მოსაზრება, რომ ეს საიდუმლო, ვითარცა ძვირფასი მარგალიტი, ზეცაში, ღვთაებრივი მეცნიერების საუნჯეშია დავანებული. ის გამოცხადების მეშვეობით საუკუნეთა დასაბამისას გამჟღავნდა, რათა ანგელოზებს ეხილათ და ღვთაებრივი ყოვლადბრძნობის საოცარი საქმით განკვირვებულიყვნენ. მთიებმა სწორედ ამაში ნახა საბაბი იმისა, რომ ადამიანთან ღვთის იპოსტასური შეერთება შეშურებოდა და თავისი აღმატებულობით გაამაყებულს ეთქვა: «_ სხეულებრივი და მიწიერი ადამიანი კი არა, მე ვარ ღირსი *აღვიდე ზედა ღრუბელთა და ვიყო მსგავს მაღლისა»* (ეს. 14, 14), და ამგვარად ელვასავით გარდამოემხო ზეციდან. მაქსიმე აღმსარებელი ნაზიანზელის აზრთან შეთანხმებით 42-ე კითხვა-მიგებაში ამასვე ამტკიცებდა: «ამპარტავნებით გარდამომხობილი მთიები შურმა დააბნელა, რამეთუ მან, ღვთაებრივმა, ვერ აიტანა, რომ არ სცნეს ღმერთად». მაგრამ საბოლოოდ, *«ოდეს მოაწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმა ძე თჳსი»* (გალ. 4, 4) რა დრო იყო ეს, როცა ღმერთმა დასაბამითვე განსაზღვრა ამ სახლთმშენებლობის განხორციელება?

ღმერთმა ექვს დღეში სამყარო შექმნა. პირველ დღეს ქმნა ნათელი, მეორე დღეს _ ცა, მესამე დღეს _ მიწა, მეოთხე დღეს _ მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მეხუთე დღეს _ ცხოველები, მეექვსე დღეს _ ადამიანი. ისევე, როგორც სამყარო შეიქმნა ექვს დღეში, ზუსტად ასევე, ბუნებითი და დაწერილი სჯულის ხელმძღვანელობით მან ექვსი პერიოდი გაიარა; ექვსი დღის განმავლობაში ყოველდღიურად ახალი ქმნილება ჩნდებოდა, ასევე ექვსი პერიოდიდან თითოეულში რაიმე ღირსშესანიშნავი ხდებოდა. პირველი _ ეს ადამის პერიოდია, როცა სამყარო შეიქმნა; მეორე პერიოდი ნოესია _ მოხდა წარღვნა; მესამე პერიოდი აბრაამისაა _ წინადაცვეთას მიეცა დასაბამი; მეოთხე პერიოდი მოსესია _ სჯული მოგვეცა; მეხუთე პერიოდი სოლომონისა _ ტაძარი აიგო; მეექვსე პერიოდი ჰეროდესი _ იუდეურმა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. ჰეროდეს დროს დაიბადა ქრისტე და აღსრულდა იაკობის წინასწარმეტყველება: *«არა მოაკლდეს მთავარი იუდასაგან და წინამძღუარი წყვილთაგან მისთა ვიდრემდე მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს და იგი არს*

მოლოდება წარმართთა» (დაბ. 49, 10). ასეც უნდა მომხდარიყო, რამეთუ როგორც მეექვსე დღეს შეიქმნა ადამიანი, მეექვსე პერიოდში ასევე უნდა განახლებულიყო იგივე ადამიანი. მეექვსე დღეს ძველი კაცი შეიქმნა, მეექვსე პერიოდში _ ახალი; ძველმა ყოველი ადამიანი სიკვდილს დაუქვემდებარა, ახალმა ყველა მომკვდარს სიცოცხლე მიჰმადლა; ის _ მამაა ბუნებითი შობით, ეს _ მამაა სულიერი აღორძინებით; მაშინ ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად და მსგავსდ, ახლა ღმერთი განხორციელდა და ადამიანის ხატი და მსგავსი იქმნა; მაშინ ადამიანმა ხატება და მსგავსება ღვთისა ზიარებითა და მადლით მიიღო, ახლა ღმერთი ხდება ადამიანის ხატი და მსგავსი ბუნებითა და იპოსტასით;

ჩვენი ჭვრეტის საგანი სწორედ ამაში, ძველი და ახალი ადამის, ადამიანისა და ღმერთის შობაში მდგომარეობს. როცა ადამი შეიქმნა, ზეცა კაშკაშა ვარსკვლავებით იყო შემკული, დედამიწა _ ათასგვარი ყვავილნარით მოკაზმული; ხოლო როცა იშვა ქრისტე, მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღვთისა, იყო ღამე და ეს ყოველივე მღვიმეში, ბაგაში აღსრულდა. ის, ვინც იშვა, დავითის შთამომავალი იყო, სამყაროს მაცხოვარი, მესია, რომლის შესახებაც ამცნობდნენ წინასწარმეტყველნი და რომელსაც ებრაელი ერი იმდენი საუკუნის მანძილზე მოელოდა. თუმცა ნაცვლად იმისა, რომ მისი შობა იმავწუთს ცნობილი გამხდარიყო მთელი ისრაელისათვის, ან თუნდაც მთელი იერუსალიმისათვის, უკიდურეს შემთხვევაში მღვდელმთავრებისათვის, უხუცესებისათვის და ქალაქის მთავრებისათვის მაინც, ეს დიადი მოვლენა საიდუმლოდ რჩება, ამის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცის, იმ რამდენიმე მწყემსის გამოკლებით, რომლებსაც ეს ამბავი ანგელოზმა აუწყა. სახელოვანი იყო ადამიანის შექმნა, ამას ცა და მიწა უმზერდნენ; დაფარული და უცნობი იყო შობა ქრისტესი, როცა ეს ღამით, რომელიღაც გამოქვაბულში აღსრულდა. ნუთუ ასეთია შობა კაცთა ხსნისათვის მოსული ღვთისა? _ დიახ, ამიტომაც დაე ის შეძლებისდაგვარად დაფარული, სამყაროსთვის თითქმის უცნობი იყოს, დაე, ჩანდეს ისე, თითქოსდა ეს ჩვილი არ არის დიდების ზეციური მეუფე, დაე, ყველაზე ღარიბი და დამცირებული ადამიანი იყოს დედამიწაზე, რათა ეშმაკი უფრო დიდ შეცდომაში იყოს შეყვანილი. დაე მან ის ჩვეულებრივ ადამიანად ჩათვალოს, რათა შემდგომ მასში უზენაესი ღმერთი შეიმეცნოს. *«ჰოი, სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა»* – ამბობს ოქროპირი. როგორ იქმნა ღმერთი ადამიანად, სიტყვა როგორ განკაცდა, დაუსაბამომ დასაბამი რანაირად შეიძინა? თუნდაც ეს იყოს *«ჰურიათა... საცთურ, და წარმართთა სისულელე»* (1კორ. 1, 23), ეს მაინც ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოების დოგმატია, მეტიც, მთელი საფუძველია სარწმუნოებისა, რომელიც გვასწავლის, რომ ჭეშმარიტად *«სიტყუაი იგი ხორციელ იქმნა და დამკვიდრდა ჩუენ შორის»* (ინ. 1, 14); გვასწავლის, რომ განხორციელდა სიტყვა, ანუ მეორე პირი წმინდა სამებისა, და არა პირველი _ მამა, ან მესამე _ სულიწმიდა. იმის გამო, რომ ცოდვამ ადამიანში ღვთის ხატი გაანადგურა, ძე, რომელიც არის სიტყვა (გონი), ადამიანთან უნდა შეერთებულიყო, რათა მისი უგონობა აღმოეფხვრა *«ჰბაძვიდა ... პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ»* (ფს. 48, 20); კიდევ იმიტომ, რომ სწავლულთა თქმით: «შობა არ არის თვისება მამისა, რომელიც არ შობილა, და არც სულიწმიდისა, რომელიც გამოვალს, არამედ ძის თვისებაა და იმიტომ იწოდება _ ძედ, რომ იშობა; უნდა ყოფილიყო ძე, რათა ყოფილიყო ერთი და იგივე, ანუ ის, ვინც აწ ერთხელ იშობა და ამავდროულად იშობა დაუსაბამოდ. შობა იმგვარად აღსრულდა, რომ არც ღმერთი გადაქცეულა ადამიანად და არც ადამიანი _ ღმერთად, უფალი ისე განკაცდა რომ უფლადვე დარჩა, და ადამიანი

განიღმრთო ისე, რომ დარჩა ადამიანად და ის, ვინც იყო სრული ღმერთი და სრული კაცი, არის ერთიანი _ იესო ქრისტე; ჩვენი სარწმუნოება გვასწავლის, რომ მხოლოდ ღვთაებრივი სიტყვის ერთიან იპოსტასში შეერთდა ორი ბუნება და ორივე თავისი თვისებებით. ერთი იპოსტასი ორ ბუნებას, ღვთაებრივსა და კაცობრივს, არ ურევს; ორი ბუნება ერთ იპოსტასს არ ყოფს. ისევე, როგორც წმინდა სამების საიდუმლოში გვწამს პირთა ბუნების ერთიანობა და სამპიროვნება, აქაც, განხორციელების სახლთმშენებლობაში, სრულად გვწამს ერთი პირი და ორი ბუნება. სარწმუნოება გვასწავლის, რომ ბუნებათა ეს ერთიანობა იპოსტასური გახდა, ანუ ერთი და იგივე (ორბუნებოვანი) ღმერთკაცი – ერთიანია და ამავდროულად (ერთი იპოსტასით) ღვთაებრივი სიტყვაა, როგორც ათანასე დიდი ღვთისმეტყველებს: ის სიტყვაა ჩვენს მიერ აღიარებული, ორი ბუნებიდან და ორი ბუნებით, შეურევნელი, დაურღვეველი, განუყოფელი, არა როგორც ღმერთშემოსილი კაცი, არამედ როგორც ხორცშესხმული ღმერთი; სარწმუნოება გვასწავლის, რომ ღვთაებრივმა სიტყვამ ქალწულისაგან ჭეშმარიტი, სრულყოფილი სხეული მიიღო, მოიღო ასევე სრულყოფილი სული, ანუ სული გონებითა და ნებით, ერთიანი სხეული _ სხეული ღვთისა და სიტყვისა; ერთდროულად განსულიერებული გონიერი სხეული და განსულიერებული გონიერი სხეული ღვთისა და სიტყვისა _ ასე განსაზღვრავს სოფრონის ეპისტოლეთი მე-6 მსოფლიო კრება; სარწმუნოება გვასწავლის, რომ სიტყვა სწორედ ქმრისაგან გამოუცდელი ქალწულისაგან იშობა უმეტესწილად იმიტომ, რომ ზეცაში ერთიანი მამისაგან დროის გარეშე შობილი ძე, დედამიწაზე, დროში, ერთიანი დედისაგან უნდა შობილიყო, რათა ერთან ძეს ჰყოლოდა ერთიანი მამა ისევე, როგორც ჰყავდა ერთიანი დედა *«ჰოი სიღრმე სიმდიდრისა* (ვიმეორებ) *და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა»* (ჰრომ. 11, 33)

ეს პირველი თავია იმ საგნისა, რომელსაც იესო ქრისტეს შობის წიგნი შეიცავს, სწორედრომ სახეა, რომლის მეშვეობითაც ღმერთი განკაცდა.

მეორე თავი იკვლევს საკითს, თუ რატომ განკაცდა ღმერთი. აქ კვლავ იხსნება სასწაულთა უფსკრული *«რამეთუ ქრისტე იესო მოვიდა სოფლად ცოდვილთათჳს ცხოვრებად, რომელთაჲ პირველი მე ვარ»* (1 ტიმ. 1, 15) ამბობს პავლე მოციქული. ქრისტიანენო! ღმერთის განკაცება _ ეს დიადი სასწაულია, აქ კი ღვთის უსაზღვრო ყოვლადბრძნობა და ძლიერება, ღვთის უსაზღვრო მადლი და სიყვარული ცხადდება, ეს კიდევ უფრო დიადი სასწაულია, რამეთუ ღმერთი ადამიანის საცხოვნებლად განკაცდა! ადამის შეცოდების შედეგად ადამიანი ღმერთს განუდგა, ღვთის რისხვის საგანი, ცოდვის მონა, ეშმაკის ტყვე, საუკუნო ტანჯვის მემკვიდრე შეიქნა. ადამიანს არ ჰყავდა შუამავალი, რომ იგი ღმერთთნ შეერიგებინა; მისთვის დახშული იყო ცათა სასუფევლის კარი, დაკარგული იყო ხსნის იმედი. ღმერთმა შეიბრალა თავის ხელთაგან ქმნილი, თავად ჩამოვიდა მიწაზე, განკაცდა, რათა ადამიანი ეხსნა, ანუ ცხონების გზა ეჩვენებინა, მისთვის ცათა სასუფევლის კარი გაეღო, ღმერთთან და მამასთან შეერიგებინა, ცოდვის მონობისაგან, ეშმაკის ტყვეობისაგან, საუკუნო ტანჯვისაგან დაეხსნა *«მოვიდა ძე კაცისაჲ ცხოვრებად წარწყმედულისა»* (მთ. 18, 11). აი, მიზანი გახორციელების სახლთმშენებლობისა.

ეკლესიის ღვთისმეტყველნი გაოცებული არიან: ნუთუ ადამიანის ხსნისათვის არ შეეძლო ღმერთს წარმოეგზავნა სხვა ადამიანი, სულითა და ძალით მოსეს მსგავსი? «არა, ადამიანს, როგორ ნიჭებსა და სათნოებებსაც არ უნდა ფლობდეს ის, არ შეუძლია გაიღოს საფასური, რომელიც მარტოოდენ მისი სულისთვის იკმარებდა, მით უმეტეს, ყველას სულისათვის; ღმერთს ანგელოზი რომ წარმოეგზავნა? _ არც ეს ივარგებდა, რამეთუ არც

ანგელოზს და არც ადამიანს თავიანთი ბუნებით და აქედან გამომდინარე, თავიანთი ძალით არ შეუძლიათ, ზიდონ ტვირთი, ზღონ ცოდვის ვალი, ცოდვისა, რომელიც უსაზღვროა. შევთანხმდეთ, რომ უნდა მოსულიყო ღმერთი, მაგრამ თუკი მას ქმნილ ბუნებასთან შეერთება სურდა, მაშინ აირჩევდა უფრო კეთილშობილურს _ ანგელოზურს და არა ადამიანურს. არა, ამბობს პავლე მოციქული, *«... არა სადაჲთ ანგელოზთაჲთ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო»* (ებრ. 2, 16) მას ადამიანი უნდა ეცხოვნებინა, ამიტომ ეს საქმე უნდა აღესრულებინა _ ადამიანს. ეს იმისთვისაც იყო საჭირო, რომ ბუნებით ძლეული ეშმაკი, რომელსაც მან ადრევე სძლია, კიდევ უფრო შერცხვენილიყო, ვინაც ღმერთად გახდომის ცრუ დაპირებით ოდესღაც ადამიანი აცდუნა, განკაცებული ღმერთის შემხედვარე, თავად შემცდარიყო; მაგრამ ყოვლადძლიერმა ღმერთმა როგორც შეგვქმნა ერთი სიტყვით, ჩვენი ხსნა განა ერთი სიტყვით არ შეეძლო, განა ჩვენს ვალს განკაცების გარეშე ვერ გადაიხდიდა და ცოდვებს ვერ მოგვიტევებდა? რა თქმა უნდა მოგვიტევებდა _ გვპასუხობენ ათანასე დიდი არიანელთა წინააღმდეგ მე-3 სიტყვაში და ნეტარი ავგუსტინე სამების შესახებ მე-13 წიგნში *«... ნებასა მისსა ვინ-მე წინააღუდგა?»* (ჰრომ. 9, 19). მაგრამ ამ სახით ჩვენ შევიმეცნებდით მის უკიდურეს ძლიერებას, მაგრამ ვერ შევიმეცნებდით მის უკუდურეს სიკეთეს და სწორედ ამიტომაც განკაცდა იგი: *«მრავლითა სიყუარულითა მისითა, რომლითა-იგი შემიყუარნა ჩუენ»* (ეფ. 2, 4). აი როგორ დამდაბლდა ღმერთი და როგორ ამაღლდა ადამიანი!

როცა მეფე სედეკია ავად გახდა და სიკვდილის პირას მივიდა, ესაია წინასწარმეტყველმა ღვთის სახელით გამოჯანმრთელება უწინასწარმეტყველა და დასარწმუნებლად უცნაური ნიშანი უჩვენა: ჩრდილმა, რომელიც დროს უჩვენებდა, და მასთან ერთად მზემაც, დაშვების ადგილიდან ათი საფეხურით აიწია. ეს სახლთმშენებლობის საიდუმლოს _ ძე ღვთისას განკაცების წინასახე იყო. სიმართლის დაუვალმა მზემ მოდრიკა ზეცა, როგორც ცხრა საფეხური, ანგელოზთა ცხრა განწესება გამოიარა და მეათემდე, ადამიანურ ბუნებამდე დაეშვა *«... ქვეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა თანა იქცეოდა»* (ბარ. 3, 38), ხოლო როცა უფალი განკაცდა, ძველი წყევის შედეგად დამცირებულმა და არარად ქცეულმა ადამიანურმა ბუნებამ ცხრა საფეხური განვლო, ანგელოზთა ცხრა განწესებაზე ამაღლდა, უმაღლეს, მეათე საფეხურს _ ღვთაებრივ ბუნებას მიაღწია, რომელთანაც იპოსტასურად შეერთდა; ამგვარად განიღმრთო ადამიანი. *«ჰოი, სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა!»*

ღმერთო ყოვლადძლიერო! ღმერთო ყოვლადბრძენო! ღმერთო ყოვლადკეთილო! შენს ძალას სხვა, ამ სამყაროსაგან განსხვავებული, შეუდარებლად დიდი სამყაროს შექმნა შეეძლო, შენი ყოვლადბრძნობა შეძლებდა შეექმნა შეუდარებლად უფრო ლამაზი სამყარო, მაგრამ შენს სიყვარულს არ შეეძლო და ვერც შეძლო აღესრულებინა იმაზე დიდი და მშვენიერი საქმე, ვიდრე საქმე შენი განხორციელების სახლთმშენებლობისა! ამაზე მაღლა ასვლა მას აღარ შეეძლო (ნეტარი ავგუსტინე). ამიტომ გხედავთ რა ახალშობილ ყრმას გამოქვაბულში, ქალწულის მკერდში ჩაკრულს, გვწამს, რომ შენ სწორედ ის ხარ, ვინც ღვთისა და მამის ნეტარ წიაღთან განუშორებლად წმინდანთა შორის ბრწყინავ; მწყემსებთან ერთად განვკვირდებით, თაყვანს გცემთ, მოგვებთან და ანგელოზებთან ერთად დიდებისგმეტყველებთ: *«დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება»* (ლკ. 2, 14)

II

არცთუ საიდუმლო მნიშვნელობის გარეშეა ის გარემოება, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე იუდეის ბეთლემში იშობა. მიქიას წინასწარმეტყველებით *«და შენ ბეთლემ, სახლი ეფრათასი, მცირე ხარ ყოფად ათასეულთა შორის იუდასათა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდად ყოფადი, მთავრად ისრაილსა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით დღეთაგან საუკუნოჲსათა»* (მიქ. 5, 2) იუდეა ნიშნავს აღმსარებლობას, ხოლო ბეთლემი _ პურის სახლს. ქარაგმული მნიშვნელობით ქრისტეს მაძიებლები იუდეაში, ანუ წმინდა აღსარებაზე უნდა წავიდნენ, ბეთლემში წასვლა კი ნიშნავს მიახლებს საკურთხეველთან, რომელიც არის სახლი ცხოველმყოფელი პურისა. ასევე მინდა ვთქვა, რომ ქრისტეშობის მოზეიმეთათვის აუცილებელია ღირსეული აღსარება და ზიარება. როცა ჩვენი ეკლესია ორმოცდღიან მარხვას ადგენდა, მხედველობაში სწორედ ეს ჰქონდა, რათა აღსარებისა და ზიარებისათვის მოვმზადებულიყავით. მაშ ასე, ქრისტიანენო, იმისათვის, რომ სულიერ ბეთლემს მივაღწიოთ და ცისა და მიწის მეუფე ვპოვოთ, სამი კეთილმსახური მოგვის კვალს გავყვეთ. ისინი მიჰყვებოდნენ ვარსკვლავს, რომელიც ცაზე სწორედ ამ დროს გამოჩნდა და მათ ის ადგილი უჩვენა, სადაც ქრისტე იშვა *«და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი»* (მთ. 2, 9). ჩვენ ეს ვარსკვლავი ღვთის სიტყვაში, წმინდა სახარებაში, მადლის სჯულში გვაქვს, რის შესახებაც ამბობდა წინასწარმატყველი: *«სანთელ არს ფერხთა ჩემთა სჯული შენი და ნათელ-ალაგთა ჩემთა»* (ფს. 118, 105). ის სანთელია ჩვენ ფერხთათვის, რათა ვხედავდეთ, როგორ დავდივართ; სანთელია ჩვენს გზაზე, რათა ამ ცხოვრებაში გზა არ აგვებნეს; როცა მოგვები მოვიდნენ და ღვთაებრივი ყრმა დედითურთ იხილეს, მოწიწებით მუხლი მოიდრიკეს, და თაყვანი სცეს; თავიანთი საგანძური გახსნეს და ოქრო, გუნდრუკი და მური მიართვეს, რასაც ჩვეულებრივ მკვდართა დაკრძალვისას იყენებდნენ. ღვთაებრივი განგებულებით მათ აღიარეს: ოქროთი _ მეუფე, გუნდრუკით _ ღმერთი და მურით _ მოკვდავი ადამიანი. ჩვენც, როცა აღსარებისთვის და ზიარებისთვის ვემზადებით, რათა მოვიღოთ ქრისტე, თითქოსდა სამი ძღვენი უნდა შევწიროთ მას: პირველი _ ჩვენი გული, ვითარცა ოქრო, განწმენდილი ყოველგვარი ბოროტი სურვილისა და სამარცხვინო აზრებისაგან; მეორე _ სული, ვითარცა საკმეველი, ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულით აღნთებული; მესამე _ ხორციელ ვნებათა მოკვდინება, შემუსვრილება და ლმობიერება. სგვაგვარად, შევწიროთ მას სამი ძღვენი: ოქრო, ანუ მოწყალება; საკმეველი _ ლოცვა; მური _ სინანულის ცრემლი. ეს არის მომზადება ჭეშმარიტი აღსარებისა და ღირსეული ზიარებისთვის. ქრისტეს თაყვანისცემის შემდგომ მოგვები იგივე გზით არ დაბრუნებულან, ისინი სხვა გზას გაყვნენ *«სხჳთ გზით წარვედინ სოფლად თჳსა»* (მთ. 2, 12) ეს არის ის აუცილებელი რამ, რაც უნდა გავაკეთოთ. ამ წმინდა დღეებში სინანულისა და ზიარების შემდგომ ნუღარ გავუყვებით იმ გზას, რომლითაც მოვედით, არამედ *სხვით გზით* წავიდეთ; შევიცვალოთ გზა, შევიცვალოთ ზნე, შევიცვალოთ ცხოვრება. *სხჳთ გზით* ნუ დავუბრუნდებით ძველ ვნებებს, ძველ ცოდვებს, ძველ წარსაწყმედელს, არამედ სხვა გზას _ ქრისტიანული სათნოებების გზას შევუდგეთ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ცოდვების გზა დავუტევოთ, რომელსაც საუკუნო სატანჯველთან მივყავდით; წავიდეთ *სხჳთ გზით* სრული გამოსწორებისა, რომელიც საუკუნო ცხოვრებასთან მიგვიყვანს.

სიტყვა ლუკას სახარებაზე

სიტყვა დღესასწაულთა პატივისცემაზე

«ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა
ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი
განიკურნებოდეთ და ნუ დღესა შაბათსა»

(ლკ. 13, 14)

არის ორი რამ, რომელთა დამალვა ძნელია; ნივთიერ ბუნებაში ეს ცეცხლი და სინათლეა, ზნეობრივში კი მოშურნეობა და ჭეშმარიტება. ამიტომ ყველას შეუძლია იოლად გაიგოს, რომ ის, რასაც დღეს სინაგოგის მთავარი ამბობს, მომდინარეობს არა მოშურნეობიდან, რომელიც მას ვითომდა სჯულის მიმართ აქვს, არამედ უმეტესწილად შურისაგან, რომელსაც ქრისტეს მიმართ გრძნობს. *«დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ ათრვამეტ წლითგან; და იყო იგი დაღონებულ და ვერ ეძლო ზე აღხილვად ყოვლითურთ»* (ლკ. 13, 11). უბედური ქალი! ეშმაკის მოქმედებით თვრამეტი წელი ისეთ მძიმე ტანჯვას იტანდა, რომ თავის აწევაც კი არ შეეძლო. ამიტომ, მუდამ მოხრილს, წვალებით უნდა ევლო და საცოდავ სანახავს წარმოადგენდა. ერთ-ერთ შაბათ დღეს იესო ქრისტე სინაგოგაში ასწავლიდა. მან ის დაინახა, შეებრალა, მოიხმო, თავისი ყოვლადძლიერი, მაკურნებელი მარჯვენით შეეხო და განკურნა. სიხარულით აღვსებული ქალი ღმერთს ადიდებდა: *«და ვიდოდა და ადიდებდა ღმერთსა»* (ლკ. 13, 13). სასწაულის მხილველი ხალხი სასწაულთმოქმედი მეუფის სასახელო საქმეების გამო ფრიად ხარობდა: *«და ყოველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ»* (ლკ. 13, 17). რატომ ახდენს სასწაულებს ქრისტე? რატომ ხდება, რომ მას დედაკაცი ემადლიერება და ადიდებს, მისი სწავლებითა და სასწაულებით ერი ხარობს, ხოლო მწიგნობარნი და ფარისეველნი _ ეს შურიანი თვალთმაქცები ცდუნდებიან, ყველაზე მეტად კი სინაგოგის მთავარი: *«მიუგო შესაკრებლის მთავარმან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესო, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ და ნუ დღესა შაბათსა»* (ლკ. 13, 14). კეთილი. შაბათობით მუშაობას სჯული ყველას უკრძალავს, თუმც ის არ კრძალავს ავადმყოფის განკურნებას. როგორც ამბობს თეოფილაქტე: სატანა ქალიდან, რომელიც მას შეკრული ჰყავდა სნეულებით, სინაგოგის მთავარში გადავიდა და შურით შეკრა. ის იმიტომაც დრტვინავს სასწაულის ძალაზე, რომ სასწაულთმოქმედის დიდება შურს: «უწინ ქალის შემკვრელი სატანა ახლა სინაგოგის მთავარს კრავს შურით და მისი პირით სასწაულს აგინებს». ამგვარად, სინაგოგის მთავრის სიტყვები მომდინარეობდა არა სჯულისადმი მოშურნეობიდან, არამედ ქრისტეს მიმართ შურიდან. მაგრამ სწორედ ის, რასაც სინაგოგის მთავარი სატანური მოშურნეობით იუდეველ ხალხს ეუბნება, მინდა ქრისტიან ერს ვუთხრა სახარებისეული მოშურნეობით: *«ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ... და ნუ დღესა შაბათსა»*; ანუ თქვენ კვირის ექვსი დღე გაქვთ, რათა თქვენი ყოველი საქმე და სამუშაო ამ დღეებში შეასრულოთ და არა შაბათ დღეს, არა დღესასწაულზე, როცა უნდა იყოს სიმშვიდე და არ უნდა გქონდეთ სხვა საქმე გარდა ღვთის განდიდებისა და საკუთარ ცხონებაზე ზრუნვისა. ეს იქნება დღევანდელი ქადაგების

საგანი, რომელშიც დღესასწაულთა წმიდაყოფის ვალდებულება და შესაბამისი სახე მინდა გიჩვენოთ. ვიდრე დავიწყებდე, მინდა შეგახსენოთ, რა თქვა ნეტარმა პავლემ: *«ბრძენთა და უგუნურთა თანამდებ ვარ»* (ჰრომ. 1, 14). სხვაგვარად: მოვალე ვარ ვაუწყო ღვთის სიტყვა როგორც სწავლულთ, ასევე უსწავლელთ; მე იმასვე ვამბობ: მოვალე ვარ, ყველასათვის გასაგებად ვილაპარაკო. ვაფასებ, აღვამაღლებ და პატივს ვცემ სწავლულობას, სწავლულთა სათნოებასა და სიბრძნეს, განათლებულ და ბრძენ მამებს, რომლებიც ამ მართლმადიდებელ კრებულს ამშვენებენ, მაგრამ მათ წინაშეც იგივე ვალი მაქვს, რაც უბრალო, უსწავლელი და გაუნათლებელი ხალხის წინაშე, რამეთუ ისინიც ქრისტიანები არიან და ცხონებას ეძიებენ. ზეციური წვიმა არ ასხვავებს და ეპკურება როგორც შორეულ უდაბნოებსა და ველებს, ასევე აქვე გაშენებულ ბაღებს; როგორც ველურ მცენარეებს, ასევე უნაზეს ყვავილებს, მსგავსად ამისა, ღვთის სიტყვაც განურჩევლად ყველას ეხება: სწავლულებს, უსწავლელებს, წარჩინებულთ და მდაბიოთ, სასულიერო პირებსა და ერისკაცებს, მაგრამ მივუბრუნდეთ საგანს, რომელიც ყველაზე მთავარია დღეს.

I

«ექუსნი დღენი არიან რომელთა შინა ჯერ არს საქმედ... და ნუ დღესა შაბათსა».

ღმერთი გარშემოუწერელია და მარადიული; ადგილით არ ისაზღვრება, დროით არ იფარგლება; ის ადგილსა და დროზე მაღლაა. ყოველგან არის და ყოველსავე აღავსებს. თავისი შემოუზღუდავობის გამო ის ყოველგანაა და თაყვანისცემაც ყველგან შეიძლება რომ მიიღოს, ამიტომ ამბობს წინასწარმეტყველი დავითი: *«აკურთხევდით უფალსა ყოველნი ქმნულნი მისნი ყოველსა ადგილსა უფლებისა მისისასა»* (ფს. 102, 22). თავისი ყოველგან მყოფობის თვისებით ის ყოველ დროში ერთნაირად არსებობს და ერთნაირად შეიძლება იყოს განდიდებული; ამიტომ ბრძანებს ქრისტე: *«ჯერ არს მათდა მარადის ლოცვაჲ»* (ლკ. 18, 1). და კიდევ: *«იღვძებდით... ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ»* (ლკ. 21, 36). მოციქული ასე გვიდგენს: *«მოუკლებელად ილოცევდით»* (1 თეს. 5, 17). თვით მეფსალმუნე ღმერთთან საუბრისას ამბობს: *«რომელსა დღესა გხადოდი შენ; აჰა ესერა მიცნობიეს მე, რამეთუ ღმერთი ჩემი ხარი შენ»* (ფს. 55, 9). მაგრამ ყველაფერთან ერთად შემოუსაზღვრავ ღმერთს, ყოველ ადგილზე თაყვანისცემულს, სურს, რომ განსაკუთრებული თაყვანისცემა ერთ, განსაზღვრულ ადგილზე მიიღოს. ეს ადგილი არის ეკლესია, ქრისტიანებისათვის ღვთის თაყვანისცემის საერთო ადგილი, რის გამოც მას ღვთის სახლი და სალოცველი სახლი ეწოდება. ეს არის ზეციური და უხილავი ღმერთის მიწიერი და ხილული სამყოფელი. მეორე მხრივ, საუკუნო ღმერთი, «რომელი ყოველსა დღესა და ყოველსა ჟამსა მარადის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა თაყვანის-იცემების და იდიდების», განსაკუთრებულად განდიდებას განსაზღვრულ, ანუ ერთ, განსაკუთრებულ დღეს მოითხოვს. ეს დღე არის დღესასწაული, ჟამი, მიძღვნილი მხოლოდ ღვთისადმი, ესე იგი, როგორც ეკლესიაა ერთი ღმერთისადმი მიძღვნილი ადგილი, სადაც ლოცვითა და საღვთისმსახურო გალობით ღვთის თაყვანისცემისა და ღვთისმსახურების გარდა არაფრის კეთება არ შეიძლება, ასევე დღესასწაული არის დრო, როცა ჭეშმარიტად შინაგანი და გარეგნული მოკრძალებით ღვთის განდიდების გარდა არ შეგვიძლია რაიმე ვაკეთოთ. მეოთხე მცნება ამაზეა დაფუძნებული: *«დაიმარხეთ შაბათი ჩემი, რამეთუ წმიდა არს უფლისა მიერ... რომელმან შეაგინოს იგი, სიკუდილითა მოკუდეს... ექუს დღე იქმოდე საქმესა შენსა, ხოლო დღე იგი მეშჳდე განსუენება არს, წმიდაჲ უფლისაჲ; რამეთუ ექუსთა დღეთა ქმნა უფალმან ცა და ქუეყანაჲ და დღესა მეშჳდესა დააცადა»* (გამ. 31, 14-17). ღმერთს ამით სურს, თქვას შემდეგი:

დაიცავით შაბათი, ანუ დღესასწაულები; ვინც არ დაიცავს მათ და რაიმე საქმეს გააკეთებს, მოვაკვდინებ და მის სულს შევმუსრავ. მე თქვენ სამუშაოდ კვირაში ექვს დღეს გაძლევთ, მეშვიდეს ჩემთვის ვიტოვებ, დასვენებას ვაწესებ. ღვთის სახელით მაუწყებელი მოსე ამას მიზეზსაც ამატებს: ღმერთი ექვსი დღე ქმნიდა და შექმნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი საქმეთაგან დაისვენა, ამბობს ის. გევედრებით, ჩაუფიქრდით ამას. პირველ რიგში, ის, ვინც ასეთ მცნებას გვაძლევს, ცისა და მიწის ღმერთია. მეორე _ ის იმათ, ვინც ამ მცნებებს არ ასრულებს, სიკვდილით ემუქრება, როგორც დაემართა იმ უბედურ კაცს, შაბათ დღეს რომ გამოვიდა შეშის მოსაგროვებლად და შეუბრალებლად იქნა მოკვდინებული. მესამე _ თავად ღმერთს, ყოველთა მეუფეს, რომელსაც შეუძლია ბრძანოს, რაც მოესურვება, და რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება, რომ ნდომებოდა, შეეძლო ჩვენთვის ებრძანებინა, კვირაში ექვსი დღე მისთვის გვემსახურა და ჩვენთვის ერთი დღე დაგვეტოვებინა. თუმცა უკიდურესი შემწყნარებლობით მან ექვსი დღე ჩვენ გვაჩუქა, რათა ჩვენი ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად, ჩვენი ოჯახების გამოსაკვებად გვემუშავა და ჩვენი საქმე წარგვემართა, თავისთვის კი მხოლოდ ერთი დღე დაიტოვა და ინება, რომ მისთვის კვირაში მხოლოდ ერთი დღე გვემსახურა, რაც ისევ და ისევ ჩვენს პირად კეთილდღეობას უკავშირდება, რამეთუ საკუთარი თავისთვის ექვს დღეს მუშაობით ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას უზრუნველვყოფთ. ერთი სადღესასწაულო დღის მსახურებით ღვთისადმი კი ჩვენს სულებს მომავალ ცხოვრებაში ვაცხოვნებთ. მსგავსი მცნების დაცვა ჩვენს უცილობელ მოვალეობას შეადგენს, რადგან ეს ღვთის მცნებაა. თუკი მას ვარღვევთ, მაშინ დიდ უბედურებაში ვვარდებით, თუკი ვიცავთ, დიდ მადლს ვიღებთ. მაშ ასე, *«ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ... და ნუ დღესა შაბათსა».* იმისათვის, რომ ეს დავიცვათ, ღმერთმა მცნებები მოგვცა და სამყაროს შექმნით მაგალითიც გვიჩვენა. მას მთელი სამყაროს შექმნა ხილულისაც და უხილავისაც წამისყოფით შეეძლო, მაგრამ ამის გაკეთება ექვს დღეში ინება. პირველ დღეს ქმნა ნათელი, მეორე დღეს _ ცა, მესამე დღეს _ მიწა, მეოთხე დღეს _ მზე და მთვარე, მეხუთე დღეს _ ცხოველნი, მეექვსე დღეს _ ადამიანი, ეს იმისათვის, რათა გაგვეგო, რომ სამუშაო დღე ექვსია. მეშვიდე დღეს უფალმა ყველა თავისი საქმისაგან დაისვენა, რათა მივმხვდარიყავით, რომ მეშვიდე დღე უქმეა. შემდგომ ჟამთა აღმწერელნი ამ სამყაროს არსებობის შვიდ პერიოდს ითვლიან; ქრისტეს მოსვლამდე ექვსი პერიოდის განმავლობაში სამყარო იღვწოდა, ბუნებრივი თუ დაწერილი კანონების უღელქვეშ შრომობდა; მეშვიდე პერიოდში, რომელიც ქრისტეს შობის შემდეგ დადგა, შეწყვიტა შრომა და სახარებისეული თავისუფლებისა და მადლის წიაღში ისვენებს, და როგორც წმ. პავლე მოციქული მრავალ ადგილას გვიხსნის, ეს იმისათვის, რომ ექვსი რიცხვი _ ეს შრომისა და გარჯის სიმბოლოა, შვიდი კი _ სიმშვიდისა და მოსვენებისა.

ამიტომ რიცხვი შვიდი ყველა დღესასწაულთა საზომი იყო ებრაულ სინაგოგაში, რომელიც იყო წინასახე ქრისტეს ეკლესიისა. შვიდი დღე _ შაბათის დღესასწაული; შვიდი კვირა _ სულთმოფენობის დღესასწაული, შვიდი წელი _ დასვენება ყველა საქმისაგან, ამ დროს მიწასაც არ ამუშავებდნენ; სამოცდაჩვიდმეტი წელი _ განტევება, ებრაულად _ იუბილე. უფრო მეტად კი შვიდით წინასახეობრივად აღინიშნებოდა მართლმადიდებლური სარწმუნოების დოგმატები. ძე ღვთისა განკაცდა, რათა ადამიანთა მოდგმა უწინდელ უკვდავებასა და ნეტარ ცხოვრებაში აღედგინა. ამაში მდგომარეობს სახლთმშენებლური ხორცშესხმა ღმერთკაცისა _ სიტყვისა, რომელიც დიად საქმეებს მოიცავს: პირველ რიგში ადამიანის დაბრუნებას მიწიდან ზეცაში; მეორე _ უსჯულოების

აღკვეთასა და მესამე ღვთის სიტყვის განხორციელებას. დედამიწიდან ზეცაში ადამიანის დაბრუნების სიმბოლო გახდა ენუქი, რომელსაც არ უხილავს სიკვდილი, რადგან იგი ღმერთმა წაიყვანა. ენუქი ადამის მოდგმაში მეშვიდე იყო. უსჯულოების აღკვეთის წინასახე იყო სჯული, რომელიც მოსემ მიიღო, ის კი აბრაამიდან იყო მეშვიდე. სამოცდამეჩვიდმეტე თაობაში აღსრულდა ღვთის სიტყვის ხორცშესხმა, როგორც გვამცნობს გენეალოგიაში წმ. ლუკა. ერთი _ რიცხვთა დაწყებაა, ათი _ მათი დასრულება. ასე რომ, სამოცდაჩვიდმეტი შვიდის უკიდურესი სრულყოფაა და ღვთის ძალის უსრულყოფილესი საქმე, საიდუმლოთა საიდუმლო ამ უსრულყოფილესი რიცხვით უნდა აღინიშნოს. ხოლო იმისათვის, რომ მივხვდეთ, რაოდენ წმიდა და ღირსეულია რიცხვი შვიდი, ძველი აღთქმის ყველა დღესასწაულთა საზომი და ახალი აღთქმის უმაღლეს საიდუმლოთა სიმბოლო, ღმერთმა ამ რიცხვით კვირა, მეშვიდე დღე აღნიშნა, რომელიც სხვა, განსაკუთრებული უპირატესობებითაც განწმიდა. კვირას მან ბუნების სამყაროს შექმნა დაიწყო, კვირა დღეს მადლის სამყარო შექმნა, ქრისტე კვირას იშვა და მკვდრეთით კვირას აღდგა; კვირას მოავლინა სულიწმიდა, რამეთუ ინება, რომ კვირის ექვსი დღე ჩვენი ყოფილიყო, ხოლო მეშვიდე, ანუ კვირა მისი დიდებისადმი ყოფილიყო მიძღვნილი _ *«რამეთუ ექუსთა დღეთა ქმნა უფალმან ცა და ქუეყანაჲ და დღესა მეშჳდესა დაეცადა»* (გამ. 31, 17). ამიტომ ეკლესიის პირით მან მთელი წლის კვირები და მათი მიხედვით წმიდანთა ხსენების დღეები ისე დაადგინა, როგორც _ საკუთარი; როცა ჩვენ არაფერი უნდა ვაკეთოთ, გარდა მისი, მეუფის განდიდებისა, მისი ერთგული მონებისათვის პატივის მიგებისა.

აი, განზრახვა ღვთისა. მაგრამ ეშმაკის ვერაგობა და შური რაღას აკეთებს? განდგომილი მთიები, როცა მას ჩანაფიქრი, ანუ ღმერთისათვის ცათა სასუფევლის წართმევა, თავისი ტახტის ღრუბლებზე ამაღლება და უზენაესის დამსგავსება არ გამოუვიდა, აქ, დედამიწაზე ყოველნაირად აბრკოლებს ღვთის დიდებას, უცქერს, როგორ იდიდება ღმერთი დღესასწაულებზე ხალხის მიერ და შურს, მრისხანებს, უხმობს დემონებს, თავის ამხანაგებსა და განდგომილების თანამონაწილეებს და ეუბნება: *«მოვედით და დავადუმნეთ ყოველნი დღესასწაულნი ღმრთისანი ქუეყანით»* (ფს. 73, 8). მოდით და ისე მოვაწყოთ, რომ დედამიწაზე დღესასწაულები შეწყდეს, არ დავუშვათ, რომ ღმერთი განიდიდოს, ხელი შევუშალოთ ამაში ქრისტიანებს, იმდენი სამუშაო და ქვეყნიური საქმე მივცეთ, რომ მათ დღესასწაულთა განდიდებისა და ეკლესიაში სიარულისთვის დრო აღარ ჰქონდეთ. *«მოვედით და დავადუმნეთ ყოველნი დღესასწაულნი ღმრთისანი ქუეყანით».* ის, რისი გაკეთებაც ეშმაკმა განიზრახა, პირველად ფარაონმა, ებრაელი ხალხის გულბოროტმა მწვალებელმა აღასრულა. თქვენ იცით, იმდენ ხანს როგორ მძიმე მონობაში იყვნენ უბედური ებრაელები ეგვიპტეში. ღმერთს ჩაგრულნი შეებრალა, მოსე და აარონი გაგზავნა ფარაონთან* სათქმელად, რომ მას ისინი უდაბნოში, სამი დღის სავალზე გაეშვა, რათა ედღესასწაულათ და მსხვერპლი შეეწირათ _ *«ამას იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჵ ლისაჲ: გამოავლინე ერი ჩემი, რათა მმსახურებდენ მე უდაბნოსა ზედა... განვიდი გზასა სამისა დღისასა უდაბნოდ, რათა მსხუერპლი შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა»* (გამ. 5, 1-3). ვინაა ეს ღმერთი ებრაელთა? _ იკითხა ღვთის მოძულე ტირანმა _ *«ვინ არს იგი, რათა ვისმინო ჴმისა მისისა?»* (გამ. 5, 2). ეს რა დღესასწაულია? რა მსხვერპლია? არ მსურს, რომ ისინი დღესასწაულობდნენ. დაე თითოეული თავის საქმეზე წავიდეს, დაე იმუშაონ _

* იგულისხმება ეგვიპტის XIX დინასტიის (დაახლ. 1320-1200 წ.ქ.შ.მდე) მესამე ფარაონი _ რამზეს II, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდა 400 წლის განმავლობაში იქ მცხოვრებ ებრაელებს.

«წარვედით კაცად-კაცადი თქუენი საქმესა თჳსსა» (გამ. 5, 4). ესა თქვა და ზედამხედველებსა და მწერლებს უბრძანა, მათთვის სამუშაო დამძიმებინათ. უწინ ებრაელები მხოლოდ თიხას ამზადებდნენ აგურისათვის, ეგვიპტელებს კი მათთვის ჩალა მოჰქონდათ. ამიერიდან ებრაელები თიხასაც ამზადებდენ და ჩალასაც აგროვებენ. *«დაუმძიმდინ საქმე კაცთა ამათ და მას ზრუნვიდნენ»* (გამ. 5, 9). ეგვიპტელი ზედამხედველები ებრაელებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ: *«ასწრაფდეს მათ საქმის მწუეველნი»* (გამ. 5, 10), რათა არც საშუალება ჰქონოდათ და არც დრო დღესასწაულის გასახსენებლად.

რასაც უშვრებოდა ებრაელებს ფარაონი, ეს ხორციელი ეშმაკი, ახლა იმასვე უშვრება უსხეულო ფარაონი _ ეშმაკი ქრისტიანებს საუფლო თუ წმიდანის დღესასწაულზე, როცა ისინი ოდნავ მაინც უნდა მოშორდნენ ეგვიპტეს, შავბნელ მონობას _ ქვეყნიურ ამაოებას, როცა თითქოსდა უდაბნოში უნდა გავიდნენ _ გონებით დაისვენონ, სამუშაოსგან გათავისუფლდნენ, მსხვერპლი შესწირონ, ღმერთი ადიდონ, მაშინ სულთა მტანჯველი ეუბნება: რა დღესასწაული? რის მსახურება? *«წარვედით კაცად-კაცადი თქუენი საქმესა თჳსსა».* რა გედღესასწაულება? _ ეუბნება ის ხელოსანს, _ დაასრულე სამუშაო, რომ შენთვის და ოჯახისთვის სადღეისოდ პური გქონდეს; წადი, ბაზარს გადახედე, ნახე, შენი ვაჭრობის საქმე როგორ მიდის, _ ეუბნება მოვაჭრეს; დიდებულის სასახლეში ისწრაფე, რომ საქმე მოიწყო, _ ეუბნება წარჩინებულს. შენი მიკვირს, რაღა გედღესასწაულება, როცა ასეთი გასაჭირი გაქვს? რისთვის ელოდები წირვას? საქმეზე დილით ადრიანად უნდა წახვიდე. საეკლესიო მსახურება რად გინდა? მონაზონი ხომ არა ხარ? *«წარვედით კაცად-კაცადი თქუენი საქმესა თჳსსა»,* _ ასე ურჩევს ეშმაკი და ქრისტიანებიც მის რჩევას ყურს უგდებენ, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ისევე, როგორც ფარაონი უმძიმებდა ებრაელებს სამუშაოს და როცა მათ დღესასწაულობა უნდოდათ, შრომას უორკეცებდა, ეშმაკიც ასევე ამრავლებს საქმეს. დღესასწაულებში ორჯერ, სამჯერ მეტ საქმეს აჩენს, ვიდრე დანარჩენ დღეებში. *«დაუმძიმდინ საქმე კაცთა ამათ და მას ზრუნვიდნენ!»* კიდევ მეტი: როგორც ფარაონის ზედამხედველები ერეკებოდნენ ებრაელებს სამუშაოდ, ასევე მავანნი მსახურნი ეშმაკისა მოდიან, გაღვიძებენ შუაღამისას, დილაადრიან საწოლიდან წამოგაგდებენ, ძალით მიჰყავხარ იქით, აქეთ, რათა არ გაგახსენდეს, რომ დღესასწაულია, რომ აქ, ეკლესიაში მოსვლის საშუალება არ გქონდეს. ამას ხედავს ეშმაკი და ღვთის ასეთი დამცირებით, ამდენი ადამიანის წარწყმედით ხარობს, ზეიმობს და კიდევ უფრო რიხიანად იმეორებს: *«მოვედით და დავადუმნეთ ყოველნი დღესასწაულნი ღმრთისანი ქუეყანით».*

რას იტყვი, ქრისტიანო! კმაყოფილი ხარ კი იმით, ღმერთის დამცირებით ეშმაკი ასე რომ ხარობს? ვიცი, რასაც მეტყვი: «იძულებული ვარ, დღესასწაული გავაცდინო: ყოველდღიური საზრდოს შოვნის აუცილებლობა მაიძულებს, ვიმუშაო. მსახურებასა და ღვთის სიტყვას იმისათვის ვტოვებ, რომ უფროსი მყავს სანახავი, რომელსაც სხვა დროს ვერ ვნახავ. საქმე დღესვე უნდა დავასრულო, რადგან ხვალ ვერ გავაკეთებ». შეშლილო! შენ ყველაფერ ამას აუცილებლობად თვლი, განა შენი ცხონება საჭირო საქმე არ არის? ამას მოვალეობად თვლი და ღვთის მცნების დაცვის აუცილებლობას ვერ ხედავ, რომლის გადაბიჯებაც მომაკვდინებელი ცოდვაა? როცა იუდამ დაინახა ნელსაცხებელი, რომელსაც მრუში ქრისტეს ფეხებზე სცხებდა, თქვა, რომ ის სამას დინარად გაიყიდებოდა; ხოლო როცა ებრაელებმა იესოს შეპყრობა განიზრახეს, მათ უთხრა: *«რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი?»* (მთ. 26, 15). როცა მას უთხრეს, რომ ოცდაათ ვერცხლს მისცემდნენ, კმაყოფილი დარჩა და არც შევაჭრებია. ასე რომ, ნაკლებსაც აიღებდა. ესე იგი, მას

ნელსაცხებლის შეფასება შეეძლო: *«შესაძლებელ იყო ესე განსყიდად უფროჲს სამასისა დრაჰკნისა»* (მრკ. 14, 5). ხოლო ქრისტე, უძვირფასესი საგანძური ცისა და მიწისა, არაფრად ღირდა მისთვის _ *«რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი?»*

შენც ასევე მსჯელობ: შენს პატარა შემოსავალს, სავაჭრო საქმეს, ზემდგომისა ან მფარველისადმი სამსახურს აუცილებელ, ფასეულ საქმედ თვლი. მცნებას კი, რომელსაც შენი ცხონების საზიანოდ არღვევ, არაფრად აგდებ. გგონია, რომ დგომითა და ღვთისმსახურების დროს ღვთის სიტყვის მოსმენით დროს კარგავ? მას კი არ კარგავ, მოიპოვებ, _ მოიპოვებ იმდენად, რამდენადაც ღმერთს უძღვნი, რომელიც მას ნამატით გიბრუნებს. ქრისტიანო! მოიხადე შენი ვალი, დაიცავი დღესასწაულები, რომლებსაც აგარიანნი და ებრაელებიც კი იცავენ და თუკი აუცილებელი საქმე გექნება, ის ღვთის განგებულებას მიანდე, ღმერთი მას ბედნიერ დასასრულამდე მიიყვანს. «წილი, ღვთისათვის ვალად მიცემული, არ იკარგება, არამედ მისგან ნამატით ბრუნდება. რამეთუ უფალი ყველა რთული ვითარებისაგან გვიხსნის და იმათ ასაჩუქრებს, ვინც სულიერ საქმეებს ამჯობინებს, სხეულს ჯანმრთელობას მიმადლებს, სულს _ სიმხნევეს, საქმეს კეთილად მოგვიწყობს და მთლ ცხოვრებაში კეთილად შეგვეწევა» _ ამბობს ბასილი დიდი (მე-8 საუბარი ექვსფსალმუნებაზე).

იმაზე იფიქრე, რომ, როცა ებრაელები უდაბნოში იყვნენ, ღმერთი მათ მხოლოდ ექვსი დღის განმავლობაში უბოძებდა მანანას, რადგან უნდოდა, რომ მეშვიდე, სადღესასწაულო დღეს მათ კარვიდან გამოსვლის საბაბი არ მისცემოდათ და იქ სიმშვიდეში დარჩენილიყვნენ, ღმერთი ედიდებინათ და მისი მადლიერნი ყოფილიყვნენ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღმერთმა ექვსი დღე კვირისა მუშაობისათვის მოგვცა და წარმატებასა და მოგებას მანანასავით მოგვივლენს, მეშვიდე დღეს _ კვირას ჩერდება და თუკი ვმუშაობთ, ამის გამო არა კურთხევას, არამედ წყევლას გვიგზავნის და ჩვენი შრომა ამაო, უსარგებლო და დაწყევლილია. ჩვენი მოგება კვამლად, ქარად გადაიქცევა. ჩვენს ღონისძიებებს სავალალო შედეგებამდე მივყავართ. *«ქსელსა დედაზრდილისასა ქსოენ; ქსელი მათი არ იყოს შესამოსლად... რამეთუ საქმენი მათნი საქმე უსჯულოებისა»* ამბობს ასეთებზე ესაია (ეს. 59, 5-6).

უფალს უნდა, რომ ამ დღეს ეკლესიას არ განვშორდეთ, იქ მშვიდად ვიყოთ ფსალმუნებასა და გალობაში, როგორც ამბობს მოციქული. ამგვარად, თუკი შეწყვეტ შრომას, მოგება გექნება, თუკი არ შეწყვეტ, არა თუ ვერაფერს შეიძენ, იმასაც დაკარგავ, რასაც შეძენილად თვლიდი. ესე იგი *«ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ... და ნუ დღესა შაბათსა».*

II

აქამდე იმათ ვესაუბრებოდი, ვინც დღესასწაულებს არ იცავს. ახლა კი რაღაც მინდა ვუთხრა იმათ, ვინც იცავს მათ, მაგრამ არა ისე, როგორც საჭიროა და სწავლებას ამით დავასრულებ. თუ რანაირად უნდა იქნას წმინდად დაცული დღესასწაულები, წინასწარმეტყველის რამდენიმე სიტყვით განგვიცხადა ღმერთმა: *«მოიცალეთ და გულისხმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი»* (ფს. 45, 10). ანუ გათავისუფლდით, მოისვენეთ ყოველგვარი სამუშაოსაგან, საყოფაცხოვრებო და საერო ზრუნვისაგან და შეიმეცნეთ, რომ მე ვარ ღმერთი! დაე, მთელი გონება თქვენი მთელი მოწიწებით ჩემდამო იყოს მომართული. დღესასწაული ღვთისადმი მიძღვნილ დღეს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, როგორც ეკლესიაში ვდგავართ მოწიწებით და მოკრძალებით, რამეთუ ის ღვთის სახლია,

ისეთივე მოკრძალება და მოწიწება უნდა შევინარჩუნოთ ყველგან, გზაში, თუ შინ ყოფნისას, რადგანაც ის უფლის დღეა. ეკლესიაში ჩადენილი ცოდვა მკრეხელობაა, რამდენადაც ეს ღვთის ადგილია; ასეთივე მკრეხელობაა ყველა ცოდვა, რომელსაც დღესასწაულებზე ჩავდივართ, რადგან ეს უფლის დღეა. ვიპარავთ თუ ვმრუშობთ დღესასწაულზე, იგივეა, რაც პარვა და მრუშობა ეკლესიაში. ეს გარემოება ჩვენ, სასულიერო პირებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გავარჩიოთ იმდენად, რამდენადაც დღესასწაულზე ჩადენილი ცოდვა გაცილებით მძიმეა, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს ჩადენილი ცოდვა. *«რომელმან შეაგინოს იგი, სიკუდილითა მოკუდეს... მოისპოს სული იგი შორის ერისა მის»* (გამ. 31, 14). დღესასწაული ნიშნავს წმინდა დღეს, რომელიც იმგვარად წმინდად უნდა შევინახოთ, რომ თავად გავხდეთ წმინდანი. შევიკრიბოთ ეკლესიაში, მსახურება მოვისმინოთ, განსაკუთრებით წირვა, რომლის გამოტოვებაც მომაკვდინებელი ცოდვაა. წმინდა წერილი ან წმიდანთა ცხოვრება ვიკითხოთ, დანარჩენი დრო ლოცვას მოვახმაროთ, ვთქვათ აღსარება და ყოვლადწმიდა საიდუმლოებებს ვეზიაროთ, როგორც ამას ძველი ქრისტიანები აკეთებდნენ, რომლებიც *«იყვნენ განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვასა»* (საქ. 2, 42). დაბოლოს, დღესასწაულის არსი, როგორც ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი, «კეთილ საქმეთა წარმოჩენაში, სულიერ მოკრძალებასა და ცხოვრების წესის სიმკაცრეში მდგომარეობს».

კეთილ საქმეთა წარმოჩენა, რაღა თქმა უნდა, არის კეთილ საქმეთა ჩვენება და არა მოხ-დენილი სამოსისა. ჩვენ კი ყოველ ღონეს ვხმარობთ ისე ვიდღესასწაულოთ, რომ მამაკაცები ქალებივით მორთულნი გამოცხადდნენ, ქალები კი, როგორც კერპები, რომლებიც *«განშუენებულ არიან და აღმკულ, ვითარცა მსგავსებაჲ ტაძრისაჲ»* (ფს. 143, 12), ამბობს წინასწარმეტყველი; ეს კი ნიშნავს, რომ ისინი დღესასწაულს შეურაცხყოფენ და ეკლესიაში ადამიანებისაგან თაყვანის მისაღებად უფრო მოდიან, ვიდრე ღვთისათვის თაყვანის საცემად. განა ასე ხდება წმინდაყოფა დღესასწაულებისა?

სულიერი მოკრძალება არის არა თავშეუკავებლობა, არა ლოთობა, არა სეირნობა. გულს მტკენს დანახვა და მრცხვენია, ვთქვა, თუ როგორ ზეიმობენ ამ დროს ქრისტიანები: ხელოსნები ექვს დღეს მშვიდად ატარებენ თავიანთ სახელოსნოებში, თავშეკავებით, მოკრძალებით, გონივრულად. კვირა დღეს კი სამიკიტნოში ჭკუიდან იშლებიან; ასე რომ, კვირა მიკიტნების დღესასწაულია. წმიდა შეკრების დღეებში რა ხდება? რას იტყოდნენ წმ. ნიკოლოზი, წმ. დიმიტრი, რომ ენახათ, როგორ აღნიშნავენ მათ ხსენებას სიმღერებითა და არა ფსალმუნთა გალობით; ელინური წარმართული მსხვერპლითა და არა უსისხლო მსხვერპლით; უფრო დემონური თავშეუკავებლობით, ვიდრე ქრისტიანული მოკრძალებით. განა ასე იკურთხება წმიდანთა დღესასწაულები?

ცხოვრების წესის სიმკაცრე ნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც კარგი ქრისტიანები, ყოველ დღეს ღვთის შიშით უნდა ვატარებდეთ, დღესასწაულებს კი _ განსაკუთრებულად წმინდად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ დღესასწაულებში ცოდვით სულის დამძიმების კიდევ უფრო მეტ საბაბს ვპოულობთ... ამიტომ ღმერთს შეუძლია ისევ გვითხრას ის, რაც ერთ დროს თქვა ესაიას პირით: *«მარხვა და უქმობაჲ და დღესასწაულნი თქვენნი ძულან სულსა ჩემსა»* (ეს. 1, 14). მეტს აღარაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთს გთხოვთ: თუკი ახლა თქვენ, ეკლესიიდან გასულები, ვინმე ქრისტიან ძმას შეხვდებით, რომელსაც ქადაგება არ მოუსმენია, ვინაიდან მას გონებრივი ფარაონი, ეშმაკი, შორს, სხვა სამსახურში აკავებდა, ყველაფერი უთხარით, რაც გაიგონეთ, რომ ღვთაებრივი მცნება დღესასწაულთა

წმიდაყოფას გვიბრძანებს კეთილი საქმეებით, კრძალული სულით და ცხოვრების წესის სიმკაცრით![*]

სიტყვა ლუკას სახარებაზე

ღვთის სიტყვის ქადაგების შესახებ

«გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თჳსისა;
და ... დავარდა გზასა ზედა ... და სხუაჲ დავარდა
კლდესა ზედა ... და რომელიმე დავარდა შორის
ეკალთა ... და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა»

(ლკ. 8, 5-8)

რა უბედურია ეს მიწათმოქმედი, რომლის შესახებაც დღევანდელი წმინდა სახარება მოგვითხრობს! რა ამაო შრომაა! რამდენი თესლია! რა ცოტა ნაყოფი! ის მხნე გულით თესავს, გაშლილი ხელით, კეთილი იმედებით, მაგრამ ხშირად თესლი გზაზე ხვდება, მას გამვლელები ქელავენ ან ჩიტები კენკავენ, ხშირად კლდეზე ვარდება და რამდენადაც სინოტივე არა აქვს, შრება, ხან ეკლიანში ცვივა, იქ ადგილი არ ყოფნის და ეკლით ითრგუნება. ყველაზე ცოტა კეთილ ნიადაგზე ხვდება, მხოლოდ იქ იდგამს ფესვს, იზრდება და ნაყოფსაც იძლევა.

გასაგებია ქარაგმა: მთესველი _ ეს წმინდა სახარების მქადაგებელი და მასწავლებელია; თესლი _ ღვთის სიტყვაა, რომელიც უხვად ითესება ღვთის წმინდა ტაძარში, მაგრამ ნაწილი თითქოსდა გზაზე იბნევა, ანუ ზოგიერთ ქრისტიანს შორის, რომლებიც მას ყურადღებას არ აქცევენ, სძულთ და ამიტომაც ის იფანტება; მეორე ნაწილი თითქოსდა კლდეზე ხვდება, ანუ მშრალ გულში, ამიტომაც ფესვს ვერ იდგამს და ვერ ძლიერდება; თესლის ნაწილი ეკალ-ბარდში ცვივა, ყოფითი საზრუნავით დაკავებულ გონებაში, ამიტომაც უნაყოფო რჩება. კეთილ ნიადაგზე, ანუ ზოგიერთ მოწიწებულ სულში უმნიშვნელო ნაწილი აღწევს. ისინი სიხარულით უსმენენ, მას მზრუნველობით აღასრულებენ და მას მხოლოდ აქ მოაქვს მრავალსახოვანი მაცხოვნებელი ნაყოფი. ჯერაც აქამომდე დიდი ზარალი აქვს მიწათმოქმედს, დიდია თესლის დანაკარგი; და მენანება თესლი, რომელიც იღუპება, ვწუხვარ მიწათმოქმედზეც, რომელიც ზარალს განიცდის. მაგრამ განუზომლად მეტად ვწუხვარ, უკეთ რომ ვთქვა, ვკვნესი და უნუგეშოდ ვტირი იმაზე, რომ ჩვენს უბედურ დროში არ არის მიწათმოქმედი და სრულიად გაქრა თესლი, ანუ ველარ იპოვი მქადაგებელსა და სახარების მასწავლებელს და ღვთის სიტყვის თესვა სრულიად შეწყდა. ამიტომ ქრისტეს ეკლესიის იდუმალი ყანა საბოლოოდ მიტოვებულია, რამდენადაც ის აღარ იხვნება და ითესება; ადგილი, რომელიც უწინ ცათა სასუფევლის ბელლისთვის ბევრ ან ცოტა ნარჩევ ხორბალს, სიმართლის ნაყოფს იწევდა, ახლა მხოლოდ ეკალ-ბარდს, სარეველას, უნაყოფო ხეებს ზრდის საუკუნო ტანჯვის ცეცხლისათვის. ამიტომ დღევანდელი იგავის მოშველიებით მინდა მიგითითოთ პირველ რიგში იმაზე, თუ

[*] ეს არის ერთადერთი ქადაგება, რომელიც მინიატისის მიერ კონსტანტინოპოლის დიდ ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგებებიდან შემორჩა. ამ ეკლესიაში ის შვიდი წლის მანძილზე ასწავლიდა.

რაოდენ სასარგებლოა და აუცილებელი ქრისტეს ეკლესიაში მთესველი, რომელიც თესავს, და თესლი, რომელიც ითესება, ანუ მქადაგებელი _ სახარების მასწავლებელი და სახარების ქადაგება ანუ ღვთის სიტყვა, სწავლება; მეორე მხრივ ცხონების ნაყოფის მოწევას ხელს რა უშლის? მე თანადგომას ვევედრები სულიწმინდას, რათა სახარების ქადაგების ის თესლი, რომელსაც დავთესავ, არა გზაზე, ან კლდეზე, ან ეკალ-ბარდში, არამედ ნაყოფიერ, კეთილ ნიადაგზე დაეცეს და სულიერი ნაყოფი ერთიასად გამოიღოს, *«ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!»* (ლკ. 8, 8)

I

მოახლოვდა დღეები, როცა ჩვენს უფალს, იესო ქრისტეს დედამიწა უნდა დაეტოვებინა და ზეცად ამაღლებულიყო; იქ, ელეონის მთაზე, მოციქულებს ამგვარ აღთქმას უდებს: მოწაფენო ჩემნო, მე შევასრულე ნება ჩემი წარმომგზავნელი მამისა; ახლა უნდა გაგშორდეთ და ამიტომაც გტოვებთ; მაგრამ ჩემი მეუფების, ჩემი სულის მემკვიდრეებად თქვენ გტოვებთ. საქმე, რომლის გაკეთებასაც გავალებთ, იმაში მდგომარეობს, რომ მთელი კაცთა მოდგმა ჩემს სარწმუნოებაზე მოაქციოთ. ამ დიდ სამყაროს ხომ ხედავთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, ის სოფლის მპყრობელის სამეფო ტახტია. აქ სამი დიდი მტერია: იუდეველთა მოუთვინიერებელი გულსასტიკობა, ელინთა ცნობისმოყვარე სიბრძნე და რომაელთა საშინელი ძალა. ასე რომ, თქვენ რომაელთა სიძლიერეზე გამარჯვება, ელინთა სიბრძნის შემუსრვა და იუდეველთა სასტიკი გულების მოლბობა მოგიწევთ, კერპთაყვანისმცემლობა და ურწმუნოება კეთილმსახურებად და ღვთივშემეცნებად უნდა აქციოთ; თქვენ მთელ მსოფლიოს უნდა სძლიოთ და სოფლის სამეუფო ღვთის სამეუფოდ გარდაქმნათ. *«წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა»* (მთ. 28, 19). უკიდურესად საძნელო საქმეა ის, რომ თორმეტმა ადამიანმა, ღარიბმა და უგვარომ, მთელ მსოფლიოს სძლიოს. მაგრამ როგორი იარაღი მისცა მათ ქრისტემ, როცა ასეთ დიდ ომში გაგზავნა? ღმერთი ისუ ნავეს მთელ ებრაელ ერთან ერთად იერიქონის დასაპყრობად გზავნის და ეუბნება: «ამ დიდებულ ქალაქს ხომ ხედავ? მისი მაღალი კედლები ხომ წარმოგიდგენია? ამ კედლებს ფუძემდე დავანგრევ და შენ ამ ქალაქში გამარჯვებული შეხვალ. ამასთანავე არ მსურს, რომ რაიმე იარაღი გამოიყენო, არც მახვილი, არც შუბი, არც მშვილდი და ისრები, საერთოდ, არანაირი საომარი აღჭურვილობა. ისიც საკმარისი იქნება, რომ მღვდლებმა აღთქმის კიდობანი მხრებზე შეიდგან, კედლებს შემოუარონ, საყვირებს ჩაჰბერონ და გპირდები, რომ საყვირების ხმაზე კედლები ჩამოიქცევა და ქალაქი შენს ხელში აღმოჩნდება». როგორც ითქვა, ისეც მოხდა: *«და დაჰბერეს ნუსტუთა მღდელთა მათ ... და დაეცა ზღუდე ... და აღჴდა ყოველი იგი ერი ქალაქად»* (ნავ. 6, 20). ქრისტემ ასეთივე აღთქმა დაუდო თავის მოციქულებს. მე თქვენ წარგგზავნით, რათა მთელ მსოფლიოს სძლიოთ, ყველა ქმნილება დაიმორჩილოთ, მართლმადიდებლობაზე მოაქციოთ ყოველი ერი, ყოველი ადამიანი ქრისტიანად აქციოთ. მაგრამ მე არ მსურს, რომ რაიმე იარაღი გამოიყენოთ, არ მინდა, რომ თან არა მხოლოდ მახვილი და შუბი, არამედ ფული ან კვერთხი წაიღოთ. ისიც საკმარისი იქნება, თუ კურთხევის კიდობანს _ ჩემს სახარებას ასწევთ და მასთან ერთად ყველა ადგილს შემოივლით, რათა ბაგენი თქვენნი იქმნენ ვითარცა საყვირნი და სახარება ყველას ამცნოთ. *«წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა»* (მრკ. 16, 15); გპირდებით, რომ სახარების ერთი ქადაგების წინაშე მთელი

ქვეყნიერება მუხლს მოიდრეკს და ჩემს სარწმუნოებაზე მოექცევა. ასე უთხრა მათ ქრისტემ და ასეც მოხდა: სახარების წინაშე, რომელსაც თავდაპირველად მოციქულები ავრცელებდნენ, დაეცა იერიქონის მაღალი კედლები ანუ წარმართული სამსხვერპლოები და ებრაული სინაგოგები. კერპთაყვანისმცემლობა და ბიწიერება დაემხო, აღიმართა ახალი ეკლესია და ქრისტიანთა ახალი სარწმუნოება გაბრწყინდა. ხოლო სახარების ქადაგებით, რასაც შემდგომ მოციქულთა მემკვიდრენი, მღვდელმთავრები და მღვდლები _ სულიწმინდის საყვირნი განაგრძობდნენ, ეკლესია განმტკიცდა და სარწმუნოება დედამიწას კიდით კიდემდე მოეფინა. *«ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი»* (ფს. 18, 4). ამგვარად, ერთადერთი იარაღი, რომელიც ღმერთმა მსოფლიოში ურწმუნოების გასანადგურებლად და ღვთივშემეცნების იარაღად გამოიყენა, სხვა არაფერია, გარდა სახარების ქადაგებისა, ღვთის სიტყვისა, სწავლებისა *«წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა»* _ ამდენად აუცილებელი და სასარგებლოა სახარების ქადაგება ქრისტეს ეკლესიაში.

ნუთუ მას ასეთი სასწაულებრივი ძალა აქვს? ყოვლადძლიერი იპოსტასური სიტყვა თავისი თანადაუსაბამო მამის გონიდან მარადის იშობა და ამიტომაც, როგორც ამბობს პავლე მოციქული, იგი ის ყოვლადბრძნობა და ძალაა მამისა, რომლითაც უფალმა ქმნა მარადისობა, ქმნა ცა და მიწა, ყოველივე ხილული და უხილავი. *«სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა _ ყოველი ძალი მათი»* (ფს. 32, 6) _ ასე დაამოწმებს დავით მეფსალმუნე. იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: *«ყოველივე მის მიერ შეიქმნა»* (იო. 1, 3). ასეთივე ყოვლადძლიერია ღვთის ის სიტყვა, რომელიც არის გარეგანი გამოხატვა იპოსტასური სიტყვის ნებისა და მას სულიწმინდის მთელი ძალა გააჩნია საიმისოდ, რომ ყველაზე ამაღლებული სასწაულები აღასრულოს: როგორც ის (იპოსტასური), ქმნილებაში, როგორსაც ხედავდა ბუნება, ასევე ეს (გარეგანი) _ აღმშენებლობაში, როგორსაც აღასრულებს მადლი. ღმერთმა ისურვა, რომ ღვთის სიტყვის უსაზღვრო ძალა წინასწარმეტყველ იეზეკიელისთვის ეჩვენებინა და მას უთხრა: *«და იქმნა ჩემ ზედა უფლისაჲ ჴელი და განმიყვანა მე სულითა უფლისაჲ თა და დამდვა მე შორის სულსა ველისასა; და ესე იყო სავსე ძუალებითა კაცთათა»* (იეზ. 37, 1); იმისათვის, რომ ღვთის სიტყვის ძალა გაიგო, აუწყე, ასწავლე და დაინახავ, რომ ეს გამომშრალი ძვლები ხორცს შეისხამენ, განსულიერდებიან და ცოცხალ ადამიანებად იქცევიან *«წინასწარმეტყუელებდ ძუალებსა ამას ზედა ... და სთქუა მათდამი: ძუალთა ჴმელთა ისმინეთ სიტყვა უფლისაჲ!»* (იეზ. 37, 4). წინასწარმეტყველმა ღვთის სიტყვა გვაუწყა და _ ჰოი, სასწაულო! _ უგრძნობმა და მკვდარმა ძვლებმა შეიგრძნეს, გაცოცხლდნენ და აღდგნენ _ *«ვიწინასწარმეტყუელე, ვითარ-იგი მამცნო მე; და შევიდა მათდამი სული და განცოცხლდეს, და დადგეს ფერჴთა მათთა ზედა შესაკრებელი მრავალი ფრიად»* (იეზ. 37, 10). ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის სიტყვა ცხოვრება, სული და აღდგომაა მათთვის, ვინც მას ისმენს: *«ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი და რომელთა ისმინნენ, ცხოვნდენ»* (იო. 5, 25); ხოლო ღვთაებრივი პავლე ყოველივე ამას მიზეზსაც ურთავს: *«ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ძლიერ»* (ებრ. 4, 12).

თუკი ვინმე ბიწიერებასა და ცოდვებშია მკვდარი, ვის შეუძლია ის აღადგინოს? _ ღვთის სიტყვას, რომელიცა არს ცხოვრება. თუ ვინმეს ერესის ბნელში ან გარყვნილ ცხოვრებაში გზა აებნა, ვის შეუძლია განანათლოს და ცხონების გზაზე დააყენოს? _ ღვთის სიტყვას,

რომელიც არის ნათელი და ჭეშმარიტება. თუ ვინმე ავადაა სულით, ღვთის სიტყვა განკურნავს; თუ გულსასტიკია, ღვთის სიტყვა მის გულს მოალბობს. თუ ვინმე მოუნანიებლად სცოდავს, ღვთის სიტყვა მას სინანულისაკენ მოაქცევს. *«ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ძლიერ».* ქრისტიანები ეკლესიაში, როგორც ებრაელები უდაბნოში, ზეციდან უნდა საზრდოობდნენ, ებრაელთა საზრდო მანანა იყო, ქრისტიანთა საზრდო კი ღვთის სიტყვაა: «ანგელოზებრივი პური _ ეს ღვთის სიტყვაა, რომლითაც ღმერთს მოწყურებული სულები საზრდოობენ» _ ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი. უდაბნოში მანანა რომ არ ყოფილიყო, რა უნდა ექნათ უბედურ ებრაელებს? ეკლესიაში ღვთის სიტყვა რომ არ ყოფილიყო, რა დაემართებოდათ უბედურ ქრისტიანებს? ქრისტიანებმა უნდა იცოდნენ, როგორი დოგმატები აქვს სარწმუნოებას, რამდენია ღვთის მცნება, რა საიდუმლოებებია ეკლესიაში, რომელია მომაკვდინებელი ცოდვები, რომელია ქრისტიანული ცხოვრების სათნოებები, რა არის ქრისტიანის მოვალეობა _ და არავინაა ისეთი, ვინც მათ ამას აუხსნიდა. მაშ ვინ აუხსნის? *«ვითარ ... ისმინონ თჳნიერ ქადაგებისა?»* (ჰრომ. 10, 14). ღვთის რისხვას არ ძალუძს წარმოგზავნოს ამ შიმშილზე უარესი შიმშილი! ქრისტიანენო, უფალი ებრაელებს წინასწარმეტყველის პირით ემუქრება და ეუბნება ამ საშინელ სიტყვებს: ჰოი გულსასტიკო ებრაელნო, თქვენი ცოდვებისა და უმართლობისათვის სიყმილს წარმოგიგზავნით, მაგრამ სიყმილს არა პურისას, არამედ ღვთის სიტყვისას, რათა გწყუროდეთ, რათა შიმშილით დაიხოცოთ, ღვთის სიტყვას გზნებით დაეძებდეთ და ვერ ისმენდეთ მას _ *«აჰა,.. გამოვავლინო სიყმილი ... არა სიყმილი პურისაჲ ... არამედ ანუ სიყმილი სმენად სიტყუა უფლისაჲ"* (ამოს. 8, 11); რათა ეკლესიაში ღვთის სიტყვა არ ისმოდეს, რათა ვერ ჰპოვოთ ეს ზეციური მანანა, ეს ანგელოზებრივი პური, რომლითაც ღმერთს მოწყურებული სულები საზრდოობენ»; რათა სახარებისეული ქადაგების სიტყვა გაქრეს. ეს არის სიყმილი, რომელიც არა სხეულს, არამედ სულებს მოაკვდინებს, სულიერი სიკვდილი კი ჯოჯოხეთური ტანჯვაა. სახარება მართლმადიდებელთა შორის არ იქადაგებოდეს _ ეს არის სასჯელი, რომელსაც ღმერთი ცოდვებისათვის გვიგზავნის და ის ღვთის რისხვის ყველაზე აშკარა ნიშანია. როგორი წარწყმედაა სულისა, როგორი დამცირებაა ეკლესიისა! როგორი ნაღველი და დანაკარგია იესო ქრისტესთვის! როგორი სიხარულია და შენაძენი ეშმაკისათვის!

ჭეშმარიტად, ეშმაკი ისე არაფერს ცდილობს, როგორც იმას, რომ ქრისტეს ეკლესიაში სახარების ქადაგება გააუქმოს, სახარების მასწავლებლები და მქადაგებლები ყოველი ადგილიდან განდევნოს. რატომ? მიხვდი ამას... მაკედონელებსა და ათენელებს შორის დიდი ომები და სისხლისღვრა იყო. ასე რომ, ამ ტომებს შორის მოსისხლე მტრობა გაჩაღდა. მამაცი, გამოსავლის პოვნაში მოხერხებული მაკედონელი მეფე ფილიპე მრავალი ადამიანის დაკარგვით და ხარჯით შეწუხებულ ათენელებთან ელჩებს გზავნის და შემდეგი შინაარსის წერილს სწერს: «ათენელნო, თუ გინდათ, რომ ომი შეწყდეს და ჩვენს შორის მშვიდობა ჩამოვარდეს, აი ეს გააკეთეთ: თქვენი ქალაქიდან ყველა ორატორი გააძევეთ. ისინი თავიანთი ოსტატური მჭევრმეტყველებით ხალხს იარაღისაკენ მოუწოდებენ, განხეთქილებას თესენ, ომს ტეხენ და ომის მთელ უბედურებებს გწევენ». ათენელები მოტყუვდნენ და მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება, ყველა ორატორი ათენიდან განედევნათ, მათ შორის ყველაზე ცნობილნი _ ფოკიონუსი და დემოსთენე, რომლებმაც ხალხს მთელი გულწრფელობით მიმართეს: «ათენელნო, თქვენ ფილიპეს სურვილს ხალისით ასრულებთ, ჩვენც მზად ვართ თქვენს ბრძანებას დავემორჩილოთ, მივდივართ,

მაგრამ გვინდა ერთი იგავი გიამბოთ: მგელმა ცხვრებთან ელჩები გაგზავნა და შეუთვალა, თუ მშვიდობა გინდათ, ფარადან ნაგაზები გააძევეთ, რადგან იყეფებიან და ხმაურს ტეხენო; მაშინ ერთმა ბებერმა ნაგაზმა თქვა: «გაბრიყვებულო ცხვრებო, თქვენ არ გესმით რად უნდა მგელს ჩვენი გაძევება. მისი მიზანი მშვიდობის დამყარება არ არის, არამედ ის, რომ მცველების გარეშე დარჩეთ, ის კი ღამ-ღამობით მოვიდეს, სათითაოდ მოგიტაცოთ და შეგჭამოთ». ცხვრები კარგად ჩაუფიქრდნენ ამ სიტყვებს და ნაგაზები ფარაში დატოვეს. ათენელნო, თქვენთან მშვიდობის დამყარება არ არის ფილიპეს მიზანი, არამედ ის, რომ მცველების გარეშე დარჩეთ, ანუ უჩვენოდ, რომლებიც ვლაპარაკობთ, ღიად ვმსჯელობთ, ვყვირით, თათბირზე ჩაძინებულ არქონტებს ვაღვიძებთ, ხალხს იარაღისაკენ მოვუწოდებთ, სახელმწიფოს მისი (ფილიპეს) ხრიკებისაგან ვიცავთ. ეს ყველაფერი იმისთვისაა, რომ მას ჰქონდეს საშუალება, მოვიდეს როცა მოესურვება, თქვენ კი მოუმზადებლები დახვდეთ და დაგიმონოთ». მაშინ ჩაწვდნენ ათენელები დემოსთენეს სიტყვას და ორატორები ქალაქში დატოვეს!

ქრისტიანენო, თქვენც მიხვდით! საიდუმლო საჩეხე _ ეს ქრისტეს ეკლესიაა, გონიერი ცხვრები _ ქრისტიანები, მწყემსნი _ ეპისკოპოსები არიან, მგელი, უფრო სწორად კი ლომი _ ეს არის ეშმაკი, რომელიც ქრისტეს ფარეხს გარს უვლის და მისი ცხვრების მოტაცებას ლამობს «*წინამოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყჯრალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა*» (1 პეტ. 5, 8). წმინდა ფარეხის მცველი ნაგაზები _ ეს სახარების მასწავლებლები და მქადაგებლები არიან, რომლებიც ქადაგებენ, რომლებიც განხდიან, მწყემსებს აღვიძებენ, მგლებს აძევებენ და ცხვრებს იცავენ. ბასილი დიდი ამბობს, რომ კურდღელს ისე არ ეშინია ქუხილისა, როგორც ეშმაკს აშინებს სახარების ქადაგება; როცა ეს ქადაგება ესმის, თრთის, შორს გარბის და იკარგება. ეშმაკის ვერაგობა რაღას აკეთებს? ის ყველა საშუალებით ცდილობს ფარეხიდან ნაგაზები განდევნოს, წმინდა ქალაქიდან _ წმინდა ორატორები, ეკლესიიდან _ მასწავლებლები, რათა ღვთის სიტყვა სრულიად აღარ ისმოდეს. რისთვის? იმისათვის, რომ ქრისტეს ფარეხი მცველების გარეშე დარჩეს და მან ქრისტეს ცხვრების მოტაცება შეძლოს. მიჩვენეთ ნებისმიერი ფარეხი ნაგაზების გარეშე. როგორი მზრუნველი და ფრთხილიც არ უნდა იყოს მწყემსი, მგელი ბნელ ღამეში მოდის, შიგნით იპარება და ცხვრებს იტაცებს. მიჩვენეთ ნებისმიერი ეკლესია, ქალაქი, ოლქი მასწავლებლებისა და მქადაგებლების გარეშე. როგორი წმინდა და მართალიც უნდა იყოს მოძღვარი, ეშმაკი ყოველთვის პოულობს შესვლის საშუალებას. თუ ქადაგების სიტყვას ვერ გაიგონებს, შედის, გონიერ ცხვრებს იტაცებს და ნთქავს. ამიტომაც ამბობს პავლე მოციქული, რომ სულიწმინდამ ქრისტეს ეკლესიაში მწყემსები და მასწავლებლები დაადგინა. მწყემსები _ მღვდლები, რათა მათ გონიერი ცხვრები სიმართლის კვერთხით, ანუ სულიერი ხელისუფლებით მართონ; მასწავლებლები, რათა სიტყვით და სწავლებით გონიერი ცხვრები სულის განმრხწნელი მგლისაგან დაიცვან. ყოველივე აქედან თუ მიხვდით რამდენად საჭირონი არიან მასწავლებლები და სახარების მქადაგებლები ქრისტეს ეკლესიისათვის? ნაგაზები ფარეხში რამდენად აუცილებელნი არიან? რაოდენ აუცილებელია ღვთის სიტყვა ჩვენი ცხონებისათვის? ის ისევე აუცილებელია, როგორც პური ჩვენი სიცოცხლისათვის. «სიტყვა ღვთისა ეს ანგელოზებრივი პურია, რომლითაც ღმერთს მოშიებული სულები საზრდოობენ».

მხოლოდშობილო ძეო და სიტყვავ ღვთისა! ენით უთქმელი სიკეთით ჩამოსულო მამისეული წიაღიდან! ჩამოსულო და ადამიანად ქცეულო, რათა შენი წმინდა ეკლესიის

საიდუმლო ფარა შეგეკრიბა, მთელი შენი წმინდა სისხლის დამთხეველო, რათა შენი გონიერი ცხვარნი გამოგესყიდა, შენს ფარას ზეციდან მოხედე, მოხედე შენს ცხვრებს და მცველების გარეშე მათ დარჩენას ნუ დაუშვებ, ნუ დატოვებ შენი წმინდა სახარების მქადაგებლებისა და მასწავლებლების გარეშე, რომლებიც მათ სულთა განმხრწნელი მგლისაგან დაიცავენ. შენ, რომელმაც უდაბნოში მანანა აწვიმე, რათა ისრაელელნი გამოგეკვება, ღვთაებრივი ქადაგების ზეციური პური შენს ეკლესიასაც აწვიმე, რათა მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილი სულები დააპურო. დაე შენმა წმინდა სულმა ჩვენი გონება განანათლოს, დაე შემოვიდეს ჩვენს გულებში და ასწავლოს ჩვენს ენას, რათა ჩვენს შორის არასდროს მიჩუმდეს და ყოველთვის ისმოდეს სიტყვა ღვთისა. ზეციურო შემოქმედო! მუდამ თესე ეს ღვთაებრივი სიტყვა მართლმადიდებელთა საზოგადოებაში და დაე ეს თესლი კეთილ ნიადაგზე დაეცეს, რათა შენი ღვთაებრივი სახელის სადიდებლად და ჩვენი სულების საცხოვნებლად მრავალი ნაყოფი მოიწიოს!

II

ღვთის სიტყვა მხოლოდ ის არ არის, რომელსაც ეკლესიის მასწავლებლები ამბიონიდან აუწყებენ და რომელიც იშვიათად, ან საერთოდაც არ გვესმის; ღვთის სიტყვა ასევე არის წმინდა სახარება და სხვა ღვთაებრივი წერილები; ტიბიკონი, რომელსაც მღვდლები კითხულობენ და გალობენ, რომელსაც ეკლესიის მიერ დადგენილ დღესასწაულებზე და ყოველ კვირას ვისმენ. დღეს ეს ღვთაებრივი სიტყვა არის ერთგვარი თესლი დღევანდელი იგავისა, უკეთ რომ ითქვას, ის არც კი ჰგავს მას, რამეთუ ნაწილი მაინც დავარდა კეთილ ნიადაგზე. უმეტესად კი გზაზე ან კლდეზე, ან კიდევ ეკალ-ბარდში ცვივა და ნაყოფი საერთოდ არ მოაქვს. ამის მიზეზი ის არის, რომ ქრისტიანებიდან ზოგი მოდის ეკლესიაში ღვთის სიტყვის მოსასმენად, ზოგი არ მოდის. პირველ რიგში _ მოდის მხოლოდ ნახევარი. ისინი ეკლესიაში უყურადღებოდ, უკრძალველად, მხოლოდ სხეულით არიან, გონებით კი ღმერთმა უწყის სად ფრენენ. ახლა, როცა წმინდა სახარება, სამოციქულო და სხვა წიგნები იკითხება, ღვთის სიტყვა ერთგვარად გზასთან ცვივა; მას გამვლელები და ფრინველები, ანუ ამაო ფიქრები ფანტავენ. სხვები მოდიან ეკლესიაში, მაგრამ შემუსვრილების, გულაჩვილების გარეშე, ამ შემთხვევაში ღვთის სიტყვა თითქოსდა კლდეზე ცვივა, ანუ ცოდვიან ჩვევებში გაქვავებულ და გასასტიკებულ გულზე ფესვს ვერ იკიდებს და ხმება... ასეთნიც მოდიან ეკლესიაში, მაგრამ არ აღავლენენ ჭეშმარიტ ლოცვას რათა დამშვიდდნენ და თავიანთი გონება ღმერთთან აღიყვანონ. თავიანთი გონება ღმერთთან? რომელი გონება, ყველა ქვეყნიური საზრუნავით, ფიქრით რომ არის სავსე, დატვირთული და დამძიმებული? აქ ღვთის სიტყვის დამთრგუნველი ეკალ-ბარდი მრავლადაა და ღვთის სიტყვაც იღუპება. აქ კარგი არაფერია, რამეთუ "ბობოქარ და მებრძოლ გონებაში ვერც კეთილი აზრი ინერგება და ვერც მადლი ღვთისა», _ ამბობს კირილე დიდი (ალექსანდრიელი). იმისათვის, რომ ღვთის სიტყვამ ნაყოფი გამოიღოს და ეკლესიაში მოსულებმა სარგებელი ნახონ, ისინი იქ ყურადღებით და მოწიწებით, შემუსვრილებით და გულაჩვილებით, თავმდაბლურად და ლოცვით უნდა შევიდნენ. სხვები ეკლესიაში საერთოდ არ შედიან. იმათ კი ორი რამ ემართებათ _ არღვევენ მეოთხე მცნებას: *«ეკრძალენით და შაბათი ჩემი დაიმარხეთ... რამეთუ წმიდა არს უფლისა მიერ... რომელმან ქმნეს საქმე მას შინა, მოისპოს სული იგი შორის ერისა მის»* (გამოს. 31, 13-14); მეორე _ ამაოდ შრომობენ, რამეთუ ღმერთი მეშვიდე დღეს მანანას არ გზავნის. ესაია ამბობს: *«ქსელსა დედაზრდილისასა ქსოენ, ... ქსელი მათი არ იყოს შესამოსლად»* (59, 5-6)...

სიტყვა მათეს სახარებაზე

ღმერთისა და მამონას მსახურების შესახებ

«ვერვის ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად»
(მთ. 6, 24)

ღმერთი და სოფელი ურთიერთის მიმართ უკიდურესად დაპირისპირებული, სრულიად შეუთავსებელი, ფრიად დაშორიშორებული არიან და თავისთავად ორ ბატონს წარმოადგენენ, რომელთა ერთდროულად მსახურება, როგორც ქრისტე ამბობს, არავის შეუძლია. ვინც ერთს რომელსამე მიუახლოვდება, მეორეს უნდა დაშორდეს; თუ ერთ მათგანს შეიყვარებს, მეორე უნდა შეიძულოს; თუ ერთს მოემსახურება და ეთაყვანება, მეორეს უნდა განერიდოს. *«ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყვაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს იდვას, და ერთი იგი შეურაცხ-ყოს»* (მთ. 6, 24). ჩვენს თვალებს არ შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს ზევით და ქვევით ცქერა, გონებას ჩვენსას ზეციურსა და მიწიერზე ერთდროულად ფიქრი არ ძალუძს, ჩვენს გულს ერთდროულად ვერ ეყვარება ღმერთი და ქვეყანა. მას ან ერთი უნდა უყვარდეს, ან მეორე, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ორთავეს სიყვარული შეუძლებელია. «ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად _ ღმერთისა და მამონაჲსა». ამის მიზეზებს მოკლედ გადმოგცემთ: პირველი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთი თავისი სამსახურისათვის ადამიანს სრულად მოითხოვს. ასევე სრულად მოითხოვს მას სოფელი, მაგრამ განუყოფლად აქაც და იქაც ყოფნა შეუძლებელია კაცისათვის. მეორე _ საღვთო სჯული სრულიად საპირისპიროა სოფლის კანონებისა და კვალად შეუძლებელია ორი, სრულიად საპირისპირო კანონის მორჩილება. ამ ორი მიზეზის გამო არ შეიძლება, ვინმე ორ ბატონს ემსახუროს, სახელდობრ: ღმერთსა და სოფელს. ამის შესახებ სიტყვა ყურადღებით ისმინეთ!

I

პირველი და საყოველთაო მცნება, რომელიც ღმერთმა მეორე სჯულის მე-6 თავში მოგვცა და რომელსაც სახარებაში ქრისტე ხშირად იმეორებს, არის შემდეგი: *«ისმინე, ისრაელ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს»* (მრკ. 12, 29). სხვაგვარად: «მე (ამბობს ღმერთი), ადამიანო, მე ერთი და ერთადერთი, ოდინდელი და ბუნებითი უფალი ვარ შენი, რომელმაც არაფრისაგან შეგქმენი, მოგეცი სიცოცხლე და სული, საკუთარი სისხლით გამოგისყიდე, მოგმადლე ცხონება და განგიმზადე ზეციური სასუფეველი. შენ ჩემი ქმნილება ხარ, ჩემი შენაძენი, შენ მთლიანად ჩემი ხარ». მაშ ასე _ *«შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა»* (იხ. მეორე სჯ. 6, 5; ლკ. 10, 27). მსურს, რომ მთელი შენი აზრები, გონება, ჭვრეტა ჩემდამი იყოს მომართული, რომ იფიქრო, არ განსაჯო; ჩემს გარდა სხვა არაფერი წარმოისახო, შენი სულ მცირე აზრიც კი სხვა საგნისაკენ არ მიმართო; *«ყოვლითა სულითა შენითა»* _ მინდა, რომ შენი მიდრეკილებანი, სწრაფვა, სიყვარული, იმედი ჩემკენ მომართო და ჩემს გარდა სხვას არავის ჰქონდეს ადგილი შენს გულში.

«ყოვლითა ძალითა შენითა» _ მსურს, რომ მთელი შენი ძალა, შრომა და გარჯა მე მიძღვნა, და ვერ მოვითმენ, რომ სხვა ბატონთან ვიყო ზიარი. მე მოშურნე ღმერთი ვარ და

მინდა, ერთადერთი ბატონი ვიყო შენი. *«ისმინე ისრაელ: უფალი ღმერთი შენი ერთ არს»*, მე სრულად მინდიხარ, სხეულითა და სულით ამიტომ მოვითხოვ, რომ მხოლოდ მე გიყვარდე, შენი სხეულის ყველა გრძნობით, მთელი სულიერი ძალებით მე ერთს მემსახურო. *«შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა»*, _ ასე ბრძანებს ღმერთი.

ჩვენ დედამიწაზე დავიბადეთ და გავიზარდეთ და მრავალნაირი ამქვეყნიური ბორკილით ვართ შებორკილი. მათ გასაწყვეტად ძე ღვთისა მახვილით მოვიდა.

«ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშჳდობისა ქუეყანასა ზედა» (მთ. 10, 34) განდგომილ სოფელთან დასაზავებლად. და, მართლაც, ის განდგომილია, რადგან განუდგა ღმერთს და არ სცნობს მას _ *«სოფელსა შინა იყო... და სოფელმან იგი ვერ იცნა»* (ინ. 1, 10). *«არა მოვედ მიფენად მშჳდობისა, არამედ მახჳლისა»* (მთ. 10, 34). მინდა საუკუნო ბრძოლა ვაწარმოო მასთან, რადგან ის ჩემი მტერია. ჩემო მსმენელო, დიდი ბორკილი, რომლითაც სოფელს ვართ მიჯაჭვული, არის სიყვარული მშობლებისა შვილების, შვილებისა მშობლების მიმართ, ძმისა ძმის მიმართ და მეგობრისა მეგობრის მიმართ, ასევე საკუთარი სიცოცხლის სიყვარული. ქრისტე ამბობს, რომ მან მახვილი ამ ბორკილის გასაპობად მოიტანა, რათა გაყოს შვილნი მამებისაგან, ასულნი დედებისაგან, რძალნი დედამთილთაგან; *«რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული დედისაგან თჳსისა და სძალი დედამთილისაგან თჳსისა»* (მთ. 10, 35); *«რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს»* (მთ. 10, 37); ვინც სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობს, დაკარგავს მას: «*რომელმან მოიპოვოს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი»* (მთ. 10, 39). აქედან გამომდინარე, ქრისტეს ნებავს, რომ ადამიანებს მხოლოდ ღმერთი უყვარდეთ, მშობლებზე, შვილებსა და თვით სიცოცხლეზე მეტად უყვარდეთ იგი.

«შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა».

სხვა ბორკილი _ ესაა ზრუნვა იმაზე, თუ რა ვჭამოთ, რა ვსვათ, რით შევიმოსოთ და როგორ ვიცხოვროთ. ქრისტე ამბობს, რომ მან მახვილი ამ ბორკილის გასაწყვეტადაც მოიტანა. მას არ სურს, რომ ჩვენ ყველაფერ ამაზე ვზრუნავდეთ და გვპირდება, რომ, როგორც მამა და ყოველივეს მომცემელი, ქვეყნიერების ყვავილით შემმოსველი და ფრინველთა მასაზრდოებელი, ჩვენთვისაც თავად იზრუნებს: *«ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათჳს რაჲ სჭამოთ და რაჲ ჰსუათ, ნუცა ჯორცთა თქუენთათჳს, რაჲ შეიმოსოთ; რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რაჲ გიჯმს ამათ ყოველთაგანი»* (მთ. 6, 25, 32). ამგვარად, ქრისტე წყვეტს ყველა ბორკილს, რომელიც ქვეყანასთან გვაკავშირებს, რათა მასზე არაფერმა მიგვაჯაჭვოს და მთლიანად მას ვეკუთვნოდეთ.

«შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა».

მეორე მხრივ, ქვეყანასაც უნდა, რომ მთლიანად მას ვეკუთვნოდეთ და ღმერთთან მოწილეობის ნებას არ გვაძლევს. სოფელი ღმერთისაგან ჩვენს დაშორებას ათასი საშუალებით ცდილობს. იცით თუ არა, როგორი მძიმე იყო ფარაონის ბატონობა დამონებულ ებრაელ ერზე? საბოლოოდ დასამორჩილებლად მას ისინი მთელი დღე შრომასა და ტანჯვაში ჰყავდა: ვენახების გადაბარვას აიძულებდა, ბაღებს ასუფთავებინებდა, შენობებს აშენებინებდა. მძიმე და მტანჯველი იყო ეს ყველაფერი. ამ ტირანის არაადამიანურობა წარმოიდგინეთ! მასთან მოსე და აარონი მივიდნენ, რათა

უფლის სახელით ეთქვათ მისთვის, ეს უბედური ხალხი რამდენიმე დღით გაეთავისუფლებინა. მათ უდაბნოში მსხვერპლშეწირვასა და ღვთის განდიდებამდე რამდენიმე ხანს უნდა დაესვენათ. *«გამოავლინე ერი ჩემი, რათა მმსახურებდენ მე უდაბნოსა ზედა»* (გამ. 5, 1); და უთხრეს მას: *«განვიდი გზასა სამისა დღისასა უდაბნოდ, რათა მსხუერპლი შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისასა»* (გამ. 5, 3). მართლა? _ ამბობს უწმინდური მეფე, _ განა ჯერ ისევ ახსოვთ ებრაელებს თავიანთი ღმერთი? ისევ უნდათ მისთვის მსხვერპლის შეწირვა? უმჯობესია, საქმეს მიხედონ, რომ ამგვარ რამეებზე ფიქრის დრო არ ჰქონდეთ, დაე, დღენიადაგ მემსახურონ, რომ ღვთის სამსახურისათვის წუთიც არ დარჩეთ: *«დაუმძიმდინ საქმე კაცთა ამათ და მას ზრუნვიდენ»* (გამ. 5, 9). და, მართლაც, ამ საცოდავებს მხოლოდ ერთი საქმე ებარათ _ აგურების დამზადება, მაგრამ შემდეგ სხვა საქმესაც აკეთებდნენ _ ჩალას აგროვებდნენ. ორმაგი შრომა მათ არათუ ღვთისათვის მსხვერპლის შეწირვის, ამაზე ფიქრის საშუალებასაც არ აძლევდა, საგანგებოდ მიჩენილი მეთვალყურეები მუშაობას აიძულებდნენ და სულის მოთქმას არ აცლიდნენ. «დაუმძიმდინ საქმე კაცთა ამათ და მას ზრუნვიდენ». ასეთივე მბრძანებლობა სურს ჩვენზე, ქრისტიანებზე, ჩვენი სულების მტანჯველს _ ღვთისმოძულე სოფელს. მას სურს, მუდმივი შრომის უღელქვეშ ამ მძიმე ცხოვრებისეულ მღელვარებაში ტყვეებივით გვამყოფოს, ხოლო მაშინ, როცა გვინდა ღვთისადმი ჩვენი ვალი აღვასრულოთ, დაბრკოლებებს გვიქმნის, სწორედ ასეთ დროს ამბობს: *«დაუმძიმდინ საქმე კაცთა ამათ და მას ზრუნვიდენ».*

გვსურს კი ლოცვა? _ მაშინ აგვეშლება მიწიერი აზრები, რომლებიც ჩვენს გონებას ათას წვრილმან და რაც კიდევ უარესია, სამარცხვინო ზრახვებად ფანტავენ.

გვსურს კი წირვის მოსმენა? _ სწორედ ამ დროს გვირთულდება მიწიერი საქმეები, რომლებიც ეკლესიიდან სახლისაკენ ან გართობისაკენ გვიტყუებენ.

გვსურს კი აღსარება? _ აქ კი ჭეშმარიტად ორმაგდება ქვეყნიური საცდური და ამ ღვთივსათნო საქმის აღსრულების საშუალებას არ გვაძლევს.

დღე ლოცვის გარეშე გადის, დღესასწაული _ ულიტურგიოდ, წელიწადი _ უაღსარებოდ, სოფელი მისი სამსახურისათვის მთელ ჩვენს დროს ითხოვს _ *«დაუმძიმდინ საქმე კაცთა ამათ და მას ზრუნვიდენ».*

«ნუ ზრუნავთ საჭმელსა და სასმელზე» _ ამბობს ღმერთი დღევანდელ სახარებაში, «არა! _ ამბობს სოფელი, _ სწორედ ამაზე უნდა იზრუნონ ადამიანებმა, უმთავრესად კი იმაზე _ რით შეიმოსონ, როგორ მიაღწიონ დიდებას, სიმდიდრეს, რათა ღვთის სამსახურისათვის დრო აღარ დარჩეთ.

ქრისტიანო! ღმერთს შენ სრულად უნდიხარ, ქვეყანასაც _ ასევე, ორივესთან ერთდროულად ყოფნა კი შენთვის შეუძლებელია, არ ძალგიძს «ორთა უფალთა მონება»! ეს ორი, ურთიერთშეუთვისებელი ბატონია, რომელთაც არაფრით შეუძლიათ ერთურთში თანხმობა.

ერთ მენახშირეს მღებავთან ერთად უნდოდა დაბინავება, მაგრამ იმან უთხრა: «შეუძლებელია ჩვენი ყოფნა ერთ ოთახში, რადგან ვშიშობ ის არ გააშავო, რასაც მე ვათეთრებ». რა მური, რის მტვერი, რომელი უკუნეთი _ ის მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნიური ზრუნვაა! როგორ აბრმავებს, როგორ აბნელებს ის გონებას და ღმერთის გარკვევით დანახვის საშუალებას არ აძლევს! ისევე როგორც მენახშირისა და მღებავის ერთ სახელოსნოში დაბინავებაა შეუძლებელი, ასევე სოფლიური ზრუნვა და ღვთისადმი სწრაფვა არ შეიძლება ერთ სულში ერთდროულად იყოს. «ბობოქარსა და მბრძოლ გონებაში

ვერ იხეირებს ვერც კეთილი აზრი და ვერც მადლი ღვთისა», _ ამბობს კირილე დიდი. აი, რაში მდგომარეობს ის პირველი მიზეზი, რომლის გამოც არავის ძალუძს მსახურება ორი ბატონისა, სახელდობრ: ღვთისა და ამა ქვეყნისა. მეორე მიზეზი ის არის, რომ საღვთო სჯული სრულიად საპირისპიროა ამქვეყნიური კანონებისა. ღვთის კანონი, უპირველეს ყოვლისა, რას გვიბრძანებს?

_ გვიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი თვისი, უფრო მეტიც _ თვით მტერი გვიყვარდეს და იმათ მიმართ ვიყოთ მოწყალენი, ვინც ბოროტება გაგვიკეთა. ქვეყნიური კანონები გვაიძულებენ, არა მხოლოდ მეგობრები არ გვიყვარდეს, არა მხოლოდ ძმებს სძულდეთ ერთმანეთი, ან მშობლებმა და შვილებმა იომონ ერთმანეთთან, ისინი ჩვენგან გაცილებით უარესს მოითხოვენ _ კეთილის მყოფელთა მიმართაც უმადურნი ვიყოთ. ღმერთი გვიბრძანებს, ვიყოთ მოწყალენი, უპოვართ შევეწიოთ და მათთვის წყალობა გავიღოთ. სოფელი კი სიძუნწისაკენ, სხვის ხარჯზე გამდიდრებისაკენ, ასე ვთქვათ, უქონელთა სისხლის წოვისაკენ მოგვიწოდებს. ღმერთი ჩვენგან სიმართლეს მოითხოვს, ამა ქვეყნისათვის კი არაფერია სიმართლეზე უფრო საძულველი. ამიტომ ჭეშმარიტად ღვთაებრივი სიბრძნით თქვა ქრისტემ: *«სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ჴელ-ეწიფების მოღებად, რამეთუ არა ჰხედავს მას, არცა იცის იგი»* (იხ. 14, 17). სოფელს მზაკვრობა, პირფერობა და ტყუილი უნდა. ღმერთს სურს, დაცული იყოს სამართლიანობა, დაითრგუნოს ბოროტება, რათა სათნოება დაფასდეს, განიდიდოს წესრიგი, რათა თითოეულმა დამსახურებისამებრ მიიღოს და შეძლებისდაგვარად ფლობდეს. ქვეყანას უნდა, რომ უსამართლობა მეფობდეს, ტახტზე მანკიერება იჯდეს, სათნოება კი ლპებოდეს, ჭარბობდეს ვერცხლისმოყვარეობა, ყველაფერი უწესრიგობამ და ნგრევამ მართოს. მოკლედ რომ ითქვას, ღმერთს თავმდაბლობა, მოკრძალება, თვინიერება და მოთმინება სურს, ქვეყანას კი სრულიად საპირისპირო: სიამაყე, თავაშვებულობა, მტრობა და ცდუნება სწადია. ამიტომ საღვთო სჯულის კანონი სათნოებათა ის ვიწრო გზაა, რომელსაც ცათა სასუფეველთან მივყავართ, ხოლო ქვეყნიური კანონები ის ფართო გზაა ცოდვისა, რომელიც აუცილებლად საუკუნო სატანჯველში მიგვიყვანს.

ვის შეუძლია დაიცვას ეს ორი, სრულიად განსხვავებული კანონი და ორ ურთიერთ დაპირისპირებულ ბატონს ემსახუროს? არავის _ *«ვერვის ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად».* საშუალო გზა არ არსებობს, ორივეს დაკმაყოფილება შეუძლებელია, ან ერთი, ან მეორე _ *«ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას, და ერთი იგი შეურაცხ-ყოს»* (მთ. 6, 24). ორივეს დაკმაყოფილება უდიდეს ბრძენს და უდიდეს წმიდანსაც არ შეუძლია. სახელოვანი არსენი კაცთა შორის უდიდეს ბრძენად და ეკლესიის დიდ წმიდა მამადაა ცნობილი. ხმებმა მისი სათნოებების შესახებ თეოდოსი დიდს უბიძგეს იგი სასახლეში მოეწვია და თავისი ორი ვაჟის _ არკადისა და ჰონორიუსის მასწავლებლობა დაევალებინა. არსენი მივიდა. და აი ეს საკვირველი კაცი იძულებული გახდა ორი ბატონისათვის, მიწიერ და ზეციურ მეფეთათვის _ თეოდოსისა და ღვთისათვის ემსახურა. შეძლო კი? ერთხელ ღამით, სიზმარში ზეციდან ხმა ესმა: «არსენ, გაიქეცი და თავს უშველე!» ხმა თითქოსდა ეუბნებოდა: «არსენ, შენ არ შეგიძლია იღვაწო სასახლეში, მიწიერ დიდებაში, ვერ შეძლებ იზრუნო შენი სულის ცხონებისათვის. გინდა ცხონება? გაიქეცი და თავს უშველე». არსენი აჩქარდა, გაიქცა მეფის სასახლიდან და შეეფარა ერთ მონასტერს, სადაც მან განსაკუთრებულად წმიდა ცხოვრება განვლო. მაშ ასე, ქრისტეანენო! საზრუნავი და გართობა ღმერთს ძლიერ გვაშორებს. ისინი მეტად გრძელ სამოსს ჰგვანან,

რომლებიც ნაბიჯის გადადგმაში ხელს გვიშლიან. ეს ის ტვირთია, რომელიც მიწას გვაჯაჭვავს. ბასილი დიდი ამბობს: «ცხოვრებისეულ ზრუნვას მეტისმეტად მიცემულნი ხორცსავსე ფრინველებს ჰგვანან, რომლებსაც თუმცაღა ფრთები აქვთ, მაინც ცხვრებივით დაღოღავენ მიწაზე». ჩვენ კი ახლა რას ვაკეთებთ? ორიდან რომელი ბატონის მსახურება გვსურს? ამაქვეყნისა თუ ღვთისა? ნება მიბოძეთ, ეს ორი სიტყვით ვთქვა: თუ ჩვენ არ გველის ოდესმე სიკვდილი, თუ ამქვეყნად მარადიულად ვიცხოვრებთ, მაშინ დაე, იყოს ასე _ მას ვემსახუროთ და მისით ვიხაროთ. მაგრამ თუკი მოკვდავნი ვართ, თუკი მიწა ვართ ერთი პეშვი, დღეს თუ ხვალ დავიხოცებით და გავიხრწნებით, თუკი დროებითია თვით ეს სამყარო _ *«რამეთუ წარვალს ხატი ამის სოფლისაჲ»* (1 კორ. 7, 31), ამბობს პავლე მოციქული, თუკი აქ მხოლოდ მგზავრნი ვართ და ჩვენი სამშობლო ზეცაშია _ *«რამეთუ არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი»* (ებრ. 13, 14), *«ხოლო ჩუენი მოქალაქეობაჲ ცათა შინა არს»* (ფილ. 3, 20), თუკი ჩვენი მამა და უფალი მხოლოდ ღმერთია, თუკი მას წმიდა ნათლობისას აღვუთქვით, ვყოფილიყავით ერთგული მონები, მაშინ მთელი არსებით, მთელი სულითა და მთელი ძალით ვემსახუროთ.

II

ქვეყანავ ცრუ და შფოთიანო!

ვისაც არა აქვს სამოთხის იმედი და ჯვარცმული ქრისტე არ სწამს, ის გემსახუროს და შენით იმან იხაროს.

ჩვენ კი უფალი გვწამს და მას ვემსახურებით, რათა თანავიმეფოთ იმასთან, ვინც ამბობს: *«ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ»* (მთ. 6, 33). დიდება მას უკუნისამდე. ამინ!

სიტყვა მათეს სახარებაზე

ღმერთს რას უნდა ვევედროთ

«და ჰრქუა იესო ასისთავსა მას: წარვედ
და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და
განიკურნა მონაჲ იგი მას ჟამსა შინა»

(მთ. 8, 13)

ვინმე ასისთავი, წარმართობაში დაბადებული და ღვთივშემეცნების ყოველგვარი ნათლის გარეშე, ცდომილებაში აღზრდილი, ისე, რომ ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ სრულიად არაფერი იცის, ქრისტეს განსაკუთრებულ მოწყალებას სთხოვს და მას დაუყოვნებლივ იღებს; ერთი, მისთვის ძვირფასი მონა დადამბლავდა, საშინლად იტანჯებოდა და წუთი წუთზე უნდა მომკვდარიყო. როგორც კი იესო კაპერნაუმში შედის, ასისთავი მასთან მიდის და ჭეშმარიტად კეთილი თავმდაბლობით და მხურვალე რწმენით ევედრება. უფალო ჩემო, ამბობს ის, მხოლოდ სიტყვით ბრძანე, და მწამს, რომ ჩემი მონა მყის გამრთელდება _ *«უფალო, არა ღირს ვარ მე, რაჲთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ, არამედ სიტყჳთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი»* (მთ. 8, 8). წადი, მიუგო იესომ, დაე, შენი რწმენით შესრულდეს შენი სურვილი *«წარვედ და ვითარცა*

გრწმენა, გეყავნ შენ» (მთ. 8, 13). და რა მოხდა? ის სნეული მონა მყის განმრთელდა *«და განიკურნა მონაჲ იგი მას ჟამსა შინა»* (იქვე). მაშ ასე, ჩემო მსმენელნო, ვინმე ასისთავი, სრულიად უცხო კაცი, ქრისტეს ლოცვით მიმართავს და სასურველს მაშინვე იღებს; ჩვენ კი, ქრისტიანები *«არღარა ... უცხო და მწირ,* არამედ თანამოქალაქენი *წმიდათა და სახლეულ ღმრთისა»* (ეფ. 2, 19), როგორც ამბობს პავლე მოციქული, ძმანი ქრისტესი, მის ეკლესიაში შობილნი და აღზრდილნი, მისი სარწმუნოებით განათლებულნი, მისგან ამა თუ იმ წყალობას ვითხოვთ და ან ვიღებთ გვიან, დიდი წვალებით, ან სულაც ვერ ვიღებთ. ეს რას ნიშნავს? ის მამაა ჩვენი და არ გვისმენს? თქვა, რომ უნდა ვითხოვოთ და არ გვაძლევს? შეგვპირდა და არ გვისრულებს? ეს კი, ალბათ ჩვენი ბრალია! ჩვენ არ ვიცით რას ვითხოვთ და ამიტომაც ვერ ვიღებთ. ნამდვილად ასეა. და დღეს მოდის დიდი იოანე ოქროპირი, რათა გვასწავლოს, თუ რა უნდა შევთხოვოთ ღმერთს, თუკი გვინდა, რომ ჩვენი თხოვნა შესმენილ იქნეს.

ეჭვგარეშეა ის, რომ უმაღლესი განგებულება ღვთისა ადამიანის საჭიროებებს მუდამ ფხიზლად ადევნებს თვალს. ის, ისევე, როგორც მისი სხვა ქმედებები, თუმცაკი ღვთის ყველაზე უბრალო ქმედებაა, არის ერთობლიობა სამი ღვთაებრივი თვისებისა: ყოვლადბრძნობისა, ძალისა და ღვთის სიკეთისა. ის ყოვლადბრძნობაა, რადგან ნათლად ხედავს, რა სჭირდება თითოეულს; ძალაა, რადგან უსრულყოფილესად შეუძლია მას შეეწიოს. სიკეთეა, რადგან ჭეშმარიტად სურს შეწევნა. ამიტომ ღმერთი მოქმედებს როგორც წინასწარმხილველი, ყოველივეს მომცემელი და ყოვლადბრძენი, რომელმაც სწორედ რომ იცის, რა სჭირდება მის ქმნილებას. *«იცის მამამან თქუენმან, რაჲ-იგი გიჴმს თქუენ»* (მთ. 6, 8); ყოვლადძლიერია, რადგან ძალუძს ყოველივე აუცილებელი აღასრულოს, რამეთუ *«დიდ არს უფალი ჩუენი, დიდ არს ძალი მისი»* (ფს. 146, 5), ყოვლადმოწყალეა, რომელსაც სურს და ისწრაფის, შეეწიოს საჭიროების მიხედვით, რამეთუ *«შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყალე»* (ფს. 102, 8).

ყოვლადბრძენ, ყოვლადძლიერ და ყოვლადმოწყალე ღმერთს ისეთი რა უნდა შევთხოვოთ, რომ მივიღოთ? ღვთაებრივი ოქროპირი გვპასუხობს: «ის, რაც ჩვენთვის, მთხოვნელთათვის, სასარგებლოა, და მომცემელ ღმერთსაც შეშვენის». ამიტომაც ამბობს წმ. იოანე დამასკელი: «ლოცვა, ეს არის ღვთისადმი თხოვნა იმისა, რისი თხოვნაც შეგვშვენის». მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ არ ვიცით, რა არის ჩვენთვის სასარგებლო, ამას პავლე მოციქულიც ამბობს: *«რაჲმცა-იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით»* (ჰრომ. 8, 26). ოქროპირის განმარტებით ამას მოციქული იმისათვის ამბობს, რათა «არ ჩავთვალოთ სასარგებლოდ ის, რაც ადამიანებს თავიანთი განსჯით სიკეთედ ეჩვენებათ». ამიტომ პირველ ეკლესიაში ღმერთი ერთ-ერთ რომელიმე ქრისტიანს ლოცვის განსაკუთრებულ ნიჭს მიჰმადლიდა, რის შესახებაც წერს პავლე: *«თვით იგი სული მეოხ არს ჩუენთჳს სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა»* (იქვე). ამას ოქრომესიტყვე მასწავლებელიც ისევე გვიხსნის, როგორც მე ვთქვი: «რამდენადაც ბევრი რამ ჩვენთვის სასარგებლო არ ვუწყით, უსარგებლოს ვითხოვთ, და ამიტომ ლოცვის მადლი მაშინდელ ერთ-ერთ ქრისტიანზე გარდამოდიოდა და ის ყველასათვის და საერთოდ ეკლესიისათვის ლოცულობდა; ახლა ამის სახეა დიაკვანი, რომელიც ერისთვის ლოცვას აღავლენს».

ჩვენ მრავალი რამ გვგონია სასარგებლო, სინამდვილეში კი საზიანოა ჩვენთვის; როცა მათ ღმერთს ვთხოვთ, ის არ გვისმენს, და თუ შეისმინა კიდეც, იმაზე მეტი ბოროტების დათმენა მოგვიწევს, ვიდრე სიკეთეს მივიღებდით; ამიტომ იმ ავადმყოფებს ვგავართ,

პირის გემო გაუკუღმართებული რომ აქვთ და იმ საჭმელს ითხოვენ, რომელიც გემრიელია, თუმცა ჯანმრთელობისთვის საზიანო.

ჩვენ არ ვიცით ნამდვილად სასარგებლოა თუ არა ის, რასაც ღვთისაგან ვითხოვთ. ნამდვილად სასარგებლოა თუ არა ყოველივე ის, რაც ადამიანურ გონებას სასარგებლოდ ეჩვენება *«რაჲ-მცა-იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით».*

ძველები ერთ იგავს ყვებოდნენ: რომელიღაც უკიდურესად ვერცხლისმოყვარე მეფე უფალს ევედრებოდა, რომ ყველაფერი, რასაც შეეხებოდა, ოქროდ ქცეულიყო. ღმერთმა ამაზე უპასუხა, რომ რასაც ის ითხოვს, ბოროტებაა, მაგრამ თუ მიიღებს, ინანებს. მაგრამ ის უფრო მხურვალედ განაგრძობდა ვედრებას. ბოლოს და ბოლოს მიიღო წყალობა. და რა დაემართა? ყველაფერი, რასაც კი შეეხებოდა, ოქროდ იქცეოდა _ ქვა, ხე, და სხვა საგნები. თავიდან მეფეს ეს სასწაული ძალზე ახარებდა, მაგრამ როცა შეეხო სამოსს, რომლითაც უნდა შემოსილიყო და ის მის ტანზე ოქროდ იქცა, როცა შეეხო საჭმელს, სასმელს და ეს ყველაფერი პირში ოქროდ ექცა, მაშინღა მიხვდა, თუ რაოდენ საზიანო იყო, რასაც ითხოვდა. მოკლედ რომ ითქვას, ის ვეღარც ჭამდა, ვეღარც სვამდა, ბოლოს გამოიფიტა და ცხოვრება სავალალოდ დაასრულა. თავად ფიქრობდა, რომ გამოთხოვილი წყალობით ყველაზე ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ ქვეყნად ყველაზე უბედური კაცი აღმოჩნდა. მრავალმა ოქრომ ის საცოდავ ადამიანად აქცია: ბევრის შეჭმა უნდოდა და შიმშილით მოკვდა. დიახ, როცა ამ წყალობას ითხოვდა, ნამდვილად არ იცოდა რას ითხოვდა. მაშ ასე, ქრისტიანენო *«ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოვოთ; ირეკდით და განგეღოს თქუენ..., ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თჳსი პურსა, ნუ ქვაჲ მისცეს მას? უკუეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲსღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვენ მას»* (მთ. 7, 7-9-11). ბოროტება იმაშია, რომ ღმერთს არა პურს, არამედ ქვას ვთხოვთ, არა თევზს, არამედ გველს, ანუ არა სასარგებლოს, არამედ საზიანოს. და საერთოდ, ადამიანებო, რას ვითხოვთ ღვთისაგან? ვითხოვთ დიდებას, პატივს; არ ვკმაყოფილდებით იმით, რაც ღმერთმა გვიბოძა, სხვა გვინდა, მაგრამ იქ გვხვდება მღელვარება, უბედურება, გაღატაკება. ჩვენ, როგორც იმ იგავის მეფეს, დედამიწის მთელი ოქრო გვინდა, მსოფლიოს მთელი სიმდიდრე, მაგრამ ეს სიმდიდრე საშინელ სიკვდილს გვიქადის, რადგან ჩვენს ცხოვრებას შრომით, საზრუნავით, დაბნეულობით ანგრევს და ჩვენს სულს მფლანგველობის, წყენინებისა და მძარცველობის ცოდვაში აგდებს. მაშასადამე, არ ვიცით, ნამდვილად სასარგებლოა თუ არა ჩვენთვის ის, რასაც ღვთისაგან ვითხოვთ. *«რაჲმცა-იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით».*

ქრისტიანო! გინდა ითხოვო ღვთისაგან ის, «რაც შენთვის, მვედრებელისთვის, სასარგებლოა»? ის ითხოვე, რასაც ძველი ქრისტიანები ჭეშმარიტი «ლოცვის სულით" ითხოვდნენ, სულით, რომელიც წმ. პავლეს თქმით: *«მეოხ არს ჩუენთჳს სულ-თქუმითა მით».* სახელდობრ ყველა ქრისტიანისთვის საერთო სიკეთე _ ეკლესიის მშვიდობა და დამტკიცება ითხოვე; შენთვის ცოდვათა მოტევება და მტრებისთვის პატიება; შენი ცხოვრების ქრისტეანობითი აღსასრული და სრული სინანული; კეთილი პასუხისგება და სუფთა სინდისი ქრისტეს მეორედ მოსვლის დღეს. აი, ესაა სასარგებლო და გამოსადეგი, რამდენადაც სულიერია. ხოლო თუ რაიმე ქვეყნიური გსურს, *«განაცხადე უფლისა მიმართ გზაჲ შენი და ესევს მას და მან ყოს»* (ფს. 36, 5). ჰოი ღვთივსულიერო სიტყვანო სულიწმიდისა! *«განაცხადე უფლისა მიმართ გზაჲ შენი».* გაუცხადე უფალს შენი მიზანი.

ის, როგორც ყოვლადბრძენი, განგანათლებს და დაგარიგებს; ესვიდე მას, მთელი იმედები ღმერთზე დაამყარე და ის, როგორც ყოვლადკეთილი, შეგიწყალებს. *«მან ყოს»* _ ის, როგორც ყოვლადძლიერი, თავად აღასრულებას ამას. გათავისუფლდა რაიმე თანამდებობა, სასულიერო ან საერო? გთავაზობს ბედი რაიმე გამორჩეულ ღირსებას, სარგებლიან სამსახურს, დიდ პატივს? ნუ შეშფოთდები, გაჭირვებაში ნუ დატოვებ შენს მეგობრებს, შუამავლობას ნუ მიმართავ, უფროსების კარდაკარ ნუ ირბენ, მიწას ზეცასთან ნუ აურევ (ნუ აგებნევა გზაკვალი, ნუ აურდაურევ ყველაფერს). *«განაცხადე უფლისა მიმართ გზაჲ შენი».* გული და თვალნი ღვთისაკენ აღაპყრე, ღვთაებრივი ყოვლადბრძნობისაგან რჩევა გამოითხოვე და თქვი: «უფალო ჩემო, როგორ თვლი, სასარგებლოა თუ არა ეს ჩემთვის?» და თუკი ღმერთი, რომელი ყოველთა მამაა, უმეტესწილად კი მართალთა, გეტყვის, რომ ეს სასარგებლოა, დამშვიდდი და მას მიენდე. დაე, თავს არ იწუხებდნენ მეგობრები, დაე წინაღგიდგნენ მტრები, *«მან ყოს»:* ის სასურველს თავად აღასრულებს, თავად განგარიდებს დაბრკოლებას, თვითონ უზრუნველყოფს შენს უსაფრთხოებას. ის ადამიანთა შურისგან, ბედის ცვალებადობისაგან დაგიცავს. ის დაგამტკიცებს, ვითარცა მთას სიონისას. გქონდეს შენი ნება მის ნებას დამორჩილებული და მუდამ მას მიმართე ლოცვით: არა ისე, როგორც მე მსურს, *«არამედ ვითარცა შენ»* (მთ. 26, 39). მოკლედ, *«განაცხადე უფლისა მიმართ გზაჲ შენი და ესევდ მას და მან ყოს».* თუ ასე ვითხოვთ, მოგვეცემა. აი რას გვასწავლის ოქროპირი: "თუ ასე ვითხოვთ, სასურველს იმწამსვე ვიღებთ, რამდენადაც ვითხოვთ იმას, რაც ჩვენთვის, მთხოვნელთათვის სასარგებლოა»; მეორე მხრივ, სასურველს მაშინ ვიღებთ, როცა ღმერთს მისთვის შესაფერისს ვთხოვთ. იმისათვის, რომ ჩვენი ლოცვა კეთილადშესაწყნარებელი იყოს, სავედრებელი წყალობა თანაზომიერი უნდა იყოს არა იმდენად მვედრებელის დამსახურებებისა, რამდენადაც მომცემელის ღირსებებისა. ყოველი სხეული, რაც უფრო დიდია, მით მეტ ჩრდილს ჰფენს და რამდენადაც მავანი დიდია ღირსებით, მით მეტი წყალობა უნდა მოიღოს. ეს არის კანონი ნიჭებით აღსავსე თავისუფლებისა, რომელზეც ბრძენნი მიგვითითებენ. როგორც ღარიბ კაცს ამწუხრებს ის, ვინც მისგან ბევრ რამეს ითხოვს, ასევე მდიდარ მეფეს შეურაცხყოფს ის, ვინც მისგან მცირედს ითხოვს. «თხოვნა იმ ადამიანის შესაძლებლობებს უნდა შეესაბამებოდეს, ვისადმიც არის მიმართული _ ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი კესარიელების მიმართ ეპისტოლეში, _ ერთნაირად უადგილოა პატარას დიდი რამ მოსთხოვო და პირიქით, დიდს _ პატარა; პირველი შეუსრულებელია, მეორე _ წვრილმანი. ალექსანდრე დიდს ერთმა მეგობარმა, სახელად პერილემ ათი ტალანტი სთხოვა, რათა თავისი ასულებისთვის მზითვი მოემზადებინა; ალექსანდრემ ორმოცდაათი ტალანტი მისცა. პერილემ უთხრა: «ათიც მეყოფა». «დიახ, _ მიუგო ალექსანდრემ, შენთვის ათიც საკმარისია, მაგრამ ჩემთვის არ კმარა გასაცემად». სხვა ჯარისკაცმაც სთხოვა სამოწყალოდ ცოტაოდენი ფული და ალექსანდრემ მას მთელი ქალაქი აჩუქა. ასეთი დიდი საჩუქრით შეძრწუნებულმა ღატაკმა თქვა: «ეს მეტისმეტია უბრალო ჯარისკაცისთვის! «სამაგიეროდ ალექსანდრესთვისაა მეტისმეტად ცოტა» _ უპასუხა გულუხვმა მეფემ.

ქრისტიანენო, ამით რისი თქმა მინდა? ვისაც რაიმე თხოვნა აქვს ალექსანდრე მაკედონელთან, დაე ითხოვოს მისთვის შესაფერი, სხვაგვარად ის ამ მაღალ სულს შეურაცხყოფს. ვისაც ღვთისაგან, ცისა და მიწის დიადი მეუფისაგან, უნდა რაიმე წყალობა, დაე ის ითხოვოს, რაც ღმერთს შეშვენის. თუკი ღვთისაგან ითხოვთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, ბედნიერებას, დიდებას, ღირსებას _ დროებით, მიწიერ

საგნებს, წვრილმანია თქვენი თხოვნა, რამეთუ *«არა იცით, რასა ითხოვთ»* (მთ. 20, 22). ეს არის საგნები, რომლებიც ღვთის წინაშე არაფერია. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ამ ყველაფერს უფალი ცოდვილებს, მისი მცნებების გამთელავებს, უღირსებსა და მის მაგინებლებსაც აძლევს. დიადი რამ ითხოვეთ, ღვთისთვის შესაფერი _ «რომლის მოცემაც ღირსეული იქნება მისთვის». უპირველესად ცათა სასუფეველი ითხოვეთ, ყველაფერ დანარჩენს ღმერთი გიბოძებთ, როგორც დამატებას, თუკი ჩათვლის, რომ ეს თქვენთვის სასარგებლოა *«ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ»* (ლკ. 12, 31). მითხარით, თუკი მე, ასეთი ცოდვილი ცათა, სასუფეველს ვთხოვ, მივიღებ განა? დიახ, თუ ითხოვ თბილი სიყვარულით, ცოცხალი რწმენით, შენ ის უკვე გაქვს. განა ქრისტიანი არა ხარ? ესე იგი, ცათა სასუფეველი შენი სამკვიდრებელია. იმისათვის, რომ შენთვის სასუფეველი მოეცა, ძე ღვთისა ზეციდან მიწაზე ჩამოვიდა, განკაცდა, ევნო, ჯვარს ეცვა, მოკვდა, ამაღლდა. მან გზა გაგიხსნა სამოთხისაკენ, ეკლესიის საიდუმლოებები დაგიტოვა, რათა მათი მეშვეობით ეს ფასდაუდებელი საგანძური მოიპოვო. შენ ცოდვილი ხარ, მაგრამ ქრისტე ცოდვილთა საცხოვნებლად მოვიდა. მაგრამ თუ ცოდვილი ხარ, რა გიშლის ხელს იმაში, რომ ერთ წამში მართალი გახდე? შენ მოინანიე, აღიარე, გამოსწორდი და _ იმავწუთს განმართლდი; ცათა სასუფეველი შენ გეკუთვნის. მას მეძავნი, მრუშნი და ავაზაკნი ითხოვდნენ და მიიღეს, შენ კი ვერ ბედავ?

ძმაო, ცათა სასუფევლის მიღებაზე ადვილი არაფერია; მაგრამ იცოდე, მისკენ არ არის სხვა გზა, გარდა სინანულისა. რას ამბობ? რას აკეთებ? ოდესმე სინანულს ფიქრობ? მაშინ საერთოდ რისთვისღა ფიქრობ სინანულზე? ცოტაც მოიცადე უზრუნველო და მოუნანიებელო, მოიცადე და შენ ის სიყვარული გიხსნის, რომელმაც ყველაფერი და თვით სიცოცხლე დაგიღუპა; ცოტაც მოიცადე და ის სიმდიდრე გიხსნის, ძარცვით რომ მოიპოვე, მევახშეობით გაზარდე და რომელსაც სიკვდილის შემდეგ სხვის ხელში დატოვებ; მოიცადე და შენი ვაჭრობა, ხელობა, პატივი, ძმა, მეგობარი... მოიცადე, მოიცადე, და როცა მოვა უეცარი სიკვდილი, როცა ის უწინდელ ცოდვებში მოგატანს, მაშინ გქონდეს ცათა სასუფევლის მიღების იმედი! შეშლილო *«ცათა სასუფეველი იიძულების»* (მთ. 11, 12) ამბობს ქრისტე; ეს კი ნიშნავს, რომ თუკი ის გსურს, თავს ძალა დაატანე _ ძალა დაატანე, რათა დროულად მოინანიო, ძალა დაატანე, რათა ცოდვის საკრველი გაწყვიტო; თუ თავს ძალას დაატან, მოიპოვებ, თუ არა _ დაკარგავ.

სიტყვა ლუკას სახარებაზე

ანგარებაზე

«კაცისაჲ ვისიმე მდიდრისაჲ ნაყოფიერ
იყო აგარაკი»; და განიზრახვიდა გულსა
შინა თჳსსა და თქუა: რაჲ-მე ვყო...?

(ლკ. 12, 16-17)

ეს კაცი, უწინ მდიდარი, ახლა უფრო მდიდარია, მაშ რატომ ჩაფიქრებულა? მისმა ყანამ სხვადასხვა ნაყოფის ათასმაგი მოსავალი მოიწია და მისი გული მაინც წუხს? მეტისმეტად

გაიზარდა მისი პურის მარაგი, უსაზღვროდ გამრავლდა მისი ქონება, ასევე გაიზარდა და გართულდა მისი საზრუნავიც! ის მეტისმეტად მდიდარი გახდა და მაინც ღატაკივით შიშობს? *რაჲ-მე ვყო...?* თუ არ დამშვიდდა ახლა, როცა ღმერთმა თავისი ღვთაებრივი კურთხევა მასზე უხვი წვიმასავით მოიღო, მაშ როდისღა, როდისღა დატოვებს მას სიმდიდრის მტანჯველი წყურვილი? არასოდეს! წყლულით სნეული სვამს და ვერ ვერ რწყულდება; წყლის სიუხვე არ აქარვებს, არამედ უფრო აღაგზნებს მის წყურვილს; ანგარებისმოყვარე კაციც ასევეა ამ იგავში: რაც მეტად ზრუნავს, რაც მეტს იხვეჭს, მით მეტად სურს. რა ცუდი ვნებაა ეს ანგარებისმოყვარეობა? ვნება, რომელიც ამქვეყნად ბატონობს, ყველაფერს თელავს, ყოველგვარ კანონს არღვევს, არავისი რცხვენია, არ ეშინია ღვთისა. არ არის ისეთი სინიდისი, მეგობრობა, ნათესაობა, არ არის ისეთი სამართალი, შიში, სირცხვილი, რომლებიც ანგარებისმოყვარის მძარცველი ხელების შეკავებას შეძლებდნენ, ხელებისა, რომლებიც ერთნაირად წვდება მდიდრებსაც და ღარიბებსაც, ერთნაირად ძარცვავს სახლებსაც და ეკლესიებსაც. ძმას არ უჭირს საკუთარ ძმას უკანასკნელი პერანგი გახადოს, შვილს არ ეშინია მამა მათხოვრად აქციოს, ანგარება ობოლთა ცრემლს არ იბრალებს. *რაჲ-მე ვყო...?* _ ამბობს ანგარებისმოყვარე, რომელსაც არც დღისით სძინავს, არც ღამით, რათა შეიძინოს ის, რაც არა აქვს, გაამრავლოს ის, რაც აქვს. წუხან იმაზე, რაც არა აქვთ და უკმაყოფილონი არიან იმით, რაც აქვთ. ის ღამეებს თვლაში ატარებს, დღეებს _ ვაჭრობაში, მაღალ მთებსა და უსაზღვრო ზღვებს უშიშრად ლახავს, დედამიწის შორეულ მხარეებში შემოსავალს თვალს ადევნებს. ის გამჭრიახი თვალით ყველაფერს ხედავს, ყოველთვის ზედმიწევნით განსჯის; მხოლოდ ერთს ვერ ხედავს და ერთზე არ მსჯელობს _ სიკვდილზე. ანგარებისმოყვარე დედამიწაზე მარადიულ სიცოცხლეს წარმოისახავს, უთვალავი სიმდიდრეც ამიტომ სწყურია. უდიდესი ცდომილებაა, როცა ადამიანს დედამიწაზე მარადიული სიცოცხლის იმედით უზომოდ გამდიდრება უნდა. მაგრამ უფალს სურს გაფანტოს ეს ცდომილება დღევანდელი იგავით, რომელშიც სამ რამეს ამხელს: პირველი _ ანგარებისმოყვარის დაუღალავ ზრუნვას *რაჲ-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?* (ლკ. 12, 17); მეორე _ უაზრო და ამაო იმედს: *მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთაჲ* (ლკ. 12, 19); მესამე _ ცხოვრების უეცარ და უბედურ დასასრულს: *ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?* (ლკ. 12, 20). დღეს ამ საგანზე მექნება საუბარი.

I

ანგარებისმოყვარეს ახასიათებს თვისება _ მეტი უნდოდეს. ამიტომ ყოველთვის ეშინია იმის დაკარგვისა, რაც აქვს და თავისი ქონებით ყოველთვის უკმაყოფილოა. «იყო ანგარებისმოყვარე, ეს ნიშნავს, იმაზე მეტი გინდოდეს, ვიდრე საჭიროა» _ ამბობს ოქროპირი. სხვა სიტყვებით, ანგარებისმოყვარე ისაა, ვისაც იმაზე მეტი აქვს, ვიდრე მისთვის საკმარისია, ვიდრე მას სჭირდება. ამიტომ ანგარებისმოყვარეს შეძენილი არ ახარებს, არამედ შესაძენი ამწუხრებს» ამბობს ბასილი დიდი.

ორი თვე არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ღმერთმა ებრაელები უდიდესი სასწაულებით ფარაონის მძიმე მონობიდან იხსნა და მათ უდაბნოში ელიმსა და სინას შორის კარვები დადგეს. ეს იყო უწყლო და ცხელი ადგილი, სადაც არაფერი იყო ისეთი, რაც მათ გამოკვებავდა. მერედა რა? განა ისინი ღვთის ყოვლადძლიერ და მოქმედ მარჯვენას საკუთარი თვალით არ ხედავდნენ? განა ის არ იცავდა მათ დღისით, რათა მზეს არ დაეწვა და ღრუბლით იფარავდა? ღამით კი, რომ დაენახათ საით მიდიან, ცეცხლოვანი სვეტით

გზას უჩვენებდა. ებრაელებს ალბათ უნდა ჰქონოდათ რწმენა და იმედი იმისა, რომ ღმერთი მათ შიმშილით სიკვდილს არ დაანებებდა, არამედ აუცილებელ საზრდოს წარმოუგზავნიდა. არა, ეს პირველი ცოდვაა ანგარებისმოყვარისა _ არ სჯეროდეს და არ მიენდოს ღვთის განგებას, რომელსაც არ სცნობს მცირედმორწმუნე და უმადური ებრაელი ერი. ამიტომ მან მოსეზე, აარონსა და მხსნელ, კეთილისმყოფელ ღმერთზე დრტვინვა დაიწყო *«დრტვნვიდა ყოველი შესაკრებელი ძეთა ისრაელისათა მოსესთვის და აჰრონისთვის»* (გამ. 16, 2). იმ სანოვაგეს მისტიროდნენ, რასაც ეგვიპტეში ჭამდნენ. აქ რად მოგვიყვანეთ, უდაბნოში, იმისათვის, რომ შიმშილით დავიხოცოთ? ის-ის იყო საჭმელი ინატრეს ებრაელებმა და ღმერთმა მათ სასწაულებრივი საზრდო განუმზადა: ზეციდან მანანა მოუვლინა, ორმოცი წლის მანძილზე, ვიდრე ისინი უდაბნოში მოგზაურობდნენ, ეს მანანა ასაზრდოებდა მათ. ყოველ დილით ნამთან ერთად ცვიოდა რაღაც თეთრი, მრგვალი, ტკბილი, უსაზღვრო რაოდენობის. ამ მანანას, როგორც ნათქვამია სოლომონის სიბრძნის წიგნში, ყველანაირი საკვების გემო ჰქონდა, როგორსაც კი ადამიანი ინატრებდა. კაცები, ქალები და ბავშვები გამოდიოდნენ კარვიდან და აგროვებდნენ. თითოეული იმდენს იღებდა, რამდენის ჭამაც სურდა. რაოდენ მდიდარი წყალობაა ღვთისა! რაოდენ დიადი ბედნიერებაა ებრაელი ერისათვის! უშრომელად, თესვისა და მკის გარეშე, ყოველდღე პოულობდე პურს არსობისას! პურს არამიწიერს, ზეციურსა და ანგელოზებრივს, როგორც უთქვამს წინასწარმეტყველს *«პური ანგელოზთაჲ ჭამა კაცმან»* (ფს. 77, 25). მხოლოდ ორი პირობის დაცვა უბრძანა მათ უფალმა. პირველი _ იმდენი მანანა მოეგროვებინათ, რამდენიც დილიდან საღამომდე ეყოფოდათ, ანუ ზომიერად, მხოლოდ ოჯახის სამყოფი, ისე, რომ არც დაკლებოდათ და არც მოჭარბებოდათ; რომ თითოეული იმ დღეს გამძღარიყო და მეორე დღისთვის არაფერი შეენახა. ან კი რა აუცილებლობა იყო ამისა, როცა ღმერთი ყოველდღე აძლევდა მათ საკმარისს? *«შეკრიბეთ კაცად-კაცადმან მისგან, რაოდენ ჯერ-ყოს... რიცხვსაებრ სულთა თქუენთასა... ნუ ვინ დაუტეობს მისგანსა განთიადამდე»* (გამ. 16-19). მეორე _ შაბათისწინა მე-6 დღეს, რომელსაც პარასკევს ვუწოდებთ, ორჯერ მეტი შეეგროვებინათ, რათა შაბათსაც ყოფნოდათ; განსვენების ამ პატიოსანი დღესასწაულის დღეს ერს სიმშვიდე უნდა დაეცვა, მოწიწებითა და ლოცვით უნდა დაესვენა. ამიტომ უფალი მანანას…შაბათობით არ გზავნიდა *«ექუსთა დღეთა შეჰკრიბოთ, ხოლო მეშჳდე დღე შაბათი არს, არა იყოს მას შინა»* (გამ. 16, 26). ასე ბრძანა ღმერთმა. მაგრამ რა ქნეს ებრაელებმა? განა ყოველდღე იმდენი საკვები არ ჰქონდათ, რამდენიც სჭირდებოდათ? დიახ; მაგრამ ზოგიერთნი არ იყვნენ კმაყოფილი იმით, რასაც ღმერთი აძლევდა; მათ მეტი უნდოდათ, რათა მეორე დღისთვის შეენახათ, ეშინოდათ საკვების გარეშე არ დარჩენილიყვნენ, საკვებისა, ყოველდღე ასე უხვად რომ ცვიოდა და დედამიწას ფარავდა. ანგარება სწორედ ამაში მდგომარეობს, გინდოდეს იმაზე მეტი, ვიდრე გჭირდება «ანგარებისმოყვარეობას იმაზე მეტი სურს, ვიდრე საჭიროა». მათ ზედმეტი მოაგროვეს, მეორე დღისთვის შეინახეს, მაგრამ დილით ნახეს, რომ გაფუჭებულიყო და მატლების ნადავლი გამხდარიყო, _ *«დაუტევეს ვიეთმე მისგანი განთიადმდე და გარდაეცა მატლი და აღყროლდა»* (გამ. 16, 20). სხვები შაბათს, უქმე დღეს გამოდიოდნენ და მანანას აგროვებდნენ; ე სარის დიდი ანგარება, როცა არა ხარ კმაყოფილი იმით, რაც გაქვს და ზრუნავ იმაზე, რაც არ გაქვს. «ანგარებისმოყვარეს შეძენილი არ ახარებს, არამედ შესაძენი ამწუხრებს». ისინი შესაგროვებლად გამოდიოდნენ, მაგრამ ვერაფერს პოულობდნენ და შინ ცარიელი ხელებით ბრუნდებოდნენ, _ *«და იყო დღესა მეშჳდეს, განვიდეს ვინმე შეკრებად*

და ვერ ჰოვეს» (გამ. 16, 27). ასე მოუხდებათ ანგარებისმოყვარეებს! დაე, მატლებმა შეჭამონ, დაე, გაფუჭდეს მათი დანაზოგი, მათ ხომ საკმარისად აქვთ ღვთისაგან ბოძებული; დაე, ფუჭად იშრომონ, ვერაფერი იპოვონ, თუკი კმაყოფილი არ არიან იმით, რაც აქვთ და ფიქრობენ იმაზე, რაც ჯერ არა აქვთ! ჰოი, ბინძურო, საძაგელო სიხარბევ, ჰოი, იუდეველთა გაუმაძღრობავ და ანგარებავ!

მაგრამ რად ვკიცხავ იუდეველების ანგარებისმოყვარეობას, როცა იგივე ვნებას ქრისტიანებშიც ვხედავ და შესაძლოა, უფრო ძლიერსაც? «ქრისტიანთა შორის ანგარებისმოყვარეობა უმთავრესად ბატონობს და მძარცველებიც ცხოვრებას ანგრევენ» _ ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი. დიახ, ანგარება მეფობს სასამართლოში, სადაც ქრთამი მოსამართლეს თვალს უხუჭავს და ის სამართალს არად დაგიდევს; სიხარბე დაეხეტება სავაჭროში, სადაც ვაჭარი კოღოსაც კი ისეთი ანატომიური ხელოვნებით ანაწევრებს, გამოცდილ ექიმებსაც რომ არსად უნახავთ და ამას იმისთვის აკეთებს, რომ პატარა დიდად აქციოს, ცოტა _ ბევრად, ერთი კი _ ასად. ანგარებისმოყვარეობა სახელოსნოებშიც ბუდობს, სადაც მატყუარა გამყიდველი ხელოსანი გაფუჭებული სასწორით, ცრუ ფიცით და სიხარბით დააცხრება სამარცხვინო შემოსავალს. ორატორთა ენასაც ანგარებისმოყვარეობა მართავს, ამოძრავებს მწერალთა კალამს, სადაც ფილოსოფოსი, როგორც კონდიტერი _ ტკბილეულით, სიტყვებით ვაჭრობს. ანგარებისმოყვარეობა ღვთის ტაძარშიც აღწევს და იერუსალიმივით ბოსტნეულის შესანახად აქცევს; ლოცვის სახლი სავაჭრო სახლად გადაიქცევა; ვაჭრობენ საიდუმლოთა მადლით და როგორც წმ. პავლე ამბობს, კეთილმსახურებას ხელობად თვლიან. «ანგარებისმოყვარეობა მბრძანებლობს, და მძარცველებიც ანგრევენ ცხოვრებას».

თუკი ღვთის მამობრივი განგებულება ასე ზრუნავდა ებრაელ ხალხზე, გაცილებით მეტად ქრისტიანებზე იზრუნებს. ყველა სიკეთე, რომელიც კი მიაგო მათ ღმერთმა, ჩრდილია უმაღლესი სიკეთისყოფისა, რომელიც ჩვენ მოგვაგო; როგორც ციური მანანა ასაზრდოებდა ებრაელებს განუწყვეტლივ, ასევე ჩვენც არასდროს გვერთმევა წყალობა ღვთაებრივი განგებულებისა. და თუ ვერ ვხედავთ ამას თვალნათლივ, ამის მიზეზი ჩვენი უმადურობაა: როგორც ქვიშაზე არ ჩანს წვიმა, ასევე არ ჩანს ღვთაებრივი წყალობა, როცა ის უმადურ სულზე მოიღება. ჩვენ შიშველნი ვიბადებით, მაგრამ ყოველივე სიკეთის მომცემელი ღმერთი, დიდთა და პატარათა, ფრინველთა და ცხოველთა შემმოსველი და გამომკვებავი, კეთილინებებს, რომ ჩვენ, თავისი შვილებიც გამოგვკვებოს, «რამეთუ ღმერთს არაფერი აქვს გაუთვალისწინებელი და უზრუნველად დატოვებული» _ ამბობს ბასილი დიდი. მან იცის, რა გვჭირდება და შეუცდომლად გვაძლევს. ამიტომ თვითონვე შეგვაგონებს წმინდა სახარებაში, არ ვიზრუნოთ და დავჯერდეთ იმას, რაც დღეს გვაქვს, არ ვიფიქროთ ხვალინდელზე. როგორი ნეტარი ცხოვრებაა! გარეშე ყოველგვარი საზრუნავისა, რომელიც დღეებს გვიწამლავს, იმედოვნებდე მხოლოდ ღვთის განგებულებაზე, რომელიც მუდამ საკმარისს გვაწვდის! მაგრამ ანგარებისმოყვარეობა თავს არ გვანებებს, იმის კეთებას გვაიძულებს, რაც ებრაელებმა გააკეთეს უდაბნოში, სახელდობრ: მომეტებული ძალისხმევით, სამარცხვინო ჩანაფიქრით საკმარისზე მეტი შევაგროვოთ. ხშირად ხდება ასე _ ძარცვისა და უსამართლობის მეშვეობით გვაიძულებს, დავარღვიოთ დღესასწაულები, რომელთა აღნიშვნასაც ღვთაებრივი აღთქმა გვიბრძანებს; გამოვტოვოთ წმინდა მსახურება, რომლებითაც ღვთაებრივი კეთილისმყოფელი უნდა განვადიდოთ; _ გამოვიდეთ ეკლესიიდან, სადაც უნდა ვიდგეთ და საშინელ საიდუმლოსა და ღვთის სიტყვას

ვუსმინოთ. ჩვენს სურვილშიც, გავხდეთ უფრო დიდნი, ვიდრე სინამდვილეში ვართ, არასდროს ვრჩებით კმაყოფილი იმით, რაც მოგვცა, არც იმით, როგორიც შეგვქმნა ღმერთმა. ეს ჩვენი პირველმამათა ცოდვაა, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ. რა იყო ადამი? შექმნამდე არაფერი. შემდგომ? _ მიწა. მიწიდან ის ადამიანად იქცა, შემდგომ ადამიანიდან ცისქვეშეთის ყველა სულდგმულის მეფე გახდა *«ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერხთა მისთა»* (ფს. 8, 9). მეტი რაღა უნდა ესურვა ადამს? მაგრამ ამით დაკმაყოფილდა განა? არა; იმ ადამმა, რომელიც თავდაპირველად არაფრიდან მიწად იქცა, მიწიდან _ ადამიანად, ბოლოს ღმერთად გახდომა განიზრახა. *«იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი»* (დაბ. 3, 5) უთხრა მას გველმა და იმანაც დაიჯერა. ჰოი, უზომო სიხარბევ, საწყისო და ფესვო ყველა ბოროტებისა, ანგარებავ, რომლის გამოც სამართლიანად დაიკარგა მიწიერი სამოთხის უმაღლესი ნეტარება! ადამიანო! ძეო ადამისა! ღმერთმა არაფრიდან ადამიანად გქმნა, მდიდარ მბრძანებლად; მაშ იყავი კმაყოფილი იმით, რაც მოგცა, როგორიც შეგქმნა ღმერთმა! მაგრამ ანგარებისმოყვარეობა თავს არ განებებს _ შენ უფრო მეტი გინდა! მაშ მოისმინე. როგორც ფუჭდებოდა და მატლების ნადავლი ხდებოდა ის ზედმეტი მანანა, ებრაელები რომ აგროვებდნენ, ასევე ის ზედმეტი საგნები, რომლებსაც აგროვებ, უგვანია ღვთის წინაშე, ათასი საშუალებით იხრწნებიან და იშლებიან ისინი. და როგორც შაბათ დღეს არ წარმოგზავნა ღმერთმა მანანა, დღესასწაულის დღეს ასევე არ მოგცემს შემოსავალს. ამიტომ ამაოდ შრომობ და აწყობ გეგმებს _ ამით მხოლოდ იღუპავ ცხოვრებას და სულს ცოდვაში იგდებ. ანგარებისმოყვარენო, ისმინეთ, რას გეუბნებათ სულიწმიდა წინასწარმეტყველ ესაიას პირით: *«ქსელსა დედაზარდლისასა ქსოენ... ქსელი მათი არ იყოს შესამოსლად, არცაღა გარემოისხან საქმეთაგან მათთა, რამეთუ საქმენი მათნი საქმე უსჯულოებისა»* (ეს. 59, 5-6). არ არის არსება, ისე გულმოდგინედ და დახვეწილად რომ მუშაობდეს, როგორც ობობა; ის თავს იკლავს, როცა ამ უნაზეს ქსოვილს ქსოვს, რადგან ეს წვრილი ძაფი მისი შიგნეულიდან გამოდის; მაგრამ ეს ქსოვილი ხომ უსარგებლოა და ობობას შრომაც ამაო. ამის მსგავსად, არ არის ადამიანი, რომ მუშაობდეს იმაზე მეტს, ვიდრე ანგარების მოყვარე. რა შრომაა! რამდენი მოგზაურობა, სახმელეთო და საზღვაო! რამდენი ზრუნვა და მოგება! როგორი გულმოდგინება ჩანაფიქრებში და როგორი სიზუსტე გათვლებში! ის დნება, იფიტება, მაგრამ საქმეს აკეთებს, და ეს საქმე ქსელია დედაზრდილისა. და როგორც ობობას ქსელი ვერ იქცევა სამოსად, ასევე ანგარებისმოყვარის საქმეებიდან არ შეიძლება რაიმე სასარგებლო გამოვიდეს. რატომ? იმიტომ, რომ ეს სჯულს ეწინააღმდეგება და საძაგელია ღვთის წინაშე. *საქმენი თქვენნი, საქმენი უსჯულოებისა.* ასე რომ, «ანგარებისმოყვარეობის არსებითი თავისებურება ის არის, რომ სურთ იმაზე მეტი, ვიდრე საკმარისია და აუცილებელი. ანგარებისმოყვარეს არ ახარებს შეძენილი, მაგრამ ამწუხრებს ის, რაც არ შეუძენია.

რა უბედური, მტანჯველი ცხოვრებაა! როგორი უაზრო და ამაო იმედია! დღევანდელი იგავი მოგვითხრობს: *«კაცისა ვისიმე მდიდრისაჲ ნაყოფიერი იყო აგარაკი…»* განუზომლად გამრავლდა მინდორში მოსავალი, ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებში _ ნაყოფი, საძოვარზე _ საქონელი, ბეღლები ხორბალს ვეღარ იტევდნენ, საკუჭნაოები _ ღვინოსა და ზეთს, ფარეხები _ ცხვარ-ძროხას. *«და განიზრახვიდა გულსა შინა თჳსსა და თქუა: რაჲ-მე ვყო რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?»* (ლკ. 12, 16-17) ის თავის თავთან ბჭობდა, ამბობდა: რა ვქნა? სად შევინახო ნაყოფი, რომელიც ასე გამიმრავლდა? *რაჲ-მე ვყო?* ანგარებისმოყვარევ, მე გეტყვი, რაც უნდა ქნა: შენი უწინდელი ბეღლები აავსე, მათში

აუცილებელი და შენთვის საკმარი დატოვე, ყველა შენი მოთხოვნილება დაიკმაყოფილე, ხოლო ის, რაც დარჩება, ღარიბებსა და მათხოვრებს გაუნაწილე. *რაჲ-მე ვყო?* ადამიანო, ის, რაც შეიძინე, არ არის შენი შრომის ნაყოფი, არამედ უზენაესის კეთილისმყოფელი მარჯვენითაა ბოძებული; ამიტომ კეთილისმყოფელ ღმერთს მიბაძე. ესოდენ მოწყალე იყო შენს მიმართ ღმერთი, შენც იყავ მოწყალე მოყვასის მიმართ. *რაჲ-მე ვყო?* _ ამბობ შენ, ფიქრობ ამდენი ხორაგი სად წაიღო. *რაჲ-მე ვყო?* _ ამბობს ღატაკიც და ფიქრობს როგორ გამოკვებოს თავისი უბედური შვილები. შენ ზედმეტი ქონება გაწუხებს, მას კი გაჭირვება. მეურნეობის მართვაში თუნდაც ეს სამართლიანობა გამოიჩინე: იქიდან, რაც დაგრჩება, მიეცი ღატაკს ის, რაც მას სჭირდება. ყველაფერი შენ ერთს გინდა რომ გქონდეს *«დავარღვნე საუნჯენი ჩემნი და უფროისნი აღვაშენნე»* (ლკ. 12, 18) _ დავარღვევ ძველ, პატარა ბეღლებს და სხვას, უფრო დიდს ავაშენებ. შეშლილო, ისევ რომ გაგიმრავლდეს მოსავალი, ისევ დაარღვევ და ააშენებ? რა აუცილებლობაა იმისა, რომ აშენო ახალ-ახალი საცხოვრებლები აქ, დედამიწაზე, როცა ზეცაში გაქვს უხრწნელი საგანძური _ ღატაკთა ხელები? ამ ხელებში შეინახე შენი ნაყოფი და ის სამარადჟამოდ გექნება. არა "*შევკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი*» (იქვე). მე არ მსურს სხვას ის მივცე, რაც ღმერთმა პირადად მე მომცა: მაშინ ვეტყვი სულს ჩემსას: *«სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთაჲ: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ»* (ლკ. 12, 19) _ სულო დაისვენე შრომისაგან, ყველა სურვილი დაიოკე, შენ მრავალი საუნჯე გაქვს, რომელიც მრავალი წელი გეყოფა.

აი, უგონო და ამაო იმედი ანგარებისმოყვარისა, მას დიდი ხნის სიცოცხლის იმედი იმიტომ აქვს, რომ ბევრი შეაგროვა, ფიქრობს, რომ ამით წლებიც გაუმრავლდა; წარმოიდგინა, რომ სიმდიდრემ უკვდავი გახადა _ *«ხოლო მე ვთქუ განგებულებასა ჩემსა: არა შევიძრა მე უკუნისამდე»* (ფს. 29, 6). ამ იმედმა ქვეყნიერების არსებობის პირველ დღეებში შეცდომაში შეიყვანა პირველი ანგარებისმოყვარე, დედამიწის ყველა ქმნილებათა დიადი და მდიდარი მბრძანებელი, პირველმამა _ ადამი. ღმერთმა ადამსა და ევას უბრძანა, არ ეჭამათ ცნობადი ხის ნაყოფი, სხვაგვარად, თქვა მან, *სიკუდილითა მოსწყდეთ* (დაბ. 2, 17) ხოლო ეშმაკმა, რომელმაც მათ ღვთის მცნების დარღვევისაკენ უბიძგა, უთხრა, რომ არ მოკვდებიან. *«არა სიკუდილით მოჰკუდეთ»* (დაბ. 3, 4). ადამიანმა ეშმაკს დაუჯერა და არ დაუჯერა ღმერთს. იგივე ეშმაკი ახლაც ეჩურჩულება მმართველებს, მდიდრებსა და ხარბებს, ეუბნება, რომ არ დაიხოცებიან, მათში დიდი ხნის სიცოცხლის იმედს აღძრავს და აიძულებს თქვან: *«სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთაჲ».*

მაგრამ ეს რა ხმა მესმის? ეს ღვთის ხმაა: *«უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან»* (ლკ. 12, 20). მდიდარო, დგახარ და ფიქრობ, არ იცი, რა უყო შენს უთვალავ ქონებას, მრავალი წლის სიცოცხლეზე ოცნებობ და სიკვდილი საერთოდ არ გახსოვს! შეშლილო, სულელო და უაზროვ! არა ამ წელს, არა ამ თვეს, არა ამ კვირაში, არამედ ამაღამ *«ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან».* შენ რამდენიმე საათში მოკვდები. ქრისტიანენო, ეს ხომ შესაძლებელია. მაშ, რისი იმედი ჰქონდა დღევანდელ მდიდარს? იმედები სულელური და ამაო? ესე იგი, როცა მრავალი წლის სიცოცხლეზე ოცნებობდა, მან არ იცოდა რაზე ლაპარაკობდა? განა მდიდრები ისევე არ კვდებიან, როგორც ღარიბები? ვინ დაეჭვდება ამაში? მეფე ნაბუქოდონოსორმა სიზმარში დიდი და მაღალი ქანდაკება ნახა, რომელსაც ოქროს თავი, ვერცხლის მკერდი, ბრინჯაოს მუცელი, რკინის თეძოები, ხოლო ფეხები ნაწილობრივ რკინის, ნაწილობრივ თიხისა ჰქონდა. ამაშია საიდუმლო, რომელსაც

ვიკვლევ. მან ასევე დაინახა, როგორ მოწყვიტა უხილავმა ხელმა კლდიდან ლოდი და ქანდაკება დაამსხვრია, მტვრად აქცია, რომელიც შემდეგ ქარმა გაფანტა და ადგილი, სადაც ის იდგა, ძნელად საცნობი გახდა *«ჰხედევდ, ვიდრე არა გამოუკუეთა ლოდი მთისაგან თჳნიერ ჴელთასა, და დაეკუეთა ხატსა... მაშინ დამწულილდეს ერთბამად კეცი, რკინაჲ, რვალი, ვეცხლი, ოქროჲ, და იქმნეს, ვითარცა მტუერი კალოჲსაგან ზაფხულისაჲსა და აღიღო იგი სიმრავლემან სულისამან, და ყოველი ადგილი არა იპოვა მათი...»* (დან. 2, 34-35). ყველაზე მეტად ეს მაკვირვებს: დამსხვრეული თიხა მტვრად იქცა, ასევე მტვრად იქცა ოქროს თავი, რომელიც თითქოსდა ოქროს სილად უნდა ქცეულიყო, ვერცხლის მკერდი, ბრინჯაოს მუცელი, რკინის თეძოები, ყველაფერი მტვრად იქცა. სიკვდილიც ამასვე აკეთებს. ის ყველას ათანაბრებს. ყველანი ერთნაირად იქცევიან მტვრად, ფერფლად: რამდენადაც თიხის ფეხები, ანუ ღარიბები და მათხოვრები, ამდენადვე რკინის თეძოები, ანუ მდაბიონი და დამცირებულნი, რომლებსაც ქვეყანა არაფრად აგდებს; ამდენადვე რკინის მუცელი, ანუ სიჭაბუკე და სიმამაცე; ამდენადვე ვერცხლის მკერდი, ანუ მდიდრები, ვისაც ფული მრავლად აქვს; ამდენადვე ოქროს თავი, ანუ დიდებულები, წარჩინებულნი და ამაყნი, რომლებსაც ყველა ამქვეყნიურ დიდებასა და პატივს მიაგებს. ყველა მტვერია, ყველა თანაბარია: მართლაცდა სულელი და შეშლილია ის მდიდარი, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლის იმედი ჰქონდა. უბედურო, დიდი ხნის სიცოცხლეზე ოცნებობ? მაგრამ შენ არ შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ ერთი დღე იცოცხლებ, განა შენთვის არ არსებობს ავადმყოფობა, არ არის მკვლელობა, უეცარი და სხვა მრავალი ამგვარი სიკვდილი? მაგრამ მე აქ სხვა რამეს ვხედავ. დიდი, მაღალი ქანდაკება ხომ ნახე? რამ შემუსრა ის? ერთმა ქვამ. ხელი თუ დაინახე, რომელმაც ის გადმოაგორა? არა, რამეთუ *«გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თჳნიერ ჴელთასა».* ასევე უხილავად წარმოიგზავნება დარტყმა ხელისაგან, რომელსაც ვერ ხედავ, და ეს დარტყმა შემუსრავს და დაამხობს ამ წარჩინებულს, მდიდარსა და ღირსეულს, ამ გაფერადებულ კერპს, რომელსაც ჩვენ, ცდომილნი, თაყვანს ვცემდით *«ვითარღა იქმნეს მოსაოხრებელ»* (ფს. 72, 19). გაქრა გამოსახულება, შემუსვრილა და მტვრად ქცეულა ქანდაკება და ეს მტვერიც ქარს გაუფანტავს. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ქარს მიაქვს. მეტიც, მოკვდა მდიდარი და მისი ხსოვნაც დაიმარხა *«წარწყმდა სახსენებელი მათი ღაღადებით»* (ფს. 9, 6) *და ადგილი არა იპოვა მისი.* ეს სულიწმიდის სიტყვებია. აი ასეთია ბოლო შეშლილო ანგარებისმოყვარევ. *«ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსსა და არა ღმრთისა...»* (ლკ. 12, 21). და როცა შენს სიკვდილს გავიგებ, ეს კი ამაღამ უნდა მოხდეს, მოვალ, რათა შენი საფლავის ქვას წავაწერო: *«აჰა ესერა კაცი, რომელმან არა ყო ღმერთი მწე მისა, არამედ ესვიდა იგი სიმრავლესა სიმდიდრისა მისისასა და განძლიერდა იგი ამაოებითა თჳსითა»* (ფს. 51, 7).

II

ნეტარი პავლე, რომელმაც იცოდა, თუ რა მძიმე ბოროტებაა ადამიანებისთვის ანგარებისმოყვარეობა, რა დიდი დაბრკოლებაა ცხონებისკენ მიმავალ გზაზე და უპირველესი მიზეზი ჩვენი იმქვეყნიური ტანჯვისა, თავის საყვარელ მოწაფეს ტიმოთეს სწერს: *«ხოლო რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შეცჳვიან განსაცდელსა და საფრჴესა და გულის თქუმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დაანთქიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად»* (1. ტიმ. 6, 9). გთხოვთ, ჩასწვდეთ ამ სიტყვებს. ის ამბობს, რომ გამდიდრების მსურველნი სამ დიდ უბედურებაში ჩაცვივდებიან: პირველი _ ცდუნებაში; მეორე _ ბადეში; მესამე _ სხვადასხვა ვნებაში.

ცდუნებაში ჩაცვივდებიან. გამდიდრების მსურველებს სიცრუის თქმის ცდუნება მოიცავს, ფიცის, წყენინების, ტაცებისა და მოკვლისაც კი. ეს იცის ღარიბმა *ნაბოთმა,* რომელიც ანგარებისმოყვარე მეფე აქაბის ბრძანებით ქვით ჩაქოლეს. ანგარებისმოყვარეობა _ ეს ბადეა, რომელიც სავსებით გამოდგება საიმისოდ, რომ ეშმაკმა ადამიანები გააბას. ბადეში მოხვედრილ ფრინველს აღარ შეუძლია მეჩიტბადეს თავი დააღწიოს. ანგარებით შეპყრობილი სულიც ვერ აღწევს თავს ეშმაკის ხელებს. მიზეზი ისაა, რომ ანგარებისმოყვარის მონაგარის უმეტესი ნაწილი უსამართლობითაა ნაშოვნი, ასეთ რამეს არ პატიობენ, თუ არ იქნა ანაზღაურებული; მაგრამ ეს არასდროს ხდება. აქედან გამოდის, რომ ანგარებისმოყვარე სამუდამოდ ბადეში რჩება. უსამართლო ანგარებისმოყვარე იყო ზაქე, მაგრამ როგორ გაგლიჯა ბადე და გადარჩა, და გაიგონა იესო ქრისტეს ძვირფასი სიტყვები *«დღეს იქმნა ცხოვრებაჲ სახლისაჲ ამის»* (ლკ. 19, 9). უპირველეს ყოვლისა მან თავისი ქონების ნახევარი გლახაკებს დაურიგა *«ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა»* (ლკ. 19, 8). შემდგომ მისგან ნაწყენ კაცს მისცა ოთხი წილი *«უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი»* (იქვე) ანუ, ერთი დააბრუნა იმისათვის, რომ წაართვა, მეორე _ იმისათვის, რომ ღატაკმა დაკარგა; მესამე _ იმისათვის, რომ იმან ვერ ნახა მოგება; მეოთხე იმისათვის, რომ მან ამის გამო სიღარიბე, შიმშილი, წყურვილი და სიშიშვლე დაითმინა. მაგრამ ვინ აბრუნებს ასე? _ არავინ. ამიტომაც ანგარებისმოყვარე სიცრუის ბადეში რჩება. ე.ი. მას არ ეპატიება. და ბოლოს, მრავალ ვნებაში ვარდება. ზღვა, რომლის წიაღშიც მდინარეთა მთელი წყლები ჩაედინება, როდისმე ამბობს «კმარა»? _ არასოდეს! ასევე არასდროს კმაყოფილდება ანგარებისმოყვარე. ეს იგივეა, რაც ღორმუცელობა _ როცა ადამიანი ჭამს და ვერ ძღება. «ასეთია ანგარებისმოყვარეობის სნეულება, მან თავისი სიხარბის ზღვარი არ იცის» _ ამბობს ღვთისმეტყველი. რა სახის ვნებები აქვს ანგარებისმოყვარეს? უგუნური და ბოროტი. სადამდე მიყავთ მათ? ცხოვრებისა და სულის წარწყმედამდე *«რომელთა დაანთქიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად».*

მაგრამ, მდიდარო, მინდა გკითხო, როგორც უფალმა ჰკითხა მდიდარს დღევანდელ იგავში, ბოლოს და ბოლოს, ვისი იქნება ეს სიმდიდრე, შენ რომ შეაგროვე, რომლისთვისაც შენი ცხოვრება დაღუპე და სული ცოდვით დაიმძიმე *«რომელ მოიმზადე, ვისა იყოს»?* (ლკ. 12, 20). მე გეტყვი. იმ დიდ ხეს ხომ ხედავ, მიწაში ღრმად რომ ჩაზრდილა, კენწერო მაღლა აღუმართავს, ტოტები ფართოდ გაუშლია და მწვანით შემოსილი თავის ჩრდილქვეშ მრავალთ იფარებს? როცა მიწაზე დაეცემა და გახმება, ყველა, ვისაც სურვილი ექნება მას შეშად დაჩეხავს. კეთილდღეობაში ღრმად ფესვგადგმული ხე _ ეს შენ ხარ; ამიტომ ამბობ: *«არა შევიძრა მე უკუნისამდე»* (ფს. 29, 6). შენ, ქედმაღლობითა და ამპარტავნებით თავაწეულს ფართოდ განგივრცია შენი ხელისუფლება, ბევრს მფარველობ, მაგრამ როცა დაეცემი, მაშინ სწორედ ის, ვიზეც არ ფიქრობ, ის «შეშის მჭრელი», ტოტებს დაგაჭრის, შენს სიმდიდრეს დაიტაცებს; შენ ერთისთვის იღწვოდი და შესაძლოა სულ სხვა გახდეს შენი მემკვიდრე. *«დაუტეონ უცხოთა სიმდიდრე მათი»* (ფს. 48, 10). ასეთია სულიწმიდის გადაწყვეტილება. *«რომელ მოიმზადე, ვისა იყოს»?* მე გეტყვი: როგორც ის ზედმეტი მანანა, რომელიც ებრაელებმა შეინახეს და მატლებმა შეჭამეს, ესეც ასევე განქარდება და უსარგებლო გახდება. *ვისა იყოს?* გეტყვი: როგორც ქვამ შემუსრა ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა იმ ქანდაკისა და ქარმა გაფანტა, ასევე იმას, რაც შენ გაქვს, ბედის უეცარი ცვლილება დაანგრევს და ფუჭად გაფლანგავს. *«ვისა იყოს»?* მას ან ვინმე თავაშვებული მემკვიდრე გააბნევს, ან რომელიმე მტაცებელი მევალე შთანთქავს, ან ბოროტი კაცი გაძარცვავს. *«ვისა*

იყოს»? მოკლედ გეტყვი: ეს მამონას სიცრუისაგან ხომ არ არის? ე.ი. ის იქნება შენი მემკვიდრე. მან თავად მოაგროვა ის ასეთი მონდომებით, ამდენ ხანს ინახავდა, ისვე გაფლანგავს მანკიერების ბუდეში ნადიმებსა და თამაშზე _ აი როგორი იქნება ნაყოფი შენი ანგარებისა! ეგრეცა იუნჯე შენი თავისთვის და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის!

«მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის; აქ ერთისა არს საჭმარ» (ლკ. 10, 41). მდიდარო, ზრუნავ და ფიქრობ *«ვისა იყოს»?* ფიქრობ იმ საგნებზე, რომლებიც არ უწყი ვის დარჩება. მხოლოდ ერთ რამეზე უნდა იზრუნო, გეუბნები, მხოლოდ ერთზე _ სულზე!

სიტყვა ლუკას სახარებაზე

საუკუნო ცხოვრების დამკვიდრებაზე

«მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე,
რაჲთა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო?»

ლკ. 18, 18

აი მდიდარი, რომელიც საგონებელში ჩავარდნილი ამბობს *«რაჲ საქმე ვქმნე» ...* სადაც სიმდიდრეა, იქ საზრუნავით გამოწვეული მღელვარებაა, იქ არის ფიქრი შეშინებული სულისა, იქ არის მერყეობა დათრგუნული გულისა. *«რაჲ მე ვჰყო?»,* ამბობდა სხვა მდიდარი გასული კვირის იგავში. მან არ იცოდა სად მოეგროვებინა ნაყოფი, რომელიც მისმა მამულმა უხვად მოიწია.

«რაჲ საქმე ვქმნე», ამბობს დღევანდელი მდიდარი და კითხულობს როგორ მოიპოვოს საუკუნო ცხოვრება. ის მდიდარი დარწმუნებული იყო, რომ დიდხანს იცხოვრებდა და მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, მეტი მოეგროვებინა*, რათა ქონება მთელი ცხოვრების მანძილზე ყოფნოდა; ამას კი უკვე ბევრი აქვს დაგროვილი, ხანგრძლივ სიცოცხლეზე ზრუნავს და უნდა, რომ მისთვის, ასეთი დიდი ქონების პატრონისთვის, ის არ დასრულდეს. ის მდიდარი ალბათ უკვე იმედოვნებს, ამას კი ჯერ მხოლოდ სურვილი აქვს მარადიული ცხოვრებისა. *რაჲ საქმე ვქმნე, რაჲთა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო?* იმას სიმდიდრე უყვარდა, ამას _ სიცოცხლე. ისიც და ესეც ერთნაირად უაზრო სურვილია, რამეთუ ორთავე ერთნაირად არაგონივრულია: გჯეროდეს ცხოვრების მარადიულობისა და სიმდიდრის მარადიულობა გსურდეს; და პირიქით: სიმდიდრის მარადიულობა გწამდეს და ამიტომ გინდოდეს მარადიული ცხოვრება. *«მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე, რაჲთა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო?»* მას სურს იპოვოს რაიმე გზა, რომელიც ამქვეყნიურ მარადიულ ცხოვრებასთან მიიყვანს. ის ფრიად მდიდარი იყო *«იყო ... მდიდარ ფრიად»* ამიტომ მოინდომა უკვდავი გამხდარიყო; მან გაიგონა, რომ ქრისტე მრავალ სასწაულს აღასრულებს, ირწმუნა, რომ მას ამის გაკეთებაც შეუძლია, და ფიქრობდა: ის, ვინც მკვდრებს აღადგენს, უფრო იოლად მოაწყობდა ისე, რომ ცოცხლები არ მომკვდარიყვნენ. წმ. თეოფილაქტე ამას ასე ხსნის: «ის იესოსთან მიდის, მას საუკუნო ცხოვ-რების შესახებ გაგება სურს, რამეთუ ფიქრობს, რომ იესო შესთავაზებს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ის მარადიულად იცოცხლებს და თავისი ქონებით დატკბება. და ეს იმიტომ, რომ არ არის არსება, ისე რომ იყოს სიცოცხლეზე მიჯაჭვული, როგორც

ნებისმიერი მდიდარი, რადგან არავის უყვარს სიცოცხლე ისე, როგორც ანგარებიან ადამიანს» _ ამბობს იგი. მაგრამ, ქრისტიანენო, აქ, დედამიწაზე გქონდეს მარადიული სიცოცხლის იმედი _ ეს უკიდურესი უგუნურებაა. მიწიერი არსებებიდან რომელი არ მომკვდარა, ან ოდესმე არ მოკვდება? *«ვინ არს კაცი, რომელი ცხოვნდეს და არა იხილოს სიკუდილი?»* ქრისტიანენო, არ არის სხვა, მარადიული ცხოვრება, გარდა იმ ცხოვრებისა, რომლითაც სამოთხეში ვიცხოვრებთ; ამიტომ თუკი რომელიმე მდიდარს მართლაც მოუნდება გაგება, თუ რა უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდროს, დღეს მინდა ვუჩვენო საიმედო გზა, რომელიც ამასთან მიიყვანს. მაშ ასე, მისმინოს!

I

ღვთის უმაღლესმა განგებულებამ, რომელიც წონით, ზომით და რიცხვით აშენებს და ყველაფერს ყოვლადბრძნულად მართავს, ადამიანთა მთელი მოდგმა ორ ნაწილად გაყო: მდიდრებად და ღარიბებად. ეს იმისათვის იყო საჭირო, რათა ორმხრივი ცვლით ადამიანთა თანაცხოვრება შენარჩუნებულიყო. თუკი ამ დროებით ცხოვრებაში მდიდრების მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება ღარიბების მდგომარეობისაგან, საუკუნო ცხოვრებაში, ღვთაებრივი განგებულებით ორივეს მდგომარეობა ერთნაირია *«ერთბამად მდიდარნი და გლახაკნი»* (ფს. 48, 3). ღმერთმა ერთ გზაზე მდიდრები დააყენა, მეორეზე _ ღარიბები; მდიდრები _ ფართო და გამოსაჩენ გზაზე, ღარიბები _ ვიწროსა და მოკრძალებულზე. მაგრამ სურს, რომ ერთნიც და მეორენიც თავთავიანთი გზით ერთ მიზანთან _ საუკუნო ცხოვრებასთან მივიდნენ, მდიდრები _ თავიანთი ქონების კეთილად მოხმარებით, ღარიბები _ სიღარიბის დათმენით. ისინი _ მოწყალების მეშვეობით, ესენი _ მოთმინებით. *«ერთბამად მდიდარნი და გლახაკნი».* «ნუთუ უსამართლოა ღმერთი, როცა ცხოვრებისათვის საჭიროს არათანაბრად გვინაწილებს?" _ კითხულობს ბასილი დიდი. მაშ შენ რისთვის ცხოვრობ სიმდიდრეში, ის კი სიღარიბეში? იმისათვის, რომ ქონების სწორად და კეთილად მოხმარებით შენ სასყიდელი მიიღო, მან კი სიღარიბის დათმენისთვის _ დიდი ჯილდო. შეხედეთ, იქ, აბრაამის წიაღში, ღატაკი ლაზარეა. თქვენ ხედავთ მდიდარ აბრაამს და ღატაკ ლაზარეს, ისინი ერთნაირად ნეტარებენ. მაშასადამე ცხონდებიან არა მხოლოდ ღარიბები, არამედ მდიდრებიც; მდიდრებისთვის სიძნელეს მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ სიმდიდრე ღვთის მიზნის თანახმად უნდა გამოიყენონ, სახელდობრ: სიკეთით, მოწყალებით და სამართლიანი განკარგვით. ეს ძალზე ძნელი საქმეა, ამიტომაც ეუბნება ღმერთი დღევანდელ მდიდარს: *«ძნიად შევიდნენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასე»* (ლკ. 18, 24).

ღვთის განზრახვა, რომლითაც მან სიმდიდრე მოგვცა, იმაში მდგომარეობს, რომ შენთვის საკმარისი და აუცილებელი გქონდეს, ხოლო ზედმეტი ღარიბებს დაურიგო. ღმერთმა ამდენი სიკეთე იმისათვის მოგცა, რომ შენ კარგი მმართველი იყო.

ნეტარი პეტრე ასე ამბობს: *«კაცად-კაცადმან ვითარცა მიიღო მადლი, ... ვითარცა კეთილნი მნენი მრავალ-ფერისა მის ნიჭისა ღმრთისანი»* (1 პეტ. 4, 10). ღმერთმა ბევრი მოგცა, სხვას კი ცოტა, ან სულ არაფერი, რათა შენი ნამეტით მისი დანაკლისი შეავსო. ნეტარი პავლე ასე ამბობს: *«თქუენნი იგი ნამეტნავი მათისა ნაკლულევანებისა... რადთა იყოს გასწორებულ»* (2 კორ. 8, 14). შენ ღმერთმა მდიდარი გქმნა, ის კი ღარიბი და ობოლი, რათა შენ ღარიბთა მფარველი და ობოლთა შემწე გახდე. ასე ამბობს ფსალმუნებში სულიწმინდა: *«შენდა დაშთომილ არს გლახაკი; ობოლსა შენ ეყავ მწე»* (9, 35). «ღმერთს

არავინ ჰყავს ღარიბზე მეტად პატიოსანი და ძვირფასი, და სამეურვეოდ სწორედ ის მოგცა". მან იმისი რჩენა დაგავალა, ვინც მისთვის ზეცაზე მეტად პატიოსანია» ამბობს დიდი ოქროპირი (14 საუბარი რომაელთა მიმართ ეპისტოლეზე). მეტი რაღა? ღარიბს თვით ქრისტე უწოდებს ძმას და აცხადებს, რომ ყოველივე ის, რაც რომელიმე ღატაკისთვის კეთდება, თავად მისთვის კეთდება: *«რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირედთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ»* (მთ.25, 40). იფიქრე, თუ რაოდენ მოვალე ხარ მასზე იზრუნო, თვალყური ადევნო, არჩინო. ამიტომ *«ნეტარ არს, რომელმან გულისხმა-ყოს გლახაკისა და დავრდომილისაჲ»* (ფს. 40, 1).

შენი საცხოვრებლის მეზობლად რომელიმე ადგილი უწყლო და გამომშრალი რომ ყოფილიყო, შენს ეზოში კი წყალუხვი წყარო აღმოჩენილიყო, რას იზამდი იმისათვის, რომ შენი კეთილისმყოფელის მიმართ მადლიერება გამოგეხატა? სვი ამ წყაროდან, რამდენსაც ისურვებ, მაგრამ მწყურვალი მეზობლებიც დაარწყულე. ეს წყალი შენი შენაძენი და შენი შრომა არ არის, ის ღვთის წყალობაა. წყალი უხვადაა, ის შენი სახლის საჭიროებებისთვის საკმარისია; ის საკმარისია საქონლის დასარწყულებლად და ბაღების მოსარწყავად. მაგრამ წყალი შეაკავო, ის ორმოებში ჩაიღვაროს, ან შენი ეზოდან ამაოდ გამოედინოს და ზღვას შეუერთდეს, მაშინ, როცა შენი მეზობლები წყურვილით იწვიან, განა ეს საძაგელი კცთმოძულეობა არ არის? ასევე, შენი მეზობლები, ახლობლები, თანამოქალაქეები, შენი თანამოძმენი, ქრისტიანები, ღარიბები არიან და აუცილებელი რამ არ გააჩნიათ; თუკი ღმერთმა ინება და თავისი წყალობა გაწვიმა, აბრამისეული სიკეთე შენს სახლზე წარმოგზავნა, რას აკეთებ იმისათვის, რომ ღირსი და მადლიერი იყო ღვთის ასეთი მოწყალებისა? ამ სიკეთიდან დაიტოვე, რამდენსაც ისურვებ, მაგრამ აქედან ერთი ნაწილი ღარიბებს მიეცი; სხვების მიმართ იყავ მოწყალე, როგორი მოწყალეც ღმერთია შენს მიმართ. დიდია შენი ქონება, ის შენი სახლის რჩენასაც ეყოფა და შენი მსახურების გამდიდრებასაც. მაგრამ ეს სიმდიდრე ყოველგვარი გამოყენების გარეშე დარჩეს საგანძურში შენახული, ან, რაც კიდევ უარესია, წყალივით იდინოს, ამაო და უსარგებლო ხარჯებში გაილიოს და ამავე დროს იმ მცირედიდან, რაც დარჩება, ღარიბებს არაფერი ერგოთ? შენს მაგიდაზე დარჩენილი სანოვაგით ნაგაზები გაძღნენ, მეზობლები კი შიმშილით გამოიფიტონ? შენს სკივრებში ორი, სამი წყვილი კაბა იხრწნებოდეს, ობლებით დამძიმებული რომელიმე ქვრივი კი სიცივისაგან კანკალებდეს? შენს სამარცხვინო ვნებებზე, საჩუქრებზე ამდენი ფული ფლანგო, ხოლო ღატაკი სიღარიბით იყოს შეჭირვებული? განა ეს უმაგალითო გულსასტიკობა არ არის? არა, არა! ასეთი არ არის ღვთის განზრახვა. ღმერთს სურს, რომ წყაროდან შენმა მეზობლებმაც სვან, რომ შენმა ურიცხვმა სიმდიდრემ ღარიბებიც არჩინოს *«შენდა დაშთომილ არს გლახაკი; ობოლსა შენ ეყავ მწე».* სიმდიდრე სახლთმშენებლობისათვის უნდა იქნეს გამოყენებული და არა სიამოვნებისათვის» _ ამბობს ბასილი დიდი. ეს იმას ნიშნავს, რომ სიმდიდრე არა მხოლოდ შენს სიამოვნებას უნდა ემსახურებოდეს, არამედ სხვების რჩენასაც. ჩვილი როგორც კი იბადება, ღმერთი სასწაულს ახდენს და მშობიარის მკერდში რძე მატულობს. ეს რისთვის? იმისათვის, რომ მან ის უგონო ჩვილს მისცეს, რომელსაც სხვა საზრდო არა აქვს. ხოლო თუ ის რძეს შეაკავებს და არ მისცემს, დიდ ბოროტებას ჩაიდენს. ჩვილი მოკვდება, მიზეზი კი სასტიკი დედა იქნება. ღარიბებისთვის სიმდიდრე ასეთივე რძეა მოცემული ღვთისაგან, როგორიც მამისა და ღარიბთა ქომაგისაგან, მოცემული შენთვის, ადამიანო, რათა ისინი გამოკვებო და არჩინო. *«შენდა დაშთომილ არს გლახაკი; ობოლსა შენ ეყავ მწე».* თუკი შენ სიმდიდრეს

სიძუნწით არ გასცემ, შეხედე, როგორ ბოროტებას სჩადი: ეს ღატაკი შიმშილით ან სიცივით კვდება, რადგან არც საჭმელი აქვს, არც ტანსაცმელი; ის საბრალო ქალწული მრუშობაში ვარდება, რადგან გათხოვებისთვის მზითვი არა აქვს; ობოლი იძულებულია მოიპაროს, რათა ვალი გადაიხადოს _ შენ კი არც ერთ მათგანს არ აღმოუჩინე საჭირო დახმარება. განვაგრძობ შედარებას: დედის რძე ჩვილს რაც მეტი ეძლევა, მით მეტად მრავლდება, შეკავება კი მას აშრობს და აქრობს. «ასეთივეა სიმდიდრის თვისება, როცა შენახულია, უსარგებლოა, ხოლო როცა მოძრაობს და ხელიდან ხელში გადადის, ყველასათვის სასარგებლო და ნაყოფიერია» _ ამბობს ბასილი დიდი. რაც მეტად გასცემ, მით მეტად მრავლდება. შენ ერთს გასცემ, ღმერთი სხვა მხრიდან სამმაგად გიზღავს, და ეს სასწაულებრივი ნაყოფია მოწყალებისა. სარეფთელ ქვრივს დიდი შიმშილის დროს ცოტაოდენი ფქვილი და ამდენივე ზეთი ჰქონდა, ის, რაც ერთ დღეს ეყოფოდა, მაგრამ როგორი წყალობა მიიღო იმისათვის, რომ წინასწარმეტყველი ილია დააპურა! ფქვილი და ზეთი, რომელიც მას უწილადა, არასდროს ელეოდა; მცირედი გამრავლდა და ულევი შეიქნა *«არა მოაკლდა საფქვილესა ფქვილი და საზეთესა მას არა მოაკლდა ზეთი»* (3 მეფ. 17, 16). ვაი შენ! თუ სიმდიდრეს დამალავ, ის დაიღუპება და ღვთის სამართლიანი განგებულებით დაიფანტება. ელისე წინასწარმეტყველის დროს სხვა ქვრივს ზეთი იქამდე უმრავლდებოდა, სანამ სხვადასხვა ჭურჭელში ასხამდა; როცა ყველა ჭურჭელი აივსო, ზეთიც შეწყდა *«და დადგა ზეთი იგი»* (4 მეფ. 4, 6). ეს ნიშნავს: ვიდრე ქონება ღატაკთა ხელებში ჩამორიგდება, ის მრავლდება, თუ არა და, ხელში დნება. «სანამ სიმდიდრე დევს, ის უსარგებლოა, როცა მოძრაობს და ხელიდან ხელში გადადის, ყველასათვის სასარგებლო და ნაყოფიერია».

იმის თქმას, რომ ქონება შენი ოჯახის სარჩენად გჭირდება, ძალა არა აქვს, რადგან ღმერთს ქონება შენთვის მხოლოდ ამისთვის არ მოუცია. ბაბილონელ წარჩინებულთა შურით დანიელი ლომების ხაროში ჩააგდეს. ექვსი დღე იყო გასული, რაც მას არაფერი ეჭამა და ღმერთმა, რომელიც ზრუნავდა მასზე, ანგელოზი გაგზავნა იუდეაში ამბაკუმთან, რომელსაც თავის მამულში მომკელებთან კალათით პური და სადილი მიჰქონდა. «ამბაკუმ შეჩერდი, _ უთხრა მას ანგელოზმა, _ ღმერთმა გიბრძანა ეს საკვები ბაბილონის ხაროში წაიღო, სადაც დანიელია ჩაგდებული. ამ სიტყვებით მას თხემში ავლებს, ბაბილონში გადაყავს და ხაროს თავზე აყენებს, სადაც ამბაკუმი შესძახებს: «დანიელ, მონავ ღვთისა, მიიღე ეს საკვები, რომელიც ღმერთმა გამოგიგზავნა» (იხ. დან. 14, 37). ამ შემთხვევაში განა არ ჰქონდა ამბაკუმს კანონიერი საფუძველი, რომ ეთქვა ანგელოზისთვის: «ჩემი მომკელებიც მოელიან ამ პურსა და სადილს, შენ კი მიბრძანებ ის დანიელს წავუღო? ეს პური ჩემი მუშებისთვისაა, და ის ვიღაც უცხომ უნდა შეჭამოს? იმათ რაღა ჭამონ, ვინც ჩემს მამულს ამუშავებს?» მაგრამ მას ეს არ უთქვამს; ღმერთმა მშიერი პატიმრის დაპურება უბრძანა და მან ეს უყოყმანოდ შეასრულა. ჰოი, რამდენი ისეთი ტუსაღია, რამდენი ისეთი მშიერი, როგორც დანიელი! რამდენია ისეთი, ვისაც პური არსობისა არა აქვს, ვალით არის დამძიმებული, ან კანკალებს სიშიშვლისაგან. *«შენდა დაშთომილ არს გლახაკი; ობოლსა შენ ეყავ მწე».* განა შეიძლება ამის შემდეგ რაიმე მიზეზი ეძებო? ყოვლადძლიერ ღმერთს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო ისე მოეწყო, რომ დანიელისთვის დატუსაღება აეცილებინა; მას შეეძლო ის ამ გასაჭირში ზეციური საკვებით გამოეკვება და არა ამბაკუმის პურით, მაგრამ მის უმაღლეს განგებულებას ნებავს, რომ როცა ის შეჭირვებულია, მის დასახმარებლად სხვა გაემართოს; ღატაკი გასაჭირში იყოს, შენ კი, მდიდარო, შეეწიო მას. რატომ? იმიტომ,

რომ ღარიბებმა მოთმინებისათვის გვირგვინი მიიღონ, შენ კი გულმოწყალებისთვის _ ჯილდო. ასე რომ, შენ მოვალე ხარ გასცე. ხოლო იმისათვის, რომ შეგეძლოს გაცემა, ასეთ წესს მისდიე: პირველ რიგში იქით გაეცი, საითაც საჭიროა; მეორე _ გაეცი იმდენი, რამდენიც საჭიროა; მესამე _ ისე გაეცი, როგორც საჭიროა; მეოთხე _ მაშინ გაეცი, როცა ეს საჭიროა. სხვა სიტყვებით, მხედველობაში გქონდეს პიროვნება, ზომა, სახე და დრო წყალობის გაცემისა.

პირველ რიგში, იქით გაეცი, საითაც საჭიროა. ერთმა ბრძენმა გადაწყვიტა მთლიანად სიბრძნისმოყვარეობას მისცემოდა და იმისათვის, რომ საზრუნავი აღარ ჰქონოდა, მთელი თავისი ქონება ზღვაში გადაყარა. რა უგონო ბრძენია! უკეთესი არ იქნებოდა ის ნათესავებისთვის და მეგობრებისთვის მიეცა? კიდევ უფრო არაკეთილგონიერი აღმოჩნდა სპარსეთის მეფე ქსერქსე. მას ერთი ჭადარი უყვარდა და კეთილსურნელოვანი წყლით რწყავდა, ტოტებს კი მარგალიტით და ძვირფასი ქვებით უმშვენებდა. უმჯობესი არ იქნებოდა ასეთი სიკეთე მას თავისი ჯარისკაცებისთვის, მრჩეველებისთვის ან სამეფო კარის სხვა დიდებულებისთვის გაეკეთებინა? ასევე არაგონივრულია რაიმე აჩუქო დიდ წარჩინებულს, რომელსაც ამის არანაირი საჭიროება არა აქვს; ეს იგივეა, რაც ზღვაში გადაყრა. შემდგომ, სიკეთე უყო უმადურსა და უხმარს, ეს იგივეა, რომ სიკეთე გაუკეთო უგრძნობ ხეს; ამ შემთხვევაში გასცემ იქით, საითაც საჭირო არ არის გაცემა. ორჯერ შეწირეს ებრაელებმა თავიანთი საგანძური: პირველად მაშინ, როცა მათმა ცოლებმა თავიანთი ოქროს სამკაული მიიტანეს და იმ ხბოს ჩამოსასხმელად გადაადნეს, რომელიც აარონს უნდა დაედგა; ამ შემთხვევაში ებრაელებმა იქით არ გაიღეს, საითაც საჭირო იყო, რადგან კერპისთვის შესაწირი მათ ეშმაკს შესწირეს; და მეორედ, როცა თავიანთი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთები, მთელი თავიანთი ძვირფასი და საუკეთესო სამოსი მღვდლების შესამოსად მოიტანეს. ამ შემთხვევაში ებრაელებმა იქით გასცეს, საითაც საჭირო იყო, რადგან მღვდელმსახურისათვის გაღებული შესაწირი ღმერთს მიუძღვნეს.

ახლა, როცა გასცემ, ჩუქნი, ხარჯავ, შენს ახირებებზე, კერპებზე და ვნებებზე, ნადიმებზე, თამაშებზე და, რაც ყველაზე უარესია, დაუოკებელ ვერცხლისმოყვარეობაზე ფლანგავ, მეძავისა და მრუშის სიამოვნებისათვის ანიავებ, იქით გასცემ, საითაც არ უნდა გასცემდე, რამეთუ ეშმაკს ჩუქნი. ხოლო როცა სიწმინდეს ახმარ, ანუ ეკლესიის მოწყობას, მღვდლების შესამოსელს, როცა ღარიბი ოჯახის გამოსაკვებად გასცემ, ღარიბი ქალწულის მზითვისთვის, მონის გამოსასყიდად, ობლების სარჩოდ გაიღებ, მაშინ იქით გასცემ, საითაც საჭიროა, რამეთუ ჭეშმარიტ ღმერთს უძღვნი.

მეორე _ იმდენი გაეცი, რამდენიც საჭიროა. ერთმა ბრძენმა მეფე ანტიგონეს ერთი ტალანტი სთხოვა. იმან უთხრა, რომ ეს ბრძენისთვის ძალზე ბევრია; მეორედ ბრძენმა ორი დინარი სთხოვა მეფეს, იმან კი მიუგო, რომ ეს მეფისთვისაა ცოტა. ასე რომ, სულაც არაფერი მისცა. ამის საპირისპიროდ, როცა ალექსანდრეს ერთმა ჯარისკაცმა ერთობ უმნიშვნელო რამ სთხოვა, მეფემ მთელი ქალაქი აჩუქა. გლახაკი გააოგნა ასეთმა დიდმა საჩუქარმა. «ეს ძალზე ბევრია ჯარისკაცისთვის», _ თქვა მან. «დიახ, მაგრამ ეს ძალზე ცოტაა ალექსანდრესთვის» _ მიუგო მეფემ. მე ვკიცხავ მეფე ანტიგონეს იმისათვის, რომ მან ბრძენს ორი დინარიც არ მისცა, მაგრამ არც ალექსანდრეს ვეთანხმები იმაში, რომ უბრალო ჯარისკაცს მისცა მეტისმეტად ბევრი. უნდა გაიცეს იმდენი, რამდენიც საჭიროა, ანუ საჭიროებისდა მიხედვით, და ეს სრულიად სამართლიანია: გლახაკისთვის გაღებული ორი დინარი საარსებო პურის საყიდლად სავსებით საკმარისია, მაგრამ ის რომელიმე

გაკოტრებული დიდებულის რჩენისთვის ან ღარიბი ქალწულის მზითვისთვის ნამდვილად არ არის საკმარისი. როცა მიწას სწყურია, ცოტაა მისთვის რამდენიმე წვეთი წყალი, ამ შემთხვევაში ძლიერი და უხვი წვიმაა საჭირო. შეწევნაც ერთის მხრივ საჭიროებისდა მიხედვით უნდა იყოს, მეორე მხრივ _ შეძლებისდაგვარად. დაე მდიდარმა ბევრი გაიღოს, ღარიბმა _ ცოტა; მაგრამ იცოდეთ, რომ მათ ერთნაირი ჯილდო აქვთ, რადგან ღმერთი არ უყურებს რაოდენობას, არამედ _ ნება-სურვილს. ღარიბმა ქვრივმა ორი კოდრატი შესწირა ტაძარს, მდიდრებს კი ოქრო და ვერცხლი მოჰქონდათ; მაგრამ ქრისტემ ქვრივის შესაწირი მეტად შეიწყნარა: *«რამეთუ ყოველთა ნამეტნავისაგან მათისა დადვეს, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა, დადვა საცხოვრებელი თჳსი»* (მრკ. 12, 44). ჩვენ შეგვიძლია კარი ოქროს გასაღებით გავაღოთ, შეგვიძლია გავაღოთ რკინის და ხის გასაღებითაც; ასევე, მდიდარი ოქროთი, და ღარიბი დინარით ერთნაირად გააღებენ სამოთხის კარებს.

მესამე _ გაეცი ისე, როგორც საჭიროა. უწინარეს ყოვლისა თავაზიანი მზერით, კეთილი გულით, და არა დანანებით, თითქოსდა უნებურად *«ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყუარს უფალსა»* (2 კორ. 9, 7). ჩუქება და ლანძღვა, წყალობის გაღება და შერცხვენა _ ეს რაღა სიკეთეა? ჰოი, ქრისტიანო! ნეტავ კი იცოდე ვინ არის ის, ერთ ლუკმა პურს და მცირედ შეწევნას რომ გთხოვს! გაიხსენე რა უთხრა უფალმა სამარიტელ ქალს: *«უკუეთუმცა იცოდე შენ: რომელი გეტყჳს შენ: მეც მე წყალი, რაჲთა ვსუა»* (ინ. 4, 10) ეს _ თავად ღმერთია ღარიბი კაცის სახით.

«ჰოი, რარიგ დიდია ღირსება სიგლახაკისა! ის ღვთის საფარად იქცევა: გლახაკის უკან ღმერთი დგას, ამიტომაც ხელს გლახაკი იწვდის, წყალობას კი თავად ღმერთი იღებს» _ ასე ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი. ვინც გლახაკს სწყალობს, ის ღმერთს ავალდებულებს *«ავასხის უფალსა, რომელი სწყალობნ გლახაკთა»* (იგ. 19, 17) იფიქრე, როგორი სიხარულით უნდა გააკეთო ეს. შემდგომ: გაეცი მტკიცე ხელით, ანუ უხვად. მსგავსად იმისა, მთესველი რომ ყრის მიწაზე თესლს. ის სათითაოდ არ ყრის, არამედ მთელ პეშვს ფანტავს. ასევე იქცევა ის, ვინც ჯეროვნად გასცემს, დავითის სიტყვებით: *«განაბნია და მისცა გლახაკთა, და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე»* (ფს. 111, 9). რასაც დასთეს, იმას მოიმკი *«რომელმან სთესოს რიდობით, რიდობითცა მოიმკოს, და რომელმან სთესოს კურთხევით, კურთხევითცა მოიმკოს»* (2 კორ. 9, 6). როცა წყალობას მარჯვენით გასცემ, დაე მარცხენამ არაფერი იცოდეს ამის შესახებ *«ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი»* (მთ. 6, 3). ამით მას იმის თქმა უნდა, რომ სიკეთე დაფარულად უნდა აკეთო ისე, რომ ერთმა ხელმა არ იცოდეს რას აკეთებს მეორე; მაგრამ ამას სხვა მნიშვნელობაც აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ როცა ერთი ხელი გასცემს, მეორემ არაფერი იცოდეს და ამგვარად ორივე უხვად გასცემდეს.

ბოლოს, გაეცი როცა ეს საჭიროა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია; გაეცი ახლა, ამ ცხოვრებაში, სიკვდილის საათს ნუ დაელოდები. მაშინ უნებლიე მოწყალე ხარ, მაშინ ყველაფერს ტოვებ, რადგან სამარეში ვერაფერს წაიღებ. ახლა, ვიდრე ცხოვრობ, აკეთე სიკეთე, რათა ის ნებით იყოს გაკეთებული და სრულყოფილი ჯილდო დაიმსახუროს. ამის შესახებ ღვთაებრივი ოქროპირი ამბობს: «მოწყალება სიკვდილის წუთსაც კარგია, მაგრამ ცხოვრების მანძილზე უკეთესია». უკანასკნელი ამოსუნთქვის დროსაც შესაძლებელია მიაგო ღმერთს სამადლობელი; მაგრამ გაცილებით უკეთესია და დიდი მნიშვნელობა აქვს, თუკი მავანი სიცოცხლეშივე ეხმარება უპოვრებს! როგორი ჯილდოა ღვთისაგან! როგორი

ქება ადამიანებისგან! როგორ ხარობს სინდისი! როგორ ილხენს გული! სიცოცხლეშივე ხედავდე ობოლს, რომელსაც შენი შეწევნით წარმატებები აქვს; ქალწულს, რომელიც შენი შეწევნით გათხოვდა, ხედავდე უბედურს, რომელიც შენი თანადგომით გამოჯანმრთელდა! ანდერძის დაწერას როდისთვის ფიქრობ? უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ ხომ არა? მოუთმენელი მემკვიდრეები შენი თვალების დასახუჭად დროზე ადრე რომ მოვლენ, რათა შენი ქონება დაიტაცონ? და თუ დაწერ, დარწმუნებული ხარ, რომ ისინი შენს ნებას შეასრულებენ? ცდები. როცა ცოცხალი იყავი, მათ შენს ქონებას არ ანდობდი; სიკვდილის შემდგომ მათ შენს სულს როგორღა მიანდობ? გარდაცვლილო მდიდრებო, თუ შესაძლებელია, წამოდექით თქვენი კუბოებიდან და ერთ რამეს გკითხავთ: ღმერთს თქვენთვის სიცოცხლის ერთი საათი რომ მოეცა, რას იზამდით? რა თქმა უნდა, იმავ დღეს თქვენი საკუთარი ხელებით დაარიგებდით იმ სამოწყალოს, რომელიც გადარჩა, და ორმაგად, სამმაგად გასცემდით, რათა მოწყალე გეყოთ სიმართლე ღვთისა. აი შენ მეკითხები: *«მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე, რაჲთა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?»*

მე გიპასუხებ: გაეცი იქ, სადაც საჭიროა, გაეცი იმდენი, რამდენიც საჭიროა, გაეცი ისე, როგორც საჭიროა, გაეცი იმ დროს, როცა საჭიროა და გექნება ზეცაში საგანძური, საუკუნო ცხოვრება, ცათა სასუფეველი. მეტი რაღა გინდა?

«მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე, რაჲთა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?» როგორ ფიქრობთ, ეს რა კაცია, ასე რომ ეკითხება ქრისტეს? ეს არ არის რომელიმე მზაკვარი მწიგნობარი, არც პირმოთნე ფარისეველი, რომელიც ქრისტეს გამოსაცდელად ან სიტყვაზე მის წამოსაგებად მოდის. არა, ეს არის ჭაბუკი, კარგი სულისა და გულის. მას ღვთის შიში აქვს და სჯულს ასრულებს. ის არ მრუშობს, არ იპარავს, ცრუმოწმედ არავის უდგას, დედ-მამას პატივს სცემს. *«ეგე ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩემითგან»* (ლკ. 18, 21), აი რატომ შეიყვარა შეხედვისთანავე იგი ქრისტემ. როგორც ამბობს მარკოზ მახარებელი: *«ხოლო იესო მიჰხედა და შეუყუარდა იგი»* (მრკ. 10, 21). მაგრამ იმისათვის, რომ ყოფილიყო სრულყოფილი, მართალი და წმინდა, მას ერთი რამ აკლდა *«ერთიღა გაკლს შენ»* (იქვე): არ ყოფილიყო ვერცხლისმოყვარე. მას მხოლოდ ეს ნაკლი ჰქონდა და როცა იესო ამ იარას შეეხო და უთხრა: *«უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ, ერთიღა გაკლს შენ: წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე* და *მიეც გლახაკთა»* (მრკ. 10, 21) _ არ მიიღო ნათქვამი, დამწუხრდა, შებრუნდა და წავიდა. რატომ? იმიტომ, რომ ძალზე მდიდარი იყო *«იყო იგი მდიდარ ფრიად»* (ლკ. 18, 23). განა ეს ის კარგი და კეთილი კაცი არ არის, სხვისი ცოლი რომ არ ისურვა? სხვისი ნივთი არ მოუტაცია, პატივი არავისთვის აუყრია, სჯული ყველა სიზუსტით დაიცვა, ერთი სიტყვით, წმინდაა სჯულში? დიახ; მაგრამ ეს წმინდანი _ ვერცხლისმოყვარეა. წარმოიდგინეთ, როცა საქმე ფულს ეხება, მისთვის აღარაფერი არსებობს. ჰოი, წყეულო ვერცხლისმოყვარეობავ, რარიგ მეფობ ადამიანთა გულებში! აი ამ ღვთის მონას მრავალი დიდი სათნოება აქვს. რაიმე მოიპაროს? ცრუ ჩვენება მისცეს? _ არასოდეს! მას თამამად შეუძლია თქვას: *«ეგე ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩემითგან»* _ ის უმწიკვლოებას იმარხავს, ლოცულობს, მარხვებს იცავს, თუმცაკი ერშია, მაგრამ განუდგა მას, ის სენაკში იკეტება ან უდაბნოში გადის, ადამიანთა საზოგადოებას, ქუჩის ცხოვრებას, ამაქვეყნიურ ამაოებას და ხმაურიან თავყრილობებს ერიდება. მან თავი სათნოებებს უძღვნა და ერთიანი ღვთისადმი მარტოკა ლოცულობს. მოღვაწეა გამოხედვით, გარეგნულად, შალის სამოსით, მთელი ცხოვრებითა და ქცევით. მაგრამ ვაი, რომ ეს მოღვაწე _

ვერცხლისმოყვარეა; მმარხველი, სასწაულთმოქმედი, _ მაგრამ ვერცხლისმოყვარე *«ერთიღა ... გაკლს»* მას ყველა სიკეთე აქვს, იმისათვის, რომ სრულყოფილ წმინდანთა რიცხვში იყოს, მას მხოლოდ ერთი რამ აკლია _ უბედურს ფული უყვარს. მასში ყველაფერია, რასაც ინებებ. გინდა რომ იმარხულოს? ხორცს მთელი ცხოვრების მანძილზე არ ჭამს. ლოცვებს ითხოვ? ის ლოცვებში ღამეებს ათევს. თვითგვემას ითხოვ? ტვირთმოკიდებული ფეხშიშველი დადის. ყველაფერ ამას სიხარულით აკეთებს, მაგრამ მის პაწია სკივრს ნუ შეეხები, წინააღმდეგ შემთხვევაში შენ მას ვეღარ იხილავ. ყველაფერ დანარჩენს სიხარულით აკეთებს, მაგრამ ეს ერთი ამწუხრებს, ადარდიანებს და შემუსვრილი უკან მიდის. ჭეშმარიტად, ადამიანს სიწმინდის მიღწევა მრავალი სათნოებით შეუძლია, მაგრამ ამ წმინდანს შეუძლია ძუნწი დარჩეს. ვერცხლისმოყვარეობა უეჭველად იმათ სულებზეც ბატონობს, ვისაც ჩვენ წმინდანებად მივიჩნევთ, მაგრამ გეკითხებით, შეიძლება თუ არა ასეთი წმინდანი ქრისტეს მოწაფე და მოციქული იყოს? _ არა. დაე ეს დღევანდელი სახარების ანგარებისმოყვარემ დაამოწმოს. როცა ქრისტემ უთხრა მას: *«წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა»,* (სრულიად მიატოვე ვერცხლისმოყვარეობა და გლახაკი გახდი) *«... მოვედ და შემომიდეგ მე»* (მრკ. 10, 21), ის შეშფოთდა, დამწუხრდა და *«წარვიდა მწუხარე»* (მრკ. 10, 22). თუნდაც მან სიზუსტით დაიმარხოს სჯული, თუნდ გარდაემატოს *«ეგე ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩემითგან»,* თუკი ის ვერცხლისმოყვარეა, ქრისტეს მეგობარი და მიმდევარი ვერ იქნება. მე კვლავ გეკითხებით, შესაძლებელია თუ არა ასეთი წმინდა ძუნწი მთელი თავისი სათნოებებით ცხონდეს? _ ეს მეტად ძნელია; ამას ქრისტეც ამბობს: *«ძნიად შევიდნენ სასუფეველსა ღმრთისასა»* (მრკ. 10, 23). მიზეზს ღვთაებრივი ოქროპირი ხსნის: უყვარს სული და უყვარს ფული _ ორი ურთიერთსაპირისპირო რამ. ან ერთი უნდა არჩიოს ან მეორე, «შეუძლებელია ერთდროულად გიყვარდეს სულიც და ფულიც». გზა, რომელსაც სამოთხეში მივყავართ ვიწრო და მწუხარეა. როგორც ამბობს ქრისტე, ვისაც ამ გზით გავლა უნდა, თავისუფალი უნდა იყოს და არაფერი ამძიმებდეს.

ღმერთმა წინასწარმეტყველ ელიას ცოცხლად ატაცება ინება ზეცაში. *«აჰა ეტლნი ცეცხლისანი და ცხენნი ცეცხლისანი»* (4 მეფ. 2, 11), რომლებმაც ის აიტაცეს. როცა ადიოდა, დედამიწაზე თავისი ხალენი გადმოაგდო, რომელიც მისმა მოწაფემ ელისემ აიღო, _ *«და აღიღო ელისე ხალენი იგი ელიასი, რომელ დაეცა მის ზედა»* (4 მეფ. 2, 13). ზეცად აღმავალმა წინასწარმეტყველმა თავისი სამოსი რად ჩამოაგდო? იმიტომ, რომ ტანსაცმლით, ანუ სიმდიდრითა და ქონებით ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის ძნელია ასვლა ზეცაში. *«ძნიად შევიდნენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასე».* ეს არის სიმძიმე, რომელიც ქვევით გეწევა. წინასწარმეტყველმა ელიამ თავისი სამოსი მიწაზე დატოვა. ეს ნიშნავს, რომ თუკი ჩვენ ცათა სასუფეველში შესვლა საკუთარი სამოსით გვიჭირს, როგორი ძნელი იქნება ამის გაკეთება სხვისი სამოსით? მაგრამ ვის არ უყვარს თავისი და სხვისი ნივთი? მაშ ასე, ვის შეუძლია ცხონდეს? ამის გაკეთება მხოლოდ უსაზღვრო ღვთისმოწყალებას ძალუძს: *«შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ»* (ლკ. 18, 27).

სიტყვა მათეს სახარებაზე

სამოციქულო წოდების შესახებ

«შემომიდეგით მე, და გყვნე
თქუენ მესათხევლე კაცთა»
(მთ. 4, 19)

ზეციდან ჩამოსულმა ღვთაებრივმა მასწავლებელმა გალილეის განაპირა ქვეყნებში ზეციური სიბრძნის დიადი სასწავლებელი დააფუძნა; ღმერთკაცმა _ სიტყვამ, მამისაგან ზეციდან მოვლინებულმა, პირველად აქ იწყო საუბარი. პირველი ქადაგება იყო სინანულსა და ცათა სასუფეველზე: *«ხოლო ესმა რაჲ იესოს, ვითარმედ იოანე მიეცა, განეშორა და წარვიდა გალილეად; «მიერითგან იწყო იესო ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა»* (მთ. 4, 12. 17). ეს სწორედ ის დიადი ნათელია, რომელიც ესაიას წინასწარმეტყველებით წყვდიადსა და სიკვდილის წინკარში მსხდომი ხალხისთვის უნდა გამობრწყინებულიყო, ანუ სახარების მაცხოვნებელი სინათლე, რომელსაც იმ უბრალო ადამიანთა ცხოვრება უნდა გაენათებინა და ახალი მადლით აეღორძინებინა, რომლებიც იუდეის გალილეაში ბნელ და უწმინდურ წარმართებთან ერთად ცხოვრობდნენ. ახალ სწავლებაზე წვეული პირველი მოწაფენი, სამგზის ნეტარნი სიმონ-პეტრე, ძმა მისი _ ანდრია, იაკობი და იოანე _ ზებედეს ძენი, ღარიბი მეთევზეები, უბრალო სულის ადამიანები იყვნენ. *«შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა».* _ ასეთი იარაღით ისარგებლა ხორცშესხმულმა ღვთაებრივმა სიბრძნემ _ არაბრძნულით, უღონო და მოძულებულით, რათა გაეუქმებინა სიბრძნე, ამასოფლის კეთილშობილება და ძალა _ ამბობს პავლე მოციქული, ვინაიდან ამგვარად აღმოჩნდა, რომ ქრისტეს სწავლება, რომელიც მსოფლიომ მიიღო, იყო არა კაცთაგან, არამედ საქმე ღვთიური ძალისა. რა მოიმოქმედეს ამ კეთილმა მეთევზეებმა? _ მყისვე დაუტევეს ბადე, ნავი, თავიანთი მამა, მცირეოდენი ქონებაც, ისმინეს ხმობა და მხმობელს უყოყმანოდ გაჰყვნენ: *«ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამაჲ მათი და მისდევდეს მას»* (მთ. 4, 22). ასეთნი უნდა იყვნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფენი _ თავი მთლიანად მას უნდა მიუძღვნან, განეყონ და განუდგნენ ყოველივე მიწიერს. კეთილმსახურო მსმენელნო, დღევანდელი სახარება სწორედ ქრისტეს მოციქულად წოდების შესახებაა.

რამდენადაც ჩვენმა წმიდა ეკლესიამ ეს დღეები წმიდა მოციქულთა ხსოვნას ღვთივსულიერად უძღვნა და მოგვიწოდა, მარხვით განგვეწმიდა ისინი, მე დღეს დროულად მიმაჩნია მოციქულად წოდების აღმატებულობასა და ღირსებაზე საუბარი.

სიტყვა «მოციქული» საზოგადოდ წარგზავნილს ნიშნავს. ასეთები არიან მეფეთა ელჩები. ისინი იმ მეფის სახეს წარმოაჩენენ, რომლისგანაც წარიგზავნებიან და ორი განსაკუთრებული უპირატესობა აქვთ _ სიტყვისა და საქმისა, რაც უნდა თქვან და გააკეთონ, ყველაფერი მათი წარმგზავნელი მეფის სიტყვად და საქმედ წარმოჩინდება.

ღმერთკაცის _ სიტყვის წარმომადგენლები, მთელ მსოფლიოში დაგზავნილები, მსოფლიო ხსნისა და ცათა სასუფევლის მქადაგებელნი _ ქრისტეს მოწაფეები იყვნენ, რომლებსაც ქრისტე ღმერთმა მოციქულნი უწოდა: *«და ვითარცა განთენა დღე, მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა»* (ლკ. 6, 13); *«და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა»* (ლკ. 9, 2);

«წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა» (მრკ. 16, 15).

მაგრამ საოცარია თვით სახე წარგზავნისა: *«ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ»* _ ამბობს ქრისტე (ინ. 20, 21). ეს ნიშნავს, რომ დაუსაბამო ღვთის მოციქული, მიწაზე წარმოგზავნილი ძე იყო, რათა აღესრულებინა საქმე ღვთაებრივი განგებულებისა (წმ. პავლე მოციქული მას ასევე უწოდებს: *«მოციქული იგი და მღვდელთ მოძღუარი აღსარებისა ჩუენისაჲ»* (ებრ. 3, 1), მამისაგან მიიღო მან ძალაუფლება ყოველივე ზეციურსა და მიწიერზე: *«ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ»* (მთ. 11, 27); *«მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა»* (მთ. 28, 18). განხორციელებული ძის მოციქულნი კი მისივე მოწაფეები იყვნენ, რომლებსაც ხელმწიფება ძისაგან ჰქონდათ. მამისაგან მოვლენილი ძე მამას განასახიერებდა, მაშასადამე, ძის მიმღები თვით მამას იღებდა: *«რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი»* (მთ. 10, 40). ასევე მოწაფეები, როგორც ძის მოციქულები, თავიანთი მასწავლებლის სახეს წარმოადგენდნენ: *«რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა»* (იქვე); *«რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა»* (ლკ. 10, 16). ყველა საიდუმლო, რომელიც წარმოგზავნილ ძეს ესმა მამისაგან, ძისაგან მოწაფეებმაც შეიტყეს: *«ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ»* (ინ. 15, 15).

მაშ, ასე, ძე წარმოგზავნილი და მესაიდუმლეა მამისა, მოწაფენი კი _ წარმოგზავნილნი და მესაიდუმლენი ძისა. ამიტომაც მიიღეს მათ ორი განსაკუთრებული უპირატესობა _ სიტყვისა და საქმისა. სიტყვისა _ ყოველივე, რასაც ისინი იტყვიან, როგორც თვით უფლის მიერ თქმული, რწმენით უნდა იქნეს მიღებული; საქმისა _ ყველაფერი, რაც მათ დაადგინეს, როგორც უფლის მიერ დადგენილი, დაცულ უნდა იქნეს.

ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ყოველივე კაცობრივი ცრუა, მეორე მხრივ _ სავსება ჭეშმარიტებისა და უცდომელობა მხოლოდ ღმერთისთვისაა დამახასიათებელი. რამდენადაც მოციქულთა სიტყვები არ არის კაცთა სიტყვები, არამედ ისინი ღვთისაა, ჭეშმარიტების ასეთივე სავსებას და უცდომელობას მოციქულები ფლობენ. მათი პირით, როგორც ღვთივსულიერი იარაღით, მეტყველებდა სული წმიდა, რომელიცაა სული ჭეშმარიტებისა: *«არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული... იტყოდის თქუენ შორის»* (მთ. 10, 20) _ ეუბნებოდა მათ ქრისტე.

შემდგომ: არცა კაცს, არცა ანგელოზს, არამედ საკუთრივ ძე ღვთისას აქვს სულიერი ძალაუფლება და მხოლოდ მას, ერთადერთს, უპყრია კლიტენი, რათა გააღოს ცათა სასუფევლის კარები. ასევე მთელი ძალაუფლება და გასაღებნი მოციქულებმა ძისაგან მიიღეს, უთხრა მან მოციქულებს: *«რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა»* (მთ. 18, 18).

არც ერთი ასეთი უპირატესობა არ მიუღიათ წინასწარმეტყველებს. მათ ჭეშმარიტად მიეცათ სულიწმიდის ნიჭი, მაგრამ ნაწილობრივ, კერძოდ, _ წინასწარმეტყველებისა, რათა მომავალი ეწინასწარმეტყველათ. ყოვლად წმიდა სულმა ღვთაებრივი ნიჭების მთელი სიმდიდრე მოციქულებს დააფრქვია, როცა ცეცხლის ენების სახით მათზე გარდამოვიდა. წინასწარმეტყველები მომავალს სარკითა და იგავით ხედავდნენ, მაშინ, როცა მოციქულნი ყოველივეს ხედავდნენ საკუთარი თვალით: *«რომელი ნათესავსა სხუასა არა გამოეცხადა (ქრისტეს საიდუმლო) ძეთა კაცთასა, ვითარ ესე აწ გამოეცხადა წმიდათა მისთა მოციქულთა... სულითა წმიდითა»* _ ამბობს პავლე მოციქული (ეფ. 3, 5). ძველად ღმერთი,

ვითარცა მსაჯული, მსოფლიოს მხოლოდ თავის ღვთაებრივ სამართალს უცხადებდა და ამ სამართლის მათრახი და რკინის კვერთხი წინასწარმეტყველებს მისცა, რათა მხილებითა და დაშინებით შეემუსრათ აღვირახსნილი ადამიანური ცოდვა. მაგრამ მათ მიტევების ნება არ ჰქონდათ, მათ არ შეეძლოთ, მიეტევებინათ თუნდაც ერთი ცოდვა და ცათა სასუფეველში არც ერთი ადამიანის შეყვანა არ შეეძლოთ, რადგან ის ადამის ცოდვით დაცემის შემდგომ დაიხშო.

მაგრამ მოვიდა დრო, ღმერთმა _ მამამ თავისი ღვთაებრივი კეთილმოწყალება გამოავლინა და ქვეყანას მხსნელად ძე თვისი წარმოუგზავნა. ძემ კი მთელი თავისი მოწყალების საგანძური მოციქულებს ჩააბარა, ისინი თავისი ღვთაებრივი მადლის განმგებლებად, ცათა სასუფევლის მეკლიტურებად დაადგინა. ამიტომ მათ აქ, დედამიწაზე, განაღეს მსოფლიო ცხონებისა და საუკუნო ნეტარების კარი; წინასწარმეტყველნი ძველი კანონების მაცნეები იყვნენ, მოციქულნი კი ახალი მადლის _ სახარების მაცნენი; რამდენადაც სახარება აღმატებულია ძველ კანონზე, იმდენად წოდება მოციქულისა აღემატება წინასწარმეტყველის წოდებას; აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოციქული (ვიწრო გაგებით) აღნიშნავს კაცს, რომელიც ძე ღვთისას სახეს წარმოაჩენს, ის არის მარჯვენა და ბაგე ღვთისა, კაცი, რომელსაც ბაგეთა შინა ღვთის სიტყვა აქვს და მარჯვენით მთელი სულიერი ძალაუფლების გასაღებს ატარებს.

ასეთ მსახურებად და დამხმარეებად განხორციელებულმა ძე ღვთისამ თორმეტნი გამოირჩია: სიმონ-პეტრე და ძმა მისი _ ანდრია, რომლებიც ადრე იოანეს მოწაფეები იყვნენ; იაკობი და იოანე _ ძენი ზებედესი; ფილიპე, ბართლომე, თომა, მათე (მეზვერე), იაკობ ალფესი, იუდა (თადეოზი), სვიმონ კანანელი (მოშურნე), იუდა ისკარიოტელი, რომლის მაგივრადაც შემდგომ არჩეულ იქნა მატათა. მოციქულთა დასის რიცხოვნების შესახებ სული წმიდამ საღვთო წერილის მრავალ ადგილას წინასწარ გვამცნო; იაკობის ძენი _ პატრიარქები _ თორმეტნი იყვნენ, რომლებმაც, როგორც ღვთივდანერგულმა ხეებმა, მრავალი ტოტი გამოისხეს, ღვთაებრივი აღთქმის ნაყოფი _ ისრაელი განამრავლეს (თორმეტმა მოციქულმა უფლის სიტყვის ქადაგებით ეკლესიის უთვალავი შვილი _ ახალი ისრაელი წარმოშვა); თორმეტნი იყვნენ ებრაელი უხუცესნი, რომლებიც პირველი მსაჯულის _ მოსეს თაოსნობით მთელ ერს განაგებდნენ, ასევე ცოცხალთა და მკვდართა დიადი მსაჯულის ხელმძღვანელობით და სულიწმიდის შთაგონებით მოციქულები აქ, დედამიწაზე, მთელ მართლმადიდებელ ეკლესიას განაგებდნენ, იქ კი, ახალ ცხოვრებაში, თორმეტ ტახტზე აღსაყდრდებიან და ისრაელის (მართლმადიდებელთა) თორმეტ ტომს განსჯიან: აღთქმულ მიწაზე მოსეს მიერ გაგზავნილი თორმეტი მზვერავი თორმეტი მოციქულის წინასახეა. ქრისტემ მოციქულები მსოფლიო ეკლესიის ეპისკოპოსებად დაგზავნა, იმ ეკლესიისა, რომელიცაა მიწა მადლისა და კურთხევისა; თორმეტი იყო წყარო, საიდანაც ისრაელიტელნი უდაბნოში წყურვილს იკლავდნენ. თორმეტმა მოციქულმაც ასევე დაარწყულა დედამიწა საუკუნო ცხოვრებისაკენ მიმდინარე ნაკადით _ ღვთაებრივი სწავლებით; თორმეტ ხარს ეჭირა სოლომონის ტაძარში ბრინჯაოს თაღი. მოციქულებმა, ვითარცა ხარებმა გუთნით, ჯვრით აღაშენეს ეკლესია და საკუთარი თავი, როგორც სულიერი შესაწირავი და ყოვლადდასაწველი, მოწამეობის სამსხვერპლოზე მიიტანეს; იოანეს გამოცხადებაში დედაკაცს თავს თორმეტი ვარსკვლავი ერტყა, მას ტანთ მზე ემოსა და ფეხქვეშ ჰქონდა მთვარე. ესეც თორმეტი მოციქულის წინასახეა, რომლებიც ქრისტეს საიდუმლო სასძლოს გვირგვინში თორმეტი ვარსკვლავივით ბრწყინავენ. იოანე

ღვთისმეტყველმა ასევე თორმეტი ქვა იხილა. მათზე ზეციური იერუსალიმი იყო დამყარებული. ეს არის თორმეტი მოციქულის ყველაზე თვალსაჩინო სახე, რადგან ქრისტემ თავისი ეკლესია სწორედ მათზე დააფუძნა: *«და ზღუდესა მას ქალაქისასა აქუნდეს ათორმეტნი საფუძველნი და მათ ზედა ათორმეტნი სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი»* (გამოც. 21, 14).

აჰა, დიადი, მაღალი, მაცხოვნებელი წოდება წმიდა მოციქულთა. ჩვენი ეკლესია მათ განსაკუთრებულად თაყვანს სცემს, ვინაიდან ისინი ღმერთკაცის სიტყვის ღვთივსულიერი ბაგენი, ღვთაებრივი სახლთმშენებლობის ღვთივმოხმობილი თანამუშაკნი, მსოფლიო ხსნის მაცნენი, ეკლესიის ურყევი სვეტნი, ახალი მადლის ერთგული განმგებელნი და ცათა სასუფევლის ყოვლადნეტარი მეკლიტულნი იყვნენ.

ქრისტეანენო! კურდღელს არ ეშინია ცის ქუხილის ისე, როგორც ეშმაკი შეშინდა წმიდა მოციქულთა ქადაგებით. ის აცახცახდა, გაიქცა ტაძრებიდან, სადაც მას, როგორც ღმერთს, თაყვანს სცემდნენ და მიწისქვეშეთის ყველაზე ბნელ ჯურღმულში ჩაიკარგა. მას ამ დრომდე ეშინია, როგორც კი ქრისტეს ეკლესიაში მოციქულთა სიტყვის ქადაგებას გაიგონებს, თრთის და გარბის. მაგრამ...

როცა ქრისტეს ეკლესიაში მდუმარეაა, ანუ როცა ღვთის სიტყვა არ ისმის, როცა აქ ჩუმად არიან, როცა დუმან სიტყვიერ ცხოვართა დარაჯნი და მწყემსნი _ მოციქულთა მემკვიდრენი, მაშინ ეშმაკი მხნევდება, უშიშრად გამოდის, თავხედურად შედის ქრისტეს ფარაში და როგორც უპატრონოდ მიტოვებულ ცხვრებს მგელი, ქრისტიანთა სულებს ნთქავს. მე ამას დიდი შემუსვრილებითა და გულისტკივილით ვამბობ. სადაც ღვთის სიტყვა არ ისმის, იქ აშკარა ნიშანია იმისა, რომ ღმერთი განრისხდა. ქრისტიანული საზოგადოებისთვის არ შეიძლება იყოს ამაზე დიდი ბოროტება. ამას თვით უფალი ამბობს ერთ-ერთი წინასწარმეტყველის პირით: *«აჰა, დგება დღეები... როცა მოვავლენ ქვეყანაზე შიმშილს, არა შიმშილს პურისას და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვების მოსმენისას. იხეტიალებენ ზღვიდან ზღვამდე და ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთამდე: მი-და-მოივლიან უფლის სიტყვის საძებნელად, მაგრამ ვერ ჰპოვებენ»* (ამოსი 8, 11-12). ხოლო სადაც ასეთი შიმშილი არ არის, სადაც ისმის ღვთის სიტყვა, სადაც სახარება იქადაგება, მოციქულთა სწავლება განიმარტება, სადაც ქრისტიანები სარწმუნოების დოგმატებს ისმენენ და სწავლობენ, ცხონებისა და საუკუნო ცხოვრების გზებს იკვალავენ, იქ არის წყალობა და კურთხევა უფლისა.

სხეულს საკვებად პური ისე არ სჭირდება, როგორც სული საჭიროებს რწმენის მასაზრდოებელ ღვთის სიტყვას. რწმენა მოსმენითაა, ამბობს მოციქული, აწ რანაირად ირწმუნებენ ქრიატიანენი, თუ არ მოისმენენ, და როგორ მოისმენენ, თუ მათ არავინ ასწავლა? *«ვითარ-მე ჰრწმენეს, რომლისაჲ არა ისმინეს; ანუ ვითარ-მე ისმინონ თჳნიერ ქადაგებისა?»* (ჰრომ. 10, 14); ღვთის სიტყვა, ამბობს გრიგოლი დიდი, ის ანგელოზებრივი პურია, რომლითაც ღმერთსმოწყურებული სულები საზრდოობენ. მაგრამ წირვაზე მღვდლის მიერ წაკითხული წმიდა სახარება განა უფლის სიტყვა არ არის? დიახ, ეს ასეა, მაგრამ სახარების წაკითხვას ისეთი ნაყოფი არ გამოაქვს, როგორც მის განმარტებას, ამას კი მასწავლებელი, განმმარტებელი აკეთებს. ესაია წინასწარმეტყველის წიგნი, რომელსაც ეთიოპიის დედოფალ კანდაკისს საჭურისი უკითხავდა, მაშინ გახდა მათთვის გასაგები, როცა ის მოციქულმა ფილიპემ განმარტა: *«უწყი-მეა, რასა-ეგე იკითხავ?»* (საქმე 8, 30). ამასვე ვეტყვი როგორც სახარების წამკითხველ მღვდელს, ასევე მის მსმენელ ქრისტიანს, მოდით,

გულახდილად ვთქვათ: ის, არც წამკითხველს ესმის და არც მომსმენს. რა სარგებელია აქედან, როგორი ნაყოფი?.. მაგრამ, როცა მასწავლებელი ამბიონიდან ქადაგებს, აზრს ხსნის, იგავებს განმარტავს, როცა საიდუმლოს გვიმხელს, მაშინ ღვთის სიტყვას ძალა აქვს. მაშინ ის, როგორც ამბობს პავლე მოციქული, ცოცხალი და ქმედითია. მაშინ ის ორლესულ მახვილად იქცევა, მსჭვალავს, გმირავს, ეხება მსმენელთა გულებს, შემუსრავს მათ, სინანულისკენ უბიძგებს და იხსნის.

ახლა იმას დავუბრუნდეთ, რაზედაც ვსაუბრობდით. მოციქულთა მაცხოვნებელი ბადით წარსაწყმედლის სიღრმიდან აღმოყვანილნი ვართ, სხვა სიტყვებით _ მოციქულთა ქადაგების ძალით ქრისტიანებად ყოფნის მადლი მივიღეთ. თქვენი აზრით, როგორ უნდა ვცეთ მათ თაყვანი? მოდით, მათი ღირსებისა და ხსოვნის ეს დღეები ღვთივსათნო მარხვით განვწმიდოთ, სიხარულით გავწიოთ ეს მცირეოდენი შრომა მათთვის, ვინც მრავალი იღვაწა ქრისტეს ეკლესიის მოწყობისა და მსოფლიო ხსნისათვის. ხოლო ჯილდოს, ამ გვირგვინს ჩვენი შრომისათვის, მოციქულთა ლოცვით ამ და მომავალ საუკუნეში ყოვლად ძლიერი ღმერთი მოგვმადლებს. ამინ!

ქების სიტყვა სადიდებლად

ღვთისმშობლისა

«ხოლო ესე ნათესავი არარაით განვალს,
გარნა ლოცვითა და მარხვითა»

(მთ. 17, 21)

მარხვა და ლოცვა ის ორი უძლეველი იარაღია, რომელიც ზეციდან აქვს მიცემული ეკლესიას ყოველ ხილულ და უხილავ მტერთან საბრძოლველად. ჩვენს წინააღმდეგ სამი საშინელი მტერი იბრძვის: სოფელი, ეშმაკი და ხორცი. სოფელი _ ცრურწმენითა და ცხოვრებისეული სიცრუით; ეშმაკი _ ფარული ავხორცობითა და ავი ზრახვებით; ხორცი _ ნებივრობით, სიამოვნებით, სამარცხვინო მიდრეკილებებით და მისწრაფებებით. თითქოსდა პირი შეკრესო, ყოველმხრივ აღჭურვილნი ცდუნებით, სამთავე ერთხმად გვეომება, მაგრამ ჩვენ წარმატებით უკუვაგდებთ თავდამსხმელებს; მათ ვძლევთ ლოცვითა და მარხვით _ ხორცს დავთრგუნავთ, ეშმაკს განვდევნით. დავუტევებთ ამსოფლიურს და თითქოს ფრთაშესხმულნი, ერთი მხრივ _ ლოცვით, მეორე მხრივ _ მარხვით, სულით ზეცად ავიჭრებით, გაშლილ ბადეზე ავმაღლდებით და ცდუნების მანქანებას თავს დავაღწევთ. ამიტომ ამბობს ლოცვის შესახებ ღვთაებრივი ოქროპირი: «სადაც არს ლოცვა და მადლის შეწირვა, იქ ნათლად მოინიშნება სულიწმიდის სამკვიდრებელი, დემონები უკუიქცევიან და ყოველი წინააღმდგომი ძალა გარბის». მარხვის შესახებ კი ბასილი დიდი ამბობს, რომ კრძალულებითა და მარხვით «უხილავ მტრებზე გამარჯვება მოიპოვება». მასვე ამტკიცებს ქრისტე დღევანდელ სახარებაში ნახსენებ მთვარეულთან მიმართებით: *«ხოლო ესე ნათესავი არარაით განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვით»* (მთ. 17, 21). ჩვენმა წმიდა ეკლესიამ, რომელიც ყოველივეს სულიწმიდის სწავლებით იქმს, გვიბრძანა ჩვენ, ქრისტიანებს, ამ თოთხმეტი დღის მანძილზე ლოცვა და მარხვა აღვასრულოთ, ანუ ღვთის სახელს ვუხმოთ და კრძალულნი ვიყოთ სადიდებლად მარადის ქალწულისა მარიამისა,

უწმიდესი დედისა ღვთისა ჩვენისა. მართალია, ბრძოლა ხანმოკლეა, მაგრამ გამარჯვება ბრწყინვალეა და ამ გამარჯვების შედეგებიც უხვი; ზედამდგომელი თვით სძალია ღვთისა, ხელმწიფე, ცისა და მიწის დედოფალი. ზის იგი მარჯვენით სამბრწყვინვალე ღვთაების ტახტისა, უმზერს მოღვაწე ქვეყანას და ხელთ გვირგინები უპყრია, რათა გამარჯვებულებს დაადგას. ნეტარნი ვიქნებით, თუკი ღირსეულად ვიღვაწებთ. ვინც ამ წმიდა დღეებში ლოცვითა და მარხვით მამაცურად სძლევს სოფლიურ ზრუნვას, ეშმაკის ვერაგობას, ხორციელ ზრახვებს, დაე, თამამად მიიღოს ღვთისმშობლისგან ღირსეული ჯილდო. ამას ვამტკიცებ თვით ყოვლადწმიდა ქალწულის სახელით და ამიტომაც დღეს მივანიშნებ, თუ როგორ მადლსა და შეწევნას იღებს ყოვლადწმიდა დედოფლისგან ის, ვინც მის მიმართ მოკრძალებულია და ლოცვითა და მარხვით მას თაყვანს სცემს.

უწმიდესი ქალწული არის და იწოდება დედად ორი მნიშვნელობით: პირველი _ როგორც დედა ღვთისა და მეორე _ როგორც დედა ყოველთა ქრისტიანეთა. ის დედაა ღვთისა ბუნებითი შობით და დედაა ქრისტიანეთა მათი შვილადმიღებით. ის ღვთის დედაა შობით, ჭეშმარიტად ღვთისმშობელია, რამეთუ ნამდვილად შვა ძე ღვთისა თავისი უხრწნელი წიაღისგან, სადაც სიტყვა ხორცთან ღვთაებრივად შეერთდა, ბუნებითობაზე, სიტყვასა და გონებაზე ამაღლდა, თავისი ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება ერთიან განუყოფელ იპოსტასში შეაერთა; ის დედაა ყოველთა ქრისტიანეთა შვილად მიღებით; თუკი ჩვენ, ძედ მყოფობის მადლით ქრისტეს ძმებად ვიწოდებით, ქრისტესი, რომელიც ქალწულმა შვა და რომელიც, პავლე მოციქულის სიტყვით, ჩვენს შორისაა, როგორც ძმათა შორის პირველშობილი, მაშინ ჩვენც ვიწოდებით ღვთისმშობლის ძეებად. ღვთისმშობელს, როგორც ღვთის დედას, დედობრივი ღირსების მიხედვით ისეთი მადლი უნდა ჰქონდეს ღმრთისგან, როგორიც დედას ეგების ძისაგან; მეორე მხრივ, როგორც დედამ ქრისტეანეთა, დედობრივი სიყვარულის ძალით ქრისტიანებზე ისეთივე წყალობა უნდა მოიღოს, როგორიც დედამ თავის შვილებზე.

მაგრამ მადლი, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწულს აქვს ღვთისგან, ღვთის დედის ღირსებას უნდა შეესაბამებოდეს. ეს ღირსება კი უსაზღვროა; აქედან _ მადლიც, რომელსაც ის იღებს, ასევე უსაზღვროა. წყალობა, რომელსაც ის ქრისტიანეთა მიმართ მოიღებს, ამდენადვე უნდა შეესაბამებოდეს დედის სიყვარულს შვილებისადმი და ეს სიყვარულიც უსაზღვროა; აქედან გამომდინარე, უსაზღვროა მისგან მიღებული წყალობაც და შემდგომ: იმ უსაზღვრო მადლის განსაზღვრით, რომელსაც როგორც დედა ღვთისა, ის ღმერთისგან იღებს და იმ უსაზღვრო მოწყალების მიხედვით, რომელსაც ქრისტიანებზე მოიღებს როგორც დედა ქრისტიანთა, უნდა ვაღიარო, რომ ქალწული _ ეს ზღვაა მადლიან ძალთა. მართლაც, ის ვრცელი ზღვაა, რამეთუ მასში, როგორც ღვთის დედაში, სულის ღვთაებრივ ნიჭთა ყველა დაუშრეტელი მდინარე ჩაედინება; ზღვაა _ ტევადობით უდიდესი, რადგან მასზე, როგორც ღვთის დიდებაზე, იგივე ღვთაებრივი ნიჭები უხვად იღვრება; ამგვარად, იმ ნიჭების მიხედვით, რომელსაც იღებს, როგორც დედა ღვთისა, ის უკიდეგანო ზღვაა; ხოლო ძღვენით, რომლებსაც მოიღებს, როგორც ქრისტიანთა დედა, ის ულევი ზღვაა. ქალწულის კეთილკრძალულო თაყვანისმცემელნო, მისი ყველა უპირატესობიდან იმას მიაქციეთ ყურადღება, რომ ის ღვთისა და ქრისტიანთა დედაა და როგორც ღვთის დედას, ყველა წმიდანზე და ანგელოზზე უმეტესი კადნიერება აქვს ღვთის, თავისი ძის, მიმართ; ხოლო როგორც ქრისტიანთა დედა, წმიდანებზე და ანგელოზებზე მეტად მოიღებს წყალობას ჩვენზე, თავის შვილებზე!

უკეთილშობილესი პატრიციუსი და უმამაცესი მხედართმთავარი კორიოლანი* უსამართლოდ განდევნეს ძველი რომიდან. გაბოროტებული კორიოლანი ჯარს უხმობს და უმადური სამშობლოს წინააღმდეგ ომს იწყებს, იმარჯვებს და ქალაქს უახლოვდება, გარს ერტყმის, ალყაში აქცევს, გადაწვით ემუქრება, შურისძიების ჟინით არის ანთებული, მოსახლეობას გაჟლეტას უპირებს, მათი სისხლით სურს თავისი სამართლიანი რისხვის დაოკება და უმართებულოდ მიყენებული წყენის განქარვება. მაშინ რომაელები თავიანთ შეცდომას აღიარებენ, ჩადენილს ინანიებენ, რცხვენიათ და წუხან. სენატში გროვდებიან და ხიფათისგან თავის დასახსნელად სხვა საშუალებას ვერ პოულობენ გარდა იმისა, რომ ამ დიდებულს ფეხებში ჩაუცვივდნენ, პატიება სთხოვონ და მისი რისხვა შეარბილონ. მაშ ასე, სენატიდან რჩეულნი წინ წავიდნენ, მათ სხვადასხვა ჩინოსანი გაჰყვა და ბოლოს უბრალო ხალხი _ ყველანი ცრემლით და სახეზე ღრმა წუხილით; ისინი კედლებზე ადიან, კორიოლანის წინაშე წარდგებიან, მუხლს იყრიან, მას თაყვანს სცემენ, ტირიან, შესაბრალისი ხმით მამულისა და საკუთარი სიცოცხლის შეწყალებას ევედრებიან, მაგრამ კორიოლანი შეუბრალებელია, არ იდრიკება, არ ლმობიერდება მოქალაქეთა ცრემლების გამო. პირიქით, უფრო დაუნდობელი ხდება, საბრძოლველად ნიშნის მიცემას აპირებს, მაგრამ... რაწამს ბრბოში შენიშნავს ღირსეული ქალბატონის, თავისი დედის, ბითურიას დამწუხრებულ სახეს, რომელიც მას ნაზ დედობრივ სიყვარულს მოაგონებს, მაშინვე მზერა უნათდება, მრისხანება უცხრება, მახვილს ხელს უშვებს, ჯარს აჩერებს, მოქალაქეებს ურიგდება, მშობლიურ ქალაქში შედის არა როგორც მტერი, არამედ როგორც მეგობარი, სამშობლოს უკიდურესი ხიფათისგან ათავისუფლებს. ამდენად არის უფრო მნიშვნელოვანი ძის წინაშე ყოფნა მშობელი დედისა, ვიდრე უთვალავი ბრბოსი? რა შეიძლება იყოს ძისთვის დედის სახელზე საამო? რა შეიძლება იყოს დედის ცრემლებსა და ვედრებაზე ძლიერი? მაგრამ მოდით, ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ!

ხომ სიმართლეა, ქრისტიანენო, ის, რომ ჩვენ, ყოველდღე, ყოველ საათს და წუთს ვცოდავთ? დაე, თითოეული საკუთარმა სინდისმა ამხილოს. ვაი ჩვენ! რარიგ ნაირფეროვანი ცოდვებითაა ჩვენი ცხოვრება წაბილწული! ის ყველაზე მძიმე უსჯულოებათა ერთიან, უწყვეტ რიგს წარმოადგენს, რამდენი უწმინდურებაა ჩვენს გულისთქმებში! რამდენი ბილწსიტყვაობაა ჩვენს ენაზე! რამდენ მზაკვრობას ხედავს ძე ღვთისა ჩვენს საქმეებში! ხედავს და ითმენს, რადგან მრავლისმომთმენია. მაგრამ როცა მოუნანიებელნი ვართ, გამოუსწორებელნი, ჯიუტად ჩავდივართ ბოროტებას, მაშინ უმაღლეს ღვთაებრივ სიმართლეს რაღაც ბუნების საწინააღმდეგო უმადურობით შევურაცხყოფთ, მის სამართლიან რისხვას აღვანთებთ და ის მეტად აღარ ითმენს, არამედ დაუნდობელი, მრისხანების მახვილითა და ისრებით აღჭურვილი, როგორც საშინელი მეომარი, ჩვენზეც აღდგება და სრული მოწყვეტით, სიკვდილით, საუკუნო ტანჯვით გვემუქრება. თითქოს იმასვე გვეუბნება, რასაც იუდეველებს დღევანდელ სახარებაში: *«ნათესავი ურწმუნოი და გულარძნილი, ვიდრემდის ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა?»* (მთ. 17, 17). ნათესავო ურწმუნოვ! არა იმიტომ, რომ არა გაქვს რწმენა, არამედ იმიტომ, რომ არა გაქვს საქმენი რწმენისანი; გარყვნილო, ჩემდამი შიშის უარმყოფელო, ჩემი სჯულის გამთელავო, ჩემს სიყვარულს დაშორებულო, ავხორცობით

* კორიოლანი _ ძვ. რომ. პატრიციუსი და მხედართმთავარი (მე-5 ს. ქრ. შ-მდე) რომის მტრის მხარეს გადავიდა, მათ ჯარს სათავეში ჩაუდგა და თავის ქალაქს ალყა შემოარტყა, მაგრამ დედისა და მეუღლის თხოვნით ალყა მოხსნა. ამ ამბავს შექსპირმა დრამა მიუძღვნა, ხოლო ბეთჰოვენმა უვერტიურა.

ცდუნებულო! ვიდრემდის ვიყო თქუენ თანა? როდემდე ვიყო თქვენთან ჩემს ეკლესიასა და ჩემს საიდუმლოებებში? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა? როდემდე აგიტანოთ, მხარში გედგეთ ჩემი თვინიერებითა და დიდი მოთმინებით? როდემდე?! ამ სიტყვებთან ერთად ის თავის მახვილს გააშიშვლებს (ასე საშინლად აღწერს ამას წინასწარმეტყველი) *«მშვილდსა მისსა გარდაუცუამს და განუმზადებიეს იგი; და მის თანა განუმზადებიან ჭურნი სიკუდილისანი»* (ფს. 7, 12-13); ისარნი განმზადებულია და ეს *«ისარნი ძლიერისანი ლესულ არიან ნაკუერცხალთა თანა ოხრებისათა»* (ფს. 119,4). ზოგი ისარი იმისთვისაა, რომ მშობლებს სასჯელად შვილები წაართვას, ან შვილებს _ მშობლები გამოფხიზლებისთვის, ქმარი _ თავქარიან ცოლს, ცოლი _ უხმარ ქმარს, ან ძმა _ ცოდვილ ძმას; სხვა ისარი იმისთვისაა, რომ ჩვენი ჯანმრთელობა მოწყლას და ავადმყოფობებით სარეცელს მიგვაჯაჭვოს მრავალწლიანი ტანჯვისთვის; მესამე _ რათა ბედნიერება მოგვიწამლოს, სიღარიბით მოთოკოს ჩვენი ამაყი მზერა. დანარჩენი ისრები, რომელთა დათვლა შეუძლებელია, იმისთვისაა, რომ მრავალნაირი ჭრილობა მოგვაყენოს, საცხოვრებლები მოგვისპოს, ქონება გაგვინადგუროს, ოჯახობა გაფანტოს სიდუხჭირით, ჩხუბით, შიმშილით, სიკვდილით, ომებით, ტყვიებითა და უბედურებათა მთელი სიმძიმით.

«მახვილი მისი ლესულ არს, მშვილდსა მისსა გარდააცუამს და განუმზადებიეს იგი; და მის თანა განუმზადებიან ჭურნი სიკუდილისანი».

ჩვენ უბედურნი, ცოდვილნი, სად გავექცევით ძე ღვთისას ასეთ რისხვას? ჩვენთვის არ არის სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ შევინანოთ და კაცთმოყვარე ძე ღვთისას ფერხთით დავემხოთ. შუამდგომლობისთვის კი მღვდლებს უნდა მივმართოთ, რომლებიც აქ, დედამიწაზე, ეკლესიაში არიან; ასევე წმიდანთა მეოხებას, რომლებიც სამოთხეში იმყოფებიან. და წარმოიდგინეთ, რომ ყველანი: მონაზვნები, მღვდლები, ეპისკოპოსები და პატრიარქები ერთობლივ მსახურებასა და ვედრებას აღასრულებენ; უფრო მეტიც, ყველა წმიდანი სამოთხისა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მთელი დასი, მოწამეთა, მოღვაწეთა და ქალწულთა მთელი სიმრავლე, ნეტარ ანგელოზთა ყველა წევრი ღვთის დიდების ტახტს მიემთხვევიან, რათა ჩვენთვის მიტევება გამოითხოვონ. მიწიერი და ზეციური ეკლესიის მთელ ამ შუამდგომლობაზე ბევრად მეტის გაკეთება კი ღვთისმშობლის ერთადერთ სიტყვას ძალუძს. ჰოი! როცა დასასჯელად მოგვიბრუნდება საშინელი მსაჯული და თავისი დედის სახეს დაინახავს, უწმიდესი და უტკბესი დედისა, რომელიც ევედრება, ის მყისვე თავაზიანი, თვინიერი, მშვიდობიანი გახდება, ღვთაებრივი მრისხანების მახვილსა და მშვილდს გადადებს, მაშინვე მოწყალებას გამოავლენს და ჩვენთვის სასურველ მოტევებას მოგვმადლის. მეუფის გულმოწყალების მოსაპოვებლად ბევრი რამის გაკეთება ძალუძს დედის ვედრებას. ქრისტიანენო, შეგიძლიათ წარმოდგენა იმისა, თუ ვინ ევედრება? _ დედა ღვთისა, რომელსაც ყველა წმიდანზე უმეტესი კადნიერება აქვს ღვთის მიმართ. სხვა წმიდანები ევედრებიან, როგორც მონები, ყოვლადწმიდა ქალწული კი სთხოვს, როგორც დედა. ვის ევედრება? ძე ღვთისას, რომელიც შთაისახა, რომელიც შვა, გამოკვება და გამოზარდა; რომელიც მან ერთმა ისეთი სიყვარულით შეიყვარა, როგორითაც ყველა ნეტარმა ერთად, და რომელიც უფალმა შეიყვარა იმაზე მეტი სიყვარულით, ვიდრე ყველა ნეტარი ერთად აღებული. ყველა წმიდანი ევედრება ღმერთს, როგორც მამას, ყოვლადწმიდა დედა _ როგორც ძეს. ვისთვის ევედრება? ქრისტიანებისთვის, რომლებიც მისი შვილები არიან, მისი ბუნებითი შთამომავალნი, იმავე გვარის, იმავე სისხლის, რომლიდანაც თავად წარმოიშვა, ხოლო

მადლით _ ძმანი მისი ძისა. წმიდანები გვშუამდგომლობენ როგორც ძმებს, ყოვლადწმიდა ქალწული გვშუამდგომლობს, როგორც შვილებს. აწ მიაპყრეთ თვალი მის შესავედრებელ სახეს _ რაოდენ დიდია მისი კადნიერება, და სახეს მავედრებელს _ როგორი მხურვალეა მისი ვედრება! განა შეიძლება მასზე წყალობა არ იყოს მოღებული? ამ აზრს ატარებს ცნობილი გამოთქმა ქებათა ქებიდან, რომლითაც, ვფიქრობ, უფალი მიმართავს ქალწულს: *«შენ დაატყვევე ჩემი გული, ო, სძალო, დაო, ჩემო! ერთი შეხედვით* (4, 9) _ შენი ერთი შემოხედვით შემოიჭერ ჩემს გულში, იარაღს ვყრი, მრისხანებას დავუტევებ, მიტევებას მოგმადლი».

აი, როგორ წყალობას, როგორ შეწევნას მოიღებს ჩვენზე, ქრისტიანებზე, უწმიდესი მარიამი.

ის ღვთისა და ჩვენი დედაა. როგორც ჩვენს დედას, პატივი უნდა მივაგოთ, მოწიწებით უნდა ვიყოთ მის წინაშე, რადგან ეს ღვთაებრივი სჯულით დამტკიცებული ბუნებითი ვალდებულებაა; მეორე მხრივ, როგორც ღვთის დედას, ჩვენ, ადამიანები, კიდევ უფრო დიდ პატივს უნდა მივაგებდეთ, მეტად კრძალულნი უნდა ვიყოთ მის წინაშე, რამეთუ მას, როგორც ღვთის დედას, თაყვანს სცემენ თვით სამოთხის წმიდანები და ზეციური ანგელოზნი. აქედან გამომდინარე, თაყვანისცემა და კრძალულება უწმიდესი მარიამისადმი, როგორც დედისა ჩვენისადმი, დიდი უნდა იყოს, ხოლო როგორც ღვთის დედისადმი _ ყოველგვარ შედარებაზე აღმატებული. ვინც საკუთარ დედას არ ეთაყვანება, პატივს არ სცემს, არ არის ღირსი, იწოდოს ადამიანად; ვინც ღვთის დედას პატივს არ სცემს და მოკრძალებული არ არის მის მიმართ, არ შეიძლება იწოდოს ქრისტიანად. ვის შეუძლია თავი შეიქოს იმით, რომ ქრისტეს ერთგული მონაა, თუ ის მარიამის ერთგული მონა არ იქნება? ან რა კრძალულება შეიძლება ჰქონდეს ძის მიმართ, თუ დედის მიმართ არ იქნება კრძალული? რაიმე უბედურებით ყველაფრისადმი მოწიწება რომ დამეკარგა, მას არასდროს დავკარგავდი ქალწულ მარიამისადმი. ყოველი შეჭირვების ჟამს _ სხეულებრივისა თუ სულიერისა, რომელშიც არ უნდა აღმოვჩნდე, მას მივმართავ დარწმუნებული იმაში, რომ მასთან ვპოვებ ჩემს სნეულებათა კურნებას, უბედურებებში _ ნუგეშს, ცოდვებში _ მოტევებას. ჯოჯოხეთშიც კი არ ვკარგავ ხსნის იმედს ზეციური დედოფლისაგან. ვიდრე ის თავის კალთით მიფარავს, არ მეშინია წარწყმედისა.

მაგრამ რაში მდგომარეობს ქალწულისადმი კეთილკრძალულება? _ ლოცვასა და მარხვაში. ლოცვაში, რომელიც არის მოხმობა ღვთის სახელისა, მარხვაში, რომელიც თავის შეკავებაა. ეს ის ორი საშუალებაა, რომლითაც პატივი უნდა ვცეთ ღვთისა და ჩვენს დედას, განსაკუთრებით ამ დღეებში. როგორი უნდა იყოს ჩვენი ლოცვა? არა უწესრიგო, არა მღელვარე, არა ურცხვი, არამედ ღვთისმოშიში, გულშემუსვრილი და ცრემლიანი. ჩვენი მარხვა და თავშეკავება როგორიღა უნდა იყოს? ის უნდა იყოს კრძალულობა არა მარტო სანოვაგისაგან, არამედ ცოდვისაგანაც; არა მხოლოდ ხორცისაგან, არამედ ხორციელი ვნებებისგანაც. ყოვლადწმიდა ქალწული ჩვენგან მარხვასა და გულითად ლოცვასთან ერთად გულის შემუსვრილებასაც მოელის. ამაზე ნაკლებს რაღას უნდა ითხოვდეს ქრისტიანთაგან ღვთისა და ქრისტიანთა დედა? ჰოი! რომ მივმხვდარიყავით, თუ რა შეწევნას ვიღებთ ესოდენ წმიდა დედისგან.

ობლებო, მოგზაურნო, უსახლკარონო, სნეულნო, მწუხარენო, ცოდვილნო, ნუ სწუხართ: გყავთ დედა, დედა ღვთისა! დედა, რომელიც შეგიფარებთ, სიღატაკეში გამოგკვებავთ, მწუხარებაში განუგეშებთ, ავადმყოფთ კურნებას მოგმადლით, ტყვეობიდან დაგიხსნით,

ცოდვებს მოგიტევებთ. ნუ სწუხართ: თქვენ დედად გყავთ დედა ღვთისა. მეზღვაურნო! უხმეთ ქალწულს, რათა ქარიშხალში გქონდეთ ნავსაყუდელი; მგზავრნო! უხმეთ ქალწულს, რათა ხიფათში გყავდეთ შემწე; მიწათმოქმედნო! უხმეთ ქალწულს, რათა კურთხეულ იყოს თქვენი შრომის ნაყოფი; მოსწავლე ჭაბუკნო! უხმეთ ქალწულს, რათა გქონდეთ სწავლაში შუქი შემეცნებისა; სასულიერო პირნო და ერისკაცნო, მამანო და დედანო! უხმეთ ქალწულს, თქვენს ყველა საჭიროებაში, სხეულებრივსა თუ სულიერში, რათა გყავდეთ ამ ცხოვრებაში და სიკვდილის წუთს მფარველი, სამსჯავროზე კი _ მეოხი; ქრისტიანენო, დიდო და მცირე თაყვანისმცემელნო იესო ქრისტეს სახელისა! კეთილკრძალულნი იყავით ქალწულ მარიამის სახელის მიმართ, იესოსი და ჩვენი დედის მიმართ.

იესო და მარიამი... დაე ეს სახელები თქვენს გულში აღიბეჭდოს; იესო და მარიამი... დაე ეს სახელები მუდამ იყოს თქვენს ბაგეზე; იესო და მარიამი... დაე ეს სახელები იყოს თქვენი ლოცვის დასაწყისი და დასასრული. იესო და მარიამის სახელები დაე, პირველი იყოს, როს გაიღვიძებთ, საღამოს კი _ უკანასკნელი. მათთან ერთად დახუჭეთ თვალი; მათთან ერთად შედით ეკლესიაში და მათთან ერთად გამოდით იქიდან; მათთან ერთად დაიწყეთ და დაასრულეთ ყოველი საქმე, რათა უკანასკნელი ამოსუნთქვის დროს ერთ მხარეს იესო გყავდეთ, მეორე მხარეს _ მარიამი და მათთან ერთად განიდიდოთ ზეციურ სასუფეველში.ამინ!

სიტყვა მათეს სახარებაზე

ღვთისმშობლის მეოხება

«და განურისხდა უფალი იგი მისი და მისცა
იგი ჯელთა მტანჯველთასა, ვიდრემდის
გარდაიჯადოს ყოველი იგი თანანადები მისი»

(მთ. 18, 34)

დღევანდელი იგავი გვასწავლის, რომ ღვთისაგან წყალობას არ უნდა მოელოდეს ის, ვინც მოყვასს არ უყოფს წყალობას: *«და განურისხდა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჯელთა მტანჯველთასა».* ასე მოუხდება უმადურ მონას; მან თავისი ბატონის გულმოწყალება საკუთარ თავზე გამოცადა და ასეთი უწყალობა გამოიჩინა მოყვასისადმი. მას ათი ათასი ტალანტი ემართა; რომ არაფერი ებადა, ვალის გადავადებას ითხოვდა, კეთილმა ბატონმა კი ის გაათავისუფლა _ ფული აჩუქა. მისი ვალი, ასი დინარი (ასე ცოტა) სხვას ემართა. იმ სხვასაც არაფერი ებადა და ისიც გადავადებას ითხოვდა, მაგრამ უგულო მევალემ ხელი სტაცა, ახრჩობდა და ბოლოს საპყრობილეში ჩასვა. სხვები უყურებენ ასეთ არაადამიანობას და წუხან; ეს ამბავი ბატონმა გაიგო. ის მონას უხმობს და ჯერ ამხელს: *«მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანანადები შენი მოგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე»,* შემდეგ მტანჯველებს უბრძანებს, თვალთაგან მოაშორონ ის და ტანჯონ, ვიდრე ვალს არ გადაიხდის: *«და განურისხდა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჯელთა მტანჯველთასა, ვიდრემდის გარდაიჯადოს ყოველი იგი თანანადები მისი».* ვიმეორებ, ასე ეკუთვნის უმადურ მონას. მაგრამ ახლა რაღა იმედი ჰქონდა ტანჯვისაგან თავის

დაღწევისა? იმედოვნებდა, რომ კვლავ შეიწყალებდა ბატონი? მაგრამ მან ხომ ერთხელ უკვე შეიწყალა, ამჯერად კი ძლიერ ურისხდება. იქნებ იმის იმედი აქვს, რომ ამხანაგებს შეებრალებათ და უშუამდგომლებენ? მისი სისასტიკით აღშფოთებული ამხანაგები უმეტესწილად მას ადანაშაულებენ. ვალის გადახდის იმედი აქვს? ის ხომ მეტისმეტად დიდია _ ათი ათასი ტალანტი! რა იღონოს? ახლავე გეტყვით. მონა, რომელსაც ბატონი განურისხდა, რომელსაც ამხანაგები ამტყუნებენ, მონა, რომელსაც გათავისუფლების იმედი არა აქვს, ღვთის მადლისაგან განდგომილი, ღვთის პირს დაშორებული, ყველა სასჯელმისჯილი, რაც კი შეიძლება კაცმა ღვთის რისხვით მოიწიოს _ უბედური ცოდვილია. მაშ ასე, ბატონი, უფალი მისი განრისხდა, მეგობრები _ წმინდანები კიცხავენ, არ შუამდგომლობენ უფალთან. უსაზღვროა მისი ცოდვების ვალი, მთელი სიცოცხლე არ ეყოფა მის გადასახდელად. რა იღონოს? ვის მიმართოს მფარველობისათვის? ხსნას საიდან ელოდოს? თქვენ თუ იცით, ქრისტიანენო, ვინ არის უსასოოთა იმედი? ვინ არის ცოდვილთა საფარველი? ვინაა დედა ქრისტიანეთა?

_ მარიამი, ყოვლადწმინდა დედოფალი. დიახ, თუკი ვინმე ცოდვილი ასეთ უბედურებაში ჩავარდა: ერთი მხრივ, მასზედ განრისხებულია ღმერთი, მეორე მხრივ, არანაირი შველა წმინდანთა მეოხების სახით არა აქვს, ასეთ დროსაც კი არ ტოვებს მას წმინდა ქალწულის მეოხება და შუამდგომლობა.

მე დღეს მსურს ამის თქმა სანუგეშოდ ცოდვილთა და სადიდებლად ღვთისმშობლისა. *«და განურისხდა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჴელთა მტანჯველთასა».* მინდა იცოდეთ, ქრისტიანენო, თუ რას ნიშნავს გამოთქმა: *«და განურისხდა უფალი იგი მისი»,* ანუ რაოდენ საშიშია ღვთის რისხვა, რომელიც ადამიანთა ცოდვებით აღენთება. წმინდა წერილში მრავალ მაგალითს ვხვდებით, როცა ღმერთი ჭეშმარიტად გაცხადდა, როგორც ღმერთი შურისგებისა, როგორადაც ამბობს დავით წინასწარმეტყველი. პირველმა ნათლით მოსილმა ანგელოზმა შესცოდა და განრისხებულმა უფალმა ის ძირს დასცა, ვითარცა ელვა. ჩაუქრობელი ცეცხლისა და საშინელი წყვდიადის უფსკრული გააღო და განდგომილ ანგელოზებთან ერთად იქ საუკუნოდ შთააგდო; შესცოდა ადამმა და განრისხებულმა უფალმა მისმა იგი სამოთხიდან განდევნა, ნარ-ეკლით და კუროსთავით სავსე მიწის დამუშავება და ოფლით პურის მოპოვება დააკისრა; შესცოდეს ადამიანებმა ნოეს დროს. განრისხდა მათზე უფალი, მოუვლინა წარღვნა, ორმოცდღიანი წვიმა და დაახრჩო ისინი; შესცოდეს ხუთქალაქის მცხოვრებლებმა: განრისხებულმა უფალმა ზეციდან ცეცხლი აწვიმა მათ და ჩანაცრა; შესცოდეს ებრაელებმა და განრისხებული უფალი მათ, დამარცხებულებს, გაძარცვულებს და დატყვევებულებს ხან ქალდეველებსა და ხან ასურელებს უგდებდა ხელში. ისინი დღემდე მოხეტიალენი და ადამიანებისათვის სამულველნი არიან. შესცოდა მისმა მეგობარმა, ღვთისსათნო დავითმა და ყოველივეს მიუხედავად, განრისხებულმა უფალმა არ მიუტევა მას მანამ, სანამ უმძიმესი სასჯელი არ დაადო _ შვილების სიკვდილი, მომაკვდინებელი წყლულები და თითქმის მთელი სამეფოს გაღატაკება. მრავალ მსგავს მაგალითს ვხედავთ იმ უხსოვარ დროში. ქრისტიანენო! ჩვენც ვსცოდავთ და ნუთუ ვერ ვხედავთ, როგორ მრისხანებს უფალი და რა მრავალგვარი სასჯელით გვსჯის? ზოგიერთ მათგანს ვხედავთ, რადგან ისინი ხორციელად გვაზიანებენ. სახელდობრ, ესენია: ავადმყოფობანი, სიკვდილი, გაკოტრება, ომები, სიღარიბე და სხვა აურაცხელი უბედურება. სხვებს ვერ ვხედავთ, რადგან ისინი სულს სწვდებიან. როცა ღმერთი განგვეშორება და თავის ღვთაებრივ მადლს აღგვიკვეთს, მაშინ გონება იბინდება

და ჭეშმარიტების შუქს ვერ ხედავს: ხან ნების სისუსტეს ავლენს სიკეთესთან მიმართებაში; ხან უმეცრებას სარწმუნოებრივ დოგმატებში, ხან კადნიერებას სიწმინდეთა მიმართ; ხან ჯიუტად სჩადის ბოროტებას და არ ინანიებს. მოკლედ, რამდენადაც ცოდვა უმაღლესი ბოროტებაა უფლის წინაშე, რომელიცა არს უმაღლესი მადლი, არაფერია ცოდვაზე უფრო საძულველი და ღვთის მართლმსაჯულება არაფერს სჯის ისე, როგორც ცოდვას, ღვთის მცნებათა ამ თავხედურ დარღვევას. აქედან შეგიძლიათ მიხვდეთ, რაოდენ დიდი შეიძლება იყოს ღვთის რისხვა ცოდვაში მყოფ ადამიანზე. ის იმხელაა, რომ მართალ იობსაც კი საუკუნო სატანჯველზე მეტად ეშინია მისი _ *«უკუეთუმცა ჯოჯოხეთს შიდა დამმარხე და დამფარე მე, ვიდრემდე წარჯდეს რისხვაჲ შენი და განმიჩინო მე ჟამი, ოდეს მოჯსენებაჲ ჩემი ჰყო»* (14, 13). წმ. იოანე ოქროპირს მისი მეტად ეშინოდა, ვიდრე ათასობით სასჯელისა: «ათასი გეენია ვერ დამტანჯავს ისე, როგორც წარმოდგენა იმისა, რომ უფალი განმირისხდა, პირი იბრუნა ჩემგან და მომარიდა თავისი მზერა ნიშნად იმისა, რომ მას ჩემი დანახვაც არ სურს».

როცა ღმერთი ძლიერ განრისხებულია ცოდვილზე, განა შეუძლია ვინმეს მის წინაშე იშუამდგომლოს? მისი მრისხანება ვედრებით მოალბოს და მოწყალებისათვის განაწყოს? იქ, უდაბნოში, ებრაელები ისეთ დიდ უსჯულოებას ჩადიოდნენ, რაც კი შესაძლებელია ადამიანმა ღვთის წინააღმდეგ ჩაიდინოს: კერპს სცეს თაყვანი, ჭეშმარიტი ღმერთი უარყვეს, რომელმაც ეგვიპტელთა მონობიდან იხსნა ისინი, ოქროს ხბო ჩამოასხეს და მას ეთაყვანებოდნენ, როგორც ღმერთს. ძლიერ მრისხანებს ღმერთი და მათი განადგურება, დაღუპვა და აღგვა სურს პირისაგან მიწისა. მოსე თავის ერს შუამდგომლობს და შესთხოვს უფალს: *«დასცხერ რისხჳსაგან გულისწყრომისა შენისა და ლხინება-ყავ უკეთურებისა მისთჳს ერისა შენისა; მოიჯსენე აბრაჰამისი, ისაკისი და იაკობისი, მსახურთა შენთა»* (გამოს. 32, 12-13). არა, უპასუხა ღმერთმა, *«და აწ მიტევე მე და განვრისხნე გულისწყრომითა დიდითა. და აღვჴოცნე იგინი»* (გამოს. 32, 10). *«აწ მიტევე მე».* ვინ დააკავებს ღმერთს? წინ ვინ გადაეღობება? აენთო მისი მრისხანება, გაშიშვლდა მახვილი. ის თავად არის ყოვლისშემძლე და ყოვლისმპყრობელი. ვის აქვს იმდენი ძალა და გამბედაობა, რომ არ დაუშვას მისი შურისგება ამ უმადურ ერზე. მას აფერხებს, აკავებს და სასჯელის აღსრულებას არ ანებებს ვედრება მოსესი, რომელიც ეუბნება: *«დასცხერ რისხვისაგან გულისწყრომისა შენისა და ლხინება-ყავ უკეთურებისა მისთჳს ერისა შენისა,* და მოაგონა პირველი პატრიარქები, მისი ერთგული მონები და მეგობრები: *მოიჯსენე აბრა-ჰამისი, ისაკისი და იაკობისი, მსახურთა შენთა».* მართლაც, ღმერთმა მძვინვარება შეწყვიტა, დააცხრო მრისხანება თვისი, მოწყალე იქმნა, მიუტევა ებრაელებს უდიდესი უსჯულოება _ *«და ლხინება-ყო ბოროტისა მისთჳს ერისა, რომელ თქუა ყოფად მათდა»* (გამოს. 32, 14). ახლა ვიკითხავ: ღვთის წინაშე ვინ იყო მოსე? _ უბრალო მონა; ვინ იყვნენ აბრაამი, ისაკი და იაკობი? _ ისინიც მონები იყვნენ. ყოვლადწმინდა ქალწული? ის ვინ არის წინაშე ღვთისა? _ ის დედაა, უსაყვარლესი ყველა ქმნილებათა შორის. წმ. იოანე დამასკელის სიტყვებით: «არსებობს უსაზღვრო სხვაობა ღვთის მონებსა და დედა ღვთისას შორის და თუკი მონის _ მოსეს შუამდგომლობა აოკებს ღვთის მრისხანებას და კერპმსახური ებრაელების განადგურებას არ ანებებს, ღვთის დედის, მარიამის მეოხება მით უმეტეს დააოკებს ღვთაებრივ რისხვას და ცოდვილ ქრისტიანთა დასჯას არ დაანებებს».

ყოველთა წმინდანთა შესავედრებელი ღმერთი ზოგჯერ ისმენს მათსას, ზოგჯერ კი ყურად არ იღებს. ის უფალია, ისინი _ მონები. ისინი ითხოვენ წყალობას, რომლის მიღებაც

მის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. წმ. პავლემ ხომ სამგზის ითხოვა წყალობა და შესმენილ არ იქნა? მაგრამ ყოვლადწმინდა ქალწულის ვედრებას ღმერთი ყოველთვის ისმენს, ის ძეა მისი, თავად კი დედაა ღვთისა. დედის თხოვნის შესრულება არ არის წყალობა ძისა, ეს ვალია. როცა სოლომონის დედა _ ბერსაბე მეფის სასახლეში შევიდა, მეფე ტახტიდან წამოდგა, ამბობს წმ. წერილი: *«და ზეაღდგა მეფე სოლომონ და მიეგებოდა დედასა თჳსსა და ამბორს-უყო მას და დაჯდა საყდარსავე თჳსსა და დაუდგეს საყდარი დედასა მეფისასა და დაჯდა მარჯუენით მისა»* (3 მეფ. 2, 19). და როცა დედამ უთხრა, რომ ერთი სათხოვარი აქვს, შვილმა ღრმა პატივისცემით მიუგო: *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან»* (3 მეფ. 2, 20). უბრძნეს სოლომონს ესმოდა, რომ თუმც მეფე იყო, მოვალე იყო დედისათვის, როგორც დედოფლისათვის, პატივი მიეგო. *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან».* ასევეა უზენაესი ღმერთი. როცა ყოვლადწმინდა ქალწული ზეცად წარდგა და ღვთაებრივი დიდების პალატში შევიდა, როგორ ფიქრობთ, როგორი პატივით შეხვდებოდა მას ძე მხოლოდშობილი? ჩვენ არ ძალგვიძს იმ პატივის წვდომა და ვერაფერს წარმოვიდგენთ გარდა იმისა, რაც სულიწმინდამ დავითის პირით იწინასწარმეტყველა: *«დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა»* (ფს. 44, 9), ანუ იქ, იმ ადგილზე, რომელიც ყოველთა წმინდანთა და ნეტართა დასზე, ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, ქერუბიმთა და სერაფიმთა განწესებაზე მაღლაა _ მარჯუენით თვისა, ღვთაებრივ ტახტზე დააბრძანა იგი. და იქ თითქოსდა ეუბნება მას: *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან»,* ანუ: დედაო ჩემო, ყოველთა ნათესავთაგან რჩეულო, კურთხეულო დედათა შორის, როგორც დედამიწაზე ხარ მიმადლებული და მადლით აღსავსე, ასევე განდიდებული და დიდებით აღვსილი ხარ სამოთხეში, შენ დედა ხარ ჩემი და მე ძე შენი. ძეს პატივისცემა ეგების დედისა... იჯექ მარჯუენით ჩემსა და ცასა და მიწაზე იმეფე. დაე, ანგელოზნი და ადამიანები, როგორც დედოფალს და დედას ღვთისას, თაყვანს გცემდნენ. მე ვარ ღმერთი, მე ვარ ძე; ვითარცა ღმერთი, ჩემს დიდებას მოგმადლი, როგორც შვილი _ ჩემს გულს გიძღვნი: *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან».* მთხოვე, რაც გსურდეს, მე შევასრულებ შენს თხოვნას, დაე, იცოდეს სამყარომ, ჭეშმარიტად ვინ არის ძე შენი და ვინ არის დედა ჩემი. და ამგვარად განგადიდებენ ნათესავნი. *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან».* სარეცელზე მწოლიარე სნეულის კურნება ითხოვე, თავისუფლება დიდი ხნის წინ ბორკილდადებული ტუსაღისა, ითხოვე შეწევნა უბედურებაში მყოფი ღატაკისათვის, ხიფათისაგან მოგზაურთა ხსნა ითხოვე, დაე, მხოლოდ შენ გიხმოს სნეულმა და განგკურნოს, ტყვე გათავისუფლდეს, ღატაკი განძღეს, მეზღვაური ხსნილი იქნას. *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან».*

ის უშვილო დედაკაცი შვილის მიცემას გევედრება, ქალწული _ უბიწოების დამარხვას, მეომარი _ გამარჯვებას, მეზღვაური _ ნავსაყუდელს, მიწათმოქმედი _ მოსავალს, ვაჭარი _ მოგებას. მათი თხოვნა მხოლოდ დედის მეოხებით შესრულდება. *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან».*

შენ გსურს, რომ სიყმილისაგან, წყლულთაგან, ხილულ და უხილავ მტერთაგან დაცულ იქნას ის ქალაქი, ქვეყანა, ოლქი, სადაც კეთილკრძალულ პატივს მიაგებენ სახელს შენსას? დაე, იყოს ასე. შენ ასევე გსურს, რომ ცოდვილი, რომელმაც ჩემი რისხვა აღანთო, მოუნანიებელი, სიკვდილისა და საუკუნო ტანჯვის ღირსი ცოდვილი ღვთაებრივი

მადლით გაბრწყინდეს და სინანულისაკენ მიიდრიკოს, რათა გადარჩეს? დაე შესრულდეს დედის სურვილი. *«ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარემივიქციო პირი ჩემი შენგან».*

მე ვარ ღმერთი, მე ვარ ძე. დედისადმი სიყვარულის გამო ყოველივეს ქმნა ძალმიძს ისე, როგორც შენ გსურს. დაე, ჩემი დიდებით განიდიდოს დედა ჩემი, დაე ჩემს დიდებას შეადგენდეს განდიდება დედისა.

ქრისტიანენო, ვიმეორებ: თუ ღმერთი წმინდანთა ვედრებას ისმენს, წყალობას მოიღებს, რამეთუ წმინდანთა ხელმწიფეა, ხოლო თუკი ისმენს ვედრებას ქალწულისას, ვალს აღასრულებს, რამეთუ ის ძეა ქალწულისა. ღვთისაგან მოცემულია სჯული ძისაგან დედის პატივისცემისა და მას მერე, რაც ღმერთმა ქალწულისაგან ხორცნი შეისხნა, ის თავის საკუთარ სჯულს დამორჩილდა. გიორგი ნიკომიდიელი ასე ამბობს ამის შესახებ, როცა ქალწულს მიმართავს: «ვინაიდან შემოქმედი, ვითარცა ძე, შენს დიდებას თავის დიდებად მიითვლის, ერთგვარად ვალს იხდის _ შენს თხოვნას აღასრულებს».

სად ხარ, უცოდვილესო, შენი ცოდვებით ყველა მეზვერეს, მრუშსა და ყაჩაღს რომ გარდაემატე? აქეთ გამო და ბედნიერ ამბავს გამცნობ: ღმერთი განგირისხდა, როგორც უგულო და უმადურ მონას დღევანდელ იგავში? თავისი მადლისაგან განგაგდო? წმინდანებმა მოგიძულეს და ნაცვლად შუამდგომლობისა გკიცხავენ? ვალი შენი ცოდვებისა ფრიად დიდია და არ იცი, ღვთაებრივი მართლმსაჯულების წინაშე რითი გადაიხადო? ამის გამო შიშობ და სასოს წარიკვეთ? უბედურო სულო, გამხნევდი! შენს უბედურებაში არის შემწე _ ეს უწმინდესი ქალწულია.

გინდ მთელი რისხვა ღვთისა შენდამი იყოს მომართული, თუკი დედა ღვთისა მეოხად დაგიდგება, უფალი მოლბება, რადგან ის ძეა; მხოლოდ მან ერთმა რომ სთხოვოს, შესმენილ იქნება მისი თხოვნა, რამეთუ ის არის დედა.

ქრისტიანო, განა არ უწყი, რომ მიმადლებული დედის ერთი ცრემლიც კი მრავალ ცოდვას აღხოცავს? მისი მეოხება, ერთი სიტყვა, ერთი ნიშანი საკმარისია, რომ ღვთის მთელი მრისხანება და დრტვინვა წყალობად და მოწყალებად იქცეს? მიირბინე მის საფარველთან, შეწევნას ევედრე, გქონდეს მისი მეოხების იმედი და გწამდეს, რომ თუ ასეთ ანძას ჩაეჭიდები, არ დაიღუპები. არც ერთი სულიერი არ დაღუპულა კიდობანში, ასევე არც ერთი ქრისტიანი არ დაიღუპება, ვინც მფარველობის ქვეშაა უწმინდესი ქალწულისა, რომელიც კიდობანია განწმენდის...

მარიამი _ უნეტარესი სახელი, ანგელოზთა სიტკბოება და მწუხარეთა სიხარული. მარიამ! ქალწულო, დედაო ღვთისა, დედაო ქრისტიანეთა! მე ის უხმარი მონა ვარ, ვისზეც დღევანდელი სახარება მოგვითხრობს. მონა, რომელსაც ძე შენი განურისხდა და წმინდანებმა მოიძულეს, მონა, რომელმაც ღვთის მართლმსაჯულებას თავისი უსასრულო ცოდვების ვალი უნდა გადაუხადოს. რა ვიღონო? ვის მივმართო? ხსნას საიდან ველოდო? ჩემს თავდებად გიგულებ, შენსკენ მოვისწრაფი, შენზედ ვსასოებ, რამეთუ შენ ხარ უიმედოთა იმედი, ცოდვილთა საფარველი, დედა ქრისტიანეთა. იმედო ჩემო, შესავედრებელო ჩემო, მიიღე, დაიცევ მონა შენი, მოწყალე იყავ შენს შვილთა მიმართ! ერთი შუამდგომლობა, ერთი სიტყვა, ერთი ნიშანი და ხსნილი ვარ! ჰოი, მარიამ, შენზედ მსასოებელი შეუძლებელია დაიღუპოს!

ქება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა

«ვიხილე და აჰა სავსე დიდებითა
უფლისაჲთა სახლი უფლისაჲ»
(იეზ. 44, 4)

აჰა, უდიადესი მსხვერპლი, როგორიც კი სამყაროს შექმნიდან ოდესმე შეუწირავთ. სამი წლის მარადისქალწული მარიამი შემოქმედისადმი შესაწირად იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. ღვთისთვისაც არაფერი ყოფილა ამაზე ფასეული, ამაზე ძვირფასი და კეთილადშესაწყნარებელი მსხვერპლი. როდესაც მოკრძალებული გონების თვალით ამ საზეიმო მიყვანებას წარმოვიდგენ, თითქოსდა ვხედავ დიდებულსა და ბრწყინვალე ზეიმს დედამიწაზე, წმინდა ქალაქში. მაგრამ სხვა რამესაც წარმოვიდგენ, უფრო დიდებულსა და ბრწყინვალეს იქ, ზეცაში, სამოთხეში. აქ ვხედავ, თუ როგორ მიუძღვიან მას ლამპრებით ქალწულნი, რომლებიც მარადის ქალწულს სიხარულით ადიდებენ; იქ კი ელვისსახიან ანგელოზთა წესთმთავრობა ხარობს და უხორცო ძალთა შორის უპატიოსნეს ხორცშესხმულს განადიდებს; აქ მღვდელმთავარი მაკურთხებელ ხელს იწვდის და ღვთაებრივი შთაგონებით მოსილს განწმენდის განსულიერებული კიდობანი წმიდათა წმიდაში შეჰყავს; ამავდროულად დაუსაბამო მამა ნეტარ მკლავებს გაშლის და თავისი ძისათვის წინასწარ განჩინებულს ღვთაებრივი დიდების ტახტზე მარჯვენით დაისვამს. მრჩობლია მიმადლებული ყრმის მიყვანება: ერთი ხილულია აქ, წმიდათა წმიდაში, მეორე _ საგულისხმო, იქ, წმინდანთა ბრწყინვალებაში. ამიტომაც აქ ღვთაებრივი ნათლით აღვსილი სოლომონის ტაძარი ბრწყინავს, იქ კი სამმანათობელი ღმერთმთავრობის სამგზის ნეტარი ნათელი ბრწყინავს ორკეცად. ალბათ ამას უჭვრეტდა ეზეკიელი, როცა ამბობდა: *«ვიხილე და აჰა სავსე დიდებითა უფლისაითა სძალი უფლისაი».*

სოლომონის ტაძარი და მასში ყოველივე პატივმისაგები, ქალწულ მარიამის აღმატებულ სათნოებათა სახეა. ქალწული ჭეშმარიტად ტაძარია ღვთისა. უწინარეს ყოვლისა, თვით სოლომონი, ვისი სახელიც ქვეყნიერების ხელმწიფეს ნიშნავს, ამგები ტაძრისა, რომლისთვისაც მან სიმდიდრე და სიბრძნე დადვა და უმშვენიერესი და უდიდებულესი საქმე აღასრულა, ზეციური შემოქმედისა და ყოველთა მეუფე ღმრთის სახეა. წერილში მას სამყაროს თავადი ეწოდება. ქალწულ მარიამის შესაქმნელად მან თავისი ღვთაებრივი ძლიერების მთელი სიმდიდრე, სიბრძნე და მადლი დადვა, რათა არსებათა შორის უსრულყოფილესი და უკეთილშობილესი შეექმნა «*რამეთუ ყო ჩემ თანა ძლიერმან ... ყო სიმტკიცე მკლავითა თვისითა*» (ლკ. 1, 49-51). ეს ნიშნავს შემდეგს: ის რომ შეექმნა, ღმერთმა იმდენი მოიმოქმედა, რამდენიც ყოვლადძლიერ ღმერთს შეეძლო. მან იგი ისეთი ხორციელი მშვენიერებით შემოსა, უხორცო სულებსაც რომ აღემატება; სულის უმაღლეს ნიჭთა ერბაშად შემთვისებელი სამშვინვლით; ჭეშმარიტების შესაცნობად ღვთაებრივი Bბრწყინვალების ყველა სხივით განათლებული გონებით; ღვთაებრივი სიყვარულის მთელი სითბოთი; სიკეთისაკენ მოსწრაფე ნებით, რომელიც შეუჩერებლად მოქმედებს და სულიწმიდასთან ერთად თანაიქმს. ნეტარი ავგუსტინე ქალწულის შექმნას «მარადიული ნათლის საქმეს» უწოდებს < ... > ტაძრის შენებისას უჩვეულო რამ მოხდა, რის შესახებაც წმინდა წერილი გვამცნობს: «*და აღიშენა ტაძარი იგი ქვითა უთლელითა და ხმაი ჭურჭლისა და რკინისა ყოვლადვე არა ისმა შენებასა მას ტაძრისასა*» (3 მეფ. 6, 7). მაგრამ

ამაზე უჩვეულო რამ ქალწულში მოხდა. როგორც მას ეკლესია უგალობს: ის მაცხოვრის უს-პეტაკესი ტაძარი, ღვთის დიდების წმინდა საგანძური, განხორციელებული ღვთაების სამკ-ვიდრებელი, ზეციური მეუფის განსულიერებული სახლი უნდა ყოფილიყო. «ის სხეულითა და სულით წინასწარგანმზადებული, წინასწარგანწმედილი, სრულყოფილი და მიმედლებული იყო» _ ამბობს ღვთისმეტყველი. სამშვინველითა და სხეულით სულის მიერ წინასწარ განწმედილ ქალწულში ღმერთი განკაცდა. ამგვარად, ღვთისაგან ქმნილი ქალწული მარიამი კანონის ბუნებას, ღმერთის შობით კი ბუნების კანონს აღემატა.

სოლომონის ტაძარში ცხრა უწმინდესი და ფრიად პატივსაცემი რამ იყო: პირველი _ შვიდსანთლიანი შანდალი; მეორე _ ტრაპეზი წინადასაგები პურებით; მესამე _ ოქროს კანდელი; მეოთხე _ ოქროს ბადია მანანით; მეხუთე _ სჯულის ფიცრები, რომლებზეც ათი მცნება ეწერა; მეექვსე _ აარონის აყვავებული კვერთხი; მეშვიდე _ კიდობანი; მერვე _ განსაწმედლის მაჩრდილობელი ქერუბიმნი; მეცხრე _ წმიდათა წმიდა. ეს ყოველივე ღვთისმშობლის აღმატებულობის წინასახე, იგავი და აჩრდილია. «იგი ჭეშმარიტად შვიდსანთლიანი შანდალი იყო სულიწმიდის შვიდი ნიჭისა, რომლითაც იგი თავისი ცხოვრების პირველივე წლებიდან ბრწყინავდა» _ ამბობს ათანასე დიდი; ის იყო ცხოვრების პურის ცხოვრებამოსილი ტრაპეზი, ოქროს კანდელი, რამეთუ ცხოვრების ცეცხლი აღუნთებლად დაიტია; ოქროს ბადია ზეციური მანანით; ფიცარი, რამეთუ განხორციელებულ ჰიპოსტასურ სიტყვას ატარებდა; ის იყო კვერთხი, სასწაულებრივად აყვავებული ყვავილი უხრწნელებისა; ცოდვის წარღვნისაგან კაცთა მოდგმის მხსნელი კიდობანი; ღვთაებრივი განსაწმედელი, რომელსაც არა ქერუბიმნი, არამედ თვით უზენაესის ძალა განწმედდა; ეს ღვთის მიმღებელი წიაღი ჭეშმარიტად წმიდათაწმიდაა, სადაც ერთგზის უთესლოდ შევიდა და საიდანაც უხრწნელად გამოვიდა განხორციელებული სიტყვა _ უკვდავი მღვდელმთავარი.

და აი, ქალწულ მარიამში განსულიერებულია ღვთის ტაძარი, რომლის წინასახესაც სოლომონის ტაძარი წარმოადგენს. ამიტომ ის დიდება, რომელიც კურთხევისას სოლომონის ტაძარს აღავსებდა, მხოლოდ იდუმალი მინიშნება იყო ღვთისმშობლის აღმავსებელ უსაზღვრო დიდებაზე. ამის შესახებ წინასწარმეტყველურად გამოაცხადა სულიწმიდამ: *«ვიხილე და აჰა დიდებითა უფლისადთა სახლი უფლისად»*. რად შევიდა ქალწული ტაძრად სამი წლის ასაკში? ადამიანური ზრდის სიმაღლე დაბადებიდან მესამე წელს შეიმჩნევა. როგორიცაა მავანი სამი წლისა, შემდგომში ამაზე ორჯერ მეტად იზრდება _ არც მეტად, არც ნაკლებად. ამას ბასილი დიდიც შენიშნავს თავის «ექუსთა დღეთაში»: «როგორიც არის კაცი სამი წლის ასაკში, ორჯერ იმაზე დიდი იქნება შემდგომ». ქალწული სამი წლისა იყო და უკვე იმდენი სიწმინდე ჰქონდა, რომ წმიდათაწმიდაში შესვლის ღირსად იცნა, ანუ იქ, სადაც მხოლოდ მღვდელმთავარი შედიოდა წელიწადში ერთხელ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დროთა მანძილზე ქალწულს ორმაგად უნდა შესძინებოდა სიწმინდე; ისევე, როგორც სამი წლისა აღემატებოდა სიწმინდით ძველი სჯულის ყველა მართალს, წინასწარმეტყველსა და პატრიარქს, ასევე ორმაგად უნდა განწმედილიყო, რათა შემდგომში მოციქულებს, მოწამეებს, ღირსთა, ეკლესიის მასწავლებლებს, ასევე ყველა ზეციურ ანგელოზს, მთავარანგელოზს, სერაფიმსა დაქერუბიმს აღმატებოდა. ასე რომ, თუკი სამი წლისამ ტაძრის წმიდათაწმიდას მიაღწია, საბოლოოდ იგი სასუფევლის წმიდათაწმიდას, ანუ სამმანათობელი ღვთაების ტახტს მიაღწევს. მეფემ და წინასწარმეტყველმა დავითმა მისი ამაღლება წინასწარ განჭვრიტა:

«დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა» (ფს. 44, 9). აი, სწორედ ესაა სიწმიდის სრული დიდება, რომელიც მიიღო ქალწულმა, ღვთის განსულიერებულმა ტაძარმა, აქ, დედამიწაზე მადლით აღსავსემ, ზეცაში კი დიდებით აღვსილმა. *«ვიხილე და აჰა სავსე დიდებითა უფლისადთა სახლი უფლისად».*

განდიდებულო ქალწულო! დღეს შენ ტაძრად შედიხარ, შენ, ღვთის განსულიერებულო ტაძარო, წმიდათა წმიდაში, უზენაესის მიერ განწმედილ საგრილობელში, ღვთის სალხინებელში ჩვენი სულების განსაწმედად შედიხარ; და ჩვენ, ვითარცა ლამპრის მპყრობელი ქალწულნი, მოწიწებითა და ანთებული გულით, გონებით ძღვენს გწირავთ და სულიერი ლხენით შენს დიად მიყვანებას ვზეიმობთ.

სიტყვა ლუკას სახარებაზე

ცხონებაში სამი დაბრკოლების შესახებ*

«კაცმან ვინმე ყო პური დიდი და
მოუწოდა მრავალთა... და იწყო
თითოეულმან ყოველმან ჯმნად»
(ლკ. 14, 16-18)

რამდენადაც ღმერთი ადამიანისთვის კეთილია და მრავალმოწყალე, იმდენადვე უმადურია ადამიანი ღვთის მიმართ. ღვთის კეთილმოწყალება ადამიანის ბოროტებას ებრძვის; ღვთის მადლი უხმობს, ადამიანური ნება გარბის; ის ევედრება, ეს პირს იბრუნებს; ის ძღვენს უხვად სთავაზობს, ეს _ ურცხვად უარყოფს. მეუფეს სწორედ ამისი გამოკვლევა სურს დღევანდელ სახარებაში, რომელსაც ღვთისმეტყველთა განმარტებით იგავური, ზნეობრივი, ქარაგმული და შემაგონებელი შინაარსი აქვს. მისი იგავური შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მავანმა დიდი ვახშამი გამართა და მრავალნი მოიწვია; ზნეობრივი _ რომ ეს ადამიანი ღმერთკაცი უფალია, რომელმაც თავისი ყოვლადწმინდა საიდუმლოებების სერობა გამართა და წმინდა ზიარებაზე გვიხმობს; ქარაგმული _ რომ ის თავად განხორციელებული ღვთის სიტყვაა, რომელმაც, ადამიანად ქცეულმა, თავის წმინდა ეკლესიაში, როგორც სერობაზე, იუდეველები და წარმართები მოიწვია; შემაგონებელი _ რომ ეს არის მამა ღმერთი, რომელმაც საუკუნო სიტკბოების ანუ ცათა სასუფევლის სერობაზე ამქვეყნად მოსულ ყოველ ადამიანს უხმო, რამდენადაც *«ყოველთა ... ჰნებავს ცხოვრებად და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად»* (1. ტიმ. 2, 4). ასეთი დიდი და უსაზღვროა ღვთის წყალობა ადამიანისადმი. მაგრამ ღვთის მიმართ ადამიანის უმადურობა როგორია! წვეულნი არ მიდიან, განჩინებულნი განზე დგებიან. *და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად.* ერთნი ამბობენ: _ მე მინდორი ვიყიდე და მის სანახავად უნდა წავიდე, _ *«აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი»* (ლკ. 14, 18) ეს არის ქვეყანაზე მიჯაჭვული ადამიანი, რომელმაც თავისი სულის საფასურად ამაქვეყნიური უნაყოფო მინდორი იყიდა, მასზე ამაოდ იღწვის და ოფლსაც ამაოდ ღვრის, მოწევით კი მხოლოდ ამ ცხოვრების უბედურებებსა და ამაოების ნარ-ეკალს მოიწევს; მეორემ ხუთი უღელი ხარი იყიდა და მათი გამოცდა სურს _ *«უღლეული ჴართად ვიყიდე*

* ამ ქადაგების I და II ნაწილი ნაპოვნი არ არის.

ხუთი და მივალ გამოცდად მათა» (ლკ. 14, 19); ეს _ სიმდიდრეზე მიჯაჭვული ადამიანია, რომელიც მთელი გარეგანი თუ შინაგანი გრძნობით ანგარებისმოყვარეობას და მევახშეობას მისცემია; სხვა კიდევ უფრო ურცხვად ამბობს, რომ ცოლი შეირთო და მოსვლა არ შეუძლია: *«ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად»* (ლკ. 14, 20). ეს _ ხორცის მაამებელი კაცია, მისი სული და სხეული ხორცის ხლართებშია გაბმული. ამიტომ ადამიანებს სამ თანრიგად დავყოფ: ერთნი ქვეყანაზე არიან მიჯაჭვულნი, მეორენი _ სიმდიდრეზე, მესამენი _ ხორცზე; ქვეყანა, სიმდიდრე და ხორცი _ აი ის სამი დაბრკოლება, რომლებიც ადამიანს დიად სერობაზე წასვლას _ ყოვლადწმინდა საიდუმლოებებთან ზიარებას, ზეციური სასუფევლით ტკბობას არ ანებებენ.

1) *«აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი»*; ამას ქვეყანაზე მიჯაჭვული ამბობს. ქვეყანა _ ეს უდიდესი დაბრკოლებაა ადამიანის ცხოვრებაში. ქვეყანა და ღმერთი ურთიერთსაპირისპირონი არიან. არავის შეუძლია ემსახუროს ერთდროულად ღმერთს და ქვეყანას.

< . . . > *«ვერვის ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად»* (მთ. 6, 24).

ანტონ დიდმა ხილვაში ნახა, რომ მთელი მსოფლიო რაღაც ბადით იყო დაფარული: ქსელი მოსდებია მინდვრებსა და ბაღებს, გზებსა და მოედნებს; მდიდართა სასახლეებსა და ღატაკთა ქოხებს; ეკლესიებსა და საკურთხევლებს. ყველგან ქსელია მოდებული. რას ნიშნავს ეს ხილვა? ბადე _ ეს ქვეყნიური ცდომილება და სიცრუეა, ეს მისი საზრუნავია, ის ეხვევა ხელებს, ფეხებს, ყელს, თვალებს, გონებასა და გულს; ბადე, რომელიც ითრევს ქმრებს, ცოლებსა და შვილებს, ჭაბუკებსა და მხცოვნებს. იმას ლოცვის აღვლენა უნდა, ეკლესიაში წასვლა, სურს, რომ აღსარება თქვას, ეზიაროს, ბოლოს და ბოლოს, გამოსწორება უნდა, მაგრამ ქვეყნიური ბადე აკავებს; უნდა, რომ ილოცოს, მაგრამ გონებაში სახლის ათასი საზრუნავი უტრიალებს; ეკლესიაში წასვლა სურს, მაგრამ წარჩინებულთანაა წასასვლელი, რაღაც საქმეები აქვს მოსამთავრებელი, ბაზარში საქონელი აქვს დასათვალიერებელი, აღსარებისთვის და ზიარებისთვის ის ერთ დღეს, ერთ საათსა და წუთს ვერ პოულობს. თქვენ თუ იცით, რაოდენ მძიმე იყო ფარაონის ბატონობა დამონებულ ებრაელ ერზე?

< . . . > *«გამოავლინე ერი ჩემი, რათა მმსახურებდენ მე... განვიდი გზასა სამისა დღისასა უდაბნოდ, რათა მსხუერპლი შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა»* (გამ. 5, 1-3) *«დაუმძიმდინ საქმე კაცთა ამათ და მას ზრუნვიდენ...»* (გამ. 5, 9). დღე ულოცველად გადის, დღესასწაული წირვის გარეშე ჩაივლის, წელიწადი _ უაღსარებოდ. ცხოვრების მთელი გზა ქვეყნიურ საზრუნავში, ღმერთზე ფიქრის გარეშე გაილევა. როგორ უნდა იფიქრო ღმერთზე იქ, სადაც ქვეყნიური ზრუნვა მეფობს? “ მღელვარე და მებრძოლ გონებაში არანაირი კეთილი აზრი არ არის და ღვთის მადლიც არ იდებს ბინას» _ ამბობს კირილე დიდი. *«ვერ-ვის ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად»* (მთ. 6, 24). < . . . > ამღვრეული წყალი, რომლის ფერი არ ჩანს... ქრისტიანო! *«კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა»* რას იტყვი? *«გლოცავ შენ ჯმნულმნცა ვარ»* (ლკ. 14, 19) < . . . > ჰოი, რარიგ დიდი დაბრკოლებაა ადამიანის ცხონებისათვის ქვეყანა!

2) შენ, შენ რაღას მიპასუხებ? *«ულლეული ჴართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა»* _ ეს სიმდიდრის მოყვარე კაცია. ჰოი! რარიგ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ადამიანის ცხონებაში სიმდიდრე! აქ კი ჭეშმარიტად ძლიერი ბადეა, რომელიც სულს მაგრად კრავს. ამიტომაც ამბობს ღვთაებრივი პავლე: *«ხოლო რომელთა ჰნებავს სიმდიდრე,*

შეიცვივიან განსაცდელსა და საფრჴესა და გულის თქუმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დაანთქნიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად» (1 ტიმ. 6, 9).

უპირველესად _ განსაცდელში; მეორე _ მრისხანებაში; მესამე _ მრავალ უაზრო და საზიანო ვნებაში. განსაცდელში: ფიცის, წყენინების, ძარცვის; მრისხანებაში: გინების, ლანძღვის, მკვლელობის; მრავალ უაზრო და საზიანო ვნებაში: გაუმაძღრობის < . . . > *«კაცისაჲ ვისიმე მდიდრისაჲ ნაყოფიერი იყო აგარაკი»* (ლკ. 12, 16). სხვისი ნივთის დაბრუნებაზე ხომ არც ფიქრობს (ატლანტა და იპომენი < . . .> შეკითხვას, თუ რატომაა ოქრო ფერმკრთალი, უპასუხა: «მიტომ, რომ მას მრავალნი ელტვიან. შეუძლებელია ერთდროულად გიყვარდეს ფული და სული... რამეთუ *...შეიცვივიან განსაცდელსა და საფრჴესა და გულის თქუმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა* < . . . > რას იტყვი? *«გლოცავ შენ ჯმნულმნცა ვარ».*

მაშ ასე, ადამიანის ცხონებაში სიმდიდრე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს! ქრისტიანო *«კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა».*

3) არ მოდის ერთი, რამეთუ უყვარს სოფელი, არ მოდის მეორე, რამეთუ უყვარს სიმდიდრე. ვინც არ უნდა იყო, შენ მაინც მოდი! მაგრამ რას ვხედავ, რა მესმის? *«ცოლი შევირთე... და ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად»* ჰოი რარიგ დიდი, შემაჭირვებელი, ძლიერი დაბრკოლებაა ადამიანის ცხონებაში _ ხორცი! ეს ბადე კი არა, სამმაგი თოკია; ეს _ რკინის ჯაჭვია, რომელსაც სიკვდილის გარდა ვერაფერი გაწყვეტს *«ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად».*

ქრისტიანენო, ვაღიაროთ, რომ არ არსებობს ისეთი რამ, ქალზე მეტად რომ მბრძანებლობდეს ჩვენზე (სამი ჭაბუკის ისტორია). ქალი ლომებს ათვინიერებს, მეფეებს, ხელმწიფეებს იმონებს, მამაცებზე იმარჯვებს, ადამიანებს აიძულებს საკუთარი შვილები სძულდეთ, უარი თქვან მშობლებზე, მოკლან, რწმენას უღალატონ, კერპებს თაყვანი სცენ, ადამიანები ტანჯონ, მათ ერთი კი არა, ათასი სული რომ ჰქონოდათ <...> *«შვილო, ნუ გარევინ სიკეთე გულისთქუმისა»* (იგ. 6, 25) და ნუ ივლი შენი მზერის კვალდაკვალ (იხ. რიცხ. 15, 39). გარყვნილება საშინელ ბოროტებებს იზრახავს. ჰოი, რარიგ დიდი, მაჭირვებელი, ძლიერი დაბრკოლებაა ეს ხორცი! თუ მის ბადეში მოხვდი, ათასჯერ რომ მოგიწოდო სინანულისკენ, მაინც მიპასუხებ: *«ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად».*

მაშ ვასკვნი: *«კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა... და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად»* (ლკ. 14, 16-18). ერთი არ მოდის ქვეყნის სიყვარულის გამო, მეორე _ სიმდიდრის სიყვარულისა, მესამე _ ხორცის სიამოვნებისა. «*ყოველთავე მიაქციეს ერთბამად თუ უხმარ იქმნნის, არავინ არს, რომელმანმცა ქმნა სიტკბოებაჲ, არავინ არს მიერთადმდე» (ფს. 13, 3)* < . . . > და თქვენ გინდათ, რომ ღმერთი არ გაგვიწყრეს? < . . . >

სიტყვა, თქმული წმ. ნიკოლოზ

სასწაულთმოქმედის ხსენების დღეს

სიყვარულის შესახებ

«დადგა (იესო) ადგილსა ველსა, და
ერი იგი მოწაფეთა მისთაჲ და სჴჳსა

ერისა სიმრავლე ფრიადი ჰურიასტანით»

(ლკ. 6, 17)

წმ. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისადმი განსაკუთრებული მოწიწება მის განსადიდებლად მომიწოდებს, მაგრამ დღევანდელი სახარება სხვა, უმაღლესი სწავლებისაკენ მიბიძგებს და მეც ვფიქრობ, მოზეიმე მსმენელი ზნეობრივი სწავლებით დავმოძღვრო. ამას, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის ვაკეთებ, რომ ამ დიადი ეპისკოპოსის საქებრად მჭევრმეტყველება არ მყოფნის, არ ძალმიძს აღწერა არც მისი ღვაწლისა და არც სასწაულებისა; მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ანგელოზთა ყველა დასი, ცისა და მიწის ნეტარ სულთა ყველა განწესება მას უგალობს და ადიდებს. ასე რომ, შეუძლებელია, მის პატივსა და დიდებაზე რაიმეს მიმატება. ამიტომ ჩვენი სიტყვისთვის სხვა საგანს ვირჩევთ, სწორედ იმას, რომელსაც წმ. სახარება წარმოგვიჩენს, რათა იმდენივე სულიერი სარგებლობა მივიღოთ, რაოდენი სულიერი სიხარულიც ამ დღესასწაულმა მოგვანიჭა.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე გალილეის ფართო ველზე დადგა. იქ ურიცხვი ადამიანი და მოწაფე შეიკრიბა, ასევე მრავალნი მოვიდნენ მთელი იუდეიდან, იერუსალიმიდან, ტირიდან, სიდონიდან და მახლობელი ქვეყნებიდან, მოვიდნენ, როგორც მწყურვალი ფურირმები წყაროსთან, რათა მისი სიტყვა მოესმინათ და სასწაულები ეხილათ. სულებისა და სხეულთა ზეციური მკურნალისაგან მათ განსაკუთრებული კურნება მიიღეს. პირველ რიგში სულის კურნება _ ღვთივშემეცნება, რამეთუ მისი სწავლება იყო მაცხოვნებელი ზეციური ნათელი, რომელიც ყოველ ადამიანს განანათლებდა; მეორე _ მიიღეს სხეულის სიმრთელე, რამდენადაც მისგან მოდიოდა სასწაულთმოქმედი ძალა, რომელიც ბრმებს თვალს უხელდა, სნეულებს აღადგენდა და კეთროვნებს წმენდდა *და განკურნებდეს ყოველთა* (ლკ. 6, 19). მაშინ უფალმა თვალნი მიაპყრო მოწაფეებს და წარმოთქვა ცნობილი ცხრა ნეტარება. ისინი მათე მახარებელმა ზედმიწევნითი სიზუსტით ჩაწერა: ნეტარნი ხართ გლახაკნი; ნეტარნი ხართ მტირალნი; ნეტარნი ხართ წმინდანი გულითა; ნეტარნი ხართ მშვიდობისმყოფელნი; ნეტარნი ხართ დევნილნი სიმართლისათვის; ნეტარნი და სამგზის ნეტარნი ხართ მწუხარენი, რამეთუ გამოუთქმელი სიხარულით იხარებდით ცათა შინა: *გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით, რამეთუ აჰა ესერა სასყიდელი თქუენი მრავალ არს ცათა შინა* (ლკ. 6, 23) ყველა ნეტარებაზე საუბარს რომ შევდგომოდი, სიტყვა უსასრულოდ გამიგრძელდებოდა, ამიტომ მათგან ერთს დავჯერდები. სახელდობრ: «*ნეტარ იყვნენ მშჳდობის მყოფელნი»* (მთ. 5, 9). მშვიდობა კი სწორედ ისაა, რაც ფრიად გვესაჭიროება.

I

ადამიანი ორ გარემოებაში წარმომიდგება: ერში, თავის სახლში ოჯახთან, მშობლებთან და ძმებთან ერთად, კაცი, რომელიც ბედნიერებას მიელტვის; ან სულიერ გარემოში, როგორც ქრისტიანი, ეკლესიაში, რომელსაც სწამს სახარება და სასუფეველს მოელის. მშვიდობიანი ადამიანი საერო მნიშვნელობით ნამდვილად ბედნიერია, მას ყველაფერი გამოსდის, სულიერების მხრივ სრულყოფილი ქრისტიანია და იოლად ცხონდება; და პირიქით _ მშვიდობის გარეშე ის უბედური ადამიანი და ცრუ ქრისტიანია. ამ ცხოვრებაში შესაბრალისი, იმ ცხოვრებაში სამგზის შესაბრალისია.

მშვიდობა ამქვეყნიურ საერო და სულიერ საქმეებში მეტად საჭირო რამაა. საუბარს კი ამათგან პირველით დავიწყებ.

ძველ ბრძენთა წარმართულმა სიბრძნემ დაგვიტოვა საყოველთაოდ ცნობილი გამონათქვამები, რომლებსაც მთელი მსოფლიო ყველა დროში სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა, კერძოდ ის, რომ თანხმობისას მცირედი იზრდება, უთანხმოებისას კი, თუ რაიმე დიდია, მცირდება. ეკლესიაში მსუფევი სულიწმინდის სიბრძნე წმინდა წერილში ამასვე გვასწავლის: *«აჰა, ესერა რაჲ-მე კეთილ, ანუ რაჲ-მე შუენიერ, არა-მე დამკჳდრებაჲ ძმათაჲ ერთად? ... მუნ ამცნო უფალმან კურთხევაჲ და ცხორებაჲ უკუნისამდე»* (ფს. 132, 1-3); ბედნიერია ის სახლი, სადაც მშვიდობა სუფევს, სადაც ძმას ძმა უყვარს, მშობლები შვილებზე ზრუნავენ, შვილები მშობლებს პატივს სცემენ. იქ მიწიერი ბედნიერებაა, სიხარული და ლხენაა, მიწიერი ნეტარებაა. ხოლო სადაც სიძულვილი მეფობს, იქ ძმებს შორის უთანხმოებაა, მშობლებსა და შვილებს შორის განყოფა, ეჭვია ქმარსა და ცოლს შორის. როგორი წყევლაა ღვთისა! როგორი განკითხვა ადამიანებისაგან! განგაში, სიმწარე, მიწიერი ჯოჯოხეთია! *«სადა არს შური და ჴდომაჲ, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე»* (იაკ. 3, 16), რამეთუ იქ სიღატაკეა, ზარალია, სრული განადგურება, რადგან მტრობამ არა მხოლოდ ცალკეული სახლები, დიდი ქალაქები და ძლიერი სამეფოები გაანადგურა. არსებობს იესო ქრისტეს გამონათქვამი: *«ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევთის თავსა თჳსსა, მოოჴრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცის»* (მთ. 12, 25).

კვდებოდა სკვითების მეფე და მრავალ ძეს ტოვებდა. რას აკეთებს იგი იმისათვის, რომ ისინი თანხმობით ცხოვრებისათვის განაწყოს? ყველას თავისთან უხმობს, ერთ-ერთს შეკონილ რტოებს აწვდის და გადატეხვას უბრძანებს. შვილმა გამოართვა, ბევრს ეცადა, ეძალავა, მაგრამ გადატეხვა ვერ შეძლო, აიღო მეორემ, მესამემ, დანარჩენებმაც და ვერავინ გადატეხა. «შვილებო გახსენით ეს კონა, თქვა გონიერმა მოხუცმა, რტოები სათითაოდ აიღეთ და იოლად გადაამტვრევთ. ასეც მოიქცნენ: გახსნეს და ყველა სათითაოდ გადაამტვრიეს. მაშინ კეთილმა მამამ აუხსნა მათ: ხომ ხედავთ, შეკრული კონა როგორი მაგარია, გახსნილი კი რა იოლად ტყდება? ასევე თქვენც, თუ ძმური სიყვარულით გაერთიანებულები იცხოვრებთ, ვერანაირი მტერი ვერ დაგამარცხებთ; მაგრამ თუ გაიყოფით, ყველას სათითაოდ დაგამარცხებენ». აი გონივრული ანდერძი.

მოისმინე ამბავი წმინდა წერილიდან: მოკვდა გედეონი და ხელისუფლების მემკვიდრედ სამოცდაათი მოზრდილი, მდიდარი და ძლიერი ძე დატოვა. ისინი ერთ საძმოს, მთელ ჯარს, სახლს, ქალაქს, მთელ ოჯახსა და სამეფოს შეადგენდნენ; ძმებს ერთმანეთში მშვიდობით, ძმური ერთსულოვნებით რომ ეცხოვრათ, რომელი მტერი მოერეოდათ? მაგრამ დაირღვა ეს კავშირი, სხვადასხვა აზრთა შედეგად ძმობა გაიყო. რა მოხდა? ერთმა ძმამ აბუმელექმა დანარჩენ ძმებს სძლია და ერთ დღესაც ყველა დახოცა. მაგრამ მანაც უბედურად იმეფა. სამი წლის შემდეგ ქალაქ სიქემის ალყის დროს მოკლეს. და თან როგორ? ვიღაც დედაკაცმა მაღალი კოშკიდან ქვა გადმოაგდო და თავი გაუპო. როგორღაც სულ მცირე დროში გედეონის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა _ ძლიერი სამეფო გაქრა; სამართლიანად არის სოლომონის იგავში ნათქვამი: *«ძმაჲ ძმისაჲ შემწე, ვითარცა ქალაქი ძლიერი და მაღალი და ძლიერ არს, ვითარცა სამეუფოჲ მოზღუდვილი»* (იგავი 18, 19); კიდევ უფრო მეტი ჭეშმარიტებით ამბობს ქრისტე: *«ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევთის თავსა თჳსსა, მოოჴრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცის».*

შესაქმის წიგნში ნოეს ძეების, სემის, ქამისა და იაფეტის ურიცხვ შთამომავლებს ხედავთ. ისინი სენარის დიდ ველზე შეგროვდნენ, სადაც თავიანთი სახელების უკვდავსაყოფად ზეცამდე აწვდილი კოშკისა და ქალაქის აშენება განიზრახეს. ძნელი საქმეა, მაგრამ იოლად აშენებენ. იწყება მშენებლობა, კედლები ნელ-ნელა იზრდება, მაღლდება კოშკი, ცოტაც და ეს დიდი საქმე დასრულდება. მე ეს სრულიადაც არ მაკვირვებს, რამეთუ წმინდა წერილის მიხედვით ამ ადამიანებს, თუმცა ისინი მრავალრიცხოვანნი იყვნენ და სხვადასხვა ოჯახიდან წარმოდგებოდნენ, საერთო ენა ჰქონდათ და ერთმანეთისა ესმოდათ; ყველას ერთი აზრი და ერთი მიზანი ამოძრავებდა; მრავალი ხელი ერთ საქმეს აკეთებდა, ყველა თანხმობით იყო, ყველა ერთად, როგორც ერთნი *«ნათესავი ერთ და ბაგენი _ ერთ ყოველთა»* (დაბ. 11, 6). მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს მშენებლობა იყო საქმე ამპარტავნებისა, ღმერთი განურისხდა პატივმოყვარე ხალხს და გადაწყვიტა, მათთვის ხელი შეეშალა და მშენებლობის დასრულების საშუალება არ მიეცა. როგორ ფიქრობთ, რა მოიმოქმედა? იქნებ კოშკის დასანგრევად ელვა გამოგზავნა? ან დედამიწას რყევა უბრძანა, რათა ქალაქის კედლები მიწისძვრას დაენგრია? არა. *«მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ, რათა არა ესმოდეს თჳთოეულსა ჴმაჲ მოყუასისა»* (დაბ. 11, 7). და ეს საკმარისი აღმოჩნდა. ღმერთმა ენები ისე აურია, რომ ერთმანეთისა არა ესმოდათ რა: ერთი მორს ითხოვდა, მეორე თიხას აწვდიდა; ვერ თანხმდებოდნენ, უთანხმოება კი ყოველთვის კამათს იწვევს, კამათი _ განყოფას. და ისინი გაიყვნენ, დედამიწის ყოველ მხარეს განითესნენ; დიადი საქმე დაუსრულებელი დარჩა; დროთა განმავლობაში მაღალი კოშკი დაემხო და დიდი ქალაქი დაინგრა.

ქრისტიანენო, ჩემო მსმენელნო! მშვიდობიანობის, ერთსულოვნების, თანხმობის დროს ყოველი საქმე ბოლომდე მიდის; პატარა რამ დიდი ხდება, დიდი მტკიცდება; ოჯახის, ქალაქებისა და სამეფოების კეთილდღეობა იზრდება «ერთსულოვნება და თანხმობა _ ფრიად სასიკეთოა ორივე მხარისათვის» ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი. მაგრამ თუკი ენები აირევა, თუკი უთანხმოება დაიწყება, ეს იქნება ღვთის რისხვა, რისხვა ელვასა და მიწისძვრაზე უმეტესი, იმაზე მძიმე, ვიდრე უფალი ცოდვებისთვის სასჯელად გზავნის, რისხვა, რომელიც სახლებს ქალაქებსა და სამეფოებს ანგრევს. დააკვირდით ამას არა მხოლოდ სხვების, არამედ ჩვენს საკუთარ წარსულში*; გაიხსენეთ ძლიერი და სახელოვანი მიწიერი სამეფო, მხედველობაში მაქვს რომის იმპერია, რომელმაც თავისი ტახტი თითქოსდა სამყაროს ცენტრში, კონსტანტინოპოლში დაიმტკიცა. ერთი ხელით დასავლეთს მართავდა, მეორეთი _ აღმოსავლეთს და მრავალი ერი ჰყავდა დამონებული _ დაეცა, დაემხო სამეფო მოდგმა. ვინ დაამხო ის, ვინ სძლია? არა სპარსთა საჭურველმა ძველად, არა ბულგარელთა ძალამ შემდგომში, და არც აგარიანელთა ლაშქარმა სულ ახლახანს. ის დაამხო ღმერთმა, რომელმაც მას მშვიდობა აღუკვეთა და განეშორა ისე, რომ ათასი ცდუნებით შეპყრობილი მსახურნი ეკლესიისა მწვალებლობით მას თვითონვე ფლეთდნენ. დიდებულები სხვადასხვა აზრთა გამო ჯარს ყოფდნენ; მეფენი უთანხმოების გამო ერთმანეთს დევნიდნენ. მამა შვილს აბრმავებდა, ძმას ხელები ძმის სისხლში ჰქონდა გასვრილი. დაეცა სამეფო, რამეთუ წართმეულია მშვიდობა, _ საყრდენი სამეფოსი. უკეთ შეხედეთ ჩვენს მიერ დასახლებულ ამ უბედურ კუნძულს; მას თვალცრემლიანებმა უმზირეთ, რადგან ის მრავალ ცრემლს იმსახურებს. არ ვიცი ჩვენი პირველმშობლების რომელი დიდი ცოდვის გამო ინება ღმერთმა ჩვენი დასჯა. მაგრამ ჩვენზე არ მოუწევია

* განმანათლებელი თავის საკუთარ სამშობლოზე ლაპარაკობს.

წარღვნა, როგორც ნოეს დროს; არც ეგვიპტური სასჯელი გამოუგზავნია; არც აგარიანელთა რკინის კვერთხი აღუმართავს, რათა ჩვენი განუზომელი ამპარტავნება აელაგმა, მან ენები აგვირია, როგორც იმ მშენებლობისას! საცხოვრებელი სხვადასხვა ქვეყნებად დაგვიყო, ვნებები კი _ ცალკეულ საზოგადოებებად. ერთნი იუდეველები არიან, მეორენი _ სამარიელები; დაიყვნენ მღვდლები: ერთი ერთ ღმერთს სცემს თაყვანს, მეორე _ მეორეს; ჩვენი ეკლესიებიც დაყოფილია და სიძულვილს, რომლითაც ვსუნთქავთ, წმინდა გარემოში შფოთი შეაქვს. განყოფა ჩვენს სიძულვილს აძლიერებს და ის ყოველგვარი ცვლილების გარეშე მშობლებიდან შვილებზე გადადის, ასე რომ ჩვენი ბავშვები უწინ მტერს სცნობენ, ვიდრე მამას. ვფიქრობ, რომ ის უგონო პირუტყვზეც გადადის და უგრძნობ ქვებზეც, რომლებსაც ასევე აქვთ მტრულ ნაწილებად დაყოფის შეგრძნება. როგორი შურია, როგორი მტრობა, ფარული მზაკვრობა, ერთმანეთის განკითხვა! რა გამოდის აქედან? იმდენი მკვლელობა, რომ მოკლულთა სისხლში მთელი კუნძულის წალეკვა და ჩაძირვაც კი იქნებოდა შესაძლებელი. ამდენი ზარალი, დაკარგვა ქონებისა, რომლის ნაწილი სასამართლომ საჯარო ვაჭრობით გაყიდა, ნაწილი კი ვიღაც მეგობრებმა და ამხანაგებმა გაფლანგეს; სიღატაკე ჟანგივით გვჭამს; მდიდრები გაღარიბდნენ და შიმშილობენ; დიდებულთა სახლები დაცარიელდა; მრავალი ოჯახი აღგვილია პირისაგან მიწისა. ჩვენ კი, ცოცხლად დარჩენილებს, სხვა არაფერი გვაქვს, გარდა სიზარმაცისა, არანაირი მეცადინეობა, გარდა ცნობისმოყვარეობისა, არანაირი მიზანი _ გარდა მოყვასის განადგურებისა, _ ღატაკნი და ამპარტავანნი, ბოროტება ასე რომ გვახარებს და მეზობლების ბედნიერება გვამწუხრებს, მოძულენი და საძულველნი _ ვიქეცით მაგალითად, საიდანაც სხვები დაასკვნიან, რომ იქ, სადაც არ არის მშვიდობა, კარგი არაფერი ხდება!

მშვიდობავ, ტკბილო მშვიდობავ, ნეტარია მიწა, რომელზეც შენ სუფევ, ნეტარნი არიან ადამიანები, რომლებიც შენით ტკბებიან; ნეტარნი არიან მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ ერული მნიშვნელობით მართლაცდა ბედნიერნი არიან, სულიერი მნიშვნელობით _ ნამდვილად სრულყოფილი ქრისტიანები.

II

იესო ქრისტეს მთელი სჯული ადამიანის ბუნების უკეთილშობილეს თვისებას _ სიყვარულს ემყარება. რათა ღმერთი და მოყვასი გვიყვარდეს *«ამათა ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაჲსწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან»* (მთ. 22, 40). მას ცხონებისათვის არც მოწამეობა დაუწესებია და არც ღვაწლი; მხოლოდ ურთიერთსიყვარული დაგვავალა *«ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას»* (ინ. 15, 12) არა მხოლოდ ის სიყვარული, რომლითაც მეგობრები გვიყვარს, არამედ განსაკუთრებული _ მტრების სიყვარული. *«გიყუარდედ მტერნი თქუენნი»* (მთ. 5, 44). სიკვდილს მიახლოებულმა, როგორც ძვირფასი განძი, თავისი მშვიდობა გვიანდერძა *«მშჳდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ»* (ინ. 14, 27), ამიტომ ნიშანი, რომლითაც ქრისტიანი იცნობა, არ არის იმაში, რომ ის მარხულობდეს, ლოცულობდეს, წყალობას გასცემდეს და სასწაულებს ახდენდეს, არც იმაშია, რომ ქრისტეს სახელისთვის ევნოს, იღვაწოს, იწინასწარმეტყველოს, ეს ნიშანია _ სიყვარული. «ყოველივე რომ მეკეთებინა, მაგრამ არ მქონოდა სიყვარული, არარა ვიქნებოდი» _ ამბობს პავლე მოციქული *«ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას»* (ინ. 13, 35); *«ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ»* (მთ. 5, 9).

ამგვარად, ქრისტეს ეკლესია სხვა არაფერია, გარდა მშვიდობისმყოფელ ადამიანთა შეკრების ადგილისა «სახელი _ ეკლესია არის სახელი ერთსულოვნებისა და თანხმობისა» _ ამბობს ღვთაებრივი ოქროპირი.

როცა ღმერთმა წარღვნით მთელი დედამიწის წალეკვა განაჩინა, დედამიწისა, რომელიც მაშინ ადამიანებმა ცოდვებით შებილწეს, მხოლოდ ნოეს გადარჩენა ინება, რადგან ის ერთი აღმოჩნდა მართალი. ღმერთმა საოცარი კიდობნის აშენება და მთელი თავისი ოჯახით შიგ შესვლა უბრძანა ნოეს. ასევე წმინდა ცხოველებიდან შვიდ-შვილი წყვილის, უწმინდურებისა კი თითო წყვილის შეყვანაც. ეს იმისათვის, რომ ისინი წარღვნას მთლიანად არ ამოეწყვიტა. განიხვნა ცა, და აწვიმდა დედამიწას ორმოცი დღე-ღამე. წყალმა მთელი დედამიწა დაფარა, მთის წვერებს თხუთმეტი წყრთით აცდა და ვინც კიდობნის გარეთ იყო დარჩენილი, ყველა დაახრჩო. კიდობანი უსაფრთხოდ ცურავდა წყალზე, მასში მყოფებს საფრთხე არ ემუქრებოდათ. მაგრამ რაც გვაკვირვებს ის არის, რომ ესოდენ მრავალრიცხოვანი ცხოველები, სხვადასხვაგვარნი, რომელთა შორის ზოგიერთს ერთმანეთის მიმართ ბუნებითი მტრობა ჰქონდათ, როგორ რჩებოდნენ ერთად, ერთ კიდობანში? ლომი და დათვი, მგელი და ცხვარი, როგორ იყვნენ მშვიდად ერთმანეთის გვერდით? მშვიდად იმიტომ იყვნენ, რომ ასე ბრძანა ღმერთმა და ცხოველები დაემორჩილნენ. ვიდრე კიდობანში იყვნენ, ბუნება თითქმის შეიცვალეს: დაუტევეს მტრობა, გადადეს მძვინვარება და მშვიდობით ცხოვრობდნენ. ასეც იყო საჭირო. თავიანთ ბუნებას რომ დამორჩილებოდნენ, რა მოხდებოდა? როგორი ბრძოლა, როგორი განგაში ატყდებოდა კიდობანში! ნოე, რა თქმა უნდა, იძულებული გახდებოდა, განედევნა ისინი და ამიტომაც თავის გადასარჩენად მათ აუცილებლად მშვიდობით უნდა ეცხოვრათ.

ეკლესიის მასწავლებელთა აზრით არაფერი ისე არ წარმოადგენს ეკლესიის წინასახეს, როგორც ის იდუმალი კიდობანი, რამეთუ ეკლესია, ეს არის დიადი და საყოველთაო ადგილი ცხონებისა. იქ მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც კიდობანს შეაფარა თავი. აქ გადარჩენის იმედი აქვთ მხოლოდ იმათ, ვინც მართლმადიდებლური რწმენის მეშვეობით ქრისტეს ეკლესიაში შემოვიდა, გარეთ დარჩენილები უბედურების, ცდომილებისა და ერე-სის უფსკრულში იღუპებიან. ჩვენ, ქრისტიანებმა, რჩეულმა ერმა, კეთილი ნაწილი, წმინდა ენა, სამეფო კურთხევა მივიღეთ, ჩვენ, ღმერთმა ამ მაცხოვნებელ კიდობანში შემოგვიყვანა, რათა ღვთის რისხვის საყოველთაო წარღვნისაგან გადავრჩენილიყავით, რომელშიც მთელი დანარჩენი მსოფლიო იღუპება. მაგრამ ამასთანავე თვით უფალი ბრძანებს, რომ ჩვენ, ქრისტიანებმა, რომლებიც ეკლესიის შიგნით ვართ, ისევე ვიცხოვროთ სიყვარულში, როგორი სიყვარულითა და მშვიდობითაც ცხოვრობდნენ ცხოველები კიდობანში. *«ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას; მშჳდობაჲ თქუენ თანა!»* (იხ. 15, 17; 20, 21).

აი, კიდევ რას მიაქციეთ ყურადღება. კიდობანში უგონო, მოუთვინიერებელი, სხვადასხვა სახეობის, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი მხეცები იყვნენ _ და ამასთან ისინი ღვთის ბრძანებას ემორჩილებიან, მშვიდობით და თანხმობით ცხოვრობენ. ჩვენ, ყველანი გონიერი ადამიანები ვართ, ძმები, ერთი საერთო ზეციური მამა გვყავს, ერთი დედისგან _ წმინდა ემბაზისგან ვიშვით, ყოვლადწმინდა საიდუმლოს ერთ წმინდა ტრაპეზს მივეახლებით, ერთი საჭმლით და ერთი სასუმელით _ ღვთაებრივი კრავის ხორცითა და სისხლით ვსაზრდოობთ, ერთ სახარებას ვაღიარებთ, ერთი სამოთხე გვწამს, საუკუნო ცხოვრებაში ერთად ცხოვრებას ვიმედოვნებთ; ჩვენ, რომლებსაც ერთი ბუნება

გვაქვს, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა, გვყავს ერთი ღმერთი, _ არ ვემორჩილებით ღმერთს! მაგრამ ამ ეკლესიის შიგნით, რომელიც სამკვიდრებელია მშვიდობისა და თანამოაზრეობისა, არც მშვიდობა გვაქვს, არც ერთსულოვნება!

«ღვთის სჯულს პირუტყვი არ ეურჩება, ჩვენ, ადამიანები კი მაცხოვნებელ სწავლებას არ ვიღებთ» _ უკვირს ღვთივგამოცხადებულ ბასილი დიდს. მაგრამ, თუკი არა გვაქვს მშვიდობა, მაშინ ჩვენი ადგილი არ არის აქ, განწმენდის კიდობანში _ ქრისტეს ეკლესიაში, რომელიც არის სახელი ერთსულოვნებისა და თანხმობისა. და რაც უფრო ცუდია, არა გვაქვს ადგილი ცათა სასუფეველში, რომელიც მშვიდობისმყოფელთა, ღვთის ჭეშმარიტ შვილთა მემკვიდრეობაა. გადით ძაღლებო, ბოროტ სიტყვას რომ ანთხევთ, შურით იკბინებით და სიძულვილით იღრინებით. არა, ისინი არ შედიან მთიან იერუსალიმში, წერს აპოკალიფსში იოანე მახარებელი! ძაღლებო, გადით კიდობნიდან, ქრისტეს ეკლესიიდან და ღვთის სასუფევლიდან, მარადიული ტანჯვის ცეცხლში დაიწვით, იქ სადაც ტანჯულ სულებს ღმერთი და ერთმანეთი მარადიულად სძულთ! ჰოი საშინელი განდევნა! კიდევ უფრო საშინელია სასჯელი მშვიდობის უარმყოფელი ქრისტიანისა. ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი.

ჰოი ქრისტე მეუფეო, რომელიც იწოდები და უპირატესად ხარ თავადი სამყაროსი! ვიცი, რომ შენი ყოვლადწმინდა სისხლის ერთ წვეთსაც შეუძლია ჩააქროს ჯურღმულის ცეცხლის მთელი ალი. ეს ალი კი სიძულვილის ალია, რომელიც ჩვენს გულებში ანთია. ის ჩააქრე და სხვა ალი, მშვიდობის წმინდა ალი აღანთე! ჩვენი გულები შეცვალე, *«გული წმინდაჲ დაჰბადე ჩემ თანა»* (ფს. 50, 10) მოგვბერე შენი წმინდა სული, რომელიც არის სული მშვიდობისა და კიდევ ერთხელ წარმოთქვი ეს ტკბილი სიტყვები: *«მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ»* (ინ. 14, 27) _ რათა ვიყოთ მშვიდობისმყოფელნი, შენი ეკლესიის ღირსნი, ჭეშმარიტი მემკვიდრეები შენი სასუფევლისა.

ქების სიტყვა ღვთისმშობლის შობაზე

ეს რა უჩვეულო და ხალხმრავალი დღესასწაულია ამჟამინდელი შუქმფენი და სასიხარულო დღისა. ეს რომელი ქველი ანგელოზი აღგძრავთ სულის ამ ლხენისა და გალობისათვის? რისგანაა ეს განსაკუთრებული სიხარული, თქვენს სახეებზე რომ აღბეჭდილა? გიცქერთ და თითოეული თქვენგანის მზერაში დიადი უწყებით გამოწვეულ დიდ სიხარულს ვხედავ. ყურს ვუგდებ და მესმის, თუ როგორ ათრთოლებს ამ ღვთაებრივი და წმინდა ტაძრის კედლებს შეძახილები და ტაშისკვრა; ტკბილ გალობასთან და სიხარულის სხივთან ერთად ვხედავ, როგორ გადაიქცევა ეკლესია სხვა, მიწიერ ზეცად და ზეციურ წესთმთავრობად. და მაინც, რითია გამოწვეული ეს სასიხარულო და ნათელი დღესასწაული? ჩემო გულმოდგინე მსმენელნო, მესმის თქვენი მართებული სიხარულის მიზეზი. ამის მიზეზი სხვა არა არის რა, გარდა ყოვლადწმინდა ასულის შობისა, რომლის გამოცხადებისთვისაც ჩვენი, ადამიანთა გარყვნილი მოდგმა ზეცას ლოცვით ორმოცდაათი საუკუნის მანძილზე ევედრებოდა; დაე, დამრთონ ამგვარად გამოთქმის ნება, ხოლო ჩვენი მოზღუდვილი ბუნება უწყვეტი ცრემლით შემეწიოს. და აღმოცენდა ქალწული ანას უნაყოფო წიაღიდან! მეც თქვენთან ერთად ვიხარებ! დღეს საბოლოოდ გაბრწყინდა ღვთისაგან დიდი ხნის წინ განჩინებული ის სასურველი დღე, რომელსაც ადამიანები

გზნებით მოელიან; დღე, რომელიც ასეთი ნაყოფიერია მიწისთვის და საშინელია ჯოჯოხეთისთვის; დღე, როცა ნიშანი სუსტდება და სული ძლიერდება, გადაივლის აღთქმა და ისადგურებს მადლი. ეს დღე, რომელიც ქვეყნიერებას სინათლის დედას უცხადებს, მზის მოსვლასაც წინასწარ გვამცნობს, რომელიც თავისი შუქმფენი გამოცხადებით ურწმუნოების სულიერ ბინდს გაფანტავს და ჩვენს ჩაბნელებულ ზრახვებში ჭეშმარიტი კეთილმსახურებისა და რწმენის ცხოველმყოფელ სხივს აანთებს. მე სრულად მწამს, რომ თქვენი მზერა სწორედ ასეთი სასიხარულო ცნობის გამოა სიხარულით სავსე, მაგრამ მე, გამოუცდელს, მომეცით საშუალება უფრო მეტი ტკბობა მოგანიჭოთ იმ მიზეზთა ახსნით, რომლებმაც თქვენს კეთილმსახურ გულებში ეს სიხარული აღაგზნო.

ის-ის იყო ადამიანი უმყოფობის უფსკრულიდან გამოვიდა და არსებობა დაიწყო, რომ ან მორჩილება ითაკილა, ან თავისი წარმომავლობა არ უწყოდა და თავის შემოქმედს განუდგა. ჩვენი პირველმამა ადამი _ ღვთის განსულიერებული ხატი, მთელ მიწიერ სამყაროზე თავისი კუთვნილი სამეფო ხელისუფლებით არ დაკმაყოფილდა და მოინდომა ის, რაც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა _ არსების შემეცნება. გახდა რა ეშმაკის ცდუნების ნადავლი და ღვთის პირველი და ერთადერთი მცნების დამრღვევი, ნაყოფის დაგემოვნებასთან ერთად სიკვდილი იგემა და დანაშაულის სასჯელად (წარმოგიდგენიათ?!) სიტკბოების სამოთხეში სასჯელის ჯოჯოხეთი მოიწია. პირველმამის დაცემამ ჩვენც თან გაგვიყოლა და უმაგალითო სისასტიკით იმაზე ადრე მიგვცა სიკვდილს, ვიდრე სიცოცხლეს მოგვანიჭებდა. დამღუპველი და ცრემლების ღირსია დანგრევა ადამიანის ბედნიერებისა! ეს ადამიანი, ანგელოზზე არცთუ ბევრად მცირე, ისეთ შეშლილობაში ჩავარდა, რომ *«ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ»* (ფს. 48, 21).

სამოთხის მთელი სილამაზე იმავწუთს ნარეკლად იქცა, ნეტარება _ სიმწარედ, მადლი _ წყევლად. პირველი, რაც ასეთი სამწუხარო და ქვეყნიერების განმრყვნელი ამბის შემდგომ მოხდა, იყო შური და მკვლელობა. დაიკარგა მადლი, მასთან ერთად უბიწოება და დედამიწა ცოდვებით ისე შეიბღალა, რომ მას მსოფლიო წარღვნა დასჭირდა არ ვიცი, განსაწმენდად თუ იმისათვის, რომ შემოქმედის თვალს დამალვოდა. ეშმაკი თავისი მეფობით ასე არასდროს დამტკბარა და ადამიანთა გულებში მისი მეუფება ასე ძლიერი არასდროს ყოფილა. ისე ჩანდა, რომ მან დედამიწაზე დაიმკვიდრა ის ხელისუფლება, რომელსაც უშედეგოდ ელტვოდა ზეცაში. ყველგან ურწმუნოება ბობოქრობდა: ყოველივე წმინდა იბღალებოდა; ტაძრები უაზრო კერპებით აივსო, ჯოჯოხეთი ადამიანთა სულებით იყო დასახლებული, ქვეყნად ეშმაკის თაყვანისცემა მეფობდა, შეიძლებოდა თქმა იმისა, რომ ჯოჯოხეთი ადამიანთა სამკვიდრებლად იქცა, დედამიწა კი დემონთა სამეფოდ. ვარსკვლავებს და სხვა ციურ პლანეტებსაც კი, შეიძლება ითქვას, რცხვენოდათ დაუმსახურებელი პატივის გამო და იმათ შეშლილობას კიცხავდნენ, ვინც მათ შემოქმედის შესაფერ პატივს მიაგებდა. სათნოებები განდევნილ იქნა, ყველგან ბოროტება მეფობდა; მოედნებიდან გაძევებულია ჭეშმარიტება _ იქ ტყუილი განსჯის; თანამეგობრობიდან საერთო აზრი განიდევნა _ იქ წინააღმდეგობა და კამათი მეფობს. უბრალოება სადაა? სად არის კეთილმსახურება, სად არის მოკრძალება, შიში ღვთის სჯულის წინაშე? თითოეულისთვის თავნებობა სჯულად იქცა, ღმერთად კი _ სტომაქი; სამყარომ უწინდელი სილამაზე დაკარგა და ცრემლის ღირსი ცვლილების შემდგომ საცოდავ სანახაობად იქცა, სანახაობად, სადაც განმკარგავი იყო ეშმაკი, მაყურებელი _ ღმერთი, სირცხვილის საგანი _ კაცთა მოდგმა. ადამიანები ცოდვის ბნელ ღამეში იყვნენ

ჩაძირულები. ისინი ისევე იყვნენ დაშორებულნი სინათლისაგან, რამდენადაც ღვთაებრივი მადლი ჰქონდათ აღკვეთილი. ვიმეორებ, ჩაძირულნი იყვნენ ღამეში, რომელშიც ყველა ვარსკვლავს, როგორც ღმერთს, თაყვანს სცემდნენ; უკუნი კი ისეთივე ღრმა იყო, როგორც შეშლილობა, ისეთივე იყო სიბნელე, როგორც უმეცრება. დაე განიდიდოს უსასრულო განგებულება და უკიდურესი შემწყნარებლობა ღვთისა, რომელმაც საბოლოოდ ისე მოაწყო, რომ ნათლითმოსილი და სხივმფენი განთიადი აღმობრწყინდა _ ყოვლადწმინდა ქალწული და ღვთივყრმა მარიამი, რომელიც ღვთის პირველდედის ანას წიაღიდან აღმოსული, ყველა ზეციური სათნოებით შემკული, განანათლებს, აახლებს და ახარებს სამყაროს. და მართლაც, ქალწული ცისკარივით გაბრწყინდა, მისი ბრწყინვალე გამოცხადებით ღვთივსაძულველი დემონური მრავალღმერთობა გარბის, ძველი სჯულის ჩრდილები ქრებიან, ურწმუნოთა შეშფოთებული ბრბო ჭეშმარიტების შორს გაბრწყინებულ ნათელს ვერ უძლებს და თავის უბედურ სახეს იფარავს; წმინდა მასწავლებელთა ბაგეები უწყვეტად დიდებისმეტყველებენ; ცოდვათა ძილში ჩაძირული კაცთა მოდგმა ქრისტიანულ ცხოვრებაში და მართლმადიდებლურ რწმენაში იღვიძებს. ცისკარი, რომლის წინაშეც უმეცრების ბინდი იფანტება, მადლის სინათლეა; სიცრუე ნადგურდება, ჭეშმარიტება ისადგურებს, ჩვენი ცხონება იწყება, ჩვენს ტანჯვას ბოლო ეღება. ცისკარი, თავისი ნათელი სხივებით იქ, ქვევით, ჯოჯოხეთის მიწისქვეშა ჯურღმულებში აღწევს და დამწუხრებულ პატრიარქთა სულებს უეცარი სიხარულისთვის აღვიძებს. ასე რომ განუზომელი ნათებით გაოცებულნი, სიხარულითა და აღტაცებით სოლომონის საზეიმო გალობას გალობენ: *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს, ვითარცა ცისკარი»* (ქება 6, 9) განსაკუთრებით დღეს, ამ სასიხარულო დღის ხსენებისას, ნეტართა სულები და მათთან ერთად ზეციური წესთმთავრობა ამ შესანიშნავ შეძახილებს სათანადო სიხარულით აძლიერებენ: *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს, ვითარცა ცისკარი»*. მათ პასუხად აქ, დედამიწაზე, წმინდა ეკლესია თავის სიხარულსა და ლხენას ათასი გალობით გამოხატავს. ასე რომ ცა, მიწა, საკურთხევლები და გუნდნი ერთხმად შესძახიან *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს, ვითარცა ცისკარი»*. და თუკი ცისკრის გამოჩენისას გეჩვენება, რომ მთელი სამყარო ახალი ნათებით აღორძინდება, ვინ ვერ ხედავს ქალწულის შობაში მთელი სამყაროს აღორძინებას?! აქეთ-იქით მიმოიხედეთ, სად ხედავთ კერპთა ცრუ დიდებას, სად სრულდება უღმერთოთა მსხვერპლშეწირვა? სად არის ეშმაკის მსოფლიო საბრძანებელი? *«აჰა ესერა იქმნა ყოველვე ახალი»* (2 კორ. 5, 17). გავიდა ღამე და დადგა დღე, გაქრა სიცრუე და გაცხადდა ჭეშმარიტება, დახსნილია წყევა და გარდამოვიდა მადლი. წმინდა და შუქმფენი ცისკარი, დიდების მზის ბრწყინვალე წინასწარმაცნე, გრილი მონაბერი, ქვეყნის ასაღორძინებლად ქვეყნად მოსული, შენი დაბადების აღმოსავალი. შენ, სამყაროს აღმოსავალო, ნათელი ჰორიზონტის ნაცვლად _ სუფთა სახეები გაქვს, ადრიანი სხივების ნაცვლად _ მოახლოებული სიბრძნე, ნაზი ყვავილების ნაცვლად _ ღვთაებრივი ძალა, განთიადისწინა საამო სიოს ნაცვლად _ ზეციური გასხივოსნება, ტკბილხმიანი ფრინველების ნაცვლად _ ანგელოზთა სახეები *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს, ვითარცა ცისკარი?..»*

მეტს რას უნდა ველოდოთ ღვთის უსაზღვრო განგებულებისაგან? ამაზე დიდი რა უნდა წარმოეგზავნა მის კეთილმოწყალებას? ჩვენ, სიბნელეში მსხდომთ, რა უნდა გვესურვა, თუ არა სინათლე? გზააბნეულები რას უნდა მოვლოდებოდით, თუ არა ხელმძღვანელობას? ცოდვილნო, რას, თუ არა ცხონებას? ახლოს მოდით, გთხოვთ, ახლადშობილ ქალწულს

ღვთაებრივი დიდების ყველა დიადი სასწაული, ჩვენი ნეტარების ნიშანი მიუსადაგეთ. შეხედეთ, როგორი მიმადლებულია ეს ქალწული და დაიფიცებთ, რომ ის ზეციური სილამაზის ღვთივქმნული გამოხატულებაა და ღვთის ყოვლისმპყრობელი მარჯვენის რჩეული ქმნილებაა. ჰოი, რა დიდებულია მისი თავი! მაგრამ მასზე სულიწმიდა ამბობს: *«თავი შენ ზედა, ვითარცა კარმელი»* (ქება 7, 5). კარმელის მთა უფრო ახლოა ზეცასთან, ვიდრე მიწასთან. ის მიუთითებს, რომ მარიამი ყოველგვარ ადამიანურ ამაობაზე მაღლა დგას. შეხედეთ მის შუქმფენ სახეს, განა არა ჩანს, რომ ზეცამ ვარსკვლავთა მთელი სისუფთავე და სილამაზე ამ თვალებში ასახა? *«თუალნი შენნი ვითარცა ტბანი ესებონისანი»* (ქება 7, 4). წარმოიდგინეთ მისი მეწამული ბაგე, საიდანაც ზეციური თაფლი და რძე მოედინება *«ვითარცა საბელი ძოწეული ბაგენი შენნი»* (ქება 7, 4) და კიდევ: *«თაფლი დამოსწუთის ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი და სძე ქუეშე ენასა შენსა»* (ქება 4, 11). ამ ბაგეთაგან გამოვა ის ტკბილი სიტყვა _ *«მეყავნ»* (ლკ. 1, 38), რომელიც ღვთაებრივ სიტყვას ზეციდან დედამიწაზე ჩამოიყვანს. *«მუცელი შენი ხუავი იფქლისაჲ, მოკრძალული შროშნითა»* (ქება 7, 2). საშინელი საიდუმლო *მუცელი შენი ხუავი იფქლისაჲ* _ აი თესლი ნაყოფიერი, *მოკრძალული შროშნითა* _ აი მარადისაყვავებული და უჭკნობი სიქალწულე! ამოუცნობი საიდუმლო: ნაყოფი შეერთებული იყოს ყვავილთან, ქალწულებასთან კი _ შობა! რაღა უნდა იყოს ამაზე მეტი! ამ ქალწულებრივ და ღვთივქმნულ სხეულს ერთი ნაწილიც არა აქვს ისეთი, სიწმინდით, სისუფთავითა და სილამაზით რომ არ სუნთქავდეს *«ყოვლად შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო და ბიწი არა არს შენ თანა»* (ქება 4, 7) როგორც ჩანს ღვთაებრივმა განგებულებამ ამ უნაზეს ჩვილში ყველა ნიჭს სასწაულებრივად მოუყარა თავი და მისი სახით სათნოებათა განსულიერებული შეხამება გააცხადა. ყველა მართალს ერთი რაიმე ნიჭი ამკობდა, ამ ქალწულს კი, როგორც დედოფალს, სულის მთელი ღვთაებრივი ნიჭები ადგა გვირგვინად. ასე რომ, გადაუჭარბებლად ის ყველა ნიჭს თავის თავში ატარებდა.

რჩეულთაგან თითოეულს მადლი ნაწილობრივ აქვს მინიჭებული, მარიამს კი _ მთელი სავსება მადლისა, ამბობს ნეტარი იერონიმე. ამიტომ ღვთაებრივი გადაწყვეტილების შესაბამისად მას მიეცა საიდუმლო, მიმადლებული სახელი _ მარიამი (სწორედ რომ მარიამი) რომელიც ხუთი ასოსგან შედგება (!) ის ძველი აღთქმის ხუთ დიდ დედაზე მიანიშნებს: მოსეს და აარონის დაზე მარიამზე; ნაბალის ცოლ აბეგაზე; იაკობის ცოლზე _ რაქელზე; უწმინდეს ქვრივზე _ ივდითზე; ელკანას ცოლზე _ ანაზე. ეს სახელი თავისი საიდუმლო მნიშვნელობით იმაზე მიანიშნებს, რომ ყველა ნიჭი და სათნოება, რომლებიც ამ დედებს ცალ-ცალკე ჰქონდათ, ერთმა ღვთივყრმა მარიამმა დაიტია. მოსეს დაში _ მარიამში ორი ღირსება ბრწყინავდა: წინასწარმეტყველება და ქალწულება; ეს მიმადლებული მარიამიც მარადის ქალწული და წინასწარმეტყველია, რასაც მოისმენთ წინასწარმეტყველურ გალობაში ელისაბედის პასუხად: *«ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი»* (ლკ. 1, 48). აბეგა თავმდაბლობით განიდიდა; ეს ასული მას სწორედ თავმდაბლობით გარდაემატა «რამეთუ მოხედდა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თჳსისა» (იქვე). რაქელი სილამაზით იყო განთქმული: ამ ქალწულს კი თვით ზეცის მშვენება _ მთავარანგელოზი ესალმება, როგორც ყველაზე მიმადლებულს და მშვენიერს: *«გიხაროდენ მიმადლებულო»* (ლკ. 1, 28). ივდითი იმისათვის განიდიდა, რომ ოლოფერნის შემუსვრა შეძლო; ეს ქალწულიც, გონებით ოლოფერნის ეშმაკის შემმუსრავი, საფენებიდან იძახის: *«რამეთუ ყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან»* (ლკ. 1, 49). ანა ზეიმობდა, რამეთუ უწინ

უნაყოფომ, დიდი სამოელი შვა; განსაკუთრებულად ზეიმობს მარიამი, რამეთუ უნდა იყოს არა უნაყოფო, არამედ ქალწული და ამასთანავე დედა უდიადესი ემანუილისა _ დედა ძისა და სიტყვისა. მაგრამ მართალ დედებს შეუდარებლად მიმადლებულ ქალწულს რად ვადარებ? მარიამი თავისი სიწმინდით უნივთო და უსხეულო ანგელოზებს აღემატება (ზეციურ სამკაულთა ცეცხლისთვალება განწესებანო მომიტევეთ ამას რომ ვამბობ). იგი, სასძლო, ასული და დედა ღვთისა, ანგელოზურ ბუნებაზე ისევე აღმატებულია, როგორც ღვთისმსახურებზე. «გიხაროდენ მიმადლებულო, ქერუბიმებზე, სერაფიმებზე და ანგელოზთა ყველა განწესებაზე აღმატებულო» _ ასე ესალმება მას ეპიფანე კვიპრელი.

მარიამი _ დახშული მტილია, სადაც ვერ შეაღწევს სატანის გველი. *«მტილი მოკრძალული არს დაჲ ჩემი, სძალი»* (ქება 4, 12). ის მსუბუქი ღრუბელია, ის ცოდვის სიმძიმეს სრულიად არ განიცდის *«ვიხილე უფალი მჯდომარე ... ღრუბელსა ზედა სუბუქსა»* (ეს. 6, 1; 19, 1); ის შროშანია ეკალ-ბარდს შორის *«შროშანი შორის ეკალთა»* (ქება 2, 2). ამიტომ მისი სისპეტაკის ოქროსავით მბრწყინავი სილამაზე, თუმცა საყოველთაო უბედურების ეკალში აღმოცენდა, არაფრით დაზარალებულა. *«ყოვლად შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო და ბიწი არა არს შენ თანა»* ასეთი იყო ის, ვინც ღვთაების სამკვიდრებელი და დიდების მეუფის მზესავით სპეტაკი საყდარი უნდა ყოფილიყო.

მაშ ასე, ბედნიერი და ყოვლადნეტარია კაცთა მოდგმა, რომლის ფესვიდანაც ესოდენ წმინდა და მიმადლებული ნაყოფი წარმოდგა. ცდუნების მეშვეობით ჩვენგან ცოდვის ხრწნილი შხამი იშვა _ მადლის მეშვეობით ჩვენგანვე მისი ცხოველმყოფელი წინააღდგომა უნდა შობილიყო. ჩვენგან დაედო დასაბამი წყევასა და სიკვდილს _ მადლი და სიცოცხლე ჩვენ პირველებს უნდა შეგვხებოდა. ყოვლადძლიერი ღვთაებრივი განგებულების საოცარი საქმეები მოიხილეთ, რა ბრძნულად ამოარიდებს წამალს იქიდან, საიდანაც სნეულებანი ჩნდება. რაოდენ სასიხარულოა დღეს უმზერდე ქალწულის შობას _ ჩვენი უბედური ყოფის ცვლილებას! ხედავდე, როგორ იხსნება ჩვენს წინაშე კარი, რომელიც ურჩობამ დახშა! რომ გვეძლევა მადლი იმ ნეტარების მოსაპოვებლად, რომელიც ეშმაკის მზაკვრობამ აღგვიკვეთა! როგორი სასახელოა ჩვენთვის ამაღლება ისეთი, რომ მიუახლოვდე თვით მარადისარს სამებას, და მისცე მამას ასული, ძეს _ დედა და სულიწმიდას _ სასძლო! ჭეშმარიტად ვკადნიერდები და ვამბობ: ჩვენ ვაიძულეთ ღმერთი ყოფილიყო მოწყალე და ახლა მარიამის სახით გვაქვს უმშვენიერესი ზღუდე, რათა მოსალოდნელი რისხვის ისრები შორიდანვე უკუიქცეს. ჩვენ მოვალენი ვართ ეს სასიხარულო დღე აღვიბეჭდოთ გულებში და არა თეთრ ლოდზე, როგორც ეს წესად ჰქონდათ ძველად, რადგან ამ დღემ ჩვენზე მრავალი ზეციური წყალობა გადმოადინა. ძველები ახალშობილ მეფისწულებს ასე ესალმებოდნენ: «გიხაროდენ, პატარავ!» მოდით დღეს ჩვენც შევიკრიბოთ, როცა იბადება ეს მეფური ჩვილი, დედოფალი და ღვთივყრმა მარიამი, ჩვენი სიხარულით აღსავსე ხმები შევაერთოთ და მივეგებოთ მას სიტყვებით: «გიხაროდენ ახალო ნათებავ ადამიანის ცხონებისა, მადლის დილავ, ცოდვის დაისო; გიხაროდენ გონებრივი მზის პირველო ციალო, ბედნიერი დღის პირველშობილო სხივო, ღვთაების პირველო ქმნილებავ. გიხაროდენ სიწმინდის უმწიკვლო სარკევ, სრულყოფილების დაფარულო სახევ, ქალწულების სრულო იდეალო, ღვთაებრივი ყოვლადძლიერების მამხიარულებელო გამოვლინებაო, გიხაროდენ პატრიარქთა სასურველო იმედო, წინასწარმეტყველებათა აღსრულებავ, ადამიანთა საერთო სასოებავ, გიხაროდენ მშობელთა წლოვანების ცივ თოვლში ვარდივით აღმოცენებულო, უნაყოფო წიაღიდან შობილო, ვინც ნეტარების

ნათელი იმაზე უწინ იხილე, ვიდრე ნათელი მზისა. შენ სულით ზეცის ბინადარი იმაზე ადრე გახდი, ვიდრე სხეულით _ მიწისა, შენ დაუსაბამო მამის ასული უფრო ადრე იყავ, ვიდრე ასული იოაკიმესი და ანასი; ვიდრე მიწაზე ფეხს დაადგამდი, შხამის მფრქვეველი გველის თავი გასრისე. გიხაროდენ, შენ, დედის მრავალწლიანი უნაყოფობის შემდგომ სასწაულებრივად ჩასახულო, ნიჟარაში მარგალიტივით გაბრწყინებულო. შენ, ზეციური სათნოების ყვავილებით მორთული, დილასავით იბადები, ღვთაებრივი მადლის სხივების გვირგვინით შემკული, იზრდები და დედათაგან შობილთა შორის ცხოვრობ ვითარცა ფენიქსი _ ერთადერთი საოცრება ბუნებისა.

ჩვენ ჩვენს ცხოვრებას ცრემლებით ვიწყებთ, ცხოვრებაში უბედურების გარდა სხვა არაფერზე ვსაუბრობთ და ამ ჩვენს ამბავს მხოლოდ მწარე და სასტიკი სიკვდილით ვასრულებთ. შენ ერთი, ღვთივბრძენი ასული, ღვთაებრივი განგებულების ზემოქმედებით არა მხოლოდ სიხარულით იწყებ შენს ცხოვრებას, საზოგადო სიხარულსაც უდებ დასაბამს. შობა შენი, ღვთისმშობელო ქალწულო, სამყაროული სიხარულია, რამეთუ შენგან აღმობრწყინდა მზე სიმართლისა _ ქრისტე ღმერთი ჩვენი, წყევა განაქარვა, გვაკურთხა, სიკვდილი დათრგუნა და საუკუნო ცხოვრება მოგვმადლა. ჩვენი ცხოვრების გზაზე მხოლოდ იმ სიდიადეს ამცნობ, რომელზეც ღმერთმა აღგიყვანა. *«რამეთუ ყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან»;* შენი ბოლო ტკბილი ძილი იქნება, რომლიდანაც ზეცად ამაღლდები როგორც ანგელოზთა სხივმფენი და ნათლითმოსილი დედოფალი *«დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე ... და თავსა ზედა მისსა გვირგჳნი ვარსკულავთა ათორმეტთაჲ»* (გამოც. 12, 1).

ჰოი, ყოვლადწმინდაო ქალწულო, ნეტავ ჩვენ, ცოდვილებს, შენი შუქმფენი ამაღლების ხილვა ისევე შეგვეძლოს, როგორც აქ, მთელი გულით, სულით და გონებით შენს შობას ვადიდებთ!

ქების სიტყვა ხარებაზე

(მეორე)

«აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ ძე»

(ლკ. 1, 31)

უმშვენიერესი აღმოსავლეთის ნათელი კარიბჭიდან მზის მაცნე _ შუქმფენი ცისკარი გამოდის და რაწამსაც ცის ბრწყინვალე ზედაპირზე ოქროს მზის სიახლოვეს ანიშნებს, ვარსკვლავთა მრავალფერი გუნდი მყის თვალს ეფარება, ბნელი ღამის უკუნი სრულიად ქრება, შეშფოთებული ნამგალა მთვარე ასეთ ელვარებას ვერ უძლებს და იმალება სირცხვილეული. მწვანე, ხასხასა ტყეებში სხვადასხვა ფრინველთა მწყობრი გალობა გაისმის, ადამიანები ღრმა ძილიდან იღვიძებენ და სხვადასხვა საქმეს იწყებენ, ის კი, როგორც ფრიად საამო მაცნე, ქვეყნის ოთხივ მხარეს ამცნობს: ახლოა დღე, ის უკვე დადგა!

სწორედ ასევე, მზესავით ბრწყინვალე ზეციური კარიბჭიდან, დღეს ღვთის ცეცხლოვანი ანგელოზი, ნათელი და სპეტაკი გაბრიელი გამოდის. და რაწამსაც მივესალმებით: *«გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენ თანა»* (ლკ. 1, 28) _ სიმართლის დაუვალი მზის მოსვლას ის იმავწუთს გვამცნობს. ღვთივსაძულველი, ამაო კერპების კრებული იქაურობას

სწრაფად ეცლება, ძველი სჯულის შეფარული სიმბოლოები სრულიად მქრალდებიან, ურწმუნოთა უმწყობრო ბრბო ჭეშმარიტების შორეულ ნათელს ვერ უძლებს და თავის უბედურ სახეს იფარავს; წმინდა მასწავლებელთა ბაგე საუკუნო დიდებისმეტყველებითა და ქებით არ იღლებიან, უმეცრების ძილში ჩაძირული კაცთა მოდგმა ქრისტიანული ცხოვრებისა და მართლმადიდებელი რწმენისათვის იღვიძებს. კეთილი უწყების ღვთივსულიერი საყვირით მთავარანგელოზი მთელი სამყაროს გასაგონად აცხადებს: *«აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ ძე».* ჰოი, განუცხადებელი სიხარული! ჰოი გამოუთქმელი სასწაული! სიხარული, რამეთუ დღეს საუსაბამო ღმერთი თავის წიაღს განახვნის და თავის მხოლოდშობილ ძეს გვიძღვნის; ძე სულიწმიდის მოქმედებით განხორციელდება, სულიწმინდა ქალწულზე გარდამოდის და ქალწული უთესლოდ მუცლად იღებს. სასწაულია, რამეთუ უკვდავება მოკვდავობასთან ერთდება, წმინდა სამების მეორე პირი ადამიანურ ბუნებას იღებს, მარადიული და დროებითი ერთ იპოსტასში ჰგიებს; სიხარულია, რადგანაც პირველქმნილი ადამის სასჯელი უქმდება და სამოთხის მოხვეჭის საშუალება მოგვემადლება, სამოთხისა, საიდანაც ურჩობამ გამოგვდევნა. სასწაულია, რამეთუ უსხეულო, უხორცო და არანივთიერი ღმერთი სხეულის მიღებას, ხორცშესხმასა და განივთიერებას კეთილინებებს; ერთ არსებაში სრულ კაცობრივსა და სრულ ღვთაებრივს აერთებს ბუნების შეუცვლელად, თვისებათა შეუნაცვლებლად, პირთა შეურევნელად. დაუსაბამო მამის დაუსაბამო ძეო და სიტყვავ, მისი მარადის არსობის ნიშანო და ყოვლადბრძნობის ცოცხალო წყაროვ! შენი სასწაულებრივი ყოვლადძლიერებით ჩემს გონებას აწ მიმადლე ძალა, ჩემს სულს _ გონიერება, ჩემს სიტყვას _ სული, ჩემს ბაგეს _ სიტყვა, რათა დღეს დიადი საიდუმლოს გაცხადება შევძლო. *«პირთა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ* (ფს. 8, 2) ჰქმენ ბრძენი ჩემი მოუქნელი ენა, შენი კურთხევის მადლი ჩემს ბაგეზე გადმოადინე, რათა გაბრიელთან ერთად მივეგებო ქალწულს სიტყვებით: *«გიხაროდენ მიმადლებულო (მარიამ) უფალი შენ თანა. აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ ძე».* ყოვლადბრძენმა შემოქმედმა ღმერთმა შექმნა ზეციური მღვდელმთავრობის განწესება, შექმნა ზეცა, მასზე ვარსკვლავები ააციმციმა, მიწა დააფუძნა, კეთილსურნელოვანი ყვავილებით მორთო, უტკბესი ნაყოფით გაამდიდრა, ანკარა წყაროებით მორწყა, ღამისა და დილის სიო დაჰბერა, ნათელს დღე უწოდა, ბნელს _ ღამე. იმის შემდგომ, რაც ცისა და მიწის ასეთი კეთილსახოვანი წყობა ჰქმნა, მიწიდან ერთი პეშვი აიღო და პირველი ადამიანი _ ადამი შექმნა. მას თავისი ცხოველმყოფელი სული შთაბერა, თავისი მსგავსი სული მისცა და სიტკბოების სამოთხეში დაადგინა, რათა როგორც მეფეს, მთელ უსასრულო სამყაროზე ძალაუფლება ჰქონოდა. მაგრამ რამდენადაც *«ადამისი არა ეპოვა შემწე მსგავსი მისი, დასდვა ღმერთმან განკჳრვებაჲ ადამს და დააძინა: მოიღო ფერცხალი ერთი გუერდისა მისისა. და აღმოუვსო ჴორცითა მის წილ; და აღუშენა უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელ მოიღო ადამისაგან, ცოლად და მოიყვანა იგი ადამისსა»* (დაბ. 2, 20-21-22). ამგვარად შექმნილი ეს წყვილი სამოთხის უჭკნობ მშვენიერებაში მზესა და მთვარესავით ბრწყინავდა, მაგრამ მცირე დროის გასვლის შემდეგ, ეშმაკის ცდუნების შედეგად მათ ყველაფერი აღეკვეთათ; ყოვლის მცნობელებმა კიდევ უფრო მეტის გაგება მოინდომეს და ისეთ უგონობაში ჩაცვივდნენ, რომ *«ჰგაძვიდა იგი პირუტყვათა უგუნურთა და მიემსგავსა მათ»* (ფს. 48, 21)

სასწაულებრივად მოხდა პირველდედის შექმნა, მაგრამ ამაზე მეტად სასწაულებრივი და მადლიანია ძისა და სიტყვის ამჟამინდელი განხორციელება. იქ ადამის ნეკნიდან ევა

შეიქმნა, ადამი მრთელი დარჩა. ქალწული, რომლისგანაც ძე ღვთისამ ხორცი შეისხა, შობამდე და შობის შემდეგაც ქალწულად რჩება; იქ სულის განმხრწნელმა ეშმაკმა თავისი ცდუნების შხამით _ *«იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი»* (დაბ. 3, 5) _ მთელი კაცთა მოდგმა მოაკვდინა, აქ მთავარანგელოზმა გაბრიელმა სიტყვით *გიხაროდენ* _ ხსნა გვაუწყა; იქ ევამ თავისი დიდი ამპარტავნებით ცნობადი ხის ნაყოფი იგემა და ღვთაებრივი მადლი დაკარგა, აქ ქალწული თავისი ღრმა თავმდაბლობით *«აჰა მჴევალი უფლისაჲ»* (ლკ. 1, 38) _ დედა ღვთისა შეიქნა; იქ ევამ ისმინა: *«მწუხარებით ჰშჯნე შვილნი»*; აქ ქალწულმა _ *«აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ ძე».* ჰოი ღვთაებრივო აღმშენებლობავ! ჰოი წმინდა აღვსებავ! ჰოი მაცხოვნებელო ხარებავ! ადამიანები განვკვირდით უსასრულო გულმოწყალებით, კეთილად შემწყნარებლობით ღვთისა, რომელმაც ადამიანი არა მხოლოდ ამდენი ნიჭით შეამკო, დიდებითაც გაამდიდრა, როცა მას ყოველივე დაუმორჩილა: *«ცხოვარი და ზროხაჲ ყოველივე, მერმეცა და პირუტყვნი ველისანი; მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი, რავდენი ვლენან ალაგებსა მას ზღუათასა»* (ფს. 8, 7). მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეშმაკის მზაკვრული რჩევით ადამიანი ნეტარებიდან უბედურებაში ჩავარდა, უკვდავებიდან სიკვდილში, სამოთხის სიმშვენიერიდან დედამიწის ეკალ-ბარდში, ღმერთმა თავისი მხოლოდშობილი ძის წარმოგზავნა განაჩინა, რათა მას დედაკაცისაგან ადამიანის ბუნება მიეღო, ადამიანი ძველ მდგომარეობამდე აღეყვანა, ძველ პატივში აემაღლებინა, უწინდელი უკვდავება მიემადლებინა *«რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას»* (ინ. 3, 16). ასე რომ, როცა აღვსების დრო დადგა, წინასაუკუნო თათბირი უნდა აღსრულებულიყო და ეს ღვთაებრივი გადაწყვეტილება მიღებულიყო. მაგრამ ეს საიდუმლო მაღალი, დაფარული და შეუცნობელი იყო. ქალწულს ძე ღვთისა უბრალოდ, როგორღაც შემთხვევით რომ ჩასახვოდა, ისე, რომ ჩასახვის რაობის შესახებ არაფერი სცოდნოდა, დიდად შეშინდებოდა და შეშფოთდებოდა, ამიტომაც ასეთი საქმისთვის ზეციურ ძალთა დიადი წესთმთავარი, ელვისდარი გაბრიელი იქნა არჩეული *«თთუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ»* (ლკ. 1, 26). ქალწულის საცხოვრებელში ის მოწიწებით შევიდა და მას ასე მიესალმა: *«გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენ თანა».* ამით თითქოსდა სურდა ეთქვა: «მე, ანგელოზი, კეთილმაუწყებელი, მოვედი ზეციდან შენთან, უბიწო, უმწიკვლო ქალწულთან; მე ვარ ის, ვინც უსხეულო განწესებებთან ერთად ღვთის საშინელი საყდრის წინ ვარ წარმდგარი და წმინდა სამებას დიდებისმეტყველებით ვუგალობ; მე ის ვარ, ვინც შენი ჩასახვა შენს მშობლებს _ იოაკიმსა და ანას ვამცნე; როცა შენ, არა იმდენად მიწიერი საზრდელით, რამდენადაც სულის მადლით აღზრდილმა, თავი ღვთის ტაძარს მიუძღვენი, მე ზეციური პურით გკვებავდი; ახლაც ჩვენმა უზენაესმა შემოქმედმა წარმომგზავნა, რათა ის გაუწყო, რაც მისი უსასრულო გულმოწყალებით კაცთა მთელი მოდგმის სასიკეთოდ იქნა განჩინებული. გიხაროდენ ქალწულების უმწიკვლო სარკევ; გიხაროდენ ღვთის განსულიერებულო ხატო; გიხაროდენ სიწმინდის ღვთაებრივო ქანდაკო და მზისებრ გამჭვირვალე საყდარო, რომელზეც საუკუნეთა მეუფე აღსაყდრდება; სათნოებათა მიმადლებულო, განსულიერებულო შერწყმავ და ყოველთა ნიჭთა საოცარო გვირგვინო! შენში სიქალწულეს, დედამიწის შროშანს, ზღვის მარგალიტს და ციურ ვარსკვლავებს ვხედავ; იმდენ ყოვლადბრძნობას, რომ მისით ზეციურ განწესებათა მთელი დასი ნათდება; შენში ისეთ ღრმა თავმდაბლობას ვჭვრეტ, რომელშიც ყოველი გონება იკარგება; ისეთ მგზნებარე სიყვარულს, რომელთანაც

ყველა მართლის გულში აგზნებული ცეცხლი ნაპერწკლებს ჰგავს; შენში უმაღლეს სიწმინდეს ვხედავ, ეს სიწმინდე თავისი სიმაღლით ზეცას აღემატება. კიდევ რა? *«უფალი შენ თანა»;* შენ ერთი გაკურთხა ღმერთმა, შენ განგწმინდა, შენ შეგიყვარა, თავისი ღვთაებრივი კეთილმოწყალეობით დედათა შორის სამკვიდრებელად შენ აღგირჩია. ამიტომაც, გადმოადინა რა შენზე თავისი ყოვლადძლიერების საგანძური, ქვეყანას შენი თავი განუცხადა, როგორც უმეტესად სასწაულებრივი და უჩვეულო ქმნილება თავისი ყოვლისმპყრობელი ხელისა. და მე დიდი სიხარულით გეუბნები: *«აჰა ესერა შენ მუცლად-იღო».* თუმცა უმწიკვლო და ქმრისაგან გამოუცდელი ქალწული ხარ, შენს წმინდა წიაღში ძე ღვთისას უბიწოდ, უქმროდ ჩაისახავ. შენს წმინდა მუცელში იმას დაიტევ, ვისაც ვერ იტევს ზეცა და *«ჰშევ ძე»,* ხოლო როცა შობის დრო მოაწევს, წიაღის დაუზიანებლად, შენი ქალწულების შეუბღალავად, ღამის წყვდიადში შენგან უმამოდ იშობა ის, ვინც უდედოდ იშობა ღვთისაგან ბრწყინვალებათა ბრწყინვალებაში, ერთიანი იპოსტასით და ორი ბუნებით, სრულად ზეცაში მარჯვენით მამისა და სრულად მიწაზე შენს წმინდა მკერდში. *«და უწოდი სახელი მისი იესო»* (ლკ. 1, 31). რვა დღის გასვლის შემდგომ, იმისათვის, რომ სჯულის მომცემმა სჯული აღასრულოს, ის, როგორც ყრმა, წინადაიცვითება და რამდენადაც ის იქნება სამყაროს მაცხოვარი, დაერქმევა სახელი იესო, რაც ცხოვრებას ნიშნავს *«ესე იყოს დიდ»* (ლკ. 1, 32). როცა ეს დაუვალი მზე თავის ღვთაებრივი ყოვლადძლიერების სხივებს განავრცობს, კერპთა ცრუსახელიან მრავალღმერთიანობას განდევნის, ადამიანთა ჩაბნელებულ სულებში ჭეშმარიტ რწმენას აღანთებს და თუმცა ჩვილია, თავისი ქუხილისებრი სწავლებით იუდეველთა სულელურ სიბრძნეს ამხელს, უსჯულოებას განდევნის, მთელ ჯოჯოხეთს შიშის ზარს დასცემს. განახვნის რა ზეციურ ძალთა საგანძურს, წყალს სიტკბოებად აქცევს, ბრმებს თვალს აუხელს და ფეხმრუდეთ გაამრთელებს, სნეულებს განკურნავს, მკვდრებს აღადგენს. მისი სახელის გაგონებაზე დემონები ათრთოლდებიან, სტიქიები მის სიტყვას დაემორჩილებიან, მისი ბრძანებით ბუნება კანონებს შეიცვლის. *«და ძე მაღლისა ეწოდოს»* (იქვე). მაგრამ თუკი შობის ყოველი ამ სასწაულის მიუხედავად ურჩი იუდეველი ერი მას მაინც არ იწამებს, როგორც ჭეშმარიტ ღმერთს, იორდანეზე გარდამოვა სულიწმიდა და ყველას გასაგონად მას ძე ღვთისად, მამის თანაარსად, თანამოსაყდრედ და თანადაუსაბამოდ გამოაცხადებს. *«და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითისი, მამისა თჳსისაჲ»* (იქვე). მეფე ჯვარზე, ვითარცა სამეფო ტახტზე აღსაყდრებული, ეკლის გვირგვინდადგმული, სულის განმხრწნელი ეშმაკის წინააღმდეგ თავის საშინელ განაჩენს წარმოთქვამს, თავისი უკანასკნელი ამოსუნთქვით ადამს განასულიერებს და სიკვდილიდან უწინდელ უკვდავებასთან აღიყვანს *«და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევისა მისისაჲ არა იყოს დასასრულ»* (ლკ. 1, 33). გავა სულ მცირე ხანი და ის, როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფე, ჯოჯოხეთის რკინის კარს შემუსრავს, გამარჯვებული აღდგება და ზეცად ამაღლდება დიდებით, სადაც დაბრძანდება მარჯვენით მამისა, საუკუნოდ იმეფებს და სადაც მის მეუფებას არ ექნება დასასრული. ასეთ უწმინდეს ნაყოფს გამოზრდის შენი უთესლო და უსუფთესი წიაღი; ასეთ კურთხეულ ძეს შობ, კურთხეულო დედავ და შობ ისე, რომ ქალწულადვე შთები. ამით ნუ განკვირდები, რადგან ღმერთი, ვისი ბრძანებითაც აარონის კვერთხი მოურწყველად აყვავდა, უდაბნოს მტკიცე კლდიდან ცივმა წყალმა გადმოხეთქა, სჯულის ფიცარი ადამიანის ხელის გარეშე დაიწერა, ის შენს ქალწულებასაც თვითონ დაიცავს. მთავარანგელოზის ამ სიტყვებმა, თუმცა ისინი ხარებისა იყო,

ქალწულის გული მაინც შეძრა. მაგრამ იგი ბრძენი და გონიერი იყო. თავდაპირველად გულს იმშვიდებს, როგორც ამბობს თეოფილაქტე ბულგარელი _ შიშს განაგდებს. დამშვიდებულმა, ღვთაებრივი პასუხის მოსასმენად და იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა აღსრულებულიყო ეს ყოველივე, უთხრა ანგელოზს: *«ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?»* (ლკ. 1, 34) შენ, ადამიანისსახოვანო ღვთის მსგავსო სულო, ადამიანურ ბუნებაზე აღმატებულს რომ მაუწყებ, მითხარი, როგორ უნდა შვას ქალწულმა? უფალი როგორ უნდა შემოვიდეს ჩემში? უფალი ჩემ-თანა? უზენაესი ღმერთი, აღუწერელი, დაუსაბამო, დაუსრულებელი, უმწიკვლო ბუნების, დაუბადებელი, საუკუნოდ მსუფევი, უბერებელი და უკვდავი, ჩემთან, უძლურ, მოკვდავ არსებასთან, ხრწნილ ბალახთან, როგორ უნდა შეერთდეს? *«ვითარ-მე იყოს ესე?»* ქმნილებასთან შემოქმედი, ქალწულთან ძე ღვთისა? და ჩემს გონებას რაც მეტად აბნევს _ ეს შენი სიტყვებია: რომ მე, ქალწულმა უნდა ვშვა? ვის უნახავს ნაყოფი უფესვოდ, თავთავი _ დაუთესავად, მდინარე _ სათავის გარეშე, ძე _ უმამოდ, დედა _ უქმროდ? *«ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?»* ანგელოზო ამიხსენი საიდუმლო, ამიღწერე *«ვითარ-მე იყოს ესე?»* საიდუმლოს ნუ გა-მოიკვლევ ქალწულო _ პასუხობს ანგელოზი. რაც მეტად წვდები, მით უფრო გამოუთქმელია ის, რაც მეტად გამოცდი, მით მეტად აშფოთებს გონებას. მხოლოდ ერთს გეტყვი: *«სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა»* (ლკ. 1, 35) სულიწმიდა, ქველი, სამეუფო, სიბრძნის წყარო, ძღვენთა საგანძური, წინასწარმეტყველთა წარმომქმნელი, მოციქულთა სრულმქმნელი, ის სასწაულებრივი ქმედებით შენს წმინდა წიაღში შთავა და იქ ღმერთკაცის _ სიტყვის უწმინდეს სხეულს წარმოქმნის, *«და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ»* (იქვე). ხოლო რამდენადაც შენ, როგორც ადამიანი უძლური ხარ, ღვთის ძალა გაგაბრწყინებს, განგაძლიერებს და განგწმენდს, რათა ღვთაების ღირსი სამკვიდრებელი იქმნა. საუკუნო ზეციური განჩინებით ასე გადაწყდა, ასე განაჩინა დაუსაბამო მამამ, რომ ღმერთი შენგან წარმოჩნდეს, ქალწულისაგან, ადამიანისაგან, რათა ადამიანმა თავისი დაკარგული სახე დაიბრუნოს.

ამგვარი განსჯით დარწმუნებული ქალწული თავის უმწიკვლო ბაგეს გააპობს და მიუგებს ანგელოზს: *«აჰა მჴევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა»* (ლკ. 1, 38). ამით თითქოსდა უნდოდა ეთქვა: ჰოი მთავარანგელოზო, შენ ხარ მაცნე ჭეშმარიტი ღვთისა. რა თქმა უნდა, შენი სიტყვებიც ჭეშმარიტია; შენს ბაგეში, საიდანაც თაფლი და რძე მოედინება, არ შეიძლება სიცრუე და შხამი იყოს, ამიტომ, თუმცა არა ვარ ღირსი ვიპყრა ყოვლისმპყრობელი, ვშვა ჩემი შემოქმედი და ვიყო მისი დედა, მაინც მორჩილად ქედს ვიხრი, დაე, ღვთაებრივი სიტყვა ჩემში ჩაიწეროს. მე მშრალი საწმისი ვარ, დაე ჩემზე გარდამოვიდეს ნამი ყოვლადწმიდა სულისა. მე უბიწო ქალწული ვარ, დაე დაუსაბამო ღმერთმა ხორცი ჩემგან შეისხას *«აჰა მჴევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა».*

ჰოი სიმდაბლის სიღრმევ, ზეცად აღმყვანებელო! ჰოი საოცარო ძალავ ქალწულისა! ერთი სიტყვით _ «მეყავნ»_ მიწისა და ვარსკვლავების შესაცვლელად უფლის აღმძვრელო. ყოვლადწმინდაო ასულო, ღვთივბრძენო მარიამ, ასეთი მდაბალი რად ხარ? განა არ უნდა განდიდებულიყავი მას შემდეგ, რაც ღვთაების ღირსი სავანე და დიდების მეუფის შუქმფენი ტახტი შეიქენი? შენ ახლა ღვთის დედა ხარ, და თავს უფლის მხევალს როგორ უწოდებ? *«აჰა მჴევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა».* მაგრამ ვფიქრობ, ქალწული დარწმუნებით პასუხობს, რომ ის დამდაბლდა, რამეთუ მასში დაივანა უფალმა, რომელიც *«ამპარტავანთა შეჰმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი»* (იგ. 3, 34), იცოდა,

რომ *«მახლობელ არს უფალი შემუსრვილთა გულითა», ამიტომაც* ღვთაებრივი სიტყვის მისაღებად მთელი სიმდაბლით უნდა მომზადებულიყო.

როცა ადამიანი ამპარტავნებს, მასში ყოვლადწმინდა სულის მადლი ვერასდროს დაივანებს, რამეთუ *«არაწმიდა არს წინაშე უფლისა ყოველივე მაღალი გულითა»* (იგ. 16, 5). სწორედ ამიტომ, ყოვლადუმწიკვლო ქალწულმა, როცა შეიტყო ანგელოზისაგან, რომ მასზე სულიწმიდა უნდა გარდამოსულიყო, უპასუხა: *«აჰა მჴევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა».*

ამ თავმდაბლური სიტყვებით მან ზეციდან დედამიწაზე მოიზიდა ძე ღვთისა და მანამდე არსმენილი სახით მამის წიაღში მყოფი ძე თავის უმწიკვლო წიაღში მიიღო. ღვთაებრივი სახლთმშენებლობის დაფარულ საიდუმლოზე პირველსახეები, იგავები და ღმერთშემოსილ მამათა და წინასწარმეტყველთა გამონათქვამები მიუთითებდნენ. ეს წინასწარ ამცნო მაყვლის ბუჩქმა, რომელიც მოსემ იხილა *«ხილვა ესე დიდი რაჲ არს, რამეთუ მაყვალი არა დაიწუების»* (გამ. 3, 3), რამეთუ ქალწულმა მისი უბიწო სიქალწულის დაუზიანებლად თავის თავში ღვთაებრივი ცეცხლი მიიღო; ასევე წინასწარ ამცნო იაკობის კიბემ *«რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად და ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა»* (გამ. 28, 12), რამეთუ მარიამის მეშვეობით ღმერთი მიწაზე დაეშვა, მოკვდავი ადამიანი გახდა, ადამიანი კი ზეცად აღვიდა და უწინდელი უკვდავება მოიხვეჭა. ამ ამბავზე დანიელის ხელითუკვეთელმა ლოდმაც მიანიშნა. *«ჰხედევდ, ვიდრე არა გამოუკუეთა ლოდი მთისაგან თჳნიერ ჴელთასა»* (დან. 2, 34), რამეთუ უბიწო ქალწულისაგან უმამაკაცოდ იშვა იდუმალი ლოდი ანუ _ ქრისტე. ამას წინასწარმეტყველი იერემიაც ნათლად ხედავდა იმ მექოთნის სახლში, რომელიც კეცზე სხვადასხვა ჭურჭელს ამზადებდა და როცა ერთი გატყდა, მან მეორე და უფრო ლამაზი გააკეთა *«და შთაველ სახიდ მეკეცისა. და, აჰა, იგი იქმოდა საქმესა ქვათა ზედა; დავარდა ჭურჭელი, რომელსა იგი იქმოდა თიჴისაგან ჴელთა შინა მისთა, და კუალად შექმნა იგი ჭურჭლად სხუად, ვითარცა სთნდა წინაშე მისსა ქმნად»* (იერ. 18, 3-4). ვინ არის ეს მეკეცე, თუ არა ყოვლისმპყრობელი ღმერთი და მამა, ერთიანი მხატვარი და შემოქმედი _ ღმერთი? ვინ არს ეს კეცი, თუ არა პირველსაუკუნო სიტყვა? მისით შეიქმნა ყველა ჭურჭელი, ყველა ქმნილება *«ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა»* (ინ. 1, 3).

მაშ ასე, იმის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთი ასეთი ჭურჭელი _ ადამი თავისი ურჩობის გამო დაიმსხვრა და ღვთაებრივი სახე შებღალა, დღეს ღმერთი მას ახალი ადამის შექმნით საუკეთესო სახით აახლებს *«პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისა, ხოლო მეორე იგი კაცი უფალი ზეცით»* (1 კორ. 15, 47).

ამაზე ის ცისარტყელაც მიანიშნებდა, რომლის შესახებაც ღმერთმა უთხრა ნოეს, რომ მას შემდეგ, რაც ის ცაზე გამოჩნდება, ღმერთსა და ადამიანებს შორის თანხმობა და სიყვარული დაისადგურებს: *«მშვილდსა ჩემსა დავსდებ ღრუბელთა შინა და იყოს სასწაულად აღთქუმისა შორის ჩემსა და ქუეყანისა»* (დაბ. 9, 13). დღეს, როცა იდუმალი ცისარტყელა გამოჩნდა, დღეს ძე და სიტყვა ღვთისა განკაცდა, დღეს დაემტკიცა ღმერთსა და კაცს შორის სიყვარული *«რამეთუ იგი თავადი არს მშჳდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და შუა კედელი ზღუდისაჲ მის დაჰჴსნა»* (ეფ. 2, 14). ამასვე კეთილაუწყებს ქალწულს გაბრიელი: *«აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ ძე».*

ახლა კი მესმის ის საშინელი სასწაული, რომელიც ღმერთმა მზის საათზე უჩვენა წინასწარმეტყველ ესაიას, როცა ის სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მეფეს კურნავდა. როგორც წმინდა წერილი მოგვითხრობს, მეფე ეზეკია თავის მეფურ სარეცელზე სასიკვდილო სნეულებით მოწყლული იწვა და როცა წინასწარმეტყველისაგან თავისი სასიკვდილო განაჩენი მოისმინა, *«ტიროდა... ტირილითა დიდითა»* (4 მეფ. 20, 3) ალბათ იმისათვის, რომ საკუთარი ცრემლების გარდა სხვა არაფერი მიაჩნდა წამლად, ან ამ ცრემლებით იმ ხურვების ჩაქრობა სურდა, მის გულს რომ წვავდა, მაგრამ ნაღველის ამ ბნელ ღრუბელში უეცრად მისი განკურნების სასიხარულო ნიშანმა გაიელვა; ეს იყო მზე, რომელმაც დიდი ჩრდილისაკენ ცხრა საფეხურით დაშვებულმა, კვლავ ზევით აიწია და თავისი ახალი ამოსვლით ეზეკია გამოაჯანმრთელა. ავადმყოფი ეზეკია _ ეს ნიშნავს კაცთა მოდგმას, რომელსაც ღვთისადმი ურწმუნოებით გათანგულს, ცოდვის ღრმა ძილით ეძინა, მაგრამ დაინახა ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდა, ბოლოს და ბოლოს თვალი ზეცისკენ აღაპყრო და მთელი გულით შესძახა: *«ვიდრემდის, უფალო; დამივიწყებ მე სრულიად? ვიდრემდის გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან?»* (ფს. 12, 2) *«განმკურნე მე უფალო, და განვიკურნო, და მაცხოვნე მე»* (იერ. 17, 14). მაშინ დაუსაბამო მამამ, ეშმაკის ხელში თავისი ხატის და მსგავსის ყოფნა ვერ მოითმინა და ადამიანის ხსნის სასიხარულო ნიშანი გააცხადა. იდუმალი მზე სიმართლისა, მისი მხოლოდშობილი ძე, ცხრა საფეხურით უკან დაბრუნდა, ანუ ცხრა განწესება გაიარა და მარადის ქალწულ მარიამის წიაღის დიად ჩრდილს შეეფარა. ამას მოწმობს ანგელოზის სიტყვებიც: *«ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ».* რამდენიმე ხნის შემდეგ ის იქიდან გამოვა ვითარცა მზე, თავისი ახალი აღმოსვლით ჩვენს სნეულებებს განკურნავს და სიცოცხლეს მოგვანიჭებს *«მკუდარ იყვენით შეცოდებითა შინა»* (კოლ. 2, 13), ვითარცა რჩეული ჭურჭელი, *«ამით გამოცხადნა სიყუარული ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რამეთუ ძე თჳსი მხოლოდ შობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რაჲთა ვცხოვნდეთ მის მიერ»* (1 ინ. 4, 9). ამას მთავარანგელოზიც ამბობს: *«აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშევ ძე»* (ლკ. 1, 31).

გიხაროდენ ადამიანურო ბუნებავ, დღეს დასაბამია შენი ხსნისა; დღეს შენს ტანჯვას ბოლო მოეღება; დღეს შენთვის სამოთხის ნათელი კარიბჭე იღება, რომელიც ურჩობამ დაგიხშო; დღეს შენ იმ უსასრულო ნეტარებას იღებ, რომელიც ეშმაკის სიცრუემ აღგიკვეთა. კვლავ იფანტება ბინდი, ისევ ნათდება, ისევ იფარება ღრუბლებით ეგვიპტე, ხოლო ისრაელს სვეტი განანათლებს. სად არის კერპთა ღვთივსაძულველი სიმრავლე? სადაა ელინთა ბილწი მსხვერპლშეწირვა? სადღაა ეშმაკის მსოფლიო ბატონობა? *«პირველი იგი წარჴდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ»* (2 კორ. 5, 17). ნიშანი უკან იხევს, სული ძალას იკრებს, ჩრდილი გადადის და ისადგურებს ჭეშმარიტება. გიხაროდენ, რამეთუ პირველქმნილი ადამის ცოდვა აწ გამოისყიდება, შეცოდებათა ბინდი იფანტება, მიწიერი სამოთხიდან ნეტარ სულთა დევნილობა სრულდება, ტანჯვათა დასასრული მოგვემადლება და საუკუნო ნეტარების მოსახვეჭად მადლი გვეუწყება. დღეს ღვთაება ადამიანთან ერთდება, ადამიანი _ ღმერთთან, რწმენა _ გულთან, და შენ, ყოვლადმიმადლებულო ქალწულო, რომელმაც ისეთი დიდებით გაგვამდიდრე, ასეთი სიწმინდით გაგვითქვი სახელი, ამდენი ძღვენით პატივმიგებულო, აწ გევედრებით, შენი მოწყალე მზერა მოგვაპყარ შენს თავმდაბალ და უღირს მონებს, რომლებიც მსხვერპლად საკუთარ თავს გწირავთ. მართალია, ვიცით, რომ შენს ყოვლადწმინდა სულს ისე არაფერი აშფოთებს, როგორც შენდამი შეწირული ქების საგალობელი; მაგრამ იმისათვის, რომ

სრულიად უმადურნი არ აღმოვჩნდეთ იმ უსაზღვრო წყალობისა, რომლითაც მთელი ჩვენი მოდგმა გაამდიდრე, კეთილინებე და ჩვენი მისალმებაც მიიღე მსგავსად ანგელოზის სიტყვისა *«გიხაროდენ»,* რომელიც ყოველივე სასიხარულოს დასაბამი გახდა. მაშ გიხაროდენ, ღვთივსასძლო მარიამ, ანგელოზთა ცხებულისაგან შობილო დედოფალო; გიხაროდენ სიწმინდის მოოქროვილო შროშანო, გიხაროდენ ნეტარ სიტკბოებათა კეთილადაყვავებულო სამოთხეო, გიხაროდენ ზეციური პალატების ოქროთი და მეწამულით შემკულო; გიხაროდენ იესეს ფესვიდან აღმოცენებულო, უანაყოფო მუცლიდან შობილო და მზის სინათლეზე უწინ ნეტარების შუქის დამნახავო; სულით ზეცაში იმაზე უწინ დამკვიდრებულო, ვიდრე სხეულით მიწაზე; ასულო დაუსაბამო მამისა იმაზე ადრე, ვიდრე იოაკიმესი და ანას ასული გახდებოდი; დედამიწაზე ფეხის დადგმამდე შხამიანი ურჩხულის თავის გამთელავო; გიხაროდენ უნაყოფო მუცელში სასწაულებრივად ჩასახულო და ვითარცა მარგალიტი ნიჟარაში, დედის მუცელში გაბრწყინებულო. შენ, ზეციური სათნოების ყვავილებით შემკული, დილასავით იშვი; ღვთაებრივი სიკეთეების სხივებით გვირგვინდადგმული, მზესავით აღმობრწყინდი. გიხაროდენ ერთადერთო დედავ, ვინც ერთიანი ღმერთის დედობის ღირსი შეიქენი; გიხაროდენ <...> კიდევ რა ვთქვა? რომელი მოყმე შეძლებს ოდესმე აღწეროს დიდება, რომელიც ღმერთმა მოგაგო, როგორი ოქრომეტყველიც არ უნდა იყოს ის? როგორ ენას შეუძლია გამოიკვლიოს დიდება, რომლითაც ყოვლადწმინდა სულმა შენი წმინდა სული შეამკო, ან მადლის ძღვენი აღწეროს, რომელიც ზეცამ მოგმადლა? ასე ღრმა და გაუვალია ზღვა შენი ქებისა, რომელშიც ნეტარ ანგელოზთა გონებაც კი იკარგება! ამიტომ, მიმადლებულო ქალწულო, შენს გასაოცარ სათნოებებს მდუმარებით ჩავუვლი და მხოლოდ გონებით გავიოცებ. შენს ყოვლადწმინდა ტერფებს ვემთხვევი და შენს უძლეველ მეოხებას, ქრისტესმოყვარე მხედრობის დახმარებასა და დაცვას გევედრები, გთხოვ, ღვთივსაძულველი ტირანი განდევნო და გაანადგურო. ყოვლადწმინდაო ქალწულო, უბედურმა ბერძენმა ერმა მონობაში როდემდე უნდა იტანჯოს? მისი კეთილშობილური ნება თრაკიელმა ბარბაროსმა როდემდე უნდა გათელოს? როდემდე უნდა მეფობდეს ნახევარმთვარე იმ ქვეყნებში, სადაც სიმართლის იდუმალი მზე ადამიანის სახით შენი კურთხეული წიაღიდან ამოვიდა? ჰოი, ქალწულო, გაიხსენე, რომ ელადაში შენი ჭეშმარიტი რწმენის ცხოველი ნათელი სხვებზე ადრე გაბრწყინდა; ბერძენმა ხალხმა პირველმა გახსნა გული და შენი მხოლოდშობილი ძის ღვთაებრივი სახარება მიიღო, ღმერთკაცი სიტყვის ჭეშმარიტ დედად პირველმა გაღიარა. პირველი შეეწინააღმდეგა ტირანს, რომელიც წამებით ცდილობდა მორწმუნეთა გულებიდან შენი წმინდა სახელის აღმოფხვრას. ქვეყნიერებას მისცა მასწავლებლები, რომლებმაც თავიანთი სწავლების შუქით ადამიანთა დაბნელებული აზრები გაანათეს. მან მოგვცა მწყემსები, რომლებმაც სამწყემსო კვერთხით ეკლესიის ზღუდიდან სისხლისმსმელი მგლები გაამევეს, მოგვცა მოღვაწენი, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ და ჯვრის გუთნით გულებს ხნავდნენ, სახარების სიტყვას თესდნენ და ზეციური ბეღლისათვის სულებს მოიწევდნენ. მან მოგვცა მოწამეები _ მათ ეკლესიის ძოწეული თავიანთი სისხლით შეღებეს. გევედრებით ქველო მარიამ, იმ სიტყვის ხათრით, რომელმაც სიხარული მოგვანიჭა, რომელიც ჩვენი ცხონების დასაწყისი გახდა, გევედრებით, უწინდელი პატივი მოგვაგე, მონობის ფერფლისაგან მეფური ღირსების ტახტზე აღადგინე იგი, ბორკილიდან _ სკიპტრასთან, ტყვეობიდან _ მეფობაში და თუკი ვედრება ვერ მოგალბობს, დაე, ეს ჩვენი თვალებიდან ჩამონადენმა მწარე ცრემლებმა გააკეთონ, და თუკი

ისინიც უძლურნი იქნებიან, დაე, ხმა შენმა წმინდანებმა მოგაწვდინონ: ანდრიამ კრეტადან, სპირიდონმა კვიპროსიდან, ეგნატემ ანტიოქიიდან, დიონისემ ათენიდან, პოლიკარპემ სმირნიდან, ეკატერინემ ალექსანდრიიდან; გიხმობს ოქროპირი სამეუფო ქალაქიდან და აგარიანელთა უღმერთო და სასტიკ მწვალებლობაზე მიგითითებს. ისინი ბერძენი ხალხის ხსნას შენი უკიდურესი კეთილმოწყალებით იმედოვნებენ. ყოვლადწმინდაო ქალწულო, ჩვენი ცრემლი შეიწირე. ჩვენს კეთილმსახურ ვენეციელ ბელადს მიეცი ძლევა სისხლისმსმელ ბარბაროსებზე, რათა მთვარის ნათება სრულიად ჩაქრეს და იდუმალი მზის ცხოველმყოფელმა ნათელმა კიდევ უფრო მეტად იბრწყინოს, რათა ჯვრის ძალა მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდეს და შენი სახელი ყველასაგან განდიდებულ იქნას მამისა და ძისა და სულისა წმიდისა თანა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ეს ქების სიტყვა მინიატისმა 19 წლისამ წარმოთქვა ვენეციაში 1688 წლის 25 მარტს, როცა ჯერ ისევ ფლანგინიანური სკოლის აღსაზრდელი იყო.

ქების სიტყვა უფლის ამაღლებაზე

მოდით, აღვიდეთ უფლის მთაზე, სახლში ღვთისა იაკობისა და ქრისტეს დიდებული ამაღლების მოწმენი გავხდეთ. მოწიწებული მზერა მივაპყროთ სამგზის ნეტარ ელეონის მთას, სადაც დღეს ღვთივშვენიერი დიდების საოცარი სანახაობა წარმოგვიდგება და ძლევით აღმდგარი, ჯოჯოხეთის შემმუსვრელი იესო სიკვდილზე ბრწყინვალე გამარჯვებას გააცხადებს. აქ არიან მოციქულნი, ისინი ზედაც აღმავალ უტკბილეს მოძღვარს მიაცილებენ; აქ გონიერ ძალთა წესთმთავრობაა, რომელნიც დიდების მეუფის თანმხლებნი არიან; აქ მრავალ მართალთა ხსნილი სულია, ისინიც თან ახლავან ღვთაებრივ მხსნელს, აქ მიწიერი დედა განუტევებს ღმერთკაცს _ ძეს, რომელმაც განხორციელებულმა, სახლთაღმშენებლობის ფრიად საძნელო საქმენი აღასრულა; იქ მას ზეციური მამა ეგებება, ცისა და მიწის მეუფეს გადასცემს და მარჯვენით დაისვამს.

გულმოდგინე მსმენელნო, ამჟამინდელი დღესასწაული ბრწყინვალეა და დიდებული. ის ყველა ეკლესიურ დღესასწაულთა თავია, ქრისტეს ყველა საიდუმლოთა გვირგვინია, ჩვენი ხსნის დასრულებაა. დღეს ევას განდევნილ შვილთა წინაშე ზეციური იერუსალიმის _ საოცნებო სამშობლოს კარი განიხვნება; დღეს ზეციურ სამეფოში აღესრულება აღდგინება ახალი ისრაელისა; დაცემული დღეს სერაფიმებზე ამაღლდება და ხრწნილი ბუნება უმაღლესი პატივის ღირსი ორმაგად გახდება: როგორც ღვთის სიტყვის განხორციელებით ზიარი გახდა ღვთაებრივი ბუნებისა, ასევე მისი ამაღლების მეშვეობით ის ღვთაებრივი დიდების ზიარი ხდება.

მაშ ასე, მოდით, აღვიდეთ უფლის მთაზე, რათა იქ ამჟამინდელი ღირსეული დღესასწაულის გარემოებებს ჩავწვდეთ, ღვთის კეთილ საქმეთა სიდიადეს და ჩვენი ბუნების ამაღლებას ჩავხვდეთ.

სიკვდილის საკრველთა გახსნისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა დედამიწაზე კიდევ ორმოცი დღე დაყო. ის თავის მოწაფეებს ხშირად ეცხადებოდა და

თავის დიდებულ აღდგომაში მრავალი მოწმობით არწმუნებდა. თვით დღეთა რიცხვი _ 40 არ იყო მოკლებული საიდუმლო შინაარსს: ქალწულისგან უთესლოდ შობილი უფალი ორმოცდღიანი ვადის გასრულების შემდეგ მშობლებმა ტაძარში მიიყვანეს და როგორც წმიდა პირმშო, სჯულისამებრ ღმერთს მიუძღვნეს; მისი სასწაულებრივი აღდგომის დროსაც, რომელიც არის ერთგვარად მისი მეორედ შობა, ორმოცდღიანი ვადის შემდეგ ის ზეციურ ტაძარში ადის და რამდენადაც პირველი მკვდრეთით აღმდგარია, თავისსავე თავში ღმერთსა და მამას მთელი ჩვენი მოდგმის პირმშოს, სუფთა ადამიანურ ბუნებას უძღვნის. როცა ეს დღეები გასრულდა, მან თავისი მოწაფეები ბეთლემიდან ელეონის მთაზე გამოიწვია (ადგილი ზეთისხილისა, რომელიც მშვიდობის სიმბოლოა და ქვეყნიერების მეუფეს შეშვენის). მოწაფეებთან განშორებული, ის მათ თავის საუკუნო მშვიდობას უანდერძებს. ეს ღვთივსულიერი ზაქარიას გამონათქვამითაც იყო ნაწინასწარმეტყველები: *«აჰა, დღენი მოვლენ უფლისანი...; და დადგენ ფერჴნი მისნი მას დღესა შინა მთასა ზედა ზეთისხეთასა პირისპირ იერუსალემსა აღმოსავლით კერძო»* (14, 1-4). თავისი ღვთაებრივი სიტყვების ძალით მოწაფეთა გონება წმ. წერილის გულისხმისსაყოფად გახსნა; სწორედ რომ ყველაფრის გულისხმისსაყოფად, რაც მის შესახებ იწინასწარმეტყველა სულიწმინდამ მოსეს სჯულში, წინასწარმეტყველებებსა და ფსალმუნებში. მათ უბრძანა ყოველი ქმნილებისთვის ეუწყებინათ სახარება, ანუ სასიხარულო უწყება ცოდვათა მიტევებისა და ხსნის შესახებ. შემდეგ დამწუხრებულნი მამის აღთქმით ანუგეშა და ამცნო, რომ იერუსალიმში დალოდებოდნენ, ვიდრე ზენაარი ძალით არ შეიმოსებოდნენ, თავისი აღთქმის დამტკიცების ნიშნად ხელნი აღაპყრო და უკანასკნელად აკურთხა ისინი.

მოწაფეები თვალს ვეღარ აშორებდნენ ამ ღვთაებრივ სახეს, როცა *«ხედვიდეს რაჲ იგინი და ღრუბელმან შეიწყნარა იგი თუალთაგან მათთა»* (საქმე 1,9). ამ ღრუბლის სახით იმ დაფარულ საიდუმლოს ვჭვრეტ, რომელიც ილია თეზბიტელმა იმ მცირე ღრუბელში განჭვრიტა, ადამიანის მოხაზულობა რომ ჰქონდა და ზღვიდან ზეცისკენ ადიოდა. შემდეგ მისგან უხვი წვიმა წამოვიდა, სამწელიწადნახევრის მწყურვალი დედამიწა დაარწყულა და მშიერი ხალხი უხვი მოსავლით გააძღო. სწორედ ესაა ის სასწაულებრივი ღრუბელი, რომელიც აღვიდა ზეცად და სულთმოფენობის დღეებში სულიწმიდად იწვიმა, მის მიერ უხვად მორწყულმა უწყლო და უნაყოფო მიწამ ქრისტიანულ სათნოებათა კეთილსურნელოვანი ყვავილები აღმოაცენა, ჭეშმარიტი სწავლებისა და ღვთაებრივი ქადაგების ნაყოფი ასწილად მოგვცა, რის შესახებაც ამბობდა მეფე-წინასწარმეტყველი: *«წჴმაჲ ნებსითი განუმზადო, ღმერთო, სამკჴდრებელსა შენსა მო-ღათუ უძლურდა, ხოლო შენ და-ვე-ამტკიცო იგი»* (ფს. 67, 9); *«მოხედე ქუეყანასა და დაათრვე იგი, განამრავლე განმდიდრებაი მისი»* (ფს. 64, 9). მინდოდა დამემატებინა, რომ ეს იდუმალი ღრუბელი ჩრდილი იყო ერთარსი სულისა, რომელმაც ღვთაებრივი მზე მიწიერი ცხოვრებიდან ხილულად აღიყვანა ზეცად _ მის სამყოფელში, რათა იქიდან ღვთაებრივი დიდების დაუღამებელი ნათლით გონებრივად განენათლებინა ყოველივე ზეციური და მიწიერი.

ამ გონებრივი მზის სასწაულებრივი ამაღლება წინასწარმეტყველმა ეზეკიამ წინასახეობრივად იწინასწარმეტყველა, როცა სასიკვდილო განსაცდელისგან ხსნას ცრემლით ივედრებოდა და მზის საათზე დაინახა კურნების ნიშანი, რომელიც ღმერთმა ესაიას მეშვეობით განუცხადა: მან დაინახა, რომ მზე იმ ათი საფეხურით ავიდა, რომლებითაც მანამდე ჩამოვიდა. სიმართლის დაუვალი მზე _ ძე ღვთისა თავისი

ღვთაებრივი მოწყალებით ათი საფეხურით ჩამოვიდა: მოდრიკა ზეცა, გადააბიჯა ცხრას _ უხორცოთა ცხრა განწესებას; ანგელოზებზე მეტადაც კი დამდაბლდა, როგორც ამბობს პავლე მოციქული, *«თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა»* (ფილ. 2,7), მეათე საფეხურზე ჩამოვიდა, ადამიანის და თანაც ნებაყოფლობითი ვნებისა და სიკვდილის მსურველი ადამიანის ხარისხში. მაგრამ ქვეყნად ჩამოსული კვლავ ათი საფეხურთ ამაღლდა ადამიანებსა და ანგელოზებზე. *«უზესთაეს ყოველთა მთავრობათა და ჴელმწიფებათა»* (ეფ. 1,21), აღყვანებული მარჯუენით ღვთისა მამისა. *«გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად და კუალად დაუტევებ სოფელსა და მივალ მამისა»* (ინ. 16, 28); ამით ადამიანთა ავადმყოფ და უსიცოცხლო მოდგმას საუკუნო ცხოვრების სასიხარულო ნიშანი მისცა: *«არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა მე წარვიდე, უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა»* (ინ. 16, 7).

განკაცებული ღვთის სიტყვის მიზანი ამაში მდგომარეობდა: განხორციელების სახლთაღმშენებლობის დასრულება. ძე ღვთისა ამიტომაც გახდა ძე კაცისა, უცოდველი ევნო, უკვდავი _ მოკვდა, პირველშობილი აღდგა მკვდრეთით, რათა დაცემული წამოეყენებინა, განკითხული განედიდებინა, ადამიანური ბუნება განეღმრთო. შეხედეთ, როგორი წინააღმდეგობრიობაა დემონის მიერ ჩვენდამი აღგზნებულ სიძულვილსა და იმ სიყვარულს შორის, რომელიც ძე ღვთისამ განგვიცხადა. იმას შეშურდა ადამიანური ბუნების უწინდელი ნეტარება და გამოდევნა იგი სიტკბოების სამოთხიდან; ამან კი იგივე ბუნება ზეცად აღამაღლა და ღვთაებრივი დიდების ტახტზე დააბრძანა. იმას არ შეეძლო ეხილა, რომ ყოველივე მიწიერი მას მორჩილებდა; ამან კი ზეციურიც დაუმორჩილა. იმან იგი (ბუნება) სიკვდილისა და ცოდვის ტყვედ აქცია; ამან კი _ ცის მკვიდრად, ღვთაების თანამოსაყდრედ. ნეტარი უკვდავების სამოსით შემოსა, სერაფიმთა თაყვანისცემა არგუნა, დანაკარგი უსასრულო ნამატით შეუვსო, ასე რომ ღვთივშვენიერი ხელოვანებით მაცდური _ ეშმაკი ცდომილებაში იქნა შეყვანილი.

მაცხოვრის დიდებულმა ამაღლებამ საბოლოოდ არცხვინა ღვთივსაძულველი და კაცთმოძულე მთიები; მან, როგორც გაიძვერა მეჩიტბადემ, მთელ მიწისპირზე სიკვდილის ბადე გაშალა, რომელშიც ჩიტებივით ებმებოდნენ მსჯავრდადებული ადამის უბედური შთამომავალნი; მათ დატყვევებულ სულებს ძველი წყევის მარწუხებით იჭერდა. ღმერთკაცმა იესომ ნებაყოფლობითი სიკვდილით ამ ბადეში გაბმა ინება; მაგრამ თავისი ღვთაებრივი ძალით ბადე გაარღვია, ღვედი გაგლიჯა და როგორც დიდებული არწივი, მესამე დღეს აღმდგარი, აფრინდა. მასთან ერთად აფრინდნენ გათავისუფლებული სულები მართალთა და დავითთან ერთად ძლევის საგალობელს გალობდნენ: *«საფრჴე შეიმუსრა და ჩუენ განვერენით»* (ფს. 123, 7).

მეორე მხრივ, როგორც არწივს სურს, რომ თავის დაუფრთიანებელ მართვეებს მათთვის უცნობი საჰაერო გზები უჩვენოს და წინ გაჭრილი ხელმძღვანელობს, ასევე ცად ამაღლებული უფალი ცის უცნობ გზაზე დგება, რომელზეც ადამიანის კვალიც არ ჩანს და მართალთა სულებს, როგორც მართვეებს, წინ მიუძღვის: *«ვითარცა ორბმან რაჲ დაიფარნა ბუდენი თჳსი და მართუეთა თჳსთა სუროდა, განყვნა ფრთენი თჳსნი და შეიკრიბნა იგინი»* (2 სჯული 32, 11); მართლაც *«აღჰჴედ მაღალსა, წარმოსტყუენე ტყუე»* (ფს. 67, 18). ამგვარად, როგორც გააღო პირველი ადამის დაცემამ ჩვენთვის ჯოჯოხეთის კარი, ასევე გააღო ზეციური კარი ამაღლებულმა ახალმა ადამმა. *«გუაქუს უკუე, ძმანო, კადნიერებაჲ შესვლად*

სიწმიდეთა მათ სისხლთა იესუჲსითა; რომელ-იგი განგჳახლა ჩუენ გზაჲ ახალი და ცხოველი კრეტსაბმელითა მით, ესე იგი არს, ჴორცითა მისთაჲთა» (ებრ. 10, 19-20) _ ამბობს პავლე მოციქული.

თრთის განდგომილი მტერი და ამ განხორციელებული, იდუმალი არწივის სასწაულებრივ ზეცად ასვლას ჯერაც ვერ მიმხვდარა. თუკი სოლომონი ამბობდა, რომ მისთვის სამი რამაა გაუგებარი: ზღვაში გემის გზა, ქვებზე მხოხავი გველის მოძრაობა და ცაში მფრინავი არწივის მიმართულება, მაშინ იმ ამაყ გონებას უფრო მართებულად შეეძლო ეთქვა, რომ ღვთაებრივი სიტყვის სახლთაღმშენებლურ განხორციელებაში მას სრულიად არ ესმის სამი რამ: პირველი _ როგორც გემი მიცურავს ისე, რომ წყალზე არანაირ კვალს არ ტოვებს, ასევე ქრისტეს უნეტარესმა სხეულმა გაიარა ქალწულის უმწიკვლო წიაღი და უთესლოდ შობილმა ხრწნილების კვალიც არ დატოვა. მეორე _ მისთვის გაუგებარია გველის გზა ქვებზე, ანუ იგივე სხეული ქვის ახალ კუბოში ჩასვენებული, დიდი ლოდით «დაბეჭდული», გამოვიდა იქიდან და როგორც გველის გამოცვლილი პერანგი, დაუტევა ძველი ხრწნილება, მკვდრეთით აღდგა უხრწნელების ახალი სამოსით და არანაირი კვალი არ დატოვა. მესამე _ მას არ ესმის არწივის გზა, ანუ რანაირად ადის ეს სხეული უსხეულოებზე მაღლა, როგორ აღწევს მიწიერი ზეცას, კაცობრივი რანაირად ზის ღვთაებრივი დიდების ტახტზე.

მაგრამ განხორციელებული მაცხოვრის დიდებული ამაღლება თვით ანგელოზებსაც არ ესმით. ამიტომ ახლა, როცა დიდების მეუფის ამაღლებას ხედავენ, წინ მიდიან, რათა შესასვლელი განუმზადონ და უმაღლეს წესთმთავრობას ეუბნებიან: *«აღახჳენით ბჭენი თქუენნი, მთავარნო, და აღეხუენით ბჭენი საუკუნენი»* (ფს. 23,7); იარებით და ფერდიდან მომდინარე წმიდა სისხლით დაფარული კაცობრივი სხეულით მისი ამაღლების შემხედვარენი გონს ვერ მოდიან ამ საოცარი ხილვის გამო და კითხულობენ: *«ესე ვინ არის მომავალი ედომით გამო? რაჲსათჳს შენნი მეწამულ შესამოსელნი... ვითარცა წნეხისაგან საწნეხლისა, სავსედ დათრგუნვილისა?»* (ეს. 63. 1-2). მაგრამ ეს ხილული სახლთაღმშენებლობითაა გათვალისწინებული, რამეთუ კაცთმოყვარე მეუფეს სურს ზეცაშიც გააცხადოს თავისი ვნების ნიშნები, ჩვენდამი სიყვარული და სოფლისმპყრობელზე სრული გამარჯვება. უკეთ რომ ვთქვათ: *«ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჳსსა?»* (ლკ. 24, 26), რათა შევიტყოთ, რომ ჩვენც ტანჯვისა და ვაების ვიწრო გზით უნდა შევიდეთ ზეციურ სასუფეველში. ყველა შემთხვევაში ქრისტე იმავე ხორცით უნდა ამაღლებულიყო, რომელიც შეისხა. რათა ყოფილიყო შუამდგომი ღმერთსა და ადამიანებს შორის და თავისი დაუსაბამო მამისათვის ეჩვენებინა ის უცოდველი სხეული, რომელიც მან ჩვენი ცოდვების მოტევებისთვის სუფთა და უმწიკვლო ძღვნად შესწირა: *«რამეთუ არა ჴელით ქმნულთა სიწმიდეთა შევიდა ქრისტე... არამედ თჳით მათ ცათა აწვე ჩუენებად პირსა ღმრთისასა ჩუენთჳს»* (ებრ. 9, 24) _ ამბობს პავლე მოციქული. *«უკუე თუ ვინმე ცოდოს, ნუგეშინის-მცემელი გჳვის მამისა მიმართ ქრისტე იესო მართალი»* (1 ინ. 2, 1) _ ამბობს იოანე მახარებელი.

მეორე მხრივ, რათა ჩვენ, ქრისტეში ნათელღებულებს და ქრისტეს მცნებებით მცხოვრებთ გვქონდეს შეურყვნელი და მტკიცე იმედი აღდგომისა და სხეულით საუკუნო დიდებისა, რადგან აღდგა და განიდიდა სხეულით ქრისტე, რომელიც თავია მართალთა, მაშინ ასევე ეგების მართალთაც აღდგომა და სხეულში განდიდება, რადგან ისინი ქრისტეს სხეულის ნაწილები არიან. ამიტომ ამბობს პავლე მოციქული: *«ვითარცა-იგი მიწისაგანი,*

ეგრეცა მიწისაგანნი, და ვითარცა იგი ზეცისაჲ, ეგრეცა ზეცისაგანნი იგი» (1 კორ. 15, 48) და კიდევ: *«ძლიერი ნუგეშინის-ცემაჲ გუაქუნდეს ჩუენ, რომელნი-ესე შეევედრენით შეკრძალვად წინაგანმზადებულსა მას სასოებასა; რომელი ვითარცა ხარისხი გჳპყრიეს სულისაჲ კრძალული და მტკიცე და შემავალი შინაგანსა მას კრეტსაბმელსა; სადა-იგი წინამორბედად ჩუენთჳს შევიდა იესო, წესსა მას ზედა მელქისედეკისსა მღვდელთ მოძღუარ იქმნა იგი უკუნისამდე»* (ებრ. 6, 18-20).

მაგრამ თუმცა ჩვენი ღვთაებრივი მამა და მოძღვარი მიწიდან ზეცად აღვიდა, ობლად არ დავუტოვებივართ. როცა ილია თეზბიტელი აღტაცებულ იქნა ცეცხლოვანი ეტლით, იმისთვის, რომ თავისი მოწაფე ელისე ენუგეშებინა, ხალენი დაუტოვა. ასევე ამაღლებულმა კაცთმოყვარე უფალმა სანუგეშოდ თავისი ღვთაებრიობის ის შესამოსელი დაგვიტოვა, რომლითაც განკაცებისას შეიმოსა, ანუ დაგვიტოვა თავისი ნეტარი ხორცი საშინელ ღვთაებრივ ევქარისტიაში, რათა არასდროს განგვშორებოდა. ამიტომ გვანუგეშებს სიტყვებით: *«და აჰა, ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა»* (მთ. 28, 20).

უკვდავო სასიძოვ სულთა ჩვენთა! იქიდან, სადაც დაბრძანდი მარჯუენით მამისა, ვითარცა საუკუნეთა მეუფე, წარმოგვიგზავნე მამისაგან აღთქმული სულიწმიდა _ სიყვარულის დაურღვეველი კავშირი, რათა შენს უწმიდეს ხორცთან და სისხლთან ზიარებით ყოველთვის ვიყოთ ზიარი შენი ღვთაებრივი მადლისა. ზეცაში კი შენი უტკბილესი სახის ხილვით შენი ღვთაებრივი დიდებისა. ამინ!

ქება ღმრთისმშობლის მიძინებისა

«დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა,
სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა შემკულ
და შემოსილ პირად-პირადად»

(ფს. 44, 9)

აჰა, მეფე-წინასწარმეტყველის ღვთივრხეული კალმით ნაწერი, უმეტესად ცხოველი და შესაფერისი სახე ზეცად წარდგომილ ღმრთისმშობლისა, მოზეიმე თანამოძმენო! ამ სახის საჭვრეტად მე გიხმობთ დღეს!

აქ, დედამიწაზე, ქვეყნიერების ყოველი მხრიდან სასწაულებრივად შეკრებილ წმიდა მოციქულთა მიერ პატიოსნად დასაკრძალი სხეულია დასვენებული, მაგრამ სიკვდილის გამო ნუ დამწუხრდებით! უწმიდეს ქალწულში ყოველივე ზეადამიანური იყო და მან მარტოოდენ სიკვდილით გვიჩვენა, რომ იგი ადამიანური ბუნებისაა. თუმცა ღვთაებრივი მადლის უპირატესობამ თავი აქაც იჩინა: როცა ყოვლადწმიდა მარიამმა მუცლად იღო, მუცლადღება მისი უბიწო იყო, როცა შვა, შობა _ უხრწნელი, მოკვდა და მიძინებაც უკვდავი აღმოჩნდა.

სიკვდილი (ამ სიკვდილის გამოკლებით) მტანჯველია ჩვენი მოდგმისა, ასულია წყევისა და დედაა ხრწნისა; მას ადამის ძენი ტყვედ ჰყავდა თავის ბნელეთის სამეფოში. ეს სიკვდილი კი ტკბილი ძილია, რომლითაც ყოვლადწმიდა დედოფალმა ხრწნადი ცხოვრების ბოლოს თითქოსდა მოისვენა, ან ღვთაებრივი სიყვარულის აღმაფრენაა, როცა თავის უსაყვარლეს ძესთან მოსწრაფემ თანამგზავრი, საკუთარი სხეული, მცირე ხნით

მიატოვა, თუმცა ქერუბიმთა ეტლით ატაცებულმა სხეულმაც იგივე გზა განვლო და განდიდებული ზეცად ამაღლდა. იხილეთ სამარე გეთსამანიაში _ ის ცარიელია, რამეთუ საფლავს არ ძალუძს დაიტიოს ცხოვრების დედა, განკაცებული ღვთის სამკვიდრებელი, ვისი ღირსი ადგილიც ღვთაებრივი დიდების ტახტია. დედა ღვთისა, როგორც ცისა და მიწის დედოფალი, ყოველივე ქმნილზედ ამაღლებულ ტახტზე ზის მარჯვნით ღვთისა _ *დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა.* ის მიწიერთა დედოფალია, რამეთუ მართალთა ეკლესია ღმერთის შემდეგ მას ეთაყვანება, მის უწმინდეს ფერხთაქვეშ აწყობს თავის კვერთხსა და გვირგვინს. მის მაღალ ტახტს მართლმადიდებელთა კრებული გარს ეხვევა: ვინ სნეულებისაგან კურნებას შესთხოვს, ვინ ხიფათის აცილებას, აი, ეს მწუხარებაში ნუგეშს ევედრება, ის კი შეჭირვებაში _ შველას. მოწყალების წყაროსაგან ყველა წყალობას ითხოვს და მთხოვნელი ღებულობს, მძებნელი პოულობს, რადგან მადლიან წყალობათა ზღვა ამოუშრობია, წყარო მადლისა _ დაუშრეტელი. ის ზეციურ ძალთა დედოფალია, მას პატივს სცემენ, ეთაყვანებიან ყოველნი უხორცო წესნი: ანგელოზნი მასში სისპეტაკის სრულქმნილ სარკეს მიაგებენ პატივს, მთავარანგელოზნი _ ღვთაებრივ გამოცხადებათა უძვირფასეს კიდობანს, ხელმწიფებანი _ მორწმუნეთა ყოვლადძლიერ ხელმწიფებას, ძალნი _ ეკლესიის გადაულახავ ზღუდეს, მთავრობანი _ საყოველთაო ხსნის მაცხოვნებელ საწყისს, უფლებანი _ თავიანთ უმაღლეს ქალბატონს, საყდარნი _ დიდების მეუფის განსულიერებულ საყდარს, ქერუბიმნი _ უმაღლეს უწყებათა ღვთივგაბრძნობილ, საიდუმლო გზამკვლევს, სერაფიმნი _ ღვთაებრივი სიყვარულის ჩაუქრობელ კანდელს, იგია დედოფალი, ვისაც თვით სამბრწყინვალე ღმერთმთავრობა ესალმება: სულიწმიდა _ სასძლოს, ძე და სიტყვა _ მამაკაცის გამოუცდელ დედას, მამა ღმერთი _ საყვარელ ყრმას ღვთისას.

«დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა» _ ცისა და მიწის ყოველთა დედოფალი, განდიდებული, *«სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად»* _ ამბობს დავით წინასწარმეტყველი. ანუ მისი ნეტარების ღვთივქსოვილი სამოსი, რითაც მოსილია იგი, თვალშეუდგამი შუქითაა მოოქროვილი და მრავალფერად მოხატული. სხვა სიტყვებით: როგორც მასში, ქალწულში, დედამიწაზე ყველა სათნოება თავს იყრიდა, ასევე ზეცად წარმდგარ ქალწულში ღვთაებრივი დიდება მრავალფერად ბრწყინავს.

როდესაც მზე ცაზე უმაღლეს წერტილს აღწევს, სხივებს ყოველ მხარეს თანაბრად აფრქვევს; მაგრამ სხივები ყველაფერს ერთნაირად არ ეფინება, რადგან საგნები სხვადასხვა სიმკვრივისანი არიან. ერთნი _ მეტად, მეორენი კი ნაკლებად იღებენ მათ. სუფთანი სრულყოფილად ნათდებიან, გამჭვირვალენი სხივებს ატარებენ, მკვრივნი და გაუმჭვირვალნი იმდენად ნათდებიან, რომ ხილულნი გახდნენ. მაგრამ თუკი მზე თავის სხივებს სუფთა სარკისაკენ მიმართავს, არა მხოლოდ გაანათებს მას, არამედ შევა და დაივანებს მასში. მაშინ სარკე აღარ იქნება უბრალო მინა, არამედ თვითონ იქცევა მზედ. აი სხვაობა სარკესა და განათებულ მყარ საგნებს შორის: ყველა საგანი მზის სხივს იღებს, ხოლო სარკე _ თვით მზეს და თავადაც მზესავით ანათებს. დაუვალი მზე ჭეშმარიტებისა ასევე აფრქვევს ღვთაებრივი დიდების დაუღამებელ ნათელს ყოველ ნეტარ სულზე თანაბრად, მაგრამ ყველა თანაბრად როდი ნათდება _ თითოეული ამ ბრწყინვალების საკუთარ წილს თავისი უბიწოების შესაბამისად იღებს. ასე რომ, უხორცო ანგელოზნი და ადამიანები ამ სხივებს სხვადასხვაგვარად იღებენ. მთავრობანი და უფლებანი, მთავრობანი და ქერუბიმნი, ქერუბიმნი და სერაფიმნი _ ასეთი სხვაობა ადამიანებს შორისაც არსებობს:

წმ. წინასწარმეტყველებსა და წმ. მოციქულებს შორის, აღმსარებლებსა და მოწამეებს შორის, მოღვაწეებსა და ქალწულებს შორის. ყველანი წარმოსახვითი სამყაროს ვარსკვლავები არიან, ამიტომ მართალი მნათობებივით ანათებენ, ვითარცა ნათქვამია: *«ვარსკვლავი ვარსკვლავსა ჰმატს დიდებითა»* (1 კორ. 15, 41).

ყოვლადწმიდა ქალწული ნეტართა შორის უბიწოებისა და სისპეტაკის სრულყოფილი ასახვაა, იგი ყოვლადკეთილი და ყოვლადუბიწოა: *«ყოვლად შვენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა»* (4, 7), ამბობს ქება ქებათაში სული წმიდა.

ამიტომ დიდების მზე თავის ნათელს არა მხოლოდ მიჰფენს მას, არამედ შედის მასში და მთლიანად მასში ჰგიებს. ასე რომ, ყოვლადწმიდა ქალწულის ნეტარი სახე სხივებს აფრქვევს, როგორც მეორე მზე დიდებისა და დაუღამებელი დღის ნათელს აორკეცებს. გაიაზრეთ სხვაობა ნეტარებებს შორის, რომლითაც მართლთა სულები ტკბებიან და რომლითაც ღვთისმშობელი მარიამი ხარობს _ პირველნი ღვთაებრივი დიდების შუქს ნაწილობრივ იღებენ, ხოლო დედა ღვთისა დიდების მზეს სრულად იღებს; მათ აქ, მიწაზე, მადლი ნაწილობრივ მიიღეს და ზეცაში ამ მადლის მიხედვით იხარებენ; ღვთისმშობელი კი იქ სრული დიდების სამკვიდრებელია ისევე, როგორც აქ, მიწაზე იყო მადლის სავანე. იგი აქავე იყო მიმადლებული, როგორც უწოდებს ანგელოზი, ანუ ღვთაებრივ მადლს მთელი სისავსით ფლობდა. ამასვე ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი: «ყოველთა რჩეულთა მათ მადლი კერძოჲ მიეცემის, ხოლო ქალწულსა მას აქუს სავსება მადლისა». მისი განდიდება და მადლის სავსება იეზეკიელმაც იწინასწარმეტყველა: *«და ვიხილე და აჰა სავსე დიდებითა უფლისაჲთა სახლი უფლისაჲ»* (44, 4). *«დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად».*

ქრისტიანენო! ჩვენს გონებას არ ძალუძს იმ კაშკაშა სინათლის წარმოდგენა, რომლითაც ნეტარი ქალწული ბრწყინავს სამოთხეში. მზე და მთვარე ბნელი საგნებია იმ ენითუთქმელ სილამაზესთან შედარებით, რომლის ჭვრეტითაც ნეტარნი უსასრულოდ ტკბებიან. რაოდენ მშვენიერი, ნათელი, ღვთაებრივი სანახობაა სერაფიმთათვის!

ღვთისმშობლის ერთ მოკრძალებულ თაყვანისმცემელ ჭაბუკს ამ ბრწყინვალების ხილვა ეწადა და მას ლოცვით მიმართა: «უტკბილესო მარიამ, რომელსაც პატივს მოგაგებ, სიყვარულითა და სასოებით გეთაყვანები შემდგომად ღვთისა, რამეთუ ნუგეში და სიხარული ხარ, გევედრები, ერთი წყალობა მიყავ _ გამხადე ღირსი, გიხილო ბრწყინვალებით, რომლითაც ბრწყინავ სამოთხეში, მარადის ქალწულო დედაო, მზად ვარ ამისათვის მსხვერპლად თვალისჩინი გავიღო». ყოვლადწმიდა დედოფალმა შეისმინა ვედრება და მას მთელი თავისი ბრწყინვალებით ძილში ეჩვენა. გამოღვიძებულმა ჭაბუკმა ნახა, რომ ერთ თვალში სინათლე მართლაც დაჰკარგვოდა, მაგრამ სრულიადაც არ შეუწუხებია ამას, პირიქით, მზად იყო მეორე თვალშიც დაეკარგა სინათლე, ოღონდ კვლავ ეხილა ღვთისმშობელი. იგი კვლავ გახდა მისი ხილვის ღირსი და რომ გაიღვიძა, ნახა, რომ თვალისჩინი მთლიანად დაბრუნებოდა. ჭაბუკმა გაორმაგებული სიხარულით მადლობა შესწირა ღვთისმშობელს;

მიმადლებულო, ყოვლადქებულო ყოველთა დედუფალო! ღვთაებრივი ნათებიდან, რომლითაც შენ, მხოლოდშობილი ძის მარჯვენით მდგომი ტკბები, ჩვენზე, შენს მოკრძალებულ მონებზე, ერთი ნეტარი სხივი წარმოგზავნე, რაც იქნებოდა სინათლე ჩვენი დაბნელებული გონებისათვის, მხურვალება ჩვენი ცივი ნებისათვის, რათა შენი ღვთაებრივი განმართლების გზა ვიხილოთ და მოშურნედ ვიდოდეთ მასზე. შემდგომად

ღვთისა ხსნას შენგან მოველით, ღვთისა და ჩვენო დედაო! შენგან მოველით თავმდაბალ ხელისუფალთა გამარჯვებებს, კეთილმსახურ მეფეთა ზეიმს, ეკლესიის დამტკიცებას, მფარველობას მართლმადიდებელი ერისათვის და ამ ქალაქისათვის, რომელმაც შენგან უდიდესი შეწევნა მიიღო. ყოვლადწმიდაო ქალწულო, სახელო, გამომხატველო სიხარულისა, ნუგეშისა და ქრისტიანთა ზეიმისა, ვითარცა საკმეველი კეთილად შესაწყნარებელი, ჩვენი ლოცვა და მარხვა შეიწირე, რომელსაც ამ წმიდა დღეებში შენდა სადიდებლად აღვასრულებთ. და როგორც აქ, ეკლესიაში მოწიწებით ვეამბორებით შენს წმიდა, სასწაულთმოქმედ ხატს, ასევე ღირსი გაგვხადე სამოთხეში შენი ხილვისა, რათა თაყვანი ვსცეთ და ვადიდოთ მამა, ძე და სული წმიდა აწ და დაუსრულებელთა საუკუნეთა, ამინ!

სახოტბო სიტყვა ღვთისმშობლის შობაზე

(მეორე)

«ვინ არს ესე, რომელი
ბრწყინავს ვითარცა ცისკარი»

(ქება ქებათა 6, 9)

აწ ქალწულების ზეიმია _ ქალწულნო იზეიმეთ! დიდება ღვთის დედისა _ დედანო, განადიდეთ! მშობელთა ღმრთისათა ლხინია _ მშობელნო ილხინეთ! მსოფლიო სიხარულია _ ქვეყნიერებავ, გიხაროდენ! თქვენ, ზეციურ წმიდა საწყისის თვალცეცხლოვანნო წესნო, თქვენ, სამოთხის ტკბილხმოვანნო ბულბულნო, დაუდუმებელი გალობით ქალწულის შობას უგალობეთ!

გიხაროდენ თქვენცა, უწმინდესო წყვილო, მშობელნო ღმრთისანო იოაკიმ და ანა. ცა ყოველთვის ერთნაირი როდია: ის თავის ნათელ შუბლს ხან შავი ღრუბლებით ფარავს, ხან ისევ ოქროსფერი და ნათელია. ჭეშმარიტად დიდი იყო თქვენი სევდა, დიდი და ღრმა იყო თქვენი სირცხვილი ერის წინაშე. მაგრამ *«თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ლოცვასა მათსა ზედა»* (ფს. 33, 15). შესმენილია თქვენი ლოცვა: აი, როგორი სიხარულისა და პატივის ღირსი გახდით დღეს! სიხარულისა, რამეთუ შეგეძინათ ასული, რომელიც ღვთის სამყოფელი და დიდების მეუფის მზისებრ წმინდა ტახტი უნდა შეიქნას, და პატივისა, რამეთუ თვით ღმერთთან დანათესავდით. უწინ უნაყოფოებს და უშვილოებს აბუჩად გიგდებდნენ, ახლა, როგორც ღვთისმშობლისა და ყოვლადწმინდა ქალწულის მშობლებს, ყოველნი თაყვანსა და პატივს გცემენ. შენ კი, ახლადშობილო ქალწულო, ღვთივბრძენო მარიამ, რომელმაც ღვთაებრივი სიტყვა უნდა შვა დაუსაბამოისა მამისა, აწ ბაგეთა შინა ჩემთა სიტყვა შევ, რათა გაქო ღირსეულად.

ოდესღაც სერაფიმმა მარწუხით ნაკვერჩხალი აიღო საკურთხევლიდან, ესაიას უწმინდურ ბაგეს შეახო და განწმიდა _ *«და მოივლინა ჩემდამო ერთი სერაფიმთაგანი და ჴელსა შინა აქუნდა ნაკუერცხალი, რომელი მარწუხითა მოიღო საკურთხეველისაგან. და შეახო პირსა ჩემსა და თქვა: აჰა, შევახე ესე ბაგეთა შენთა და მოგისპნეს უშჯულოებანი*

შენნი. და ცოდვანი შენნი განწმიდნეს» (ეს. 6, 6-7). იდუმალი ნაკვერჩხლის მატარებელო იდუმალო მარწუხო, მატარებელო ქვეყნიერების მხსნელის საიდუმლო ნაკვერჩხლისაო, მხსნელის, რომელიცა არს იპოსტასური ყოვლადბრძნობა მამისა, ჩემს უწმინდურ და ბილწ ბაგეს შეეხე და განაბრძნე, რათა შეძლოს შენი უწმინდესი თავისათვის სხვადასხვა ქებათაგან მოწნას გვირგვინი. ერთადერთ სიტყვაში ჩატიე ენამჭევრობა, შენი სასწაულებრივი ყოვლადძლიერებით მოეც ძალა ჩემს ხმას და ხმა _ ჩემს მოუქნელ ენას, რათა შევძლო შენი პატიოსანი და წმიდა შობა დაუბრკოლებლად ვადიდო. განათლებაში შეზღუდული და ბუნებით უძლური, შენს განდიდებას ვბედავ და შენს თბილ მხარდაჭერას ვიმედოვნებ.

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია სიტყვები, რომლებითაც ეკლესიის მქადაგებელთა ღირსეული კრებული ცდილობს მარადისქალწულ დედუფალს ხოტბა შეასხას და მისი სიდიადე წარმოაჩინოს. ერთი მზეს უწოდებს მას, რადგან ღვთაებრივი მადლის გვირგვინით ციურ მნათობებზე მეტად ბრწყინავს; მეორე მთვარედ იხსენიებს, რადგანაც თავისი დიდი და სასწაულებრივი ნათებისა გამო ის, როგორც დედუფალი, ყოველნაირ ვარსკვლავთა თაყვანისცემას მიითვლის წყაროდ _ რამეთუ ეკლესიას ღვთიურ ნიჭთა ნაკადით არწყულებს; ეძახიან კვიპაროსს, ვინაიდან თავისი ბუნებითი კეთილსურნელებით შორსაა ყოველგვარი ხრწნისაგან; შროშანს _ რადგან უბიწო სილამაზე არ დაუკარგავს, თუმცა საყოველთაო ჭირსა და ნარ-ეკალს შორის აღიზარდა; ეძახიან ზეცას, რამეთუ მასზე გამობრწყინდა მზე სიმართლისა; უწოდებენ დახშულ მტილს, სადაც სატანის გველმა მომაკვდინებელი შხამის დაღვრა ვერ გაბედა; სამოთხეს _ რადგან მასში ცხოვრების ხე აყვავდა; სიწმიდის უმაღლეს მთას _ რომელიც ცოდვათა წარღვნას არასოდეს დაუფარავს. მაგრამ ამ სახელთაგან არცერთი ისე არ ესადაგება ქალწულს, როგორც ის, რომლითაც მას სულიწმიდა იხსენიებს ქება ქებათაში: ცისკარი. *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს, ვითარცა ცისკარი?»*

მართლაცდა რაოდენი მსგავსებაა ქალწულსა და ცისკარს შორის: დილა სხივმფენ მზეს შობს და მისი შობით ვარსკვლავნი მკრთალდებიან, ფრინველნი საამურად გალობენ, ბინდი იფანტება, გაცრეცილი მთვარე თვალს ეფარება სირცხვილეული და კაშკაშა დღე იწყება. ყოვლადუბიწო მარიამი ქვეყნად მომავალი ყოველი ადამიანის განმწმენდელ მზეს შობს და მისი შობა წყვეტს ცრუ კერპთა ღმერთობას. წმიდა მამათა ბაგენი უსასრულო დიდებისმეტყველური ქებით არ იღლებიან, ძველი სჯულის დაფარული სახეები სრულიად ქრებიან, ურწმუნოთა აღრეული მოხაზულობანი მდუმარების საფარს სირცხვილეულნი ეფარებიან და ამგვარად, ღამე უცნობელობისა ცნობელობის ნათელი დღით, აღშენებისა და ცხოვრების დღით იცვლება. *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს ვითარცა ცისკარი?»*

ჰოი, წმიდაო, სხივმფენო ცისკარო! შენ, დიდების მზის თვალნათელო წინამორბედო, ღვთაებრივ გაბრწყინებამდე გრილო მონაბერო, უბედნიერესი დღის უტკბესო მაცნევ! *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს, ვითარცა ცისკარი?»*

მაგრამ მიკვირს და გაოცებული ვარ: წარსულის, აწმყოსა და მომავლის განმგებელი სულიწმიდა, გამომცდელი გულთა და წიაღთა, სული, რომლის სინათლის წინაშეც ყველაზე სანუკვარი საიდუმლონი განცხადდებიან, აწ როგორ კითხულობს, თითქოსდა არ იცოდეს _ *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს ვითარცა ცისკარი?»*

ვერ ცნობს იმას, ვინც დედათა შორის სასძლოდ გამოირჩია? იმას, ვის შესახებაც ქება ქებათაში ამბობს: *«აჰა ეგერა, შუენიერ ხარ»* (4, 1)? აგიხსნით. წმიდა წერილი გვაუწყებს, რომ საულ მეფემ, შურისძიების ამ განხორციელებულმა ჯოჯოხეთმა, დავითისადმი ძლიერი სიყვარულის გამო ის სამეფო სამოსით შემოსა, ოქროს თავსაბურავი დაჰხურა და პორფირი მოასხა. დავითი სასახლიდან გამოვიდა, როგორც მეფე. ყველას უკვირდა და ერთმანეთს ეკითხებოდნენ _ ვინ არის ეს ახალი გვირგვინოსანი, ეს პორფირით მოსილი კაცი? ახლავე ყველაფერს მიხვდებით. მეფეთა მეუფემ და უფალმა, დაუსაბამო მამამ უმეტესად შეიყვარა მარადისქალწული დედუფალი და მისთვის უდიდესი პატივის მიგება ისურვა _ მისი შემოსვა საკუთარი შესამოსლით. ღვთის შესამოსელი როგორიღაა? ამის შესახებ დავითი საუბრობს: *«შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი»* (ფს. 103, 2); და მათე: *«განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი»* (მთ. 17, 2). ესე იგი ქალწული, ვითარცა დედოფალი, ნათლითაა შემკული. ასე რომ, განსულიერებულ ზეცად წარმოდგება. *«დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა»* (ფს. 44, 9). ამასვე მოწმობს წმ. იოანე ღვთისმეტყველი, ეს მაღლითმფრენი არწივი: *«და სასწაული დიდი გამოჩნდა ცათა შინა: დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე და მთოვარე იყო ქუეშე ფერჯთა მისთა, და თავსა ზედა მისსა გჯრგჯნი ვარსკულავთა ათორმეტთაჲ»* (გამოც. 12, 1). სხივმფენი დედოფალი გამოვალს ნათლით მოსილი, გასაოცარი და მშვენიერი. მის შემხედვარე სულიწმიდას კი თითქოსდა უკვირს და კითხულობს: *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს ვითარცა ცისკარი?»*

ეს ვინ აღმოდის ყოვლითა ნიჭითა მოსილი, ყოვლითა სილამაზითა შემკული, სამყაროს ყოვლითა მშვენიერებითა მბრწყინავი? ვინ არის ის, თავის წადილში დედამიწასავით მყარი, ქალწულებაში უბიწო, ვითარცა წყალი; გულით მშვიდი, ვითარცა ჰაერი; სხეულით უმწიკვლო; მსუბუქი, ვითარცა ცეცხლი? *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს ვითარცა ცისკარი?»*

ვინ არის ის, ვისაც აქვს კეთილკრძალულება ანგელოზთა, სიდიადე მთავარანგელოზთა, ღირსება საწყისთა; ღვთიური ერთგულება საყდართა, როგორც ხელისუფლება მბრძანებლური; როგორც მეუფება მეუფებრივი, ფლობს ძლიერებას ძალთასა, ქერუბიმთა განმგეობას, სერაფიმთა სიყვარულს, წმიდა სამების ყოველი ნიჭითაა პატივცემული და ბოლოს, ვინაა ის, მრავალფეროვან სათნოებათა შერწყმა, ყოველ მადლიან ნიჭთა სასწაულებრივი შეერთება? *«ვინ არს ესე, რომელი ბრწყინავს ვითარცა ცისკარი?»*

ჰოი, ენათა დამადუმებელო სიდიადევ ქალწულისა, ლაბირინთო, სადაც ყოველგვარი გონება იკარგება; სიღრმევ, სადაც კაცობრივი ზრახვა იძირება! თუკი შენი სიდიადე სულიწმიდასაც კი უკვირს და აოცებს, რა უნდა ვქნა მე, უმეცარმა და უნიჭომ? *«რიტორთა მრავალ-ჴმათა, ვითარცა თევზთა უჴმოთა ვხედავთ შენდამი ღმრთისმშობელო».* ვხედავთ, რომ ყველაზე მჭევრმეტყველი რიტორნიც თევზივით დუმან, უხმოდ არიან, როცა შენი ქებაა საჭირო. რა უნდა ქნას ჩემმა მდაბალმა ენამ? ქალწულდედაო ასულო, კარგად უწყი, რომ ჩემი უძლურებისა გამო მას ასეთი სიტყვისათვის დიდხანს ვწვრთნიდი. ეს შენი საქებარი მცირედი სიტყვა კი შენდამი კეთილკრძალულ მორჩილებას ნიშნავს და ასევე იმ უკეთილშობილეს დიდებულთა მორჩილებას, რომლებმაც ამის ქმნა მიბრძანეს. მაგრამ თუკი უძლურების მარადმკურნალი სასწაულებრივი ძალით წყვდიადში ჩაძირულ ჩემს გონებას სიბრძნის რომელიმე სხივით გაანათლებ, მაშინ ჭეშმარიტად *«აექუნ ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ»* (ფს. 136, 6). ეგვიპტელებს ჰქონდათ ჩვეულება მზის

ამოსვლის მდუმარე თაყვანისცემისა, რადგან მისი ხმამაღლა ქების ძალა არ შესწევდათ. დღეს მეც ასევე მოვიქცევი, როცა შენ იშვები, რჩეულო, ვითარცა მზე, და რადგანაც შენი ნიჭების კაშკაშა სინათლით ჩემი გონების თვალთ აბრმავებ, შენს სასწაულებრივ სათნოებებს მდუმარედ ჩავუვლი. ვიცი, შენს სულს ისე არაფერი ეამება, როგორც შენი სადიდებელი ჰანგი. შენს წმიდა ფერხთით მუხლმოყრილი, დაუძლეველ მეოხებას ვითხოვ, ზეციურო დედოფალო! სუპოსტატთა წინააღმდეგ ამჟამინდელ ომში განამტკიცე ვენეციელთა კეთილმსახური მეთაურის მარჯვენა. შენ, გზამკვლევის სახელის ჭეშმარიტო მატარებელო, უწინამძღვრე და კეთილი გზით ატარე მისი კეთილმსახური ჯარი, მიმადლე გამარჯვებანი და ზეიმი აგრიანთა ზედა სადიდებლად ძისა შენისა და ღვთისა ჩვენისა. შეეწიე მათ, უწმიდესო ქალწულო, *«რამეთუ ესერა მტერთა შენთა იზრახეს და მოძულეთა შენთა აიღეს თავი; ერსა შენსა ზედა ძმაცუვიდეს ზაკვით და განიზრახეს წმიდათა შენთათჳს»* (ფს. 82, 2-3), ნუ დაუშვებ, რომ უწმინდურთა ხელში დარჩეს ის ყოვლადპატიოსანი საფლავი, რომელშიც დაკრძალული იყო მაცხოვარი სოფლისა, ცხოვრება ქვეყნიერებისა, და როგორც ერთხელ ძემ შენმა შოლტი აიღო, წმიდა ტაძრიდან მოვაჭრენი განდევნა და უთხრა: *«ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო»* (ინ. 2, 16), შენც ასევე, ცეცხლოვანი ელვა აღიღე და იმათ თავს მოაწიე, რომელთაც *«შეაგინეს ტაძარი წმიდაჲ შენი; დადვეს იერუსალემი, ვითარცა ხილის საცავი»* (ფს. 78, 1). ხედავ, რაოდენ უარყოფილია შიში შენი ძის მიმართ, დარღვეულია უბრალოება, შებღალულია მოკრძალება, დაკარგულია კეთილმსახურება, დანგრეულია სამყარო, სამეფონი ოლქების გარეშე არიან, ოლქები _ ხალხის გარეშე. ხალხი _ გონიერების, გონიერება _ ღვთისგან განათლების გარეშე, ღმერთი _ ტაძრების, ტაძრები _ საკურთხევლების, საკურთხევლები მღვდლების გარეშე დარჩნენ, მღვდლები კი თავიანთი კუთვნილის გარეშე. ყველგან ძარცვა და უღირსებაა. ამიტომ შენი ღვთაებრივი ძალით, წმიდაო ქალწულო, სისხლისმსმელ მგლებს მუსრი გაავლე, რათა შენი წმიდა სამწყსო მარად მრთელი და უვნებელი იყოს. სოფლად სინათლის მომტანო, თავისუფლების ნათელი მიმადლე იმ უბედურ ქრისტიანებს, რომლებიც დიდ შრომასა და ტანჯვაში არიან. ჰოი, ღვთისმშობელო მარიამ, *«მოისპენ უღმრთოჲ, რაჲთა არა იხილოს დიდებაჲ უფლისაჲ* (ეს. 26, 10). დაე, მარად იდიდოს წმიდა სახელი შენი მამისა და ძისა და სულისა წმიდისა თანა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სიტყვა წარმოთქმულია ვენეციაში

ქების სიტყვა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებაზე

(მეორე)

«აღდგა მარიამ ... და წავიდა»

(ლკ. 1, 39)

სოლომონ მეფის სახელი ცნობილი და განდიდებული იყო მისი დროის ყოველი ერისათვის. მთელი მსოფლიო ათასი პირით და მთელი სამყარო ათასი ენით მას სიბრძნის

ღვთივქმნილ სამკვიდრებლად აცხადებდა, ღვთის ყოვლის მპყრობელი ხელის სასწაულებრივ და გამოჩინებულ ქმნილებად მიიჩნევდა. საბიას დედოფალმა მრავალრიცხოვანი ჯარის თანხლებით იერუსალიმში _ სოლომონის დედაქალაქში ჩასვლა ისურვა, რათა ენახა რაიმე დამამტკიცებელი მისი ესოდენ განთქმული სიბრძნისა და უკეთ დარწმუნებულუყო იმაში, რაც მას მრავალი პირისაგან სმენოდა. იქ მისულმა, თავისი მეფური სულის გამოსავლენად ხელმწიფეს ისეთი ყვავილები მიართვა, როგორიც სოლომონის სამეფოში არ იყო. ამის პასუხად მან საჩუქრად მიიღო ვარსკვლავთმრიცხველობის წიგნი, რომლიდანაც ცისა და ვარსკვლავების განსაკუთრებულად საიდუმლო თვისებების შეტყობა იყო შესაძლებელი. ეს ამბავი ამჟამინდელ ზეიმს წინასეხეობრივად აღწერს! ბრძენი სოლომონი _ ეს ყოვლისმპყრობელი მეფეთმეფე და უფალია; ღმერთია, ვისი უსასრულო სიბრძნეც ყოველივე მიწიერსა და ზეციურზე, ხილულსა და უხილავზეა მოფენილი *«ყოველივე სიბრძნით ჰქმენ»* (ფს. 103, 24). ამიტომაც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: *«ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი»* (ფს. 18, 4) საბიას დედოფალი _ ეს ცისა და მიწის დედოფალი, ანგელოზთა ხელმწიფე, ღვთივყრმა მარიამია, რომელიც აწ ადგა, თავისი ქვეყნიდან _ მამისეული სახლიდან წავიდა, არა შეიარაღებული მეომრების, არამედ წმინდა ქალწულთა თანხლებით: *«მიერთუნენ მეუფესა ქალწულნი, შემდგომად მისსა < ... > გალობითა და სიხარულითა და შეიყვანენ იგინი ტაძარსა მეუფისასა»* (ფს. 44, 14-15). ის სოლომონის იდუმალი სახლისაკენ _ ღვთის ტაძრისაკენ მიემართება და უფალთან ძღვნად ყვავილები მიაქვს, ანუ ადამიანური ხორცი, რომელიც ყვავილივით ჭკნება, *«კაცი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი; ვითარცა ყვავილი ველისა ეგრე აყვავდეს»* (ფს. 102, 15). ეს ხორცი ცათა სასუფეველში არ იყო, რადგან ზეცაში ყოველივე უნივთო და უხრწნელია. ამის პასუხად ქალწული ღვთისაგან ღებულობს წიგნს, რომლის მეშვეობითაც ზეცაში, სიტკბოების სამოთხეში სულ იოლად ადის. კურთხეულია წუთი, როცა ღვთაებრივ მადლთან ჩვენი მიმყვანებელი ქალწული ღვთის ტაძარში შედის! მადლიანია დღე, როცა დაუსაბამო მამა თავის სახლში თავის ასულს ღებულობს, ძე _ დედას, სულიწმიდა _ სასძლოს! ჰოი, დღესასწაული, როცა იოაკიმე და ანა თავიანთი ასულის ტაძრად მიყვანით ხარობენ, ასულისა, რომელმაც ღვთაება უნდა დაიტიოს! იკაზმება წმიდათა წმიდა, რათა წმიდათა შორის უწმიდესი მიიღოს; ზეციური მიწიერთან ერთად იხარებს და მთელი სამყარო საიდუმლოდ ზეიმობს. და როგორც მაშინ, ღვთის ტაძარში შესულმა ქალწულმა ზაქარიას ამბორი და მისალმება მიიღო, დღეს ასევე მმართებს საზეიმო სიტყვით მისდამი მისალმება. მაგრამ რამდენადაც მე, გამოუცდელ მოწაფეს, საამისოდ საკმარისი ძალა არ შემწევს, თხოვნით იმას მივმართავ, ვინც მომავალში სიტყვის დედა უნდა გახდეს, რათა ჩემს ბაგეს მისივე სადიდებელი სიტყვა მიმადლოს. მაშ ასე, მე ვამბობ: _ აწ დღეა ღვთის კეთილნებობისა, ფერისცვალებისა და კაცთა ხსნის ქადაგებისა; ღვთის ტაძარში უბიწო ქალწული ცხადდება და ქრისტეს შესახებ ყველას წინასწარ ამცნობს. ამიტომ ჩვენც ერთხმად შევძახოთ: «დამზადებლით აღვსილო და ნეტარად სახილველო გიხაროდენ!»

«აღდგა მარიამ... და წარვიდა» აჰა სიწმიდის კიდობნისაკენ მიმავალი უსპეტაკესი ტრედი, რომელიც გვამცნობს, რომ წარღვნა პირველმამათა წყევისა _ დასრულდა; აჰა სულიწმიდის უწმიდესი სასძლო, საქორწილოდ პალატში მიმავალი; აჰა ზეციური დედოფალი, რომელიცა *სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკულ და შემოსილ,* მეუფის ტაძრისაკენ მიემართება; აჰა, საიდუმლო ბადია, რომელიც მანანას მოსაღებად წმიდათა

წმიდაში შეჰყავთ. როგორც დედას ნათლისას შეშვენის, უმშვენიერესი ასულნი ლამპრებით მას თან მიჰყვებიან; მართებულია, რომ ვარსკვლავივით მბრწყინავი სანთლებით ახლდნენ იმას, ვინც მზესავით მშვენიერი და მზესავით რჩეულია. როცა ქალწული ყოვლადწმიდა სულთან საქორწილოდ მიდიოდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ საპატარძლოს მეგობრები, თუ არა ლამპრისმპყრობელი ქალწულნი? ჰოი, რარიგად დიდი იქნებოდა მშობელთა _ იოაკიმე და ანას სიხარული, როცა თავიანთ სამი წლის ყრმა ასულში, წმინდა სამების ყველა ნიჭს ხედავდნენ! მათ ბაგეებს ღვთისადმი რამდენი სამადლობელი გალობა აღმოხდა იმისათვის, რომ მათ ასული უძღვნა, განჭვრეტდნენ, რომ იგი ღვთიური დიდების წმინდა განძი და დიდების მეუფის სპეტაკი ტახტი უნდა გამხდარიყო! როგორ ფიქრობთ, სულის როგორი ლხენით მიიღო ზაქარიამ ყრმა მარიამი? მან იცოდა სულიწმიდის წინასწარმეტყველება, რომ ის იქნებოდა იაკობის კიბე, რომლითაც ძე და სიტყვა ჩამოვიდოდა დედამიწაზე და დამიანი ზეცად ავიდოდა! ქალწულის მთავარი დანიშნულება, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ამაში მდგომარეობდა. ეს უკეთ რომ გაიგოთ, ყურადღებით მისმინეთ: ღვთის სიტყვა ისე ტკბილია, რომ ყოველ გამომშრალ სულს თავისკენ იმხრობს. ამიტომაც ამბობს დავითი: «*სიტყუანი შენნი... უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა!*» (ფს. 118, 103); *«ესენი მომიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა»* (ფს. 42, 3). წინასწარმეტყველები და პატრიარქები გაძლიერებული ლოცვით ცდილობდნენ ძე ღვთისა მიწიერ ტაძარში მოეხმოთ, რათა მას ეშმაკის ხელთაგან ვეხსენით: *«ჰზი ზედა ქერობინთა, განცხადენ»* (ფს. 79, 1); *«ვიდრემდის, უფალო, დამივიწყებ მე სრულიად?»* (ფს. 12,1); *«გამოაჩინე პირი შენი, და ვცხონდეთ»* (ფს. 79, 3). მაგრამ კაცთა მოდგმის ცოდვათა გამო ღმერთი მათსას არ ისმენდა _ *«და არა იყო მათ თანა ხმაჲ და არცა სმენა»* (3 მეფ. 18, 26). და ბოლოს *აღდგა მარიამ... და წარვიდა.* დღეს ქალწული მარიამი ტაძრად მიდის და ამბობს: *«აჰა მხევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა»* (ლკ. 1, 38). დედამიწაზე ძე ღვთისას უხმობს: *«და სიტყუაჲ იგი ხორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩვენ შორის»* (ინ. 1, 14). ამ გაუგონარი საოცრების მომსწრე წინასწარმეტყველნი მის წმინდა თავს ვარსკვლავებისაგან შემდგარ გვირგვინს ადგამენ: *«დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე და მთოვარე იყო ქუეშე ფერხთა მისთა, და თავსა ზედა მისსა გჳრგჳნი ვარსკულავთა ათორმეტთაჲ»* (გამოც. 12, 1). ამიტომ სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი ძე და სიტყვა ჩამოვიდა და განკაცდა, რათა ადამიანი ეხსნა, თუკი გაფანტულია ჩვენი ცოდვების უკუნი, თუკი საუკუნო ნეტარების მისახვეჭად მადლი მოგვეცა, ყველა ეს ძღვენი ღვთიური ყრმის, მარიამის, ყოვლადწმიდა ქალწულის გამოა. ყოვლადწმიდა ასულო, შენი ძღვენისათვის სამადლობელად რა მოგიძღვნათ? ჩვენი თავი და სული ხომ არა? მაგრამ ისინი კარგა ხანია, რაც შენი უსასრულო მოწყალების მონაპოვრად იქცნენ. ქება და დიდება მოგიწნათ? მაგრამ ვიცით, რომ შენს ყოვლადწმიდა სულს ისე არაფერი აშფოთებს, როგორც შენი სადიდებელი ბგერები. მაგრამ ამასთანავე არ გვინდა უმადურნი აღმოვჩნდეთ, ამიტომაც დაე ჩვენი ბაგე მხოლოდ სიტყვებით შემოიფარგლოს: გიხაროდენ ღვთაების უწმიდესო საგრილობელო; გიხაროდენ განსულიერებულო სახევ ღვთისა; გიხაროდენ დიდების მზის შუქმფენო წინამორბედო; გიხაროდენ ღვთაებრივი ნათლის გამოჩენამდე გრილო მონაბერო; გიხაროდენ უნეტარესი დღის მიმადლებულო მაუწყებელო; გიხაროდენ გონიერთა სამყაროს მთვარევ; ყოველთა დედათაგან დიადი და გასაოცარი, ბრწყინვალე თაყვანისცემის დედოფლურად მიმღებელო; დახშულო მტილო, სადაც სატანის გველმა თავისი სასიკვდილო შხამის დათხევა ვერ გაბედა; განჩინების მაღალო მთაო, რომელიც

ცოდვის წარღვნას არ დაუფარავს; სიქალწულის შროშანო, რომელიც თუმცაკი საყოველთაო უბედურების ნარ-ეკალს შორის გაიზარდე, მოოქროვილი ვერცხლის სილამაზე არ დაგიკარგავს; შენ, ცხებულისაგან შობილო ზეციურო დედოფალო; მაცნეებად მთავარანგელოზთა, მწერლებად _ მახარებელთა, თანამგზავრებად _ მოციქულთა, მონებად _ უხორცო სულთა მქონებელო; რომელსაც გვირგვინად ვარსკვლავები გაქვს, პორფირის ნაცვლად მზე გმოსავს, ფერხთაქვეშ მთვარე გაქვს, დაბოლოს შენ, სამი წლის ყრმავ, დღეს წმიდათაწმიდაში შემსვლელო, რათა ყოველთა მეუფე ღვთის სამკვიდრებლად თავი განიმზადო _ შენს ყოვლადწმიდა ტერფებთან დამხობილნი გევედრებით, უღირსი მონანი შენი, საფარველად და ქომაგად გვექმენ. შენთან, გულმოწყალების ნავსაყუდელთან ამაქვეყნიური სიამის მწარე ზღვიდან მოვდივართ, რათა სულისათვის განსვენება ვპოვოთ. ჩვენ ნამდვილად აღვანთეთ ელვა შენი ძის მართებული რისხვისა და ის შენი კეთილმოწყალების ზღვით ჩააქრე! რა თქმა უნდა ვინანიებთ, რომ *«ყოველთავე მიაქციეს ერთბამად თუ უხმარ იქმნნეს, არავინ არს, რომელმანცა ქმნა სიტკბოებაჲ, არავინ არს მიერთადმდე»* (ფს. 13, 3), ვინც ღვთის მცნებების სწორი გზით ივლიდა. შენ, ოქროს შანდალო, ვითარცა ცეცხლოვანმა სვეტმა, აღთქმულ მიწაზე _ მადლის მიწაზე მიგვიყვანე. ჩვენ მშრალი, უნაყოფო მიწა ვართ, რომელზეც მხოლოდ ცოდვების ნარი და ცდუნებათა სარეველა იზრდება; მაგრამ შენ, გონებრივო ზეცავ, რომელზედაც გონებრივი მზე აღმოვა, შენთა მადლიან ნიჭთა კეთილისმოქმედი წყალობა გვაწვიმე, რათა გამოვიღოთ ნაყოფი ღირსი ღვთისა ჩვენისა. და რამდენადაც მრავალი ცოდვა მეუფე ქრისტეს მიმართ კადნიერებას აღგვიკვეთს, შენ შეევედრე, რათა გეენისაგან გვიხსნას და მისი ცათა სასუფევლის ღირსი გაგვხადე. ამინ!

სიტყვები, წარმოთქმული იტალიურ ენაზე

სიტყვა სარწმუნოებაზე

«უფალო..... სიტყჳთ ხოლო თქუ, და
განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი...,
ამინ გეტყჳ თქვენ, არცაღა ისრაელსა
შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე»

(მთ. 8, 8-10)

რწმენა _ გამომსყიდველ დამსახურებათა ეს ასული და მაცხოვრის სასწაულთა დედა, დიადი ღირსების მოწმობით ცხადდება და დიადი სასწაულით ჯილდოვდება ერთ ასისთავში, მეომარში, რომელიც კერპთაყვანისმცემლობის წყვდიადში აღიზარდა. მართლაც რომ დიადი, განსაკუთრებული რწმენაა წარმართისათვის, თუკი მას მხოლოდ სწამს, რომ იესოს, ტომით იუდეველს, ახალი სწავლების დამფუძნებელს, საკუთარ თემში ნაკლებ პატივცემულს, მისი სნეული მონის განკურნება შეუძლია! ხოლო თუკი დარწმუნებულია, რომ მას მყის განკურნავს მარტოოდენ სიტყვით, ეს უკვე ჭეშმარიტად რწმენაა ქრისტიანისა! ნათელი რწმენაა, რომელსაც მაცხოვარი აჯილდოვებს თავისი განკვირვებით: *«იესოს... დაუკვრდა»*; აჯილდოვებს ქებით: *«ამინ გეტყჳ თქუენ, არცაღა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე* (მთ. 8, 10); და თავისი სასწაულით;

«განიკურნა მონაჲ იგი მას ჟამსა შინა» (მთ. 8, 13). ამიტომ ღვთის სიტყვის მქადაგებლები, როდესაც ისინი ამ საკითხზე საუბრობენ, ჩვეულებრივ გვთავაზობენ ასისთავის რწმენას, როგორც კეთილი რწმენის მაგალითს და მიაჩნიათ, რომ რწმენა, რომელიც უნდა მივიღოთ, როგორც მაგალითი ქრისტიანთა მიბაძვისა, სწორედ ის რწმენაა, რომელმაც ქრისტე განაკვირვა. მაგრამ ღვთაებრივი მასწავლებელი, როცა ის წარმართის, ანუ უცხო ადამიანის რწმენას აქებს, ამით თავისი ხალხის _ ისრაელელთა რწმენას ამხელს. მეც მას მივბაძავ და ნაცვლად იმისა, რომ მივუთითო ასისთავის რწმენაზე, როგორც მაგალითზე, უმჯობესია ის დავუპირისპირო იმას, რაც ჩვენ სინამდვილეში გვწამს, რათა ამან, არა როგორც მაგალითმა, არამედ როგორც მხილებამ, სარგებლობა მოგვიტანოს. ისე სრულყოფილად ირწმუნა ასისთავმა, რომ რწმენის დამფუძნებლის ქება დაიმსახურა. მე კი მსურს გიჩვენოთ, თუ რა არის ჭეშმარიტი რწმენა. თქვენი რწმენის გამოწვლილვით მინდა ჩვენი ნაკლოვანებანი ვამხილო, რათა ჩვენში სირცხვილი აღვძრა და გავიმეორო ქრისტეს სიტყვები: *«არცაღა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე»*.

I

როცა დაუსაბამო სიტყვამ, განკაცებულმა, ჩვენი ბუნება და სიგლახაკე მიიღო, ხალხისათვის მაგალითის მიცემა ინება, თუ როგორ ერწმუნათ და ეცხოვრათ, რათა საუკუნო ცხოვრებისაკენ ორი გზა გახსნილიყო მათთვის _ გზა ჭეშმარიტებისა, ანუ ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობისა და გზა სიწმიდისა _ ყოველ სათნოებათა გამოჩინებისა. პირველის შესახებ ის თავად ამბობს თავის ზეციურ მამასთან საუბრისას: *«ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესო ქრისტე»'* (ინ.17, 3), ანუ კაცთათვის საუკუნო ცხოვრება იმაში მდგომარეობს, რომ მათ ზეცაში ღმერთი შეიმეცნონ მისი საკუთარი პირველსახით, არსებითა და ყოფიერებით (როგორც ერთიანი სამება), რათა მის ყოვლადძლიერებასა და სრულყოფილებას ერთიან შემოქმედ ღმერთში სცენ თაყვანი; მიწაზე კი მის ცოცხალ სახეს, ხორცშესხმულ სიტყვას უმზირონ, რათა ერთიან მაცხოვარ ღმერთში მისი სიკეთისყოფის სახიერება შეიმეცნონ, რაც შეეხება მეორე გზას, მოციქული პავლე გვარწმუნებს, რომ ძე ღვთისამ ხორცი იმისათვის შეისხა, რომ ჩვენგან ახალი ეკლესია, ახალი ერი შეექმნა _ უბიწო და უცოდველი ეკლესია, რომელშიც მცირედი მწიკვლის პოვნაც კი შეუძლებელი იქნება. *«რაჲთა წარუდგინოს თავადმან თავსა თჳსსა დიდებულად ეკლესიაჲ, რაჲთა არა აქუნდეს მწიკულევანებაჲ არცა ნაოჭ ბრძჳლისაჲ»* (ეფ. 5, 27). ყოველგვარი ნაკლოვანებისაგან თავისუფალი, სიკეთის მკეთებელი ერი მისი საუკუნო სიყვარულის ღირსია _ *«და განმწმინდეს თავისა თჳსისა ერად მოგებულად, მობაძავად კეთილთა საქმეთა»* (ტიტ. 2, 14). ეს ახალი ეკლესია _ ჩვენია; და ეს ახალი ერი _ ჩვენ ვართ; ეს ახალი წესი ჩვენი აღმსარებლობისა და ცხოვრებისა არის _ სარწმუნოება, რომელიც ამის გამო, როგორც ამბობენ ღვთისმეტყველნი, ერთდროულად მჭვრეტელურიცაა და ქმედითიც, რამეთუ ის ერთგვარად ჩვენი გონების თვალია, რათა ჩვენი სარწმუნოებრივი სწავლება დავინახოთ, და ხელია ჩვენი გულისა, რათა ზნეობრივი სწავლების სიწმინდე აღვასრულოთ. ერთიცა და მეორეც უნდა გაგვაჩნდეს, რათა სრულყოფილ რწმენას ვფლობდეთ. პირველი მეორეს გარეშე მკვდარია, მეორე პირველის გარეშე ბრმაა. ქრისტიანი, რომელსაც ერთი ან მეორე აკლია, ავადმყოფს ჰგავს, რომელსაც უძლურებისაგან სიარული არ შეუძლია, ან ბრმას, რომელმაც არ იცის საით წავიდეს. ერთს

ციხე-სიმაგრე არა აქვს, მეორეს _ ხელმძღვანელობა; ერთიცა და მეორეც დაცემისთვისაა განწირული: ერთი _ უძლურების, მეორე _ სიბრმავისა გამო.

დავეთანხმოთ ამას და ვნახოთ ჩვენ, ქრისტიანთა შორის, თუ არის იმდენი რწმენა, რამდენიც მის დამფუძნებელსა და ჩვენს მასწავლებელს სურდა რომ გვქონოდა. ოჰ, ძმანო, ჭეშმარიტად *«არცღა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე»*. ჩვენს გონებაში ვერ ვპოვებ საკმარის შუქს, რათა გავიგო რა გვწამს; ვერც ჩვენს გულში ვხედავ საკმარისად თბილ სიყვარულს საიმისოდ, რომ რწმენის შესაბამისად ვიცხოვროთ. რწმენას იმ ღვთაებრივ სამოსს ვუწოდებთ, რომლითაც ნათლობის საიდუმლოს მეშვეობით ვიმოსებით, მაგრამ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს მხოლოდ დასაწყისია რწმენისა. მისი მეშვეობით ჩვილი ქრისტიანი ხდება, მაგრამ ამ ერთით ის მხოლოდ სახელითაა ქრისტიანი.

გარდა იმ რწმენისა, რომელიც მადლით გაიცემა, საჭიროა კიდევ სხვა რწმენა, კეთილადმოგებული, რომელიც ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა შესწავლითა და მათი პრაქტიკული შესრულებით მიიღწევა. ამჟამად არ ვსაუბრობ ცოდნისმოყვარე გულმოდგინებაზე, რასაც კაცობრივი მეცნიერებანი მოითხოვენ, ის განდევნილია ქრისტეს სასწავლებლიდან, იქიდან, სადაც მართებული პატივისცემით უნდა მოვათვინიეროთ ჩვენს ძალებს შორის ყველაზე კეთილშობილი და ამაყი ძალა; მოციქულის სიტყვით: *«წარმოვსტყუნავთ ყოველსა ცნობასა მორჩილებად ქრისტესა»* (2 კორ. 10, 5); ტერტულიანეს თქმით: «ქრისტეშობის დღიდან აღარა გვაქვს აუცილებლობა ცოდნის მოყვარეობისა, რადგან ჩვენ სახარებით განვისწავლებით». სამოთხეში, სადაც ყოველივე გამხელილია და არღარა არის საიდუმლო, ნეტარება არა რწმენაში, არამედ ხედვაში მდგომარეობს. *«ვიხილოთ იგი, ვითარცა იგი არს»* (1 იან. 3, 2). მაგრამ ეკლესიაში, სადაც ყველაფერი საიდუმლოა და დაფარული, ნეტარება იმაში მდგომარეობს, რომ გწამდეს უხილველად *«ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე»* (იან. 20, 29). მე სამოძღვრო სწავლებაზე ვსაუბრობ, იმაზე, რასაც ცნობისწადილისა და უმეცრებისაგან თანაბრად დაწმენდილი ღვთაებრივი მეცნიერება მოითხოვს. ის შორსაა უმეცრებისაგან, რამეთუ ვეძიებდით დამრიგებლობას; შორსაა ცნობის წადილისაგან, რამეთუ ნივთმტკიცება არ მოგვითხოვია. მსურს რომ ჩვენი თვალისჩინი რწმენას მივანდოთ, რათა გვწამდეს უკეთესად და თავმდაბლურად, ანუ ნაკლებს ვხედავდეთ. მაგრამ აქვე მსურს, რომ ეს თვალისჩინი მოგვეცეს არა ცნობისწადილისათვის, არა იმისათვის, რომ სარწმუნოების საიდუმლოებანი გავიგოთ, არა იმისათვის, რომ ისინი გამოვიძიოთ, არამედ იმისათვის, რომ მისი ზნეობრივი მდგომარეობები შევიმეცნოთ და არა ბრძენნი, არამედ მორწმუნენი გავხდეთ. მაცხოვარი ამას მინდორში ჩამარხულ განძს ადარებს: *«მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა, დაფარულსა ყანასა შინა»* (მთ. 13, 44). იოანე ოქროპირის თქმით ეს ნიშნავს იმას, რომ საკმარისი არ არის რაიმე გქონდეს, ის უნდა ნახო, გაიგო, რათა შემდგომ ცხონების საქმისათვის გამოიყენო. მაგრამ ჩვენი სული ყველაფერს ითვალისწინებს, ოღონდ ამას _ არა. ამ საუკუნის სწავლება, პოლიტიკის მდგომარეობა, გამორჩენის ხელოვნება მთელ ჩვენს გონებაზე ბატონობს, ვცდილობთ, ვერცხლისმოყვარეობა, სიამაყე და ცნობისწადილი დავიკმაყოფილოთ. ჩვენ ყველაფერს ვიგებთ იმის გამოკლებით, რაც უნდა გავიგოთ, ამიტომ უფლება მაქვს წინასწარმეტყველ ოსესთან ერთად ვთქვა: *«არცა მეცნიერება ღმრთისაი ქუეყანასა ზედა»* (4, 1) და ვთქვა ქრისტესთან ერთად: *«არცაღა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე»*.

ორი სხვადასხვა ზედწერილის ნახვა შეიძლება ღვთაების საკურთხეველზე, რომელსაც აქ, დედამიწაზე, ეთაყვანებიან. ერთია «განცხადებულ ღმერთს» _ ებრაელთა შორის იუდეაში; მეორე: *«უცნაურ ღმერთს* (საქმე 17, 23) _ ათენელთა შორის ელადაში. იქ იკითხება: *«განცხადებულ არს ჰურიასტანს ღმერთი»* (ფს. 75, 1), რამეთუ იგი ამდენ სასწაულშია შეცნობილი. აქ _ უცნაურ ღმერთს, რამეთუ არ გაცხადდა რწმენის ჭეშმარიტ ნათელში. ამ ზედწერილთაგან რომლის ამოტვიფრა გგონიათ უფრო მოხერხებული ჩვენს საკურთხევლებზე, რომლებსაც იუდეველთა და წარმართთა საკურთხევლების ნანგრევებზე აღვმართავთ? ბევრი რომ არ გაწვალოთ, თავად ვიტყვი: წარწერა _ «უცნაურ ღმერთს». დიახ, ჩვენ გვწამს ღმერთი, მაგრამ არასდროს აღვაპყრობთ თვალებს ზეცისაკენ იმისათვის, რომ შევიცნოთ იგი ისე, როგორც ეგების, მისი განგებულების საიდუმლოთი განვკვირდეთ, მისი ყოვლადბრძნობის სიღრმეში შევაღწიოთ, მისი მოწყალების საოცრებანი აღმოვაჩინოთ. «უცნობ ღმერთს». ჩვენ გვწამს იესო ქრისტე, მის სასწავლებელში დავიბადეთ და დავბერდით კიდეც, მაგრამ მისი ცხოვრების, მისი სწავლების ჭეშმარიტების, ტანჯვათა დამსახურებისა და მისი განდიდების სარგებლიანობისა ჯერაც არა ვიცით რა. «უცნობ ღმერთს». ჩვენ მის ეკლესიაში ვცხოვრობთ და არ გვესმის რას ნიშნავს იყო ნაწილი ეგზომ წმიდა სხეულისა. ჩვენ მის დღესასწაულებს ვზეიმობთ, მაგრამ მათი მნიშვნელობა არ გვესმის; მის კანონებს ვემორჩილებით და მის ყოვლად ბრძნობაზე არ ვფიქრობთ; მის საიდუმლოებებს ვეზიარებით და მათი ნაყოფი არ ვიცით; მისი საზეიმო მსახურების მოწმენი ვხდებით და არ ვწვდებით მათ საიდუმლო შინაარსს _ «უცნობ ღმერთს».

უფალო ჩემო! რა სარგებლობაა ჩემთვის, რომ შენგან რწმენისათვის წარმოგზავნილი უხვი სინათლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე დიდებულ დღეს ვიშვი, თუკი ჩემში წყვდიადსა და ღამეს ვატარებ? თუკი ნებაყოფლობითი და ამიტომაც შერაცხილი უმეცრება მალავს უწმიდესი რწმენის საგანძურს, რომელიც მომმადლე, როგორ უნდა ვისარგებლო ჩემი ცხონების ნაყოფით? მტრებთან საბრძოლველად შენგან ბოძებული იარაღი უსრულყოფილესი მოწყობისაა, ის შენი ყოვლადბრძნობითაა დამზადებული, შენს სიყვარულში ნაწრთობი იარაღი, რომელმაც თავისი ძალა ამდენი მასწავლებლის, მოღვაწისა და მოწამის ხელში სასწაულებრივად დაამტკიცა, იარაღი, რომელმაც იმდენი სასწაული აღასრულა, რომელთა სახელობითი გადათვლა მრავალრიცხოვნობის გამო შეუძლებელია, რომელთა უწყვეტი აღსრულება უკვე დიდი სასწაულია, იარაღი, რომელიც გამარჯვების მოსაპოვებლად საკმარისია მხოლოდ გამოიყენო, რამეთუ *«ესე არს ძლევაჲ, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი»* (1 იო. 5, 4).

მაგრამ რაღაა ყოველივე ამისაგან? არავითარ სარგებელს არ ვიმედოვნებ, რადგან მისით სარგებლობას არა ვარ ჩვეული, _ *«ვერ განუხდე ამით»* (1 მეფ. 17, 39). როგორც საულის იარაღზე თქვა დავითმა, მეც ასევე შემიძლია ვთქვა: კიდევაც რომ მქონოდა ჩემი რწმენის შემეცნება, რათა მერწმუნა მართლად, მაგრამ ის საქმეში არ გამომეყენებინა, რათა სწორად მეცხოვრა, რა სარგებლობა მექნებოდა მისგან?

«რა სარგებელ არს... უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს, და საქმენი არა ჰქონდენ?» _ ამბობს მოციქული იაკობი (იაკ. 2, 14) რა სარგებელ არს, იმეორებს პეტრე დამიანე, თუკი ვისმეს აქუს რწმენა _ კათოლიკე (საყოველთაო) და წარმართულად ცხოვრობს?

II

ეს მეორე ნაკლია ჩვენი რწმენისა. იმისათვის, რომ ის კარგად გავიგოთ, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკე ანუ იმაზე, რომ ღვთაებრივი სიტყვის განკაცების მიზანი იყო კაცთა მოდგმის წარმართვა საუკუნო ცხოვრებისაკენ და მისი დაბრუნება სიწმინდის გზაზე. იმისათვის, რომ მცირეოდენი თიხისაგან ღმერთს ადამიანი შეექმნა და უსარგებლო ქმნილებიდან ის გაცილებით სრულყოფილ ქმნილებად ექცია, საჭირო იყო მხოლოდ (ვსარგებლობ წმინდა წერილის სიტყვებით) მცირე ზემოქმედება მისი ხელისა და მის ბაგეთაგან შთაბერვა _ ასე ცოტა რამ! მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანისაგან ქრისტიანი რომ ექმნა, ამისთვის ზეციდან ჩამოსვლა, თავის დამდაბლება, ტანჯვა და სიკვდილი დასჭირდა. საჭირო იყო, რომ იესო ქრისტეს მისთვის ნათლობით ახლად შობა მიეცა, იგი ძმასავით მიეღო, თავისი სისხლით განებანა, თავისი დამსახურებების სახით ამოუწურავი საგანძური, და თავის საიდუმლოებებში მარადიული მადლის წყარო დაეტოვებინა მისთვის. საჭირო იყო შეექმნა ახალი სამყარო, დაეფუძნებინა ახალი ეკლესია, მასში ახალი ეპისკოპოსები, მღვდლები და მქადაგებლები დაედგინა, რათა ადმიანი სიყვარულის გაცილებით აღმატებულ საქმეებში დაემოძღვრა. ღმერთმა ერთი სიტყვით ცა და მიწა შექმნა, სხვა მხრივაც დიდი სასწაულები აღასრულა, რათა ქრისტიანი შეექმნა. როგორ გგონიათ, რა უნდა იყოს ქრისტიანი? ღმერთს უნდა, რომ ის იყოს დიდება განკაცებული სიტყვისა, ნაყოფი მისი ტანჯვისა, საგანი მისი სიყვარულისა და მემკვიდრე მისი ნეტარებისა. ძმანო, ამის გაგება ადვილია, ამის შესახებ მოციქული პეტრე გვეუნება: *«არამედ მწოდებელისა მისებრ თქვენისა წმიდისა და თქვენცა წმინდა იყვენით ყოველსავე შინა სვლას თქუენსა»* (1 პეტ. 1, 15). მას სწორედ ის სურს, რომ თითოეული ქრისტიანი თავის თავში გრძნობდეს უცილობელ ვალდებულებას _ იყოს წმინდა. ამიტომ იესო ქრისტეს სჯული, რომელიც არის წესი სიწმინდისა, ნამდვილად მორწმუნე საზოგადოებას, უმწიკლო და უმანკო ეკლესიას მოითხოვს. მაშ ასე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს სჯული სხვა დანარჩენ სჯულზე წმინდაა, იგი თავისთვის სხვებზე მეტად წმინდა, რჩეულ, კეთილი საქმის მოშურნე ადამიანებს მოითხოვს. ქრისტიანი, ნიშნავს ადამიანს, უფრო სულიერს, ვედრე ხორციელს, უფრო ზეციურს, ვედრე მიწიერს, საკუთარ თავში ყოველივე ქვეყნიურის მიმმსჭვალავს, იესო ქრისტეს სახელით შემოსილს, რა თქმა უნდა, არა მისი სამოსით, არამედ თავად მისით. მოციქული პავლე ამის შესახებ ამბობს: ,,*რამეთუ რავდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ»* (გალ. 3, 27). ანუ მან იესო ქრისტეს ცხოვრების მსგავსი ცხოვრებით უნდა იცხოვროს, თითქოს ქრისტეა მასში, რათა შეძლოს მოციქულთან ერთად თქმა: «*ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე»* (გალ. 2, 20). ამგვარია ცხოვრება, რომელიც ქრისტიანს შეშვენის. ამას ამქვეყნად ქრისტეს სარწმუნოება მოითხოვს. და მაინც, თუკი ჩვენს ცხოვრებას გამოვიძიებ, დავინახავ, რომ *«არცა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე».* ჩვენს საქმეებში ვერ ვხედავ სიწმინდეს, ქრისტიანთა შორის ვერ ვპოულობ ქრისტიანს, რომელიც ჩვენს მაცხოვარს ჰყავს მხედველობაში, პირიქით, იუდას ვერცხლისმოყვარეობას ვპოულობ, წარმართის სიძვას, ეპიკურეს მიმდევრის თავგასულობას, პირუტყვულ უხმარობასა და მხეცურ უგუნურობას, ვპოულობ მკვლელობას, შურისძიებას, ყაჩაღობას, მრუშობას, ცოდვებს, რომელთა დასახელებაც კი არავინ იცოდა უწინდელ ქრისტიანთაგან. ამ უმწიკვლო და მოსიყვარულე ადამიანებს წარმართების წინაშე არანაირი ბრალი მიუძღოდათ, გარდა თავიანთი რწმენისა. უცნაური რამაა! უახლესი ქრისტიანები თავიანთი ცდომილებით ისე ჰგვანან წარმართებს, როგორც ძველი ქრისტიანები

აღემატებოდნენ ყველა წარმართულ ღმერთს სათნოებებში. ამგვარად მთელი ჩვენი რწმენა საბოლოოდ რწმენის გარეგნული ნიშნებით იფარგლება, საქმეებით, რომლებიც მოკლებული არიან ყოველგვარ დამსახურებას, და რომლებიც უფრო ჩვევით კეთდება, ვიდრე სიყვარულით, რომლებზედაც გარეგნული გამოსახულებაა აღბეჭდილი, მაგრამ არანაირი ღირებულება არა აქვთ. ამიტომ ღრმად ვცდებით, თუკი ასეთი რწმენით ნეტარების მიღწევას ვიმედოვნებთ. ასეთსავე ცდომილებაში იყო უწმინდური მეფე ბალთასარი, რომელსაც სჯეროდა, რომ ბაბილონში პატივცემული კერპი ბილი ცოცხალი ღვთაება იყო და გულისწყრომით ეუბნებოდა დანიელს: *«არ საგონებელ არს შენდა ბილ ყოფად ცხოვლად ღმერთად?* (დან. 14, 6 და 4) არ შეცდე მეფევ, ღიმილით მიუგო კეთილმა წინასწარმეტყველმა: *«ნუ სცთები, მეფე, რამეთუ ესე შინაგანი უკუე თიხა არსა, ხოლო გარეგანი რვალი»* (დან. 14, 7) გული მტკივა, რომ იგივე ჩვენს შესახებ უნდა ვთქვა. ჰოი ქრისტიანენო, ჩვენი რწმენა ცოცხალი არ არის, არამედ სახეა, მკვდარი ნეშტია ჩვენი რწმენისა. მას თავისი დამფუძნებლის სული არა აქვს, არ მოძრაობს, არ მოქმედებს, მხოლოდ გარეგნულ საქმეებში ჩანს. სინამდვილეში კი მკვდარია, რამეთუ *«სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს»* (იაკ. 2, 26) და ჩვენ, ძმანო, ქრისტიანის სახის მქონენი, პავლე მოციქულის მიერ მხილებულ იმ ცრუ მორწმუნეებს ვგავართ, რომლებიც ღმერთს სიტყვით აღიარებდნენ, საქმით კი უარყოფდნენ: *«ღმერთს აღიარებდნენ ვითარმედ იციან, ხოლო საქმითა უარ-ჰყოფენ»* (ტიტ. 1, 16). როგორც ამბობს წმინდა იერონიმე: «აღსარებით ერთს დაამოწმებენ, ქცევით _ მეორეს». ქრისტიანენო! ისინი, ვისი რწმენა ცხოვრება ერთმანეთს არ ეთანხმება, და რაც უარესია, შესაძლოა იესო ქრისტეს სამოსით იყვნენ მოსილნი _ დემონები არიან. საძაგელი სანახავი ვართ, როცა ასეთი რწმენის მატარებელნი, გარეგნულად მშვენიერნი ვჩანვართ, შიგნიდან კი უწმიდური სული გვაქვს. გიმეორებთ, ეს საძაგელი სანახაობა ჩვენს მტრებში სიცილსა და გინებას იწვევს. სწორედ ამას ამბობს სალზიანეც: *«ჩვენში ქრისტე შეიგინება, ჩვენში ქრისტეს სჯული შეილანძღება».*

აი, მთავარი ნაკლოვანება ჩვენი რწმენისა, ნაკლოვანება, რომელიც გონებას შეეხება, რამეთუ არ ვიცით რა გვწამს; ნაკლოვანება გულისა, რადგან რწმენის შესაბამისად არ ვცხოვრობთ. ესე იგი ჩვენი რწმენა არასრულყოფილია და გაცილებით დაბლა დგას ასისთავის რწმენაზე, რომლის მსგავსიც მაცხოვარმა ვერც ისრაელის ერში პოვა და ვერც ქრისტიანულ სამყაროში _ *«არცაღა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე».* თუკი განკურნება ავადმყოფობის ამოცნობაში მდგომარეობს, მაშინ ამისი იმედი ჩვენი რწმენის ნაკლოვანებათა აღმოჩენით უნდა მქონდეს, სახელდობრ: ეს ნაკლოვანებები, რაკიღა ისინი მთელი სიცხადით წარმოვაჩინე, იოლად შემიძლია გამოსწორებული დავინახო. წარმართი ასისთავის რწმენის წარმოჩენით ქრისტიანული მხედრობის წინაშე რწმენის შესახებ ვისაუბრე. ეს მხედრობა მზად არის სისხლი დაღვაროს ყველაზე ჭეშმარიტი აღმსარებლობისა და ყველაზე რელიგიური სახელმწიფოს სადიდებლად; ეს განსაკუთრებით შენ გეხება უაღმატებულესო ბატონო (მიმართავს მთავარსარდალ გრიმანის), ამ სარწმუნოების უძლეველო დამცველო და ამ სახელმწიფოს უმაღლესო გონებავ! იმ მრავალ სათნოებას შორის, რომლებითაც ღმერთმა შენი კეთილშობილი სულის დამშვენება კეთილინება, გამორჩეულია _ კეთილმსახურება, რომელიც შენს გონებასა და გულში მეფობს, რათა სრულყოფილად იცოდე, რა გწამს, და ამ რწმენის თანახმად იცხოვრო. შენი სამართლიანობის სასწორი ამ სამართლიანობას უპყრია, შენს შემწყნარებლობას სიყვარულს შთააგონებს, შენს მამაც ხელს ამოქმედებს, შენს სიმარდეს,

სიფხიზლესა და დაუღლელობას უზრუნველყოფს. ამ სარწმუნოებას შენი სახით უდიდესი გმირი იცავს! დიახ, შენში არის ძალა იმისა, რომ შენი მაგალითით სათნო ქრისტიანები წარმოშვა; ისევე, როგორც შეგწევს ძალა იმისა, რომ შენი ქვეშევრდომნი ბედნიერნი გახადო!

სიტყვა მტრის სიყვარულზე

«გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი
შენი და მოიძულო მტერი შენი; ხოლო მე გეტყჳ
თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და
აკურთხევდით მწყევართა თქუენთა»

(მთ. 5, 43-44)

ჰოი, იესოვ! რომ მომიტევებდე, გეტყოდი, რომ შენი ამ ახალი მცნების შესახებ ადამიანებთან საჭირო აღარ არის ლაპარაკი. მასზე ამ დრომდე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ, საუბედურად, ამან შედეგი არ გამოიღო. იმიზეზებენ, რომ შეუძლებელია მისი შესრულება, რამეთუ ბუნების კანონების საპირისპიროა, ან თავხედურად აცხადებენ, რომ მას არავინ შეასრულებს, რადგან თავმოყვარეობას ეწინააღმდეგება. ამიტომ საუბრის განგრძობა იმათთან, რომლებიც თვლიან, რომ ამის უნარი არა აქვთ, ან იმათთან, ვისაც არ სურს, დაემორჩილოს მას, კანონის სიწმინდისა და კანონმდებლის ღირსების საფრთხის წინაშე დაყენებას ნიშნავს. ამჟამად ქვეყანაზე ბატონობს წესი, საწინააღმდეგო შენი წესისა. არავინ არაფერს ცნობს, გარდა შურისძიებისა, რასაც «დიად სულთა კეთილშობილურ სწრაფვას» უწოდებენ. არაფერი ისე არ იგმობა, როგორც მტერთათვის მიტევება, რასაც «უძლური სულის არარაობას» ეძახიან. ის, რომ შეურაცხყოფილს აღუკვეთო თავისი შურისმაძიებლობით მიღებული დამღუპველი სიამოვნება, დიდ უწესრიგობად და უკიდურეს გულუბრყვილობად ითვლება.

«გიყუარდედ მტერნი თქუენნი... კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა». უფალო, თუკი შენ ასე გსურს, რომ ადამიანებს ერთმანეთი უყვარდეთ, დაე, ასეთ შემთხვევაში კანონი შესწორდეს, უპირველესად მათ ემცნოთ სიყვარულის გაცილებით მოკრძალებული სახე, ჯერ იმათ სიყვარულს მიეჩვიონ, ვისაც ისინი უყვარს, შემდეგ კი მოძულენი შეიყვარონ, პირველ რიგში, კეთილისმყოფელებისადმი მადლიერებას მიეჩვიონ, რათა შემდგომ იმათი სიკეთისყოფა ისწავლონ, ვინც მათ ვნებს. თუ არა და როგორ უნდა იქადაგებოდეს მტრებისადმი სიყვარული, როცა მეგობრებს არ უყვართ ერთმანეთი, ძმებსაც _ ასე თუ ისე, როგორღაც. შეურაცხყოფის სიკეთით გადახდა იქადაგებოდეს მაშინ, როცა სიკეთეს გმობით უხდიან? დაე, ადამიანები ჯერ ადამიანებად იქცნენ, რათა შემდგომ ქრისტიანები გახდნენ! ბუნების კანონები გაიგონ, რათა რწმენის კანონები შეიმეცნონ. ჩემო საყვარელო მსმენელნო, არასდროს ყოფილა ისე, როგორც ახლაა, ამ საუკუნეში, როცა ძლიერ გაცივდა სიყვარული, საერთოდ ჩაქრა ადამიანთა გულებში! ამის მიუხედავად იესო ქრისტეს სურს, რომ ითქვას, იქადაგებოდეს, ხმამაღლა გაუმეორონ მისიანებს, ქრისტიანებს: *«გიყუარდედ მტერნი თქუენნი... კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა».* რათა ყველამ იცოდეს, რაოდენ მნიშვნელოვანია შესრულება კანონისა, რომელიც მას საგანგებოდ ეკუთვნის. მართლაცდა ქვეყნად არვის სმენია სწავლება ამაზე მაღალი და

კეთილშობილური, სწავლება, რომელიც თანაბრად ღირსია მისი მომცემელი ხელმძღვანელისა და ქვეშევრდომისა. ის, ვინც სრულყოფილი სიყვარული უნდა ასწავლოს, ღმერთკაცია; ვინც საქმეს სრულყოფილი სიყვარულით უნდა მოეკიდოს, ქრისტიანია. ამაზე დაყრდნობით ვბედავ დაგიმტკიცოთ, რომ ბუნებაც და ქრისტეს სჯულიც ამ მცნების მიღებას ჩვენგან ერთხმად მოითხოვს, ბუნებას სურს, კანონი მოითხოვს. ვისაც ადამიანად ყოფნა უნდა, ის ბუნებითად უნდა შეასრულოს, ვისაც ქრისტიანად ყოფნა სურს, ის სჯულით უნდა აღასრულოს. ჩემს საუბარს ამის შესახებ, ორ ნაწილად გავყოფ.

I

ახლა არ მინდა იმისი კვლევა, თუ როგორ იმსჯელებდნენ ძველად ადამიანური ვნებების შესახებ ფილოსოფოსები და წმიდა წერილზე დაყრდნობით როგორ ასწავლიან მათ შესახებ ეკლესიის მამები. მინდა იმაზე გაგესაუბროთ, თუ რას ვგრძნობთ ჩვენსავე თავში, რათა გავიგოთ, რომ ჩვენი ვნებები, რბილად რომ ითქვას, ჩვენი დიდი სნეულებებია. როცა ჩვენს ბუნებას სწადია, ეშინია ან სხვაგვარად აღიგზნება, ის იტანჯება, ითმენს, მღელვარებს და იმ სიმშვიდიდან გამოდის, რომელშიც, ასე ვთქვათ, მისი ჯანმრთელობა მდგომარეობს. წარმოიდგინეთ მისი მღელვარება, როცა ვნება ეუფლება, რომელიც ანგრევს მის ჯანმრთელობას და მის გრძნობებში შფოთი შეაქვს. მაშინ ის ავადაა მოუსვენრობით, მისი გემოვნება ირყვნება და მეტად სურს ის, რაც მოსწონს, ვიდრე ის, რაც სასარგებლოა; აკეთებს იმას, რასაც გრძნობს და არა იმას, რისი კეთებაც ევალება. მისი მოძრაოებები მკვეთრია, განსჯა _ უგონო, ცხოვრება _ გატანჯული. წარმოიდგინეთ ის მშვიდი, სულის სრულყოფილ სიჩუმეში, გულის შინაგან სიმშვიდეში. მაშინ ის ჯანმრთელია, მართებული გრძნობებითა და თანმიმდევრული სურვილებით, გონიერებით, რომელსაც სწორი განსჯისაკენ მიმართავს, და მტკიცე ნაბიჯით მიდის ცხოვრებისაკენ, რომელიც სავსებითი ცხოვრებაა, რამეთუ სავსებითი სიჩუმეა.

მაგრამ ყველა ვნებათა შორის ყველაზე დიდია სიძულვილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას შურისძიების მომაკვდინებელი ნიშნებიც ახლავს. რა სნეულებაა ეს აალებული ნაღველი, შინაგანად რომ აღაგზნებს სამშვინველს, ათასი მღელვარებით შებოჭილ, მწუხარებით დამახინჯებულ სახეზე რომ აღიბეჭდება; ეს მოწყინების დიდი სიმძიმეა, რომელიც გულს აწვება, აღელვებს და თრგუნავს; ეს აღგზნებაა სულისა, რაც საშინელ ქმედებებს იწვევს; ეს გონებაში დამღუპველ ზრახვათა მღელვარების ამტეხი ბნელი ღრუბელია; ყველანაირ სიამეთა მომწამვლელი, სისასტიკის წამქეზებელი და მწველი შხამია სისხლში; ციებ-ცხელებაა ხან ცივი შიშით, ხან სიფიცხით, ხან კი მზაკვრული ცდუნებებით; სნეულებაა, რასაც ერთმა ბრძენმა «ბოროტი ვნება» უწოდა.

სხვათა მოძულე შურისმაძიებელი საკუთარი თავის სიძულვილამდე დადის. ის მეტისმეტად იტანჯება იმის გამო, რომ არაფრის დათმენა არ ნებავს. მას შურისძიება სურს. მაგრამ საკუთარი თავის საზიანოდ, რამეთუ, როცა შურისძიებას განიზრახავს, მან ამით უკვე იძია შური საკუთარ თავზე.

ამგვარი უგონო აღგზნება წმიდა წერილში «მზაკვარი სულის» სახელს უკავშირდება, სწორედ იმ დემონის სახელს, რომელმაც ერთ დროს მეფე საული აღაშფოთა: *«და სული უფლისა განეშორა საულისგან და შეუჯდა მას სული უკეთური ბრძანებითა უფლისათა და აჭირვებდა მას»* (I მეფ. 16, 14). არ ყოფილა ისეთი მეფე, რომელიც არ იოცნებებდა თავისი ცხოვრების სიმშვიდეში გატარებაზე. მას, ვინც ებრაელთა სამეფო ტახტზე მდაბიოთაგან იქნა აყვანილი, ვინც ქვეშევრდომებს უყვარდათ, მეზობლებს ვისი შიშიც ჰქონდათ, ვისაც

წინასწარმეტყველი მინისტრები ბრძნულ რჩევებს აძლევდნენ და ვისაც იფარავდა ყოვლადძლიერი მარჯვენა ღვთისა, რომელიც მის ჯარს წინ მიუძღოდა, რაღა რჩებოდა გასაკეთებელი, რომ ნამდვილად გამხდარიყო ის, რაც ასე ძნელი მისაღწევია _ მეფე და თანაც ბედნიერი? მან შეიძულა დავითი და მასზე შურისძიება განიზრახა. ეს კმაროდა იმისათვის, რომ საული უბედური ადამიანი გამხდარიყო. შხამიანი შურის ჯოჯოხეთის გამო, რომელიც გულს უღრღნის, შავბნელ მღელვარებათა გამო, სასახლის მიტოვებას და უდაბნოში გაქცევას რომ აიძულებს, უგონო მრისხანების გამო, რაც მთელი ერისათვის საძულველს ხდის, უცნაურია, მაგრამ ის აღარ არის მეფე და ადამიანი! ერთადერთი ვნება აღუკვეთს სიამოვნებას, სამეფოსა და სიცოცხლეს, ერთი ვნება _ «მზაკვარი სული», ჯოჯოხეთიდან მოსული, სადაცა აქვს ძალა, სადაც წარწყმედილებს აქვთ ნება ერთურთის სიძულვილისა.

დაე, აღშფოთებულ ბუნებას დაუბრუნდეს სიმშვიდე. ავადმყოფისათვის თითქოს დაბრუნებული ეს ჯანმრთელობა და სიმშვიდე სხვა არაფერია, თუ არა მშვიდობა და სიყვარული; ის საამო სიმშვიდეა, რასაც შემორიგებული საული დავითის ქნარის აჟღერებით განიცდის, ნეტარი სიჩუმეა, რომელშიც სულიერ გზნებათა შემოტევებისაგან და ღვარძლიან გრძნობათა დუღილისგან თავისუფალი სული ყველა სიტკბოებასა და მშვიდ ცხოვრებას შეიგრძნობს; ის ბუნებრივი მდგომარეობაა, რომელშიც ადამიანი თავისთავად იმყოფება, რამეთუ აღარაა დამახინჯებული მხეცური მძვინვარებით და მხოლოდ კაცთმოყვარე სახით წარმოჩნდება. ამიტომ ვამბობთ: თუკი ბუნებისათვის ჩვეულია უფრო სიყვარული, ვიდრე სიძულვილი, ის მეტად მიდრეკილი უნდა იყოს მიტევებისა და სიყვარულისაკენ, ვიდრე შურისძიებისა და სიძულვილისაკენ. ასე რომ, მტრისადმი სიყვარულის მცნება არათუ ბუნების საწინააღმდეგოა, პირიქით, სასარგებლოა მისთვის, რადგან მხოლოდ ბუნების სიმშვიდეს შეუძლია მისთვის სიმრთელის დაცვა. ასეთი მცნების შეუსრულებლობა იქნებოდა საკუთარი ბუნების წინააღმდეგ წასვლა და საკუთარი თავის საჯაროდ ცნობა სულელად და არაადამიანადაც კი.

მაგრამ მეტყვიან: «შურის საძიებლად შეიარაღდე, რათა მიაგო შეურაცხმყოფელს, განა ბუნებრივი სურვილი, ბუნებრივი კმაყოფილება არ არის?» თუკი არის კიდეც კმაყოფილება, ესაა გაბატონებული ვნებით აღელვებული ავადმყოფი ბუნების წადილი; ციებით ავადმყოფს ხურვების შემოტევისას წყალი უნდა, რომ აალებული წყურვილი მოიკლას, მაგრამ მისი სურვილი არაა გამართლებული, რასაც ის ითხოვს, შხამია მისი ჯანმრთელობისათვის და არა ნამი ხურვებისათვის. ის ნამდვილად სიამოვნებაა, მაგრამ სიამოვნება მზაკვარი სულისგან მომძლავრებული, აღელვებული და არა გონივრულად მართული ბუნებისა. ეშმაკეულებსაც ხშირად ძლიერ უნდათ კლდიდან გადავარდნა და სხეულის დასახიჩრება, როგორც ამბობს მათზე ანდაზა: «იცინიან და თავს იღუპავენ». თუმცაღა სისხლი ძარღვებშიც და მის გარეშეც იჩენს თავს, როგორც უდანაშაულო პირველმოწამის სისხლი, რომელიც, მართალია, უსიცოცხლოდ, მაგრამ არცთუ უგრძნობლად ღაღადებდა სასტიკ ძმისმკვლელზე შურისძიებას. ღმერთი ეუბნება კაენს: *«ჴმაი სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩუენდამო ქუეყანით»* (დაბ. 4, 10). ოო, ეს სისხლი ალბათ მეტად ბლანტია, ხორცს მეტად შეიცავს, ვიდრე სულს, რაკიღა ის «ქუეყანით» დუღს და კეთილშობილების სიმაღლეზე არ ადის. კაენზე შურისძიების მღაღადებელი სისხლი არ არის აბელისა, ეს ის არ არის, რომელიც მის ძარღვებში სიკვდილისწინა ბრძოლისას ჩქეფდა. ეს უკვე მიწიდან მღაღადებელი სისხლია მოკლული აბელისა. ყურადღება

მიაქციეთ წმიდა წერილის სიტყვებს: *«ჰმაი სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩუენდამო ქუეყანით»*. მეუფე ამბროსი ამის შესახებ ამბობს: «ღვთაებრივი წერილი ამის შესახებ არ წერს საიდუმლო შინაარსის გარეშე, მაგრამ ისე კი წერს, რომ გავიგოთ: ეს სისხლი შურისძიებისა ადამიანისა არ არის, ეს არის გაბინძურებული, გამიწიანებული სისხლი «მიწისაგან». პლატონიც ამბობს, რომ, რაც უფრო კეთილშობილია მავანი, მით ნაკლებად შეუძლია მძვინვარება. ეს ეშმაკეულება, ამატებს ფილოსოფოსი, ცუდი ადამიანების სიგიჟეა, კადნიერებაა მდაბალ სულთა, რომლებიც ვერ ბედავენ წინ აღუდგნენ ან დათრგუნონ ძალა აჯანყებული ვნებისა. «შურისძიება მოკლე, სნეული და მდაბალი სულის სიამოვნებაა». შურისძიების მღაღადებელი ხმა არის ხმა ცოდვიანი წარმოშობის სნეულებრივი მიმართულების სისხლისა, ანუ «მიწისაგანი». ასე რომ, ბუნებას, საღ და კეთილშობილურ მდგომარეობაში განხილულს, მხოლოდ სიყვარულისა და მშვიდობის გრძნობა აქვს. თუკი მას სძულს, მაშინ ამის გამო იტანჯება და ითმენს, თუკი უყვარს _ ისვენებს და ხარობს.

აღგზნებული და შეშლილი, მხეცებისაგან დიდად არ განსხვავდება; ზომიერება და სიმშვიდე ჭეშმარიტად ადამიანურია. ზნეობრივი ფილოსოფოსი სენეკა ამბობს:L»ბოროტების კეთებისკენ სწრაფვა ბინძური, საძაგელი და სავსებით უცხოა იმ ადამიანებისთვის, ვისი კეთილი ქმედებაც ველურ მხეცებსაც კი ათვინიერებს. ჩვენი თხოვნა ადვილად იქნება შესმენილი, როცა სხვა მცნებათა დაუცველობისთვის გამოვითხოვთ მიტევებას. მაგალითად, მცნებისა მარხვის შესახებ, რომლითაც ხორცს ვთრგუნავთ, მოწყალების შესახებ. სრულიად გასაგებია, რომ ჩვენი აგებულების სისუსტეს თავშეკავების სიმძიმის ატანა არ შეუძლია; გასაგებია, რომ ჩვენი წოდებები საშუალებას არ გვაძლევს ლოცვას დიდი დრო დავუთმოთ, ისიც გასაგებია, რომ მცირე ქონება ჩვენვე არ გვყოფნის, მაგრამ როცა გვინდა შეურაცხყოფა მივუტევოთ, რა გამართლებას მოვიტანთ? რა გვაკლია კეთილი ნების გარდა? აქ არ არის დიდი ძალისხმევის ან უკეთესი მდგომარეობის აუცილებლობა, აქ მხოლოდ ჩვენ ბაგეთაგან თანხმობა და გულის გრძნობაა საჭირო. ამისთვის ვართ შექმნილი, რადგან ადამიანები ვართ. ჩვენ ერთი და იმავე ბუნებისანი ვართ, რომლის თვისებაც სიყვარულია. უფალო ჩემო! მტრებისადმი მიტევების მცნება რომ არც მოგეცა, ის ჩვენ უნდა შეგვექმნა, რადგან მშვიდობა, ერთიანობა, სიყვარული არის სიმშვიდე, სიცოცხლე და ნეტარება ჩვენი ბუნებისათვის.

აქამდე უბრალოდ ადამიანებს ვესაუბრებოდი. ახლა ქრისტიანებს მინდა ვესაუბრო და ვიმეორებ: *«გიყუარდედ მტერნი თქუენნი... კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა».* ადამიანებო, გიყვარდეთ, რამეთუ ამას თქვენი ბუნება მოითხოვს! ქრისტიანებო, გიყვარდეთ, რამეთუ ამას თქვენგან სჯული მოითხოვს. თითქოსდა მესმის როგორ ეუბნება თავის მოწაფეებს ქრისტე: ვუწყი, რომ ბუნების წესია _ გიყვარდეს, თუ გინდათ, რომ სხვებსაც უყვარდეთ: *«და ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაჲთა გიყონ კაცთა, თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ»* (ლკ. 6, 31). ვიცი, რომ მოსეს სჯული მოყვასის სიყვარულს საკუთარი თავის სიყვარულივით გვავალებს: *«შეიყუარო... მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი»* (ლკ. 10, 27), მაგრამ მინდა ორსავე კანონს დასრულებული სახე მივცე. მინდა ისინი სიყვარულის უმაღლესი ხარისხის სრულყოფამდე აღვიყვანო. მე ახალი სახის სიყვარულს მოვითხოვ _ მოძულეთა მიმართ სიყვარულს; აღიარების ახალ სახეს _ ბოროტების წილ კეთილის მიგებას: *«ხოლო მე გეტყჳ თქვუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი... კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა».* ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნის ის,

ვისაც ბუნებითი კანონით ისე არ უყვარს, როგორც ისურვებდა, რომ ის უყვარდეთ. ღვთის რჩეულ ხალხს არ ეკუთვნის ის, ვისაც დაწერილი კანონის მიხედვით საკუთარი თავივით არ უყვარს მოყვასი, ქრისტეს მოწაფე არ არის ის, ვისაც თავისი მტერი არ უყვარს და ბოროტის წილ სიკეთეს არ მიაგებს.

«ხოლო მე გეტყჳ თქუენ». ქრისტიანენო, სცნობთ კი, ვისი ხმაა ეს? ეს ყოველთა უზენაესი უფლის ხმაა, შესმენილი ზეცად ყოველ ნეტარ სულთა მიერ, მიწაზე _ ყველას, უგრძნობელ და უშინაარსო ქმნილებათა მიერაც, ჯოჯოხეთში _ მისგან განდგომილი ყველა დემონის მიერ. ეს ხმაა სიუხვის მამისა, რომლისაგანაც მრავალრიცხოვან მიზეზთა გამო თაყვანისცემითა და მთელი ჩვენი გულით ვართ დავალებულნი. *«ხოლო... გეტყჳ».* ის ბრძანებს. და იმისათვის, რომ სულებს შიში აღარ ჰქონდეთ, იმისათვის, რომ საქმეს მოშურნედ შევუდგეთ და ამ დიად მცნებას ჩვენი უკმაყოფილების სიმძიმე უსიტყვოდ დავუმორჩილოთ, მცნებას საკუთარი მაგალითით აძლიერებს. საშინელი ტანჯვისას, როცა გამშოლტავნი სხეულს უფლეთდნენ, ეკლის გვირგვინით თავს უწყლულებდნენ, როცა აბუჩად იგდებდნენ და ცილს სწამებდნენ და ბოლოს განსაჯეს და ჯვარზეც მოკლეს, უდანაშაულო ძე ღვთისა არაფერს ამბობდა, უხმოდ იყო წმ. ესაიას ნაწინასწარმეტყველები კრავივით, რომელიც მოთმინებითა და მდუმარებით ანებებს საკუთარ თავს შესაწირავად. ის მხოლოდ მაშინ ამეტყველდა, როცა დაინახა, რომ მთელი ბუნება, რომელმაც დრტვინვა უკუნითა და მიწისძვრით გამოხატა, ზეციდან ღვთიური რისხვის ელვას _ მკვლელს უხმობს. მაშინ გააპო ბაგე თვისი და მის სიკვდილში ბრალეულთა მიტევებისათვის ლოცვა დაიწყო. ბრმა უმეცრების დარად ის ყველაზე საშინელ ბოროტმოქმედებას ამართლებს და ბოლო წუთს სიცოცხლისა, რომელიც ჯვარზედ უნდა დასრულდეს, თავის მტრებს იმავე დაუსაბამო მამას ავედრებს, რომელსაც სულს თვისას აბარებს: *«მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა»* (ლკ. 23, 46); *«მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან»* (ლკ. 23, 34).

უფრო მეტიც _ ქრისტე არა მხოლოდ მიუტევებს შეურაცხმყოფლებს, ივიწყებს კიდეც შეურაცხყოფას. მისი აღდგომიდან სამი დღეც არ იყო გასული, რომ სოფელ ემაუსთან გზადშემოყრილმა მოწაფეებმა ღრმა მწუხარებით აუწყეს მისი საშინელი სიკვდილი და მან ეს ამბავი ისე მოისმინა, თითქოსდა ამის შესახებ არაფერი იცოდა: *«შენ მხოლო მწირ ხარა იერუსალემს და არა სცანა, რაჲ-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა?»* (ლკ. 24, 18). ქრისტე, როგორც არაფრის მცოდნე, მათ კითხვითვე მიუგებს: *«რომელი?»* (ლკ. 24, 19), აღარ ახსოვს ცრემლთა ღირსი მწუხარე სახილველი, რომლის საგანიც თავად იყო, და რაც ჩვენში დიდ გაკვირვებას იწვევს ისაა, რომ აღდგომილ მაცხოვარს უნდოდა ღიად დაეტოვებინა ხელებზე ნამსჭვალი იარები და შუბით განგმირული ფერდი, როგორც უტყუარი მტკიცებულება თავისი დიადი აღდგომისა. მაგრამ მაშინ, როცა თავის ღმერთკაცობრივ სხეულზე სისასტიკით მიყენებულ ყველა იარას ატარებს, მეხსიერებაში უმნიშვნელო კვალის დატოვებაც არ სურს შეურაცხყოფისა, რომელიც, ასე ვთქვათ, ღვთაებრივ დავიწყებას მისცა: *«ჰრქუა მათ: რომელი?»*

ახლა კი, ქრისტიანო, უმზირე სანახაობას, რომლის საცქერადაც გიწვევს ნეტარი ავგუსტინე. გულისყური მიუგდე უფალს, ძელზე დაკიდებულს და იქიდან მეტყველს: _ მიუტევე, _ ამბობს ის. თვალნი მიაპყარ მასწავლებელს, რომელიც არა იმდენად მაკურთხეველთათვის, რამდენადაც თავისი მკვლელებისათვის ლოცულობს». მაშ ასე, გამოსყიდულო სისხლით, რომელიც მიტევებას ითხოვს მკვლელთათვის, სისხლით,

რომელიც უკანასკნელ წვეთამდეა დაღვრილი _ «გულისყური მიუგდე უფალს». შენ, გამრთელებულმა ჭრილობებით, რომლებიც ღიად იმისათვის როდი დარჩნენ, რომ შეურაცხყოფის ხსოვნასა და შურისძიების აღძვრას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ დიდების მარადიულ სახედ და მისი სიწმინდის ნათელ მოხაზულობად იქმნენ, თვალნი მიაპყარ მასწავლებელს. თვალი მიაპყარ უფალს, რომელიც ღალატისათვის ამბორს მიაგებს, დამცირებისათვის _ კურთხევას, ტანჯვის წილ _ მიტევებას, სიძულვილის წილ _ სიყვარულს. თვალი მიაპყარ მასწავლებელს, რომელიც ჯვარზედ დაკიდებული იმათთვის ლოცულობს, ვინც ის ჯვარზე მიამსჭვალა, ვინც ტკივილის მთელი სიმძიმის მიუხედავად მტანჯველთა შესახებ არაფერი იცის და რაწამს შეწყვიტა დათმენა, ისურვა, რომ ამ ამბავზე ყოველგვარი მოგონება გამქრალიყო; ამიტომ, თუკი ვინმემ იარაღით ახლობლები მოგიკლა და შენს სიცოცხლეს მზაკვრულად ემუქრება, თუკი გულის ყველაზე მტკივნეული ნაწილი ცილისწამებით მოგიწყლა, უკანასკნელი ქონება გაგტაცა, სიძულვილისთვის უამრავი საბაბი მოგცა, შენ კი მისთვის ზიანის მიყენების საშუალება გაქვს, მოდი, ჯერ ბოლომდე მოისმინე, რას ბრძანებს უზენაესი უფალი შენი. «გულისყური მიუგდე უფალს», ყურადღება მიაქციე იმას, რა მოიმოქმედა შენმა ღვთაებრივმა მასწავლებელმა მსგავს გარემოებებში. «თვალი მიაპყარ მასწავლებელს!» მოუსმინე, მოუსმინე და შემდეგ უთხარი საკუთარ თავს: «ძმაო, მე შეურაცხყოფილი ვარ, მაგრამ მე ადამიანი ვარ და საკუთარ გონებას უნდა დავემორჩილო. შენ მტერი ხარ ჩემი, მაგრამ რამდენადაც მტრისადმი სიძულვილი ჩვენი ნაკლულოვანების უტყუარი სახეა, შენმა შემხედვარემ მით უფრო უნდა შევიძაგო ჩემი თავი, ამიტომ სჯობს, სწრაფად გამოვსწორდე, ვიდრე შური ვიძიო. შეურაცხყოფილი ვარ, მაგრამ ამავდროულად ვარ ქრისტიანიც და სახარებას უნდა დავემორჩილო. შენ მტერი ხარ ჩემი, მაგრამ შუბლზე შენი შემქმნელი ღვთის ხელის ანაბეჭდს ატარებ, სულში შენი გამომსყიდველი ღვთის სისხლის ნიშანი გაქვს. ორივეს პატივისცემა მმართებს, რათა ღმერთი არ შეურაცხვყო. როგორიც უნდა იყო, ღმერთს უყვარხარ, უნდა, რომ ასევე მეც მიყვარდე და სიყვარულს იმდენად აღმითქვამს, რამდენადაც შენ მეყვარები. წადი, მე არა თვალთმაქცურად, შურისგების ფარული სურვილით, არამედ ჭეშმარიტად მოგიტევებ. იესო ქრისტე შენდამი სიყვარულს მავალებს. მე უფალს ვემორჩილები. იესო ქრისტემ თვითონ მიუტევა _ და მეც მასწავლებელს ვუმზერ. თუ მის მცნებებს არ ვასრულებ, თუ მის მაგალითს არ მივყვები, არა ვარ ღირსი მისი სახელის ტარებისა».

მართლაც, ქრისტიანის სახელის ტარების ღირსი არ არის ის, ვინც მიდრეკილი არ არის შესრულებისაკენ კანონისა, რომელიც ქრისტეს განსაკუთრებული კანონი და ქრისტიანობის განმასხვავებელი თავისებურებაა: «*ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას*» (იხ. 13, 35). ტერტულიანე ამ კანონის შესახებ საუბრისას ამბობს: «ქრისტიანის განძი რწმენის ეს დიადი საიდუმლოა». ამიტომ ჩემს თხრობას ასეთ დასკვნას გავუკეთებ: რომის ამფითეატრში, სადაც ჩვეულებრივ არა იმდენად შიმშილისგან გონდაკარგული მხეცები ძღებოდნენ სისხლით, რამდენადაც ცეზარის სასტიკი ზნე კმაყოფილდებოდა, ვხედავ, როგორ გამოდის ლომი არენაზე იმ დიდებული მხეცური წარმოსადეგობით, რომელიც ოთხფეხთა მეფეს ბუნებამ უბოძა. ის მღელვარებს, კუდს ფერდებში იცემს, ბრდღვინავს, აშინებს იქ მყოფთ, თავის მხეცურ ჟინს აღაგზნებს, სისხლისფერი ალივით რომ ანთებულა მის თვალებში. ბრჭყალებს აჩენს, რათა სისასტიკეს მისცეს გასაქანი. მან სხვა, მოწინააღმდეგე

ცხოველისაკენ შიმშილითა და მძვინვარებით გაღიზიანებულმა ისკუპა, თავს დააცხრა, ბრჭყალები ჩაავლო და მზად იყო გაეგლიჯა. მაგრამ... წამიერად თავს ანებებს თავის სიმხეცეს, თოკავს შეშლილობას, ბრჭყალებს მალავს, აღარ ფლეთს და სისასტიკეს თვინიერებად აქცევს. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ასეთი გარდასახვა გაშმაგებული ლომისა? დაიჯერებთ კი? _ თავისი ბატონის, ავგუსტუს დომიციანუსის დანახვამ, რომელმაც ამ სანახაობას მიუსწრო. ამ ამბავს ნიჭიერმა მარციალუსმა ხოტბა პოეტურად შეასხა: «როგორ შეუძლია მშიერ ლომს თავშეკავება, როცა ბრჭყალებში მსხვერპლი ჰყავს? მისცეს მტერს სიცოცხლე და ტყვე გაათავისუფლოს? როგორ შეუძლია? მაგრამ ცეზარ, ის ხომ შენ გეკუთვნის, არენაზე მყოფიც კი შენ გემორჩილება. ამბობენ, რომ ის შენია; მაშასადამე, მას შეუძლია». მიუტევონ ქრისტიან მქადაგებელს, რომ მან რომაელი პოეტის ამ თავხედური ქლესობით ისარგებლა, რამეთუ ეს ამბავი ფრიად შეესაბამება მოცემულ შემთხვევას. ჩემო ჯვარცმულო მაცხოვარო, ჭეშმარიტად ღმერთო ქრისტიანეთა, რანაირად შეუძლია ქრისტიანს, მოძულე უყვარდეს და მაწყენარს კეთილი უყოს? რანაირად შეუძლია? მაგრამ ის ხომ შენია. დიახ, ის შენი ქვეშევრდომია, რომელმაც წმიდა ნათლობით ჩვეულებრივი ერთგულების ფიცი დაგიდო. ის შენი მოწაფეა, ჭეშმარიტების სასწავლებელში განსწავლული, რომელიცა არს წმიდა ეკლესია. ის ძეა შენი, შენი იარების მეშვეობით უკეთესი ცხოვრებისათვის აღორძინებული და შენი ღვთაებრივი ნეტარების მემკვიდრე. ის კანონიერების ყველა საფუძვლის მიხედვით შენია, როგორც არაფრისაგან შექმნილი და შენი სისხლით გამოსყიდული. «ამბობენ, რომ ის შენია, მაშასადამე, მას ძალუძს», მოვალეცაა ამისა. დიახ, უფალო ჩემო, თუნდ გაბოროტებულმა და შეურაცხყოფილმა, გრძნობა სიყვარულისა შენგან უნდა ისწავლოს. იმისათვის, რომ შენდამი კუთვნების მადლი ჰქონდეს, უსათუოდ უნდა შეასრულოს შენი მცნება და შენს მაგალითს მისდიოს. «ამბობენ, რომ ის შენია, მაშასადამე, მას ძალუძს».

მოდით, ვიფიქროთ ამაზე. მტრის სიყვარულს ბუნება მოგვიწოდებს, რომელსაც სურს, კანონი გვავალდებულებს და გვიბრძანებს ამას. თუ ადამიანის სახის დაკარგვა არ გვინდა, ბუნების ხმას ვერ შევეწინააღმდეგებით; თუკი ქრისტიანობის დაკარგვა არ გვსურს, არ შეგვიძლია ჩვენს კანონს ყური არ ვუგდოთ. მოკლედ რომ ითქვას, უსიყვარულოდ ვერც ქრისტიანები ვიქნებით და ვერც ადამიანები. ამას პავლე მოციქულიც ადასტურებს, როცა საკუთარი თავის მიმართ ამბობს: «*და... სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაჲ ვარ*» (1 კორ. 13, 2). სასტიკო კაცობრივო ბუნებავ! შენ საკუთარ თავს უჯანყდები, თუ ეწინააღმდეგები ასეთ კანონს. კანონო ღვთისავ, კაცთმოყვარევ, შენ სიყვარულის კანონი რომ არ ყოფილიყავი, არ იქნებოდი ღვთაებრივი. თუკი სიყვარული ადამიანურობის თვისებაა, ნუთუ ადამიანებისათვის ასე ძნელია გაადამიანურება? თუკი მიტევება ქრისტიანობის დამახასიათებელი თვისებაა, განა სასირცხვილოა ქრისტიანმა თავისი სარწმუნოება აღიაროს? სიბრმავე ღირსი ცრემლისა! ადამიანები რაღაცად მიიჩნევენ წარმოსახვით დიდებას, რაც ამასოფლის ცრუ პატივისცემაში მდგომარეობს და არაფრად დაგიდევენ მეფურ ღირსებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იყო კეთილი ადამიანი ბუნებითი მდგომარეობით და კეთილი ქრისტიანი სარწმუნოებრივი წესით.

მაცხოვრის ბრძანების შესრულება ძნელი საქმეა, მაგრამ ამ დიადი საქმისათვის ის აქამომდე უდიდეს გასამრჯელოს გვპირდება _ ღვთის შვილად ცნობას: *«გიყუარდედ მტერნი თქუენნი... რაჲთა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა»* (მთ. 5, 44-45). დიადი მცნება მოგვცა, მაგრამ დიადსაც შეგვპირდა, _ აღიარებს ნეტარი ავგუსტინეც. თქვენ დიად

საქმედ თვლით იმის სიყვარულს, ვისაც სძულხართ? დიახ, «მან დიადი მცნება მოგვცა». მაგრამ ხართ კი თანახმანი იმისა, რომ ღვთის შვილად გახდომა ასევე დიადი ჯილდოა? უდავოდ, «მან დიადი რამ აღგვითქვა». თუკი ამის გაკეთება ქრისტეს სიყვარულით არ გვსურს, საკუთარი თავის სიყვარულით გავაკეთოთ. თუკი არ გვიბიძგებს თანდაყოლილი ბუნებრივი მიდრეკილება ან კანონის შესრულების აუცილებლობა, დაე, ეს სურვილი ჯილდოს იმედმა აღძრას. ხალისით შევასრულოთ მცნება, რათა უეჭველად მივიღოთ ის, რასაც დაგვპირდნენ.

II

იმ დროსაც კი, როცა მთელ მსოფლიოზე გაბატონებულ რომში დაბრმავებული წარმართები ერთდროულად ეთაყვანებოდნენ მამისმკვლელ ზევსსა და სისხლისმსმელ არესს, ტიტუს ლიბიუსის მოწმობით გაჩნდა ანდაზა: «მტრობა მოკვდავია, მაგრამ სიყვარული არ კვდება». ხოლო ათენში, სამყაროს ამ სასწავლებელში შეურაცხყოფის კეთილშობილური სიძულვილი ფრიად ამაღლებული ფილოსოფიის დოგმატის ხარისხში ჰყავდათ. იქ ავგუსტუსმა, უდიდესმა მონარქთა შორის, ვისი სიცოცხლეც მუდამ საფრთხის ქვეშ იყო, გაბედა და ცინიუსს ღალატისთვის პატივი მიაგო, აქ კი წარჩინებულთა შორის უგონიერესი, უდანაშაულოდ სიკვდილმისჯილი ფოკიონუსი* თავის შვილს უბრძანებდა, მიეტევებინა უმადური სამშობლოსათვის: «გიბრძანებ და გაფიცებ, არ იძიო შური ათენელებზე». არ არის იმაზე მეტად კეთილშობილური შურისძიება, რომელიც კი შესაძლებელია მტერს მიაგო, ვიდრე ის, რომ შეიყვარო, ნაცვლად იმისა, რომ გამოიწვიო იგი. ასე იყო იმ დროს.

ახლა ვეთაყვანებით ღმერთს, რომელიც სიყვარულის გამო განკაცდა, მოკვდა სიყვარულისთვის, მოგვცა სჯული მხოლოდ სიყვარულის შესახებ. და ამ ღმერთის თაყვანისმცემელთათვის უცნობია სიყვარული, უცხოა, ან უგულებელყოფილია, როგორც არაკეთილშობილური. სად ხარ, ქრისტიანობის ძველო დროებავ, მადლის ნათელო დღეებო, სიწმიდის საუკუნევ, როცა ქრისტიანებს ათასობით მდევნელი ჰყავდათ, მაგრამ არც ერთ მათგანს გულის სიღრმეში მტრად არ მიიჩნევდნენ? როცა მიტევება დამსახურებად თითქმის არ ითვლებოდა, რადგანაც ტანჯვა სახელად იყო მიჩნეული? როცა ქრისტიანობა კეთილშობილებას ნიშნავდა. მოუსმინეთ, რას ამბობს ნაზიანზელი იმ დღეთა ენით: «ის, რაც სხვათა მიერ სამარცხვინო ბოძზე ეკვრება, ჩვენთან პატივცემულია, უღირსს ყოველივეს ხალისით მიუტევებენ, ასევე დიდსულოვანნი ვართ მანკიერების მიმართაც». ჰოი, აწინდელო ქრისტიანენო, ასე ვთქვათ, ძველ ქრისტიანთა ანტიპოდებო! არ უარვყოფ, ჩვენს დღეებშიც არის შესაძლებელი რაიმე სასწაული _ ასეთია საქციელი ფარული ერეტიკოსი მსახურის მიერ მოკლული სამხედრო მეთაურისა. როცა მკვლელი შეპყრობილ იქნა, მომაკვდავმა მეთაურმა მისი მოყვანა ბრძანა და მხოლოდ უთხრა: «ძმაო, ჩემი განმგმირავი ხელი მომეცი და ნიშნად სიყვარულისა ჩემსას გიწვდი. მოგიტევებ, სიცოცხლესა და თავისუფლებას გჩუქნი, შენგან არანაირ საზღაურს არ მოვითხოვ. მხოლოდ მინდა, ვიცოდე, რისთვის მომკალი, თუმც ყოველთვის სიკეთეს გიკეთებდი». აღელვებულმა მსახურმა უპასუხა: «არც თუ განსაკუთრებული რამისთვის _ ჩემი რწმენისადმი მოშურნეობით, რომლისთვისაც სამსახურის გაწევა მინდოდა». _ ახლა კი

* ათენელი მხედართმთავარი, სტრატეგი (45-ჯერ იქნა არჩეული), მხარს უჭერდა მეფეებს ფილიპე II-ს და ალექსანდრე მაკედონელს. მას ბრალი დასდეს ღალატში და სიკვდილით დასაჯეს.

წადი, _ თქვა მომაკვდავმა, _ წადი და იცოდე, როგორი უღირსია შენი სარწმუნოება, რომელმაც იმ ადამიანის მოკვლა გასწავლა, ვინც ამდენი სიკეთე მოგაგო და რამდენად კარგია ჩემი სარწმუნოება, რომელიც სიცოცხლის ჩუქებას მიბრძანებს მისთვის, ვინც სიკვდილი მაწია».

ასეთი ნიშნებით განირჩევა ჭეშმარიტი სარწმუნოება ცრუ სარწმუნოებისაგან. ეს ნიშანი ქრისტიანული გულმოწყალებაა. ეს _ იესო ქრისტეს სარწმუნოების სულია. წარმართი პოეტის _ პლინიუს უმცროსის აზრს მოვიყვან: «უკეთილშობილეს და უსპეტაკეს კაცად იმას ვთვლი, ვინც ისე მიუტევებს, თითქოსდა თავად სცოდავს დღენიადაგ, ვინც ცოდვისაგან თავს იმგვარად იკავებს, თითქოსდა არავის მიტევება არ შეეძლოს». აი, ბუნებითობით და მადლით ყველაზე მეტად კეთილშობილი ადამიანის თვისება. ის სხვებს ისე მიუტევებს, თითქოსდა თვითონ სცოდავს ყოველდღე და ისე შორსაა ცოდვისაგან, თითქოსდა არასდროს, არავის მიტევება შეეძლოს. დაე, ჩვენი გულისწყრომა ჩვენივე ნაკლოვანებებისაკენ იყოს მიმართული და მაშინ ის სამართლიანი იქნება. მტრების მიმართ კი მშვიდობა და სიყვარული გვქონდეს. ამას მოითხოვს ბუნება, ამას გვიბრძანებს რჯული. ჩვეულებრივ, ეს იმან უნდა ქნას, ვისაც ადამიანად ყოფნა უნდა; რჯულით კი იმან _ ვისაც ქრისტიანად ყოფნა სურს.